

სიცოდე, საზოგადოება, პოლიტიკა

**Ivane Javakhishvili Tbilisi State University**

**Faculty of Social and Political Sciences**

**Second International Scientific Conference**

**SPACE, SOCIETY, POLITICS**

**Scientific Works**

**№2**

**25-27 June, 2014**


ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია  
**სიცოცხვის, საზოგადოებრივი პოლიტიკის**

სამეცნიერო შრომების კრებული

№2

25-27 ივნისი, 2014



**სამეცნიერო რედაქტორები:**

რევაზ გაჩეჩილაძე  
თამარ დოლბაია  
კორნელი კაკაჩია  
რევაზ ჯორბენაძე  
მანანა შამილიშვილი

**Editors:**

Revaz Gachechiladze  
Tamar Dolbaia  
Korneli Kakachia  
Revaz Jorbenadze  
Manana Shamilishvili

**ტექნიკური ჯგუფი:**

მარეხ დევიძე  
მირანდა მიქაძე

**Technical group:**

Marekh Devidze  
Miranda Mikadze

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2015  
ISBN 978-9941-13-434-0  
ISSN 2346-7959

## სარჩევი

### ზოგად აპაშიძე

ეთნიკური უმცირესობების საკითხი საქართველოში  
ევროპული პოლიტიკის კონტექსტში ..... 13

### მელორ ალფენიძე

შავი ზღვის ნაპირების დარაიონება მორფოდინამიკური  
ნიშნების მიხედვით (აფხაზეთის მაგალითზე) ..... 29

### ნიკოლოზ ბერუჩიაშვილი, ნელი ჯამასპიშვილი,

### ლევან ბერუჩიაშვილი

ხელუხლებელი ლანდშაფტის დაცვა, როგორც  
საქართველოს პერსპექტივა ..... 43

### მარინა ბურძენიძე, თეონა მატარაძე

დანაშაულის, პატიმრებისა და მათი სოციალური  
სტატუსის აღქმა თბილისის მოსახლეობის მიერ ..... 55

### რევაზ გაჩეჩილაძე

ესკიზი საქართველოსა და სომხეთის დემოგრაფიული  
სიტუაციის შედარებითი ანალიზისთვის ..... 70

### ზურაბ დავითაშვილი

შესაძლებელია საქართველოს ინტეგრაცია დასავლეთთან?  
(ცივილიზაციური განსხვავების ფაქტორი) ..... 80

### მარეს დევიძე

კონფლიქტის ტრასფორმაცია ორგანიზაციებში  
„ლოკალებს“ და „კოსმოპოლიტებს“ შორის ..... 90

### თამარ დოლბაია

საზღვაო პორტი, როგორც ქალაქწარმომქნელი ფაქტორი ..... 100

### ვალერიან დოლიძე

სოციალური ცვლილებები და პოლიტიკური  
დინამიკის მექანიზმები საქართველოში ..... 111

### ნათელა დონაძე

თანამედროვე ქართული სოციალური

ინსტიტუტები სტუდენტურ ფოკუსში .....	130
<b>სალომე დუნდუა</b>	
მუსლიმი ქართველები და სამოქალაქო	
ინტეგრაციის პრობლემები .....	146
<b>ნოდარ ელიზბარაშვილი</b>	
მცხეთის გეოგრაფიული კვანძი და მისი	
სამართლებრივი რეგულაციები .....	159
<b>ნინო კერესელიძე</b>	
დისციპლინათაშორისი მიდგომა და შერწყმული	
პოლიტიკა საზღვაო მეკობრეობის მიმართ .....	177
<b>გიორგი კვინიკაძე</b>	
გეოეკონომიკა და ახალი ეკონომიკური გეოგრაფია .....	188
<b>მანანა კვაჭანტირაძე</b>	
აგორა, ქრონოტოპის რეკონსტრუქცია	
(XX–XXI სს. ქართული ლიტერატურის გამოცდილება) .....	198
<b>იუპო კორპონენი</b>	
ზღვა, როგორც თანამედროვე	
სახელმწიფოთა ლიმინალური ლოგიკა .....	210
რომან მაისურაძე, თენგიზ გორდეზიანი,	
რევაზ თოლორდავა, ნელი ჯამასპაშვილი,	
თამარ ხარძიანი	
აჭარის და ზემო სვანეთის შედარებითი	
ლანდშაფტურ-ეკოლოგიური შეფასება .....	217
რომან მაისურაძე, ლევან ბერუჩიაშვილი,	
ნიკოლოზ ბერუჩიაშვილი, თამარ ხარძიანი,	
ნელი ჯამასპაშვილი	
საქართველოს ლანდშაფტების ტურისტულ-რეკრეაციული	
მნიშვნელობა და მათი პოტენციალის შეფასება .....	231
<b>გიორგი მელაძე</b>	
საქართველო და მეორე დემოგრაფიული	
გადასვლა როგორც გლობალური მოვლენა .....	239

## **ადა ნემსაძე**

იმპერიული, საბჭოთა და პოსტსაბჭოთა სივრცის  
მხატვრული ტრანსფორმაცია ოთარ ჭილაძის „გოდორში“ ..... 251

## **დალი ნიკოლაიშვილი, რევაზ თოლორდავა**

სოფელი აიბგის ტერიტორიული მიკუთვნებულობის  
ისტორიული ანალიზი კარტოგრაფიული წყაროების მიხედვით ... 265

## **დალი ოსეფაშვილი**

ოჯახური ძალადობის გამუქება ქართულ ბეჭდურ  
მედიაში და უურნალისტური ეთიკის პრობლემები ..... 280

## **ტატიანა სასჩუკი**

სოციალური პრობლემატიკის პრეზენტაციის ფორმები  
უკრაინული გამოცემების ანალიტიკურ მასალებში ..... 291

## **იოსებ სალუქვაძე, გიორგი მელაძე**

მიგრაციული პროცესები საქართველოში  
და მისი დემოგრაფიული შედეგები ..... 301

## **ნანა ტალახაძე**

ნაციონალური იდენტობის პრობლემები საბჭოთა  
პერიოდის დისიდენტურ მედიაში („ოქროს საწმისისა  
და საქართველოს მოამბის მაგალითზე“) ..... 315

## **ავთანდილ ტუკვაძე**

აშშ-ის, ბრიტანეთისა და საქართველოს  
პოლიტიკური კულტურის შედარებითი ანალიზი ..... 332

## **ჯაბა უროტაძე**

ჰუმანიტარული ინტერვენცია: ადამიანის  
უფლებები VS სახელმწიფო სუვერენიტეტი ..... 345

## **ეკატერინე ფირცხალავა**

გადაადგილების გავლენა ქორწინების პროცესზე მუსლიმ  
მესხებს შორის ამერიკის შეერთებულ შტატებში ..... 359

## **თამარ ქარაია**

მონუმენტალიზმი და მეხსიერების პოლიტიკა  
თანამედროვე საქართველოში ..... 373

<b>მარინე ქევხიშვილი</b>	
სამოქალაქო საზოგადოების როლი საჯარო	
სექტორში პოლიტიკის გატარებისას ..... 393	
<b>მანანა შამილიშვილი</b>	
პოლიტიკური სიმბოლო ქართულ ვიზუალურ მედიაენაში ..... 402	
<b>ვლადიმერ ჩხაიძე</b>	
სივრცითი მონაცემების ეროვნული ინფრასტრუქტურა,	
საერთაშორისო მნიშვნელობა ..... 415	
<b>თამარ ჩარკვიანი, ანა ჭელიძე</b>	
ინტერკულტურული დიალოგი და კულტურული	
მრავალფეროვნების მიმღეობა	
(ბოლნისისა და ნინოწმინდის მაგალითზე) ..... 429	
<b>მარი წერეთელი</b>	
„ცივი ომის“ დროის კონტრასტული სივრცეების	
ინტერკულტურული ასპექტების გააზრებისათვის	
(ჯონ სტაინბეკისა და ნოდარ დუმბაძის	
უურნალისტური ნაწერების მიხედვით) ..... 443	
<b>ალექსანდრე წურწუმია</b>	
საზღვაო ძალისა და სახმელეთო ძალის	
დაპირისპირების ძირითადი ასპექტები ..... 458	
<b>ნელი ჯამასპაშვილი, რომან მაისურაძე, თამარ ხარძიანი,</b>	
<b>ნიკოლოზ ბერუჩიაშვილი, ლევან ბერუჩიაშვილი</b>	
ლანდშაფტურ-ეკოლოგიური კარკასი, როგორც	
საქართველოს ტყეების მენეჯმენტის ინსტრუმენტი ..... 467	
<b>ედიშერ ჯაფარიძე</b>	
ევროინტეგრაციის სათავეებთან ..... 479	
<b>მარინე ჯალიაშვილი-კაკიაშვილი</b>	
ჯგუფთაშორისი ურთიერთობა და „შიდა ფავორიტიზმი“ ..... 506	
<b>რევაზ ჯორბენაძე, ნატა მეფარიშვილი</b>	
ტრანსის მდგომარეობის მიღწევის სიმბოლური	
მარკერები ქართულ შელოცვებში ..... 523	

## Contents

**Zviad Abashidze**

Ethnic minorities in Georgia in the Context of European Politics/Policy ..... 13

**Melor Alpenidze**

Black Sea Coast Zoning According to Morpho-Dynamic Features  
(on the Example of Abkhazia) ..... 29

**Nikoloz Beruchashvili, Neli Jamaspashvili, Levan Beruchashvili**

Protecting Virgin Landscapes: A Georgian Perspective ..... 43

**Marina Burdzenidze, Teona Mataradze**

Perception of Crime, Prisoners and theirs  
Social Status by Tbilisi Residents ..... 55

**Revaz Gachechiladze**

Comparative Aspects of Demographical  
Situations in Georgia and Armenia ..... 70

**Zurab Davitashvili**

Is Georgia's Integration into the West Possible?  
(Factor of Civilization Deference) ..... 80

**Marekh Devidze**

Conflict Transformation between “Locals” and  
“Cosmopolitans” in Organizations ..... 90

**Tamar Dolbaia**

Sea Port, as a City-Forming Factor ..... 100

**Valerian Dolidze**

Social Changes and the Mechanisms of Political Dynamics in Georgia .... 111

**Natela Donadze**

Modern Georgian Social Institutions in the Students' Focus ..... 130

**Salome Dundua**

Muslims Georgians and Civil Integration Problems ..... 146

<b>Nodar Elizbarasvili</b>	
Geographical Knot Mtskheta and legal features of her regulation .....	159
<b>Nino Kereslidze</b>	
Interdisciplinary Approach and Hybrid Policy to Maritime Piracy .....	177
<b>Giorgi Kvinkadze</b>	
Geoconomics and the New Economic Geography .....	188
<b>Manana Kvachantiradze</b>	
Agora. The Reconstruction of Chronotope (Experience of the XX–XXI cc. Georgian Literature) .....	198
<b>Juho Korhonen</b>	
The Sea(s) as the Liminal Origins of the Logic of Modern States .....	210
<b>Roman Maisuradze, Tengiz Gordeziani, Revaz Tolordava, Neli Jamaspashvili, Tamar Xardziani</b>	
Adjara and Svaneti Comparative Landscape – Ecological Assessment .....	217
<b>Roman Maisuradze, Neli Jamaspashvili, Nikoloz Beruchashvili, Tamar Xardziani</b>	
Tourist-Recreational value of the Georgian Landscapes and Evaluation of their potential .....	231
<b>Giorgi Meladze</b>	
Georgia and Second Demographic Transition as a Global Phenomenon .....	239
<b>Ada Nemsadze</b>	
Artistic Transformation of the Imperial, Soviet and Post-Soviet Space in “The Basket” by Otar Chiladze .....	251
<b>Dali Nikolaishvili, Revaz Tolordava</b>	
The Historical Analysis of Territorial Belonging to the Village Aibga According to the Cartographic Sources .....	265
<b>Dali Osepashvili</b>	
Covering on Domestic Violence in Georgian Print Media and Problems of Journalism Ethic .....	280

<b>Tatyana Saschuk</b>	
Presentation Forms of Social Problems	
In the Analytical Materials of Ukrainian Editions .....	291
<b>Joseph Salukvadze, Giorgi Meladze</b>	
Migration Processes in Georgia and their Demographic Consequences ....	301
<b>Nana Talakhadze</b>	
National Identity Problems in Post Soviet Period Dissident Media	
(on the Examples of “Golden Fleece” and “Georgian Moambe) .....	315
<b>Avtandil Tukvadze</b>	
Comparative Analysis of the USA,	
British and Georgian Political Cultures .....	332
<b>Jaba Urotadze</b>	
Issues of Humanitarian Intervention Definition .....	345
<b>Ekaterine Pirtskhalava</b>	
Displacement Effects on the Marriage Process	
among Muslim Mesketians in the USA .....	359
<b>Tamar Karaia</b>	
Monumentalism and Politics of Memory in Modern Georgia .....	373
<b>Marine Kevkhishvili</b>	
The Role of Civil Society in Public Policy Making Process .....	393
<b>Manana Shamilishvili</b>	
Political Symbol within Georgian visual Media Language .....	402
<b>Vladimer Chkhaidze</b>	
National Spatial Date Infrastructure (NSDI), International Importance .....	415
<b>Tamar Charkviani, Ana Chelidze</b>	
Intercultural Dialogue and Acceptance of Cultural Diversity	
(Example of Ninotsminda and Bolnisi) .....	429
<b>Mari Tsereteli</b>	
For Understanding Intercultural Aspect of Contrasting Spaces	
During the „Cold War“ (According to Journalistic	

Writings of John Steinbeck and Nodar Dumbadze) .....	443
<b>Alexander Tsurtssumia</b>	
Main Aspect of the Sea Power and Land Power Confrontation .....	458
<b>Neli Jamaspashvili, Roman Maisuradze, Nikoloz Beruchashvili, Levan Beruchashvili, Tamar Xardziani</b>	
Landscape–Ecological Carcass as an Instrument for Forest Management Georgia .....	467
<b>Edisher Japharidze</b>	
At the Beginnings of the European Integration .....	479
<b>Marina Djagiashvili-Kakiashvili</b>	
Intergroup Relations and the “Internal Favoritism” .....	506
<b>Revaz Jorbenadze, Nata Meparishvili</b>	
The Symbolic Markers of Trance State in Georgian Spells .....	523

**ზოიად აბაშიძე**  
ასისტენტი პროფესორი, თსუ

**ეთნიკური უმცირესობების საკითხი საქართველოში  
ევროპული პოლიტიკის კონტექსტში**

საქართველოს ერთ უმთავრეს პრობლემათაგან, რომლის დაძლევა ჯერ კიდევ ვერ შეძლო, ეთნიკური მრავალფეროვნებით გამოწვეული სოციალური დაქსაქსულობაა. მოცემულ პროცესზე, უპირველესად, რა თქმა უნდა ქვეყნის შიდა ფაქტორები მოქმედებენ, მაგრამ მისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია საგარეო კონტექსტი, რომლის ფარგლებშიც ხდება ახალგაზრდა ქართული ერი-სახელმწიფოს მშენებლობა.

წარმოდგენილი სტატიის მიზანია, ძირითად კონტურებში შუქი მოფინოს იმ საგარეო ვითარების გაგებას, რომელიც განსაკუთრებულ როლს თამაშობს საქართველოში ეთნიკური ერთიერთობების რეგულაციის საქმეში. ამ მხრივ, ჩვენი მთავარი ყურადღება გადატანილი იქნება ევროკავშირის და, ზოგადად, ევროპული ინსტიტუტების როლზე, რომლებსაც ისინი ასრულებენ ქართულ რეალობაში. 2014 წლის ზაფხულში ევროკავშირთან გაფორმებულმა ასოცირების შეთანხმებამ კიდევ უფრო გაზარდა მოცემული ვითარების შესწავლის საჭიროება. აღნიშნული ხელშეკრულება უფრო მეტად აახლოებს საქართველოს ევროპულ სამყაროსთან, რაც მის წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრის მეტ საჭიროებას მოითხოვს. წარმოდგენილ სტატიას, მისი ფორმატიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, არ აქვს მიზნად საკითხის სრულად შესწავლა. მისთვის მთავარია ზოგად ევროპულ კონტექსტში მოხაზოს ის ვითარება, რომლის გამკლავებაც მოუწევს ახალგაზრდა ქართულ დემოკრატიას როგორც ამჟამინდელ, ისე სამომავლო პერსპექტივაში, რომელიც კი ეთნიკური ურთიერთობების და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებს ეხება.

### 1. „ეთნიკური“ / „ეროვნული“ უმცირესობის ცნება

სანამ უშუალოდ, სტატიის უმთავრესი კითხვის განხილვაზე გადავალთ, საინტერესოა თვალი გადავავლოთ ეთნიკური/ეროვნული უმცირესობის ცნების სამართლებრივი დეფინიციის საკითხებს, რადგანაც მოცემული დეფინიცია, შემდგომში დიდად განსაზღვრავს კონკრეტული პოლიტიკური ქმედების ჩარჩოს.

დღემდე საკმაოდ დიდი დავა არსებობს ცნება „ეთნიკური“ და „ეროვნული“ უმცირესობების შესახებ. როგორც წესი, დასავლეთ ევროპულ სამყაროსა და აშშ-ში უპირატესობა გააჩნია „ეთნიკური“ უმცირესობების კონცეფციას, რადგანაც მისთვის „ერი“ დიდი სამოქალაქო ერთობაა და შესაბამისად, ერთ „ერში“ კიდევ დანარჩენი „ერების“ არსებობა ანაქრონიზმია. ევროპის შედარებით აღმოსავლეთ ნაწილს და აზიაში, უპირატესობა ცნება „ეროვნულ უმცირესობას“ ენიჭება, რადგანაც მოცემულ გეოგრაფიულ სივრცეში ისტორიული განვითარებების გამო ერის ეთნიკური დისკურსია გაბატონებული და, შესაბამისად, „ეთნიკური“ ჯგუფი „ეროვნულ ჯგუფთან“ იგივედებოდა.<sup>1</sup>

ისტორიულად, ეროვნული/ეთნიკურ უმცირესობების პრობლემა, მე-19-20 საუკუნეების ნაციონალიზმის „დამატებითი პროდუქტია“. გამალებული პომოგენიზაციის და ფრანგული ასიმილაციის შედეგად, ვერ მოხერხდა კონკრეტულ საზოგადოებებში კულტურული განსხვავებულობის მოსპობა და საზოგადოებები კვლავაც ჰეტეროგენულნი დარჩენენ.

„სხვათა“ მიმართ ტოლერანტობის პირველი ტალღა მე-15-18 საუკუნეების ევროპის ისტორიაში უნდა დავძებნოთ. მოცემული პროცესი განსხვავებული რელიგიური აღმსარებლობის პირების მიმართ ტოლერანტულ მოპყრობაში გამოიხატებოდა და სხვადასხვა რელიგიურ ჯგუფთა თანაარსებობას უწყობდა ხელს. ასეთი პრეცედენტები იყო მაგალითად: 1436 წელს ბოჰემიელი და მორავიელი ჰუსიტების შეთანხმება იმპერატორ სიგიზმუნდთან. გერმანიაში მსგავს პროცესს ადგილი ჰქონდა 16-17 საუკუნეებში, რომელიც გამოვლინდა აუგსბურგის 1555 წლის და ვესტფალიის 1648 წლის შეთანხმებით, რომლებმაც, ზოგადად, კალვინისტების და კათოლიკების ურთიერთობების დარეგულირება მოახდინა. მაგრამ ტოლერანტობის კონცეფციის ფართოდ

<sup>1</sup> მოცემული საკითხის შესახებ იხილეთ კლასიკური ნაშრომი: Kohn, Hans. *The Idea of Nationalism: A Study of Its Origins and Background*. First ed. New York: The Macmillan Company, 1944

განვრცობა განმანათლებლობის განვითარებამ და 1848 წლის მოვლენების შემდგომ განვითარებულმა კონსტიტუციურმა რეფორმებმა გამოიწვია. ზოგადად, მე-19 საუკუნეში უმცირესობების საკითხი კერძო სფეროდ იქნა გამოცხადებული და მისი რეგულირების საჯარო წესების ვალდებულებითობა არ არსებობდა.<sup>1</sup>

საერთაშორისო სამართალი არ განსაზღვრავს „ეროვნული/ეთნიკურ უმცირესობის“ კატეგორიას. სამართლებრივი დეფინიციის სირთულიდან გამომდინარე, საკითხის საბოლოო განმარტება სახელმწიფოთა ინდივიდუალური პრეროგატივა (მაგალითად: საფრანგეთი, საბერძნეთი და თურქეთი სრულიად უარყოფს საკუთარ ტერიტორიაზე „ეროვნული/ეთნიკური უმცირესობის“ არსებობას).<sup>2</sup> დასავლურ რეალობაში პირველი ოფიციალური ხსენება „ეროვნული უმცირესობისა“ მოხდა 1992 წლის დეკემბერში, როდესაც გენერალურმა ასაბლეამ მიიღო დეკლარაცია პირებზე, რომლებიც ეროვნულ/ეთნიკურ, რელიგიურ და ლინგვისტურ უმცირესობებს ეკუთვნიან. ხშირია შემთხვევები, როცა „ეროვნული უმცირესობა“ სხვადასხვაგვარად ითარგმნება სხვადასხვა ენებზე, არსებული კულტურული განსხვავებულობის გამო. „ეროვნული უმცირესობების“ სამართლებრივი გასაზღვრის მცდელობა ევროპაშია მხოლოდ წარმატებული. მისი პირველი არაპირდაპირი განმარტება მოხდა ევროპის საბჭოს მიერ 1992 წელს მიღებულ უმცირესობების და რეგიონული ენების ევროპულ დეკლარაციაში. მასში უპირატესობა ლინგვისტურ განსაზღვრებას ენიჭება, რომელიც ეროვნულ უმცირესობად მოიხსენიებს ხალხს, რომელიც უმრავლესობის ენისგან განსხვავებულ ენაზე საუბრობს. ამ შემთხვევაში, სახელმწიფოში მხოლოდ ე.ნ. „ძველი ენების“ არსებობა იგულისხმებოდა. ამის მიუხედავად, ამგვარი დეფინიცია არაა უნივერსალური ხასიათის და მას უფრო ევროპული მნიშვნელობა ენიჭება, ევროპაბჭოს მიერ 1994 წლის „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენციაში“ არ არის მოცემული „ეროვნული უმცირესობის განმარტება“.<sup>3</sup>

ამ მხრივ საინტერესოა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ვითარება, რომელიც კარგად გამოხატავს აღნიშნულ გაურკვევლობას. მაგალი-

<sup>1</sup> Daniel Smihula / *Definition of national minorities in International law* / Oct. 2009, Volume 6, No. 5 (serial No. 48), Journal of US-China Administration, ISSN 1548-6591, USA, pp. 45

<sup>2</sup> Minority issues mainstreaming in South Caucasus: a practical guide. Tbilisi, 2011. pp.8 [http://www.ecmi.de/uploads/tx\\_lfpubdb/Minority\\_Issues\\_South\\_Caucasus\\_fulltext.pdf](http://www.ecmi.de/uploads/tx_lfpubdb/Minority_Issues_South_Caucasus_fulltext.pdf)

<sup>3</sup> ibid: pp. 46-60.

თად, სომხეთში, როდესაც ცდილობდნენ განესაზღვრათ „უმცირესობის“ ცნება ეროვნული უმცირესობების კანონის მიღებისას, ვერ მოხდა საკითხზე შეჯერება. აზერბაიჯანის შიდა კანონმდებლობა მინიშნებას აკეთებს, „ეროვნული უმცირესობების“ შესახებ, მაგრამ არ აკონკრეტებს, თუ რომელი ჯგუფები იგულისხმებიან მოცემული უმცირესობებში. 2009 წელს საქართველოში მიღებული „შემწყნარებლობის და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია“<sup>1</sup>, ზოგადად, აღიარებს „უმცირესობების“ არსებობას, მაგრამ თავს არიდებს მის შემდგომ კონკრეტიზაციას.<sup>1</sup>

ამდენად, „უმცირესობების“ საკითხის მკაცრი სამართლებრივი რეგულირების საკითხი ჯერ კიდევ საკამათოა და არ არსებობს მისი უნივერსალური განმარტება. ამიტომაც, ყოველი სახელმწიფო პრაქტიკაში და თავისუფალია, რათა თვითონ განსაზღვროს „უმცირესობის“ და მათ შორის „ეთნიკური ეროვნული უმცირესობის“ ფორმა, შინაარსი და საკუთარი გამოცდილების და საჭიროების მიხედვით იმოქმედოს. მთავარია, ამგვრია ქმედება არ მოდიოდეს წინააღმდეგობაში უნივერსალურ საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალთან.

## 2. ეთნიკური/ეროვნული უმცირესობების ევროპული რეგულაციების საფუძვლები

საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩოები ეროვნული და ეთნიკური უმცირესობების შესახებ, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ჩამოყალიბდა, რომლებშიც იგულისხმებიან, უმთავრესად, გაეროს, ევროპის საბჭოს და ეუთოს სარეკომენდაციო და სამართლებრივი დოკუმენტები. ამავე დროს, უნდა ითქვას, რომ თანამედროვე ევროპულ რეგულაციებს საფუძვლად საერთაშორისო მნიშვნელობის რეგულაციები უდევს, რომელთაგანაც აღსანიშნავია რამდენიმე:

ა) ევროპის საბჭოს 1950 წელს მიღებული „ადამიანის უფლებების და ფუნდამენტური თავისუფლებების ევროპული კონვენცია“ პირველი სამართლებრივი დოკუმენტია, რომელმაც ანტიდისკრიმინაციულ სამართლებრივ ტრადიციას ჩაუყარა საფუძველი. კონვენციამ აღიარა „უმცირესობას“ მიკუთვნებულობის თავისუფლება და უმცირესობას მიკუთვნებულ პირებს უფლება მისცა თავდაცვის საერთაშორისო სამართლებრივი მქანიზმები გამოეყენებინა, მაგალითად, როგორიცაა

<sup>1</sup> Minority issues mainstreaming in South Caucasus: a practical guide. Tbilisi, 2011. pp.9 [http://www.ecmi.de/uploads/tx\\_lfpubdb/Minority\\_Issues\\_South\\_Caucasus\\_fulltext.pdf](http://www.ecmi.de/uploads/tx_lfpubdb/Minority_Issues_South_Caucasus_fulltext.pdf)

სტრასბურგში არსებული ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლო.

ბ) გაეროს მიერ 1965 წელს მიღებული „საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“;

გ) გაეროს მიერ 1966 წელს მიღებული „საერთაშორისო კონვენცია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“;

დ) გაეროს 1992 წელს მიღებული მცირე დოკუმენტი „ეროვნულ/ეთნიკურ, რელიგიურ და ენობრივ უმცირესობებს მიკუთვნებული პირების უფლებების დეკლარაცია“. მოცემული დოკუმენტები არის ბაზა ყველა სამართლებრივი დონისა, რომელიც კი ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების საკითხებს ეხება. მოცემულ დოკუმენტებს იგივე დამოკიდებულება აქვს, უმცირესობების ევროპული პოლიტიკის განსაზღვრებისას. შესაბამისად, ყოველი ევროპული რეგულაცია მოცემული ზოგადი კონვენციების რეგიონულ კონკრეტიკას წარმოადგენს.

ევროპულ დონეზე ეთნიკური/ეროვნული უმცირესობების საკითხებს რამდენიმე დოკუმენტი და პროცესი არეგულირებს, რომლებიც, უმთავრესად, არა სავალდებულო ხასიათისა, მაგრამ მკაცრად სარეკომენდაციო შეფერილობისაა, რომლის შესრულება ევროპულ პოლიტიკას სხვადასხვა ფორმით დაახლოებულ ყველა სახელმწიფოს მოეთხოვება, ამა თუ იმ ფორმით.

ეს დოკუმენტები შემდეგია:<sup>1</sup>

1. 1992 წელს, ევროპის საბჭოს მიერ მიღებული „რეგიონული და უმცირესობების ენების ქარტია“, რომლის უმთავრესი მიზანია ხელი შეუწყოს ევროპაში არსებული ისტორიული და გაერობას პირას მისული ენების დაცვას და განვითარებას. საამისოდ, ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს, იგი ავალდებულებს, ხელი შეუწყოს მოცემული ენების თავისუფალ გამოყენებას როგორც კერძო, ისე საჯარო სივრცეში, რაც შეიძლება გამოიხატებოდეს ამ ენებზე განათლების მიღების საშუალებაში, საჯარო/სახელმწიფო დაწესებულებებში გამოყენებაში, ამ ენებზე მასმედიის განვითარებაში და ა.შ. ევროპის საბჭოს წევრების დაახლოებით მხოლოდ ნახევარია შეერთებული მოცემულ ქარტიას, სხვადასხვა მიზეზების გამო.

სამხრეთი კავკასიის ქვეყნებიდან, მხოლოდ სომხეთია სრულად შეერთებული მოცემულ ქარტიას (2001 წელს ხელი მოაწერა, ხოლო

<sup>1</sup> Minority issues mainstreaming in South Caucasus: a practical guide. Tbilisi, 2011. pp.17  
[http://www.ecmi.de/uploads/tx\\_lfpubdb/Minority\\_Issues\\_South\\_Caucasus\\_fulltext.pdf](http://www.ecmi.de/uploads/tx_lfpubdb/Minority_Issues_South_Caucasus_fulltext.pdf)

2002 წელს მისი რატიფიცირება და ძალაში შესვლა მოხდა). აზერბაი-ჯანმა ხელი მოაწერა ქართის, მაგრამ რატიფიკაცია ჯერ არ მოუხდე-ნია. საქართველოს ჯერ არც ხელი მოუწერია და, შესაბამისად, არც მი-სი რატიფიცირება მომხდარა, მისი ევროპის საბჭოში წევრობის მიუხე-დავად.

2. ევროპის საბჭოს მიერ 1994 წელს მიღებული და 1995 წელს ხელ-მოწერილი “ეროვნული უმცირესობების დაცვის ჩარჩო კონვენცია”. მოცემული კონვენციის მიზანია კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში მაცხოვრებელი უმცირესობების დაცვა და მათი თანასწორობის უზ-რუნველყოფა ქვეყნის დანარჩენ მოსახლეობასთან მიმართებაში. შესა-ბამისად, უზრუნველყოფილი უნდა იყოს, ეროვნული უმცირესობების მიერ საკუთარი სპეციფიკური კულტურის გამოყენება, ცხოვრების ყველა სფეროში. აღნიშნულ კონვენციის ევროპის საბჭოს წევრი ქვეყ-ნების უდიდესი ნაწილის მიერაა ხელმოწერილი, თუმცა არსებობს გა-მონაკლისებიც. საქართველო 2006 წლის შემდგომაა მიერთებული აღ-ნიშნულ კონვენციას.

მოცემული კონვენციის შესრულების მონიტორინგისთვის არსე-ბობს ევროპის საბჭოს ზედამხედველობის სპეციალური ჯგუფი, რომე-ლიც თვალყურს ადევნებს, ამა თუ იმ სახელმწიფოში მოცემული კონ-ვენციის შესრულების პროცესს. შესაბამისად, გარკვეული ინტერვა-ლებში, ყველა სახელმწიფო ვალდებულია ევროპის საბჭოს წარუდგი-ნოს სპეციალური მოხსენება საკითხთან დაკავშირებით.

3. რასიზმის და შეუწყნარებლობის ევროპული კომისია. მოცემუ-ლი კომისია, ევროპის საბჭოს სპეციალური ორგანოა, რომელიც წევრ სახელმწიფოებში თვალყურს ადევნებს რასიზმის, ანტისემიტიზმის და სხვა მსგავსი ტიპის რადიკალური განწყობების თუ მოძრაობების გან-ვითარებას. წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან მოხსენებები წარადგინონ საკუთარ ქვეყნებში არსებული ვითარებების შესახებ.

4. ეუთოს მიერ მიღებული დოკუმენტები. ეუთო 1989 წლის შემ-დგომ ჩართულია ადამიანის უფლებების და, მათ შორის, ეროვნული-/ეთნიკური უმცირესობების მონიტორინგის და რეგულაციების საქმე-ში. საამისოდ მას მიღებული აქვს რამდენიმე დოკუმენტი და შექმნილი აქვს სპეციალიზებული ორგანოები, როგორიცაა ეროვნული უმცირე-სობების საკითხების უმაღლესი კომისარიატი, რომლებიც სხვადასხვა

კუთხით ახერხებენ აღნიშნული საკითხების რეგულაციებს.<sup>1</sup> კონკრეტული თემატიკის მიხედვით, უმაღლესი კომისრის ეგიდით გამოცემულია რამდენიმე რეკომენდაცია:

- ა) ეროვნული უმცირესობების განათლების მიღების ჰაგის რეკომენდაციები (1996);
- ბ) ეროვნული უმცირესობების ლინგვისტური უფლებების ოსლოს რეკომენდაციები (1998);
- გ) საჯარო საკითხებში ეროვნული უმცირესობების ეფექტური მონაწილეობის ლუნდის რეკომენდაციები (1999);
- დ) საარჩევნო პროცესებში ეროვნული უმცირესობების ეფექტური მონაწილეობის ვარშავის გზამკვლევი (2001);
- ე) სამაუწყებლო მედიაში უმცირესობების ენების გამოყენების გზამკვლევი (2003)
- ვ) მულტიეთნიკურ საზოგადოებებში საზოგადოებრივი მართლნესრიგის დაცვის რეკომენდაციები (2006).
- ზ) ეროვნული უმცირესობების შიდასახელმწიფოებრივი ურთიერთობების რეგულირების ბოლცანოს რეკომენდაციები (2008).<sup>2</sup>

მოცემულ დოკუმენტებს სავალდებულო სამართლებრივი ხასიათი არ გააჩნიათ, მაგრამ ეუთოს წევრი სახელმწიფოებისთვის ნორმატიული ხასიათისაა და სარეკომენდაციოა მათვის, რომლებიც ევროპის კავშირის წევრობას მიელტვიან.

აქვე აღსანიშნავია ერთი ფაქტი. ევროპის კავშირს, როგორც ორგანიზაციას არ გააჩნია ეთნიკური/ეროვნული უმცირესობების რეგულატორის მანდატი და, შესაბამისად, ეს საკითხი უმთავრესად მისი ჩარჩოს გარეთ მოქმედებს, ისეთი ინსტიტუციის მიერ, როგორიც მაგ., ევროპის საბჭოა. ამის მიუხედავად, ევროპის კავშირის მიერ მიღებულ დოკუმენტაციებში გაბნეულია უმცირესობების საკითხები. საკითხი, უმთავრესად, დაქვემდებარებულია ზოგადი ადამიანის უფლებების პრობლემებს და მისგან ბოლომდე გამოცალკევებული არ არის. თუმცა, მაგ: მაასტრიხტის და ამტერდამის ხელშეკრულებებში (და კიდევ მთელ რიგ დიკუმენტებში) ხასგასმულია კულტურული და რეგიონული მრავალფეროვნების დაცვის საკითხები, მაგრამ იგი ზოგად ჰუმანიტარულ სამართალს ემორჩილება. ის უფრო არაპირდაპირ ერევა უმცი-

<sup>1</sup> ibid. pp.19-25.

<sup>2</sup> ibid. pp. 25-35.

რესობების საკითხების დარეგულირებაში და პირდაპირი ზემოქმედების ძალა არ გააჩნია.<sup>1</sup>

ევროკავშირის პოლიტიკაში უმცირესობების საკითხმა, უფრო მისი გაფართოების კონტექსტში ჰქოვა ასახვა. თუმცა, აქაც იგი გამოცალებულად არ დგას, მაგრამ რეალური მოლაპარაკებების და გაფართოების პოლიტიკის ზეპირ შეთანხმებებში, საკითხმა გაცილებით მეტი აქტუალობა შეიძინა. ამიტომაც, ყველა სახელმწიფო, რომელიც კი ევროპის კავშირს, ამა თუ იმ ფორმით უახლოვდება, უწევს ყურადღება გაამახვილოს ეთნიკური უმცირესობების პრობლემებზე და მისი სხვადასხვა ფორმით აქტუალიზაცია მოახდინოს. თუმცადა, ფორმალურად ეს საკითხი, ოფიციალურ დღის წესრიგში არ დგას და, ძირითადად, ზეპირი შეთანხმებების დროს განიხილება, რაც უნდა ითქვას, რომ არ აკნინებს მის მნიშვნელობას.<sup>2</sup>

### 3. საქართველო ევროპულ ინსტიტუტებთან ურთიერთობის კონტექსტში

2014 წლის 2 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა, რომელმაც ხაზი გაუსვა დისკრიმინაციის, მათ შორის ეთნიკური დისკრიმინაციის, ყველა ფორმის აღმოფხვრას.<sup>3</sup> იმის მიუხედავად, რომ მოცემულ საკითხს, ასე თუ ისე არეგულირებდა საქართველოს კონსტიტუცია და კიდევ რამდენიმე სამართლებრივი აქტი (სამოქალაქო კოდექსი, სისიხლის სამართლის კოდექსი და კიდევ სხვა), იგი მიღებული იქნა ევროპის კავშირთან ასოცირების ხელშეკრულების დაადების წინაარე კონტექსტში და მხოლოდ დამოუკიდებელ ქართულ გადაწყვეტილებას არ წარმოადგენდა. აღნიშნული კანონის მიღების შემდგომ, 2014 წლის 27 ივნისს,<sup>4</sup> საქართველომ ხელი მოაწერა, ხოლო 18 ივლისს რატიფიცირება მოახდინა ევროპის კავშირთან ასოცირების შეთახმებისა,<sup>5</sup> რომელმაც საქართველო ინსტიტუციურად მჭიდროდ დაუკავშირა მოცემულ ორგანიზაციას, იმის მიუხედავად, რომ ეს აქტი ევროპის კავშირში საქართველოს წევრობას არ ნიშნავს. სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მოცემულ ხელშეკრულე-

<sup>1</sup> Judi Toth / Kin Minority, Kin-state and Neighbourhood policy in the Enraged Europe, pp.73-74. [https://src-h.slav.hokudai.ac.jp/coe21/publish/no9\\_ses/05\\_toth.pdf](https://src-h.slav.hokudai.ac.jp/coe21/publish/no9_ses/05_toth.pdf)

<sup>2</sup> ibid: p.75.

<sup>3</sup> <http://civil.ge/geo/article.php?id=28143>

<sup>4</sup> <http://civil.ge/geo/article.php?id=28408>

<sup>5</sup> <http://civil.ge/geo/article.php?id=28505>

ბის ერთ-ერთი პუნქტი ყურადღებას ამახვილებს უმცირესობების სა-  
კითხების მოგვარებაზე, თუმცა იგი ზოგადი ადამიანის უფლებების სა-  
კითხებს არის დაქვემდებარებული და მასზე განსაკუთრებული აპელი-  
რება არ ხდება. ხელშეკრულება ხაზს უსვამს, აგრეთვე, კონფლიქტე-  
ბის მშვიდობიანი მოგვარების საჭიროებას, რაც პირდაპირ, თუ არა-  
პირდაპირ ეთნიკური ურთიერთობების ნორმალიზაციის გარკვეულ  
ნორმატიულ ბაზას შეიცავს.<sup>1</sup>

ქართულ ვითარებაზე, პირდაპირ თუ არა პირდაპირ მოქმედებენ  
ზემოაღნიშნული რეგულაციები და დიდწილად განსაზღვრავენ სახელ-  
მწიფოს მომავალ თუ არსებულ პოლიტიკას ეთნიკურ უმცირესობებ-  
თან მიმართებაში. ეთნიკური უმცირესობების საკითხის რეგულირე-  
ბისთვის, საქართველოსთვის უფრო ქმედითი ევროპის საბჭოს მიღე-  
ბული დოკუმენტებია. საქართველო პრაქტიკულად მიერთებულია ყვე-  
ლა საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტს, რომელიც კი ადამია-  
ნის უფლებებს შექმნას. მაგრამ, კონკრეტულ ევროპულ რეგულაციებ-  
თან მიმართებაში, ზოგიერთი რეგულაციის ხელმოწერისგან ჯერჯე-  
რობით თავს იკავებს და, შესაბამისად, მათი დანერგვა ჯერ კიდევ სრუ-  
ლად არ მომხდარა.

მაგალითად, ისეთი დოკუმენტი, როგორიც რეგიონული და უმცი-  
რესობების ენების ქარტია, ჯერ კიდევ არაა ხელმოწერილი ქართული  
მხარის მიერ, იმის მიუხედვავად, რომ ევროპის საბჭოში განევრიანები-  
სას, საქართველომ ვალდებულება აიღო ხელი მოენერა მოცემული  
დოკუმენტისთვის. ამ შეთხევებაში, ქართული მხარის თავშეეკვების მი-  
ზეზი აშკარაა. თუ კი მას მოუწევს, მოცემული ქარტიის ხელმოწერა,  
გარკვეული მოსაზრებებით, მან შესაძლოა აღიაროს 19-მდე უმცირე-  
სობის ენის არსებობა, რომელთა „გადარჩენასა“ თუ „განვითარებაზე“  
მოუწევს ზრუნვა. აქ განსაკუთრებით საკამათოა სვანური და მეგრუ-  
ლი ენების საკითხი. მრავალი ქართველი მეცნიერი მათ ჩამოყალიბე-  
ბულ, უმნერლობო ენებს უწოდებს, ხოლო მეცნიერთა გარკვეული ნა-  
ნილის აზრით, ეს ენები საერთო ქართული ენის მხოლოდ იდიომატური  
განშტოებაა და მათი ცალკე ენებად აღიარება საფრთხეს უქმნის ქარ-

<sup>1</sup> ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის  
ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს და, მეორე  
მხრივ, საქართველოს შორის /[http://mfa.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=30&info\\_id=17011](http://mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=30&info_id=17011)

თულ იდენტობას და, საერთოდ, ქართულ სახელმწიფოებრიობას<sup>1</sup>. ამავე დროს, ამ „ენებთან“ ერთად, საქართველოს შესაძლოა მის ფარგლებში არსებული ყველა ეთნიკური უმცირესობის ენის ფორმალიზაცია მოუწიოს, ამა თუ იმ სახით, რაც ქართული მხარის პერსპექტივიდან ქვეყნის შემდგომ დეზინტეგრაციად მოჩანს. აქ მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ მაგ: სომხურს ან აზერბაიჯანულს გადაშენების საფრთხე არ ემუქრებათ, რადგანაც ამ ეთნიკურ ჯგუფებს გააჩნიათ საკუთარი ისტორიული სამშობლო, სადაც დღემდე არსებობენ სახელმწიფოები მოცემული სახელმწიფო ენებით. მოკლედ რომ ვთქვათ, ქართული მხარე გაურბის საკუთარ ტერიტორიაზე არსებული ყველა უმცირესობის ენის ფორმალიზაციას (თუმცა აფხაზეთის ტერიტორიაზე აფხაზურს სახელმწიფო ენის სტატუსი აქვს ქართული კონსტიტუციით), რადგანაც იგი მიაჩნია ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობის მთავარ შემაფერხებელ ფაქტორად, რამაც შესაძლოა მისი საბოლოო დეზინტეგრაცია უფრო გააღრმაოს. მოცემული შიში არცთუ უსაფუძვლოა, თუ კი საქართველოს პოსტ-კომუნისტური განვითარების ეთნიკური სეპარატიზმის ისტორიას გადავხედავთ. გარკვეული ეთნოსეპარატიზმის ტენდენციების არსებობა ჯერ კიდევ არაა ბოლომდე აღმოფხვრილი გარკვეული არაქართული რეგიონებიდან და, შესაბამისად, რეგიონული და უმცირესობების ენების ქარტია, საკმაოდ ბევრი ადმინისტრირებული მიერ მორალურად ფრიად არალეგიტიმურად გამოიყურება საქართველოს პოლიტიკურ სინამდვილეში. როგორც სამართლიანად აღნიშნავს ზოგიერთი ავტორი, აღმოსავლეთ-ცენტრალური ევროპის შემთხვევაში ეთნიკური პოლიტიკის ჩამოყალიბებაში დიდი როლს ასრულებს უშიშროების საკითხები. „უშიშროებიზაციად“ ახასიათებენ დასავლელი მეცნიერები აღმოსავლეთ-ცენტრალური ევროპის ეთნოპოლიტიკურ განწყობებს. ხშირ შემთხვევაში გაზიარებულია აზრი, რომ უმცირესობები შეკრულნი არიან სხვა, მტერ სახელმწიფოებთან და მათი დაკვეთით მუშაობენ.<sup>2</sup> ეს ვითარება ზუსტად ასახავს საქართველოს დამოკიდებულებას აღნიშნულ ქარტიასთან.

ამის მიუხედავად, საქართველო შეერთებულია ეროვნული უმცირესობების დაცვის ევროპულ ჩარჩო კონვენციას 2006 წლიდან და აქტიუ-

<sup>1</sup> ტარიელ ფუტკარაძე, „ენის ქარტია და თანამედროვე საქართველოს ენობრივი სიტუაცია“ <http://www.putkaradze.ge/cigni%20dasrulebuli/links/2.3.2.htm>

<sup>2</sup> John Rex and Gurhpal Singh / Multiculturalism and Political Integration in Modern-Nation-States – Thematic Introduction / Journal on Multicultural Societies (IJMS), Vo. 5, No. 1, 2003:3-19 ISSN 1817-4574, [www.unesco.org/shs/ijms](http://www.unesco.org/shs/ijms), pp.3-4.

რად მონაწილეობს მის დანერგვაში. ამ საკითხის ყველაზე რელიეფური გამოხატულება 2008 წელს მიღებული „შემწყნარებლობის და სამოქა-ლაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციაა“, რომელიც ქმნის გარკვე-ულ ნორმატიულ ბაზას იმისა, თუ როგორ უნდა წარიმართოს სამომავ-ლო პოლიტიკა სამოქალაქო ინტეგრაციას და ეთნიკურ უმცირესობებ-თან მიმართებაში. მოცემული ჩარჩო კონვენციიდან გამომდინარე, ქარ-თული სახელმწიფო ვალდებულია დროდადრო ანგარიში წარადგინოს ევროპის საბჭოს წინაშე, რათა განიხილოს, თუ როგორ მიმდინარეობს სამოქალაქო ინტეგრაციის და ჩართულობის პროცესი მის ტერიტორია-ზე. იმის მიუხედავად, რომ საქართველო ფორმალურად ასრულებს მის წინაშე დაკისრებულ მოვალეობებს, მას გააჩნია გარკვეული პრობლემე-ბიც, როგორც მაგალითად, ეთნიკური უმცირესობების განათლებით ან სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფაა. ამგვარი პრობლემის აღიარე-ბისგან არც ქართული პოლიტიკური კლასი იკავებს თავს, თუმცა მას მიაჩნია, რომ ეს საკითხები, ზოგადად, ქვეყნის არცთუ სახარბიელო სო-ციალურ-ეკონომიკური პრობლემებითაა გამოწვეული და არა რაიმე შე-ფარული დისკრიმინაციული პოლიტიკის გატარებით.

საქართველო, ჯერჯერობით სრულად ვერ/არ ასრულებს ევროპის საბჭოს წინაშე არებულ ვალდებულებას, ე.წ. „თურქი-მესხების“ სრუ-ლი რეპატრიაციის საკითხზე, უარს არ აცხადებს, თუმცა კონკრეტუ-ლი ვადების დაზუსტება დეპორტირებული მოსახლეობის რეპატრია-ციისა უცნობია.<sup>1</sup>

„ვარდების რევოლუციის“ შემდგომ განვითარებულმა მოვლენებ-მა მრავალი ინსტიტუციონალური ცვლილება შემოგვთავაზა, კონსტი-ტუციური ცვლილებების ჩათვლით. მოცემული ცვლილებები შეეხო ეთნიკური უმცირესობების საკითხის ინსტიტუციონალურ რეგულაცი-ასაც. ეთნიკური უმცირესობების საკითხმა გაცილებით საპატიო ადგი-ლი დაიკავა პოლიტიკურ დღის წესრიგში. ეს განპირობებული იყო რო-გორც შიდა პოლიტიკური მოთხოვნილებებით, ისე საერთაშორისო ვალდებულებებით.

2003 წლის შემდეგ რამდენიმე სტრუქტურა შეიქმნა, რომელთაც ევალებოდათ ეთნიკურ უმცირესობათა საკითხების გაძლიერა. 2004 წლის შემდეგ, მოცემულ პოლიტიკაზე პასუხისმგებელი იყო სახელმწი-

<sup>1</sup> Minority issues mainstreaming in South Caucasus: a practical guide. Tbilisi, 2011.  
pp.120-125  
[http://www.ecmi.de/uploads/tx\\_lfpubdb/Minority\\_Issues\\_South\\_Caucasus\\_fulltext.pdf](http://www.ecmi.de/uploads/tx_lfpubdb/Minority_Issues_South_Caucasus_fulltext.pdf)

ფო მინისტრის აპარატი სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში, მაგრამ 2008 წლის სამთავრობო ცვლილებების შესაბამისად, პასუხისმგებლობა რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს დაეკისრა. ამავე დროს, 2005 წელს, შეიქმნა შემწყნარებლობის და სამოქალაქო ინტეგრაციის საბჭო, რომელთან ერთადაც პრეზიდენტის მრჩეველმა სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში დაიწყო მოცემულ პოლიტიკაზე მუშაობა. მათი მეშვეობით შეიქმნა შემწყნარებლობის და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია, რომელიც მთავრობამ 2009 წლის 8 მაისს დაამტკიცა. 2006 წლიდან ძალაში შევიდა ეროვნული უმცირესობების დაცვის ჩარჩო კონვენცია და საქართველომ აიღო ვალდებულება შეუერთდეს რეგიონული და უმცირესობების ენების ევროპის ქარტიას.<sup>1</sup> პრეზიდენტთან არსებულ შემწყნარებლობის და სამოქალაქო ინტეგრაციის საბჭოს დაეგალა სახელმწიფო კონცეფციის და პოლიტიკის შემუშავება უმცირესობებთან დაკავშირებით. საბჭომ მიიღო „შემწყნარებლობის და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია და სამოქმედო გეგმა“<sup>2</sup>.

ამჟამად, ეთნიკური უმცირესობების და სამაქალაქო ინტერგაციის საკითხს რამდენიმე უწყება უძღვება. ეს კომპეტენცია რამდენიმე სახელმწიფო უწყების კომპეტენციაშია გაბნეული და ცენტრალიზებული ხასიათი არ გააჩნია. მოცემულ უწყებებს კოორდინაციას შერიგების და სამოქალაქო თანასწორობის სამინისტრო უწევს, მაგრამ მის ხელში არაა თავმოყრილი საკითხის ყველა კომპეტენცია.

საკანონმდებლო სტრუქტურებიდან მოცემულ საკითხებს პირდაპირ უძღვება ადამიანის უფლებების დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტი. დანარჩენი რამდენიმე კომიტეტი არაპირდაპირ არიან დაკავშირებულნი ეთნიკური უმცირესობების და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებს. მოცემულ სტრუქტურებს ემატებათ სახალხო დამცველის ოფისთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭო, რომელიც უფრო უფლებრივი დაცვის თვალსაზრისით აწარმოებს საქმიანობას.<sup>3</sup>

<sup>1</sup> გიორგი სორდია, ეროვნულ უმცირესობათა მართვის ინსტიტუტები საქართველოში, მიმოხილვა; ECMI – სამუშაო მოხსენება 43, სექტემბერი 2009, [www.ecmigeorgia.org](http://www.ecmigeorgia.org)

<sup>2</sup> შემწყნარებლობის და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ / [www.diversity.ge](http://www.diversity.ge)

<sup>3</sup> იქვე.

მოცემული სახელწიფო ორგანოების უფლებამოსილებები ხშირად აღრეულია ერთმანეთში. საერთაშორისო თანამეგობრობის წარმომადგენლები ითხოვენ შეიქმნას ცალკე დაწესებულება, რომელიც სპეციალურად იმუშავებს რასიზმის და შეუწყნარებლობის საკითხებზე და აღჭურვილი იქნება ყველანაირი რესურსებით. მიუხედავად ამგვარი მოთხოვნისა, ასეთი სტრუქტურა ჯერჯერობით არ არსებობს.<sup>1</sup>

## დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას შემდეგი. ევროპის კავშირთან დაახლოების პოლიტიკა არ გულისხმობს საქართველოს მიმართ რაიმე რეგულატორული ფუნქციების პირდაპირ გააქტიურებას ევროპის კავშირის მხრიდან, მას არ გააჩნია არც შესაბამისი ნორმატიული და არც პირდაპირი რეგულატორული ფუნქციები და მიზნები. სამაგიეროდ, ევროპულ ინსტიტუციებთან დაახლოებითი ურთიერთობები მკაცრად ეფუძნება ადამიანის ფუნდამენტური უფლებების პატივისცემას და, შესაბამისად, ყველა იმ დოკუმენტაციის პატივისცემას და შესრულებას, რომელსაც კი საქართველოა მიერთებული. იმის გამო, რომ როგორც წესი, ცალკე არსებული რეგულაციები არ არსებობს, რომელიც კი ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების საკითხებს ეხება, ეს არ ნიშნავს საკითხის უგულებელყოფას და იგი მკაცრადაა დამორჩილებული ადამიანის უფლებების საკითხებს. ეს ხაზგასმულია ევროპის კავშირთან ასოციერების ხელშეკრულების შეთანხმებაშიც. ამიტომაც, საქართველოს მოუწვევს სამომავლოდ მეტი ყურადღების გამახვილება აღნიშნულ საკითხებზე და, შესაბამასად, მის მიმართ მოთხოვნებიც გაცილებით გაიზრდება, ვიდრე ეს აქამდე იყო. აქვე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ საქართველო ევროპის საბჭოს სრულუფლებიანი წევრია და მის წინაშე დგას მთელი რიგი ვალდებულებებისა, რომელიც ადამიანის უფლებების საკითხებს და, ჩვენ შემთხვევაში, უმცირესობების პრობლემებს ეხება. მართლია ევროპის საბჭო ევროპის კავშირის გარეთ არსებული ინსტიტუციაა, მაგრამ ასოციერების ხელშეკრულება არაპირდაპირ მოახდენს აღებული ვალდებულებების შესრულების აქტუალიზაციას, რასაც ქართული სახელმწიფო ინსტიტუციების

<sup>1</sup> ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის ანალიზი ბტკპ-პოლიტიკის კვლევის ჯგუფი, ეთნიკური უმცირესობების პროგრამა, თბილისი 2008, [www.btkk.ge](http://www.btkk.ge)

წარმომადგენლებიც ადასტურებენ, რომლებიც ჩართულნი არიან ევ-  
როპულ ინსტიტუციებთან ურთიერთობებში, რომელიც კი ეთნიკური  
უმცირესობების და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებს ეხებათ.<sup>1</sup>  
ამიტომაც, შესაძლოა ვითიქროთ, რომ სამოქალაქო ინტერგაცია არა  
მხოლოდ ქართული სახელმწიფოს უფლება და საჭიროებაა, არამედ ეს  
მისი საერთაშორისო ვალდებულებაცაა გარკვეულწილად.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. გიორგი სორდია, ეროვნულ უმცირესობათა მართვის ინსტიტუტი-  
ბი საქართველოში, მიმოხილვა; ECMI – სამუშაო მოხსენება 43,  
სექტემბერი 2009, [www.ecmigeorgia.org](http://www.ecmigeorgia.org)
2. ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტი-  
კის ანალიზი, ბტკე-პოლიტიკის კვლევის ჯგუფი, ეთნიკური უმცი-  
რესობების პროგრამა, თბილისი 2008, [www.btkk.ge](http://www.btkk.ge)
3. ტარიელ ფუტკარაძე, „ენის ქარტია და თანამედროვე საქართვე-  
ლოს ენობრივი სიტუაცია“ <http://www.putkaradze.ge/cigni%20dasrublebuli/links/2.3.2.htm>
4. Daniel Smihula / *Definition of national minorities in International law* /  
Oct. 2009, Volume 6, No. 5 (serial No. 48), Journal of US-China Adminis-  
tration, ISSN 1548-6591, USA, pp. 45.
5. Hans. *The Idea of Nationalism: A Study of Its Origins and Background*.  
First ed. New York: The Macmillan Company, 1944.
6. Minority issues mainstreaming in South Caucasus: a practical guide. Tbi-  
lisi, 2011. pp.8. [http://www.ecmi.de/uploads/tx\\_lfpubdb/Minority\\_Is-  
sues\\_South\\_Caucasus\\_fulltext.pdf](http://www.ecmi.de/uploads/tx_lfpubdb/Minority_Is-<br/>sues_South_Caucasus_fulltext.pdf)
7. Judi Toth / Kin Minority, Kin-state and Neighbourhood policy in the En-  
raged Europe, pp.73-74. [https://src-h.slav.hokudai.ac.jp/coe21/pub-  
lish/no9\\_ses/05\\_toth.pdf](https://src-h.slav.hokudai.ac.jp/coe21/pub-<br/>lish/no9_ses/05_toth.pdf)
8. John Rex and Gurhpal Singh / Multiculturalism and Political Integration in  
Modern-Nation-States – Thematic Introduction / Journal on Multicultural  
Societies (IJMS), Vo. 5, No. 1, 2003:3-19 ISSN 1817-4574, [www.iunes-  
co.org/shs/ijms](http://www.iunes-<br/>co.org/shs/ijms), pp.3-4

<sup>1</sup> ინტერვიუ თინა ლოდელიანთან, სამოქალაქო ინტეგრაციის სამსართველოს  
უფროსი, შერიგების და სამოქალაქო თანასწორობის სამინისტრო, 10/06/14.

## წყაროები

9. ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს მორის [/http://mfa.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=30&info\\_id=17011](http://mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=30&info_id=17011)
10. შემწყნარებლობის და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ [www.diversity.ge](http://www.diversity.ge)
11. ინტერვიუ თინა ღოლელიანთან, სამოქალაქო ინტეგრაციის სამართველოს უფროსი, შერიგების და სამოქალაქო თანასწორობის სამინისტრო, 10/06/14.
12. <http://civil.ge/geo/article.php?id=28505>
13. <http://civil.ge/geo/article.php?id=28143>
14. <http://civil.ge/geo/article.php?id=28408>

**Zviad Abashidze**

Assistant Professor

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

### **Ethnic minorities in Georgia in the context of European politics/Policy**

#### **Resume**

Georgia has traditionally been a multi-religious and multi-ethnic society. Consequently, there has always been, at least on the public level, the problem of peaceful coexistence between different segments of society within one political space.

Despite the fact that Georgia has achieved some success in building a democratic state, democratic institutions are still weak in the country. Having weak democratic institutions makes it very difficult to transform diverse religious and ethnic groups into one civil unit. Absence of trust towards political institutions on the one hand, and weakness of these institutions on the other

hand, determines mutual alienation and isolationism of different segments of society.

Since 1996, Georgia has started to strengthen the relationships with EU. Gradually, such relationships have become closer and vibrant. One of the key ideas of such relationships, along with security issues of wider Europe, is to promote the democratic state-building in order to approach Georgia with European general standards.

In 2003-2004 the EC proposed a new foreign policy for the EU - the „European Neighbourhood Policy“ - with the objective of avoiding the emergence of new dividing lines between the enlarged EU and its neighbours and strengthening instead the prosperity, stability and security of all concerned. The inclusion of Georgia in the European Neighbourhood Policy on 14 June 2004 marked a significant step forward in EU – Georgian relations. The principal idea of such policy is to build ties in new areas of cooperation and encourage and support Georgia’s objective of further integration into European economic and social structures.

In spring 2009, the EU launched the Eastern Partnership with the objective of supporting political and socio-economic reforms in Georgia, as well as Armenia, Azerbaijan, Belarus, Moldova and Ukraine. The Partnership represents a specific Eastern dimension within the European Neighbourhood Policy. Along with other ideas, the principal aim of Partnership is to promote democracy and good governance. The result of such policies will be the Associational Agreement signature in June of 2014.

In sum, EU’s similar approaches have significant influence on current and future fate of Georgian transitional democratic Policy. In successful democracy-building and democratic consolidation process the role of ethnic minorities and successful civic integration is invaluable, especially in such an ethnically weakly consolidated country as Georgia.

**მელორ ალფენიძე**  
პროფესორი  
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**შავი ზღვის ნაპირების დარაიონება  
მორფოდინამიკური ნიშნების მიხედვით**  
(აფხაზეთის მაგალითზე)

ზღვებისა და ოკეანეების სანაპიროების რეგიონული კვლევის აუ-  
ცილებელ ეტაპს გეომორფოლოგიური დარაიონება წარმოადგენს,  
რომლის საფუძველზე შესაძლებელია ნაპირების რელიეფის იერ-სა-  
ხის, აგებულების, სტრუქტურული ნიშნების, სივრცობრივი და დროი-  
თი განვითარების ლოგიკური აღქმა, ასევე რიგი პრაქტიკული მნიშვნე-  
ლობის ამოცანების – რესურსების გონივრული ათვისების, ზღვისპი-  
რეთის ტერიტორიული ორგანიზაციისა და ნაპირდაცვის სწორი პოლი-  
ტიკის გატარება.

საკითხის ისტორიის განხილვის გარეშე დატოვების მიუხედავად  
აღსანიშნავია, რომ საქართველოსა და კავკასიის რეგიონების დარაიო-  
ნების შესახებ გასული საუკუნის მონოგრაფიებში სრულად ვერაა ასა-  
ხული ნაპირთა მორფოლოგიის ასპექტები, სანაპირო ზონის მორფო-  
დინამიკური ნიშნები, განსაკუთრებით კი ანთროპოგენური ზემოქმე-  
დებებით გამოწვეული ნეგატიური ცვლილებები, ნაპირდაცვითი ლო-  
ნისძიებების რეალური შედეგები, განვითარების ტენდენციები და  
პროგნოზის საკითხები.

სანაპიროების კლასიფიკაციისა და რეგიონული დიფერენციაციის  
მეცნიერული პრინციპების ჩამოყალიბება მე-20 საუკუნის მკვლევარ-  
თა ფართო განსჯის საგანს წარმოადგენდა. ნაპირების შესახებ მეცნი-  
ერული დარგის საფუძვლების (Зенкович, 1946, 1962) ფორმირების გა-  
რიშრაჟზე მითითებული იყო, რომ ნაპირების შესახებ კლასიფიკაციამ  
უნდა მოიცვას რელიეფის ყოველი ტიპი და სახესხვაობა, ასახოს გენე-  
ტიკური ნიშნები და კავშირები, არეკლოს ნაპირის თანამედროვე მორ-

ფოდინამიკა. ამ ჩამონათვალის შემდგომმა (Леонтьев, 1961) გამდიდრებამ (რელიეფურმომქმნელი ფაქტორების – ტალღებისა და მდინარეების ურთიერთმოქმედება), ნაპირების თვისობრივი და რაოდენობრივი დიფერენციაციის შესახებ სრული წარმოდგენა ვერ მოგვცა. ამასთან, ნაპირების დინამიკური კლასიფიკაციის (Зенкович, 1954) საკმაოდ ღირსეულ ნაშრომში წარმოდგენილი სქემა (Леонтьев, 1961) გეომორფოლოგიურ კვლევებში გამოყენებისა და კარტოგრაფირების თვალსაზრისით უაღრესად რთული და, ამავე დროს, საკმაოდ მოუქნელია.

ამ სქემის მიხედვით, ნაპირების დიფერენციაციაში სამი ტაქსონომიური ერთეული (სანაპირო ოლქი, რაიონები და უბნები) ფიგურირებს:

ოლქი – შეესაბამება მსხვილ ტექტონიკურ სტრუქტურებს, რომლებიც განსაზღვრავენ ნაპირების განვითარების გამომწვევ უმთავრეს პირობებს – წიაღის აღნაგობას, მეოთხეულ ვერტიკალურ მოძრაობას, ტერიგენული მასალის ხასიათს;

რაიონი – მისი გამოყოფა ეყრდნობა ნაპირის მახასიათებელი ტიპების შეხამებას, აბრაზიისა და აკუმულაციის გავრცელებას, ჰიდრომეტეოროლოგიურ რეჟიმს, კლიფების აგებულებას, ნატანის შემოსვლის პირობებს, არატალლური ფაქტორების მოქმედებას, რომლებიც განაპირობებენ თანამედროვე დინამიკასა და განვითარებას;

უბანი – ნაპირის მცირე მონაკვეთების გამოყოფა შეესაბამება ამათუ იმ პროცესის ინტენსიურობის (Ионин, 1959) კონკრეტულ განსხვავებულობას.

სანაპიროების დარაიონების სქემები მოკლებულია მთელ რიგ დეტალურობას. ასე, შემოთავაზებულ (Зенкович, 1958) დარაიონებაში მხოლოდ სამი ტაქსონომიური კატეგორიაა (ოლქები, რაიონები და უბნები) გათვალისწინებული. გეომორფოლოგიური დარაიონების ვ. ზენკოვიჩის სქემის მიხედვით (Общая характеристика..., 1977) საკვლევი ზღვისპირეთი შავი ზღვის აღმოსავლური (კავკასიური) ოლქის ფარგლებშია. ის საკუთრივ აფხაზეთსა და კოლხეთს მოიცავს. პირველი მათგანი ფსოუ-მზიმთის საერთო დელტიდან მდ. გუმისთის შესართავამდე (102 კმ) ვრცელდება მეორე – მდ. მდ. გუმისთისა და ენგურის შესართავებს შორისაა (103 კმ) მოქცეული.

პირველ მათგანში, აღნიშნულის გარდა, მსგავსი დელტური შვერილები წარმოქმნილია ბზიფისა (ბიჭვინთის კონცხი) და გუმისთის (სოხუმის კონცხის) დელტების სახით. კონცხებს შორის კი შტორმი ანგრევს გაგრის ქედის ძირითად ქანებს, მიუსერის მაღლობის (ბზიფის

ძველი დელტა) კონგლომერატებს, მესამეული ასაკის ფხვიერ (ახალი ათონი – ეშერა) ნალექებს. მეორე – კოლხეთის რაიონის ჩრდილო ნაწილის ნაპირზე – სოხუმის კონცხის სამხრეთ-აღმოსავლეთით საკმაოდ მოზრდილი კოდორის დელტაზე ისკურის კონცხია ფორმირებული. სანაპიროს ამ მონაკვეთსა და, მის სამხრეთ-აღმოსავლეთით – მდ. ენგურის შესართავამდე ზღვის ტალღები მეოთხეული ასაკის ტერასების ნაფენებს რეცხავს.

აფხაზეთის შავი ზღვისპირა ზოლის ფორმირებაში მთავარი როლი ალუვიური მასალის გამოტანასა და დალექვას ეკუთვნის. აქვე, მეოთხული წყალქვეშა ტერასები, ძველი დელტები და შელფის პერიფერია ალუვიონითაა გადაფარული. წყალქვეშა ვიწრო ფერდობის გაღუნვის ხაზზე ფსკერის დახრილობა  $20-35^{\circ}$  აღწევს, ხოლო 100 მ სიღრმიდან შედარებით დამრეცია.

დელტების ფორმირება ალუვიონის ნაპირისგასწვრივი ნაკადის ტევადობაზე გადამეტებას უკავშირდებოდა. ტალღების მიერ ნატანის ტრანსპორტირება დელტური სამკუთხედების ფორმირებას იწვევს. ტიპურია ბიჭვინთის კონცხი, რომლის ჩრდილო მონაკვეთზე ტალღური ტოლქმედი ( $\varphi=85-95^{\circ}$ ) ნორმალის მიმართულებისაა. ცხადია, რომ აქ პლაჟის ნატანი მდ. ბზიფის შესართავისაკენ საქმაოდ ნელა, ხოლო სამხრეთით – სწრაფად (200 მ/სთ) გადაადგილდება (Зенкович и др., 1962). დელტის ფარგლებში, უმთავრესად, კენჭნარი დომინირებს, ხოლო მის დასავლურ ნაწილსა და კონცხის შემორკალვის მონაკვეთზე – ქვიშის ფრაქციის ზრდას აქვს ადგილი.

ანალოგიური აგებულებისაა გუმისთის დელტის (სოხუმის კონცხი) პლაჟიც. აქ, შედარებით წვრილმარცვლიანი ნატანი ჭარბობს. კოდორის დელტის (ისკურის კონცხი) პლაჟის მასალა, ბზიფისა და გუმისთის დელტებისაგან განსხვავებით, წვრილი ფრაქციით (უმთავრესად ხრეში და მსხვილი ქვიშა) ხასიათდება.

ლესელიძე-განთიადის მიდამოები გაშლილ ვაკეზეა, ხოლო გაგრის ნაპირსა და მიუსერის მიდამოებში ცარცული და იურული ნალექებით აგებული მაღალი კლიფი აქტიურ აბრაზიას განიცდის. მთისწინეთების ზღვისპირა ზოლში, მაიკოპის წყების თიხების გაშიშვლებებზე, აქტიურმა აბრაზიამ და ანთროპოგენურმა დატვირთვებმა (საავტომობილო და რკინიგზების გაყვანა), ახალი ათონისა და ეშერის მეწყრები (Зарва, 1957) განავითარეს. მეწყრებია ასევე ამბარის, გუდაუთის, პეტროპავლოვსკის ზღვისპირა უბნებზე.

კოლხეთის რამდენადმე ნაზი ფორმის ნაპირი ქვიშიანი პლაჟის ზოლითაა შემორკალული. კენჭნარი ნაპირისგასწვრივი ნაკადები მდ. ენგურის შესართავამდე აღწევენ. პატარა მდინარეთა შესართავები, როგორც წესი, სამხრეთ-აღმოსავლეთითაა გადახრილი. ეს მოვლენა ამ მდინარეთა წყლების სუსტი ნაკადების მიერ პლაჟის მასალის დაგროვებათა გარღვევის შეუძლებლობითაა გამოწვეული. იშვიათად, წყლის ნაკადების მიერ ქვიშის ბარიერების გარღვევასა და ზღვაში შეჭრას აქვს ადგილი.

ჭაბურლილების მასალებით (Руммель, 1900; Балабанов и др., 1981; Алпениძე, 1998) დადგენილია, რომ მდინარეების მზიმთა-ფსოუს, ბზიფის, გუმისთის, კოდორის მიერ ფორმირებული დელტების სხეულებში ზღვის აკვატორიისაგან ბარიერული ცელებით იზოლირებული ლაგუნების გავრცელება ფიქსირდება.

აფხაზეთის შავი ზღვისპირეთის მთელ პერიმეტრზე, ვიურმული გამყინვარების შემდგომი დროის, ზღვის დონის აწევის ჰოლოცენური, ისტორიული და თანამედროვე ტენდენციის პირობებში, ზღვის ნაპირების „ბუნებრივი (შეფარდებითი) წონასწორობა“ ნაპირების უმნიშვნელო უკან დახევითა და პლაჟის ზოლების მცირე წარეცხვებით ხასიათდებოდა. ამასობაში, განსაკუთრებით კი, გასულ საუკუნესა და მიმდინარე წლებში, ზღვის დონის აწევისა და მდინარეთა ჩამონადენის შემცირების ტენდენციის პირობებში, ნაპირების დეგრადაციამ შეუქცევადი ხასიათი მიიღო.

ბუნებრივ გარემოზე ადამიანის სამეურნეო დატვირთვებისა (ჰესების აგება, ნავსადგურების მშენებლობა, ინერტული მასალის გაზიდვა) და გლობალური კლიმატური ცვლილებების ფონზე, ანთროპოგენური ზემოქმედებებისა და ტექნოგენური დატვირთვების გამო, სახეზეა ნაპირების აქტიური დეგრადაცია, პლაჟების წარეცხვები, მიმდებარე სატრანსპორტო თუ სამრეწველო ინდუსტრიისა და საკურორტო ტურისტული ინფრასტრუქტურის ძირეული განადგურება.

შტორმული შეტევის შენელებისა და პლაჟების წარეცხვის შეჩერების მიზნით ეკონომიკურად არაეფექტური და სოციალურად გაუმართლებელი ნაპირდაცვის „ბეტონური პოლიტიკის“ გატარებამ სავალალო შედეგები მოგვცა: ბეტონის ნაგებობათა (ბუნა, ტალღასამსხვრევა) მიერ ნაპირისგასწვრივი ნაკადების ხელოვნური განყვეტის გამო, „ქვედა გარეცხვების“ განვითრების პირობებში, პლაჟის წარეცხვის ერთიორად გაზრდა; ტალღამრიდი კედლების ძირის გამორეცხვისა და პლა-

ჟების წარეცხვის გააქტიურება; ნაპირსამაგრი ნაგებობის ნგრევა და სანაპირო ზოლის დეგრადაცია; აბრაზიულ ნაპირებზე მეწყრული პროცესების გააქტიურება; ნაპირების ესთეტიკური იერ-სახისა და ატ-რაქციულობის მოშლა; ზღვისპირა საკურორტო-ტურისტული და სამ-რენველო ინდუსტრიის, სატრანსპორტო ქსელისა და სოციალური ინ-დუსტრიის, ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლების განადგურების საშიშროება.

ნაპირდაცვის არაგონივრული წარმართვის განსაკუთრებული ნე-გატიური შედეგი ერთიანი ბუნებრივი ლითოდინამიკური სისტემების დარღვევაში გამოვლინდა.

როგორც ჩანს, სანაპიროზე ჩამოყალიბებული ერთიანი ნაპირის-გასწვრივი ნაკადების მიერ შექმნილი მორფოდინამიკური სისტემები გაწყვეტილი აღმოჩნდნენ და ნაპირსამაგრი ნაგებობების მიერ ხელოვ-ნურად შექმნილ სივრცობრივ დანაწევრებას დაექვემდებარნენ. აქე-დან გამომდინარე, ნაპირების ხელოვნურად შექმნილი უბნები მორფო-დინამიკური ნიშნებით ერთმანეთისაგან განსხვავებული აღმოჩ-ნდნენ. ამდენად, ანთროპოგენური გზით შეცვლილი დინამიკური სის-ტემების შესაბამისი ნაპირები მოკლე უბნებად დანაწილდნენ.

ამჟამად მიღებული ნაპირების სისტემური დარაიონების მიხედ-ვით (Кикнадзе, 1970; 1977) საკვლევი ზღვისპირეთი 7 დამოუკიდებელ დინამიკურ სისტემად იყოფა. თითოეულ მათგანში პლაჟების ფორმი-რება მდინარეთა მყარი ნატანი მასალის მიერ ხორციელდება, ხოლო მათ შორის საზღვრები მახასიათებელი პეტროგრაფიული ტიპების (Кикнадзе, 1977) გავრცელების მიხედვით დგინდება; 1. მზიმთა-ფსოუს დელტიდან მდ. ბზიფამდე – 45 კმ; 2. მდ. ბზიფიდან ბიჭვინთის ყურემ-დე – 12 კმ; 3. ბიჭვინთის ყურედან მდ. ჰიფსთამდე – 15 კმ; 4. მდ. ჰიფ-სთიდან მდ. გუმისთამდე – 38 კმ; 5. მდ. გუმისთიდან მდ. ბესლეთამდე – 10 კმ; 6. მდ. ბესლეთიდან მდ. კოდორომდე – 25 კმ; 7. მდ. კოდორი-დან მდ. ენგურამდე – 67 კმ.

პლაჟის ნატანსა და მის ძირითად კვების წყაროს შორის კავშირე-ბის, ასევე, სანაპირო ზონაში ფორმირებული აკუმულაციის სტადიის მიხედვით აღნიშნული დინამიკური სისტემები ქვესისტემებადაა „და-ნაწევრებული“. უნდა ვივარაუდოთ, რომ რელიეფის აკუმულაციური ფორმების სიმწიფის სტადიაში, კვების ხასიათის მიხედვით, სანაპირო-ზე მხოლოდ სამი ქვესისტემა (1. მზიმთა – ფსოუ – ბიჭვინთა – მიუსე-

რა; 2. მიუსერა – გუმისთა – კელასური – კოდორი; 3. კოდორი – ენგუ-რი) ფიგურირებდა.

აღნიშნული სქემა სანაპირო დინამიკური სისტემების გამოყოფის გენეტურ, პალეოგეოგრაფიულ და პეტროგრაფიულ პრინციპებს შეე-საბამება. სანაპირო სისტემები ერთმანეთისაგან, უპირველეს ყოვლი-სა, განსხვავდებიან ძირითადი ნაპირის აგებულებით, ნაპირისგას-წვრივი ნაკადების რეზიმითა და ნატანის ბიუჯეტით. მათი გამოყოფა ნაპირების ურთიერთმოქმედებების ანალიზის საშუალებას იძლევა. ასე, მაგალითად, სოხუმის ყურეში პლაჟის წარეცხვა სხვა არაფერია, თუ არა რელიეფის აკუმულაციური ფორმის დეგრადაცია. შესაბამი-სად, აღნიშნული წარეცხვები თვით დინამიკურ ქვესისტემებში მიმდი-ნარე ცვლილებებითაა შეპირობებული, რაც სოხუმის კონცხის დისტა-ლურ ნაწილზე ახალ-ახალი ზვინულების მიერთებით, შელფის ღრმა ნიშ-ნულამდე გასვლითა და ყურეში ნატანის დეფიციტითაა გამოწვეული.

ამგვარად, აღნიშნულ დინამიკურ სისტემებში ნაპირების უახლესი განვითარება, უხვი ალუვიური მასალის შემოტანის პირობებში, მნიშ-ვნელოვანი ცვლილებებით ხასიათდებოდა და სანაპირო ზონაში შექ-მნილ დღევანდელ მდგომარეობას სავსებით არ შეესაბამება.

სანაპიროების ამჟამად მიღებული გეომორფოლოგიური დარაიო-ნების პრინციპის (Ионин и др., 1964) მიხედვით, საკვლევი ნაპირების გაერთიანება შესაძლებელია მსხვილ გეომორფოლოგიურ ერთეულში – **ოლქები**, რომელსაც შედარებით იზოლირებული ტექტონიკური სტრუქტურა შეესაბამება და განსაზღვრულია ნაპირების განვითარე-ბის გამომწვევი უმთავრესი პირობებით – გეოლოგიური აღნაგობით, მეოთხეულის ვერტიკალური მოძრაობებითა და ნატანის შემოსვლის ხასიათით.

აღნიშნული ოლქები შეიძლება დაიყოს შედარებით მარტივ ერთე-ულად – **რაიონებად**, რელიეფის ფორმათა მხოლოდ მისთვის დამახა-სიათებელი მუდმივი შეხამება-კომბინაციით. ამ ტაქსონომიური ერთე-ულის ფარგლებში რელიეფის წყალქვეშა და წყალზედა ფორმები ერ-თიან და მთლიან კომპლექსურ წარმონაქმნად განიხილება, რაც რელი-ეფის ფორმებსა და მათი განვითარების თავისებურებათა შორის გენე-ტურ დამოკიდებულებაში აისახება. უფრო მცირე, ვიდრე რაიონი, ტაქ-სონომიური ერთეული – სანაპირო ქვერაიონს წარმოადგენს. ეს შედა-რებით მარტივი ნაპირი განსხვავებული აგებულებით, საკუთარი თანა-მედროვე დინამიკითა და განვითარების ფაზით ხასიათდება. მეზობელ

ქვერაიონებს შორის აშკარა დინამიკური კავშირები შეინიშნება, რომლის გამო ისინი შესაბამის მორფოდინამიკურ სისტემაში ერთიანდებიან.

ამავე დროს, სანაპიროების ათვისების, აბრაზიისა და წარეცხვი-საგან ნაპირების დაცვის მიზნით, ჰიდროტექნიკური ნაგებობების (ნავსადგურების მოლები, ბუნის სერიები, ტალღასამსხვრევები, კედ-ლები, შპორები) მშენებლობამ ნაპირების მცირე ზომის მონაკვეთებად დაყოფა გამოიწვია, რომლებსაც ქვერაიონების შიდა სანაპირო **უბნები** შეესაბამება. ეს უკანასკნელი, ერთმანეთისაგან მორფოლოგიური ნიშნებით განსხვავდებიან, ხოლო მათი სიგრძე რამდენიმე კილომეტ-რის ფარგლებშია.

აფხაზეთის შავი ზღვისპირა ზოლის (205 კმ) ნაპირების ბუნებრივი ფაქტორებით ჩამოყალიბებული დინამიკური სისტემების თანამედროვე პირობებში რღვევისა და სივრცობრივი დიფერენციაციის ამსახვე-ლი სქემის შემუშავების მიზნით ჩატარებული კვლევის საფუძველზე მიღებული შედეგი (ცხრილი №1) გვიჩვენებს, რომ რეგიონის ზღვისპი-რა ზოლში გეოლოგიურ-გეოტექტონიკური, ასევე, ტერიგენული მასა-ლის ხასიათის მიხედვით ორი მსხვილი გეომორფოლოგიური ოლქი (კავკასიისა და კოლხეთის) გამოიყოფა. პირველი მათგანი მდ. მზიმთა-ფსოუს გაერთიანებული აკუმულაციური კონცხიდან მდ. გუმისთის დელტამდე (110 კმ) ვრცელდება, მეორე – კოლხეთის ოლქის ჩრდილო-დასავლური ნაწილი (სამხრეთ-აღმოსავლეთი პერიმეტრი სცილდება საკვლევი სანაპიროს ფარგლებს და კურ. ქობულეთამდე ვრცელდება) მდინარეების გუმისთისა და ენგურის შესართავებს შორისაა (103 კმ) მოქცეული.

კავკასიის ოლქის შემადგენლობაში 4 რაიონი (დინამიკური სისტე-მა), 14 ქვერაიონი და 45 უბანი, ხოლო კოლხეთის ოლქში 3 რაიონი (დი-ნამიკური სისტემა), 9 ქვერაიონი და 28 უბანი ფიქსირდება. თითოული მათგანის დეტალური აღწერა ავტორს მიზანშენონილად არ მიაჩნია.

ცხრილში მოტანილი სურათი ნაპირების თანამედროვე მდგომა-რებას ასახავს. მათი ბუნებრივი რეჟიმის მორფოლოგიურ ხასიათს დინამიკური სისტემები (კიკნაძე, 1977) ასახავენ. ჰიფსთა-გუმისთის (გუდაუთის) დინამიკურ (რაიონი, D) სისტემაში (უმეტესად, ბომბორის რეიდი და გუდაუთის ყურეს ქვერაიონები) ფსკერის მასალა (ალე-ნიდзе, 1985) და მდინარეთა ალუვიონი ყველგან გვხვდება. ქვედა წა-რეცხვებმა ადრე ფორმირებული და გასული საუკუნის 50-იან წლებში ფიქსირებული (Зенкович, 1956), ერთიანი და მთლიანი ნაპირისგას-

წვრივი ნაკადის უწინდელი სანაპირო ნალექების გაქრობა და ნაპირის ნგრევა, ჯერ კიდევ, ვერ შეძლეს.

მდ. გუმისთისა და ეშერის მეწყრებს შორის მონაკვეთი (ეშერის ქვერაიონი) გუდაუთის დინამიკური სისტემის (რაიონის) ნაპირის ნატანის აკუმულაციის ბოლო მონაკვეთს წარმოადგენს. მის ფარგლებში, ყველაზე მეტი ხარისხით, ჩანს ძველი ნაპირისგასწვრივი ნაკადის პეტროგრაფიული სპექტრის მემკვიდრეობა. ამჟამად აქ ნაპირი ირეცხება და გუდაუთის ყურედან ტრანსპორტირებული კენჭნარი მასალა თანდათანობით ქრება.

მდ. გუმისთის შესართავის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაპირის განვითარება გუმისთის ალუვიონის შემოსვლისაგან ნაწილობრივი იზოლაციის ქვეშ იმყოფება, რამაც გუმისთა-სოხუმის ქვერაიონის ნაპირებზე ახალი ცვლილებები გამოიწვია. მდ. გუმისთის ნატანის ნაპირისგასწვრივი ნაკადის ნაწილობრივი შეწყვეტა და სოხუმის ნაპირის ნგრევა ქვერაიონის შიდა მორფოდინამიკური ცვლილებებითაა გამოწვეული. ამასთან დაკავშირებით, ნინანდელი ნატანის ნაპირისგასწვრივი ნაკადის გაწყვეტის მიუხედავად, გუმისთა-ბესლეთის შესართავებს შორის სანაპიროს როგორც უწინ, ისე ამჟამად გუმისთის დინამიკურ სისტემაში გაერთიანება ეკუთვნის. ამ რაიონის სისტემური ერთიანობა, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 40-იან წლებში გამოჩნდა, როცა 1942 წელს, სოხუმის ყურეში სამხედრო გემების ჩაძირვამ (ალპენიძე, 1978; 1985) ნაპირის ადგილობრივი ცვლილებები (სოხუმის სანაპიროს 60-70მ-ით უკან დახევა, ხოლო ჩაძირული გემების წინ – 125 მ-ით გაფართოება) გამოიწვია.

### ცხრილი 1

#### აფხაზეთის შავი ზღვის ნაპირების მორფოდინამიკური დარაიონება

ოლქი	რაიონი (დინამიკური სისტემა), ქვერაიონი	უბნები
<b>A. ჩრდილო-დასავლეთი. (მდ. ფსოუ-მდ. ბზიფი) – 35 კმ</b>		
1. მზიმთა-ხაშუფსე. 6,0 კმ	A. 1. a. ლესელიძის; A. 1. b. განთიადის	
2. ხაშუფსე-ხოლოდ-ნაია რეჩა. 3,5 კმ	A. 2. a. განთიადი 2;	
3. ცივწყალა-თხემი. 4,5 კმ	A. 2. a.3. a. ცივწყალას შესართავისპირა; A. 3. b. ანაპომსთის;	
4. თხემი-უოეკვარა. 5,0 კმ	A. 4. a. თხემის ბუნის სერიის ნაპირი; A. 4. b.ბუნის სერიის ნაპირი – რეპრუა; A. 4. c. რე-პრუას აქტიური გამაგრების; A. 4. d. რეპრუას აქტიური გამაგრება – მდ. უოეკვარის;	
5. უოეკვარა-ბზიფი. 16,0 კმ	A. 5. a. უოეკვარას შესართავის შვერილის; A. 5. b. უოეკვარას შესართავის შვერილი – ბუნის სერია; A. 5. c. ბუნის სერია; A. 5. d. ბუნის სერია – მდ. ბზიფი	
<b>B. დასავლეთი (მდ. ბზიფი-ბიჭვინთის ყურე) – 11 კმ</b>		
6. ბზიფი-ბიჭვინთის კონც- ხი. 7,0 კმ	B. 6. a. მდ. ბზიფის დელტის ნაპირი; B. 6. b. მდ. ბზიფის დელტა-კონცხი ინკითი; B. 6. c. კონცხი ინკითის მომრგვალება; B. 6. d. ინკი- თის ყურე; B. 6. e. ინკითის ყურე-ბიჭვინთის კონცხი	
7. ბიჭვინთის კონცხი- ბიჭვინთის ყურე. 4,0 კმ	B. 7. a. ბიჭვინთის კონცხის მომრგვალება; B. 7. b. ბიჭვინთის ყურეს მომრგვალება-ბი- ჭვინთის ყურე	
<b>C. ბიჭვინთა-პიფსთის – 17 კმ</b>		
8. ლიძავა-მიუსერა. 10,0 კმ	C. 8. a. ლიძავის; C. 8. b. ლიძავა-მიუსერას ბორცვები; C. 8.c. მიუსერის ბორცვების აპ- რაზიული ნაპირი; C. 8.d. მიუსერა-კონცხი ტოლსტი	
9. მიუსერა-ამბარა-პიფს- თა. 7,0 კმ	C. 9. a. კონცხი ტოლსტის მომრგვალება; C. 9. b. ამბარის მეწყრული ნაპირი; C. 9. c. ამბარის მეწყრები – მდ. მჭიშთა; C. 9. d. მჭიშთა – პიფსთის	

შავი ზღვის აღმოსავლეთი (კავკასიის) სანაკიონის 102 გ

D. პიფსთა-გუმისთის (გუდაუთის) 39 კმ	
10. ბომბორის რეილი. 5,0 კმ	D. 10. a. მდ. პიფსთის შესართავის; D. 10. b. კონცხის სერა-ბაბა; D. 10. c. სოუკ-სუს კონცხის მომრგვალება
11. გუდაუთის ყურე. 10,0 კმ	D. 11. a. სოუკ-სუს აღმოსავლეთი ნაპირი; D. 11. b. გუდაუთის ბუნის სერიის ნაპირი; D. 11. c. ბუნის სერია-ააფსთის
12. ააფსთა-არსაული. 8,0 კმ	D. 12. a. ააფსთის შესართავი; D. 12. b. პეტროპავლოვსკის მეწყრული; D. 12. c. არსაულის;
13. ახალი ათონის. 6,0 კმ	D. 13. a. ფსირცხის; D. 13. b. ფსირცხა-ბუნის სერიის; D. 13. c. ახალი ათონის მეწყრული I; D. 13. d. ახალი ათონის მეწყრული II;
14. ეშერის. 10,0 კმ	D. 14. a. ეშერის III მეწყრული; D. 14. b. ეშერის II მეწყრული; D. 14. c. ეშერის I მეწყრული; D. 14. d. ეშერა-გუმისთის
E. გუმისთის. 10 კმ	
15. გუმისთა-სოხუმის. 3,0 კმ	E. 15. a. გუმისთის შესართავის; E. 15. b. შუქურის; E. 15. c. სოხუმის კონცხის მომრგვალების
16. სოხუმი-ბესლეთის (სოხუმის ყურე. 7,0 კმ	E. 16. a. სოხუმის კონცხის აღმ. ნაპირი; E. 16. b. ჩაძირული გემების; E. 16. c. სოხუმის ბუნის სერიის; E. 16. d. ბესლეთის;
F. კელასურის. 24,0 კმ	
17. კელასურის. 17,0 კმ	F. 17. a. კელასურის; F. 17. b. კელასური-მაჭარის; F. 17. c. მაჭარა-ბაბუშერის.
18. ვარჩის. 7,0 კმ	F. 18. a. ბაბუშერის; F. 18. b. ვარჩის
G. კოდორის. 69 კმ	
19. კოდორის დელტა - მოქვა. 25,0 კმ	G. 19. a. კოდორის დელტის ნაპირი; G. 19. b. კინდლის; G. 19. c. ჭაშა-თოუმუშის; G. 19. d. დღამიშ-მოქვის; G. 19. e. მოქვის
20. ოჩამჩირის. 14,0 კმ	G. 20. a. ოჩამჩირის პორტი-ბუნის სერიის; G. 20. b. ბუნის სერიის; G. 20. c. ღალიძგის
21. გუდავის. 6,0 კმ	G. 21. a. გუდავის; G. 21. b. ოქუმის; G. 21. c. სარინი არხის
22. ბოლაზის. 8,0 კმ	G. 22. a. მარაჭის; G. 22. b. ბულაზი-გაგიდის
23. გაგიდა-განმუხურის. 16,0 კმ	G. 23. a. გაგიდა-ფიჩორის; G. 23. b. განმუხურის; G. 23. c. ენგურის დელტის

კოლექტურის მუნიციპალიტეტი (103 კმ)

სოხუმის ყურეს აღმოსავლეთ ფრთაზე ქვიშიანი პლაჟის კვება ხორციელდება მდ. კელასურის ნატანის მიერ. აქ ამ მდინარის მხოლოდ წვრილი ფრაქცია შემოდის, ხოლო კენჭნარი მასალა საწინააღმდეგო (ნატანის დიფუზია) მხარეს (აღფენიძე და სხვ., 2011) მიემართება. ეს ფაქტი გვაიძულებს, რომ ბესლეთი-კელასურის ნაპირის მონაკვეთი განვათავსოთ კელასურის დინამიკურ სისტემაში (რაიონში). მდ. კელასურის შესართავიდან კოდორის დელტამდე დინამიკური სისტემის ბეტონის ნაგებობებით გაწყვეტას ადგილი არა აქვს. თუმცა ნაპირის რელიეფის ფორმების მახასიათებელი ნიშნებისა და თანამედროვე პროცესების მსვლელობის მიხედვით აქ ოთხი უბანი გამოიყო.

კოდორის დინამიკური სისტემის (კოდორი-ენგური) ნატანის ნაპირისგასწვრივი ნაკადი (69 კმ) მხოლოდ ოჩამჩირის მისადგომებთანაა გაწყვეტილი, თუმცა ნატანის ნაპირისგასწვრივი ერთიანი ნაკადის ნარჩენები (20 ათასი მ<sup>3</sup>/წწ) ენგურის დელტამდე ამჟამადაც (Зенкович, 1976) აღწევს. ნატანის ნაპირისგასწვრივი ნაკადის არა ბეტონის კონსტრუქციის ნაგებობით, არამედ წყლის ნაკადის მიერ გაწყვეტის მაგალითს მდ. ერისწყლის კალაპოტში გაყვანილი ენგური-ჰესის სარინი არხის წყლის ნაკადი წარმოადგენს. მისი „შესართავის“ მარჯვენა უბანზე განიერი (80-110 მ) პლაჟია, ხოლო მოპირდაპირე ნაპირის უკან დახევა (12-15 მ/წწ) ფიქსირდება. ამ მოვლენას (Зенкович, 1987) არხის წყლის ნაკადის „მოლური ეფექტი“ იწვევს და ნაპირისგასწვრივი ნაკადის დისკრეტულობაც სახეზეა. კოდორის რაიონის ფარგლებში, ნაპირის რელიეფის ფორმების დღევანდელი ცვლილებების შესაბამისად, 13 უბნის გამოყოფა გახდა შესაძლებელი.

ამრიგად, სანაპიროების განვითარების ბუნებრივი რეჟიმის პირობებში ჩამოყალიბებული დინამიკური სისტემები (რაიონები), დროთა განმავლობაში, გეომორფოლოგიური (აკუმულაციური კონცების ან დელტების შელფის კიდეზე გასვლა, ზღვის დონის აწევის ტენდენცია, ალუვიური მასალის შემცირება) ან ტექნოგენური (პორტის მოლის, ბუნის სერიის, ტალღასამსხვრევების აგება) ფაქტორების მიერ, გასული საუკუნის შუა წლებში, რამდენადმე გაწყვეტილი, დანაწევრებული და მცირე ზომის მონაკვეთებად დაყოფილი აღმოჩნდენ. ერთიანი სანაპირო ზონის დინამიკური სისტემების სივრცობრივი დიფერენციაციის ხელშემწყობ ფაქტორთა შორის აღმოჩნდენ მდინარეთა ნაკადების ხელოვნური (ჰეს-ების აგება) დარეგულირება, ინერტული მასალის დამუშავება და გაზიდვა.

აღნიშნული ფაქტორების მიერ გამოწვეული ცვლილებების მაგალითად მხოლოდ რამდენიმეს მოვიტანთ: ძველ გაგრაში ნავსადგურის მოლის აგების გამო, ნაპირის 6-7 კმ-ის პერიმეტრზე, „ქვედა გარეცხვების“ ეფექტის შენელებას ბუნის სერიის მშენებლობა და წარეცხვის ახალი მონაკვეთების გაჩენა მოჰყვა; გაგრის ყურეს დასავლეთით, სოფ. გრებეშოკის მიდამოებში, რკინიგზის ხაზის ზღვისპირა კონტურის დაცვის მიზნით, ბუნის სერიის მიერ (32 ბუნა და 3 ტალ-ლსამსხვრევი) ნატანის ნაპირისგასწვრივი ნაკადი გაწყვეტილი აღმოჩნდა. მოგვიანებით, ბუნის სერია ნატანი მასალით (30 ათასი მ<sup>3</sup>/წწ) შეივსო (Пешков, 1987), ხოლო „ქვედა წარეცხვები“ 5-6 კმ-ის მანძილზე დაფიქსირდა; ანალოგიური მოვლენა ფიქსირდება გაგრის, გუდაუთის, ახალი ათონის, ოჩამჩირის მიდამოებში. რკინა-ბეტონის ბუნის სერიისა და ფასონური კონსტრუქციების (ტეტრაპოდები, დიპოდები), ასევე ტალღსამსხვრევების მეშვეობით აპრაზის ლოკალური ხასიათის შეჩერებას შესამჩნევი ქვედა წარეცხვები მოსდევდა.

ამგვარად, აფხაზეთის შავი ზღვის ნაპირების ბუნებრივი რეჟიმის პირობებში განვითარებული მორფოლოგიური ნიშნებისა და ანთროპოგენური ზემოქმედებების შედეგად მიღებული თანამედროვე მდგომარეობა მორფოდინამიკურ ტაქსონომიურ ერთეულებში (ოლქი, დინამიკური სისტემა (რაიონი), ქვერაიონი, უბანი) აისახა. მათი შედარებიდან აშკარა ნაპირების სივრცობრივი დიფერენციაცია და ერთიანი – მთლიანი დინამიკური სისტემების მოკლე ნაწილებად დაყოფა.

ნაპირები, დანაწევრებულია რა დამოუკიდებელ და მოკლე, პლაზის მასალას მეტ-ნაკლებად მოკლებულ უბნებად, ნატანის უმნიშვნელო, კენჭნარ-ქვიშიანი მონაკვეთების მონაცვლეობით ხასიათდება. პლაზის ზოლების გარეშე დარჩენილი ნაპირები ქვედა გარეცხვების უბნებს შეესაბამება, ხოლო მეზობელი უბნიდან ნატანი მასალის შემოსვლის სრული არარსებობის შემთხვევაში მკაფიოდ ჩანს მასალის ნივთიერი შედგენილობის აშკარა არაერთგვაროვნება.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ალფენიძე მ., ლომთათიძე ზ. შავი ზღვა: აბიოტური და ბიოტური პროცესების დინამიკა. აბიოტური ფაქტორები. ნაწილი პირველი. აფხ. მეცნ. ეროვნული აკადემია, თბილისი, 2011.

2. Алпенидзе М.Д. О новейших изменениях береговой линии Сухумского района. Сообщ. АН ГССР, 1978, т. 90, № 2, с. 397-399.
3. Алпенидзе М.Д. Особенности развития морского берега Сухумского района. Геоморфология, 1983, № 3, с. 56-61.
4. Алпенидзе М.Д. Донное питание вдольберегового потока наносов. Геоморфология, № 2, М., 1985.
5. Алпенидзе М.Д. Морфология и динамика берегов Черного моря средней части Абхазии. Автореф. дисс... канд. географ. наук, Сухуми, 1987. -15 с
6. Алпенидзе М.Д. Развитие дельты р. Гумисты в голоцене. (на Грузинском языке). В сборнике «Сообщения Сухумского филиала ТГУ», т.1, изд. ТГУ, Тбилиси, 1998.
7. Ионин А.С. Берега Берингова моря. Изд-во АН СССР, М., 1959.
8. Ионин А.С., Каплин П.А., Медведев В.С. Типы берегов и робережий Мирового океана, их классификация и районирование. В сб.: Теоретические вопросы динамики морских берегов, М., Наука, 1964, с. 19-32.
9. Кикнадзе А.Г. Применение литологического метода к исследованиям динамики береговой зоны (на примере Черноморского побережья Кавказа). Дис..кгн. МГУ, 1970. – 17 с.
10. Кикнадзе А.Г. Динамические системы и бюджет наносов вдоль Черноморских берегов Грузии. В сб.: Человек и окружающая среда, Сухуми, Алашара, 1977, с. 59-67.
11. Пешков А.М. Искусственные галечные пляжи в морской берегозащите. АН СССР. Комиссия по проблемам Мирового океана. М., Наука, 1987. с. 165-171.
12. Зарва А. В. Оползны с подводной зоной размыва. ВНИИ транспортного строительства, сообщ. № 86, М., Транспортиздат, 1957. – 47 с.
13. Зенкович В.П. Динамика и морфология морских берегов. часть I, волновые процессы. Морской транспорт. М-Л-д., 1946 – 496 с.
14. Зенкович В.П. Динамическая классификация морских берегов. Тр. Ин-та океанологии АН СССР. 1954, сб. 36.
15. Зенкович В.П. Потоки наносов вдоль советских берегов Черного моря. Тр. Гос. ин-та по проектир. моских портов и судоремонтных предприятий, №3. М.: Морской транспорт, 1956, с. 3-44.

16. Зенкович В.П. Берега Черного и Азовского морей. Географиз.1958.  
– 370 с.
17. Зенкович В.П. Основы учения о развитии морских берегов. Наука,  
М., 1962. – 810 с.
18. Зенкович В.П. Ожидание изменения морского берега на севере  
Колхиды. Сообщ. АН ГССР 83, №3, 1976
19. Зенкович В. П. Исследования береговой зоны Черного моря в  
пределах Грузии. В сб.: Природные основы берегозащиты. //под.  
ред. В.П. Зенковича, Е.И. Игнатова, С.А. Лукянова. М.: Наука, 1987.  
45-51.
20. Зенкович В.П., Ионин А.С. О движении галечного материала в  
береговой зоне. Океанология, 1962, № 5.
21. Леонтьев О.К. Основы геоморфологии морских берегов. МГУ, М.,  
1961. 419 с. Л
22. Общая характеристика и история развития рельефа кавказа. // под.  
ред. Н.В. Думитрашко и др., Наука, М., 1977.288 с.

**Melor Alpenidze**

Professor

Sokhumi State University

**Black Sea coast zoning according to Morpho-dynamic features  
(on the example of Abkhazia)**

**Resume**

**To be considered:** Issues regarding the development of a picture (scheme) of spatial separation of dynamic systems (regions) along with anthropological changes of Black Sea (Abkhazia) coastal zone.

**Results:** on the basis of spatial study of the uniform coastal Dynamic Systems, partition scheme of the coastal Morpho-dynamic Taxonomic units is received, among them: 2 – districts, 7 – Dynamic Systems (regions), 23 – subregions, 73 – areas.

**Nikoloz Beruchashvili\***, PhD Student

**Neli Jamaspashvili\***, Dr. Geography

**Levan Beruchashvili\***, PhD Student

\*Ivane Javakhishvili Tbilisi State University

## **Protecting Virgin Landscapes: A Georgian Perspective**

### **ABSTRACT**

In Europe, humans have intensely transformed virgin landscapes. If we survey the history of land development in Europe, we discover that over the past few centuries virtually all the European forests - from Norway to Bulgaria, and Spain to the Northern Urals - have been felled, consistently and repeatedly. About 2000 years ago virgin landscapes covered 80% of Europe. These landscapes were further destroyed in the 20th century. Now they make up no more than 1% of all of Europe. By the beginning of the 21st century, virgin landscapes were preserved only in a few geographical locations, including Europe's northeast, the Caucasus, and Georgia (N.N.Beruchasvili, in "Biological and Landscapes Diversity of Georgia", 2000).

Whit Gibbons, an environmental professor, has defined virgin forests as: The original meaning is simple, from the word meaning "chaste," representing a forest that has never been timbered and in which the dominant, old-growth tree species have reached their maximum ages. The International Union of Forest Research Organizations extends this view to include young growth: There seems to be general agreement that not every virgin or primeval forest is of great age; that young stands may be of virgin or primeval character although they are not old growth. These would be stands that have regenerated after natural disturbances and have not been subjected to human disturbances.

Virgin landscapes are unique natural complexes that, among other things:

- regulate climate; for example, they store large amounts of carbon dioxide that would otherwise contribute to greenhouse gases
- maintain water cycles and freshwater resources

- ensure the survival of unique and endangered species
- protect one-of-a-kind mountain meadows, marsh tracts and other ecosystems within their territory
- prevent soil erosion and flooding of streams
- provide ecological refuges for indigenous knowledge

Why protect Georgia's virgin landscapes?

- The virgin landscapes of Georgia are especially valuable because of their rich biodiversity and uniqueness. They are the fundamental natural wealth of the country.
- Forests cover about 38%, of which a small percentage is virgin. The ecosystems are diverse, ranging from sub-alpine to flood-plain forests.

However, human activity is beginning to destroy these landscapes. A great number of projects, have been planned or carried out recently. These include:

- the transport corridor "Europe-Caucasus-Asia"
- new oil pipelines
- a government forestry development project that wants to escalate logging, which may eventually destroy most of Georgia's forests
- economic development projects such as agriculture and tourism in Georgia

All these projects have, to a certain extent, environmental issues and concerns that must be resolved. The entire area potential virgin landscapes of Georgia amounts to 7,024 square km., or 10% of Georgia's territory (N.N.Beruchashvili, 2000). Georgia has one of the last tracts of virgin European mountain forests. These forests are not only of scientific interest, but they are also an important resource. They are home to a high level of biodiversity. Combine this with the rich cultural-historical heritage of this ancient country, and you have the makings of a place that is beautiful in its environment and in its society.


**Key words:** potential, virgin landscapes, mountain, forests.

## INTRODUCTION

Landscapes of Europe are intensely transformed by man. If 2000 years ago virgin landscapes, untouched by human activity, had covered 80 percent of Europe's territory, towards the end of the 19<sup>th</sup> century their area had been reduced to 10-15 percent. These landscapes were destroyed with particular

intensity in the 20th century. Their areas decreased by more than 10 times and now they make up no more than one percent of all of Europe. By the beginning of the 21<sup>st</sup> century virgin landscapes were preserved only in Europe's northeast, the Russian Federation's Republics of Komi and Karelia, and in the Arkhangelsk and Perm regions [12], [11]. Another estimable tract of virgin landscapes is found in the Caucasus, particularly on the territory of Georgia (Fig.1).

*Fig.1. Disappearing Natural Landscapes in Europe*



Georgia is a small country and it is not rich in mineral resources. It does not have large deposits of oil, or deposits of strategically important metals. But Georgia does possess significant natural resources, which consist of the country's biological and landscape diversity. Virgin landscapes of Georgia are the fundamental natural wealth of our country. Their sustainable development and conscientious use can produce significant economic benefit. The fun-

damental problems of geography and ecology of Georgia is Identifying and Mapping Virgin Landscapes. This problem is important not only for Georgia, but for all of Europe, as it is in our country that the last tracts of virgin European mountain forests are preserved. Several concrete tasks arise from this problem.

They are: Developing the methodology of identifying virgin Landscapes; Mapping of potential Virgin Landscapes of Georgia; Verification the Map of potential virgin landscapes; Analyses the Map of potential virgin landscapes [5].

*Virgin landscapes* are unique natural complexes that represent the natural areas least affected by human economic activity. These landscapes ensure the survival of the most vulnerable plant and animal species. Here, forests, one-of-a-kind mountain meadows, marsh tracts and other ecosystems are preserved in their virgin state. These landscapes are uninhabited by humans and unmarked by roads or highways, and thus serve as the most reliable reservoirs of clean air.

A landscape is understood as a natural complex that is formed under the conditions of a homogenous geological basis, in a single type of dominating relief (for example, alpine ancient glacial, flat-country accumulative, etc.) and homogenous climate (humid subtropical, moderate dry, etc.). In these conditions the combination of vegetation and soil characteristic to the landscape is formed. It is of great significance that a landscape is a result of the successive joining of smaller natural complexes – the facies. They are closely interconnected and dependent on one another in creating the framework of the landscape. The area of landscapes in mountainous countries ranges from a few square kilometers to dozens upon dozens of square kilometers. Landscapes are transformed to some extent by man. The extent of man's effect depends on the amount of the area of the landscape that is occupied by cultivated land, cities and villages, as well as industrial and hydro-technical constructions, roads and other units. The anthropological influence on a landscape can be defined as follows [3], [4], [1]:

1. Virtually unchanged landscapes – less than 5 percent of the landscape has been changed as the result of human activity;
2. Slightly changed – 5-20 percent;
3. Moderately changed – 20-50 percent;
4. Considerably changed – 50-80 percent;
5. Greatly changed – 80-95 percent;
6. Almost entirely changed – 95-100 percent.

Virgin landscapes constitute special “zero” groups [5]. Their areas are altogether unmarked by evidence of human activity. For extended periods of time these sites have remained untouched by human habitations, cultivated parcels, roads, or industrial units. These landscapes cannot be used for intensive

tourism. If visitors attend these landscapes it is very seldom and their presence does not result in any changes in the landscapes. Thus, a virgin landscape is a rather large territory of more than a number of square kilometers, which possesses the entirely preserved framework of its natural complexes, and is virtually untouched by immediate human activity.

## MATERIALS and METHODS

Methodic of landscape research is represented in different scientific research works. They are Beruchashvili, Zjuchkova, 1997) [3], monograph “Geosisteme at Paysages”[4].

Towards compiling a plan of unknown virgin landscapes of Georgia a **special methodology** has been developed [5], [6]. The essence of this approach lies in the **detailed analysis of topographic maps**. Topographic maps with the scale of 1:50,000 were used to define the outlines of possible virgin landscapes in Georgia. In defining these borders we were guided by the following principles: 1.On the territory of virgin landscapes there must not be a single settlement of either a permanent or temporary population (sheds, winter-shelters, or any structure that could be used as temporary lodgings). 2.The distance from a virgin landscape to the nearest permanent settlement must be no less than 2 km. and access to the virgin landscape must be limited by natural obstacles – rocky or very steep slopes, deep ravines or canyons, forests with Colchian evergreens and their nearly impassable undergrowth, etc. 3.The distance from the site of a temporary population, a nomads' camp, for example, must be no less than 0.5 km. and, as previously mentioned, access must be limited by natural obstacles. 4.The territory of a virgin landscape must not be crossed by a single motorway, road or footpath. The distance from the nearest path must not be less than 0.2-0.5 km, and natural obstacles must limit access from the path to the virgin landscape. 5.When selecting possible virgin forests in alpine and winter pasture regions used for livestock grazing, great attention was paid to the relief. Only very steep slopes (above 35-400) rocks, glaciers and territories with an elevation above 2800-3000 were qualified as virgin landscapes. 6.A great importance was attached to the general evaluation of phisico-geographical situations and to the ethnographic employment traditions of the territories. For instance, the Svans, Khevsuretians and other mountain people exploit alpine territories more intensively than the Abkhazians or Kakhetians. Because of this,

one must employ stricter criteria than in Kakheti or Guria while selecting possible territories of virgin landscapes. 7. Finally, by definition, a virgin landscape must be a landscape and not a facies. It must be a complete natural structure, and not a tract fragmented into separate parts. In principle, separate virgin forests can occur in the immediate surroundings of Tbilisi. However large territories of virgin landscapes are not found in the surroundings of large cities. As previously mentioned, virgin landscapes within Georgia cover areas of more than a few square meters. Thus, the criterion has been established that the area of a virgin landscape must be no less than 1000 hectares (10 sq.km.). It is also admirable that there are virgin territories with smaller areas, but only a field expedition could reveal them. This is why the criteria of 10 sq. km. for all of Georgia has been accepted.

## RESULTS

The Selection of a Virgin Landscape on a Topographic Map scaled 1:50 000. This landscape was selected on the southern slopes of the Kakheti Caucasus, in the Kwareli region. The territory includes the gorge of the river Baskintela. While compiling the map of potential virgin landscapes of Georgia, 220 sheets of topographic maps (1:50,000) were analyzed. It was hard and labor-consuming work. Of 220 sheets of maps scaled at 1:50,000, possible virgin landscapes were found on 80 sheets.

As a result of GIS analyses a map has been compiled showing the distribution of virgin forests over Mkhare and over the landscapes of Georgia. Most of the area in Samegrelo and Upper Svaneti is covered by virgin landscapes. This area exceeds 25 percent of the entire area of the region. In all provinces of west Georgia, as well as in Mtskheta-Mtianeti and Kakheti, indices are above average. Relatively low indices are found in the districts of central Georgia – Kvemo, Shida Kartli, and Samtskhe-Javakheti. The basic scientific result of our work is a compiled map of potential virgin landscapes of the Oni district. If the map verification results of Oni are to be considered satisfactory, its precision should be accurate to 80-90 percent. This allows the possibility of conducting GIS analyses of the map, as well as some scientific generalizations. The entire area of potential virgin landscapes of Georgia amounts to 7,024 square km., or 10 percent of Georgia's territory. Of these areas: Marshes are

presented by 5 areas and 162 square km.; Virgin forests – by 187 areas, 4015 sq.km.; Alpine landscapes – 88 areas, 2828 sq.km.


Virgin landscapes spread show that they are part of the Greater Caucasus Range, the west part of the Lesser Caucasus Range (Adjarian – Imeretian range) and most of the Kolkhian lowlands. There are an especially significant number of virgin landscapes situated on the “triangle” of Greater and Lesser Caucasus ranges, facing the Black Sea – the Gagrian, Bzibian, Egrisian, and Ajara-Imeretian ranges. Along with the complex and inaccessible relief, quite a warm and humid climate is observed in this region. This climate is favorable for the formation of the impenetrable Colkhian mountainous forest and evergreen undergrowth. Quite a few virgin landscapes are found on the Kakhetian Caucasus as a solid wall.

The steep slopes of the Greater Caucasus range are juxtaposed over the fertile Alazani Valley. These slopes are impermeable and rarely visited by the local population; this factor creates favorable conditions for preserving the region's virgin forests. It is notable that in regions populated by mountain-dwellers (Svaneti, Racha, Khevsureti, Khevi and Tusheti) virgin forests are comparatively rare. This is conditioned by the fact that mountain-dwellers have been accustomed since ancient times to their landscapes' style of life and have historically made use of virtually all kinds of territories for hay mowing, pastures and land-cultivation. In addition, they intensively use forest resources. This is the reason that the virgin forests are scarce there. Yet large areas of alpine virgin landscapes free from any traces of human impact are preserved on steep, rocky slopes, often covered with glaciers.

In the eastern part of the Lesser Caucasus, on the Trialeti range, the number of virgin landscapes are few. The range is distinguished by a great number of raised, leveled surfaces. The region's relatively dry and warm climate, along with its gentle slopes, is favorable for land cultivating. Virgin landscapes are virtually not found on the plateau of Akhalkalaki and Dmanisi and the whole in between - the mountainous lowlands of Georgia, from Samegrelo to Kakheti and Kvemo-Kartli. Virgin landscapes are primarily spread in mountainous and especially alpine landscapes. These data are provided in table and chart format (Fig. 2). Glacial landscapes almost completely belong to the virgin category. A high percentage of virgin landscapes are found in alpine meadows, Kolkhian mountainous and mid-mountainous beech-coniferous landscapes. Virgin landscapes are virtually absent in east Georgia's (Kakhetian) temperate-humid

landscapes and in the mountainous steppe landscapes of Javakheti and Samtskhe. Virgin landscapes are found in the reserves of plateau and foothill steppe landscapes.

**Figure 2**



## CONCLUSIONS

At the conclusion of our work, it should be noted once more that we have compiled the preliminary mapping of the spread of virgin landscapes. In order to compile a final map, it is necessary to carry out field research expeditions. The most important task of geography and ecology in Georgia is to describe and create a GIS system and plan further activities towards to conservation of virgin landscapes. It should be remembered that virgin landscapes of Georgia are not only of scientific interest, but are also an important resource of our country. Virgin landscapes are the important resources for developing the “extreme tourism”. Why Georgia and not tropical woods of southern America, desert of Africa or taiga of Siberia and Canada? Because here are favorable natural conditions – there are no extremely high or low temperatures, high humidity,

mosquitoes, poisonous snakes or the danger of catching the topical fever. In contrast with these countries, Georgia possesses high level of landscape diversity and on a small territory, extraordinary diversity of natural landscapes are found; finally, here natural landscapes are combined with rich cultural-historical heritage of this small but ancient country. Through the rational use of this resource, recreation and tourism, for example, the virgin landscapes of Georgia can be of great economic benefit to our country.

## References

1. Beruchashvili N.L., Chauke M., Sanchez-Crispin A. Geographical perspectives on Sustainable Development. Rome. Moscow, Beijing, 2004 (CD in English, Spanish, Chinese language) 64 p.
2. Beruchashvili N.L. The Caucasus: Landscapes, Models, Experiments - UNEP, GRID Arendal, WORLD BANK, Tbilisi, Ed. Tbil.St.Univ., 1995, 314 p. (in Russian, English).
3. Beruchashvili N.L., Zjuchkova V.K. Methods for complex physical-geographical investigation: The Manuel. – Moscow University Press, 1997. - 320p. (in Russian).
4. Rougerie G., Beruchashvili N.L. Geosystems et Paysages. Bilan et Methodes", Paris, Armand Colin, 1991, 302 p.
5. Beruchashvili N.N. Potential Virgin Landscapes of Georgia. Book «Biological and Landscape Diversity», WWF-WB, 2000, Tbilisi, pp.211-226.
6. Beruchashvili N.N. Use Remote Sensing for Study of Virgin Landscapes, in Abstract Book of 53<sup>rd</sup> IAF Congress, European Student Outreach Programme, October 10-19, 2002 – Houston, Texas, USA, p.161.
7. Beruchashvili N.N. Use Remote Sensing for Study Behavior of Landscapes in Time and Methodology of Creation of Cartographical Animation Films Based on GIS, in Abstract Book of 55<sup>th</sup> IAF Congress, Student Participation Programme, October 4-8, 2004 – Vancouver, Canada, p.32.
8. Jamaspashvili N., Maisuradze R., Seperteladze,Z., Beruchashvili N.N., Inashvili N., Khardziani T. Book: Georgia Landscape Map and Geographic Information System. Shota Rustaveli National Science Foundation, TSU, Tbilisi, 2012, 488 p.

9. Georgia: Conservation of Forests and Sustainable Use, (WWF edition, 1999).
10. Global Biodiversity Assessment, V.H. Heywood & R.T. Watson (Eds.), Cambridge University Press, 1995, 1037 p.
11. Rodenburg E, Tunstall D, van Bolhuis F., Environmental Indicators for Global Cooperation, Washington, World Bank, UNEP, 1996, 40 p.
12. Valuing the Global Environment: Action and Investments for a 21<sup>st</sup> Century, Global Environment Facility, Washington, 1998, 162 p.

### **ნიკოლოზ ბერუჩაშვილი**

დოქტორანტი, თსუ

### **ნელი ჯამასპაშვილი**

გეოგრაფიის აკად. დოქტორი, თსუ

### **ლევან ბერუჩაშვილი**

დოქტორანტი, თსუ

## **ხელუხლებელი ლანდშაფტების დაცვა: საქართველოს პერსპექტივა**

### **რეზიუმე**

ლანდშაფტები ამა თუ იმ ხარისხით გარდაქმნილი არიან ადამიანის მიერ. იმასთან დაკავშირებით, თუ რა ფართობი უჭირავს ლანდშაფტის ფარგლებში სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს, ქალაქებსა და სოფლებს, სამრეწველო და ჰიდროტექნიკურ ნაგებობებს, გზებს და სხვა. ობიექტებს, რომელიც შექმნილია ადამიანის საქმიანობით, გამოყოფენ:

1. პრაქტიკულად უცვლელი ლანდშაფტი – სამეურნეო საქმიანობის შედეგად შეცვლილია ლანდშაფტის ფართობის 5%-ზე ნაკლები.
2. სუსტად შეცვლილი – 5-20%
3. ზომიერად შეცვლილი – 20-50%
4. მნიშვნელოვნად შეცვლილი – 50-80%
5. ძლიერ შეცვლილი – 80-95%

6. პრაქტიკულად მთლიანად შეცვლილი – 95-100%.

ხელუხლებელი ლანდშაფტები შეადგენენ განსაკუთრებულ „ნულოვან“ ჯგუფს. მატ ტერიტორიაზე საერთოდ არ არის ადამიანის ზემოქმედების კვალი. აქ არასდროს (ან ძალიან დიდი დროის განმავლობაში) არ ყოფილა დასახლება, გზა, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები და, მითუმეტეს სამრეწველო ობიექტები. ეს ლანდშაფტები არ შეიძლება წარმოადგენდეს ინტენსიური ტურიზმის ობიექტს. თუ მათ ხალხი მაინც ეწვევა, ისიც ძალიან იშვიათად და ამ წვევის შედეგად, არავითარი ცვლილება ლანდშაფტში არ ხდება.

ევროპის ლანდშაფტები ინტენსიურად გარდაიქმნება ადამიანის მიერ. თუ 2 ათასი წლის წინ ხელუხლებელი, პრაქტიკულად ადამიანის მიერ ხელშეუხებელ ლანდშაფტებს ეკავა ევროპის ტერიტორიის 80%, XIX საუკუნის ბოლოს კი მათი ფართობი შემცირდა 10-15%-მდე. განსაკუთრებით ინტენსიურად ნადგურდებოდა ეს ლანდშაფტები XX სკ-ში. მათი ფართობი შემცირდა 10-ჯერ უფრო მეტად და დღევანდელ დღეს შეადგენს ევროპის არა უმეტეს 1 %-ისა. თუ გადავხედავთ მიწათსარგებლობის ისტორიას ევროპაში, აღმოჩნდება, რომ ბოლო საუკუნეში პრაქტიკულად ყველა ტყე ნორვეგიდან ბულგარეთამდე და ესპანეთიდან დასავლეთ ურალამდე იჩეხებოდა და ამასთან არაერთხელ. ასეთსავე ძლიერ ანთროპოგენურ ზემოქმედებას ექვემდებარება ევროპის სხვა ლანდშაფტებიც - მშრალი ხმელთაშუაზღვიური ლანდშაფტებიდან დაწყებული სკანდინავიისა და კოლის ნახევარკუნძულების ტუნდრის ლანდშაფტებამდე.

XXI სკ-ნის დასაწყისიდან ხელუხლებელი ლანდშაფტები შემოინახა მხოლოდ ევროპის ჩრდილო აღმოსავლეთში, რუსეთის ფედერაციაში, კერძოდ კომის და კარელიის რესპუბლიკებში, არხანგელსკის და პერმის ოლქებში. სხვა მსხვილ ხელუხლებელი ლანდშაფტების ძვირფას მასივს წარმოადგენს კავკასია და განსაკუთრებით საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში.

დღესდღეობით ხელუხლებელი ლანდშაფტები უმოწყალოდ ნადგურდება ტყის ჭრის პროცესში, ახალი სატრანსპორტო მაგისტრალებისა და სამრეწველო დაწესებულებების მშენებლობისას, მთის მდელოების და ზამთრის საძოვრების გადაჭარბებული ძოვებისაგან. ოდესაც ნაყოფიერი მიწები გადაიქცნენ „ბედლენდებად“ – უნაყოფო ეროდირებული ფერდობები და კლდეები, მოკლებული ნიადაგ-მცენარეულ საფარს.

საქართველო პატარა ქვეყანაა, რომელიც არ არის მდიდარი სა-სარგებლო წიაღისეულით. ჩვენ არ გვაქვს არც ნავთობის მსხვილი სა-ბადო, არც სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მეტალების ბუდობი. თუმ-ცა, საქართველოს გააჩნია მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსი, რო-მელიც ვლინდება მის ბიოლოგიურ და ლანდშაფტურ მრავალფეროვ-ნებაში. განსაკუთრებულ ფასეულობას წარმოადგენს საქართველოს ხელუხლებელი ლანდშაფტები. ჩვენი ხელუხლებელი ლანდშაფტები – ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ძირითადი ბუნებრივი სიმდიდრეა. მათმა რა-ციონალურმა გამოყენებამ შეიძლება მოგვიტანოს მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებლობა.

**მარინა ბურძენიძე**  
ასისტენტი პროფესორი, თსუ  
**თეონა მატარაძე**  
ასისტენტი პროფესორი, თსუ

**დანაშაულის, პატიმრებისა და მათი სოციალური  
სტატუსის აღქმა თბილისის მოსახლეობის მიერ**

ნებისმიერი საზოგადოებაში გვხვდება დანაშაული, ისევე როგორც ყველა სოციალურ ორგანიზაციას აქვს დანაშაულის სოციალური კონტროლის მექანიზმი. კარლ პარტერის მიხედვით, სამართლებრივი სისტემა შეიქმნა „არაცივილიზებული“ და „ძალადობრივი“ საზოგადოების კონტროლის მიზნით (Harter, 1999). სოციალური კონტროლი ფორმალური და არაფორმალური სახისაა, მიუხედავად იმისა, რომ ფორმალური სოციალური კონტროლის მექანიზმი ათასწლეულებს ითვლის და მისი ფორმების დახვენა ხანგრძლივად მიმდინარეობდა, ამ მექანიზმა საბოლოო სახის მიღება ტერიტორიული ერთეულების მიხედვით ფორმირებული ერი-სახელმწიფოების ფარგლებში დაიწყო. თუკი სოციალური კონტროლი განისაზღვრება როგორც დევიანტურ და დანაშაულებრივ ქმედებაზე რეაქცია, სოციალური დისციპლინა ემსახურება სოციალური განწყობებისა და ქცევის ფორმების ავტორიტარულ წესებთან მოყვანის შესაძლებლობას. ამიტომაც როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური სოციალური კონტროლი სოციალიზაციას უნდა ემსახურებოდეს. თავდაპირველად, იძულებით დაწესებული ნორმების ინტერნალიზაცია უნდა მოხდეს რამაც საზოგადოების წევრთა თვითდისციპლინირებას უნდა შეუწყოს ხელი (Harter, 1999). შესაბამისად, სამართლებრივი სისტემის მთავარი მიზანი არის დანაშაულის აღკვეთა და დამნაშავეთა დასჯა, თუმცა ამ სისტემის მიზანი ასევე ნორმების ინტერნალიზაციისათვის ხელშეწყობა, დამნაშავეთა გამოსწორება და დანაშაულის პრევენციაა. ამას გარდა, სამართლებრივი სისტემა უნდა ეფუძნებოდეს კანონის უზენაესობას, რომე-

ლიც მხოლოდ კანონის ძალით და მის ფარგლებში აღასრულებს სასა-  
მართლოს განაჩენს.

2012 წლის სექტემბერში სასჯელალსრულების სისტემაში მსჯავ-  
რდებულების წამების ამსახველი ვიდეო მასალების გასაჯაროებამ სა-  
ქართველოს მოსახლეობის ფართო მასების აღშფოთება გამოიწვია,  
რასაც მოჰყვა დემონსტრაციები და, ფაქტობრივად, საპარლამენტო  
არჩევნების ბეჭი გადაწყვიტა. საპარლამენტო არჩევნების შემდგომ კი  
მსჯავრდებულთა მასიურ გათავისუფლებას მოჰყვა დებატები იმის  
შესახებ, რომ გაიზარდა დანაშაულის დონე. უკანასნელი ორი წლის  
განმავლობაში სასჯელალსრულების სისტემაში მიმდინარე მოვლენე-  
ბი, მსჯავრდებულები და დანაშაულის თემა აქტუალობას არ კარგავს.  
წარმოდგენილი სტატია სწორედ ამ თემატიკის მიმართ მოსახლეობის  
განწყობების შესწავლას ემსახურება.

წარმოდგენილ სტატიაში განვიხილავთ ოთხ თემას:

- ✓ თბილისის მოსახლეობის მიერ დანაშაულის, დანაშაულის ჩა-  
დენაზე გავლენის მქონე ფაქტორების და სასჯელის აღქმა;
- ✓ განწყობები დამნაშავეების და ყოფილი პატიმრების მიმართ;
- ✓ დამოკიდებულება 2012 წლის სექტემბერში გამოქვეყნებული  
ციხის კადრების მიმართ;
- ✓ დამოკიდებულება 2012-2013 წელს პატიმრების მასიური გათა-  
ვისუფლების მიმართ.

სტატიას საფუძვლად უდევს 2013 წლის მაის-ივნისში თბილისში  
ჩატარებული სოციოლოგიური კვლევა. კვლევის განხორციელებაში  
მონანილეობას იღებდნენ ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკური მეცნიერებათა ფაკულ-  
ტეტის სტუდენტები, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით მათ.

### მეთოდოლოგიური ნაწილი

წარმოდგენილი სოციოლოგიური კვლევა პრაგმატიზმის მსოფ-  
ლმხედველობას ეფუძნება და პრობლემის შესწავლაზეა ორიენტირე-  
ბული. მისი მიზანია კონკრეტულ დროში, სოციალურ და პოლიტიკურ  
კონტექსტში შეისწავლოს მოვლენა და უარს ამბობს სამყაროს რო-  
გორც აბსოლუტური უნიტარული სისტემის ხედვაზე (Creswell, 2008).

წარმოდგენილი სოციოლოგიური კვლევის საგანი იყო თბილისის  
მოსახლეობის დამოკიდებულების გამოვლენა დანაშაულისადმი, სას-

ჯელალსრულების სისტემაში მოხვედრილი ადამიანებისა და დასჯის ფორმებისადმი. კვლევის ფარგლებში გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი კვლევა, კერძოდ კი, მასობრივი გამოკითხვა პირისპირი ინტერვიუს მეთოდით.

შერჩევის დიზაინი იყო მრავალსაფეხურიანი კლასტერული შერჩევა. კვლევის გენერალურ ერთობლიობას წარმოადგენდა თბილისის მოსახლეობა. შერჩევის ზომა იყო 540, ცდომილების კოეფიციენტი 4.2% (95% სანდოობისათვის).

### დანაშაულის, დასჯის ფორმებისა და პირობების აღქმა

ქმედება, რომელიც უგულებელყოფს და არღვევს სახელმწიფოს მიერ დადგენილ კანონს, არის დანაშაული. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით დანაშაული არის ამავე კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება (საქართველოს პარლამენტი, 1999). თბილისის მოსახლეობა დანაშაულის ცნებას მხოლოდ სისხლის სამართლის დანაშაულს არ უკავშირებს (ასეთი მხოლოდ გამოკითხულთა 44%-ია), დანაშაულის ცნებაში აერთიანებს როგორც მორალური ნორმების (გამოკითხულთა 29%), ასევე სოციალური ნორმების დარღვევას (24%), ანუ თბილისის მკვიდრთა თითქმის ნახევარი დანაშაულისა და დევიაციის ცნებებს ერთგვაროვნად მიიჩნევს. დანაშაულის აღქმაზე გავლენას ახდენს ისეთი დამოუკიდებელი ცვლადი, როგორიცაა განათლების მიღწეული დონე. განათლების უფრო დაბალი ცენზის მქონე პირები მეტად მიიჩნევენ, რომ დანაშაული სოციალური და მორალური ნორმების დარღვევაა, ვიდრე უფრო მაღალი განათლების ცენზის მქონე პირები.

კითხვაზე – რომელი უფრო მძიმე დანაშაულია – საზოგადოებისათვის თუ პიროვნებისათვის მიყენებული ზიანი? – პასუხები ასე გადანაწილდა. გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (52%) თვლის, რომ ორივე დანაშაული მძიმეა, 29% საზოგადოებისათვის მიყენებულ ზიანს მიიჩნევს უფრო მძიმედ, ხოლო 19% კი – პიროვნებისათვის მიყენებულ ზიანს. მოცემული კითხვის პასუხები განსაზღვრულია ისეთი დამოუკიდებელი ცვლადით, როგორიცაა სქესი. მამაკაცები უფრო ხშრად ახდენენ ამ ორი ტიპის დანაშაულის დიფერენცირებას (მამაკაცების 56.7%, ქალების 43.6%) და საზოგადოების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულს უფრო მძიმედ მიიჩნევენ.

სოციალური მეცნიერების განვითარების პარალელურად გაიზარდა მეცნიერთა ინტერესი დანაშაულის გამომწვევი მიზეზების მიმართ. მეცხრამეტე საუკუნიდან მოყოლებული გვხვდება დანაშაულის პიოლოგიური, ფსიქოლოგიური თუ სოციალური თეორიები (დემონოლოგია, ფრენოლოგია, ლომბროსიანული თეორია, კლასიკური თეორია, მარქსისტულ-ლენინური თეორია, კონფლიქტის თეორია, იარლიყების თეორია, სტიგმატიზაციის თეორია და ა.შ.) (Giddens, 2009) (OpenStax College, 2012). კვლევის პროცესში დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებაზე გავლენის მქონე ფაქტორები რესპონდენტებს შევაფასებინეთ. მათ მიერთოდეთ პირველ (თვისებრივ) ეტაპზე გამოვლენილი 8 ფაქტორი. მათ უნდა შეეფასებინათ, თუ რამდენად ახდენს გავლენას თითოეული მათგანი ადამიანის მიერ დანაშაულის ჩადენაზე.

რვა ფაქტორს შორის ყველაზე ხშირად გავლენის მქონედ გამოკითხულებმა აფექტი (90%), ეკონომიკური სიდუხჭირე (85%), სამეგობრო წრე (85%), აღზრდა (81%) და ოჯახური პრობლემები (80%) დაასახელეს. დანაშაულზე გავლენის მქონე ფაქტორად მენტალური დაავადებები დაასახელა 77%-მა, ხოლო გარემო გამალიზიანებელი 75%-მა. გენეტიკური ფაქტორი დანარჩენ ფაქტორებს შორის ყველაზე ნაკლებმა რესპონდენტმა მიიჩნია დანაშაულის გამომწვევად, თუმცა ამრესპონდენტების ნილი 54%-ია.

გენეტიკური ფაქტორის მნიშვნელობის შეფასებაზე გავლენას ახდენს რესპონდენტთა ასაკი, ოჯახური მდგომარეობა და ეთნიკური კუთვნილება. ასაკის ზრდასთან ერთად იზრდება გენეტიკური ფაქტორის დანაშაულის ჩადენაზე გავლენის მნიშვნელოვნების შეფასება (გენეტიკური ფაქტორი დანაშაულის ჩადენაზე გავლენის მქონედ ახალგაზრდების 45%-მა, ხოლო ასაკოვნების 64%-მა დაასახელა). გენეტიკურ ფაქტორს ნაკლებმნიშვნელოვნად მიიჩნევენ დაუღვახებელი პირები და ეთნიკური სომხები და ქართველები. აფექტის გავლენის შეფასებაზე ისეთი დამოუკიდებელი ცვლადები ახდენს გავლენას, როგორებიცაა ასაკი და ოჯახური მდგომარეობა. ახალგაზრდა რესპონდენტები უფრო მეტად უსვამენ ხაზს აფექტურ მდგომარეობაში დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობას, ვიდრე შუა ასაკის და ხანდაზმული რესპონდენტები. მენტალური დაავადებების გავლენას დანაშაულის ჩადენაზე განსაკუთრებით უსვამენ ხაზს ასაკოვანი და დაოჯახებული რესპონდენტები. კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ დამოკიდებულებებში ასაკი მნიშვნელოვანი დეტერმინანტია. ასაკოვან ხალხში უფრო

ძლიერია ასკრიპტული სტატუსის რჩმენა (გენეტიკა, ოჯახური წარმომავლობა, სოციალური გარემო), მაშინ როცა ახალგაზრდები დანაშაულს უფრო ინდივიდუალისტურ ფაქტად მიიჩნევენ და დანაშაულზე გავლენის მქონე ფაქტორებს შორის აქცენტს აკეთებენ აფექტსა და გარემო გამლიზიანებელზე. მიუხედავად სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებს შორის განსხვავებული ტენდენციებისა, თბილისის მკვიდრნი, ზოგადად, დანაშაულზე გავლენის მქონე სოციალურ, ბიოლოგიურ, თუ ფსიქოლოგიურ ფაქტორებს კომბინირებულად ასახელებენ. დანაშაულის მიზეზების კვლევისაგან უკვე კარგა ხანია მეცნიერებმა უარი სოციალური და კულტურული ფაქტორების სასარგებლოდ თქვეს. „ადამიანი პოლიტიკური ცხოველია. ის თუ როგორია ზრდასრული ადამიანი, ძირითადად, იმის შედეგია, რა ისწავლა მან ბავშვობაში, მოზრდილობასა თუ ახალგაზრდობაში. მისი პიროვნება მხოლოდ ნაწილობრივ არის დეტერმინირებული მემკვიდრეობითა თუ ბიოლოგიური ფაქტორებით. მისი პრიორიტეტი, ძირითადად, ხალხთან კავშირის გამოვლენაა. ადამიანი ის არის, რაც მან ისწავლა რომ იყოს“ (Clemmer, 1958 (1940), p. 1).

ერთ-ერთი საკითხი იყო იმის გარკვევა, თუ როგორი დამოკიდებულება აქვთ მოსახლეობას დასჯის ფორმების და სასჯელალსრულებით სისტემაში არსებული მდგომარეობის მიმართ. რესპონდენტებს მივეცით 13 ფაქტორი და უნდა განესაზღვრათ რამდენად მნიშვნელოვანია პატიმრისათვის თითოეული მათგანის მაღალი ხარისხით მიწოდება. ძალზე მნიშვნელოვან ფაქტორებს შორის არის სანიტარულ-ჰიგიენური პირობები (94%), კვება (93%) და სამედიცინო მომსახურება (95%). მნიშვნელობის მიხედვით მათ მოჰყვება ისეთი ცვლადები, როგორებიცაა სუფთა ჰაერზე გასვლა (85%), კვალიფიციური პერსონალი (86%), ფსიქოლოგის მომსახურება (87%), სასულიერო პირთან შეხვედრები (88%), რეაბილიტაციის კურსის გავლა (85%). მნიშვნელოვნების მიხედვით მესამე რიგის ფაქტორებია საგანმანათლებლო პროგრამები (76%), სოციალური მუშავის მომსახურება (78%), ბიბლიოთეკა (78%), გადაცემული ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვა (68%). ნაკლებმნიშვნელოვან ფაქტორებს შორის შედის ტელევიზორის (49%) და კომპიუტერის (29%) ფლობა.

უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული ფაქტორების მიწოდების მნიშვნელობა სასჯელალსრულებით სისტემაში განსხვავებულად შეფასდა, ზოგადად, მოსახლეობის და ნასამართლევი პირების მიერ (რომელთა რაოდენობა შერჩევითი ერთობლიობის 6.1%-ს შეადგენდა). მოსახლე-

ობა უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ფაქტორებს, რომლებიც მსჯავრდებულების რესოციალიზაციას, სულიერი და საგანმანათლებლო დეფიციტების შევსებას შეუწყობს ხელს (ფსიქოლოგის მომსახურება, სასულიერო პირთა შეხვედრები, რეაბილიტაციის კურსის გავლა, საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვა), მაშინ როცა ყოფილი პატიმრები უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სერვისებს, რომლებიც მათ სასჯელადსრულების სისტემაში ყოფნას შეამსუბუქებს (სუფთა ჰაერზე გასვლა, ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვა, სოციალური მუშავის მომსახურება, კვალიფიციური პერსონალი).

სასჯელადსრულების სისტემაში ყოფილი პირების საჭიროებების განსხვავებული აღქმა მოსახლეობის და ნასამართლევი პირის მიერ ვლინდება სხვა შემთხვევაშიც: მოსახლეობა თვლის, რომ ყოფილი პატიმრების ინტეგრაციის მიზნით სახელმწიფომ ისანი საჭირო უნარებით უნდა აღჭურვოს (ფსიქოლოგის, სოციალური მუშავის მომსახურება, პროფესიული გადამზადება), მაშინ როცა ნასამართლევი პირები სახელმწიფოსაგან მათი მდგომარეობის გამაუმჯობესებელ მზა პროდუქტს (მაღალი ხარისხის სამედიცინო დაზღვევა, უპირატესი დასაქმება) და მათ მიმართ არსებული განწყობების შეცვლას (ყოფილი პატიმრის მიმართ დადებითი განწყობის შექმას) მოელიან.

კვლევის ფარგლებში გამოვავლინეთ თბილისის მოსახლეობის დამოკიდებულება სასჯელის უსასტიკესი ფორმის – სიკვდილით დასჯის – მიმართ. დედაქალაქის რეზიდენტების განწყობები სამი სხვადასხვა კითხვით გამოვავლინეთ: აქედან ორი ურთიერთსაწინააღმდეგო დებულების მიმართ განწყობის რიგის სკალაზე შეფასება იყო, ხოლო მესამე სიტუაციური კითხვა, სადაც პროექციულად უნდა გამოვლენილიყო ლატენტური განწყობები. დებულება – „სიცოცხლე ღმერთისგან ბოძებულია და არავის აქვს ხელყოფის უფლება და მათ შორის სახელმწიფოს“ – არ გაიზიარა გამოკითხულთა 13%-მა; ხოლო დებულება – „განსაკუთრებით მძიმე დანაშაული უნდა ისჯებოდეს სიკვდილით“ – გაიზიარა გამოკითხულთა 20%-მა. კითხვაზე – „თქვენ რომ მოსამართლე ყოფილიყავით და გქონდათ არჩევანის თავისუფლება, რა სასჯელს მიუსჯიდით ანდრეს ბრეივიკს? – თბილისის მცხოვრებთა 28%-მა სიკვდილით დასჯა უბასუხა. როდესაც რელიგიური პოზიციებიდან ვეკითხებით, მოსახლეობა ჰუმანისტურ განწყობებს ამჟღავნებს, ჩვეულებრივად დასმულ კითხვაზე უფრო იმატებს სიკვდილით დასჯის მომხრეთა რიცხვი, ხოლო კონკრეტული მძიმე დანაშაულის ჩამდენი

დანაშაულის, პატიმრებისა და მათი სოციალური  
სტატუსის აღქმა თბილისის მოსახლეობის მიერ

ადამიანის სიკვდილით დასჯას კი უკვე ყოველი მეოთხე გამოკითხული  
უჭერს მხარს.

თბილისის მოსახლეობის ინფორმირებულობა დანაშაულის რაო-  
ბის, მისი გამომწვევი მიზეზების შესახებ არცთუ ისე ღრმაა და ხშირად  
განსაზღვრულია ისეთი დამოუკიდებელი ცვლადებით, როგორებიცაა  
განათლება და ასაკი. ზოგადად მოსახლეობა თვლის, რომ სასჯელალ-  
სრულებაში მყოფი პირები ღირსეულ პირობებში უნდა ცხოვრობდნენ  
და სახელმწიფომ უნდა იზრუნოს მათ საზოგადოებაში რეინტეგრაცია-  
ზე. ადამიანის სიცოცხლის ხელშეუხებლობა მნიშვნელოვანია გამო-  
კითხულთა უმრავლესობისათვის, თუმცა ჰუმანური განწყობის მქონე-  
თა რიცხვი მცირდება, მაშინ როცა კონკრეტული მძიმე დანაშაულის  
ჩამდენი პირის დასჯას ეხება საკითხი.

### ყოფილი პატიმრების მიმართ არსებული განწყობები

ყოფილი პატიმრები საზოგადოების ერთ-ერთი მოწყვლადი ჯგუ-  
ფია, რომელთა საზოგადოებაში რეინტეგრაცია საკმაოდ მნიშვნელო-  
ვანი გამოწვევაა როგორც სამართლებრივი სისტემისათვის, ასევე სა-  
ზოგადოებისათვის. ყოფილი პატიმრების მიმართ სტერეოტიპული  
განწყობების არსებობა დადასტურდა წარმოდგენილი კვლევითაც. თბი-  
ლისის მოსახლეობის 58% მიიჩნევს, რომ დანაშაულის ჩამდენი პირი  
პოტენციური დევიანტია და მის მიერ დანაშაულის ხელმეორედ ჩადე-  
ნის ალბათობა არის მაღალი. დამნაშავის მიმართ რეციდივის რისკე-  
ბის რწმენა დამოკიდებულია ისეთ დამოუკიდებელ ცვლადზე, როგო-  
რიცაა პირადი გამოცდილება. ნასამართლევი პირები უფრო ნაკლე-  
ბად მიიჩნევენ, რომ დამნაშავე პოტენციურად დევიანტია (ამ დებულე-  
ბას მათი 22.6% იზიარებს, მაშინ როცა მთლიანად შერჩევით ერთობ-  
ლიობაში ეს მაჩვენებელი 58%-ია).

ყოფილი პატიმრების მიმართ თბილისის რეზიდენტების განწყო-  
ბები ვიკვლიეთ ბოგარდუსის სკალის მიხედვით. ბოგარდუსის სკალაზე  
შევიტანეთ მცირედი ცვლილება და დავუმატეთ კატეგორია „მოვანათ-  
ვლინებდი ბავშვს.“ ინტერაქციის ხუთი ფორმიდან პირველ სამ ურთი-  
ერთობის ფორმაზე (ვიმეზობლებდი, ვიმეგობრებდი, დავასაქმებდი)  
გამოკითხულთა დაახლოებით 90% არ იტყოდა უარს. ყოფილი პატი-  
მარს ბავშვს არ მოანათვლინებდა რესპონდენტთა 38%, ხოლო ოჯახის  
წევრად არ მიიღებდა რესპონდენტთა 37%. ლიბერალური და ნეიტრა-

ლური განწყობები ყოფილი პატიმრების მიმართ რესპონდენტთა დაახლოებით მესამედს უქრება, როდესაც მათთან დანათესავებასა და მათთან სულიერ კავშირზე დგება საკითხი. ყოფილი პატიმრების მიმართ სტერეოტიპული განწყობები, ერთი მხრივ, გამოწვეულია იმით, რომ თბილისის მოსახლეობის უფრო დიდი ნაწილი სასჯელაღსრულებითი სისტემის დანიშნულებად დამნაშავეების იზოლირებას მიიჩნევს (80%), ვიდრე დამნაშავის გამოსწორებას (65%). შესაბამისად, თუკი პენიტენციარული სისტემა დამნაშავეს რესოციალიზაციას ვერ ახერხებს, მაშინ ამ სისტემის დატოვების შემდეგ ნასამართლევი პირი კვლავ საზოგადოებისათვის საშიშ მოვლენას წარმოადგენს. ეს განწყობა კვლევის სხვადასხვა კომპონენტებშიც ჩანს.

### **მოსახლეობის დამოკიდებულება 2012 წლის სექტემბერში გამოქვეყნებული ციხის კადრების მიმართ**

კვლევის პროცესში თბილისის მოსახლეობაში დაფიქსირდა სასაჯელაღსრულებით სისტემაში მიმდინარე მოვლენების მიმართ დიდი ინტერესი. გამოკითხულთა 87% მიიჩნევს, რომ საპატიმროებში მიმდინარე მოვლენები საზოგადოებისათვის ცნობილი უნდა იყოს. სავარაუდოდ, სასჯელაღსრულების სისტემაში მიმდინარე მოვლენების მიმართ ინტერესი და ფაქტების გასაჯაროების სურვილი 2012 წელს გამოქვეყნებული ცნობილი ციხის კადრების გამოქვეყნების შემდეგ გაიზარდა.

თბილისის მცხოვრებთა 77%-ს 2012 წლის სექტემბერში გამოქვეყნებული ციხის კადრების ავთენტურობაში ეჭვი არ ეპარება, რადგან მათი უმრავლესობა (71%) მიიჩნევს, რომ პატიმრებზე მსგავსი ძალადობა სასჯელაღსრულების სისტემაში ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პრაქტიკი გავრცელებული პრაქტიკა იყო. აღსანიშნავია, რომ თბილისის მოსახლეობის 51% მიიჩნევს, რომ სასჯელაღსრულების სისტემაში პატიმრების წამება და ლირსების შემლახავი ქმედებები საბჭოთა კავშირში გავრცელებული პრაქტიკა იყო. 42% მიიჩნევს, რომ ეს პრაქტიკა მოქალაქეთა კავშირის მმართველობის პრიოდშიც არსებობდა.

სასჯელაღსრულების სისტემაში მომდინარე ძალადობის ამსახველი ვიდეო მასალის გამოქვეყნების წინააღმდეგი გამოკითხულთა 30%-ია. კადრების გასაჯაროების მოწინააღმდეგე რესპონდენტთა 29% თვლის, რომ კადრები ტრამვული სანახავი იყო და არ უნდა გამოქვეყ-

ნებულიყო, 20% თვლის, რომ კადრები პოლიტიკური მანიპულაციის იარაღად იქნა გამოყენებული და ამიტომ ეწინააღმდეგება მათ გასაჯაროების ფაქტს. კადრების გამოქვეყნების მოწინააღმდეგეთა მესამედი თვლის, რომ პრობლემა ვიდეოების გამოქვეყნებისას წესების დაცვაში იყო - ამათგან 20% ამბობს, რომ კადრების გასაჯაროებისას დაირღვა ეთიკური სტანდარტები, ხოლო 13% თვლის, რომ საეთერო დრო არ იყო სწორად შერჩეული. სასჯელალსრულების სისტემაში პატიმართა წამების ამსახველი კადრების გასაჯაროების მოწინააღმდეგები ამის მიზეზად მცირედი სიხშირით, მაგრამ მაინც ასახელებენ მოძალადის ოჯახის წევრების უსაფრთხოებას (9%), ვიდეოების არაავთენტურობას (6%), პატიმართა სტერეოტიპიზაციას (0.5%) და მათი ნათესავებისათვის მიყენებულ ფსიქოლოგიურ ტრამვას (0.5%).

ციხის კადრებში ასახული წამებისა და ლირსების შემლახავი ფაქტების გასაჯაროებით გამოწვეული რეზონანსი, ვეცადეთ, გვეკვლია უფრო ღრმად. რესპონდენტებს ცალკ-ცალკე ვეკითხებოდით თუ რამდენად შემაძრნუნებელი იყო თითოეული ფაქტი. რესპონდენტების 98%-ისათვის შემაძრნუნებელი იყო გაუპატიურების ამსახველი კადრები, 95%-ისათვის – მსჯავრდებულთა გაშიშვლების ფაქტები, 94%-ისათვის კი ჯგუფური ცემის ფაქტები. თბილისის მაცხოვრებელთა 13% არ აღუშფოთებია მსჯავრდებულთა ცემის ფაქტს, 24% – მათ დაცინვას, 29% – პატიმების მიმართ გამოხატულ მუქარას, ხოლო 31% მათ სიტყვიერ შეურაცხყოფას. ამ შედეგებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს მოსახლეობის აღშფოთება, ძირითადად, ციხის კადრების ასახულმა სექსუალურმა ძალადობამ გამოიწვია.

ეს თეზისი კიდევ ერთხელ გადავამოწმეთ პროექციული ფორმით დასმული კითხვით. სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმის გახსნის მიზნით ყოველ მესამე გამოკითხულს (33%) მიზანშენონილად მიაჩნია პატიმრის მიმართ განხორციელდეს ფსიქოლოგიური ზენოლა, ყოველ მეხუთე რესპონდენტს მიზანშენონილად მიაჩნია მათვის საკვების შეზღუდვა (22%) და/ან ფიზიკური ძალადობა (20%). ყოველი მეექვსე (16%) გამოკითხული მიზანშენონილად მიიჩნევს საპატიმროში მყოფი პირისათვის ადვოკატის მომსახურების შეზღუდვას. სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმის გახსნის მიზნით გამოკითხულთა 95% მიზანშეუწონლად მიიჩნევს მსჯავრდებულის ოჯახის წევრებზე ზენოლას, ხოლო 96% მის მიმართ ლირსების შემლახავი ქმედების განხორციელებას, ანუ ლირსების შემლახავი ქმედება (რომელიც სექსუალურ

ძალადობასაც მოიაზრებს) არის ძალადობის ის ტიპი, რომელიც წების-მიერ სიტუაციაში გაუმართლებლად მიაჩნია ქართულ საზოგადოებას, მაშინ როცა ინსტიტუციაში ამა თუ იმ ტიპის ძალადობის ფორმების არსებობას დასაშვებად მიიჩნევს და ეგუება.

## 2012-2013 წელს პატიმრების მასიური გათავისუფლება

კიდევ ერთი საკითხი, რომელმაც უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში პატიმრების თემა აქტუალური გახადა, იყო სასჯელალსრულების დაწესებულებებიდან მსჯავრდებულების მასიური გათავისუფლება. პატიმრების ამნისტიას და პრეზიდენტის მიერ პატიმრების შეწყალებას თბილისის მცხოვრებთა 67% დადებითად აფასებს. მსჯავრდებულთა ამნისტიასა და შეწყალების ფაქტების პოზიტიური შეფასების მიუხედავად, კრიმინალური სიტუაციის გაუარესებაში რესპონდენტები ყოფილ პატიმრებს სდებენ ბრალს.

გამოკითხვაში მონაწილე რესპონდენტების 40% (ანუ 212 ადამიანი) მიუთითებს 2013 წლის პირველ ნახევარში კრიმინალური სიტუაციის გაუარესებაზე (11% პასუხისაგან თავს იკავებდა). იმ რესპონდენტების 60%, რომელიც კრიმინალური სიტუაციის გაუარესებაზე მიუთითებს, ამ ინფორმაციას სანაცნობო წრისგან იღებს, 57% – საინფორმაციო საშუალებებიდან, 22% – პირადი გამოცდილებიდან, ხოლო 18% ინტერნეტიდან. კრიმინალური სიტუაციის გაუარესებაში გამოკითხულთა 31% ყოფილ პატიმრების წვლილს ხედავს, 22% გარდამავალ პოლიტიკურ პერიოდს. კრიმინალური სიტუაციის გაუარესების მიზეზად რესპონდენტთა მცირე ნაწილმა მიუთითა კანონის ლიბერალიზაცია, პოლიციის ლიბერალიზაცია, ეკონომიკური სიდუხჭირე, პოლიციის უფლებების შეზღუდვა.

პატიმართა ამინისტიასა და შეწყალების გარდა, თბილისის რეზიდენტებს შევაფასებინეთ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში სასჯელალსრულების სისტემაში განხორციელებული და მიმდინარე სხვა ცვლილებები. გამოკითხულთა 75% პოზიტიურად აფასებს პირობითი სასჯელის მოხსნას, ხოლო ნასამართლეობის მოხსნას კი 62% აფასებს დადებითად. მოცემული ხუთი ცვლილებიდან ყველაზე დადებითად არის შეფასებული (90%) სოციალური მუშაკების ჩართვა პენიტენციურ სისტემაში.

ზოგადად, თბილისის მოსახლეობის 54% მომხრეა პირებს მოეხ-  
სნას ნასამართლეობა, ხოლო აქედან 16% (მთელი შერჩევის 1.1 %)  
თვლის, რომ ყველა ნასამართლევ პირს უნდა მოხსნას ეს სტატუსი.  
ნასამართლეობის სტატუსის მოხსნას ყველაზე ხშირად არასწორად  
მსჯავრდებულების მიმართ მიიჩნევენ მიზანშეწონილად (მთლიანი  
შერჩევის 46%), შემდეგ პოლიტიკური პატიმრებისათვის (მთლიანი  
შერჩევის 30%) და ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის გასამართლე-  
ბულთათვის (მთლიანი შერჩევის 26%).

მიუხედავად იმისა, რომ ნასამართლეობის მოხსნასთან დაკავში-  
რებით თბილისის მოსახლეობა ლიბერალურ განწყობებს ავლენს, გა-  
მოკითხულთა 72% მიიჩნევს, რომ პირის ნასამართლეობის შესახებ ინ-  
ფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს, ხოლო 25% კი წინააღმდეგია  
ნასამართლევი პირის სახელმწიფო სექტორში დასაქმებისა.

ნასამართლევი პირისა და ყოფილი პატიმრების მიმართ თბილისის  
მოსახლეობის დამოკიდებულება არაერთგვაროვანია. როგორც წესი,  
პირდაპირ დასმულ კითხვებში, ისინი სტანდარტულ და ჰუმანურ პო-  
ზიციებს ამჟღავნებენ, თუმცა პროექციულ შეკითხვებში ხშირად გა-  
მოსჭვივის ყოფილი პატიმრების მიმართ არსებული სტერეოტიპული  
და დისკრიმინაციული განწყობა.

დაბოლოს, კვლევის მიზნებიდან დამოუკიდებლად, ირიბი კითხვე-  
ბით გამოიკვეთა მოსახლეობის განწყობა, ზოგადად, სამართლებრივი  
სტრუქტურების მიმართ. იმის მიუხედავად, რომ ციხეში განხორციე-  
ლებული წამებისა და ძალადობის ფაქტებით მოსახლეობა შეძრნუნე-  
ბული იყო და ამაში უმრავლესობა სტრუქტურულ და განმეორებად ძა-  
ლადობას ხედავს, მათ სასამართლოს და სხვა ძალოვანი სტრუქტურე-  
ბის მიერ განხორციელებული ქმედებების მიმართ ნდობა არ დაუკარ-  
გავთ. ნასამართლევ რესპონდენტთა 46% სამართლიანად მიიჩნევს  
მისთვის შეფარდებულ სასჯელს, რესპონდენტების 43%, რომელთა  
ოჯახის წევრი ნასამართლევი იყო, სამართლიანად მიიჩნევს მისთვის  
შეფარდებულ სასჯელს. ეს მაჩვენებელი ნათესავთან მიმართებაში  
48%-ია, მეზობელთან მიმართებაში 51%, მეგობართან მიმართებაში  
50%, თანამშრომელთან მიმართებაში 33%, ნაცნობთან მიმართებაში  
62%. ეს პასუხები შეესაბამება სოციალური დისტანციის ნორმებს. სო-  
ციალური სიახლოვე ზრდის ამ პირის მიმართ ლოიალურობის განცდას  
და მისი სამართლიანობის რწმენის სურვილს, მაშინ როცა სოციალურ

დისტანციაზე მყოფი პირის მიმართ გამოტანილი სასჯელი უფრო მეტ რესპონდენტს ეჩვენება სამართლიანად.

თბილისის მოსახლეობის 34% თვლის, რომ ციხეში არავინ მოხვდება, თუ ის ამას არ იმსახურებს. 29% კი უფრო შორს მიდის და ამბობს, რომ ციხეში მკაცრად მხოლოდ იმათ უსწორდებიან, ვინც ამას იმსახურებს. ამის საპირისპიროდ, საზოგადოების წევრთა სამართლიანობას ყოველი მესამე რესპონდენტი ეჭვქვეშ აყენებს და თვლის, რომ ნაფიც მსაჯულებს არ შესწევთ უნარი მიიღოს სწორი გადაწყვეტილება განაჩენის გამოტანისას. ეს კი იმ ტენდენციაზე მიუთითებს, რომ განაჩენის გამოტანისას ისინი მოსამართლეს უფრო ენდობიან, ვიდრე საზოგადოების ჩვეულებრივ წევრებს.

## დასკვნა

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ თბილისის მოსახლეობას ერთგვაროვანი დამოკიდებულება არ გააჩნია საკვლევი თემატიკის მიმართ. ხშირად ისინი კითხვებზე ნორმატულ პასუხებს სცემენ, ხოლო პროექციული ტექნიკების გამოყენებისას რეალურ და უფრო არაპუმანურ განწყობებს ამჟღავნებენ.

ყველაზე მეტად ერთმნიშვნელოვანი განწყობა საკვლევ ერთობლიობას სექსუალური ძალადობის მიმართ აქვს, რომელსაც ყველა სიტუაციაში მიუღებლად მიიჩნევს. თუმცა სასჯელაღსრულების სისტემაში ძალადობის არსებობას უმრავლესობა ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პერიოდიდან მოყოლებულ ფესვგადგმულ პრაქტიკად მიიჩნევს და ძალადობის გარკვეული ფორმების გამოყენების მიმართ არათუ პროტესტი უჩნდება, არამედ მათი გამოყენება დასაშვებადაც კი მიაჩნია. საზოგადოების ნაწილი ინდიფერენტულია იმ ფაქტის მიმართ, რომ სასტიკი და არაკანონიერი დასჯის ფორმების გამოყენება სამართლებრივი სისტემის თანამედროვე მოდელისათვის შეუფერებელია და პრემოდერნული საზოგადოებისათვის უფრო არის დამახასიათებელი. მსგავსი არამართლზომიერი დასჯის ფორმების გამოყენება დანაშაულის პრევენციის არც თუ ისე ეფექტური საშუალებაა.

რესპონდენტთა სოლიდურ ნაწილს სასჯელაღსრულების სისტემაში მოხვედრილი ადამიანის მიმართ მყარი სტერეოტიპული განწყობა გააჩნია, რომელიც ზოგჯერ მათ დადანაშაულებაში (ციხეში უდანაშაულო ადამიანი არ მოხვდება, ციხეში მხოლოდ დამნაშავეებს უსწორ-

დანაშაულის, პატიმრებისა და მათი სოციალური  
სტატუსის აღქმა თბილისის მოსახლეობის მიერ

დებიან) და დისკრიმინაციულ განწყობებშიც გადადის (ნასამართლევი  
პირი არ უნდა დასაქმდეს სახელმწიფო სტრუქტურაში, ნასამართლეო-  
ბის შესახებ ხელმისაწვდომი უნდა იყოს ინფორმაცია).

თბილისის მცხოვრებნი ძლიერად განიცდიან სოციალური კავში-  
რებისა და მედიის გავლენას. ამიტომაც კრიმინალური სიტუაციის  
დამძიმებაზე საუბრისას, ძირითადად, არა პირად გამოცდილებას, არა-  
მედ მედია საშუალებებიდან და ნაცნობებიდან მიღებულ ინფორმაცი-  
ას ეყრდნობან. კრიმინალური სიტუაციის გაუარესებაში მოსახლეობა  
ნაკლებად ხედავს სისტემური ცვლილებების გამო შესუსტებულ სო-  
ციალურ ცონტროლს და უმრავლესობა ბრალს ყოფილ პატიმრებს  
დებს.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. Clemmer, D. (1958 (1940)). The Prison Community. New York, Chicago, San Francisco, Toronto, London: Holt Rinehart and Winston.
2. Creswell, J. W. (2008). Research Design: Qualitative, Quantitative and Mixed Methods Approaches. Los Angeles, London, New Delhi, Singapore: Sage Publications.
3. Giddens. (2009). Sociology. London: UK Press.
4. Harter, K. (1999). Social Control and Enforcement of Police-Ordinances in Early Modern Criminal Procedures. In H. Schilling, & L. Behrisch, Institutions, Instruments and Agents of Social Control and Discipline in Early Modern Europe (pp. 39-64). Frankfurt am Main: Vittorio Klostermann.
5. OpenStax College. (2012). Introduction to Sociology. OpenStax College.
6. საქართველოს პარლამენტი. (1999). საქართველოს სისხლის სა-  
მართლის კოდექსი. საკანონმდებლო მაცნე, N41(48).

**Marina Burdzenidze**  
Assistant Professor  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
**Teona Mataradze**  
Assistant Professor  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**Perception of Crime, Prisoners and  
their Social Status by Tbilisi Residents**

**Resume**

Presented article is based on May-June 2013 sociological survey conducted by the support of students of the Faculty of Social and Political Sciences (TSU). Overall, 540 Tbilisi residents were interviewed by face-to-face interview (the design of sample was multi-stage cluster sampling). The goal of the research was to study the attitudes of Tbilisi residents towards crime, prisoners, and forms of punishment. Last time, the topic became very problematic due to two events: 1. Broadcast of videos about the torture of prisoners in September 2012; 2. Mass discharge of prisoners from penitential system during 2012-2013, which often was perceived by population as a danger to societal security. Both of these themes were covered by the research.

The study has revealed that the perception of crime by the population is broader and often covers the notion of deviation. While categorizing crimes, half of the respondents regards the crime against a person and against a state as similar. During the research crime provoking factors were identified, namely genetic, social, economic e.g., evaluated diversely by the sample unit.

In general, strong negative stereotypes towards convicted persons hinder the process of their reintegration in the society. The survey results show that the majority of Tbilisi population does not perceive the social environment of convicted person as unsecure, although there still are the barriers. For measuring people's willingness to participate in social contacts of various degrees of closeness with convicted persons we used the Bogardus social distance scale. The study showed that the majority will have the close personal friendship or neighborly relations with convicted persons, while denying the relation on

closer level (receiving convicted person as close relative by marriage or being a godmother/godfather of a child). These results are linked with perception of penitential system by respondents. The majority of sample unit considers purpose of penitential system to isolate a criminal from the society, than correct the offenders' behavior and attitudes. Furthermore, respondents think that once someone has committed a crime, the chance of relapse criminal behavior increases.

Three-quarters of respondents do not doubt the authenticity of prison records made public in September, 2012, two-thirds considers that these types of torture of prisoners were widespread in penitential system. In general, Tbilisi population is interested in ongoing events of prisons and the majority thinks that these events should be publicly reported. Tbilisi residents have heterogeneous attitudes towards the questions whether the prison video publishing was ethically correct or not. Furthermore, the study of the attitude of Tbilisi population towards the death penalty was also important.

According to the survey results, the majority of Tbilisi inhabitants are alarmed due to the torture which had sexual connotation, while are more reluctant about the verbal abuse, beating or pressure of prisoners. In general, Tbilisi residents think that degrading and violent actions towards prisoners were widespread practice during the Soviet and Post-soviet periods.

Despite the fact, that the respondents do not have the strong negative attitudes towards prisoners and convicted persons, the solid part of respondents believes that criminal situation in Georgia deteriorated and was explaining it by massive release of prisoners.

**Реваз Гачечиладзе**

Профессор общественной географии  
Тбилисского государственного университета  
им. Иванэ Джавахишвили

**Набросок сравнительного анализа демографической  
ситуации в Грузии и Армении**

**Резюме**

В статье дается краткий перечень фактов для сравнительного анализа демографической ситуации сопредельных государств – Грузии и Армении. Эти страны характеризуются определенным сходством исторического социально-культурного развития, что степени влияет на более или менее одинаковое демографическое поведение населения. В обоих государствах численность населения проявляет тенденцию к уменьшению, одновременно происходит депопуляция сельской местности и чрезмерная концентрация населения в столицах.

Вместе с тем, на разницу в демографических процессах влияет этническая структура населения и текущие экономические и политические факторы; разница проявляется и во внешних миграциях населения.

**Общедемографические показатели**

В Грузии и Армении сложилась в значительной мере сходная демографическая ситуация, характеризующаяся снижением общей численности населения вследствие падения рождаемости, повышения смертности и отрицательного миграционного сальдо. В то же время демография обоих стран характеризуется и довольно значительными различиями.

Таблица 1

**Сравнительные демографические показатели Грузии, Армении  
и некоторых сопредельных стран**

Страны	Числен. населе- ния (млн)	Годовой прирост (%)	Коэффиц. фертильн ости	Медиан. возраст	В возрасте 0-14 (%)	В возрасте 65 и более (%)
Грузия	4,936	-0,11	1,77	37,7	17,6	16,2
Армения	3,061	-0,13	1,64	33,7	19,1	9,8
Азербай- джан	9,586	0,99	1,91	30,1	22,7	6,3
Турция	81,619	1,12	2,08	29,6	25,5	6,6

Источник: CIA World Factbook, 2014

Данные таб. 1 приведены в соответствии с публикуемой ЦРУ США информацией, которая в свою очередь опирается на местные статистические данные, исправленные по единой методике. В случае с Грузией, очевидно, учтено население и ее автономий – Абхазии и Южной Осетии ("Южной Осетии"), ныне оккупированных Россией, из-за чего данные таб. 1 об общей численности населения Грузии превышают данные текущей статистики населения (см. таб. 2), которые касаются остальной территории страны.

Простое воспроизведение населения обеспечено если коэффициент фертильности (среднее количество детей рожденной женщиной в фертильном возрасте, т. е. 15-49 лет) составляет не менее 2,11. В Армении и Грузии данный коэффициент гораздо ниже этой нормы, что должно привести к уменьшению численности населения через естественный прирост. При этом, если население Армении практически гомогенно, в Грузии коэффициент фертильности оказался чуть выше лишь благодаря высокой фертильности азербайджанских женщин Квемо Картли и Кахети, где прирост населения довольно высок именно из-за широкого представительства там этого этноса. Среди этнического грузинского населения коэффициент фертильности почти такой же, как и в Армении.

Таблица 2

**Динамика численности населения Грузии в 1897-2012 гг.****по данным Переписей населения (кроме 1993 и 2012 гг.)**

(в тысячах)

Годы	Всего	Изменение по сравнению с предыдущей переписью (%)	Удельный вес этнических грузин (%)	Городское население (%)	Сельское население (%)
1897	1894,2		68,3	19,0	81,0
1926	2666,5	+40,8	66,8	22,3	77,7
1939	3540,0	+32,8	61,4	30,1	69,9
1959	4044,0	+14,2	64,3	42,9	57,1
1970	4684,4	+15,8	66,9	47,8	52,2
1979	5014,8	+7,1	68,8	51,9	48,1
1989	5443,4	+8,5	70,1	55,8	44,2
1993	5446,2	+0,01	...	56,0	44,0
2002*	4356,1	-8,0	83,7	55,0	45,0
2012	4497,6	+1,0	...	53,2	46,8

\* Перепись населения 2002 г. не охватывала большую часть территории Абхазии и "Южной Осетии". Оценка 2012 г. касается лишь основной территории страны.

Перепись населения Грузии должна быть проведена осенью 2014 г. Будем надеяться, что она будет лишена тех недостатков, которые характеризовали перепись 2002 года и мы узнаем больше о населении нашей страны. Пока же нам приходится пользоваться не совсем надежной текущей статистикой.

Таблица 3

**Динамика численности населения Армении в 1897-2011 гг.****по данным Переписей населения (кроме 1995 г.)**

(в тысячах)

Годы	Всего	Изменение по сравнению с предыдущей переписью (%)	Удельный вес этнических армян (%)	Городск. население (%)	Сельское население (%)
1897	789,0		56,0	12,0	88,0
1926	881,0	+11,7	84,4	19,0	81,0

Набросок сравнительного анализа  
демографической ситуации в Грузии и Армении

1939	1282,3	+45,5	82,2	28,6	71,4
1959	1763,0	+37,5	88,0	50,0	50,0
1970	2491,9	+39,1	88,6	59,5	40,5
1979	3030,6	+21,6	89,9	65,7	34,3
1989	3448,6	+13,8	89,4	68,7	31,3
1995	3260,3	- 5,5	...	66,4	33,6
2001	3213,0	- 1,5	97,9	64,3	35,7
2011	3021,4	- 6,0	98,1	63,4	36,6


Данные таблицы показывают *постоянное население*, что отличается от данных *наличного (де-факто) населения*. По данным Переписи населения Армении 2011 года наличное население РА составило 2,872 миллиона [Источник: Газета "Новое время", 1 ноября 2012].

### С х о д с т в о

**В обеих странах с начала 1990-х годов наблюдается снижение темпа прироста населения** – уменьшение рождаемости, увеличение смертности.

По данным грузинского *Сакстами* в 2005-2012 гг. естественный прирост населения Грузии колебался в пределах 1-3 промиле. В Армении аналогичный показатель был в пределах 3-4 промиле.

**Ухудшение поло-возрастной структуры** видно на рис. 1 и 2 (источник: данные ЦРУ). В обеих странах "пирамида" превратилась в "елку": молодого населения меньше, чем взрослого.



**Рис. 1. Поло-возрастная структура населения Грузии (2014)**




Рис. 2. Поло-возрастная структура населения Армении (2014)

**В результате селективных абортов рождается больше мальчиков, чем девочек.** Например, в 2013 году в Армении на каждые 100 девочек родилось 114 мальчиков при статистической норме 100:104-105. Аналогичная тенденция наблюдается и в Грузии.

Продолжению тенденции падения рождаемости способствует и **повышение среднего возраста вступления в брак**. Если в обеих странах до 1960-х годов для женщин нормальным было выходить замуж в раннем возрасте, в особенности в сельской местности, в 2001 г. средний возраст вступающей в первый брак женщины в Армении составлял 23 лет, а в 2010 г. – 25-26 лет, для мужчин, соответственно 26-27 и 29-30 лет. В Грузии средний брачный возраст еще выше.

**Сельская местность**, которая ранее подпитывала общий рост населения в обеих странах, ныне характеризуется **депопуляцией** (т.е. превышением смертности над рождаемостью), что ярко проявляется в некоторых регионах, например, в Сюнике (Армения) и Гурии (Грузия). Сельское хозяйство независимых государств недостаточно обеспечено рынками сбыта и испытывает острую конкуренцию с импортной продукцией, что в особенности ярко выражено в Грузии. Аграрная реформа вызвала дробление земельных участков и в некоторых случаях привело к фактическому появлению натурального хозяйства. Капиталистическое

товарное сельское хозяйство не нуждается в большом количестве работников. Большое количество занятых в сельском хозяйстве – показатель неэффективности этой отрасли: Для многих крестьян в обеих странах сельское хозяйство не отрасль экономики, а образ жизни.

**Отрицательный миграционный баланс:** оба государства теряют население в результате превышения количества эмигрирующих над иммигрующими.

**Неточность текущей статистики:** Перепись населения Армении 2011 года уже показала что данные текущей статистики были завышенны. Перепись населения Грузии 2014 года покажет то же самое! *Причины "неточности" почти одинаковые: это косность статистических служб, а также, заинтересованность правящих элит показать, что "ситуация не так уж и плоха, наша хорошая экономическая политика имеет положительный демографический результат!"*

**Изменение в структуре градообразующих факторов:** уменьшение роли промышленной функции (примеры Рустави, Чаренцавана – уменьшился экономический потенциал и снизилось количество населения). Усиление роли обслуживающей и административной функций недостаточно для роста больших и средних городов (примеры Кутаиси, Гюмри, Ванадзор, уменьшившись в размерах: они в значительной мере потеряли индустриальную функцию и стали всего лишь обслуживающими центрами).

**Сверхконцентрация населения в столицах** – Ереване и Тбилиси, которые сами по себе количественно уменьшились по сравнению с 1989 годом, но их пропорция в общей численности населения государств значительно возросла. Ереван и Тбилиси "опустошают" сельскую местность и малые города соответствующих стран. *Причинами такого развития являются* относительное, по сравнению с деревней и малыми городами, благополучие в столичных городах, большая возможность найти оплачиваемую работу в столице, резкое усиление административной функции столиц новых государств по сравнению с советским периодом

(появились ранее неизвестные места работы, например, новые министерства); количественно увеличилась бюрократия, возросла образовательная функция столиц (появилось больше вузов и стало больше студентов) и т.д.

### **Различия**

Самое первое из различий, которое приходит на ум после взгляда на статистические таблицы, это **различия в этническом составе населения**.

**Армения** моноэтничная страна с 1988 года, когда количественно наибольшее этническое меньшинство – азербайджанцы – было вынуждено покинуть ее. Абсолютно и относительно уменьшилась численность и других меньшинств – русских, езидов, ассирийцев. Перепись населения 2011 г. показала, что этнические меньшинства в Армении составляют менее 2 процентов населения. Поэтому, демографическая ситуация в Армении почти не зависит от этнически выраженных культурных различий.

**Грузия**, наоборот, **остается полиэтнической страной** (см. таб. 4). Даже без тех автономий, которые оккупированы российскими войсками с 2008 года и откуда большинство этнических грузин было изгнано, по переписи 2002 г. 16 процентов населения на основной территории Грузии составляли этнические меньшинства.

В основном культурно-религиозными факторами объясняются **географические различия в демографической ситуации в Грузии**: население Квемо Картли и некоторых районов Кахети с превалированием азербайджанского (мусульманского и сельского) населения растет быстро, а районы с почти целиком этническим грузинским элементом – Гурия, Рача-Лечхуми, Имерети, Мхцета-Мтианети – быстро теряют население в основном из-за депопуляции и эмиграции.

Таблица 4

**Изменения в этнической структуре населения Грузии в  
межпереписной период 1989-2002 (тысяч)**

Этнические группы	1989	2002*	Изменения 1989-2002 гг.		Уд. вес во всем населении (%)	
			Тысяч	%	1989	2002
Всего	5 401	4 372	-1 029	-19,1	100,0	100,0
грузин	3 787	3 661	-126	-3,3	70,1	83,8
азербайджанцев	308	285	-23	-7,4	5,7	6,5
армян	437	249	-188	-43,1	8,1	5,7
русских	341	68	-274	-80,2	6,3	1,5
осетин	164	38	-126	-76,8	3,0	0,9
греков	100	15	-85	-85,0	1,9	0,3
украинцев	52	7	-45	-86,5	1,0	0,2
курдов/езидов	33	21	-12	-26,4	0,6	0,5
других	178	27	-163	-84,8	3,3	0,6

\* Перепись населения 2002 г. не охватывала большую часть территорий Абхазии и "Южной Осетии".

**Географические различия демографической ситуации в Армении** объясняются в основном экономическими, а не культурно-религиозными факторами. Например, в марзах, расположенных вокруг г. Еревана, естественный прирост населения относительно выше (4-5 промиле в год), т.к. там лучшие в стране условия для сельского хозяйства и люди имеют хоть какую-то работу, тогда как в северном Лорийском марзе, где наблюдается нехватка сельскохозяйственных земель и сократилась индустриальная занятость, естественный прирост составлял менее 2 промиле.

**Различается географическая направленность миграций:** после 2000 года, когда Россия ввела визовый режим с единственной страной СНГ – Грузией, миграция из этой страны в Россию сократилась, а те мигранты,

которые были (или считали себя) временно проживающими и работающими в России, были вынуждены или получить российское гражданство (что было очень затруднено) или остаться там нелегально (российская Перепись населения 2010 г. показала только 159 тысяч этнических грузин). После 2006 года, когда отношения Грузии и России серьезно осложнились и, тем более, после августа 2008 г., когда произошел полный разрыв дипломатических отношений между этими странами, эмиграция граждан Грузии в Россию резко сократилась.

В то же время Россия – основное направление эмиграции из Армении. По российской переписи населения 2010 г. там проживали 1,2 миллиона армян (неофициально – до двух миллионов).

**Эмиграционными направлениями для армян остаются США, страны Южной Америки, куда грузины отправляются редко.**

Разница есть и в **иммиграционной политике**: тогда как Армения крайне сдержанна в приеме иммигрантов (кроме этнических армян), Грузия имела весьма либеральную визовую систему до 2013 г. – в 2006–2011 гг. более 25 тысяч человек официально получили вид на жительство, большинство из которых лица из Индии, Ирана, Турции, Китая. Предыдущее правительство, а точнее – президент Саакашвили, слишком расточительно раздавало грузинские паспорта и несколько тысяч турецких подданных (многие из них считаются "этническими грузинами") стали и гражданами Грузии и получили соответствующий дополнительный паспорт.

### **З а к л ю ч е н и е**

Демографическая ситуация производная от общеэкономической и общеполитической ситуации в стране.

Решение о планировании семьи или переезда в другой город или страну во всем мире и в обоих соседних государствах Южного Кавказа обычно делается без учета "эмоционально-патриотической" составляющей.

Мало кто будет оставаться в родном горном селе, откуда большинство населения уже уехало в город только из-за того, что там остаются "могилы предков", хотя такие семьи, безусловно, есть.

Мигрируя за границу люди обычно действуют исходя из реально создавшейся экономической, социальной или политической ситуации в стране (регионе, городе) и из личных интересов (включая семейные).

Хотя данная статья является всего-лишь предварительным наброском сравнительного анализа демографической ситуации двух соседних стран Южного Кавказа, но основные элементы сходства и различия видны достаточно ясно. Естественно, необходим более углубленный анализ, который может иметь и практическое значение.

### რევაზ გაჩეჩილაძე

პროფესორი, თსუ

ესკოზი საქართველოსა და სომხეთის დემოგრაფიული  
სიტუაციის შედარებითი ანალიზისთვის

### რეზიუმე

სტატიაში მოცემულია ფაქტების მოკლე ჩამონათვალი საქართველოსა და სომხეთში არსებული დემოგრაფიული ვითარების შედარებითი ანალიზისთვის. ამ ქვეყნებს ახასიათებთ ისტორიული და სოციალურ-კულტურული განვითარების გარკვეული მსგავსება, რაც გავლენას ახდენს მათი მოსახლეობის მეტ-ნაკლებად ერთნაირ დემოგრაფიულ ქცევაზე. ორივე ქვეყანაში მოსახლეობის რაოდენობა კლების ტენდენციას ამჟღავნებს, ამავდროულად, ადგილი აქვს სასოფლო განსახლების დეპოპულაციას და დედაქალაქებში მოსახლეობის კონცენტრაციას.

ამასთან, დემოგრაფიული პროცესების განსხვავებულობაზე გავლენას ახდენს მოსახლეობის ეთნიკური სტრუქტურა და მიმდინარე ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორები; განსხვავებები გამოხატულია გარე მიგრაციულ პროცესებშიც.

**Zurab Davitashvili**

Proffesor

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**Is Georgia's Integration into the West Possible?  
(Factor of Civilization Difference)**

Foreign political orientation, being understood as determination one's own place in international system, is one of the most important political problems of new independent countries and Georgia is no exception.

The Idea of neutrality of Georgia, which became popular among some political parties, is not realistic, because Georgia does not meet the obligatory requirements for neutrality:

- a) Neutral state should not be the objective of other state's political interest and geographically should be located in the "marginal zone";
- b) The state should be able to defend itself;
- c) State should be characterized with the high level of interconnection. If there is an internal disconnection, other states will certainly intervene in its internal affairs;
- d) The state should reject the establishment of ideological foreign policy.<sup>1</sup>

Orientation to Russia in terms of integration with European structures is illogical because Russia will never integrate with Europe. In addition, after Russian-Georgian war in 2008 and recognition of independence of Abkhazia and South Ossetia by Russia, Russian orientation became absolutely unacceptable for Georgian society.

Consequently, integration with the Euro-Atlantic structures must be Georgia's foreign policy priority. However, western orientation, which is very popular in the great majority of Georgian political elite, is difficult to achieve. This difficulty is not only provoked by resistance from Russia.

---

<sup>1</sup> Rondeli A. 1998. P. 161-162.

The political orientation of Georgia and its place in the World depends on the type of the international system. In case of universal system, which automatically excludes existence of poles of force and where the role of international organizations and non-state actors is extremely high, the problem of foreign policy orientation loses sense. This kind of international system means the wide expansion of western values and liberal-democratic ideas, that are reliable guarantee of the global peace. Although the majority of scholars believe that future international system will be an universal one, it is obviously long term perspective.

Despite of the fact that there is only one superpower (USA) in contemporary world, the international system is not unipolar and there are some other poles. What will be the structure of future international system is a disputable question. I draw attention to the hypothesis of American scholar Samuel Huntington, who supposes, that XXI century will be the era of the clash of civilizations and main rivalry is expected between groups of states belonging to different civilizations (Western, Slavic-orthodox, Islamic, Confucian etc).<sup>1</sup> Also, the main regions of destabilization should be the territories where borders between civilizations are disappearing. Some difficulties may arise in so called "torn countries" i.e. countries which belong to one civilization, but they have political orientation to the other one (Turkey, Greece, Mexico).

Georgia is the country located between the border of different civilizations (orthodox Christianity and Islamic) and it belongs to the torn countries by its political orientation. That is why Georgia's aspiration to Europe requires overcoming serious obstacles.

In order a torn country to integrate with the other civilization, three conditions must be met: firstly, political and economical elites must strongly support this decision; secondly, the society must be ready for such reidentification and thirdly, the civilization must agree to the acceptance of a new member. Because of the absence these conditions (especially of the third one) Turkey's membership in European Union is a problematic issue. The similar difficulty appears in case of Georgia.

As for first condition, it is the fact that recently in some political and economical group's antiwestern declarations became more frequent, that were inconceivable before. Of course one of the main reasons of this change is a

---

<sup>1</sup> Huntington S. (1996A). P. 45-47.

Russian factor, namely the idea that Georgia is unable solve its problems without Russia (first of all the problem of territorial integrity), and any step of Georgia to the West is irritating for Russia. But for us another reason is more important: the disappointment of some part of Georgian society by the West, “West is not that we were expected”, “West is another thing than Georgia” etc. In such case it is logical to refuse Western ideas and become Russian oriented.

The important part is that Georgian businessmen and entrepreneurs have the similar opinion. They are sure, that for the West it is impossible to understand characteristics of Georgia and Western recommendations are not relevant. The final conclusion is: we are unable to be established on the European market. That is why Georgia must turn to Russia. Finding a common language with Russians is much easier, than with Europeans and Americans.

Even if all political forces and economical elite of Georgia support the idea of integration with the West, it is still very challenging to realize this idea, because two other requests factors are more difficult for Georgia to implement.

There is an increasing number of representatives of Georgian society who believe that Western living standard is quite different from Georgian traditions and integration with the west means to vanish Georgian identity. The scientific and cultural intellectuals, the church and some NGOs, using nationalistic and patriotic phraseology, played an important role in establishing the public opinion about cosmopolitan West as a threat to the traditional ethnic cultures including Georgia.

Of course, supporters of anti-western sentiments are in minority in Georgia, but it is the fact, that their number is increasing lately.

As for the third condition, that the West should have a wish to accept Georgia, probably, is the most difficult objective to achieve. A lot of people in the West consider that Georgia is another, not European world and its membership in the European structures will bring new problems to Europe. Consequently, they have no interest in receiving Georgia to European family.

As it was mentioned above, Georgia will be ready to be a member of European structures and the West will accept its membership only by the time, when Georgian and European societies will have become close to each others.

The question is: what are historical, social, cultural and psychological factors that differentiate Georgian and European societies, and how their rapprochement is possible?

In his article “The West Unique, not Universal”<sup>1</sup> Samuel Huntington distinguishes some characteristics about what makes the West western. The majority of these characteristics are so specific and unique that they are absolutely strange and unacceptable for other civilizations. But, it is possible some of them to be adapted by nonwestern peoples and states. In such case they have the chance to converge with the West and integrate with him.

One of the corner-stones of the western civilization is **classical legacy**. The West is successor of the classical civilization, namely, the Greek philosophy and rationalism, the Roman law and Latin language. Although Islamic and especially orthodox civilizations also took many things from the classical legacy, the influence of the classical legacy on the West have been much stronger. Consequently, the influence of the classical legacy on Georgian culture, as a part of orthodox civilization, is quite feeble, while the role of Roman law and Latin language is almost insignificant. From this point of view, Georgia is far from the West.

One of the important characteristics of the West is **Western Christianity** (Catholicism and Protestantism). This was the basis on which the Western unity was formed. The sense of the similar unity is unknown for orthodox Christians. Spreading Western Christianity was one of the causes of the conquest of the World by Western Nations. Reformation, counter-reformation, separation of Protestantism from Catholicism and its results, as well as renaissance, made the West Western and opposed the West to all other civilizations. It is not casual, that in XVII-XVIII centuries, when Georgia was seeking European protection, in the opinion of some Georgian politicians, the only way for Georgia’s approachment to the West was taking Catholicism as a state religion. Even now many believe that the main obstacle for Georgian-European rapprochement is a religious difference.

**Multiplicity of languages** is also considered as a characteristic of the West. According to Huntington, each civilization has one basic language (Chinese, Japanese, Arabic, Russian, Hindi etc.), while in Europe, after XVI century, when Latin lost position, European cultures have been developing on the basis of local languages. Neither French in XVII-XIX centuries, nor English after that time period did not play the same role for the West, as the basic languages did for other civilizations. However, such affirmation provokes many

---

<sup>1</sup> Huntington S. (1996B). p. 28-46.

questions. Namely, is Russian a basic language for orthodox Christians and does it have more influence upon Greeks and Romanians compared to the influence of English over Dutchmen or Germans? As for Georgian language, we may underline, that it not only perfectly corresponds to Western model, but even outstrips European reality, because Georgian culture was always developing on the basis of Georgian language and no other language can compete with Georgian. (Unlike European nations, where during centuries cultures were developing on the basis of Latin, which was a foreign language for the population).

Another characteristic of Western civilization is **separation of spiritual and temporal authority**. According to Huntington religion and politics were separated only in Western (and Hindi) civilization. “In Islam, God is Caesar; in China and Japan Caesar is God; in Orthodoxy, God is Caesar’s junior partner. The separation between church and state that typifies Western civilization has not occurred in any other civilization. This division of authority contributed immeasurably to the development of freedom in the West”.<sup>1</sup> In Georgia, as in Orthodox Christian country, church was the part of the state and it was serving to the government. After losing of political independence (in the beginning of XIX century), autocephaly of Georgian Orthodox Church was also abolished. However, when autocephaly was restored, Georgia soon became a part of atheistic country and the role of church was insignificant. Although contemporary Georgian constitution states that the church is separated from state, Georgian Orthodox Church plays more and more important role in political life. Georgian society is concerned with this situation because many believe that Orthodox Church puts a serious obstacle in the way of Georgia’s integration with the West.

**The rule of law** is a very important characteristic of the Western civilization. The equality of all citizens before the law is a great achievement of the West. The rule of law was the foundation of the constitutionalism and human rights, especially the protection of private property that is the best mechanism against the abuse of power. In all other civilizations the law (except religious law) plays much less role in the development of society’s habits and thoughts. It perfectly corresponds to Georgia, where the violation of the law always was everyday occurrence and ruling class manifestly ignored law, underlining that law it is not for them, but for the low social strata. The situation

---

<sup>1</sup> Huntington S. (1996B) p. 34.

became more difficult after gaining the independence, when ruling elite (mainly former communist-komsomol activists) felt absolute freedom for their activities. Only after “rose revolution” in 2003 the situation is changed and now Georgia is one of the safest and less corrupted countries.

One more characteristic of the West is **social pluralism and civil society**. The West was always distinguished by the existence of diverse autonomous groups that were, not based on blood relationship (monastic orders, guilds etc.). It gave birth to other associations and unities. For many centuries Europe has had civil society and at the same time associational pluralism was supplemented by class pluralism. Western European societies included strong aristocracy and substantial peasantry that limited absolutism. Such situation sharply contradicts the poverty of civil society, the weakness of the aristocracy and the strengths of bureaucracy in non-western civilizations. As for Georgia, it is the fact, that Georgian feudalism was a typical European feudalism, with strong aristocracy and private property on the land. But, social pluralism and civil society were absolutely unknown.

Social pluralism led to the appearance of **representative bodies**, being one of the main characteristics of Western democracy. No other civilization can boast by the century-old elective legislative bodies. Although sometimes these bodies were limited and even abolished, they were always restored by with broader political rights especially in self-governance. Medieval European towns had well developed system of self-government; representative bodies on the national level were supplemented by local representative bodies. Such co-existence was absolutely unknown for the other civilizations. As for Georgia, the attempt of the representative bodies' formation (parliamentary monarchy) took place earlier than in Europe, in XII century, but this attempt failed and did not occur later. Consequently parliamentary life stayed unknown in Georgia.

Finally, one of the main characteristics of Western civilization is **individualism**, mostly expressed as individual rights and liberties. Individualism, that is practically unknown for nonwestern civilizations, was formed in Europe in XIV-XV centuries and the right of individual choice has been existed since XVII century. The notion of equality has century-old history in the West, while in other regions it became popular only in XX century. According one socio-logical analysis, out of 20 countries with the highest index of individualism, 19

of them belong to the Western World.<sup>1</sup> In the West individualism is much more dominant than collectivism. In all other civilizations the advantage of the collectivism is an indisputable fact.

In Georgia, the majority of the population believes, that Georgians are individualists. This perception is incorrect. Georgia is a country of typical collectivist culture, but it does not belong to the so called “wide group” collective culture, that was a characteristic for Russians (“obshtshina”), Indians (caste) or Muslims (umma). Georgian society is a society of “narrow group” collective culture (friends, relatives, neighbors). Consequently, the horizon of Georgian’s traditional thinking is narrow and does not extend to the wide groups such as the nation and the state.

It is obvious that there is a serious difference between Georgia and the West from the civilization point of view. Of course some characteristics and peculiarities (classical legacy, western Christianity, renaissance, reformation etc) are properties of Western civilization and compared to the West, its influence on Georgia is quite different. Consequently, according to these data, Georgia’s rapprochement with the West is impossible and nobody demands it. But it is entirely possible to implement and strengthen the principles and values such as separation of spiritual and temporal authorities, the rule of law, development of social pluralism and civil society, improvement of representative bodies and finally, changing of a collectivist consciousness with an individualist one, which is probably a possible transformation of mentality.

One may say that recently Georgia is making a perceptible progress in this direction. Today the West has few reasons to refuse Georgia’s integration into the European and Euro-Atlantic structures. However, in terms of the implementation of Western values (first of all the level of democracy, rule of law and social pluralism) Georgia is not behind the EU and NATO member countries of orthodox civilizations such as Romania and Bulgaria. (Not to mention Albania, Islamic country, member of NATO and probably future member of EU).

It follows from the above mentioned that civilization difference is not an obstacle for Georgia’s integration into the Western World. The main argument of the West is that Georgia does not yet satisfy Western standards. However, it is a disputable issue, because some countries, not having better compliance

---

<sup>1</sup> Huntington S. (1996B). p. 37.

records, already are members of Euro-Atlantic structures. Evidently, the main reason of the restraint of the West is not to irritate Russia, which believes that Georgia's integration into the Euro-Atlantic structures (especially, NATO membership) decreases Russia's influence in the Caucasus and is a serious threat for Russia's national interests.

## References

1. Rondeli A. (1998) – **Two Roles of the Small Country: Buffer and Neutrality.** “*Georgian Diplomacy*” Vol. 5. P. 151-165. Tbilisi University Press. 1998 (In Georgian)
2. Huntington S. (1996 A) – **The Clash of Civilizations and Remaking of World Order.** Simon and Schuster. New York. 1996
3. Huntington S. (1996 B) – **The West: Unique, not universal.** *Foreign Affairs. Volume 75. Issue 6. Nov/Dec.* 1996. New York. 1996

## ზურაბ დავითაშვილი პროფესორი, თსუ

### შესაძლებელია საქართველოს ინტეგრაცია დასავლეთთან? (ცივილიზაციური განსხვავების ფაქტორი)

#### რეზიუმე

საქართველოსთვის, ისევე როგორც ყველა სხვა ახალგაზრდა სუვერენული სახელმწიფოსათვის, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის განსაზღვრა და საკუთარი ადგილის პოვნა საერთაშორისო სისტემაში.

ნეიტრალიტეტის იდეა, რომელიც დროდადრო აქტიურდება ცალკეულ პოლიტიკურ ძალებში არარეალური და განუხორციელებელია საქართველოსთვის, რადგან ქვეყანა ვერ აკმაყოფილებს ვერცერთ პირობას, რომელიც აუცილებელია, რომ მისი ნეიტრალიტეტი აღიარებული და გარანტირებული იყოს (იგი არ უნდა შედიოდეს დიდი

ქვეყნების გეოპოლიტიკურ ინტერესებში, არ უნდა ჰქონდეს შინაგანი გათიშულობისა და ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა, უნდა იყოს ეკონომიკურად ძლიერი, თვითონ უნდა შეეძლოს საკუთარი თავ-დაცვა და ა.შ.).

ორიენტაცია რუსეთზე და ევრაზიული კავშირის იდეა, ფაქტობრივად, სუვერენიტეტზე უარის თქმაა და რუსეთის სატელიტად გადაქცევას ნიშნავს. ამ იდეის გამართლებას მისი მომხრები იმით ცდილობენ, რომ მხოლოდ რუსეთს შეუძლია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, მხოლოდ რუსეთის ბაზრის გახსნა იხსნის საქართველოს ეკონომიკას და მხოლოდ ერთმორწმუნე რუსეთთან ერთობაში იგრძნობს თავს საქართველო უსაფრთხოდ და კომფორტულად. თუმცა ამ იდეას ჯერჯერობით ცოტა მხარდაჭერი ჰყავს, მით უფრო, რომ რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციისა და აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობის შემდეგ რუსული ორიენტაციის აშკარა მხარდაჭერა ლამის სამშობლოს დალატთან გაიგივდა.

ამიტომ მთავარ საგარეო პოლიტიკურ ორიენტირად რჩება დასავლეთი, ანუ ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია. ეს გზა როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის და, საერთოდ, მოსახლეობის უმრავლესობის მიერ აღიქმება, როგორც ერთადერთი ქემარიტი და ლოგიკური გამოსავალი არსებული რთული ვითარებიდან. საქართველოში ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციას აიგივებენ პროგრესსთან და ცივილიზირებულობასთან და მიიჩნევენ, რომ მხოლოდ ეს შეიძლება გახდეს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, უსაფრთხოების, გაძლიერების, ეკონომიკური კეთილდღეობისა და კულტურული აყვავების გარანტი და საფუძველი.

მაგრამ იმისათვის, რომ მოხდეს საქართველოს ინტეგრაცია ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან აუცილებელია დაცული იყოს სამი პირობა: ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური ელიტა ცალსახად უნდა იდგეს დასავლურ ორიენტაციაზე; მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მხარს უნდა უჭერდეს ამ ორიენტაციას; დასავლეთი თანახმა უნდა იყოს მიიღოს ახალი წევრი „თავის წრეში“. ეს უკანასკნელი ფაქტორი დიდწილად განისაზღვრება იმით, თუ რამდე-

ნად ახლობელი და მისაღებია ახალი წევრი დასავლური ცივილიზა-  
ციისათვის (რა თქმა უნდა სხვა ფაქტორებთან ერთად).

სტატიაში ყურადღება გამახვილებულია ცივილიზაციურ მსგავ-  
სებასა და განსხვავებაზე საქართველოსა და დასავლეთს შორის. გან-  
ხილულია დასავლური ცივილიზაციის მთავარი ღირებულებები (კლა-  
სიკური მემკვიდრეობა, დასავლური ქრისტიანობა, ენობრივი მრავალ-  
ფეროვნება, საერო და საეკლესიო ხელისუფლების გაყოფა, კანონის  
უზენაესობა, სოციალური პლურალიზმი და სამოქალაქო საზოგა-  
დოება, წარმომადგენლობითი ორგანოები, ინდივიდუალიზმი) და მათი  
გამოვლინების ხარისხი საქართველოში.

განხილულის საფუძველზე აშკარა ხდება, რომ დასავლეთის ზო-  
გიერთი ნიშანი (კლასიკური მემკვიდრეობა, დასავლური ქრისტიან-  
ობა, რენესანსი, რეფორმაცია) მხოლოდ დასავლეთის კუთვნილებაა  
და სხვა ცივილიზაციებისათვის მათი მოთხოვნა აბსურდი იქნებოდა.  
მაგრამ დასავლური ცივილიზაციის მთელი რიგი ნიშნები (საერო და  
საეკლესიო ხელისუფლების გაყოფა, კანონის უზენაესობა, სოცია-  
ლური პლურალიზმი და სამოქალაქო საზოგადოება, წარმომადგენ-  
ლობითი ორგანოების განმტკიცება და ინდივიდუალისტურ საზოგა-  
დოებად ჩამოყალიბებაც კი) საქართველოსთვის სრულიად მიღწევა-  
დია და ამ მიმართულებით უკვე საგრძნობი პროგრესი აღინიშნება.

ზემოთქმულიდან შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ცივილი-  
ზაციური განსხვავება არ წარმოადგენს მთავარ დაბრკოლებას საქარ-  
თველოს ევროინტეგრაციის გზაზე. მით უფრო, რომ მართლმადიდე-  
ბელი ცივილიზაციის წარმომადგენელი ქვეყნები საბერძნეთი, რუმი-  
ნეთი და ბულგარეთი უკვე არიან წატოსა და ევროკავშირის წევრები,  
რომ არაფერი ვთქვათ ალბანეთზე. ცხადია, საქართველოს დასავ-  
ლეთთან ინტეგრაციის მთავარი დაბრკოლება არა ცივილიზაციური  
განსხვავება, არამედ რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესებია.

## მარეს დევიძე დოქტორანტი, თსუ

### კონფლიქტის ტრასფორმაცია ორგანიზაციებში „ლოკალებს“ და „კოსმოპოლიტებს“ შორის

კოსმოპოლიტი ნიშნავს „მსოფლიო მოქალაქეს. არსებობს სხვა-დასხვა კვლევები, რომლებიც კოსმოპოლიტიზმს შეისწავლის. ერთ-ერთი პირველია რ. მერტონი (2), რომელმაც 1957 წელს გამოაქვეყნა შრომა კოსმოპოლიტურობა-ლოკალების შესახებ. ის ძირითადად გეოგრაფიულ ცვლადს და პოლიტიკურ ორიენტაციას აქცევდა ყურადღებას. ეს ადამიანები მოქმედებდნენ ან კონკრეტულ ადგილობრივ ერთობებში ან ქონდათ გაფართოებული ხედვა და თავს ერთობის მიღმა წარმოიდგენდნენ. ეს უკანასკნელი საკუთარ თავს ხედავდნენ, როგორც მოქალაქეებს და არა რაიმე კონკრეტული ერთობის წევრად. აქედან გამომდინარე რ. მერტონი განასხვავებს კოსმოპოლიტ პიროვნებებს, რომლებიც არიან ორიენტირებულნი მსოფლიოზე, კონკრეტული ერთობის მიღმა და წარმოადგენს ლოკალის ოპოზიციას. ლოკალებს აქვთ განსხვავებული ლირებულებები, რომლებიც მათ ლოკალურ კულტურაშია გავრცობილი.

მეორე დამოუკიდებელი კონცეფცია შემუშავებულია გოულდნერის მიერ (3), რომელიც კოსმოპოლიტობა-ლოკალობის აქცენტს განსაზღვრავს ორგანიზაციასთან და პროფესიასთან კავშირში. მისი შეხედულებით კოსმოპოლიტები საკუთარ თავს განიხილავენ პროფესიასთან და იმ გარემოსთან მიმართებაში, რომელშიც ის მუშაობს. შესაბამისად, მათი მოქმედებები ამ სფეროში გლობალურ სახეს და სტანდარტებს იღებს. საკუთარ თავს ხედავენ როგორც პროფესიონალს, რომელიც საერთაშორისო დონეს შეესაბამება. ორგანიზაციებსაც შესაბამისად ისე ირჩევენ, რომ საქმიანობით გლობალურ სფეროში იყოს ჩართული. ლოკალები მუშაობენ ისეთ ორგანიზაციებში სადაც ერთობა ლოკალურია, ადგილობრივია, და ის კოსმოპოლიტელთან და კოსმოპოლიტურ ორგანიზაციასთან კონტრასტშია. ამგვარად, კოსმოპოლი-

კონფლიქტის ტრასფორმაცია ორგანიზაციებში  
„ლოკალუბს“ და „კოსმოპოლიტანელუბს“ შორის

ტი ორიენტირებულია ობიექტურ არსებულ სტანდარტებზე და შესაბა-  
მის კომპენტეციის ორგანიზაციაში მერყეობს, ხოლო ლოკალი თავის  
თავს მოიაზრებს ორგანიზაციებში, სადაც ადგილობრივების შესაბამი-  
სი კომუნიკაციაა, ორგანიზაციული ნორმები და ზემოქმედებაც ლოკა-  
ლურ სფეროს ეხება. კოსმოპოლიტებს სტანდარტები ინსტიტუციონა-  
ლიზებული აქვთ, იციან სოციალური ნორმები და ჩართული არიან ინ-  
ტერპერსონალურ ალიანსებში. კოსმოპოლიტები სამსახურში გამოირ-  
ჩევიან მათი პასუხისმგებლობით ორგანიზაციის და საკუთარი პროფე-  
სიის მიმართ.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს შეხედულებები, სადაც  
კოსმოპოლიტიზმი განხილულია უფრო კომპლექსურად, ვიდრე გო-  
ულდნერის და მერტონის შრომებში. განასხვავებენ ლოკალებს და  
ნონ-კოსმოპოლიტებს, ასევე, განხილავენ კოსმოპოლიტებს, ლოკა-  
ლებს და „მოგზაურებს“ (ტურისტებს). ეს, ძირითადად, უკავშირდება  
მარკეტინგულ სფეროს. ასეთ შემთხვევაში კოსმოპოლიტები საკუთა-  
რი კულტურის სფეროს ჩარჩოებში მოქმედებენ.

უ. ჰენრი (4) თვლის, რომ ლოკალობა-კოსმოპოლიტობა ფართო  
მნიშვნელობით უნდა იქნეს განხილული, რადგან მათი დამოკიდებუ-  
ლებები, ღირებულებები, ცხოვრების სტილი განსხვავებულია. ხშირად  
ტურისტებს – („მოგზაურებს“) მოიხსენებენ, როგორც კოსმოპოლი-  
ტებს, მაგრამ, უმეტეს შემთხვევაში, ისინი სხვა კატეგორიაში ხვდები-  
ან. ნამდვილი კოსმოპოლიტების იდენტობები განსხვავებულია, „მოგ-  
ზაურების“ იდენტობა კი შეიძლება ლოკალურიც აღმოჩნდეს. ამ მიდ-  
გომაში დაშვებულია, რომ ამ ტიპებს შორის არსებობს ტრანზიტულო-  
ბა. მიჩნეულია, რომ ვაჭრობის სფეროში მომუშავები უფრო კოსმო-  
პოლიტები არიან. აქედან ავტორი უშვებს, რომ კოსმოპოლიტები და  
ლოკალები უკიდურეს პოლარობას არ წარმოადგენენ.

კოსმოპოლიტები ხასიათდებიან მაღალი პასუხისმგებლობით ორგა-  
ნიზაციის და პროფესიის მიმართ. ეს სხვადასხვა განზომილებებია და არა  
საპირისპირო მდგომარეობები. მათ დამოუკიდებელი კონსტრუქტის სტა-  
ტუსი ენიჭებათ. ამგვარად, კოსმოპოლიტები შეიძლება მოვიაზროთ ლო-  
კალურებთან მიმართებაში. კოსმოპოლიტებს თავისი კულტურა გააჩნი-  
ათ და ადგილობრივებისგან განსხვავებული სტილით ცხოვრობენ.

ჰ. ქენონი და ა. იაპრაკი (5) (Cannon H.M., Yaprak A.) თავის ნაშრომ-  
ში აჯამებენ მერტონის და გოულდნერის კვლევის შედეგებს და გვთა-  
ვაზობენ დამოუკიდებელ მოდელს, რომელიც მათი შეხედულებით გა-

მოსადეგია გლობალურ მარკეტინგულ სფეროში, რეკლამაში, მომხმარებლის ქცევაში და პროდუქტის სეგმენტირებაში. მათი აზრით მერტონის და გოულდნერის ძირითადი ამოსავალი პრინციპების შერწყმა უნდა მოხდეს. ავტორები გამოყოფენ ორ ძირითად დონეს: კოსმოპოლიტურ ორიენტაციას და ლოკალურ ორიენტაციას. კოსმოპოლიტური ორიენტაცია, თავის მხრვივ, შედგება: 1. კოსმოპოლიტებისგან და 2. ადგილობრივებისგან. რაც შეეხება ლოკალური ორიენტაციის დონეს, აქაც ორი ძირითადი მახასიათებელია გამოყოფილი: 1. გლობალური და 2. ლოკალური. მათი მიმართებები იძლევა ოთხ ძირითად ორიენტირს. ეს მოდელი სქემატურად შემდეგი სახისაა (სქემა 1):

#### **ლოკალური ორიენტაციის დონეები**

კოსმოპოლიტი	გლობალური	ლოკალური
კოსმოპოლიტი	1	2
ადგილობრივი (ლოკალი)	3	4

ავტორთა აზრით, ასეთი მიმართებები მომხმარებლების ქცევის და საქონლის სეგმენტირებისთვის საუკეთესოა, რომელთაც შესაბამისი დახასიათებები ახლავს. ამავე მიმართებების საფუძველზე შესაძლებელია ქცევის აღნერაც. შევეხოთ ყოველ მათგანს. კოსმოპოლიტი, ადგილობრივი, გლობალური და ლოკალური ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ერთეულებს (ცვლადებს) წარმოადგენს.

**კოსმოპოლიტებს** – აქვთ მაღალი პასუხისმგებლობა ორგანიზაციის და მათი პროფესიის მიმართ, საკუთარი ქცევის განსაზღვრის და შეფასების ორბიექტურ კრიტერიუმებს ეყრდნობიან, ყურადღებას აქცევენ მათ პრაქტიკულობას და ეს ყველაფერი მსოფლიოს კონტექსტშია განხილული, განსხვავებით ვიწრო ადგილობრივი ღირებულებებისა და დამოკიდებულებებზე.

**ადგილობრივები** – მაღალი პასუხისმგებლობა აქვთ, მაგრამ შეფასებისას უფრო სუბიექტურნი არიან. ყურადღებას აქცევენ რეფერენტული ჯგუფის აზრებს, მათი მსგავსი ჯგუფების სოციალურ ნორმებს და ღირებულებებს იზიარებენ. შესაბამისად, მათი ქცევა შეზღუდულია, ჩარჩოებში მოქცეული და ქცევაც მხოლოდ კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალს ან კონკრეტულ ადგილობრივ ორგანიზაციების ორიენტირებას შეესაბამება.

**გლობალური** – მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა აქვთ ორგანიზაციის და თავიანთი პროფესიის მიმართ. მათი ქცევა გლობალურ სტანდარტებს შეესაბამება. მათი მოქმედების მაშტაბებიც გლობალურ ნორმებს და ღირებულებებს ეყრდნობა.

**ლოკალი** – პასუხისმგებლობა აქვთ თავიანთი ლოკალური ორგანიზაციის და კონკრეტული პროფესიის მიმართ. მათი ღირებულებები ვრცელდება ლოკალური კულტურული არეალის ფარგლებში და ჩაკეტილ კომუნიკაციებში. ლოკალურ კულტურაზე დაყრდნობით მოქმედების არეალიც შემცირებული აქვთ. მათ აქვთ თავიანთ ერთობაში ჩამოყალიბებული ნორმები და ზემოქმედების წესები. ამგვარად ლოკალები ლოკალური კულტურის წარმომადგენლები არიან.

შევეხოთ მიმართებებს ამ ძირითად კატეგორიებს შორის. მიმართებები, რომელიც გარკვეულ პროფილს იძლევა: 1. კოსმოპოლიტი-გლობალი, 2. ადგილობრივი-გლობალი, 3. კოსმოპოლიტი-ლოკალი და 4. ადგილობრივი-ლოკალი (იხილეთ სქემა 1). ასეთი პროფილების გამოყენება შესაძლებლობას გვაძლევს ორგანიზაციებში ადამიანის ქცევები დავახასიათოთ.

**1. კოსმოპოლიტი-გლობალი** – პასუხისმგებლობით ასრულებენ მარკეტინგულ პროგრამებს, რომელიც გლობალურ სტანდარტებს შეესატყვისება თავისი კულტურით და სტატუსით. ორიენტირებულნი არიან სამუშაოზე და მოგებაზე. უნარი შესწევთ იმუშაონ საერთაშორისო ორგანიზაციებში, ასევე სხვადასხვა ქვეყანებში. ძირითადად, იციან ორი ან მეტი უცხო ენა. მიზანს წრაფულები არიან, ძლიერ აქვთ გამოხატული ინდივიდუალიზმი. უმეტეს შემთხვევაში, უპირისპირდებიან და არ ესმით ადგილობრივი-გლობალების.

**2. ადგილობრივი-გლობალი** – პასუხისმგებლობით ასრულებენ მარკეტინგის პროგრამებს, რომელიც ეყრდნობა მყიდველის (მომხმარებლის) სპეციფიკურ მოთხოვნილებებს და მოთხოვნებს. უმეტესად არ ეთანხმებიან სტატუსის ობიექტურ სტანდარტებს. ასეთი პიროვნე-

ბები, ძირითადად, არჩევენ იმუშაონ საკუთარ ქვეყანაში უცხოურ ორგანიზაციებში და თავს წარმოადგენენ, როგორც შუამავალ რგოლად საერთაშორისო და ადგილობრივებს შორის. ფლობენ რამდენიმე ენას, მიზანსწრაფულები არიან, აღიარებენ საკუთარი კულტურის ღირებულებებს და დადებითი დამოკიდებულება აქვთ ადგილობრივი ერთობების მიმართ. შესაძლოა გარკვეულ საკითხებში საპირისპირო პოზიცია დაიკავონ, ვიდრე კოსმოპოლიტ-გლობალებმა.

**3. კოსმოპოლიტი-ლოკალი** – პასუხისმგებლობით ასრულებენ მარკეტინგულ პროგრამებს, რომლებიც ეყრდნობა ლოკალურ კულტურას, მათ მოთხოვნებს და მოთხოვნილებებს. ამას ემატება სტატუსის გლობალური სტანდარტების გაზიარება, ისინი ახერხებენ კავშირებს როგორც საერთაშორისო ასევე ლოკალურ დონეზე. ძირითადად მუშაობენ საკუთარ ქვეყნებში იქ, სადაც უცხოური ინვესტიციებია. მათში ღირებულებები და დამოკიდებულებები პრინციპულადაა წარმოდგენილი, რომელიც კოსმოპოლიტის და ლოკალის ნაზავს წარმოადგენს. ფლობენ ერთ ან ორ უცხო ენას, ძალზედ აფასებენ საკუთარ კულტურას და პატივს სცემენ სხვისას. მათი იჯავური ცხოვრება, ძირითადად, ლოკალურ დონეზე ხორციელდება. ადგილობრივ ერთობებს და რეფერენტულ ჯგუფებს დიდ პატივს მიაგებენ. ზოგიერთ საკითხებში ვერ უგებენ ადგილობრივ-ლოკალებს.

**4. ადგილობრივი-ლოკალი** – პასუხისმგებლობით ეკიდებიან მარკეტინგულ პროგრამას, რომელიც ლოკალურ კულტურას ახასიათებს, ასევე იზიარებენ იმ ლოკალურ და ადგილობრივ მოთხოვნილებებს და მოთხოვნებს, რაც მათი რეგიონის მომხმარებელს გააჩნია. უპირისპირდებიან გლობალურ სტანდარტებს, მათ სტატუსს. ხშირ შემთხვევაში არ ფლობენ უცხო ენას. თვლიან, რომ ტრადიციულ ღირებულებებს, ეროვნულ „სულს“ უნდა დაეფუძნოს ბიზნესი. უკიდურესად დადებითი დამოკიდებულება აქვთ ტრადიციული ფასეულობების მიმართ. უპირატესობას ანიჭებენ კოლექტიური ცხოვრების სტილს, პასუხისმგებლობით ეკიდებიან რეფერენტული ჯგუფების გადაწყვეტილებებს, ადგილობრივ ერთობებს წინა პლანზე აყენებენ. მოცემული მოდელი საშუალებას გვაძლევს უფრო მოხერხებულად დავახასიათოთ ორგანიზაციაში მომუშავე ის პირები, რომლებიც დიფერენცირებული სახით წარმოდგებიან და არა პოლარული სახით.

არსებობს სხვადასხვა მეთოდები, რომ შევისწავლოთ კოსმოპოლიტობა-ლოკალურობა. დღეისთვის არსებობს სხვადასხვა გაზომვი-

თი საშუალებები, რომლებიც კოსმოპოლიტების სკალების სახითაა ცნობილი. მაგალითად,

ს. თიურქენი და ფ.უ. რუდმინი (S.Türken, F.W. Rudmin) (6) ასახელებენ შემდეგს:

1. მერტონის (Merton) 10-დებულებიანი სკალა – კოსმოპოლიტი-ლოკალის განზომილება – 1957;

2. დიეს (Dye) 5-დებულებიანი სკალა – ლოკალ-კოსმოპოლიტის სკალა – 1963;

3. ჯენინგსის (Jennings) 3-დებულებიანი სკალა – კოსმოპოლიტიზმის სკალა – 1967;

4. რობინსონის და ზილის (Robinson & Zill) 5-დებულებიანი სკალა – კულტურული კოსმოპოლიტიზმის სკალა – 1997;

5. ჯეფრის და მისი კოლეგების (Jeffres et al) 42-დებულებიანი – კოსმოპოლიტის სკალა – 2004 (Türken S., Rudmin F.W. 2013) (6).

არსებობს სხვა სკალებიც, სადაც, ასევე, ხდება დამოკიდებულებების გაზიარება, რომელიც კორელაციაშია ჩამოთვლილ სკალებთან და მათი ზოგიერთი დებულება შეესატყვისება ლოკალი-კოსმოპოლიტის სკალებს. ასეთი სკალებია – ინტერნაციონალიზმის სკალა, ინტერნაციონალიზმის-ნაციონალიზმის სკალა, პატრიოტიზმი-ნაციონალიზმის სკალა, თვითიდენტობის ინსტრუმენტი, ნაციონალური იდენტობის ინსტრუმენტი. ძირითადი სკალები, რომელიც კოსმოპოლიტობა-ლოკალობას ეხება, იზომება ლაიკერტის, ან გუტმანის ტიპის სკალებზე. მიგვაჩინა, რომ მნიშვნელოვანია ახალი სკალის შედგენა, რომელიც შეესატყვისება ამა თუ იმ კულტურულ ღირებულებებს, რადგანაც ერთ-ერთ სკალაში გამოყოფილი დებულება „მე კარგად ვაზავებ ჯინსს და ტონიკს“ ჩვენი კულტურისთვის ნამდვილად არ გამოხატავს კოსმოპოლიტობას. ასევე მიგვაჩინა, რომ ჰ.მ. ქენონის და ა. იაპრაკის მიერ შემოთავაზებული მოდელი უფრო დიფერენცირებულად გვაწვდის ტიპოლოგიას ვიდრე სხვა სკალები. მიგვაჩინა, რომ სწორედ ეს მოდელი უნდა იქნას საფუძვლად აღებული როდესაც გვსურს ახალი სკალის შედგენა. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ სკალის შედგენამდე წინასწარი კვლევა ჩატარდეს ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდის გამოყენებით. აქ მნიშვნელოვანია მივიღოთ ის ინფორმაცია, რომელიც სხვადასხვა ორგანიზაციაში მომუშავეები მიაწერენ კოსმოპოლიტებს, გლობალებს, ადგილობრივებს, ლოკალებს, როგორია მათი შეხედულება და რას ფიქრობენ მათ დაპირისპირებაზე.

ამ მიზნით შევიმუშავეთ გეგმა ჩაღრმავებული ინტერვიუს [(Мер-  
тон Р., Фиске М., Кендалл П.) (1)] ჩასატარებლად, სადაც გამოვყავით  
რამდენიმე ბლოკი, ყოველი ბლოკი შეესატყვისება მოდელში გამოყო-  
ფილ ტიპებს. ინტერვიუში ამ საკითხთან დაკავშირებით ვაფიქსირებთ  
დროის ერთეულებსაც, თუ როგორ იყო ადრე, როგორია ებლა და რას  
ფიქრობენ, როგორი იქნება მომავალში. ასევე მნიშვნელოვანია ვიცო-  
დეთ თავს რომელ ტიპს მიაკუთვნებენ. ყურადღება გამახვილდება ტი-  
პოლოგიის სივრცობრივ არეზე, ანუ დახასიათებისას ხაზგასმული იქ-  
ნება სამუშაო და კომუნიკაციების ტერიტორიული არეალი. მოხდება  
რესპონდენტთა ჩანაწერების ტრანსკრიპტი, რომელზე დაყრდნობითაც  
მივიღებთ ამ ტიპოლოგიის დახასიათებას. ჩაღრმავებული ინტერვიუს  
მეთოდის ჩატარებით დადგენილ იქნება სტანდარტული პირობები, სა-  
დაც მიზანი, დახასიათება, ძირითადი ნაწილი, დასკვნა და შედეგების  
შეჯამება პროცედურულად შესრულდება. ამ განზომილების გამოყე-  
ნებისას შევაგროვებთ ასევე რესპონდენტთა დემოგრაფიულ მონაცე-  
მებს და მათ ყოველ საკითხზე დავუკონკრეტებთ კითხვებს.

კვლევისტვის გამოყენებულ კითხვები დაახლოებით შემდეგი სა-  
ხის იქნება:

1. იცნობთ თუ არა მსგავს ადამიანებს, რომლებიც სხვადასხვა  
ორგანიზაციებში მუშაობენ;
2. რა ორგანიზაციაა ეს;
3. რა სამუშაოს ასრულებენ;
4. იცავენ თუ არა პირობებს და იმ სტანდარტებს, რომელიც ამ  
ორგანიზაციაშია ;
5. როგორი უპირატესობა აქვთ სხვებთან;
6. რა ღირებულებები და დამოკიდებულებები გააჩნიათ მათ;
7. სხვა „ტიპთან“ რა სახის კონფლიქტები აქვთ;
8. როგორ ცხოვრობენ;
9. როგორია მათი პასუხისმგებლობა და როგორ ასრულებენ  
ვალდებულებებს;
10. ითვალისწინებენ თუ არა რეფერენტული ჯგუფის მოთხოვნებს  
და რამდენად ექვემდებარებიან მათ;
11. რამდენ ენაზე საუბრობენ;
12. როგორ აზროვნებენ, რა შეხედულებები აქვთ;
13. როგორი სიხშირით მოგზაურობენ, ქვეყნის შიგნით/ქვეყნის  
გარეთ;

14. რა სახის შემოსავალი აქვთ;
15. როგორია მათი ძირითადი მოთხოვნილებები;
16. სამუშაოს როგორ ასრულებენ;
17. ადვილად იღებენ თუ არა სხვა კულტურის ლირებულებებსა და ნორმებს;
18. ტრადიციულ კულტურას განსაკუთრებით აფასებენ თუ არა;
19. რამდენად მიმღები და ლოიალური არიან სხვა კულტურის მიმართ;
20. იცხოვრებდნენ თუ არა უცხო ქვეყანაში სამუშაო რომ შესთავაზონ;
21. როგორ ოჯახურ გარემოში იზრდებოდნენ;
22. რა განათლება აქვთ მიღებული და სად;
23. მშობლები ქართველები იყვნენ თუ რომელიმე იყო სხვა ერის წარმომადგენელი;
24. ჰყავდათ თუ არა წინაპარი (ბებია/ბაბუა) სხვა ერის წარმომადგენელი;
25. როგორ აქვთ ოჯახი მოწყობილი;
26. კმაყოფილი არიან თუ არა საკუთარი კულტურით;
27. როგორ ერთობიან;
28. როგორ იცვამენ;
29. როგორ იკვებებიან, ტრადიციულად, სწრაფი კვებით თუ ჯანსაღი პროდუქტებით;
30. როგორ საუბრობენ. დახვენილად, უარგონებით, ხმარობს უცხოურ სიტყვებს ტექსტებში;
31. ყურადღებას აქცევენ თუ არა ჯანმრთელობას;
32. შეუძლიათ თუ არა დაქორწინდნენ სხვა ერის ან რასის წარმომადგენელზე;
33. ადვილად შედიან თუ არა უცხოელებთან კონტაქტში;
34. უცხოებთან თავშეკავებული არიან;
35. ძირითად ინფორმაციას რა წყაროებიდან იღებენ;
36. ქალაქის ცხოვრება უფრო ხიბლავთ თუ რაიონული ცენტრის/დაბის/სოფლის;
37. როგორ აღწერდნენ ამ ტიპის ადამიანებს;
38. პროფესიის მიმართ ყველა სტანდარტს იცავენ, არ არღვევენ ნორმებს;
39. განსხვავებით ზრუნავენ თანამშრომლებზე;

40. განსაკუთრებით ზრუნავები სამუშაოს შესრულებაზე;
41. გახსნილი არიან თანამშრომლებთან ურთიერთობებში;
42. რამდენად მოწესრიგებული არიან;
43. როგორ ეხმარებიან თანამშრომლებს ან მომხმარებელს...

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. Мертон Р., Фиске М., Кендалл П., - фокусированное интервью м 1991.
2. Merton R. – Социальная теория и социальная структура. М.: ACT, “Хранитель”, 2006.
3. Gouldner A. W. – (1957) “Cosmopolitans and Locals: Toward an Analysis of Latent Social Roles”, Administrative Science Quarterly №22. pp: 281-306
4. Honner Ulf. – (1990) “Cosmopolitans and locals in a World Culture”. Theory, Culture and Society #7 (June) pp. 237-251
5. Cannon H.M., Yaprak A. – (2001) “Cosmopolitan-Based Cross National Segmentation in Global Marketing Simulations”. Developments in Business Simulation and Learning. Vol 28. pp. 23-31
6. Türken S., Rudmin F.W. – (2013) “On Psychological Effects of Globalization: Development of a Scale of Global Identity”. Psychology and Society. Vol 5 (2) pp. 63-89.

**Marekh Devidze**

PhD Student

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

### **Conflict Transformation between “Locals” and “Cosmopolitans” in Organizations**

#### **Resume**

Organizational working is considered in a global view in XXI century. There are a lot of transnational organizations which are working in a new type of relationships. Staff of these organizations has a lot of problems, because there

კონფლიქტის ტრასფორმაცია ორგანიზაციებში  
„ლოკალებს“ და „კოსმოპოლიტანებს“ შორის

is cultural difference. There are two type staff's identities in transnational organizations. Groups are considered as “locals” or “cosmopolitans.” These points are studied in a context of culture of organization.

Transnational organizations have created since Georgia got independence. Most of them are in global sphere. Members of these organizations are citizens of Georgia. One part we call “locals” and other part “cosmopolitans.” Contradistinction between them increases in many spheres. This contradistinction blocks cultural development. These conflicts make influence on organizational development. So, it is important to research difference between these two types and their role in organizational development.

**თამარ დოლბაია**  
ასოცირებული პროფესორი, თსუ

**საზღვაო პორტი, როგორც  
ქალაქწარმომქმნელი ფაქტორი**

საქართველოსთვის, როგორც ევროპის პერიფერიული ნაწილის ეკონომიკისთვის, საპორტო სისტემების შექმნა-განვითარება აუცილებელი ფაქტორია საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში ჩართვისათვის. ისტორიულად, ქალაქები ბათუმი და ფოთი პორტების ირგვლივ ყალიბდებოდნენ და ვითარდებოდნენ.

ქართული პორტების ქალაქწარმომქმნელ ფუნქციას განვიხილავთ ორი ინდიკატორის მიხედვით, ესენია:

1) მოსახლეობის რაოდენობრივი დინამიკა, რადგანაც ვთვლით, რომ ქალაქის ფუნქციური დატვირთვის ხარისხი კორელაციაშია მისი მოსახლეობის რაოდენობასთან.

2) საპორტო ქალაქის მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაში „საზღვაო შემადგენელის“ წილი.


XIII-XVIII საუკუნეებში საქალაქო ცხოვრება საქართველოში დაქვეითებული იყო ეპიდემიების, თურქთა შემოსევებისა და ტყვეთა სყიდვის გამო.

1860-იანი წლების ბურჟუაზიული რეფორმების შედეგად, რუსეთში დაწყებული ეკონომიკური ძვრები საქართველოზეც აისახა და ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარებაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება დაიწყო შავი ზღვის ქართულმა სანაპირომ. სწორედ ამ პერიოდიდან აქტიურდება ბათუმისა და ფოთის პორტების ქალაქწარმომქმნელი ფუნქცია. თუ 1807 წელს ბათუმის მოსახლეობა 2000 კაცს შეადგენდა, 1878 წელს კი 3000-ს, 1882 წელს 8671-ს მიაღწია, ანუ მოსახლეობა ქალაქის თურქეთის ბატონობიდან თავის დაღწევისა და სატრანსპორტო და სამხედრო-ადმინისტრაციული ფუნქციის შეძენის შემდეგ 4-ჯერ გაიზარდა. რაც შეეხება ფოთს, ის სანავსადგურო ქალაქი 1858 წელს გახდა და მოსახლეობის რაოდენობა 1865 წლის მონაცე-

მებით 1309 კაცი იყო. ქალაქის სანავსადგურო-სატრანსპორტო ფუნქციით დატვირთვამ კი 1897 წლის რუსეთის იმპერიის საყოველთაო აღნერის მონაცემებით, მოსახლეობა 7 666 კაცამდე, ანუ 5,8-ჯერ გაიზარდა, ბათუმის მოსახლეობა, ამავე მონაცემებით, 28 500 კაცი გახდა და 1807 წელთან შედარებით 14,5-ჯერ გაიზარდა.

სანავსადგურო ქალაქებში ეკონომიკური ცხოვრების აღმავლობამ მიიზიდა მოსახლეობა, რომლის რაოდენობაც შრომის გამოყენების სფეროების გამრავალებრივნების შესაბამისად სწრაფი ტემპებით იზრდებოდა არა მარტო გურია-სამეგრელოს სოფლის მოსახლეობის, არამედ თურქეთიდან შემოსული სომხებისა და ბერძნების ხარჯზეც.

### ბათუმისა და ფოთის მოსახლეობის დინამიკა XIX – XXI საუკუნეებში



(წყარო: მოსახლეობის აღნერის მასალები; კავკასიის კალენდარი, 1915)

გრაფიკზე ასახულია ბათუმის და ფოთის მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკა რუსეთის იმპერიის მოსახლეობის პირველი აღნერიდან დამოუკიდებელი საქართველოს პირველი აღნერის ჩათვლით, სადაც ჩანს გარკვეული ტენდენციები. კერძოდ:

XIX ს-ის ბოლოს ბათუმის მოსახლეობის მატების მთავარი მიზეზი მისი საპორტო, სავაჭრო და სამრეწველო ფუნქციების განვითარება-შია და თუ 1807 წელს იქ 2000-მდე კაცი ცხოვრობდა, 1914 წელს ქალაქის მოსახლეობა 38 615 კაცი გახდა, ანუ 19,3 ჯერ გაიზარდა. ბათუმი XIX საუკუნეში დინამიკურად ვითარდებოდა და განვითარების ტემპით მეორე ადგილზე იყო ბაქოს მერე.

ფოთის მოსახლეობა 1865-1914 წლებში 15,0 ჯერ გაიზარდა, რადგანაც პორტის განვითარება დიდი რაოდენობით მუშა ხელს საჭიროებდა.

1914-21 და 1939-59 წლებში ბათუმისა და ფოთის მოსახლეობის ზრდის ტემპები შესამჩნევად შენელდა, ომებისა და ბათუმის ჩიხური მდებარეობის გამო სასაზღვრო ზონაში.


საბჭოთა პერიოდში პორტების ქალაქწარმომქმნელი ფუნქცია კვლავაც მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა. 1959-89 წლებში საბჭოთა საქართველოს ეკონომიკა სწრაფი ტემპებით ვითარდებოდა და პოლიტიკურ-ეკონომიკური სტაბილურობა და სოციალური დაცულობა ქმნიდა პირობებს მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდისთვის. 1959-1989 წლამდე საკვლევი ქალაქების, ბათუმისა და ფოთის მოსახლეობა გაიზარდა შესაბამისად 1,6 და 1,0-ჯერ, თუმცა გასაბჭოებამდელ ტემპებს მკვეთრად ჩამორჩებოდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდის პირველი აღნერი-დან დღემდე ბათუმისა და ფოთის მოსახლეობის რაოდენობრივი დინა-მიკა ასეთია: ბათუმის მოსახლეობა გაიზარდა 122 000-დან 2002 წელს, 160 000-მდე 2013 წელს; ფოთის მოსახლეობა 47 100-დან 2002 წელს, 47 700-მდე 2013 წელს. ფოთის მოსახლეობის რაოდენობრივი ცვლილებები უმნიშვნელოა, ხოლო ბათუმის მოსახლეობის შედარებითი რაოდენობრივი ზრდა გამოწვეულია მიმდებარე რეგიონებიდან შიდა ეკონომიკური და ეკოლოგიური მიგრაციით.

XIX ს-ის 80-იანი წლებიდან მეფის რუსეთმა აჭარა შემოიერთა და დანარჩენი საქართველოსგან მოწყვეტილმა ბათუმმა ეკონომიკური კავშირების აღდგენა დაიწყო. ამას დაერთო რუსული ბაზრის გაფართოების მიზნით საქართველოსა და ამიერკავკასიაში სარკინიგზო ხაზებისა და დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შორის დამაკავშირებელი ახალი გზების გაყვანა. 1883 წელს დაიწყო ბათუმის ნავსადგურის მშენებლობა და განისაზღვრა მისი, როგორც ბაქოს ნავთობის მსოფლიო ბაზარზე ერთადერთი მიმწოდებლის სპეციალიზაცია. 1890 წელს გაიხსნა სურამის საულელტეხილო რკინიგზა. ამიერკავკასიის რკინიგზის ექსპლუატაციის დაწყებამ გამოიწვია კავშირების გაღრმავება ბაქოს, თბილისა და ბათუმს, ანუ კასპიისა და შავი ზღვის აუზებს შორის, ასევე, საქართველოს შიგნით ქალაქებსა და სასოფლო დასახლებებს შორის. მთლიანად ამიერკავკასიის რუსეთსა და ევროპასთან დაკავშირებამ კი განავითარა საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები, გამოიწვია საქართველოში კაპიტალიზმის ჩასახვა და ფეოდალური დაქუცმაცებულობიდან ერთიანი შიდა ეროვნული ბაზრის შექმნისკენ სვლა.

XIX ს-ის ბოლოს საქართველოს შავი ზღვის აუზში ორი მძლავრი საზღვაო ნავსადგური ჰქონდა ბათუმისა და ფოთის სახით.

### ტეირთპრუნგა



ფოთის ნავსადგურის ტეირთპრუნგა 1884 წელს იყო 172 000 ტონა, 1902 წელს – 585 900 ტონა, 1913 წელს კი 1 071 400 ტონამდე გაიზარდა. პორტის ტეირთპრუნგაში მარგანეცის ნილი იყო 88%, რაც ევროპაში მოხმარებული მარგანეცის 70%-ს შეადგენდა.

ბათუმის ნავსადგურის ტეირთპრუნგა 1883 წელს 91 000 ტონა იყო, 1902 წელს – 1 760 000 ტონა. 1883 წელს ნავთობპროდუქტების ნილი ტეირთპრუნგაში 54,5%-ს შეადგენდა, 1902 წელს – 74,4%-ს. ეს იყო ნავთობის ექსპორტის პიკი, რუსეთს მთლიანად ეპყრა ევროპის ბაზარი, მაგრამ მალე კონკურენტი გამოუჩნდა აშშ-ის სახით, რაც ბათუმის პორტის ტეირთპრუნგაზეც აისახა.

საბჭოთა პერიოდში ამიერკავკასიისა და შუა აზიის რესპუბლიკების საერთაშორისო და შიდა კავშირები ქართული პორტების მეშვეობით ხორციელდებოდა საბჭოთა კავშირის სამხრეთ რაიონებთან და საზღვარგარეთის ქვეყნებთან. თუმცა ეს კავშირები ნაკლებად ინტენსიური იყო ცენტრალიზებული ეკონომიკისა და სოციალისტური ბანაკის ჩაკეტილი სივრცის გამო.

საბჭოთა საქართველოს ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსის სივრცობრივი სტრუქტურის სრულყოფისა და თბილისის სამრეწველო აგლომერაციის ჰიპერტროფიული განვითარების თავიდან აცილების მიზნით, მიზანშენონილი გახდა საქართველოს ზღვისპირა მდებარეობის როლის წამოწევა და შავიზღვისპირეთის სამეურნეო კომპლექსის

## თამარ დოლბაია


განვითარება, საკავშირო მნიშვნელობის ბათუმისა და ფოთის საპორტო-სამრეწველო კომპლექსების შექმნის გზით.

ფოთი საქართველოს ძირითადი პორტი იყო მშრალი ტვირთების გადაზიდვაში. სპეციალიზაციას განსაზღვრავდა ჭიათურის მარგანეცის ექსპორტი. პორტი იღებდა სსრკ-ის სამხრეთი რაიონებიდან რკინისა და ქვანახშირს, იმპორტულ ბოქსიტსა და მარცვლეულს ამიერკავკასიის რესპუბლიკებისთვის.

ბათუმი ქვეყნის უმთავრესი სატრანსპორტო კვანძი იყო. იგი აკავშირებდა ამიერკავკასიას, შუა აზიასა და სსრკ-ის სამხრეთ რაიონებს საზღვარგარეთის ქვეყნებთან. სპეციალიზებული იყო ნავთობის გადაზიდვაზე. ის შავი ზღვის აუზის სამგზავრო და საკრუიზო ხაზების მნიშვნელოვანი პუნქტი იყო.

საკვლევი ქალაქების სამრეწველო განვითარება განპირობებული იყო ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა მათი ზღვისპირა მდებარეობისა და საპორტო პოტენციალის სრულად გამოყენება.

ბათუმის საპორტო-სამრეწველო კომპლექსის სტრუქტურას ჰქონდა შემდეგი სახე:



პირველი „ბლოკი“ მოიცავდა საზღვაო პორტს, მის მომსახურე საწარმოებს, სატრანსპორტო კომუნიკაციებს, ნავთობგადამტვირთავ საწარმოს. პორტში დასაქმებული იყო 846 კაცი. ბათუმი საზღვაო ტრანსპორტის მართვის რესპუბლიკურ ცენტრს წარმოადგენდა. იქ

1967 წლიდან მოქმედებდა საქართველოს საზღვაო სანაოსნო სამმართველო, რომელიც შეიქმნა ბათუმის, ფოთისა და სოხუმის პორტების ბაზაზე. სანაოსნოს ბალანსზე 49 საზღვაო-სატრანსპორტო გემი, სამი საზღვაო პორტი და მათი ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭირო ყველა სანაპირო ორგანიზაციათა და სანარმოთა კომპლექსი იყო, აღჭურვილი მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. ბათუმის პორტი, შეინარჩუნა რა ტრადიციული სპეციალიზაცია ნავთობისა და ნავთობროდუქტების ექსპორტზე, გადაიქცა მაღალგანვითარებულ საპორტო-სამრეწველო კომპლექსად შავი ზღვის აუზში.

მეორე „ბლოკი“ მოიცავდა სანარმოებს, რომელთა შექმნა უშუალოდ ქალაქის ზღვისპირა გეოგრაფიულმა მდებარეობამ განაპირობა. ესენი იყო: ნავთობგადამამუშავებელი და გემთმშენებელი ქარხნები და აჭარის თევზჭერის ფლოტის სამმართველო, რომელიც დიდ როლს ასრულებდნენ ბათუმის მრავალდარგოვანი მრეწველობის შექმნაში. 80-იან წლებში ეს დარგები იძლეოდა რესპუბლიკის მთლიანი სამრეწველო პროდუქციის 5%-ს.

ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა, რომლის სიმძლავრე იყო 4 მლნ ნედლი ნავთობი წელიწადში, ანარმობდა 20-ზე მეტი დასახელების პროდუქციას. მისი ხვედრითი წილი მაღალი იყო არა მარტო ქალაქის მრეწველობაში, არამედ ქალაქის სატრანსპორტო ფუნქციის ფორმირებაში, რადგანაც ის ქმნიდა მნიშვნელოვან ტვირთნაკადებს და ჰინტერლანდს პორტისთვის. ქალაქის მრეწველობაში 1985 წელს მისი წილი 33,6% იყო, პორტის ტვირთბრუნვაში – 73,9%. მასზე მოდიოდა საქართველოს ნავთობპროდუქტებით მომარაგების 40%.

ბათუმის გემთმშენებელი ქარხნის პროდუქცია, წყალქვეშა ფრთიანი კატარლები „ვოლნა“, იგზავნებოდა დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, აშშ-ში, უნგრეთში, სირიაში, შვედეთში, არგენტინაში, ტაილანდში, სინგაპურში, სულ 42-მდე ქვეყანაში. წარმოებული კატერების 80% საექსპორტო იყო.


აზოვ-შავი ზღვის აუზში თევზის მრეწველობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრს, აჭარის თევზსაჭერი ფლოტის სამმართველოს, პორტში ჰქონდა საკუთარი მისადგომი და 22-გემიანი ფლოტი.

მესამე „ბლოკში“ გაერთიანებული სანარმოების შექმნა განაპირობა ორმა ფაქტორმა: კვალიფიციური მუშახელის არსებობამ და ბათუმის ნავსადგურით ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების წარმოების შესაძლებლობამ. მათ რიცხვს მიეკუთვნებოდა: მანქანათმშენებელი ქარ-

ხანა, რომელიც უშვებდა ჩაის გადამამუშავებელ, ღვინისა და საკონ-სერვო მრეწველობისთვის საჭირო ტექნოლოგიურ მოწყობილობებს. ქარხნის წილად მოდიოდა მანქანათმშენებლობის დარგის მთლიანი სამრეწველო პროდუქციის 18, 3%, ხოლო ბათუმის მრეწველობის 2,8%. სულ ბათუმის პორტიდან 1980-იან წლებში საექსპორტოდ გადი-ოდა ოცდათერთმეტი დასახელების პროდუქცია 64 ქვეყანაში.

დარგობრივი სტრუქტურა 60-იანი წლებიდან 80-იანი წლების ბო-ლომდე უცვლელი იყო. გამოშვებული სამრეწველო პროდუქცია რაო-დენობრივად და ფულად გამოხატულებაში განუხრელად იზრდებოდა. მთლიანად ბათუმის სამრეწველო კომპლექსში 40 სანარმო იყო. აქედან საპორტო-სამრეწველო კომპლექსმა ფორმირებელი 8 საწარმოს სასა-ქონლო პროდუქციაზე მოდიოდა მთლიანი პროდუქციის 57,7%; სამ-რეწველო პერსონალის – 49,6%; მოგების 55,7% 1988 წელს კომპლექ-სმა ფორმირებელმა დარგებმა აჭარის ასსრ მთლიანი სამრეწველო პროდუქციის 51% ანარმოეს, ხოლო რესპუბლიკის სამრეწველო პრო-დუქციის 4,9% (ციფრობრივი მასალა აღებულია აჭარის სტატისტიკის სამმართველოში).


ფოთის საპორტო-სამრეწველო კომპლექსი, მოიცავდა შემდეგ ბლოკებს:



ფოთში XX საუკუნის 80-იანი წლებისთვის 20 საწარმო იყო. 1985 წელს გამოშვებული იყო 197 086 მანეთის სამრეწველო პროდუქცია. აქედან საპორტო-სამრეწველო კომპლექსის საწარმოებზე მოდიოდა 163 057 მანეთი, ანუ მთლიანი სამრეწველო პროდუქციის 82%. საექ-სპორტო პროდუქციას ფოთში ანარმოებდა 5 სამრეწველო საწარმო. საქონელი გადიოდა 40 ქვეყანაში. გემთმშენებელი ქარხანა წყალქვეშა


ფრთიან კატარდა „კოლხიდას“ უშვებდა, წელიწადში 45 ცალს იტალი-ისთვის, ესპანეთისთვის, იუგოსლავისთვის, საბერძნეთისთვის. მინისმნოვი მანქანები გადიოდა გდრ-ში, პოლონეთში, რუმინეთში, ვიეტნამში. დაბალვოლტიანი აპარატურა – ბულგარეთში, ალჟირში, კორეაში, პაკისტანში, სირიასა და სხვ. „ფოთიელექტროაპარატის“ პროდუქცია წინაღობის ყუთები, მაგნიტური ველის გამაძლიერებლები, წრიული დენის მიმღებები, გადიოდა საექსპორტოდ 40 ქვეყანაში ალჟირში, ინგლისში, ტანზანიაში, თურქეთში, სირიაში და სხვ. 1985 წელს შრომითი რესურსები ფოთის მოსახლეობის 49,7%-ს შეადგენდა. აქედან მრეწველობასა და პორტში მუშაობდა – 67,5%; ბათუმში შრომითი რესურსები მოსახლეობის 48,6%-ს შეადგენდა და მრეწველობასა და პორტში 44,3% მუშაობდა.

აქვე მოგვყავს ბათუმისა და ფოთის მთლიანი სამრეწველო პროდუქცია 1970-1985 წწ., სადაც ნათლად ჩანს საპორტო-სამრეწველო კომპლექსში შემავალ საწარმოთა მაღალი ნილი. საპორტო-სამრეწველო კომპლექსი ამ ქალაქების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მამოძრავებელი, სპეციალიზაციის განმსაზღვრელი და ქალაქწარმოქმნელი ფაქტორი იყო.



**წყარო:** სტატისტიკური კრებულები

## თამარ დოლბაია



**წყარო:** სტატისტიკური კრებულები

ამრიგად, ბათუმისა და ფოთის საპორტო-სამრეწველო კომპლექსები, რომლებიც ვითარდებოდა უშუალოდ პორტისა და ზღვისპირა გეოგრაფიული მდებარეობის უპირატესობების გამოყენებით, მნიშვნელოვან ქალაქწარმომქმნელ ფაქტორებს წარმოადგენდნენ XX საუკუნის 90-იან წლებამდე.

გარდამავალი ეკონომიკის პირობებში, მეურნეობის განვითარებისთვის საჭირო მატერიალური და სოციალური რესურსების არსებობის მიუხედავად, ბათუმისა და ფოთის საპორტო-სამრეწველო კომპლექსები (სსკ) დაიშალა და ქალაქები დღემდე ვერ იყენებენ ზღვისპირა მდებარეობითა და პორტების ფუნქციონირებით შესაძლო განვითარებისა და ზრდის საშუალებებს.

დღეისათვის ბათუმში სამასამდე საწარმოა რეგისტრირებული და არცერთი არაა დაკავშირებული ზღვისპირა მდებარეობასა და საპორტო საქმიანობასთან. ფოთის სამეურნეო პროფილში უფრო მეტადაა შენარჩუნებული სსკ-ის სპეციალიზაცია. 250-ზე მეტი დარეგისტრირებული საწარმოდან მხოლოდ რვაა მოქმედი, მათ შორის ყოფილ საპორტო-სამრეწველო კომპლექსში შემავალი წისქვილქარხანა, ფოთიპიდრომანქანა და გემთსაშენი ქარხანა. მთლიანი გამოშვებული სამრეწველო პროდუქცია 2009 წელს – 1 699 500 ათასი ლარი იყო. აქედან 502 300 ლარი სწორედ ამ სამი ქარხნის წილია; კიდევ 890 200 ლარი კი სამი თევზის გადამამუშავებელი ქარხნის, რაც მთელი სამრეწველო პროდუქციის 81%-ს შეადგენს. მრეწველობაში დასაქმებულია 1520 კაცი. ზემოთ ჩამოთვლილ 6 საწარმოში მრეწველობაში მთლიანად დასაქმებულთა 45,3%-ია.

ქართულ პორტებს დაკარგული აქვთ ქალაქების მავითარებელი ფუნქცია. საპორტო ქალაქებსა და პორტებს შორის მოშლილია ფუნქციონალურ-სივრცითი კომუნიკაცია და გაწყვეტილია ეკონომიკური კავშირები, მაშინ როცა პორტი და ქალაქი ერთმანეთისთვის მუდმივ სოციალურ, ინფრასტრუქტურულ და სამეურნეო საყრდენს უნდა წარმოადგენდეს. ასეა ევროპაში, სადაც პორტები თავის ირგვლივ ქმნიან ეკონომიკურ კვანძებს და დიდია მათი პარტისიპაცია ურბანულ განვითარებაში.

საქართველოსთვის, როგორც ევროპის პერიფერიული ნაწილის ეკონომიკისთვის ეფექტური საპორტო სისტემების შექმნა-განვითარება აუცილებელია საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართვისა და ექსპორტზე ორიენტირებული დარგების განვითარებისათვის.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. ჯაოშვილი ვ. (1996). საქართველოს მოსახლეობა. „მეცნიერება“.
2. გუგუშვილი პ. (1957). მრეწველობის განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში XIX –XX ს-ებში. თბილისი.
3. ქ. ფოთისა და ბათუმის ყოველწლიური სტატისტიკური კრებულები.
4. საქართველოსა და აჭარის სტატისტიკური კრებულები.
5. Bartlett R. (1998). The crisis of America's cities. M.E. Sharpe.Inc. NY.
6. Bernd W. (1981/2). New ports as nodes for industrial and urban development: the cases of Richards Bay and Saldanha in sought Africa. "Geojournal". 51-58.
7. Harding A. L. (2007). Seaports and people of Europe. Kessinger Publishing.

**Tamar Dolbaia**

Associate Professor

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

### **Sea Port, as a City-Forming Factor**

#### **Resume**

For Georgia as part periphery of Europe creation and development of effective port systems is important for its inclusion in international trade and for the development of export-oriented fields.

City-forming factors of Georgian ports discussed in this work is evaluated by two indicators, these are: quantitative dinamics of population and volume of „sea part“ in economic activities of port cities.

Main city-forming functions of Batumi and Poti in XIX-XX centuries lay in the development of sea transport and trade, military – administrative and port-industrial functions.

Today Georgian ports are stripped of their city-developing functions. Functional-spacial communications and economic connections are split between portal agglomerations and ports, although port and city represent social, infrastructural and economic basis for each other. In Europe ports create economic links around itself and actively participate in the development of urban economy and infrastructure.

**ვალერიან დოლიძე**  
ასისტენტი პროფესორი, თსუ

**სოციალური ცვლილებები და პოლიტიკური  
დინამიკის მექანიზმები საქართველოში**

პოლიტიკური პროცესი კონკრეტულ საზოგადოებრივ კონტექსტში წარმოიშობა და მიმდინარეობს. ის აქედან იღებს საკუთარი კვლავწარმოებისათვის საჭირო იმპულსებს, რადგანაც სწორედ საზოგადოება წარმოადგენს იმ ინტერესების წყაროს, რომელთა არტიკულაცია და აგრეგაცია წარმოქმნის პოლიტიკურ დინამიკას. საზოგადოების ცხოვრების დონე, მისი სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარება, კლასობრივი, რელიგიური, ეროვნული, რასობრივი შემადგენლობა, საზოგადოებაში არსებული წინააღმდეგობები, მათი სიღრმე და ა.შ. ასახვას პოულობს პოლიტიკაში, სადაც საზოგადოებაში არსებული ინტერესები პოლიტიკურ ინტერესებად გარდაქმნებიან. როგორც საზოგადოების შემადგენელი ნაწილები, ასევე თავად საზოგადოებაც, წარმოადგენენ ინტერესთა არტიკულაციის საზოგადოებრივ ბაზას. ინტერესთა არტიკულაციის საზოგადოებრივ ბაზას განვსაზღვრავთ, როგორც საერთო სპეციფიკური ნიშნის მქონე ადამიანთა ერთობლიობას, რომლის მახასიათებლის საფუძველზეც ხდება მისი საერთო ინტერესების შეცნობა და მათი გარდაქმნა პოლიტიკურ მოთხოვნებად. ინტერესი – ეს არის ყველაფერი ის, რასაც სარგებლობის მოტანა შეუძლია კონკრეტული ადამიანების, მათი ჯგუფების ან მთლიანად საზოგადოებისათვის. ასეთი შეიძლება იყოს კონკრეტული კანონი, მაგალითად, იმ ადამიანებისათვის, რომლებიც სხვებისაგან შეიძლება გამოვარჩიოთ ისეთი ნიშნით, როგორიც არის მცირე ბიზნესის ფლობა, ეს ნიშანი წარმოშობს ფიქსირებული გადასახადის შემოღების ინტერესს, რადგანაც ეს კონკრეტულ სარგებელს მოუტანს მცირე ბიზნესის მფლობელებს – ბიზნესის გაფართოების საშუალებას მისცემს მათ; ინტერესის საგანი შეიძლება იყოს ისეთი ღრმა პოლიტიკური ცვლილები, როგორიცაა რევოლუციები – ფრანგი გლეხები

დაინტერესებულნი იყვნენ რევოლუციით, რადგანაც მან მიწა მისცა მათ. რაც უფრო ნაკლებად განსხვავდებიან საზოგადოების შემადგენელი ჯგუფები ერთმანეთისაგან, რაც უფრო სუსტია მათ შორის არსებული წინააღმდეგობა, მით უფრო პომოგენურია ინტერესთა არტიკულაციისა და აგრეგაციის საზოგადოებრივი ბაზა, მით უფრო ნაკლებად კონფლიქტურია ინტერესთა არტიკულაცია და აგრეგაცია, რადგანაც უფრო ნაკლებია იმის აღბათობა, რომ საზოგადოების ერთი ნაწილის ინტერესების დაკმაყოფილება მოხდება სხვების ხარჯზე. საზოგადოებაში არსებული წინააღმდეგობის სიღრმე განსაზღვრავს თუ რამდენად არის გახლეჩილი საზოგადოება, როგორ არის წარმოდგენილი საზოგადოებაში გამყოფი ხაზები, რამდენად შორს დგანან ერთმანეთისაგან საზოგადოების წევრები, რამდენად დიდია მათ შორის არსებული სოციალური დისტანცია.

საზოგადოებრივ კონტექსტსა და პოლიტიკურ პროცესს შორის არსებულ კავშირს შეიძლება დავაკვირდეთ სოციალურ ცვლილებებსა და პოლიტიკურ დინამიკას შორის არსებული დამოკიდებულების საფუძველზე საქართველოს განვითარების სამი შემთხვევის მაგალითზე. ეს შემთხვევები ერთმანეთისაგან განსხვავდება საზოგადოების კლასობრივი შემადგენლობით, კოლექტიური იდენტობებით, კულტურული და ეკონომიკური განვითარებით, სოციალური დისტანციით და ა.შ. თითოეულმა მათგანმა მოგვცა განსხვავებული პოლიტიკური დინამიკა და წარმოშვა პოლიტიკური განვითარების განსხვავებული ვექტორი. პირველი შემთხვევა მოიცავს 1800-1921 წლებს; მეორე 1921-1989 წლებს, მესამე – პოსტკომუნისტურ საქართველოს. მეორე შემთხვევაში ხდება პირველი შემთხვევის უარყოფა — ყალიბდება მისგან აბსოლუტურად განსხავებული საზოგადოება და შესაბამისი პოლიტიკური დინამიკის საფუძველზე იცვლება პოლიტიკური განვითარების ვექტორი; მესამე შემთხვევა წარმოადგენს მეორე შემთხვევის უარყოფას, რის შედეგადაც საქართველო უბრუნდება თავისი განვითარების თავდაპირველ ვექტორს. ამავე დროს, მისი ბევრი არსებითი მახასიათებელი იმეორებსპირველ შემთხვევას, თუმცა უფრო მაღალ დონეზე. აღსანიშნავია, რომ სპირალის მესამე რკალზე საქართველო მხოლოდ იწყებს აღმასვლას, რის გამოც აქ მხოლოდ პროცესების დასაწყისში ვიმყოფებით. ამიტომ მსგავსებაც პირველ შემთხვევასთან სრულად არ არის განვითარებული.

საქართველოს განვითარება ემსგავსება სპირალს, რომლის მეორე რეალი უარყოფს პირველს, მესამე უარყოფს მეორეს და უახლოვდება პირველს, მაგრამ უფრო მაღალ დონეზე. საქართველო მოექცა განვითარების უარყოფის სპირალში.

### 1. სპირალის პირველი რკალზე: საქართველო რუსეთის იმპერიასა და დამოუკიდებელ სახელმწიფოში

მეფის რუსეთის შემადგენლობის არსებობის დიდი ხნის განმავლობაში (64 წელი) საქართველო ვითარდებოდა, როგორც ბატონყმური ქვეყანა (1800-1864), ხოლო 53 წლის განმავლობაში (1864-1917) ბატონყმობის გადმონაშების პირობებში, სადაც მიწა, ძირითადად, თავადაზნაურობის საკუთრებას წარმოადგენდა. დამოუკიდებლობის წლებში (1918-1921), გლეხთა აჯანყებების შედეგად, გარკვეული ცვლილები გატარდა აგრარულ ურთიერთობებებში, მაგრამ მას რადიკალური ცვლილებები არ განუცდია. ქართული საზოგადოების წევრებს შორის დიდი იყო როგორც ქონებრივი და კულტურული, ასევე საზოგადოებრივ სტატუსებს შორის არსებული განსხვავებაც, რაც დიდი სოციალურ დისტანციის საფუძველს წარმოადგენდა. სხვადასხვა კლასებისა და წოდებების ინტერესები რადიკალურად უპირისპირდებოდა ერთმანეთს, რის გამოც ერთი მათგანის ინტერესის დაკმაყოფილება საჭიროებდა სხვების ინტერესების შელახვას. ეს ართულებდა ინტერესთა აგრეგაციას. ქვეყანა იყო აგრარული, მოსახლეობის უმრავლესობა უნიგნური, რაც კიდევ უფრო მეტად ამწვავებდა კომუნიკაციის პრობლემას ტრანსპორტის სუსტად განვითარების პირობებში. საზოგადოებაში გაბატონებული იყო რუსული ენა და ადმინისტრაცია (გამონაკლისია მხოლოდ დამოუკიდებლობლად არსებობის მცირე პერიოდი), კომუნიკაციები ქვეყნის შიგნით ძალიან სუსტად იყო განვითარებული, კუთხეები ერთმანეთისაგან იზოლირებულ რეჟიმში ფუნქციონირებდნენ, მცირერიცხოვანი იყო ქართული ინტელიგენცია, ქართველი ხალხი არ იყო ჩამოყალიბებული ერად და შინაგანად გათიშული იყო სხვადასხვა წოდებების საფუძველზე, არსებობდა თურქეთის შიში. ძალიან სუსტი იყო საერთო ეროვნული იდენტობის გრძნობა, რის გაძლიერებასაც ხელს უშლიდა წოდებრივ-კლასობრივი და კუთხური იდენტობები, ღრმა კლასობრივი წინააღმდეგობა და მის საფუძველზე განვითარებული ძლიერი სოციალური დისტანციის არსებობა.

ყოველივე ეს წარმოშობდა შესაბამის მორალურ-ფსიქოლოგიურ კლიმატს, რომელსაც ახასიათებდა წოდებრივი და კლასობრივი სიძულვილი და უნდობლობა, გარეშე მაჰმადიანი მტრისაგან დაუცველობის გრძნობა, რის გამოც არც საერთო ეროვნული იდეა არსებობდა და არც მის ირგვლივ გაერთიანების შესაძლებლობა. სწორედ ეს იყო ის, რაც აძლიერებდა რუსეთის პოზიციებს საქართველოში. განსაკუთრებით აქტუალური იყო მიწასთან დაკავშირებული პრობლემები. როგორც ივანე ჯვახიშვილი აღნიშნავს, საქართველოში აგრარულ მოძრაობას თავისი ხანგრძლივი ისტორია გააჩნია. მისი სიტყვებით, დოკუმენტები მონმობს, რომ მძიმე პოლიტიკური მდგომარეობის მიუხედავად, მთელი მე-18 საუკუნის განმავლობაში საქართველოში არ შეწყვეტილა აგრარული მოძრაობა. გლეხობა უმძიმეს მდგომარეობაში იყო ჩაყენებული საკუთარი ბატონების მიერ. ამიტომ რუსეთის შემოსვლას საქართველოში ის, თავდაპირველად, იმედის თვალით შეჰქმდებდა. თანავადზნაურობისაგან განსხვავებით, რომელმაც რუსი ჩინოვნიკების სასარგებლოდ დაკარგა თავისი მთელი რიგი პრივილეგიები, მას ეგონა, რომ რუსეთი მის მდგომარეობას გააუმჯობესებდა. ამიტომ, როცა რუსეთის ბატონობის პირველ წლებში, მთელი თავადაზნაურობა ქართლ-კახეთში რუსეთის საწინააღმდეგოდ განეწყო, ქართველი გლეხობა ჯერ კიდევ მოლოდინის მდგომარეობაში იმყოფებოდა. როგორც თავად ო.ციციანოვის ერთ-ერთი გლეხის ქალი ატყობინებდა რუს ჩინოვნიკს, ის ისევე, როგორც მთელი მამაკაცები, რუსების ერთგულები იყვნენ, ხოლო თავადები და აზნაურები კი მათ (ე. ი. რუსებს – ვ.დ.) ვერ იტანდნენ. (1, 106). ამის მიუხედავად, საბოლოო ჯამში, გლეხობა მაინც აქტიურად ებმება რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ ამბოხებებში - 1804 წლის მთიულეთის, 1812 წლის კახეთის, 1819 წლის იმერეთის აჯანყებები. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქართულ საზოგადოებაში გადაიჭრა განსხვავებული ინტერესების საფუძველზე არებული წინააღმდეგობები და ურთიერთუნდობლობა. ამ მოვლენებიდან ცოტა ხნის შემდეგ, გლეხობა ისევ ცარიზმის მოიმედედ გვევლინება და მისგან ელის შველას საკუთარი ბატონების წინააღმდეგ. ეხება რა 1832 წლის შეთქმულების წარუმატებლობის მიზეზებს, ივანე ჯვახიშვილი შენიშნავს, ფალავანდიშვილის ღალატიც რომ არ ყოფილიყო, ის მაინც წარუმატებელი იქნებოდა, რადგანაც გლეხობა არ უჭერდა მას მხარსო. ისტორიკოსის მოწმობით, ამ დროს საზოგადოებაში კვლავ დაიწყო ძლიერი მოძრაობა ბატონყმობისაგან განთავისუფლებისათვის. გლე-

ხობა მასობრივად ცდილობდა ბატონიშვილისაგან განთავისუფლებას და ამისათვის რუსულ სახელმწიფო დაწესებულებს მიმართავდა ხოლმე. როგორც ბარონი როზენი აღნიშნავდა, შესაბამისი დაწესებულები გადავსებული იყო თავისუფლების მაძიებლებით და თუ ქმედითი ღონისძიება არ იქნებოდა გატარებული, მათი რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდებოდა. რუსული ჩინოვნიკობა, ივანე ჯავახიშვილის მოწმობით, გლეხებს უჭერდა მხარს. ამიტომ, რუსული რეჟიმის სიმძიმის მიუხედავად, ისინი მაინც არ გამოვიდოდნენ რუსი ჩინოვნიკების წინააღმდეგ, რადგანაც მისგან ელოდნენ დახმარებას საკუთარი ბატონების მონობისაგან განთავისუფლებაში (1,116 - 117). ქართულ საზოგადოებაში არსებული ღრმა წინააღმდეგობა და კლასობრივ-წოდებრივი ხასიათის დაპირისპირებულობა ყველაზე ნათლად წარმოაჩინა მე-19 საუკუნეში სამეცნიელოს გლეხთა აჯანებამ კოჩა თოდუას, მართალი თოდუას და უტუ მიქავას მეთაურობით. ქართველი გლეხობის პოლიტიკური პორტრეტის შექმნაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მაპმადიანური სამყაროდან მომდინარე შიში, რომელთანაც დაკავშირებული იყო ქართველი მოსახლეობის მოტაცება და მონებად გაყიდვა უცხოეთში. ესეც მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო, რომელიც ხელს უშლიდა საერთო ქართული იდენტობის განვითარებას ქართველ გლეხობაში. როგორც ნოე ჟორდანია იგონებს: „ასეთ ატმოსფეროში აღზრდილი გურულები ვერც კი წარმოიდგენდნენ თავისუფალ საქართველოს. თვით ამ სახელზედაც არ ჰქონდათ ნამდვილი წარმოდგენა. საქართველო წიშნავდა ქართლს, ქართველი – ქართლელს, ხანდახან, კახელსაც. ერთი მთლიანი ქართველი ერი, ერთი მთლიანი საქართველო მის წარმოდგენაში სრულებით არ არსებობდა. ის მუდამ ფიქრობდა თავის დაცვაზე თათრებისაგან. ამ საქმეში მის დამხმარეთ ვერავის ხედავდა გარდა რუსისა“ (2, 101). ამიტომ სახელმწიფოსა და თავადაზნაურობას შორის წარმოშობილი დაპირისპირების დროს ის მთავრობის მხარეზე დგებოდა ხოლმე. როცა მეფის ჩინოვნიკმა, ვინმე ქიქოძემ, გურიაში ყველა კერძო პირის ტყე სადაცოდ გამოაცხადა, რაც თავადაზნაურთა ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა, გლეხობამ ხაზინას დაუჭირა მხარი. (2, 13). ნოე ჟორდანიას დახასიათებით გლეხი მონარქისტი იყო (იქვე).

ასეთი წოდებრივი დაპირისპირება ვერც ბატონიშვილის გაუქმებამ მოსპო. კლასობრივ-წოდებრივი იდენტობა, ღარიბი საზოგადოების პირებებში, შუაზე ყოფდა ხალხს, მის სხვადასხვა ნაწილებს ერთმანეთს უპირისპირებდა ურთიერთშეუთავსებელი ინტერესების გამო, რომელ-

თა ნეიტრალური არტიკულაცია შეუძლებელი იყო და ის აუცილებლად სხვისი ინტერესების საფუძველზე უნდა განხორციელებულიყო. ერის შემადგენელ ნაწილებს შორის საკმაოდ დიდი სოციალური დისტანცია არსებობდა, რომლებიც საზოგადოების სხვადასხვა პოლუსებს წარმოადგენდნენ. სოციალური დისტანცია კლასებს შორის იმდენად ძლიერი იყო, რომ მისი კვალი საბჭოთა ხელისუფლების დროსაც კი არ წაშლილა მთლიანად. ჩემი რესპონდენტის ცნობით, მეოცე საუკუნის სამოციან წლებში, მისი დიდი ბებია მას უკრძალავდა მეზობლის ბავშვებთან თამაშს, რადგანაც ეს სოფელი თავის დროზე ამ ოჯახს ეკუთვნოდა და ამ ბავშვების ბებიები და ბაბუები ძველად მათი ოჯახის მოჯამაგირები იყვნენ. გახლეჩილი საზოგადოების თითოეული მხარე საკუთარი პარტიითა და იდეოლოგით იყო წარმოდგენილი. საზოგადოების სწორედ ასეთმა შინაგანმა გათიშვამ გამოიწვია რუსული რევოლუციები.

საქართველოს გასაბჭოებამდე ძლიერი სოციალური დისტანციის წყაროს წარმოადგენდა ადამიანებს შორის არსებული დიდი განსხვავებები ისეთი ნიშნების მიხედვით, როგორიც იყო საკუთრება, განათლება, ცხოვრების წესი, ღირებულებები, სოციალური სტატუსები, შემოსავლის წყაროები, უფლებრივი მდგომარეობა და ა.შ. ღარიბი, დაბალი განათლებისა და კულტურის მქონე საზოგადოების პირობებში, რომლის წანილებს შორის ინტერესთა ღრმა კონფლიქტი, ძლიერი ურთიერთგაუცხოება და სოციალური დისტანცია არსებობდა, ერის ჩამოყალიბების დაუმთავრებელი პროცესის პირობებში, საზოგადების უდიდესი წანილის მობილიზაციის ბაზად კლასობრივი იდენტობა ხდება და არა ეროვნული.

საზოგადოების შინაგანი გათიშულობის გადაღახვა ვერც დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ შეძლო. შინაგანი გათიშვის, დიდი სოციალური დისტანციის, ურთიერთუნდობლობის არსებობის, საკუთრების უაღრესად უთანასწოროდ განანილებისა და ქვეყნის სიღაფაკის პირობებში, მის მთავრობას უჭირდა ინტერესების ისეთი ფართო არტიკულაციისა და აგრეგაციის განხორციელება, რომელიც არა მხოლოდ საყოველთაო კონსენსუსს შეუწყობდა ხელს, არამედ გააფართოებდა კიდეც მას. ამიტომ მის მიერ განხორციელებული ინტერესთა არტიკულაცია და აგრეგაცია კონფლიქტისა და საზოგადოებაში ძალადობის ინტენსიური გამოვლინების ფონზე მიმდინარეობდა. 1918–1919 წლებში საქართველო გლეხთა აჯანყებების არეალად იქცა. 1918 წლის თებერვალში დაიწყო და თითქმის შვიდი თვე გრძელდებო-

და გლეხთა რევოლუციური გამოსვლები ლეჩეუმში, სადაც აჯანყებულებმა დაამხეს მთავრობის ადგილობრივი ორგანოები და საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. 1918 წლის მარტში იწყება აჯანყებები გორში, რაჭაში, საჩხერესა და სხვა რაიონებში. ეს აჯანყებები მასობრივ ხასიათს ატარებდნენ. მარტო სოფელ გომში მოქმედ რაზმში 1500-მდე ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცი იყო გაერთიანებული. ხაშურის რაიონის ხცისა და ოსიაურის სოფლებში აჯანყებულთა რაზმებს ხელმძღვანელობდნენ ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცები და ხაშურის საორთქმავლო დეპოს მუშები. ივნისის ბოლოს, საჩხერეჭიათურის რაიონში, აჯანყებულთა რაზმებმა დაიკავეს საჩხერის ფოსტა-ტელეგრაფი, რკინიგზის სადგური, სამხედრო კომისარიატი და საჩხერეში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. მარტო ზუგდიდსა და სენაკის მაზრებში აჯანყებულთა რიცხვი 11 ათასამდე აღწევდა. 1918 წლის 28 ივნისს აჯანყებულებმა დაიკავეს ქ. ზუგდიდი. (3, 173). დუშეთის მაზრაში 1918 წლის 17 ივნისს იწყება გლეხთა აჯანყება, ხოლო 25 ივნისს კი გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება. აქ აჯანყების ჩახშობის შემდეგ პასუხისმგებაში მიეცა ორასზე მეტი აჯანყების მონაწილე. (3, 174). 1919 წლის აჯანყებამ ფართო ხასიათი შეიძინა ოზურგეთისა და გორის მაზრებში, ფოთში, სამტრედიაში, კახეთის რაიონებში და სხვ. 1919 წლის 24 ოქტომბერს ხაშურისა და გორის რაიონების აჯანყებულებმა დაიკავეს ატენი, ალი, ხოვლე, მეჯვრისხევი და სხვა სოფლები. ამ აჯანყების ავანგარდს წარმოადგენდა ალისა და ხცის რაზმები. აჯანყებულებმა დაიკავეს სოფლები ქვიშეთიდან და ქარელამდე და გამოაცხადეს საბჭოთა ხელისუფლება. სამტრედიაში ბოლშევიკურმა რაზმებმა დაიკავეს დაბა კულაში, საჭილაო, მარანი და სხვა სოფლები. აჯანყებამ ფართო ხასიათი მიიღო ოზურგეთის მაზრაში. 9 ნოემბერს დაბა ჩოხატაურში აჯანყებულებმა ბრძოლით დაიკავეს გვარდიის შტაბი, მილიციის სამმართველო, ფოსტა-ტელეგრაფი და სხვა დაწესებულებები, გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება. ჩოხატაურის აჯანყებულებს შეუერთდნენ ლანჩხუთის, სუფსისა და სილაურის რაზმები (3, 180).

პირველი რესპუბლიკის დროს უაღრესად გამწვავებული იყო ურთიერთობა შრომასა და კაპიტალს შორის, რაც ძლიერ საგაფიცვო მოძრაობში ნახულობდა გამოხატულებას. მენშევიკებმა ვერ მოახერხეს გლეხებსა და თავადაზნაურობას შორის ძველი ურთიერთობების მთლიანად აღმოფხვრა, რის გამოც გლეხობა იძულებული იყო კვლავ

ღალა ეხადა მათთვის. ასეთი ვითარება შინაგანად თიშავდა სოფელს. გლეხობა უქმაყოფილო იყო კომუნისტებითაც, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების დასაწყისში მიწის რეფორმის ევოლუციური გზით გატარებას უჭერდნენ მხარს. ამიტომ გლეხები, უკვე საბჭოთა ხელისუფლების დროს, თვითნებურად ამუშავებდნენ მემამულეთა მიწებს და უარს აცხადებდნენ მათ სასარგებლოდ ღალის გადახდაზე (3,234-235).

კლასობრივი იდენტობების საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთუნდობლობა, ძლიერი სოციალური დისტანცია და საზოგადოების სხვადასხვა ნაწილებს შორის არსებული გაუცხოება, სიღარიბე და განათლების დაბალი დონე, საკუთრების უთანასწორო განაწილება, რაც ერთმანეთს უპირისპირებდა საზოგადოების წევრებს, ასუსტებდა საერთო ეროვნული სოლიდარობის შექმნას ეროვნული იდენტობის საფუძველზე, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა საბჭოთა წყობილების დამყარებისა და განმტკიცებისათვის საქართველოში. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დასაწყისშივე ნათლად გამოჩნდა თუ რამდენად ძლიერი დაპირისპირება და მტრობა არსებობდა მიწის განაწილების გამო ქართულ სოფელში. ამიტომ გასაბჭოების შემდეგ ჩატარებული მიწის რეფორმის პროცესში, „გლეხები მასობრივად ერეკებოდნენ მემამულე თავადაზნაურებს საკუთარი მამულებიდან. სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, ცოცხალი გამწევი ძალა ნაწილდებოდა გლეხებს შორის. მარტო შორაპნის მაზრაში ერთი თვის განმავლობაში მემამულე-თავადაზნაურობას ჩამოერთვა 10 000 ქცევა მიწა, 50 სახლი, 30 წისქვილი და სხვა, გორის მაზრაში 747 დესეტინა მიწა, 83 სახლი და 21 წისქვილი. საქართველოში 1923 წლის გაზაფხულისათვის გლეხობას გადაეცა მემამულე-თავადაზნაურობისაგან ჩამორთმეული ასი ათას დესეტინაზე მეტი მიწა“. (4, 273). 1921-1925 წლებში გლეხურ მეურნეობათა რიცხვი გაიზარდა 413948-მდე, ანუ 87 588 ერთეულით. (იქვე)

## 2. განვითარების სპირალის მეორე რკალზე

საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველო სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების ახალ ეტაპზე გადადის, ამან შეცვალა საქართველოს პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების საზოგადოებრივი კონტექსტი, რამაც, საბოლოო ჯამში, გამოიწვია რეალური სოციალიზმის კრახი. ამაში უპირველესი როლი შეასრულა კლასობრივი სტრუქტურის შეცვლამ და კლასობრივი იდენტობის გაქრობამ. კლასები უკვე აღარ წარმოადგენდნენ ინტე-

რესების არტიკულაციის და პოლიტიკური მობილიზაციის ბაზას, რა-  
მაც თითქოს გაადვილა და უკონფლიქტო გახადა ინტერესების აგრე-  
გაცია მთავრობის მიერ. ამით მოისპონ საზოგადოების გათიშვისა და  
დაპირისპირების ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი წყარო, რომელიც  
საზოგადოების წევრებს უპირისპირებდა ერთმანეთს. ამით შეიქმნა  
პოლიტიკური ცხოვრების ისეთი საზოგადოებრივი კონტექსტი, რომე-  
ლიც ეროვნული იდენტობისა და სოლიდარობის განვითარებას უწყ-  
ობდა ხელს. მაგრამ ამავე დროს კლასობრივი იდენტობის გაქრობამ  
შეასუსტა არსებული ხელისუფლების სოციალური ბაზა. კლასობრივი  
განსხვავების მოსპობამ შექმნა მატერიალური და ფსიქოლოგიური პი-  
რობები ეროვნული სოლიდარობის განვითარებისათვის. იწყება ინტე-  
რესთა არტიკულაციისა და აგრეგაციის საზოგადოებრივი ბაზის შეც-  
ვლა, სადაც კლასობრივ იდენტობას ეროვნული იდენტობა ანაცვლებს.  
დაპირისპირებული კლასების არარსებობის გამო ინტერესების არტი-  
კულაციისა და აგრეგაციის დისკრეტული და წინააღმდეგობრივი ბაზა  
იცვლება ერთიანი ჰომოგენური ბაზით, რის გამოც ინტერესთა არტი-  
კულაცია და აგრეგაცია ერთმანეთს კი არ უპირისპირებს საზოგადოე-  
ბის წევრებს, არამედ აერთიანებს მათ. ასეთი ბაზის შექმნაში აუცილე-  
ბელი პირობა იყო ძველი კლასობრივი განსხვავების მოსპობა, მაგრამ  
ეს არ იყო ერთადერთი და საკმარისი პირობა იმისათვის, რომ ხალხი  
დაპირისპირებოდა საბჭოთა სახელმწიფოს. მან მხოლოდ სხვა ცვლა-  
დებთან ურთიერთქმედებით დაასუსტა არსებული ხელისუფლების  
სოციალური ბაზა.

ძველი, კონფლიქტური კლასობრივი სტრუქტურის მოსპობის პა-  
რალელურად მიმდინარეობდა ქართული განათლების მასობრივად  
გავრცელება საქართველოში. ქართულ ენაზე მიმდინარეობდა არა  
მხოლოდ საშუალო განათლების, არამედ უმაღლესი განათლების მი-  
ღებაც. ეს საშუალებას იძლეოდა, რომ ახალგაზრდობა მასობრივად  
გასცნობოდა საქართველოს ისტორიას, საქართველოს ლიტერატუ-  
რას, მისი ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორიას. ქართული სკო-  
ლა, სადაც წამყვან საგანს ქართული ენა და ლიტერატურა წარმოად-  
გენდა, ახალგაზრდობას ზრდიდა ქართველ კლასიკოსთა ნაწარმოე-  
ბებზე, რაც მათ სამშობლოს სიყვარულს უნერგავდა.

ამ დროს მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება ქართული კულტუ-  
რის განვითარებაში. მასობრივ ხასიათს იძენს ქართული მწერლობა.  
მისი საუკეთესო ნიმუშები, პატრიოტულ თემაზე დაწერილი ნაწარმოე-

ბები ფართოდ ვრცელდებოდა საზოგადოებაში. მაგალითად, „გმირთა ვარამი“, „დავით ალმაშენებელი“, „ლაშარელა“, „გრძელი ღამე“, „უქარქაშო ხმლები“ და ა.შ. განსაკუთრებული ზრუნვის საგნად იყო გამოცხადებული ქართული ენა, რომელიც განვითარდა და დაიხვეწა სწორედ საბჭოთა საქართველოში. საბჭოთა ხელისუფლების დროს შეიქმნა და გაძლიერდა საზოგადოების არსებობის ქართული გარემო, რომლის განვითარებასაც ჯერ კიდევ დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის წლებში ჩაეყარა საფუძველი. განათლების კულტურული განვითარების დონისა და საზოგადოებაში დაკავებული ადგილის მიხედვით, მნიშვნელოვნად შესუსტდა განსხვავება საზოგადოების წევრებს შორის, რამაც არსებითად მოსპონ მათ შორის არსებული სოციალური დისტანცია. განვითარების ახალ საფეხურზე ავიდა ქართული მეცნიერება, ხელოვნება, მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა საქართველოს კულტურული, სამეცნიერო და ეკონომიკური პოტენციალი. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საზოგადოების ცხოვრების მატერიალური პირობები და ამაღლდა და ერთმანეთს დაუახლოვდა მისი წევრების სოციალური და კულტურული განვითარების დონეები. ყოველივე ამან არა მხოლოდ გააძლიერა საერთო ეროვნული იდენტობა ადგილობრივი, კუთხური იდენტობების დასუსტების ხარჯზე, არამედ აგრეთვე გააძლიერა ეროვნული სიამაყე და გაზარდა ეროვნული თვითშეფასების დონე, რაც ვეღარ ეგუებოდა საქართველოს არსებობას საერთო საკავშირო ფედერაციულ სახელმწიფოში.

ქართული საზოგადოების სოციალურ-კულტურული განვითარებისა და მატერიალური ცხოვრების დონის ამაღლებამ წარმოშვა მოთხოვნები ცხოვრების ისეთ სტანდარტებზე, რომელთა დაკმაყოფილებაც სულ უფრო უჭირდა არსებულ ეკონომიკურ სისტემას. ასეთ პირობებში განვითარებას იწყებს ჩრდილოვანი ეკონომიკა, რომელიც არა მხოლოდ ეკონომიკურადაც ასუსტებს რეალურ სოციალიზმს, არამედ იდეოლოგიურადაც უთხრის ძირს მის არსებობას. ასეთ პირობებში განვითარებას იწყებს კაპიტალისტური ელემენტები. ჩრდილოვან ეკონომიკასა და კაპიტალიზმს შორის კავშირს შეიძლება დავაკვირდეთ ერთი საპარიკმახეროს შექნის ისტორიის მაგალითზე, რასაც ადგილი ჰქონდა მეოცე საუკუნის სამოციანი წლების მეორე ნახევარში. იმის გამო, რომ გეგმით, თბილისის ერთ-ერთ ბაზარში საპარიკმახეროს აშენება გათვალისწინებული არ იყო და ამიტომ არც სათანადო თანხა არ გააჩნდა საყოფაცხოვრებო სამინისტროს, მისმა ჩინოვნი-

კებმა ორ პარიკმახერს წება დართეს, რომ ამ ბაზარში საკუთარი თან-  
ხით აეშენებინათ საპარიკმახერო. მათ ეს გააკეთეს და აამუშავეს კი-  
დევაც ეს ობიექტი, რომელიც შემდეგ სამინისტროს ბალანსზე დაჯდა.  
პარიკმახერებმა გამოიჩინეს ეკონომიკური ინიციატივა და განახორ-  
ციელეს კერძო ინვესტიცია, საკუთარი ეკონომიკური პასუხისმგებ-  
ლობის საფუძველზე. საპარიკმახეროში ჩადებული ინვესტიციიდან  
მოგების მისაღებად ისინი მუშაობდნენ არსებული პრეისკურანტების  
დარღვევით. თუ პარიკმახერის მომსახურება პრეისკურანტის მიხედ-  
ვით კაპიკებში იყო შეფასებული (მაგალითად, წვერის გაპარსვა 8 კაპი-  
კი, ხოლო თმის შეკრეჭა 28 კაპიკი. აღსანიშნავია, რომ ეს ტარიფები  
დაბალი ხელფასების შესაბამისი იყო), რეალურად, მომსახურებისათ-  
ვის მომხმარებელი რამდენჯერმე უფრო მეტ ფასს იხდიდა მანეთებში.  
ამ პარიკმახერებს უხდებოდათ „ფინგანის“ მოხელის მოქრთამვა, რაც  
თვეში 10 ლარი ჯდებოდა. გარდა ამისა, საჭირო იყო ხელმძღვანელო-  
ბის მოქრთამვაც. საამისო თანხას ისინი იღებდნენ არა მხოლოდ კლი-  
ენტებიდან აღებული უკანონოდ გაზდილი მომსახურების საფასური-  
დან, არამედ სახელმწიფოს მიერ მათთვის გამოყოფილი ნივთების ასე-  
ვე უკანონო რეალიზაციიდანაც. საყოფაცხოვრებო მომსახურების სა-  
მინისტრო მათ აძლევდათ დიდი რაოდენობის საპნებს, ოდეკოლო-  
ნებს, რასაც პარიკმახერები მაღაზიებს აპარებდნენ, საიდანაც ჩრდი-  
ლოვან შემოსავალს იღებდნენ როგორც პარიკმახერები, ასევე მაღა-  
ზიაში დაკავებული პერსონალიც. ეს საპარიკმახერო სოციალიზმისა  
და კაპიტალიზმის ჰიბრიდულ შეიძლება მივიჩნიოთ. ჩრდილოვანმა  
ეკონომიკამ მასობრივი ხასიათი შეიძინა. ეს აუფასურებდა საზოგადო-  
ებისათვის გაწეული პატიოსანი შრომის მნიშვნელობას, ნერგავდა  
ცხოვრების ისეთ წესს, რომელიც ენინაალმდეგებოდა სოციალიზმის  
პრინციპებს, ახდენდა სოციალიზმის დელეგიტიმაციას და იმორჩი-  
ლებდა სოციალიზმის პოლიტიკურ სისტემასაც, რომელიც ანტისისტე-  
მური ქცევების დაცვასა და კვლავწარმოებას უწყობდა ხელს. ჩრდი-  
ლოვანი ეკონომიკიდან მიღებული შემოსავალი ქრთამის სახით ნაწილ-  
დებოდა მთელ რიგ სახელმწიფო და პარტიულ ხელმძღვანელებს შო-  
რის. მაგალითად, ზესტაფონის რაიონში არსებობდა ტრადიცია, რომ 1  
ტონა ყურძნის მოსავლიდან რაიკომის მდივანს ეკუთვნოდა 5 მანეთი.  
რაიკომის მდივანს, მამუკა ასლანიკაშვილს ზესტაფონის ღვინის ქარ-  
ხნებიდან სთავაზობდნენ 20000–30000 მანეთს, რომლის აღებაზეც ის  
კატეგორიულად ამბობდა უარს. მაგრამ ის უძლური აღმოჩნდა ჩრდი-

ლოვანი ეკონომიკის ზენოლის წინაშე და, საბოლოოდ, თავი მოიკლა გაურკვეველ ვითარებაში (5, 10). მიმდინარებდა ჩრდილოვანი ეკონომიკისა და აქედან მიღებული შემოსავლების ლეგიტიმაციის პროცესი. ასეთ პირობებში დაცინვის საგანი ხდება საზოგადოებისათვის განეული პატიოსანი შრომა, ფართოდ ვრცელდება და მკვიდრდება კრიმინალური იდეოლოგია, რომელიც სულ უფრო მეტად აყალიბებს საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილის ქცევებს. ასეთ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში განვითარებას იწყებს იდეოლოგიური პროცესი, რომელიც ნაციონალიზმის ბაზაზე ახდენს საბჭოთა კავშირისა და სოცილიზმის დელეგიტიმაციას და ეროვნული იდენტობის საფუძველზე წარმართავს საზოგადოების პოლიტიკურ მობილიზაციას არსებული პოლიტეკონომიური სისტემის წინააღმდეგ.

თუ ძველი კლასობრივი სტრუქტურის პირობებში, ერთი ადამიანი მუშაობდა მეორის სასარგებლოდ, საბჭოთა სისტემის დროს ბატონისა და მესაკუთრის ადგილი დაიკავა საზოგადოებამ, რომელიც წარმოდგენილი იყო სახელმწიფოთი. ეს უკანასკნელი იყო არა მხოლოდ დამქირავებული, არამედ აგრეთვე დაქირავებულების უზრუნველყოფელი უფასო, საყოველთაოდ ხელმისაწვდომი განათლებით, ჯანდაცვით, აგრეთვე სამსახურით, ბინებით, სოციალური თანასწორობით. ის ქმნიდა პირობებს მათი ფიზიკური, სულიერი და კულტურული განვითარებისათვის, ინდივიდულური სრულყოფისათვის და ა.შ. მაგრამ დაბალი ხელფასებისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის განვითარების პირობებში, ეს სიკეთეები ფართო საზოგადოებისათვის გადაფარული იყო რეალური სოციალიზმის მანკიერი მხარეებით, უპირველეს ყოვლისა კი ჩრდილოვანი ეკონომიკით.

საბჭოთა საქართველოში განხორციელებულმა სოციალურმა ცვლილებებმა შეცვალა პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების საზოგადოებრივი გარემო, რამაც მოამზადა პირობები პოლიტიკური სისტემის გახსნის, ლიბერალიზაციისა და დემოკრატიზაციის პროცესების დაწყებისათვის.

საზოგადოების განათლებისა და ინფორმირებულობის ზრდა ვერ ეგუებოდა იმ იდეოლოგიურ და პოლიტიკური ხასიათის შეზღუდვებს, რომელსაც არსებული პოლიტიკური სისტემა უნდებდა მის მოქალაქეებს. საზოგადოების გაზრდილი კულტურული და განათლების დონე მოითხოვდა, რომ საზოგადოების მართვას საფუძვლად დასდებოდა ფართო პოლიტიკური დისკურსი. სწორედ ამან გამოიწვია პერესტრო-

იკისა და საჯაროობის პოლიტიკის განვითარება, რამაც განაპირობა საქართველოში მასობრივი ანტიკომუნისტური და ნაციონალისტური ორგანიზაციების გაჩენა, რომლებიც ფართო საზოგადოებრივ ბაზაზე, უკონფლიქტოდ ახდენენ ინტერესების არტიკულაციასა და აგრეგაციას ეროვნული იდენტობის საფუძველზე, რაც საზოგადოებას აერთიანებდა სახელმწიფოს წინააღმდეგ. ქართველი ერისათვის დამახასიათებელი არაკონფლიქტური სტრატიფიკაციური სისტემის პირობებში, ინტელიგენციისა და სპეციალისტების რაოდენობის გაზრდამ, განათლებისა და კულტურული განვითარების დონის მნიშვნელოვნად ამაღლებამ გამოიწვია ეროვნული თვითშეფასების გაძლიერება, რამაც წარმოშვა დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის მოთხოვნები. მათ საფუძველზე განხორციელდა საზოგადოების პოლიტიკური თვითორგანიზაცია. არტიკულაციის ერთიანი, მთლიანი საზოგადოებრივი ბაზის საფუძველზე, რამაც შეცვალა საბჭოთა საქართველოს პოლიტიკური სისტემა და ქვეყანა გადაიყვანა დამოუკიდებელი განვითარების გზაზე, რაც, ამავე დროს, კაპიტალიზმის რესტავრაციასაც წარმოადგენს. ამით უფრო მაღალ დონეზე განხორციელდა განვითარების სპირალის რეალის უკან შემობრუნება – საქართველო დაუბრუნდა კაპიტალისტური განვითარების ვექტორს, რომელიც შეიცვალა 1921 წელს.

ფართოდ გავრცელებულმა ჩრდილოვანმა ეკონომიკამ, რომელმაც ძირი გამოუთხარა სოციალისტური ეკონომიკის ლეგიტიმურობას, საზოგადოება უკვე მორალურად მოამზადა კაპიტალიზმის მისაღებად, რომელსაც უკვე გავლილი ჰქონდა თავისი საინკუბაციო პერიოდი „რეალური სოციალიზმის“, „განვითარებული სოციალიზმის“ პირობებში. დამოუკიდებელ საქართველოში კაპიტალიზმის ჭუპრი შიგნიდან ამსხვრევს პოლიტეკონომიკურ გარსს, რომელშიც მიმდინარეობდა მისი ლატენტური განვითარება და საზოგადოების ზედაპირზე გამოდის, როგორც გამარჯვებული ძალა.

### 3. აღმასვლა სპირალის მესამე რეალზე – საით მიდის საქართველო?

2013 წლის აგვისტოში გელაპის ინსტიტუტმა ჩაატარა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა ყოფილი საბჭოთა კავშირის 11 რესპუბლიკაში. გამოიკითხა 1000 რესპონდენტზე მეტი, შერჩევის ცდომილება – 2,7-3,8 %. გამოკითხვა არ ჩატარებულა უზბეკეთში, ლიტვაში, ესტონეთში, ლატვიაში. ამ გამოკითხვის დროს რესპონდენტებს ასეთი კითხ-

ვები დაუსვეს: საბჭოთა კავშირის დაშლა უფრო სასარგებლო იყო თუ საზიან? მთლიანობაში, საბჭოთა კავშირის დანგრევამ თქვენს ქვეყანას სარგებლობა მოუტანა თუ ზიანი?

გამოკითხულთა საერთო რაოდენობის 24% თვლის, რომ სსრკ-ის დაშლამ სარგებლობა მოუტანა მის ქვეყანას, 51% - არა; არც ზიანი და არც სიკეთე - 15%, ხოლო არ იცის 11%. სხვადასხვა ქვეყნებს შორის ეს პასუხები შემდეგნაირად განაწილდა: 1)სომხეთი: სარგებლობა - 12%, ზიანი - 66%, არცერთი - 10%, არ იცის - 12%; 2)ყირგიზეთი: სარგებლობა - 16%, ზიანი - 61%, არცერთი - 8%, არ იცის - 14%; 3)უკრანა: სარგებლობა - 23%, ზიანი - 56%, არცერთი - 8%, არ იცის - 14%; 4)რუსეთი: სარგებლობა - 19%, ზიანი - 55%, არცერთი - 18%, არ იცის - 8%; 5)ტაჯიკეთი: სარგებლობა - 27%, ზიანი - 52%, არცერთი - 12%, არ იცის - 10%; 6)მოლდოვა: სარგებლობა - 26%, ზიანი - 42%, არცერთი - 10%, არ იცის - 22%; 7)ბელარუსი: სარგებლობა - 26%, ზიანი - 38%, არცერთი - 15%, არ იცის - 21%; 8)საქართველო: სარგებლობა - 37%, ზიანი - 33%, არცერთი - 9%, არ იცის 21%; 9)აზერბაიჯანი: სარგებლობა - 44%, ზიანი - 31%, არცერთი - 8%, არ იცის - 18%; 10)ყაზახეთი: სარგებლობა - 45%, ზიანი - 25%, არცერთი - 12%, არ იცის - 19%; 11)თურქეთი: სარგებლობა - 62%, ზიანი - 8%, არცერთი - 9%, არ იცის - 22% (6). როგორც მოყვანილი მასალიდან ჩანს, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების მოსახლეობის უმრავლესობა, ზოგიერთის გარდა, საბჭოთა კავშირის დაშლას ზიანის მომტანად მიიჩნევს. აღსანიშნავია, რომ საქართველოში იმ რესპოდენტთა რაოდენობა, რომელსაც მიაჩნია, რომ საბჭოთა კავშირის დაშლამ სარგებლობა მოუტანა საქართველოს აღემატება იმათ რაოდენობას ვინც თვლის, რომ მან ზიანი მიაყენა ჩვენს ქვეყანას. მაგარამ ეს სხვაობა ძალიან მცირეა - საბჭოთა კავშირის დაშლას სასარგებლოდ მიიჩნევს 37%, ხოლო ზიანის მომტანად — 33%. აქ გასათვალისწინებელია ის 21%-იც, რომელმაც არ იცის საბჭოთა კავშირის დაშლა კარგია თუ ცუდი. ეს გვიჩვენებს, რომ ჩვენს საზოგადოებაში მიმდინარეობს იდეოლოგიური პროცესი, რომელიც კითხვის ქვეშ აყენებს საქართველოს უახლესი ისტორიის მოვლენების მართებულობას. ამის საფუძველი კი საზოგადოების კლასობრივი სისიტემაში მომხდარი თვისებრივი ხასიათის ძვრებია. ეს მონაცემები მეტყველებენ იმაზეც, რომ პოლიტიკური სოციალიზაციის ვექტორი, რომელსაც პრაქტიკულ გამოცდილებაში აქვს ფესვები გამდგარი, მასშედიდან, სკოლიდან და უნივერსიტეტებიდან მომდინარე

ვექტორის საწინააღმდეგოდ არის მიმართული და საკუთარი ძალით ოდნავ ჩამორჩება მას. სუსტდება მოლოდინის, მასმედიისა და პოლიტიკური სოციალიზაციის სხვა არხების როლი პოლიტიკურ სოციალიზაციაში და ძლიერდება პრაქტიკული გამოცდილების მნიშვნელობა. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა თუ როგორ შეიცვალა ჩვენი რესპონდენტის პოლიტიკური პოზიცია უკანასკნელი 24 წლის განმავლობაში. ის არის ისტორიის მასწავლებელი, 55წლის, გორის რაიონის ერთ-ერთი სოფლის მკვიდრი. მას აქვს საკუთარი მიწა, რომელსაც თავისი ხელით ამუშავებს და პროდუქციას აბარებს ქარხანას. ჩვენი რესპონდენტი კომუნისტების დროს ძლიერი ანგისაბჭოთა განწყობით ხასიათდებოდა, რომელსაც დიდი ხნის მანძილზე ინარჩუნებდა დამოუკიდებლობის პერიოდშიც (მასთან ამ დროს ორი ინტერვიუ მაქვს აღებული). მაგრამ 2014 წლის მაისში მან პირდაპირ და დარწმუნებით გამიცხადა — ძველი წყობა, ე.ი. საბჭოთა სისტემა სჯობდა ახლანდელსო და იმასაც გაუსვა ხაზი, რომ იყო სოციალისტი და არა კომუნისტი. ასეთი ევოლუცია გამოიწვია მისი ცხოვრების პირობებმა. საკუთარ მიწას თავად ამუშავებს, რაც ძალიან დიდი შრომის ფასად უჯდება. მუშებს ვერ ქირაობს სიძვირის გამო. აქვს გაშენებული ვაშლი, რომელსაც წელიწადში 15-ჯერ სჭირდება შენამლვა, რაც აგრეთვე დიდ ხარჯებთან და ასევე მძიმე შრომასთან არის დაკავშირებული. მაგრამ ვაშლის ჩაბარებიდან მიღებული შემოსავალი ვერ ფარავს თვითღირებულებას. როგორც ის ამბობს, ქარხანაში ერთი ყუთ ვაშლში იძლევიან ორ ლარს. ამიტომ რეალიზებული პროდუქციიდან მიღებული შემოსავალი ვერ ფარავს მისი წარმოებისათვის საჭირო ხარჯებს. საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური სოციალიზაციის ვექტორის შეცვლის ყველაზე კარგი მაჩვენებლი სტუდენტების ქცევაა. 2013 წლის 1 მაისს თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები აწყობენ აშკარად გამოკვეთილი ანტიკაპიტალისტური ხასიათის დემონსტრაციას, რაც პოლიციასთან შეჯახებით დასრულდა. მაისობა გამეორდა 2014 წელსაც. (სტუდენტების შეფასება საბჭოთა კავშირის დაშლისა ჩემთვის უცნობია). სტუდენტური მაისობები სოციალური პროტესტის ერთ-ერთი პირველი და აშკარა გამოვლინებაა, რომელშიც აისახა საზოგადოების კლასობრივი სისტემის შეცვლა.

საქართველოში მიმდინარე კლასობრივი დიფერენცირების პროცესი იწვევს 1)ნაციონალიზმის დასუსტებას, რომლის ერთ-ერთი მაჩვენებელია ის, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამ უკვე დიდი ხანია

რაც მეორე ადგილზე გადაინაცვლა მოსახლეობის პრიორიტეტებში, რასაც მთელი რიგი სოციალოგიური გამოკითხვები გვიჩვენებენ; 2) სოციალური დისტანციის გაღრმავებას (ჩემმა ნაცნობმა უურნალისტმა, თავის დამქირავებელი ტელევიზიის მფლობელის მეუღლესთან შეხვედრის შემდეგ, ჩემთან საუბარში გულისტკივილით აღნიშნა: „გუშინ ჩვენ ხომ ერთნაირი ადამიანები ვიყავითო.“ ჩემი სტუდენტები, რომლებიც შეხვდნენ თავიანთ გამდიდრებულ მეგობარს, უკამყოფილონი იყვნენ მისი ცივი და ქედმაღლური დამოკიდებულობით) კლასობრივი სისტემის შეცვლამ წარმოშვა ახალი კოლექტიური იდენტობები (მაგალითად, მცირე მენარმეები) და კონფლიქტური გახადა ქართული საზოგადოება. მან გამოიწვია ინტერესების არტიკულაციის ერთიანი პომოგენური ბაზის ტრანსფორმაცია, რომელმაც დისკრეტული და ჰეტეროგენური ხასიათი შეიძინა. ამან გაართულა ინტერესების აგრეგაცია, უფრო კონფლიქტური გახადა ის. გაჩნდა საშიში კლასი – პროლეტარიატი, რომლის აქტიურობაც თანდათანობით იკრებს ძალას. უკვე დიდი ხანია, რაც შეიძლება ვისაუბროთ მსხვილ, საშუალო და წვრილ ბურჟუაზიაზე. ამ ტერმინების ნაცვლად დღეს ხმარობენ პოლიტიკურად უფრო ნეიტრალურ ტერმინებს – მსხვილი, საშუალო, წვრილი ბიზნესი. ჩვენი საზოგადოების კლასობრივი არაერთგვაროვნების დასახასიათებლად სოციოლოგები, ალბათ, ამჯობინებდნენ, რომ გამოეყენებინათ ისეთი ტერმინები, როგორიც არის დაბალი, საშუალო და მაღალი კლასი. როგორც არ უნდა დავახასიათოთ ჩვენი საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურა, ერთი რამ ცხადია – საზოგადოება უკვე დაიყო სხვადასხვა ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესების მქონე ნაწილებად, რამაც ძალიან გაართულა პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების საზოგადოებრივი ლანდშაფტი. ამიტომ საქართველოში დემოკარტიზაცია მიმდინარეობს ინტერესთა არტიკულაციის საზოგადოებრივი ბაზის ცვლილების პირობებში, რომელიც სულ უფრო რთულ, დისკრეტულსა და ჰეტეროგენულ ხასიათს იძენს, რაც ართულებს ინტერესების აგრეგაციას მთავრობის მიერ. ძლიერდება სოციალური ზენოლა პოლიტიკურ სისტემაზე. იცვლება მისი ფუნქციონირების სოციალური გარემო. ჩნდება არტიკულაციის ახალი არხები და ახალი ინტერესები, რის გამოც არტიკულაცია სულ უფრო კონფლიქტურ ხასიათს იძენს, რაც ართულებს ინტერესთა აგრეგაციის პროცესს. კლასობრივი ცვლილებების შედეგად დაიწყო წინააღმდეგობის განვითარება შრომასა და კაპიტალს შორის. ამან თავისი ასახვა ჰქონდება გაფიცვების გახშირებასა და მუშათა მოძრაობის განვი-

თარებაში, რომელიც ჯერ ჩანასახოვან მდგომარეობაში იმყოფება. საა-  
კაშვილის რეჟიმის დროს შრომითმა კონფლიქტმა განსაკუთრებით  
მწვავე დაპირისპირების ხასიათი მიიღო ხულოსა და ქუთაისში. ხულო-  
ში, მას შემდეგ, რაც სამკერვალო ფაბრიკის უცხოელმა მეპატრონემ  
ფულის არქონის გამო უარი განაცხადა, მუშებისათვის გადაეხადა კუთ-  
ვნილი ხელფასი, მუშები შეიფრნენ ქარხანაში, დაიტაცეს ქსოვილები და  
საკერავი მანქანები და მეპატრონეს განუცხადეს, რომ მხოლოდ მაშინ  
დაუბრუნებდნენ ყველაფერს, როცა ის მათ კუთვნილ ხელფასს გადაუხ-  
დიდა. (ეს ისტორია არ ყოფილა ასახული მასობრივი ინფორმაციის სა-  
შუალებებში. ის ავტორს მოუთხრო ჩაქვის ერთ-ერთმა მკვიდრმა, რო-  
მელმაც სპეციალურად გაუსვა ხაზი იმას, რომ ეს ინფორმაცია გადა-  
მონებული იყო). ქუთაისში კი მეტალურგიული ქარხნის მუშების გა-  
ფიცვას სააკაშვილის რეჟიმმა მისი ხელმძღვანელების დაპატიმრებით  
უპასუხა. სააკაშვილის რეჟიმის დროს, ინტერესების აგრეგაცია შრომის  
სფეროში ხდებოდა უაღრესად ვინრო დიპაზონში, რის ერთ-ერთ და-  
დასტურებასაც წარმოადგენს მის დროს მოქმედი შრომის კოდექსი, რო-  
მელიც მთლიანად დამქირავებელთა ინტერესების დაცვაზე იყო ორიენ-  
ტირებული. ამ უკანასკნელთა ინტერესების სადარაჯოზე იდგა სახელ-  
მწიფოც. სააკაშვილის რეჟიმი შრომის მიმართ რეპრესიულ პოლიტიკას  
ატარებდა. 2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, რამაც გამოიწ-  
ვია პოლიტიკური სისტემის გახსნა, არსებითი ცვლილებები ხდება შრო-  
მის სფეროში გატარებულ პოლიტიკაში. ხელისუფლება ცდილობს, რომ  
შრომასა და კაპიტალს შორის ურთიერთობა გადაიყვანოს სოციალური  
პარტნიორობის პრინციპზე, რისთვისაც შექმნა სოციალური პარტნი-  
ორობის სამმხრივი კომისია, სადაც წარმოდგენილია საქართველოს  
მთავრობა, დამსაქმებელთა და დასაქმებულთა გაერთიანებები. (საქარ-  
თველოს შრომის კოდექსი. 2013წლის 15 ივნისის მდგომარეობით. მუხ-  
ლი 52<sup>1</sup>). ეს არის მუშათა მოძრაობის პირველი პოლიტიკური შედეგი.

## დასკვნა

სოციალური ცვლილებები იწვევენ ინტერესების არტიკულაციისა  
და აგრეგაციის საზოგადოებრივი ბაზის შეცვლას, წარმოშობენ ახალ  
ინტერესებს და პოლიტიკურ დინამიკას, რომელიც პოლიტიკური გან-  
ვითარების ვექტორს წარმართავს საზოგადოების მიერ განსაზღვრუ-  
ლი მიმართულების შესაბამისად. საქართველოს პოლიტიკური განვი-

თარების ორსაუკუნოვანი გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საზოგადო-ების კლასობრივი შემადგენლობა, კულტურული, სოციალური და ეკო-ნომიკური განვითარების დონე, საზოგადოებაში არსებული წინააღ-მდეგობები და ძლიერი სოციალური დისტანცია წარმოშობს შესაბამის პოლიტიკურ დინამიკას.

საზოგადოების შიგნით არსებული კლასობრივი დაპირისპირებით გამოწვეული შინაგანი გათიშვა, კულტურული, სოციალური და ეკონო-მიკური განვითარების დაბალი დონე, ძლიერი სოციალური დისტანცია იწვევს პოლიტიკური ვექტორის გადახრას მარცხნივ, ხოლო კლასობ-რივი დაპირისპირებულობის არარსებობა, სოციალური, კულტურული და ეკონომიკური განვითარების მაღალი დონე, ძალიან მცირე სოცია-ლური დისტანცია და შინაგანის გათიშვის არარსებობა, შესაბამისი პოლიტიკური დინამიკის საფუძველზე — პოლიტიკური განვითარების ვექტორს გადახრის მარჯვნივ.

საქართველოში მიმდინარე სოციალური ცვლილები აძლიერებენ საზოგადოებრივ ბაზას ინტერესების არტიკულაციისა და აგრეგაციი-სათვის პოლიტიკური სივრცის მარცხენა განზომილებაში.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ივანე ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია ხუთ ტომად. ტომი V, „პალიტრა 1“, 2012.
2. ნოე ჟორდანია. ჩემი ნარსული. თბილისი, „სარანგი“, 1990.
3. საქართველოს ისტორია XIX საუკუნის 90-ანი წლებიდან დღემდე. თბილისი, „განათლება“. 1984.
4. საქართველოს ისტორია, ტომი IV, თბილისი, 2012.
5. Валериян Долидзе. Бизнес и Политическая Система Грузии. «Мецни-еребა»2001.
6. Институт Геллапа: Большинство жителей постсоветских стран сожалеют о распаде СССР. Прогрессивная социалистическая партия Украины: <http://www.vitzenko.org/start.php?lang=3@articleid=18286>

**Valerian Dolidze**  
Assistant professor  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**Social Changes and the Mechanisms  
of Political Dynamics in Georgia**

**Resume**

Georgia's political development takes a spiral and is conducted by the changes within the public context of the political process. Movement at each circle of the spiral triggers the transition to the new cycle of the development, carried out on the basis of political dynamics formed within the subsequent public context, reflecting the class system of the society, existing social, cultural, economic development levels, social distance between the society members and the inner lack of integration. Social changes give rise to political dynamics. Social changes implemented in the Soviet Union and Georgia have triggered opening of the political system through reorganization and publicity, transferring this Georgia to the path of democratic development, determined political self-organization of the society and political mobilization on the basis of the national independence idea.

Change of the society class system in independent Georgia induced the interests articulation and the society homogenous aggregation base transformation, as a result of which it acquired discrete and heterogeneous features. It complicates the interests articulation and aggregation and stirs conflict. Conflict between labour and capital develops. Introduction of tripartism principle launched certain changes in labour legislation in the labour capital relationship sphere.

**ნათელა დონაძე**  
ასისტენტი პროფესორი, თსუ

**თანამედროვე ქართული სოციალური  
ინსტიტუტები სტუდენტურ ფოკუსში**

საქართველო დღეს, XXI საუკუნის მეორე ათწლეულში, გარდამავალ ხანაში იმყოფება. ტრანსფორმაციული პროცესები ქართული სოციუმის, სოციალური სისტემის ყველა სფეროში მიმდინარეობს და მის ყველა ელემენტს მოიცავს. გარდამავალი პერიოდი ძალიან რთული, მტკიცნეული, კომპლექსური და, ამავე დროს, ძალიან ხანგრძლივი სოციალური პროცესია. დროის ერთსა და იმავე ისტორიულ პერიოდში, ერთსა და იმავე გეოგრაფიულ სივრცეში, მიმდინარეობს ორი განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის, პოლიტიკური და კულტურული ღირებულებების დაპირისპირება, თანაარსებობა და, ზოგჯერ, შერწყმაც. ტრანზიცია<sup>1</sup> ქართულ საზოგადოებას შეეხო არა მარტო მაკრო დონეზე – სოციალურ ინსტიტუტებსა და ორგანიზაციებს, არამედ მიკრო დონეზეც – სოციალურ ჯგუფებსა და ცალკეულ ინდივიდებს. იცვლება ადამიანების ცნობიერება და ცხოვრების წესი, მათი დამოკიდებულება ცხოვრების საზრისისადმი, სამყაროსა და საზოგადოებაში თავად ადამიანის დანიშნულებისადმი. ტრანსფორმაციული პროცესები სოციალური სტრუქტურის შემადგენელ სხვადასხვა ელემენტში (ნაწილში) განსხვავებული ფორმით, შინაარსით, ტემპითა და

---

<sup>1</sup> ზოგადად, ტრანზიცია (transition) ნიშნავს პირობების, არსებობის წესის, მდგომარეობისა და სხვ. ერთობლიობიდან მეორეში გადასვლას, შეცვლას /The Universal English Dictionary (2000). Published by Routledge and Kegan Paul Limited. London/; ტრანზიცია გულისხმობს ერთი პიზიციიდან, პირობებიდან, მდგომარეობიდან, პერიოდიდან, ფაზიდან, სტადიიდან, ეტაპიდან, საფეხურიდან, საკითხიდან, თემიდან, ობიექტიდან, სუბიექტიდან, კონცეფციიდან, ცნებიდან, იდეიდან მეორეზე გადასვლას, მოძრაობას ან შეცვლას /Webster's Unabridged Dictionary. (1999). Random House Inc. London /; ტრანზიცია არის ერთი მდგომარეობის ან პირობების ერთობლიობის მეორეთი შეცვლა, ცვლილება /Hornby, A.S. Oxford Student's Dictionary of Current English. (1984). Oxford. Oxford University Press/.

სიღრმით მიმდინარეობს. თანდათან იცვლება საზოგადოების სოციალური სტრუქტურა, სოციუმის დაყოფა სხვადასხვა ფენად; იცვლება საზოგადოების ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული, სოციალური, სამართლებრივი, აღმზრდელობითი ინსტიტუტები და მათი ფუნქციები, ხდება ახალი რეალობის ჩამოყალიბება.

თანამედროვე სოციალურ მეცნიერებათა ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის პიერ ბურდიეს აზრით, საზოგადოების განსაკუთრებულობა ის არის, რომ მას გააჩნია ორი ყოფიერება: ერთი მხრივ, როგორც ის მოცემულია ობიექტურად არსებულ სოციალურ სტრუქტურებში, ხოლო მეორე მხრივ კი, იგი არსებობს სოციალური აგენტების ცნობიერებაში. ამიტომ სოციოლოგიის, როგორც მეცნიერების, შესწავლის საგანს წარმოადგენს არა მხოლოდ ობიექტური სტრუქტურები, არამედ მათი აღწერა აგენტების მიერ, აგენტების მიღვომა, დამოკიდებულება აღნიშნული სტრუქტურებისადმი.<sup>1</sup>

ჩვენი მიზანი იყო, შეგვესწავლა სტუდენტების, სოციალური აგენტების, შესედულებები თანამედროვე ქართული საზოგადოების შესახებ, გვეჩვენებინა მათ მიერ დანახული გარდამავალი პერიოდის ქართული საზოგადოება, კერძოდ, სოციალური ინსტიტუტები.

ჩვენ მიერ 2010 წელს ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის დროს გამოვიყენეთ ტრიანგულაციური მიდგომა: ავირჩიეთ ნახევრად სტრუქტურული, არაფორმალური ინტერვიუ (მას, ხშირად, ჩაღრმავებულ ინტერვიუსაც უწოდებენ) და ფოკუს ჯგუფის მეთოდი, რადგან მიგვაჩნია, რომ სწორედ ეს მეთოდები წარმოადგენს ყველაზე კარგ კვლევით ტექნიკას გარკვეული საკითხის შესახებ ადამიანთა შესედულებების, აზრებისა და გრძნობების შესასწავლად.

ჩაღრმავებული ინტერვიუს საშუალებით გამოვკითხეთ 61 სტუდენტი (41 – სტუდენტი გოგონა და 20 – სტუდენტი ვაჟი), რომლებსაც გავლილი აქვთ სასწავლო კურსი „სოციოლოგიის შესავალი“ და ფლობენ გარკვეულ ცოდნას სოციოლოგიის ისეთი ძირითადი კატეგორიების, ცნებებისა და საკითხების შესახებ, როგორიცაა: საზოგადოება, საზოგადოების სტრუქტურა, კულტურა, სოციალიზაცია, პიროვნება, სოციალური როლები, სოციალური ხასიათი, სოციალურ ხასიათთა ტიპოლოგია, სოციალური ურთიერთობები, სოციალური ინსტიტუტები, სოციალური ორგანიზაციები, გლობალიზაცია, ტრანსფორმაცია,

<sup>1</sup> Современная Социальная Теория: Бурдье, Гидденс, Хабермас. (1995). Новосибирск. стр. 68. Социоанализ Пьра Бурдье. (2001). Москва. стр. 27.

ტრანზიტული საზოგადოება, დევიაცია და სხვ. გენდერული ბალანსის დაცვის მიზნით, ჩატარებული ინტერვიუებიდან გასაანალიზებლად შევარჩიეთ მხოლოდ 40 ინტერვიუ (20 – სტუდენტ გოგონასთან და 20 – სტუდენტ ვაჟთან ჩატარებული). რაც შეეხება გოგონებთან ჩატარებულ ინტერვიუებს, ნაწილის შერჩევა მოხდა ალბათური შერჩევის ტიპის – ლატარის მეთოდის საშუალებით.

ცნობილი ამერიკელი სოციოლოგის ნეილ სმელზერის აზრით, ჩვენ ვცხოვრობთ მაღალინსატიტუციონალიზებულ საზოგადოებაში.

ისეთი სოციალური ინსტიტუტები, როგორიც არის ოჯახი, რელიგია, პოლიტიკა, განათლება, ეკონომიკა, სამართლი, მასმედია და სხვ. დიდ როლს თამაშობენ არა მარტო საზოგადოების ფუნქციონირებასა და განვითარებაში, არამედ თითოეული ინდივიდის ცხოვრებაში.

გამოკითხული სტუდენტები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სოციალურ ინსტიტუტებს თანამედროვე ქართული საზოგადოების ფუნქციონირებასა და განვითარებაში. ხაზს უსვამენ მათ როლს პიროვნების სოციალიზაციის პროცესში. თავიანთ ინტერვიუებში სტუდენტები, ძირითადად, ყურადღებას ამახვილებენ შემდეგ მთავარ ინსტიტუტებზე: ოჯახი, რელიგია, პოლიტიკა, განათლება, მასმედია და სხვა.

**ოჯახის,** როგორც სოციალიზაციის აგენტისა და სოციალური ინსტიტუტის, შესახებ სტუდენტები განსხვავებულ მოსაზრებებს გამოთქვამენ. სტუდენტების უმრავლესობის აზრით, თანამედროვე საქართველოში ოჯახი არის სოციალიზაციის უმთავრესი აგენტი. მ. კ. – „პირველ რიგში, ოჯახი აყალიბებს ბავშვის აზროვნებას. მნიშვნელოვნად (და არა სრულად) განსაზღვრავს პიროვნების ქცევებს, შეხედულებებსა და პრინციპებს. ოჯახის მთავარი ფუნქცია ბავშვების აღზრდა (აღმზრდელობითი ფუნქცია). იგი განსაზღვრავს მოაზროვნე, განვითარებული, პროგრესზე ორიენტირებული პიროვნების ჩამოყალიბებას“. ს. გ. – „ოჯახი არის ის, რაც ნებისმიერი ადამიანისთვის ყველაზე ფასეული და მნიშვნელოვანია. ოჯახში გაზრდილი ბავშვი ყოველთვის განსხვავებულია მიტოვებული ბავშვისაგან. ოჯახური სითბო შეუცვლელია“. თ. ქ. (№17) – „უპირველესი სოციალური აგენტი ოჯახია. ის უზრუნველყოფს ახალგაზრდა თაობისათვის კულტურული ღირებულებების გადაცემას, ადათ-წესების უზენაესობას. რწმენას აყალიბებს. ოჯახი ის ფუნდამენტია, რომელიც საფუძველს უქმნის საზოგადოების წევრების პიროვნებებად ჩამოყალიბებას“. თ. გ. (№10) – „სოციალიზაციის პროცესში ყველაზე დიდი გავლენა მაინც ოჯახსა და

მშობლებს აქვთ, რადგან ძირეული ღირებულებების ჩამოყალიბება  
სწორედ აქ ხდება. ყველა ის ღირებულება, ქცევის ნორმები და ტრადი-  
ციები, რაც ჩემთვის უმნიშვნელოვანესია, ოჯახმა მასწავლა“.

ზოგიერთი სტუდენტი (მათი რიცხვი მცირეა) აღიარებს ოჯახის  
მნიშვნელობას სოციალიზაციის პროცესში, მაგრამ მიაჩნია, რომ თანა-  
მედროვე საქართველოში თანატოლთა ჯგუფი გახდა სოციალიზაციის  
მნიშვნელოვანი აგენტი. რ. ა. – „პიროვნების სოციალიზაციის პრო-  
ცესში უმთავრეს როლს ასრულებს ოჯახი. ოჯახთან ერთად ინდივიდ-  
ზე გავლენა აქვს მეგობრების წრეს, გარშემომყოფ ადამიანებს, ვისთა-  
ნაც მას ახლო და ხშირი ურთიერთობები აქვს“.

ალსანიშნავია, რომ საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ჩამო-  
სული სტუდენტები უფრო განიცდიან თანატოლთა ჯგუფების გავლე-  
ნას, რადგან ისინი ოჯახისაგან დამოუკიდებლად ცხოვრობენ. მ. ღ.  
(№8) – „XX საუკუნეში ოჯახი (ბავშვების აღზრდის დროს ტრადიციულ  
და პიროვნულ ფასეულობებზე იყო ორიენტირებული) იყო ძირითადი  
სოციალური აგენტი, XXI საუკუნეში სოციალიზაციის აგენტების იე-  
რარქია ასეთია – თანატოლთა წრე, მასმედია, ოჯახი და სკოლა (ოჯახ-  
სა და სკოლას ამჟამად ნაკლები პრიორიტეტი ენიჭება). ჩემთვის პრი-  
ორიტეტულია ოჯახი და თანატოლთა წრე“. ს. გ. – „ოჯახი არის სოცი-  
ალიზაციის ძირითადი აგენტი. ბოლო დროს იგრძნობა თანატოლთა  
წრის ძლიერი გავლენა, რასაც, ხშირად, ოჯახის ღირებულებების უკა-  
ნა პლანზე გადაწევა მოჰყვება“.

ზოგიერთი სტუდენტი მიიჩნევს, რომ საქართველოში გაფართოე-  
ბული ოჯახები სჭარბობს. ს. გ. – „თანამედროვე საქართველოში სჭარ-  
ბობს გაფართოებული ოჯახი (რაც ეკონომიკური ფაქტორითაა განპი-  
რობებული). ძირითადად, ქართული ოჯახები პატრიარქალურია. ეკო-  
ნომიკურად შედარებით ძლიერი ოჯახები ეგალიტარულია, აგრეთვე,  
ნეოლიკალური (საცხოვრებელ ადგილსაც ეკონომიკური ფაქტორი გა-  
ნაპირობებს)“. №13 (მ. ა. – გოგონა) – „ოჯახი მნიშვნელოვანია, ხშირია  
გაფართოებული ტიპის ოჯახები. ტრადიციებიდან გამომდინარე, დი-  
დი მნიშვნელობა ენიჭება ნათესაურ კავშირებს. იზრდება ნეოლიკა-  
ლური ოჯახების რიცხვი“.

XXI საუკუნეში შეიმჩნევა ნუკლიარული, ეგალიტარული და ნეო-  
ლიკალური ოჯახების რიცხვის ზრდა. ნ. ი. – „ქრება გაფართოებული  
ოჯახი, სადაც თაობათა ერთად ცხოვრება განსხვავებული ღირებუ-  
ლებების შეძენა-ათვისების მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ბავშვე-

ბის სოციალიზაციის პროცესში. ვრცელდება ნუკლეარული ოჯახები“. ლ. დ. – „ახლა ეგალიტიკული ოჯახებია, ძირითადად. გარკვეული დროის უკან არსებობდა პატრიარქალური ოჯახები“. მ. ხ. – „ქართულ ტრადიციულ ოჯახს ხელმძღვანელობს მამაკაცი, მაგრამ თანამედროვე ცხოვრებამ მოიტანა უფლებათა და მოვალეობათა გადანაწილება. ქალი არა მარტო გაუტოლდა მამაკაცს, ხშირი შემთხვევაში, წამყვანი როლიც დაეკისრა. გენდერულმა თანასწორობამ მიგვიყვანა იქამდე, რომ ქალი აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ ცხოვრებასა და პოლიტიკაში“. თ. ა. (№18) – „ოჯახი მნიშვნელოვანია. ხშირია გაფართოებული ტიპის ოჯახები. ტრადიციებიდან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნათესაურ კავშირებს. იზრდება ნეოლიკალური ოჯახების რიცხვი“.

გამოკითხულ სტუდენტთა ძალიან მცირე ნაწილის აზრით, ოჯახი კარგავს სოციალიზაციის ძირითად ფუნქციას. ისინი მიიჩნევენ, რომ ეს გამოიწვია მასმედიისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების (ინტერნეტისა და სოციალური ქსელების) მზარდება გავლენამ. ეს მოვლენა, დადებითთან ერთად, უარყოფით ზემოქმედებას ახდენს საზოგადოებაზე, განსაკუთრებით, ბავშვებსა და მოზარდებზე. ნ. ი. (თბილისი, 18 წლის, გოგონა) – „ოჯახის, როგორც სოციალიზაციის აგენტის, როლის დაკარგვას ხელს უწყობს ინფორმაციული ტექნოლოგიების, ინტერნეტისა და მასმედიის როლების ზრდა ბავშვთა სოციალიზაციის პროცესში. მან დაჩრდილა სოციალიზაციის სხვა აგენტები“.

თითქმის ყველა სტუდენტი აღნიშნავს, რომ „რელიგია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია პიროვნების ჩამოყალიბებისათვის, რადგან პიროვნების მრნამსი, იდეოლოგია და პრინციპები დამყარებულია რელიგიაზე. რელიგია და კულტურა ურთიერთდაკავშირებული სოციალური ფენომენებია“ (თ. კ.); „ქართველი ხალხის კულტურის ძირითად ასპექტებს რელიგია განსაზღვრავს. მას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება“ (ს. გ.); „რელიგია ჩვენთვის მძლავრ იარაღს – იდეოლოგიას წარმოადგენს. მართლმადიდებლობა ჩვენთვის სულიერი ხსნისა და სიმშვიდის მოპოვების საშუალებას წარმოადგენს. სულ უფრო მეტი ხალხი ცდილობს, იაროს ეკლესიებში და იცხოვროს რელიგიურად“ (მ. ღ.); „დღევანდელი ქართული საზოგადოება შემოტრიალდა ეკლესიისკენ, რაც იკრძალებოდა საბჭოთა რეჟიმის მიერ. ჩემი აზრით, სარწმუნოება შეიძლება მივიჩნიოთ ერთადერთ მაკონსოლიდირებელ ძალად“ (გ. კ.); „უნდა აღინიშნოს რელიგიის განსაკუთრებული როლი ჩვენს საზოგა-

დოებაში, თუნდაც იმიტომ, რომ ქრისტიანულმა სარწმუნოებამ დიდი გავლენა მოახდინა ჩვენი სახელმწიფო ოპერატორის ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებაზე“ (მ. ხ.); „ჩემი აზრით, რაც ყველაზე სასიხარულოა, გაიზარდა ინტერესი რელიგიისა და ეკლესიისადმი. უამრავი ახალგაზრდა დადის ეკლესიაში და ინარჩუნებს სულიერებას“ (გ. ზ.); „ქართულ საზოგადოებაზე დიდია რწმენის გავლენა, რომ არა ჩვენი რელიგიური ხასიათი, რაც გამოიხატება შემწყნარებლობით, ძალიან რთულ მდგომარეობაში ჩავცვივდებოდით. რწმენა დიდი დოზით არსებობს ხალხში“ (ნ. მ.).

ასეთი შეხედულებების საპირისპიროდ, ზოგიერთი სტუდენტი მიიჩნევს, რომ გარკვეული ადამიანებისათვის ეკლესიაში სიარული არის მოდა. ეს არის კონფორმიზმის ერთ-ერთი სახე, რომლის მიზანია სხვების მოწონების დამსახურება. ასეთი ადამიანები, უბრალოდ, ბაძავენ მორწმუნეთა ღირებულებსა და ქცევის ნორმებს. (თ. გ.) – „ზოგისთვის ეკლესიაში სიარული და ეკლესიური ცხოვრება უფალთან დაახლოების გზაა, ზოგისთვის კი მხოლოდ მოდა და სხვების მიბაძვა. მხოლოდ ეკლესიაში სიარული არ კმარა. მთავარია, ეკლესიიდან გამოსვლის შემდეგ თითოეული ჩვენგანის ქმედება“. „ახალგაზრდების ეკლესიაში სიარული ნაკლებადაა განპირობებული რწმენით“ (ს. გ.); „უბედურება ის არის, რომ ეკლესია იქცა თვალთმაქცთა და ორპირთა ფარად. სამწუხაროდ, ქართულ საზოგადოებაში არიან ისეთები, სანთლის ანთებითა და პირჯვრის გადაწერით რომ ცდილობენ უფალთან სიახლოვეს. შეიძლება, ესეც მოდას აყოლაა, ერთგვარი, მაგრამ რელიგია და მოდა ხომ ისე შორს არიან ერთმანეთისაგან, როგორც ცა და მიწა. ჩანს, სხვებისთვის მიბაძვის ტენდენციაა, რაც ბუნებრივად დევს ჩვენში, არც ამ სიტუაციისას გამოირიცხა. არადა, სარწმუნოება სწორედ ის არის, რაც გულითა და სულით უნდა გწამდეს, უფრო მეტად, ვიდრე ყველა საქმე, რასაც ემსახურები. იქნებ, ტაძრებშიც ვერ შეხვიდე, იქნებ, სანთელიც ვერ აანთო, მაგრამ მადლი თესო და სიკეთე ახეირო, თორემ, აბა, იმას რა ფასი აქვს, ეკლესიიდან გამოსულს ხალხიც დაგავიწყდეს და თავიც“ (მ. ხ.); „ჩვენი საზოგადოების ნაწილმა არ იცის მართლმადიდებლობის ფუნდამენტური ღირებულებები და სწამების მხოლოდ იმიტომ, რომ უმრავლესობასა და მათ წინაპრებს ეს რელიგია სწამდათ, ანუ კონფორმისტები არიან“ (ლ. დ.); „ერთნი ცდილობენ, რელიგიას მოერგონ, მეორენი კი, პირიქით, ცდილობენ საკუთარ ცხოვრებას შეუფარდონ რელიგია. ბევრი ჩვენგანი სწორედ სხვაზე ორიენტირებულობის

გამო ცდილობს, იყოს რელიგიური“ (რ. ა.); „მაგრამ არიან ისეთი ადამი-ანებიც, რომლებიც მოდის გამო დადიან ეკლესიაში (მათი რიცხვი არ-ცუ ისე დიდია)“ (გ. ზ.); „ზოგიერთისთვის ეკლესიაში სიარულია მოდა, ზოგიერთისთვის – ეკლესიაში სიარულის მოდაზე საუბარი, ზოგიერთი ფანატიკოსია, რაც დამლუპველია. ზოგი კი, უბრალოდ, სულიერი საზ-რდოს მისაღებად მიდის. ზოგი ეკლესიაში იმიტომ დადის, რომ სხვამ დაინახოს. ჩემთვის ფანატიზმი მიუღებელია. სამწუხაროდ, თანამედ-როვე ქართული საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილი ფანატიკოსია“ (ლ. ს., №23).

გამოკითხული სტუდენტების მცირე ნაწილის აზრით, ახალგაზ-რდები არ არიან რელიგიურები, მათ მიღრეკილება აქვთ ათეიზმისა-კენ. „ახლანდელი თაობა ათეიზმს ანიჭებს უპირატესობას, მომრავ-ლდნენ დევიანტები, რომელთაც განსხვავებული ქცევებით, ჩატარებით, ლაპარაკის მანერით სურთ ყურადღების მიპყრობა. მათ ჰავანიათ, რომ ურწმუნობა მაღალ სტატუსს ანიჭებს“ (ა. ჭ., №15 – 19 წლის, გო-გონა); „ჩვენს საზოგადოებაში მომრავლდნენ ათეისტები. მეცნიერები-სა და ტექნიკის განვითარებამ ადამიანებს ეჭვი აღუძრა და ისინი ნაკ-ლებ იჯერებენ რელიგიურ სასწაულებს, დარწმუნებას ფაქტების გარე-შე. მიუხედავად მათი ურწმუნობისა, ქართველები ნაკლებად ამჟღავ-ნებენ ამას, რადგან ჩვენს ქვეყანაში დიდი გავლენა აქვს რელიგიას. მორწმუნე ადამიანი უფრო მისაღებია ხალხისთვის და მათ უფრო ჭკვიანად და წესიერად თვლიან“ (ა. ჭ., №15).

ზოგიერთი სტუდენტი მიიჩნევს, რომ გლობალიზაცია საფრთხეს უქმნის ქრისტიანობას, განსაკუთრებით, მართლმადიდებლობას. „ჩვენს საზოგადოებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია რელიგიას, რომელსაც გლობალური ტენდენციები აშკარა საფრთხეს უქადის. ქრისტიანობა და ქართველობა იდენტური ცნებები იყო საუკუნეების განმავლობაში და მის დაცვას არაერთი მამულიშვილი შეენირა. სამწუ-ხაროდ, უკანასკნელ ხანს განსაკუთრებით იგრძნობა რელიგიისაგან გან-დგომა, ათეიზმის გაბატონება. რადგან რწმენა მორალური პრინციპები-თა და ნორმებით გარკვეულ საზღვრებს უწესებს ადამიანთა ქცევას, ბევრს კი სწორედ ამ შეზღუდვებიდან გათავისუფლება სურს“ (თ. ქ.).

რელიგიის შესახებ სხვადასხვა შეხედულების მიუხედავად, სტუ-დენტთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ რელიგია არის სოციალიზაციის ერთ-ერთი მთავარი აგენტი (ზოგიერთი რესპონდენტის აზრით კი, ის ყველაზე მნიშვნელოვან როლს თამაშობს სოციალიზაციის პროცესში).

**მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები** სოციალიზაციის აუცი-  
ლებელი ფაქტორია. კულტურები მრავალი ასპექტით განსხვავდება  
ერთმანეთისაგან, მათ შორის, მასმედიის შინაარსითა და ფორმით.  
ისინი განსხვავებულად ასწავლიან ადამიანებს სხვა ადამიანების, მოვ-  
ლენების, პროცესების, შეფასებების დიფერენცირებასა და აღქმას.  
თანამედროვე, XXI საუკუნეში, განსაკუთრებით გაიზარდა მასობრივი  
კომუნიკაციების როლი, ფუნქცია და გავლენა (განსაკუთრებით, ინ-  
ტერნეტის, სოციალური ქსელებისა და სხვა) სოციალიზაციის პრო-  
ცესში.

საინტერესოა, გავეცნოთ სტუდენტთა შეხედულებებს თანამედ-  
როვე საქართველოში მასმედიის ფუნქციონირების შესახებ.

გ. ზ. (№3 – ვაჟი) – „თავისუფალი მედია ხელს უწყობს ჩვენს უშუა-  
ლო მონაწილეობას ქვეყნის განვითარებაში“.

ა. მ. (ქუთაისი, გოგონა) – „მასმედიის მიზანია, „დასავლურ მასაში“  
გავთქვითოს. ტელევიზიებისთვის მთავარია უფრო და უფრო მეტი  
მაყურებლის მიზიდვა და რეიტინგის გაზრდა, ხოლო რა გზებითა და  
ხერხებით მიაღწევენ მიზანს, მათვის უმნიშვნელოა. მასმედია, საერ-  
თოდ, არ ითვალისწინებს ქართულ კულტურულ ფასეულობებს და,  
ხშირად, ისეთი მდარე ხარისხის პროგრამებს სთავაზობს საზოგადოე-  
ბას, რომლებიც გაკიცხვისა და კამათის მიზეზი ხდება, საგანმანათ-  
ლებლო გადაცემებს ძალიან მცირე დრო ეთმობა. მასმედია გვთავა-  
ზობს უაზრო, იაფფასიან, პროპაგანდისტულ გადაცემებს. ზოგჯერ,  
მეჩვენება, რომ მასმედიის ერთადერთი დანიშნულება საზოგადოების  
გაბითურება და „დასავლური“ ცხოვრების წესის პროპაგანდაა. ის ერ-  
თ-ერთ უმთავრეს როლს ასრულებს ქართული კულტურის რღვევაში  
(ე.ნ. ანომიაში)“.

სულ უფრო და უფრო იზრდება მასმედიის გავლენა საზოგადოე-  
ბაზე. ახლა იგი იმდენად მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოციალიზა-  
ციის პროცესში, რომ ზოგიერთი მეცნიერი ამ მოვლენას „ტელეკრატი-  
ას“ უწოდებს. მ. კ. (20 წლის, გოგონა) – „სამწუხარო რეალობაა, რომ  
თანამედროვე მედია უფრო უარყოფით გავლენას ახდენს ბავშვზე,  
ვიდრე დადებითს. მასმედიის პრობლემა მწვავედ დგას ქართული სა-  
ზოგადოების წინაშე და, ვფიქრობ, იგი ლრმა და მნიშვნელოვან ანა-  
ლიზს საჭიროებს. დღევანდელი საზოგადოება (განსაკუთრებით, ბავ-  
შვები) იმდენადაა კომპიუტერიზებული, გარკვეულ ჩარჩოებში ჩასმუ-  
ლი, ტელეკრანებს მიჯაჭვული, რომ ისინი რეალურად ვეღარ აფასე-

ბენ მიმდინარე პროცესებს“. ქ. ღ. (№14 – 18 წლის, გოგონა) – „საზოგა-დოების დეპუმანიზაციის ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი არის ინ-ტერნეტი. ქართველების უმრავლესობა, განსაკუთრებით კი ახალგაზ-რდები, თავისუფალი დროის ხალხთან გატარებას, ინტერნეტთან „ურ-თიერთობას“ – მსოფლიო დაავადებით დასწეულებას – ამჯობინებს“.

თ. გ. (19 წლის, გოგონა) – აღნიშნავს, რომ ინტერნეტი დიდ შესაძლებ-ლობებს აძლევს ადამიანებს, მათ შეუძლიათ მათთვის საინტერესო ინ-ფორმაციის უმცირეს ვადაში მოპოვება, მაგრამ ამან გამოიწვია წიგნი-სადმი ინტერესის დაკარგვა. ს. გ. (გურია, გოგონა) – „თანამედროვე ქართული მასმედია ნაკლებ კომპეტენტურია. იგი ობიექტურად უნდა აშუქებდეს მოვლენებს, რომ საზოგადოებას მათი საღი განსჯის საშუ-ალება მიეცეს“.

თ. გ. (გოგონა) – „ჩვენს ეპოქაში ბავშვთა სოციალიზაციის პრო-ცესში თანდათან იზრდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გავლენა. ისინი სულ უფრო და უფრო ხდებიან კომპიუტერსა და ინ-ტერნეტზე დამოკიდებული, დროის უმეტეს ნაწილს ეკრანებთან ატა-რებენ, რაც, თავისთავად, აისახება მათი მსოფლმხედველობის, ღირე-ბულებების, ქცევის ნორმების ჩამოყალიბებასა და დამკვიდრებული ჩვეულებების შეცვლაზე“. თ. ქ. – „საზოგადოებრივი აზრის ფორმირე-ბაზე უმთავრესი პასუხისმგებელი მედია საშუალებებია. მათ ტყუი-ლუბრალოდ არ უწოდებენ „მეოთხე ხელისუფლებას“. სწორედ მედია არის ის წამყვანი ძალა, რომელსაც ძალუს ჩვენი საზოგადოების სიმ-პათია-ანტიპათიის განსაზღვრა, პოლიტიკური განწყობილებების და-მახინჯება. სამწუხაროდ, არაობიექტური, მიუკერძოებელი მედია, ხშირ შემთხვევაში, მძლავრად ზემოქმედებს ჩვენს ცნობიერებაზე და მცდარ წარმოდგენებს გვიყალიბებს ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირე-ბით“.

ზოგიერთი სტუდენტი უარყოფითად აფასებს მასმედიის მუშაო-ბას საქართველოში. ნ.მ. (№20 – გოგონა) – „მასმედია ქვეყანას ზიანს აყენებს. ჩვენ ვერ ვხდებით, სადა სიმართლე, იმიტომ, რომ არსებობს იმდენი „სიმართლე“, გვიჭირს გარჩევა. თანამედროვე საქართველოში ხარისხიანი პრესა, ზოგადად, ხარისხიანი ინფორმაცია სანთლით საძე-ბარია. ტელევიზიაში თოქ-შოუების ძირითადი თემაა გაურკვეველი

ხალხის პირადი ცხოვრების უინტერესო დეტალები. ამიტომ, შეიძლება  
ითქვას, რომ სიმართლეს მოკლებულნი ვართ.“<sup>1</sup>

თანამედროვე, გარდამავალი პერიოდის საქართველოს საზოგა-  
დოებრივი ცხოვრების შეფასების დროს, გამოკითხული სტუდენტების  
უმრავლესობამ ყურადღება გაამახვილა **განათლებაზე**, როგორც სო-  
ციალურ ინსტიტუტზე.

სტუდენტებს გაცნობიერებული აქვთ განათლების როლი საქარ-  
თველოს განვითარებაში, მათ პროფესიულ დახელოვნებასა და პიროვ-  
ნულ ჩამოყალიბებაში. ისინი აღნიშნავენ, რომ განათლების ხელმისაწ-  
ვდომობა განაპირობებს ქართული საზოგადოების მეცნიერულ და  
კულტურულ პროგრესს. ნ. დ. (№39 – 19 წლის, გოგონა) – „ჩვენი ქვეყ-  
ნის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ხორციელდება რე-  
ფორმები, მათ შორის, განათლების სისტემაში, რომელშიც იგულის-  
ხმება მაღალი ტექნოლოგიების, თანამედროვე პროგრამების, სწავლე-  
ბის მეთოდების, კომპიუტერული სისტემების დანერგვა. ქვეყნის ყვე-  
ლა რაიონში თანდათან განხორციელდება პროექტი „ირმის ნახტომი“,  
რომელიც ითვალისწინებს ყველა სკოლაში კომპიუტერულ სწავლებას.  
ახალგაზრდობის კომპიუტერული ცოდნით აღჭურვა დღევანდელი  
ცხოვრების უპირველესი მოთხოვნა“; ს. მ. (გოგონა) – „განათლებას  
დიდი როლი აქვს პიროვნებად ჩამოყალიბებაში, ქართულ საზოგადოე-  
ბაში იგი სავალდებულო ხდება. უზრუნველყოფს ახალგაზრდების ინ-  
ტელექტუალურ და ემოციურ აღზრდას, ხელს უწყობს ადამიანთა სო-  
ციალურ მობილობას.“

ცნობილი მეცნიერი ი.კ. უილიამ ფულბრაიტი წერდა, რომ უმაღ-  
ლესი განათლების ძირითადი ფუნქციაა მომავალი თაობის განსწავლა,  
ადამიანთა ცხოვრების განვითარება, თავისუფალი და ცოდნით გასხი-  
ვოსნებული აზროვნების განვითარება. მან ადამიანებსა და, საერთოდ,  
ხალხთა შორის ურთიერთობა უნდა გახადოს უფრო გონივრული, სა-  
მართლიანი და ჰუმანური.

განათლება სოციალიზაციის აუცილებელი ფაქტორი ხდება. რო-  
გორც გამოჩენილი ფრანგი სოციოლოგი ემილ დიურკემი აღნიშნავდა,  
განათლების ძირითადი ფუნქციაა გაბატონებული კულტურის ღირებუ-  
ლებების გადაცემა. განათლება წარმოადგენს სოციალურ ინსტიტუტს,  
სადაც წარმოებს პიროვნების ემოციური, სოციალური და ინტელექტუა-

<sup>1</sup> სტუდენტთა მეტყველების სტილი დაცულია.

ლური ფორმირება. უმაღლესი განათლება ეკონომიკური აუცილებლობაც გახდა. ქვეყნის, საზოგადოების განვითარება მნიშვნელოვნადაა და-მოკიდებული უმაღლეს განათლებაზე.

სტუდენტები აღნიშნავენ, რომ XXI საუკუნეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება **თანატოლთა წრეს**, რომელიც პიროვნების ინ-ტერესებს, ღირებულებებს, ქცევის ნორმებს, ჩაცმის სტილს, მეტყვე-ლების მანერას და მრავალ სხვ. აყალიბებს. თანატოლთა გავლენა გან-საკუთრებით დიდია რაიონებიდან ჩამოსულ სტუდენტებზე, რომლე-ბიც ოჯახებისაგან დამოუკიდებლად ცხოვრობენ.

თ. ქ. (№17 – გოგონა) – „მნიშვნელოვანია თანატოლთა წრეც. მე-გობართა მრნამსი და ღირებულებები განსაზღვრავს საზოგადოების წევრთა ქცევას, განსაკუთრებით მაშინ, როცა ახალგაზრდები დამოუ-კიდებელ ცხოვრებას იწყებენ და ყოველი დღე ინოვაციებითაა აღსავ-სე“. თ. გ. (№10 – გოგონა) – „თანატოლთა წრე მხოლოდ მეგობრობას, გართობას არ ემსახურება. მას უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, იგი სო-ციალიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აგენტია“.

**პოლიტიკა** არის ერთ-ერთი სოციალური ინსტიტუტი, რომელიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საზოგადოების სოციალურ ცხოვრე-ბას.

აღსანიშნავია, რომ პოლიტიკა აღმოჩნდა ის საკითხი, რომელზეც გამოკითხული სტუდენტები ყველაზე ნაკლებად ამახვილებდნენ ყუ-რადღებას. იმ სტუდენტების მოსაზრებებიც კი, რომლებიც ამ საკითხ-ზე საუბრობენ, საკმაოდ განსხვავებულია. ს. გ. (№5) – „პოლიტიკა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საზოგადოების ცხოვრებას. ქართული საზოგადოება, მეტ-ნაკლებად, ინდიფირენტულია“. მ. ღ. (№7) – „პო-ლიტიკა ჩემგან შორსაა (ძალიან არ მიყვარს). უბრალოდ, ზოგჯერ ძალზე მტკივა გული იმაზე, რაც დღეს ხდება საქართველოში“. თ. ქ. (№17) – „პოლიტიკური რაკურსით თუ განვიხილავთ, ქართული საზო-გადოების დიდი ნაწილი ინდიფირენტულია პოლიტიკური საკითხების მიმართ, აპათიასაა მიცემული და არსებული არასასარბიელო მდგომა-რეობის გამოსწორების ვერანაირ გზასა და საშუალებას ვერ ხედავს. აღნიშნული ფაქტი მით უფრო სამნუხაროა, რომ თუ ყველა ქართველი სკეპტიკურად განეწყო ამ საკითხების მიმართ და პოლიტიკური ამინ-დის შექმნაში არ მიიღებს მონაწილეობას, ჯანსაღი საზოგადოების ჩა-მოყალიბების ყველა მცდელობა უკვე კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება“. გ. მ. (№24) – „საქართველოს დღეს აქვს მკვეთრად გამოხატული და-

სავლური კურსი. სულ ახლახან დავიწყეთ დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა, რაც არც ისე მარტივია. ჩვენ აღმოგჩდით „გაუმართლებელი ექსპერიმენტის“ მსხვერპლნი, რომელმაც საქართველოს 70 წელიწადი დააკარგვინა, ამ ხნის მანძილზე დრო გაჩერებული იყო საქართველოსთვის. სოციალიზმი, საბოლოოდ, დაამარცხა ლიბერალურმა დემოკრატიამ, რომელსაც დღეს მეტოქე აღარ ჰყავს“. გ. გ. (№24) – „ჩვენი საზოგადოება პოლიტიკურად გათიშულია, რადგან იგი პოლიტიკური კუთხით ინდიფერენტულია. საზოგადოებაში მორალის მქადაგებელთა სიჭარბეა. სამწესაროდ, ჩვენი საზოგადოება აშკარად განიცდის პოლიტიკური ალლოს მქონე პიროვნებების დეფიციტს. ეს იწვევს პოლიტიკანობას. პოლიტიკა მხოლოდ ბინძური საქმეა და მასთან დაკავშირებული ადამიანებიც არ არიან სუფთა სინდისის“. ა. ც. (№40 – 19 წლის, ვაჟი) – „ჩვენს ქვეყანაში ერთპიროვნული, ავტორიტარული მმართველობაა“. მ. ღ. (№8 – 18 წლის, გოგონა) – „დემოკრატია ჩვენთან არ არის. მე დღევანდელ ვითარებაში ტოტალიტარიზმს უფრო ვხედავ, ვიდრე დემოკრატიას ან ავტორიტარიზმს. მთავრობა დამნაშვეა, რადგან მისი პოლიტიკის ნაწილია ის ძვრები და სოციალური გადაგვარება, რაც დღეს საკმაოდ მზარდად მიმდინარეობს“. თ. კ. – „ჩვენს ქვეყანაში გაბატონებულია მოჩვენებითი დემოკრატიის ფორმა“.\*

სტუდენტები სამართლიანად აღნიშნავენ, რომ არ შეიძლება თანამედროვე, გარდამავალი პერიოდის საქართველოს რეალობის განხილვა მსოფლიო მოვლენებისაგან დამოუკიდებლად. მათი აზრით, მთელი მსოფლიო, გლობალიზაციის მეშვეობით, დაკავშირებულია ერთმანეთთან და არცერთ ქვეყანას არ შეუძლია დამოუკიდებლად არსებობა (მიუხედავად იმისა, როგორია ქვეყანა, განვითარებული, განვითარებადი თუ გარდამავალ პერიოდში მყოფი).

სოციალური ინსტიტუტებისადმი სტუდენტთა დამოკიდებულების შესწავლის მიზნით, აგრეთვე, ჩავატარეთ გამოკვლევა ფოკუს ჯგუფის მეთოდით.

სტუდენტთა შერჩევის აუცილებელი პირობა იყო მათი ინფორმირებულობა სოციოლოგიის გარკვეულ საკითხებში. შერჩეულ იქნა 4 ფოკუს-ჯგუფი. თითოეული ჯგუფი შედგებოდა 10 წევრისაგან. ყველა ფოკუს-ჯგუფი იყო პომოგენური ასაკის, სოციალური სტატუსისა და განათლების დონის მიხედვით. 4 ფოკუს-ჯგუფიდან 2 იყო პომოგენუ-

\* როგორც ზევით აღვნიშნეთ, გამოკვლევა ჩატარდა 2010 წელს.

რი სქესისა და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, დანარჩენი 2 კი – ჰეტეროგენური იმავე მახასიათებლების (სქესისა და საცხოვრებელი ადგილის) მიხედვით. I ფოკუს-ჯგუფი დაკომპლექტდა თბილისში დაბადებული 10 სტუდენტისაგან (5 გოგონა და 5 ვაჟი), II ჯგუფს შეადგენდა თბილისში დაბადებული 10 სტუდენტი გოგონა. III და IV ფოკუს-ჯგუფების მონაწილეები იყვნენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში დაბადებული სტუდენტები (III ჯგუფი – რაიონში დაბადებული 10 გოგონა, IV ჯგუფი – რაიონში დაბადებული 5 სტუდენტი გოგონა და 5 სტუდენტი ვაჟი).

ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები იყვნენ თსუ-ის უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტისა და სპეციალობის სტუდენტები (40).

ფოკუს-ჯგუფებში მონაწილეთა დიდმა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ XXI საუკუნე ინფორმაციული ერაა და მასმედიის სხვადასხვა საშუალება (განსაკუთრებით, ინტერნეტი, სოციალური ქსელები) დიდ როლს ასრულებს სოციალური ხასიათის ფორმირებაში, ოჯახი კვლავ რჩება მათი სოციალიზაციის ძირითად აგენტად. მათ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს ქალის მნიშვნელოვან როლსა და ფუნქციაზე თანამედროვე ქართულ ოჯახებში. ქართული ოჯახების ნაწილი კვლავ პატრიარქალურია, მაგრამ შეიმჩნევა ეგალიტარული ოჯახების რიცხვის ზრდა, განსაკუთრებით, ახალგაზრდებში. გაფართოებული, პატრილოკალური ოჯახი გზას უთმობს ნუკლეარულ და ნეოლოკალურ ოჯახებს.

თანატოლთა წრეს გამოკითხულ სტუდენტთა უმრავლესობა მნიშვნელოვან როლს ანიჭებს ახალგაზრდების პიროვნებებად ჩამოყალიბების პროცესში. ისინი აღნიშნავენ, რომ მათი თანატოლები – ამხანაგები, ხშირად, განსაზღვრავენ მათი ცხოვრების წესს, ურთიერთობებს, ქცევებს, გემოვნებას, ინტერესებსა და ღირებულებებს. თანატოლები ზეგავლენას ახდენენ მათი ჩაცმის სტილზე, ყოველდღიურ სამეტყველო ენაზე, ლაპარაკის მანერაზე, სხვადასხვა ფაქტისა და მოვლენის შეფასებაზე. განსაკუთრებით, სკოლაში სწავლის პერიოდში დიდია თანატოლების გავლენა. მათი ბევრი მეგობარი ყოფილი თანაკლასელია ან მეზობელი. ისინი ხშირად ითვალისწინებენ მათ რჩევებს სხვადასხვა გადაწყვეტილების მიღების დროს – მეგობრის, შეყვარებულის, ქმრის, პროფესიის, სასწავლებლისა და სხვ. არჩევის დროს. მათ მიაჩნიათ, რომ სტუდენტური ცხოვრება (განსაკუთრებით, ერთიანი სოციალური ჯგუფების არ-

არსებობა) იშვიათად იძლევა ახალი მეგობრების შეძენის შესაძლებ-  
ლობას. ამ პრობლემაზე ისინი გულისტკივილით ამახვილებენ ყუ-  
რადღებას.

სტუდენტების აზრით, მასმედიის საშუალებების (პრესა, რადიო,  
ტელევიზია, ინტერნეტი) გავლენა სოციალური ხასიათის ფორმირება-  
ზე არაერთგვაროვანია. პრესა და რადიო ნაკლებ გავლენას ახდენენ  
პიროვნების ჩამოყალიბებაზე. ყველაზე მნიშვნელოვანია ინტერნეტის  
გავლენა. ინტერნეტი ადამიანების ცხოვრებაში სულ მეტ დროს იკა-  
ვებს. ზოგიერთი ახალგაზრდა, როგორც გოგონები, ისე ვაჟები, თან-  
დათან დამოკიდებული ხდება ინტერნეტზე, ინტერნეტ-თამაშებზე,  
სხვადასხვა საკომუნიკაციო პროგრამაზე, სოციალურ მედიასა (სოცი-  
ალურ ქსელებზე) და სხვ. მათ ამ დამოკიდებულების უარყოფითი მხა-  
რე გაცნობიერებული აქვთ, მაგრამ, როგორც თავად აღნიშნავენ, უძ-  
ლურები არიან, თავი დააღწიონ ამას.

სტუდენტთა ეს გულახდილი პასუხები ერთხელ კიდევ შეგვახსე-  
ნებს XX საუკუნის ერთ-ერთი დიდი მოაზროვნის ე. ფრომის შეხედუ-  
ლებას, რომ „ჩვენს კიბერნეტიზებულ-ინდუსტრიულ საზოგადოებაში  
იზრდება სიყვარული უსიცოცხლოსა და მექანიკურისადმი“. მხოლოდ  
სიტყვები „კიბერნეტიზებული“ და „ინდუსტრიული“ უნდა ჩავანაც-  
ვლოთ ტერმინებით – „კომპიუტერიზებული“ და „პოსტინდუსტრიუ-  
ლით“, რაც ადეკვატურად ასახავს XXI საუკუნის რეალობას.

აღსანიშნავია, რომ ბევრი სტუდენტი სოციალიზაციის ერთ-ერთ  
ძირითად აგენტად მიიჩნევს რელიგიას, ხოლო ზოგიერთი სტუდენტი  
სოციალიზაციის აგენტთა იერარქიაში მას პირველ ადგილზე აყენებს.

სტუდენტთა მოსაზრებების გაანალიზებების შედეგად მივიღეთ  
სოციალური ინსტიტუტებისადმი მათი დამოკიდებულებების შემდეგი  
იერარქია: 1. ოჯახი (I ადგილი – 33 სტუდენტი, II ადგილი – 7 სტუდენ-  
ტი), 2. რელიგია (I – 4, II – 13, III – 7, IV – 7, V – 5, VI – 4). 3. მეგობრები (I –  
1, II – 9, III – 19, IV – 8, V – 2, VI – 1), 4. სამუშაო /სამსახური, კარიერა/ (I –  
2, II – 13, III – 10, IV – 13, V – 1, VI – 1), 5. თავისუფალი დრო /გართობა,  
დასვენება/ (I – 0, II – 0, III – 5, IV – 6, V – 17, VI – 12), 6. პოლიტიკა (I – 0, II  
– 1, III – 0, IV – 6, V – 12, VI – 21).

რაც შეეხება სოციალურ ინსტიტუტებს, როგორც სოციალიზაციის  
აგენტებს, სტუდენტთა პასუხების მიხედვით შემდეგი სურათი გამოიკ-  
ვეთა: 1. ოჯახი (I – 33, II – 4, III – 1), 2. მეგობრები (I – 4, II – 29, III – 15)  
/2. სტუდენტისათვის ოჯახსა და მეგობრებს თანაბარი მნიშვნელობა

აქვს/, 3. მასმედია (I – 1, II – 2, III – 1), 4. სკოლა /განათლება/ (I – 0, II – 3). 4 სტუდენტი რელიგიას მიიჩნევს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან აგენტად, აქედან 2 სტუდენტი მას I ადგილს ანიჭებს, 2 კი – II-ს.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კვლევაში სამიზნე ჯგუფის, სტუდენტობის, წარმომადგენლები თანამედროვე, გარდამავალი პერიოდის საქართველოს რეალობის შეფასების დროს ავლენენ როგორც შემეცნებით, ისე შეფასებით დამოკიდებულებას. შეფასებით დამოკიდებულებას, როგორც წესი, თან ახლავს გარკვეული სუბიექტივიზმი. სტუდენტები, როგორც დამოუკიდებელი ინდივიდები და განსხვავებული ღირებულებების, ღირებულებათა სისტემისა და ღირებულებათა იერარქიის მქონე პიროვნებები, ბუნებრივია, სხვადასხვა ინტერპრეტაციას აძლევენ ერთსა და იმავე სოციალურ ინსტიტუტებს.

**Natela Donadze**

Assistant Professor

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

### **Modern Georgian Social Institutions in Students' Focus**

#### **Resume**

Today, in the second decade of XXI century, Georgia is in a transitional period. Transformational processes are taking place in every sphere of the Georgian social system and include all its elements. Transition has affected the Georgian society both on the macro level – social institutions and organizations, and on the micro level – social groups and individuals. Transformation processes are occurring with different forms and content, speed and intensity in different elements, components of a social structure. The economic, political, cultural, social, legal, educational institutions and their functions are being changed. The new reality is being constructed.

According to Pierre Bourdieu, one of the outstanding representatives of modern social sciences, peculiarity of society is that it has two beings: on the one hand, it is given in objective social structures and on the other hand, it exists in social agents' consciousness. That's why sociology as a science should study

not only objective structure but also its descriptions by agents, their approaches, attitudes to established structures.\*

Our objective was to study students' – social agents' – opinions about modern Georgian social institutions, their attitudes towards them. For this purpose in 2010 year I conducted a sociological research, using a triangulation approach. I have considered qualitative methods -semi-structured interview and a focus group - to be relevant to this objective. My target groups were the students of Tbilisi State University. Students have diverse life experiences, interests, tastes, attitudes, information, identities, values, etc., therefore they show different understandings and meanings.

According to famous American sociologist Neil Smelzer, we live in a highly institutionalized society. Even the simplest kinds of interaction are the building blocks of complex institutions.\*

The students delineate, mainly, major social institutions: family, religion, education, politics, mass media, etc.

In our research the students show both cognitive and estimative attitudes towards modern Georgian society. As a rule, estimative attitudes are accompanied by certain subjectivism. It's natural that students, as independent individuals and personalities with diverse values, value hierarchy and the system, differently interpret one and the same modern social institutions.

In the emotive, deep-felt answers the students express what they respect and what they are annoyed with, what they believe and what they don't believe, what they like and what they dislike, what are they interested in and what are they indifferent to, what they care for and what is very significant to them. Their ideas are very interesting and important for the research.

---

\* Современная Социальная Теория: Бурдье, Гидднес. Хаберманс. (1995). Новосибирск. Соционализм Пьера Бурдье. (2001). Москва.

\* Smelzer, N. J. (1995). Sociology. New Jersey. Prentice-Hall, Inc. (Original work published 1981), p. 47.

**სალომე დუნდუა**  
ასოცირებული პროფესორი, თსუ

**მუსლიმი ქართველები და სამოქალაქო  
ინტეგრაციის პრობლემები**

საქართველო, ეთნო-კონფესიური თვალსაზრისით, დღემდე რჩება მრავალწევრიან და ფრაგმენტირებულ ქვეყნად, სადაც კვლავაც არ ან ნაკლებად არსებობს იმგვარი საჯარო სივრცე, რომელიც ქვეყნის ტერიტორიაზე მაცხოვრებელ ყველა ეთნო თუ კონფესიურ ჯგუფს მოცემული სახელმწიფოს მიმართ ლოიალობას და მისი თანაზიარობის შეგრძნებას გაუჩენდა. დღემდე რჩება პრობლემა როგორც ეთნიკური, ასევე რელიგიური უმცირესობების (არამხოლოდ მუსლიმი ქართველების) საჯარო და საზოგადოებრივ სივრცეში სრულფასოვანი ინტეგრაციისა. თუკი საქართველოს სურს ერთი მხრივ – მოახერხოს ქვეყნის ერთიანობის შენარჩუნება და მეორე მხრივ – გადაიქცეს სრულფასოვან, კონსოლიდირებულ ლიბერალურ-დემოკრატიად – მას მოცემულ პრობლემასთან გამკლავება მოუწევს.

ამ ფონზე, ვფიქრობთ, გარკვეულ მნიშვნელობას იძენს იმის გააზრება და განალიზება, თუ როგორ და რა პირობებში, რა სოციო-პოლიტიკური ცვლილებების ფონზე ხდებოდა ქართველი ერის დისკურსის ჩამოყალიბება, რა როლი ეკისრა ამ პროცესში რელიგიურ უმცირესობებს მუსლიმი ქართველების მაგალითზე, როგორი იყო საზოგადოებაში ინტეგრაციის კუთხით მათ მიმართ XIX-XX საუკუნის დასაწყისის საქართველოში გატარებული პოლიტიკა. განხილული ისტორიული ჭრილის ფონზე შევეცდებით შევეხოთ მუსლიმი ქართველების (აჭარლების) საკითხს თანამედროვე ქართულ რეალობაშიც.

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა და მუსლიმი ქართველები

2002 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის 88,6% ქრისტიანული აღმსარებლობისაა, მაჲმადიანური მოსახლობა მთელი მოსახლეობის 9,9% შეადგენს; დანარჩენი 1,5% კი მოდის იუდეველებზე, სხვა რელიგიურ მიმდინარეობებზე და იმ ადამიანებზე, რომლებიც თავს არცერთ რელიგიურ აღმსარებლობას არ მიაკუთვნებენ. აღნიშნული 9,9 % მუსლიმი მოსახლეობიდან 139 124 ქართველი მაჲმადიანია, რაც მთელი ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის 3,8% შეადგენს<sup>1</sup>.

საქართველოში მოსახლე მუსლიმი ქართველების დიდი უმრავლესობა აჭარაში ცხოვრობს, რომლის მოსახლეობა ჯამში 376 ათასს შეადგენს.

საქართველოში მცხოვრები მუსლიმი ქართველების ისტორია განსაკუთრებით საინტერესოა და მისი ფესვები საკმაოდ შორეულ წარსულში – ჯერ კიდევ იმ პერიოდში, როდესაც აჭარა და სამცხე საათაბაგოს დიდი ნაწილი თურქეთის ხელში გადადის - უნდა ვეძიოთ. ამ პერიოდიდან იწყება აჭარაში მცხოვრები ძირძველი ქრისტიანი ქართველების გამუსლიმება, რასაც დიდი ძალისხმევის შედეგად მიაღწია კიდეც ოსმალეთის იმპერიის მიერ გატარებულმა პოლიტიკამ.

საუკუნეების მანძილზე საქართველოსთვის არ დაუკარგავს აქტუალობა დაკარგული ტერიტორიებისა და მასთან ერთად ეთნიკური, მაგრამ რელიგიურად განსხვავებული რჯულის ქართველების კვლავაც საქართველოს ტერიტორიულ ფარგლებში დაბრუნების პრობლემას.

1878 წელს, თურქეთთან ომში რუსეთის გამარჯვების შედეგად, სან სტეფანოს ზავის და ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებათა საფუძველზე აჭარა საქართველოს ფარგლებში ბრუნდება. თუმცა, თურქეთისთვის ბათუმის პორტო ფრანკოს (თავისუფალი ქალაქ ნავსადგური) უფლებად გადაცემაშ ხელი შეუშალა აჭარის რეგიონის და მისი ეროვნებით ქართველი, მაგრამ სარწმუნოებით მუსლიმი მოსახლეობის დანარჩენ საქართველოსთან ინტეგრირების პროცესის დაწყებას და, ზოგადად, საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ პროცესებთან რეგიონის მჭიდროდ დაკავშირებას.

<sup>1</sup> სტატისტიკური მონაცემები განთავსებულია – [www.diversity.ge](http://www.diversity.ge), ნანახია 2014 წლის 18 აპრილს.

„სარწმუნოების სხვადასხვაობა ჩევნ არ გვაშინებს. ქართველმა, თავისის სარწმუნოებისათვის ჯვარ-ცმულმა, იცის პატივი სხვისი სარწმუნოებისაც.... ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევუერთდეთ, ერთმანეთი ვიძმოთ, და ქართველი, ჩვენდა სასიქადულოდ, კვლავ დაუმტკიცებს ქვეყანასა, რომ იგი არა ერჩის ადამიანის სინდის და დიდის ხნის განშორებულს ძმას ძმურადვე შეითვისებს.<sup>1</sup>“ – წერდა ილია 1877 წელს, რუსეთ-თურქეთის ომის პერიოდში, როდესაც დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების საკითხმა რეალური ხასიათი მიიღო.

მე-19 საუკუნეში ილია ჭავჭავაძის თაოსნობით წარმოქმნილ თანამედროვე ერის დისკურსში, რომელშიც მაშინდელი საქართველოს ინტელექტუალური წრეები ღებულობდნენ მონანილეობას, მთავარ ამოცანას წარმოადგენდა ქართველი ერის, როგორც ეთნო-კულტურული წარმონაქმნის საზღვრების დადგენა და შემდგომში მის საფუძველზე პოლიტიკური ავტონომიის ან, უკეთეს შემთხვევაში, დამოუკიდებლობის მიღწევა. ერად ქმნადობის ამ პროცესში უმნიშვნელოვანესი ადგილი ეჭირა მუსლიმი ქართველების საკითხის სწორ და მართებულ გადაჭრასაც. სან სტეფანოს საზავო ხელშეკრულების შემდეგ საქართველოს შემოერთებული ძირძველი ქართული ტერიტორიები თუმცა ეთნიკურად ქართველი (აჭარელი), მაგრამ რელიგიური მრნამსით კი მუსლიმი მოსახლეობით იყო დასახლებული, რომლის ქართველ მოსახლეობასთან ინტეგრირება და ერთ „ერად“ ალქმადობის განცდის ჩამოყალიბების პროცესი საკმაოდ რთული და ხანგრძლივი აღმოჩნდა. „...ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლხორცი... ჩვენი ძველი საქართველო, დღეს ჩვენ შემოგვიერთდა“ – ასე გამოეხმაურა ილია ჭავჭავაძე 1877-1878 წლების რუსეთ თურქეთის ომის შედეგად აჭარის საქართველოსთვის დაბრუნების ფაქტს, ხაზი გაუსვა რა კვლავაც შემოერთებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის ქართველებთან ეთნიკურ ერთობას. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულმა მოვლენამ საყოველთაო სიხარული გამოიწვია მაშინდელ ქართულ საზოგადოებაში და, პრაქტიკულად, არ დარჩენილა არცერთი ქართველი ინტელექტუალი, რომ ამ მოვლენას არ გამოხმაურებოდა, რეალობა არც ისე მარტივი აღმოჩნდა. ქრისტიანი ქართველის მიერ მუსლიმი ქართველის ეთნიკურ ქართველად და არა „თურქად“ ალქმადობის დამკვიდრება ინტეგრაციის გზაზე უმთავრეს პრობლემად რჩებოდა.

<sup>1</sup> ილია ჭავჭავაძე, ერი და ისტორია, ოსმალოს საქართველო, პუბლიცისტიკა, ტ.4, გამომცემლობა „პალიტრა L“, თბილისი, 2012.

მიუხედავად ილიას და იმ პერიოდის სხვა ქართველი მოაზროვნების ინტელექტუალური კუთხით გატარებული ღონისძიებებისა და მცდელობებისა, მუსლიმ ქართველებთან მიმართებით გატარებულ პოლიტიკაში არც 1886 წელს პორტო ფრანკოს სტატუსის გაუქმების შემდეგ შეცვლილა ბევრი რამ. მეფის რუსეთის კოლონიური პოლიტიკის მიზნებში არ შედიოდა აჭარის მოსახლეობის, როგორც ერთიანი საქართველოს შემადგენელი ნაწილისთვის ქვეყნის დანარჩენ მოსახლეობასთან ინტეგრირების ხელის შეწყობა და დაჩქარება. რუსეთის საიმპერატორო კარისთვის აჭარა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოიაზრებოდა და არა ერთიანი საქართველოს ფარგლებში.

მიუხედავად რუსეთის სახელმწიფოს მიერ წარმოებული პოლიტიკისა, აჭარაში მაინც მიმდინარეობდა საქართველოსთან დაკავშირების მცდელობები. ამ მხრივ ყველაზე გამორჩეულია ილია ჭავჭავაძის ტრადიციებზე აღზრდილი ინტელექტუალების გამოსვლა სამოღვაწეო ას-პარეზზე, რომლის ყველაზე დიდი და თვალსაჩინო წარმომადგენელი მემედ ბეგ აბაშიძე იყო.

პირველი მსოფლიო ომის დაწყების შედეგად აჭარა ფრონტისპირა ზონად იქცა. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის არმიამ 1914-1916 წლებში კავკასიის ფრონტზე წარმატებები მოიპოვა, 1917 წლის რევოლუციის შემდეგ თავად რუსეთში იცვლება პოლიტიკური სიტუაცია, რასაც შედეგად 1918 წლის ბრესტ-ლიტვივსკის ზავი და თურქეთის-თვის ყარსის, ბათუმისა და არტაანის ოლქების გადაცემა მოჰყვა. საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის გამოცხადების დროის-თვის, 1918 წლის 26 მაისს, ბათუმი კვლავ თურქეთის მიერაა ოკუპირებული. თუმცა, პირველ მსოფლიო ომში ანტანტის ძალების გამარჯვებით და მუდროსის საზავო ხელშეკრულების შედეგად, ბათუმში თურქთა ბატონობას ინგლისის მიერ აღნიშნული ტერიტორიების ოკუპირებით ჩანაცვლება მოჰყვა, ხოლო შემდეგ, 1920 წლის ივლისიდან კი აჭარა კვლავ საქართველოს, ამჯამად უკვე დამოუკიდებელი საქართველოს პირველი რესპუბლიკის შემადგენლობაში ბრუნდება.

### საქართველოს პირველი რესპუბლიკა

საქართველოს 1918-1921 წლების ხანმოკლე დამოუკიდებლობამ გარკვეული კორექტივები შეიტანა როგორც რელიგიურ, ასევე ეთნიკურ უმცირესობებისადმი დამოუკიდებულებაში. მაშინდელი საქართველოს პირველი რესპუბლიკის შემადგენლობაში ბრუნდება.

ლოს პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები (როგორც სოციალისტური, ისე მამარჯვენე ფრთის წევრები) უმცირესობათა შემწყნარებლობას ყველა საკანონმდებლო ბაზით უზრუნველყოფდნენ. „რესპუბლიკის მცირე ერების უფლებათა“ განსაზღვრას მაშინდელ ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკური ძალების მხრიდან საკმაოდ დიდი ყურადღება დაეთმო და ეს ძალიან კარგად ჩანს კიდეც დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის მასალებიდან. კონსტიტუციის მიღებამდე, საკონსტიტუციო კომისიის 1920 წლის 20 მაისის სხდომაზე ა. ჩხენკელი აღნიშნავდა: „მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული ინტერესები მთელის – სახელმწიფოსი და ნაწილის – ეროვნული უმცირესობისა: ერთის ბედნიერება მეორეს ბედნიერებაა და ერთის უბედურება – უბედურებაა მეორესათვის. აყვავება სახელმწიფოსი არის აყვავება და გამდიდრება უმცირესობისა. ეს უნდა ჰქონდეს შევნებული ყოველ უმცირესობას, რომ ადგილი არ ექნეს რამე გაუგებრობასა და უნდობლობას; უმცირესობის აყვავება ჩვენი ინტერესიც არის და სწორედ საკითხის ასეთი გაშუქებიდან მოგვყავს ჩვენ მაქსიმუმი იმ უფლებათა, რომელთაც სახელმწიფო აძლევს უმცირესობას“<sup>1</sup>.

ა. ჩხენკელის და, ზოგადად, მაშინდელი ქართული პოლიტიკური ელიტის მიერ გაცხადებული „მაქსიმუმი უფლებები“ იმაშიც გამოიხატა, რომ ეთნიკურმა თუ რელიგიურმა უმცირესობებმა საქართველოს კონსტიტუციაში რიგი საკითხების შესახებ სხვადასხვა პროექტი – რუსთა და სომეხთა ეროვნულმა საბჭოებმა, საქართველოში მაცხოვრებელმა ბერძნებმა, აღმოსავლეთ საქართველოს მუსლიმებმა, ამიერკავკასიის გერმანელთა კავშირმა, საქართველოში მცხოვრებმა ებრაელებმა – ყველამ საკუთარი პროექტი (სულ 7 პროექტი) წარადგინა და ყველა მათგანი საქართველოს ახლად შექმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფოსადმი გარკვეული უნდობლობით იყო განმსჭვალული. მიუხედავად იმისა, რომ, ხშირ შემთხვევაში, უმცირესობათა მიერ მოთხოვნილი უფლებების დაკმაყოფილება და მათი კონსტიტუციაში ჩადება, თავისთავად, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა თავად საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობას (მაგალითისთვის რუსთა ეროვნული საბჭოს მიერ ე.წ. „ენათა თანასწორუფლებიანობის“

<sup>1</sup> იხ. მაცაბერიძე, მ. (1996) საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის პოლიტიკური კონცეფცია, თბილისი, საქართველოს რესპუბლიკის ი. ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო საგანმანათლებლო საზოგადოება „ცოდნა“ ISBN 5-89512-5, გვ. 89.

საკითხის დღის წესრიგში დაყენებაც კმარა, რომლის ცხოვრებაში გატარების შემთხვევაში, ფაქტობრივად, ქრებოდა სახელმწიფო ენის ცნება, რადგან აღნიშნული სტატუსით სარგებლობის პრეტენზია საქართველოში დაახლოებით 16-მდე ენას უჩნდებოდა). მიუხედავად ყველაფრისა, მაშინდელი საქართველოს მესვეურებმა შესძლეს ამ ტიპის წინაღობების გადალახვა და თან ისე, რომ ამ ფონზე არათუ არცერთი ეთნიკური და რელიგიური უმცირესობის უფლება არ შელახულა, არამედ პირიქით, მათვის 1921 წლის კონსტიუციაში ცალკე თავიც კი იქნა დათმობილი. ხოლო უმცირესობებისთვის მინიჭებული უფლებები, თავისი არსით, იმ დროისთვის პროგრესული მოვლენა იყო.<sup>1</sup>

ეს იყო პირველი შემთხვევა საქართველოს ისტორიაში, როცა ქართულ რეალობაში წარმოიქმნა თანამედროვე ტიპის ერი-სახელმწიფო. მაშინდელი კონსტიტუციონალიზმი ქმნიდა საყოველთაო თანასწორობის და საჯარო-პოლიტიკურ სივრცეში ჩართულობის ინსტიტუციონალურ საფუძვლებს. ეთნიკურ უმცირესობებს ეძლეოდათ უფლება მიეღლოთ განათლება მშობლიურ ენაზე, სამართალ წარმოების დროს გამოეყენებინათ მშობლიური ენა, საკუთარ ენაზე გამოეშვათ ჟურნალ-გაზე-თები. მაშინდელი ქართული რესპუბლიკა, ზოგიერთი ეთნო-კონფესიური ჯგუფის მიმართ ავტონომიების შექმნასაც ითვალისწინებდა (აფხაზეთის და სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიები).

ერთი საინტერესო დეტალია დამახასიათებელი მაშინდელი კონსტიტუციისთვის. კონსტიტუციაში გაცხადებულია, რომ ლეგიტიმურობის წყარო მთელი ერია – „ხელმწიფება ეკუთვნის მთელს ერს, პარლამენტი ამ კონსტიტუციის ფარგლებში ახორციელებს ერის ხელმწიფებას“<sup>2</sup>.

ეს იყო პირველი შემთხვევა საქართველოში, როდესაც ფორმალიზებულ დონეზე უკანა პლანზეა გადაწეული საზოგადოების ეთნო-კულტურული დიფერენციაცია და უპირატესობა სამოქალაქო კუთვნილებას ენიჭება. „ერის“, როგორც ევროპული „ნაციის“ ქართული შესატყვისის მნიშვნელობა, ამ შემთხვევაში, არაეთნიკური კონცეფციით წარმოგვიდგება. ასე იყო ეს პირველი ქართული კონსტიტუციის მიღებამ-

<sup>1</sup> იხ. მაცაბერიძე, მ. (1996) საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის პოლიტიკური კონცეფცია, თბილისი, საქართველოს რესპუბლიკის ი. ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო საგანმანათლებლო საზოგადოება „ცოდნა“ ISBN 5-89512-5, გვ. 92

<sup>2</sup> 1921 წლის საქართველოს კონსტიტუცია, თავი 4, მუხლი 52, გვ. 32 [http://www.constcourt.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=248](http://www.constcourt.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=248) (მოძიებულია 2014 წლის 10 მაისს)

დეც. „ერი“ უფრო ადამიანთა დიდ, სეკულარულ კრებულს გულის-ხმობდა, ვიდრე რაიმე ეთნიკურ და ბიოლოგიურად განსაზღვრულ ერთობას. ქართულმა „ერმა“ მძლავრი ეთნო-კულტურული დატვირთვა უფრო საბჭოთა დროს შეიძინა<sup>1</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ ფორმალიზებულ, სამართლებრივ დონეზე ეთნო-რელიგიურ უმცირესობებს სრული და თანასწორი უფლებები მიენიჭათ, რეალობა ცოტა სხვაგვარი იყო. ახლად შექმნილ საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკაში საკმაოდ სერიოზულ და მტკიცნეულ პრობლემას წარმოადგენდა აჭარაში მოსახლე ეთნიკურად ქართველი მუსლიმი მოსახლეობის დანარჩენ ქართველებთან ინტეგრირება. ამ პრობლემის აქტუალობაზე მიუთითებდა ის ფაქტიც, რომ ჯერ კიდევ კონსტიტუციის მიღებამდე ერთი წლით ადრე, 1920 წლის სექტემბერში „მახმადიანი ქართველების“ მდგომარეობის შესასწავლად და რეკომენდაციების შესამუშავებლად რეგიონში სპეციალური მისით იქნა მივლინებული დამფუძნებული კრების ერთ-ერთი აქტიური წევრი, სოციალ დემოკრატი პეტრე გელეიშვილი (აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ის პეტრე გელეიშვილია, რომელიც თავის დროზე განსაკუთრებული აქტიურობით უპირისპირდებოდა ილია ჭავჭავაძესა და, ზოგადად, ქართული ეროვნული თვითშეგნების გაღვიძებაში მონაწილე ინტელექტუალურ ძალებს). მის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის სახელზე დაწერილ მოხსენებით ბარათში ჩამოთვლილი და გაანალიზებულია ყველა ის მთავარი პრობლემა რაც აჭარის „მახმადიანი ქართველების“ დანარჩენ ქართველებთან ინტეგრაციასა და ერთიანი სახელმწიფოებრივი თვითშეგნების ჩამოყალიბებას უშლიდა ხელს<sup>2</sup>. მუსლიმ ქართველებთან მიმართებით არსებული ძირითადი პრობლემები შემდეგი სახით შეიძლება გამოვყოთ:

1. არასწორი საკადრო პოლიტიკა - თბილისში დაწუნებული და დედაქალაქისთვის გამოუსადეგარი კადრების „ჩამოწერა“ და მათი აჭარაში გაგზავნა;

<sup>1</sup> ს. დუნდუა, ზ. აბაშიძე, ეთნიკური და რელიგიური იდენტობის საკითხები და სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემები საქართველოში, თბილისი, ინტელექტი, 2009, გვ. 34.

<sup>2</sup> პოლიტიკურ სიტუაცია აჭარაში (1920), პეტრე გელეიშვილის მოხსენებითი ბარათი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს. 1920 წლის 8 ოქტომბერი, რედაქტორი მერაბ ვაჩინაძე, თბილისი, „ინტელექტი“, 1998, გვ. 11-12.

2. პიროვნების ფიზიკური შეურაცხყოფა და რელიგიური გრძნობების შელახვა. ამგვარი ტიპის დარღვევებში ყველაზე ხშირად მუსლიმი ქალებისთვის ჩადრის ახდა და მათ მიმართ მამაკაცი სამართალდამცავების მიერ განხორციელებული ჩხრეკვითი ღონისძიებები შეიძლება იქნეს დასახელებლი;

3. კომუნიკაციის ნაკლებობა ან არ არსებობა; ცენტრთან ძალიან მწირი ურთიერთობა;

4. ავტონომიის საკითხი – აჭარის მოსახელობისთვის საკმაოდ მტკიცნეულ თემას წარმოადგენდა საქართველოს ფარგლებში გარკვეული ტერიტორიული ავტონომიური ერთეულის შექმნა, რომელიც იქნებოდა ერთგვარი გარანტი მათი რელიგიური, კულტურული ტრადიციული წეს-ჩვეულებებისა თუ უფლებების დასაცავად;

5. საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე ნაკლები ზრუნვა. ცენტრალური ხელისუფლება ნაკლებად ფიქრობდა იმაზე, რომ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე რაიმე ზეგავლენა მოეხდინა. მეფის რუსეთის პირობებში ამას, ბუნებრივია, გამიზნული და წინასწარგან-სზღვრული პოლიტიკის ხასიათი ჰქონდა. მაგრამ დიდად სიტუაცია არც დამოუკიდებლობის მოპოვების საწყის ეტაპზე შეცვლილა. პირიქით, ჩვენ მიერ ჩამოთვლილი პრობლემების არსებობა სწორედაც იმაზე მეტყველებს, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლება საწყის ეტაპზე ვერ აცნობიერებდა აღნიშნული პრობლემის მნიშვნელობას და არ გადადგამდა ქმედით ნაბიჯებს მუსლიმი ქართველების ქვეყნის ცხოვრებაში სრულფასოვანი ჩართვისკენ; ან, უფრო სავარაუდოა, რომ მას ამისთვის არ ეცალა (დამოუკიდებლობის პერიოდი იმდენად მცირე ხანს გრძელდებოდა, რომ არცაა გასაკვირი ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯების სიმწირე და ნაკლებშედეგიანობა). თუმცა, პეტრე გელეიმვილი სწავლობდა რა აჭარაში არსებულ სიტუაციას, უკმაყოფილებას არა იმდენად გადაგმული ნაბიჯების სიმწირის გამო გამოთქვამდა, არამედ, ამ ნაბიჯების საერთოდ არარსებობის გამო.

ეს არის არასრული ჩამონათვალი იმ პრობლემებისა, რომელიც მუსლიმ ქართველებთან მიმართებით არსებობდა ამ პერიოდში. „ჩემის ღრმა რწმენით, აქ ქართველ მახმადიანებს ჩვენ ვძულვართ და ვეზიზლებით და სრულიად საკმარისია რაიმე უსიამოვნება მოგვიხდეს რომელიმე მეზობელ სახელმწიფოსთან, რომ ქართველი მახმადიანები გაყვნენ პირველი ავანტიურისტების რჩევას და როგორც ერთი კაცი, ისე გამოვიდნენ ჩვენს წინააღმდეგ... სამწუხაროთ, ჩვენ ჯერ არაფერი

გაგვიკეთებია ისეთი, რომ ეს სიძულვილის გრძნობა ხალხის გულიდან თუ არ აღმოგვეფხვრა, გაგვენელებია მაინც, რომ ხალხის ასეთი განწყობილება ჩვენდამი შეგვეცვალა“ – წერდა პ. გელეიშვილი საქართველოს მთავრობას<sup>1</sup>.

მართალია მოგვიანებით, 1921 წლის კონსტიტუციაში აჭარას ავტონომის სტატუსი მიენიჭა<sup>2</sup> და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საკანონმდებლო დონეზე როგორც „ქართველი მახმადიანების“, ასევე სხვა ეთნო-რელიგიური უმცირესობების უფლებები კიდევ ერთხელ დაფიქ-სირდა, მაგრამ რეალურად, პრაქტიკული განხორციელება ამ რეგულაციებმა ცხოვრებაში ვერ ჰქოვა. არანაირი ქმედითი ნაბიჯი არ გადადგმულა მუსლიმი ქართველების ინტეგრირებისათვის; თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ნაკლებად სავარაუდოა, 3-წლიანი დამოუკიდებლობის პერიოდში საუკუნეების მანძილზე მუსლიმ ქართველებში არსებული და გამჯდარი გაუცხოების დაძლევა რეალურად მომხდარიყო. 1918-1921 წლების რესუბლიკას არ დასცალდა მისი კონსტიტუციური იდეების რეალურ პრაქტიკაში დანერგვა. იგი საბჭოთა რუსეთის ანექსიამ და ბოლშევიზმმა შეაჩერა.

საბჭოთა პერიოდში, ზოგადად, რელიგიისადმი დამოკიდებულობის ორი ძირითადი ეტაპი შეიძლება გამოვყოთ: 1. აგრესიული ანტირელიგიურობა, რაც გამოხატებოდა ეკლესიების ნგრევაში, სასულიერო პირიების დაპატიმრებასა და შეურაცხყოფაში, ანტირელიგიური ქმედებების წაქეზება წახალისებაში 2. უფრო მოგვიანებით პერიოდში დამკვიდრებული და საჯარო დონეზე გამოხატული ინდიფერენტულობა და არა მკვეთრად გამოხატული აგრესიული ანტირელიგიურობა. რელიგიამ, მარქსის სიტყვები რომ მოვიშველით, როგორც მასების მართვის საშუალებამ, საბჭოეთის პირობებში როგორც მასების მართვის საშუალებამ, დაკარგა აქტუალობა. რელიგიისადმი (თუმცა, ამ შემთხვევაში, დიდწილად, საქმე ტრადიციულ რელიგიურ მიმდინარეობებს უფრო ეხებოდათ, რადგან ჩაკეტილი ინფორმაციულობის პირობებში ახალი რელიგიური სექტები თუ სხვა მიმდინარეობები საბჭოეთში ნაკლებად წახა-

<sup>1</sup> პოლიტიკური სიტუაცია აჭარაში (1920), პეტრე გელეიშვილის მოხსენებითი ბარათი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს. 1920 წლის 8 ოქტომბერი, რედაქტორი მერაბ ვაჩნაძე, თბილის, „ინტელექტუალი“, 1998, გვ. 10

<sup>2</sup> ამავე პერიოდში, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი კონსტიტუციის მე-11 თავის 107-ე მუხლით აჭარას – „სამუსლიმანო საქართველოს (ბათო-მის მხარეს) ენიჭება ადგილობრივი ავტონომიური მმართველობა“.

ლისებული ან საერთოდ აკრძალულიც კი იყო) საბჭოთის მამების და-  
მოკიდებულებამ შედეგად, მოიტანა ის, რომ დამოუკიდებლობის მო-  
პოვების შემდეგ, დამოუკიდებელ საქართველოს კვლავაც კონფესიურ  
ეთნიკური თვალსაზრისით ნაკლებად ინტეგრირებული საზოგადოება  
ერგო მეტვიდრეობად. ამ ფონზე ბევრი მართლმადიდებელი ქართვე-  
ლის ცნობიერებაში აჭარლები ისევ „თურქებად“ აღიქმებოდნენ. და-  
მოუკიდებლობის პერიოდში ამ მიმართულებით გატარებული პოლი-  
ტიკისა და გაზრდილი ინფორმაციულობის პირობებში მსგავსი გაუცხ-  
ოება დიდწილად შესუსტებულია. ყოველ შემთხვევაში, თავად მუსლიმ  
ქართველებში ამ მხრივ პრობლემები, ნაკლებია. აღნიშნულ საკითხებ-  
ზე, კონკრეტულად კი ეთნო და რელიგიური უმცირესობების სამოქა-  
ლაქო ინტეგრაციის პრობლემებზე, რამდენიმე წლის წინ ჩვენ მიერ ჩა-  
ტარებული კვლევის შედეგებიდან საინტერესოა რამდენიმე დეტალი,  
რაც მუსლიმი ქართველების გამოკითხვისას გამოიკვეთა.

გამოკითხული მუსლიმი ქართველების საკმაოდ დიდი ნაწილი, 34,7% საკუთარ ეროვნულ იდენტობას ეთნიკურ წარმომავლობასთან ერთად, დიდწილად, მოქალაქეობის მიხედვითაც განსაზღვრავს<sup>1</sup>. ჩნდება კითხვა: რატომ შეიძლება ანიჭებდეს მუსლიმი ქართველი ესო-  
დენ მაღალ პროცენტულ მაჩვენებელს მოქალაქეობას, სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან (აღნიშნული კვლევის ფარგლებში მუსლიმი ქართველების გარდა გამოკითხული იქნა მართლამდიდებელი ქართველები, ეთნიკუ-  
რი სომხები და აზერბაიჯანელი მოსახლეობა), მაგალითად, იგივე მარ-  
თლმადიდებელ ქართველთან შედარებით, რომელიც საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას წარმოადგენს და რომელიც, ძირითა-  
დად, განსაზღვრავს კიდევ ქვეყნის განვითარების სტრატეგიას? ამ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, რამდენიმე ახსნის მოქებნაა შესაძლებელი:

ა) ერთი მხრივ ის, რომ დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის შემდეგ პოლიტიკური პროცესები, ძირითადად, ურბანულ ზონებში მიმდინარეობს, სადაც, შესაბამისად, ერის პოლიტიკურ დისკურსში დომინირებადი ერის ეთნიკური გაგებაა. ჩვენს მიერ გამოკითხული მუსლიმი ქართველობა ძირითადად არაურბანულ ზონაში მოსახლე-  
ობს. აქედან გამომდინარე ის ნაკლებად მონაწილეობდა ამგვარი პო-

<sup>1</sup> კითხვაზე, თუ რას ნიშან-თვისებების მიხედვით მიიჩნევთ თავს ქართვე-  
ლად (სომეხად, აზერბაიჯანელად)? 67,9 % პასუხი არის – წარმოშობის მი-  
ხედვით, მოქალაქეობის მიხედვით, - 34,7 სალაპარაკო ენის მიხედვით – 16,3  
რელიგიის მიხედვით 11,5.

ლიტიკურ დისკურსის შექმნაში და, შესაბამისად, როგორც ჩანს მათზე დომინანტ და წამყვან პოლიტიკის კატეგორიებს შედარებით ნაკლები გავლენა მოუხდენია. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ რეგიონში, სადაც გამოკითხულ იქნა ისლამის მიმდევარი ეთნიკურად ქართველი რესპონდენტები, ნაკლებია სამოქალაქო განათლების დონე და, შესაბა- მისად, დაბალია აქტიური პოლიტიკური კულტურის მაჩვენებელიც, შესაძლებელია დავუშვათ, რომ მათი პასუხებიც ნაკლებად რეფლექსი- რებულია.

ბ) მეორე მხრივ, არ არის გამორიცხული, რომ რესპონდენტები მო- ცემულ კითხვაზე – „რა ნიშან-თვისებებით მიხედვით მიიჩნევთ თავს ქართველად (სომეხად, აზერბაიჯანელად“) – პასუხის გაცემისას მოქა- ლაქეობისა და სამშობლოს ცნებების ერთმანეთთან გაიგვებას ახდე- ნენ<sup>1</sup>.

მუსლიმი ქართველები (ისვე როგორც უპირობოდ ყველა გამო- კითხული ჯგუფი) საქართველოს საკუთარ სამშობლოდ მიიჩნევს. კითხვაზე: **რას ნიშნავს თქვენთვის საქართველოს მოქალაქეობა?** პასუხით: „ცხოვრობდე სამშობლოში“ – 90,7%-ით, ყველა სხვა გამო- კითხულ ეთნიკურ ჯგუფთან შედარებით (თვით მართლმადიდებელ ქართველებთან მიმართებითაც კი), სწორედ მუსლიმი ქართველი დო- მინირებს.

გამოკითხული მუსლიმი ქართველების 85,5% მიიჩნევს, რომ ეროვ- ნება და საქართველოს მოქალაქეობა მათვის ერთი და იგივეა. მაშინ როდესაც იგივე კითხვაზე ანალიგიური დადებითი პასუხის პროცენტუ- ლი მაჩვენებელი მართლმადიდებელ ქართველებში მხოლოდ 22 %-ია. რითი შეიძლება ამის ახსნა? მუსლიმი ქართველები ცხოვრობენ არა- ურბანულ ზონაში, პოლიტიკურ დისკურსში ნაკლებად მონაწილეობენ და, ამასთანავე, აქ ემატება რელიგიური ფაქტორიც – სახელმწიფო მათვის (აზერბაიჯანელების მსგავსად), როგორც რელიგიური მრწამსით მუსლიმთათვის, ნეიტრალური ცნებაა (ისლამის ღირებულე- ბებიდან გამომდინარე) და, შესაბამისად, ისინი, როგორც ეთნიკური ქართველები, იდენტიფიცირებას ცდილობენ სახელმწიფოსთანაც; ქართველობა მათვის მართლმადიდებელი ქართველის მსგავსად, არ ასოცირდება რელიგიურ ტრადიციასთან.

<sup>1</sup> ს. დუნდუა, ზ. აბაშიძე, ეთნიკური და რელიგიური იდენტობის საკითხები და სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემები საქართველოში, თბილისი, ინტე- ლექტი, 2009, გვ. 81.

დაბოლოს, ისტორიული რეტროსპექტივისა და ჩვენ მიერ მოტანილი კვლევის მონაცემების განალიზებიდან ერთი მთავარი დასკვნის გამოტანა შეიძლება. დამოუკიდებლობის პერიოდში საქართველომ შეძლო და დიდწილად დასძლია „მახმადიანი ქართველების“ მიმართ არსებული ნეგატიური დამოკიდებულების დაძლევა. ერთი მხრივ – თავად მართლმადიდებელ ქართველებსაც გაუჩნდათ ეთნიკურად ქართველ, აღმსარებლობით მუსლიმ აჭარელ ქართველებთან „ერთ ერად“ აღქმადობის განცდა. მეორე მხრივ, ეთნიკურად ქართველი რელიგიური მრნამსით მუსლიმი მოქალაქეები, საქართველოს ცალსახად საკუთარ სამშობლოდ მიიჩნევენ, არ განიცდიან (ყოველ შემთხვევაში ამის დაფიქ-სირება ხმამაღლა ნაკლებად ხდება) რელიგიურ ნიადაგზე შევიწროებას და არ არიან, ზოგადად, ქართული სახელმწიფოებრიობის იდეასთან გაუცხოებულნი. აღნიშნული არ გულისხმობს იმას, რომ პრობლემები ამ გზაზე აღარ არსებობს. რელიგია და რელიგიური აღმსარებლობის საკითხი საქართველოში დღემდე რჩება ერთ-ერთ ყველაზე სენსიტიურ თემად და, ბუნებრივია, ამ ნიადაგზე ნებისმიერი ძალის მიერ გამოთქმული არაკორექტული, მძაფრი თუ ზოგჯერ შეურაცხმყოფელი მოსაზრებები თავის თავში არა მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლო დაპირისპირების წარმოშობას გულისხმობს, არამედ უფრო ფართო საზოგადოებრივი განხეთქილების საფრთხესაც შესაძლოა მოიცავდეს.

**Salome Dundua**

Associate Professor

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

### **Muslim Georgians and Civic Integration Problems**

#### **Resume**

In the 19<sup>th</sup> century, the main issue of the discourse of the modern nation produced by Ilia Chavchavadze, in which the intellectual circles of Georgia of the period were taking part, was the establishment of the boundaries of the Georgian nation, as ethno-cultural formation and achieve subsequently on its basis the political autonomy or independence, in the best case.

After the Treaty of San Stefano the oldest Georgian territories, were annexed from Georgia, despite being settled by ethnic Georgians (Adjarians),

however the population was Muslim. Their integration with the local population and fostering the feeling towards them as the same “nation”, turned out to be a lengthy and difficult process.

Despite the fact that during the independence years of Georgia on the formalized, judicial level the religious (as well as ethnic) minorities have been given the full and equal rights, the reality was somewhat different. The sensitive issue of the integration of the ethnic Georgian Muslim population of Adjara with the rest of the Georgians remained. The urgency of the problem is also indicated by the fact that one year earlier before the adoption of the Constitution, in September of 1920, Social Democrat Peter Geleishvili, one of the active members of the Constituent Assembly, was sent to the region with the special mission to study the situation of the “Makhmadian (Muslim) Georgians” and collaboration of recommendations. In his report addressed to the chairman of the Government of the Democratic Republic all of the main problems, hindering the integration of “Makhmadian (Muslim) Georgians” with the rest of the Georgians and the forming of the unified national identity were listed and analyzed.

These problems can be cited as follows:

1. Invalid personnel policy – appointment of the persons unfit and worthless for Tbilisi in Adjara;
2. Physical assault and violation of religious feelings.
3. Lack or nonexistence of communication; a very poor relationship with the center.
4. The issue of autonomy – most painful issue for the Adjara population, i.e. the creation of a certain territorial autonomous unit within the territory of Georgia.
5. Lack of concern over the formation of the public opinion. The central government had little concern over the influence in the shaping of public opinion. Under the Tsarist Russia it apparently had an intentional and pre-meditated reason. But the situation was not much different at the early stages of independence. However, Petre Geliashvili, while studying the situation in Adjara expressed dissatisfaction not because of the lack of the steps made in this direction, but for the nonexistence of such steps.

Religion and the issue of religious beliefs remains one of the most sensitive themes in Georgia up to present and it is natural that inappropriate, offensive or even abusive opinions expressed by any force on the given basis implies in itself the origin of a possible conflict not only in the specific case, but may also contain dangers of the wider public dissent.

## ნოდარ ელიზბარაშვილი

პროფესორი, თსუ

### მცხეთის გეოგრაფიული კვანძი და მისი სამართლებრივი რეგულაციები

**თემის აქტუალობა.** მცხეთა საქართველოს ისტორიული, რელიგიური და ეთნოკულტურული ცენტრია. 1957 წელს მისი ისტორიული ნაწილი, ხოლო 1966 წელს – მთელი ქალაქი გამოცხადდა არქიტექტურულ და არქეოლოგიურ ნაკრძალად. მცხეთას 1968 წელს მიენიჭა ქალაქ-მუზეუმის სტატუსი. უკანასკნელ წლებში, ახალმშენებლობების გამო, ქალაქ მცხეთის ისტორიული ძეგლის საერთაშორისო სტატუსი საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა. იუნესკოს რეკომენდაციით, მცხეთის შემდგომი მართვა სასურველია განხორციელდეს საერთაშორისო კონვენციებთან ოპტიმიზაციის, ადგილობრივი თემების ჩართულობის, დაინტერესებული მხარეების და სპეციალისტების კონსაფრუქციული დაალოგის გზით. ამგვარი მიდგომა განსაკუთრებით თვალსაჩინოს ხდის ევროპის ლანდშაფტური კონვენციის (European Landscape Convention. 2000) ძირითადი პრინციპებისა და მოთხოვნების გათვალისწინების აუცილებლობას, რაც განაპირობებს მიღებული შედეგების მდგრადობას.

იუნესკოს განმარტებით მცხეთის მართვა, ასევე, მოითხოვს კულტურულ-ლანდშაფტური მიდგომის დანერგვას, სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების როლის გაძლიერებას და საკანონმდებლო რეგულაციების მხარდაჭერას, კულტურული ლანდშაფტის კონცეფციის გათვისებას, კვლევისა და ანალიზის პროცესში ლანდშაფტურ, ანუ კომპლექსურ მიდგომას (კომპონენტური კავშირების ანალიზის პრინციპის გამოყენებით).

იუნესკომ საქართველოს ასევე მოუწოდა სხვადასხვაგვარ ინფორმაციასთან ერთად: განსაზღვროს მცხეთის კულტურული ლანდშაფტის მკაფიოს არამდგრადი (სენსიტიური) არეალები; შექმნას კონსერვაციის ისეთი გენერალური გეგმა, რომელიც გაითვალისწინებს სპე-

ციფიკურ ლანდშაფტურ გარემოს; დაადგინოს ისტორიულ ძეგლთან დაკავშირებული ფუნქციური არეალები და შეასუსტოს კულტურულ ლანდშაფტზე ნეგატიური ზემოქმედება. ამრიგად, აღნიშნული ქმედებების ფარგლებში საქართველოში, პრაქტიკულად, პირველად დაიწყო ისტორიული ლანდშაფტის კვლევის, ფუნქციური ზონირების და დაგეგმარების პროცესი.

**კვლევის ძირითადი მიმართულებანი და პრინციპები.** ზემოაღნიშნული მოსაზრებებიდან და მიდგომებიდან გამომდინარე, მცხეთის ისტორიული ლანდშაფტის კვლევისა და ანალიზის შედეგად უნდა გამოვლენილიყო ის ძირითადი მახასიათებლები, რაც: 1. ხელს უწყობს და გადმოსცემს მცხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების განსაკუთრებულ ზოგადსაკაცობრიო ფასეულობას და 2. განსაზღვრავს ლანდშაფტის დაცვის, რეაბილიტაციისა და მდგრადი გამოყენებისთვის აუცილებელ პირობებს.

კვლევის ძირითად მიზანთან და ამოცანებთან დაკავშირებულ იქნა ისეთი საკითხების შესწავლაც, როგორიცაა: ლანდშაფტის გამოყენების და დაცვის საკანონმდებლო ბაზის მიმოხილვა და მათი სივრცითი თავისებურებების განსაზღვრა; მცხეთის ისტორიული ლანდშაფტის რაობის და მისი საზღვრების დაზუსტება; ლანდშაფტის ძირითადი ტიპების კლასიფიკაცია და მათ შესახებ საბაზისო ინფორმაციის ანალიზი; ლანდშაფტის ტრადიციული ტიპოლოგიის კლასიფიკაცია და აღნერა; საკულევ ტერიტორიაზე ზეგავლენის მქონე ფაქტორების (ბუნებრივი, ანთროპოგენული) და პროცესების (ეროზია, დენუდაცია, დატბორვა, კარიერები, ძოვება, ტყის რესურსების მოპოვება და სხვ.) იდენტიფიკაცია და ურთიერთკავშირის ანალიზი; ლანდშაფტის კულტურული (მატერიალური და არამატერიალური ობიექტები) და ბუნებრივი (ეკოსისტემები) თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მახასიათებლების (თანამედროვე მდგომარეობა, ზემოქმედების ფორმები და მასშტაბები, მდგრადობა) განსაზღვრა; ლანდშაფტის იმ მატერიალური და არამატერიალური ატრიბუტების გამოვლენა, რაც ხელს უწყობს და/ან გადმოსცემს მის განსაკუთრებულ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებას; ლანდშაფტის ფუნქციური ზონირება; ხედვის წერტილების ფიქსირება პანორამებისა და ხედების პერიოდული მონიტორინგისთვის; ლანდშაფტის მართვის, რეაბილიტაციისა და მდგრადი გამოყენებისთვის რეკომენდაციებისა და სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება

(ლანდშაფტური დაგეგმარების მეთოდოლოგიის საფუძველზე); მსოფლიო მემკვიდრეობის ბუფერული ზონების საზღვრების დაზუსტება.

მცხეთის კულტურული ლანდშაფტის დაცვის, რეაბილიტაციისა და მდგრადი გამოყენებისთვის განისაზღვრა რამდენიმე პრინციპი, რომელთაგან აღსანიშნავია:

✓ **რისკის შემცირების პრინციპი**, ანუ ბუნებრივი და კულტურული გარემოს ელემენტები არ უნდა შეიცავდნენ რისკის შემცველ იმ ფაქტორებს, რომელთაც შეუძლიათ მავნე ზემოქმედება მოახდინონ მცხეთის ისტორიულ ლანდშაფტზე;

✓ **მდგრადობის პრინციპი**, ანუ ბუნებრივი გარემოს და რესურსების გამოყენება არ უნდა უქმნიდეს საშიშროებას ისტორიული ლანდშაფტის იმ მახასიათებლებს, რაც უკავშირდება მისი პოტენციალის და მდგრადი ეკოლოგიური ვითარების შენარჩუნებას;

✓ **ლანდშაფტური მრავალფეროვნების შენარჩუნების პრინციპი** – მცხეთის კულტურული ლანდშაფტის მრავალფეროვნება გამორჩეულია როგორც საქართველოში, ისე კავკასიასა და ევროპაში. მისი მიდამოები წარმოადგენს გეოგრაფიულ კვანძს, რადგან აქ თავს იყრის 11 ტიპის ლანდშაფტი, რაც უნიკალურ და განუმეორებელ გარემოს ქმნის. ამგვარი მრავალფეროვნების შენარჩუნება განაპირობებს როგორც მცხეთის ისტორიულ ლანდშაფტის ავთენტურობის წარმოჩენას, ისე ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებას და მისი მთლიანობის დაცვას.

**გეოგრაფიული კვანძის არსი.** თეორია გეოგრაფიულ კვანძების შესახებ ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების, დაცული ტერიტორიების ქსელის ფორმირებისა და სამეცნიერო-გეოგრაფიული ტურიზმის ინტერესების გათვალისწინებით ვითარდება (ნ.ელიზბარაშვილი, 2010). ცნობილია, რომ გეოგრაფიული ობიექტების თუ კომპონენტების სივრცითი ურთიერთდამოკიდებულება ხშირად მათ თავმოყრას, შეხვედრას ან შეჯერებას ანუ გეოგრაფიული კვანძების ფორმირებას განაპირობებს. რამდენიმე ერთგვაროვანი გეოგრაფიული ობიექტი თუ კომპონენტი ზოგჯერ თავს ერთ არეალში, ერთმანეთთან მაქსიმალურ მიახლოებაზე იყრის. ამგვარ შემთხვევაში საქმე გვაქვს ერთგვაროვან გეოგრაფიულ კვანძთან. გეოგრაფიული კვანძი წარმოჩინდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის არეალში თავს მოიყრის სამი ან მეტი ერთგვაროვანი გეოგრაფიული ელემენტი. გასაგებია, რომ რაც უფრო მეტი გეოგრაფიული ელემენტი იყრის თავს ერთ არეალში, მით უფრო

თვალსაჩინოა გეოგრაფიული კვანძი და მით უფრო მრავალფეროვანია გეოგრაფიული გარემო.

გეოგრაფიული კვანძები შეიძლება განიხილებოდეს როგორც ფორმების (მარტივი, საშუალო სირთულის, რთული), ისე ტიპების (კომპონენტურ-გეოგრაფიული, დარგობრივ-გეოგრაფიული, ტიპო-ლოგიურ-გეოგრაფიული) მიხედვით. საქართველოში გამოვლენილია რამდენიმე ათეული გეოგრაფიული კვანძი, რომელთაგან სირთულით და მრავალფეროვნებით მცხეთის მიდამოები გამოირჩევა (ნ.ელიზბარაშვილი, 2005).

**მცხეთის ისტორიული ლანდშაფტის არეალის განსაზღვრისას გათვალისწინებულ იქნა შემდეგი ძირითადი თავისებურებანი, კერძოდ:**

- ✓ ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნება;
- ✓ ტერიტორიის ერთიანობა;
- ✓ მატერიალური და არამატერიალური ძეგლების გეოგრაფია;
- ✓ ლანდშაფტის გარემოსდაცვითი და ესთეტიკური ფუნქციები;
- ✓ გეოდინამიური (ეროზია, დენუდაცია) აქტიური ტერიტორიების არსებობა და მათი პრევენციის შესაძლებლობა;
- ✓ კლიმატის შესაძლო ცვლილების ზეგავლენა;
- ✓ ადგილობრივი მოსახლეობის რეკრეაციული ინტერესები.


მცხეთის გეოგრაფიული კვანძის მრავალფეროვნება (Biological and Landscape Diversity of Georgia, 2000) უკავშირდება ბუნების რამდენიმე კომპონენტს და პროცესს, რომლებიც, თანადროულად, ლანდშაფტთა კლასიფიცირების კრიტერიუმებადაც შეიძლება განვიხილოთ. აქ წარმოდგენილია:

- ✓ **რელიეფის 4 ტიპი – როგორც ვაკეები და გორაკ ბორცვები,** ისე დაბალი და საშუალო მთები;
- ✓ **გეოლოგიური აგებულების 4 ტიპი – დანალექი და მეტამორფული ქანების სახით;**
- ✓ **გეოდინამიკური პროცესების 3 ტიპი – ეროზია, დენუდაცია, აკუმულაცია;**
- ✓ **ჰავის 3 ტიპი – მცხეთის ფარგლებში თავს იყრის ჰუმიდური (ალმოსავლეთი და დასავლეთი ნაწილი), სემიჰუმიდური (სამხრეთ-დასავლეთი) და სემიარიდული (ჩრდილოეთი და სამხრეთ-ალმოსავლეთი) კლიმატის ტიპი;**

- ✓ **ნიადაგის 3 ტიპი – ალუვიური, სტეპის, მთის ყომრალი;**
- ✓ **მცენარეულობის 8 ტიპი – ჭალის მუხნარების, მუხნარი დერი-  
ვატების, რცხილნარ-მუხნარის, მეჩხერი ტყეების, სტეპების, ფრიგა-  
ნის, შიბლიაკისა და მდელოების სახით;**
- ✓ **ბუნებრივი ლანდშაფტის 11 ტიპი – მათ შორის 6 წარმოდგე-  
ნილია უშუალოდ მცხეთის ისტორიული ლანდშაფტის მიჯნაზე.**

მცხეთის მიდამოების ლანდშაფტების კლასიფიცირება, ასევე, შე-  
საძლებელია განხორციელდეს მათი თანამედროვე მდგომარეობის  
(ტრანსფორმაციის ხარისხის), ანთროპოგენული და ბუნებრივი ზემოქ-  
მედების ფორმებისა და მასშტაბების, პოტენციალის, მდგრადობის და  
სოციალურ-ეკონომიკური ფუნქციების მიხდვით. აღსანიშნავია, რომ  
მცხეთის ისტორიულ ლანდშაფტის ფარგლებში გვხვდება აღნიშნული  
კრიტერიუმების განმსაზღვრელი ყველა ფორმა, რომელთა ანალიზი  
მოცემულია კონკრეტული ლანდშაფტების განხილვისას.


მცხეთის მიდამოებში, რამდენიმე კვადრატული კილომეტრის  
ფარგლებში რამდენიმე ლანდშაფტი გამოიყოფა, კერძოდ:



1) მთისწინეთის ბორცვიანი  
ეროზიულ-დენუდაციური ლან-  
დშაფტი შიბლიაკით და ჯაგ-  
რცხილნარ-მუხნარი დერივა-  
ტებით, ზოგან არიდული მეჩხე-  
რი ტყეებით, უროიანი სტეპე-  
ბით და ნაწილობრივ ფრიგანით  
მდებარეობს მცხეთის  
ისტორიული ლანდშაფტიდან


სამხრეთ-დასავლეთით, თრიალეთის ქედის დაბალმთიან და მთისწინა  
ნაწილში. რელიეფნარმომქმნელი პროცესი უკავშირდება ეროზიას და

დენუდაციას. გეოლოგიურად  
აგებულია დანალექი და მეტა-  
მორფული ქნებით. კლიმატი  
სუბტროპიკული სემიპუმიდუ-  
რია. ნიადაგები – ტყის ყომრა-  
ლი, რომლის საშუალო სიმ-  
ძლავრე 30 – 50 სმ-ია, მექანი-  
კური შემადგენლობა კი თიხნა-  
რი. მცენარეული საფარი თით-




ქმის მთლიანად გარდაქმნილია.

2) მთისწინეთის გორაკ-ბორცვიანი ეროზიულ-დენუდაციური ლანდშაფტი, ჯაგრცხილნარ-მუხნარი დერივატებით, შიბლიაკით, ნანილობრივ არიდული მეჩხერი ტყეებით, ფრიგანითა და უროიანი სტეპებით, ზოგან ბედლენდებით. მდებარეობს მცხეთის ისტორიული ლანდშაფტიდან დასავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით, შიდა ქართლის ვაკის მიმდებარე მთისწინეთსა და გორაკ-ბორცვიან ზოლში. რელიეფ-წარმომქმნელი პროცესი უკავშირდება ეროზიას და დენუდაციას. გეოლოგიურად აგებულია დანალექი და მეტამორფული ქანებით. კლიმატი სუბტროპიკული სემიჰუმიდურია. ნიადაგები – ყავისფერი, რომლის საშუალო სიმძლავრე 30 – 50 სმ-ია, მექანიკური შემადგენლობა კი თიხნარი. მცენარეული საფარი თითქმის მთლიანად გარდაქმნილია.




3) მთისწინეთის ბორცვიანი დენუდაციურ-აკუმულაციური ლანდშაფტი უროიანი სტეპებისა და შიბლიაკის კომპლექსით, იშვიათად ფრიგანითა და ტყის დერივატებით. მდებარეობს მცხეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, საგურამო-იალნოს ქედის სამხრეთ მთისწინეთში. რელიეფნარმომქმნელი პროცესი უკავშირდება ეროზიას, დენუდაციას და ნანილობრივ აკუმულაციას. გეოლოგიურად აგებულია დანალექი ქანებით. კლიმატი სუბტროპიკული სემიჰუმიდურია. ნიადაგები – ყავისფერი, რომლის საშუალო სიმძლავრე 30 – 50 სმ-ია, მექანიკური შემადგენლობა კი თიხნარი. მცენარეული საფარი თითქმის მთლიანად გარდაქმნილია.




4) ვაკე-ბორცვების აკუმულაციური ლანდშაფტი უროიანი სტეპებით, შიბლიაკით, იშვიათად მდელოებით მდებარეობს მცხეთის ისტორიული ლანდშაფტიდან ჩრდილო-დასავლეთით, შიდა ქართლის ვაკეზე. რელიეფწარმომქმნელი პროცესი უკავშირდება აკუმულაციას და ქარისმიერ ეროზიას. გეოლოგიურად აგებულია დანალექი ქანებით. კლიმატი სუბტროპიკული სემიარიდუ-

ლია. ნიადაგები – ყავისფერი, ალუვიური. მათი საშუალო სიმძლავრე 30 – 50 სმ-ია, მექანიკური შემადგენლობა კი საშუალო თიხნარი. მცენარეული საფარი თითქმის მთლიანად გარდაქმნილია.



მთისწინეთში. რელიეფნარმომქმნელი პროცესი უკავშირდება აკუმულაციას და ქარისმიერ ეროზიას. გეოლოგიურად აგებულია დანალექი ქანებით. კლიმატი სუბტროპიკული სემიარიდულია. ნიადაგები – შავმინა და ალუვიური, რომლის საშუალო სიმძლავრე 50 სმ-ია, მექანიკური შემადგენლობა კი საშუალო თიხნარი. მცენარეული საფარი თითქმის მთლიანად გარდაქმნილია.




სი უკავშირდება აკუმულაციას. გეოლოგიურად აგებულია დანალექი ქანებით. კლიმატი სუბტროპიკული ჰუმიდურია. ნიადაგები – ალუვიური, რომლის საშუალო სიმძლავრე 50 სმ-ია, მექანიკური შემადგენლობა კი საშუალო თიხნარი. მცენარეული საფარი შემორჩენილია ფრაგმენტების სახით. ლანდშაფტის ფარგლებში წარმოდგენილია მცხეთის ძირითადი ისტორიული ნაწილი.

ამჟამად ჭალის ლანდშაფტი, რომელიც მოიცავს მდ. არაგვის მარჯვენა სანაპიროს, განვითარდა XX საუკუნის მეორე ნახევარში მდინარე არაგვის ფარვატერის (კალაპოტის) ცვლილების შედეგად. იგი უკავშირდება მდინარე არაგვში წყლის დონის შემცირებას, რაც მოჰყვა მდინარე უინვალის წყალსაცავის მშენებლობას და წყლის რეგული-

5) ვაკე-ბორცვიანი არიდულ-დენუდაციური ლანდშაფტი სტეპისა (უროიანი, ვაცინვერიანი) და შიბლიაკის მცენარეულობით მდებარეობს მცხეთის ისტორიული ლანდშაფტიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, საგურამო-იალნოს ქედის სამხრეთი


6) ვაკების აკუმულაციური და ჭალის ლანდშაფტი ტუგაისა და მდელოს მცენარეულობით, იშვიათად ჭაობებითა და მლაშობებით მდებარეობს მცხეთის ფარგლებში, მდინარე მტკვრისა და არაგვის ხეობის ჭალებში. რელიეფნარმომქმნელი პროცე-

რებას. აღნიშნული პროცესების შედეგად, ჭალის ლანდშაფტი ძირითადად აღმოჩნდა მდინარე არაგვის მარჯვენა ნაპირეთში.




7) ქვედა მთის ეროზიულ-დენუდაციური ლანდშაფტი რცხილნარ-მუხნარი და მუხნარი (ქართული მუხის) ტყეებით მდებარეობს მცხეთის ისტორიული ლანდშაფტიდან აღმოსავლეთით, საგურამო-იალნოს ქედის დაბალმთიანი ნაწილის სამხრეთ-დასავლეთ და სამხრეთ-

აღმოსავლეთ ფერდობებზე. რელიეფნარმომქმნელი პროცესი უკავშირდება ეროზიას და დენუდაციას. გეოლოგიურად აგებულია მეტა-მორფული ქანებით. კლიმატი ზომიერად თბილი და ჰუმიდურია. ნიადაგები – ტყის ყომრალი, რომლის საშუალო სიმძლავრე 30 – 50 სმ-ია, მექანიკური შემადგენლობა კი საშუალო თიხნარი. მცენარეული საფარი საშუალოდ ტრანსფორმირებულია, კარგადაა შემონახული თბილისის ეროვნული პარკის ფარგლებში. ლანდშაფტის ფარგლებში მდებარეობს ჯვრის მონასტერი.




8) ქვედა მთის ეროზიულ-დენუდაციური ლანდშაფტი მუხნარი (ქართული მუხის), რცხილნარ-მუხნარი ტყეებით მდებარეობს მცხეთიდან დასავლეთით, თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ ფერდობებზე. რელიეფნარმომქმნელი პროცე-


სი უკავშირდება ეროზიას და დენუდაციას. გეოლოგიურად აგებულია მეტამორფული ქანებით. კლიმატი ზომიერად თბილი და ჰუმიდურია, გარდამავალი სემიჰუმიდურისკენ. ნიადაგები – ტყის ყომრალი, რომლის საშუალო სიმძლავრე 30 – 50 სმ-ია, მექანიკური შემადგენლობა კი საშუალო თიხნარი. მცენარეული საფარი საშუალოდ ტრანსფორმირებულია. ლანდშაფტის ფარგლებში მდებარეობს ბაგინეთის არქეოლოგიური საიტი.



ქართლის ქედის სამხრეთ ფერდობებზე. რელიეფნარმომქმნელი პროცესი უკავშირდება ეროზიას და დენუდაციას. გეოლოგიურად აგებულია მეტამორფული ქანებით. კლიმატი ზომიერად თბილი და ჰუმიდური, გარდამავალი სემიჰუმიდურისკენ. ნიადაგები – ტყის ყომრალი, რომლის საშუალო სიმძლავრე 30 – 50 სმ-ია, მექანიკური შემადგენლობა კი საშუალო თიხნარი. მცენარეული საფარი საშუალოდ ტრანსფორმირებულია.



ალო მთიან ნაწილში. რელიეფნარმომქმნელი პროცესი უკავშირდება ეროზიას და დენუდაციას. გეოლოგიურად აგებულია მეტამორფული ქანებით. კლიმატი ზომიერად თბილი და ჰუმიდურია. ნიადაგები – ტყის ყომრალი, რომლის საშუალო სიმძლავრე 30 – 50 სმ-ია,



9) ქვედა მთის ეროზიულ-დენუდაციური ლანდშაფტი ჯაგრცხილნარ-მუხნარი, მუხნარი ტყეებითა და მეორეული შიბლიაკით მდებარეობს მცხეთის ისტორიული ლანდშაფტიდან ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით, ალევის და

10) საშუალო მთის ეროზიულ-დენუდაციური ლანდშაფტი, წიფლნარი, რცხილნარ-მუხნარი (ქართული მუხის), რცხილნარი ტყეებით და ტყისშემდგომი მდელოებითა და მდელობურქნარებით მდებარეობს მცხეთიდან სამხრეთ-დასავლეთით, თრიალეთის ქედის საშუალო მთიან ნაწილში. რელიეფნარმომქმნელი პროცესი უკავშირდება ეროზიას და დენუდაციას. გეოლოგიურად აგებულია მეტამორფული ქანებით. კლიმატი ზომიერად თბილი და ჰუმიდურია. ნიადაგები – ტყის ყომრალი, რომლის საშუალო სიმძლავრე 30 – 50 სმ-ია, მექანიკური შემადგენლობა კი საშუალო თიხნარი. მცენარეული საფარი თითქმის შენარჩუნებულია.

11) საშუალო მთის ეროზიულ-დენუდაციური წიფლნარი ლანდშაფტი, იშიათად ფიჭვნარი (კავკასიური ფიჭვის) ტყეებით

მდებარეობს მცხეთიდან აღმოსავლეთით, ქართლის ქედის დასავლეთ ფერდობებზე, საშუალო მთებში. რელიეფისა და მდებარეობის გეოლოგიურად აგებულია მეტამორფული ქანებით. კლიმატი ზომიერად თბილი და ჰუმიდურია. ნიადაგები – ტყის ყომრალი, რომლის საშუალო სიმძლავრე 30 – 50 სმ-ია, მექანიკური შემადგენლობა კი საშუალო თიხნარი. მცენარეული საფარი საშუალოდ ტრანსფორმირებულია.

მცხეთის კულტურული ლანდშაფტის ფარგლებში გარკვეული ცვლილებები განხორციელდა XX საუკუნის მეორე ნახევარში, რაც, ძირითადად, აისახა ბუნებრივი ლანდშაფტების (განსაკუთრებით მცენარეულობის) დეგრადაციაზე. მიუხედავად ამისა, წარმოდგენილი ლანდშაფტების სტრუქტურა, ფუნქციონირება და ეკოლოგიური მახასიათებლები (რელიეფის ფორმები, ჰავა, ნიადაგები, ჰიდროლოგიური რეზიმი) ინარჩუნებენ იმ თავისებურებებს, რაც მათთვის იყო დამახასიათებელი უკანასკნელი 4-5 ათასი წლის მანძილზე. ბუნებრივი ლანდშაფტების აღდგენა შეფერხებულია, რაც უკავშირდება ტერიტორიის არიდიზაციის მაღალ მაჩვენებლებს.

### **მცხეთის კულტურული ლანდშაფტის საკანონმდებლო რეგულირება და მისი სივრცითი თავისებურებანი**

საქართველოში გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და საერთაშორისო კონვენციებით განსაზღვრულია მთელი რიგი რეგულაციები, რაც აისახა მცხეთის კულტურული ლანდშაფტის დაგეგმარებისას. მისი გეოგრაფიული თავისებურებებიდან და იუნესკოს რეკომენდაციებიდან გამომდინარე, აუცილებელი ხდება ისეთი კანონების გათვალისწინება, რომელიც დაარეგულირებს ბუნებრივი გარემოს და რესურსების გამოყენებას, განაპირობებს ბუნების ცალკეული კომპონენტების დაცვას, ხელს შეუწყობს გეოდინამიკური პროცესების პრევენციას, საშუალებას მოგვცემს გავითვალისწინოთ ევროპის ლანდშაფტური კონვენციის მოთხოვნები.

ამგვარ საკანონმდებლო რეგულაციებს, უპირველეს ყოვლისა, მიეკუთვნება შემდეგი კანონები:

- ✓ ტყის კოდექსი;
- ✓ სანაპირო ზოლის რეგულირების შესახებ;
- ✓ მიწის რესურსების შესახებ;

- ✓ ნიადაგების კონსერვაციის შესახებ;
- ✓ კულტურული მემკვიდრეობის შესახებ;
- ✓ დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ;
- ✓ გარემოზე ზემოქმედების შესახებ;
- ✓ გარემოს დაცვის შესახებ.

### საქართველოს ტყის კოდექსით განსაზღვრული რეგულაციები

„საქართველოს ტყის კოდექსი“ (მიღებული 1999 წელს) არეგულირებს საქართველოს ტყის ფონდისა და მისი რესურსების მოვლასთან, დაცვასთან, აღდგენასა და გამოყენებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს. მის ურთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვალეობას საქართველოს ტყის ფონდის დაცვა წარმოადგენს. ტყის ჭრის წესების თანახმად, მთავარი სარგებლობის ჭრები არ შეიძლება განხორციელდეს მცხეთის კულტურული ლანდშაფტის შემდეგ არეალებში: დაცულ ლანდშაფტებში, საკურორტო ზონის ტყეებში, მწვანე ზონის ტყეებში (დაცული, ბუნებრივი ან ხელოვნური ტყე, რომელიც დასვენების და სანიტარულ-საკურორტო დანიშნულებით გამოიყენება), განსაკუთრებული დაცვითი მნიშვნელობის მქონე ტყის უბნებში, რომელთაც მიეკუთვნება სახელმწიფო დაცვითი ტყის ზოლები, ბუნებრივი ან ხელოვნური ნარგაობები, რომლებიც დასახლებული პუნქტების, რკინიგზის და საავტომობილო გზების, არხების, სავარგულების და მდინარეთა წყლის რეგულირების მიზნითაა შექმნილი), ჭალის ტყეებში (მდინარეთა ხეობებში გავრცელებული ტყეები, რომლებიც სეზონურად იტბორება), მდინარეების, ტბების, წყალსაცავების გასწვრივ 300 მ სიგანის ნაპირდამცავი ტყის უბნებში, რკინიგზის და საავტომობილო გზების გასწვრივ 100 მ სიგანის ზოლებში.

შეიძლება ითქვას, რომ ამჟამად, მცხეთის კულტურული ლანდშაფტის არეალში მოქცეული ტყიანი ლანდშაფტების უდიდესი ნაწილი, მისი გამოყენების ფორმებით, პირდაპირაა დარღვეული ტყის კოდექსით განსაზღვრული სამართლებრივი რეგულაციები.

## წყლის რესურსების საკანონმდებლო რეგულირება

მცხეთის კულტურული ლანდშაფტის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია მდ. მტკვრისა და მდ. არაგვის აკვატორიები. მათ დიდი მნიშვნელობა აქვს მცხეთის მოსახლეობის ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების უზრუნველყოფის და ბუნებრივი გარემოს შენარჩუნების საქმეში.

საქართველოში წყლის რესურსების დაცვისა და გამოყენების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად დოკუმენტს წარმოადგენს საქართველოს კანონი „წყლის შესახებ“ და კანონი „საქართველოს ზღვის, წყალსატევებისა და მდინარეთა ნაპირების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის შესახებ“. ეს უკანასკნელი მიღებულია 2000 წელს, განსაზღვრავს წყალსატევებისა და მდინარეების სანაპირო ზოლის რაციონალური გამოყენების სამართლებრივ სტატუსს და უზრუნველყოფს მათ მდგრადობას. საქართველოს კანონმდებლობით აკრძალულია მდინარეთა კალაპოტიდან ინერტული მასალის მოპოვება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი ხორციელდება მდინარეთა რეგულირების ან ნაპირფორმირების მართვის მიზნით.

მდინარეთა წყალდაცვით ზოლად მიწნეულია მისი მიმდებარე ტერიტორია, რომელშიც მყარდება სპეციალური რეჟიმი წყლის რესურსების დაბინძურების, დანაგვიანების, მოლამვისა და დაშრეტისაგან დაცვის მიზნით. წყალდაცვით ზოლში შეიძლება მოხვდეს მდინარის მშრალი კალაპოტი, მისი მიმდებარე ტერასები, შემაღლებული და ციცაბოფერდიანი ბუნებრივი ნაპირები.

მდინარე მტკვრისა და არაგვის წყალდაცვითი ზოლის სიგანე, რადგან მათი სიგრძე აღემატება 100 კილომეტრს, აითვლება მდინარის კალაპოტის კიდიდან ორივე მხარეს 50 მეტრის ფარგლებში. ამ ზოლში აკრძალულია: მშენებლობა ან მოქმედი სანარმოების გაფართოება და რეკონსტრუქცია, საყოფაცხოვრებო, სამეურნეო და სამრეწველო ნარჩენების დაგროვება, დასაწყობება ან დამარხვა.

### მიწის რესურსების და მისი დაცვის საკონონმდებლო უზრუნველყოფა

საქართველოს კანონით „ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ“ რეგულირდება: 1. ნიადაგის

კონსერვაცია და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესება; ეროზიის, ღვარცფიის, მეწყერის, ზვავის, წყალდილობის, ნიადაგის დაბინძურების, განმეორებითი დაჭაობებისა და დამლაშების, სამშენებლო მასა-ლების ღია წესით მოპოვების, აგრეთვე, ანთროპოგენული ზემოქმედების შედეგად ნიადაგების დანაკარგების აღკვეთა; 2. მლაშობი, ბიცობი, დაჭაობებული, ეროზირებული, მჟავე, ძლიერდაქვიანებული და სხვა დაბალნაყოფიერი ნიადაგების ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესება და რაციონალური გამოყენება.

მცხეთის კულტურული ლანდშაფტის ფარგლებში წარმოდგენილია ნიადაგებთან დაკავშირებული პრობლემატიკის და ნიადაგების გამოყენების რამდენიმე ფორმა, რომელთა პრევენცია ინტეგრირდება კულტურული ლანდშაფტის ფუნქციური ზონირებისა და დაგეგმარების მეშვეობით.

### **საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ**

კანონის მიზანია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის (ფასეულობის) დაცვა და ამ სფეროში წარმოშობილი სამართლებრივი წინააღმდეგობების მოწესრიგება. მისი მოქმედება ვრცელდება საქართველოს ტერიტორიაზე და საზღვარგარეთ არსებულ კულტურულ მემკვიდრეობაზე.

კულტურულ ფასეულობას მიეკუთვნება შემოქმედებითი პროცესის შედეგად, ნებისმიერი მასალითა და საშუალებით, ნებისმიერ ისტორიულ ეპოქაში შექმნილი უძრავი ან მოძრავი ნივთი, რომელსაც აქვს მხატვრული, ესთეტიკური, ეთნოლოგიური, არქეოლოგიური, ისტორიული, რელიგიური, მემორიალური, მეცნიერული, ტექნიკური, ტექნოლოგიური ღირებულება. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ქვეშ იგულისხმება სამართლებრივ, სამეცნიერო-კვლევით, სარეაბილიტაციო, საინფორმაციო და საგანმანათლებლო ღონისძიებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია კულტურული მემკვიდრეობის სრული მრავალფეროვნებით შენარჩუნება და მისი მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა. ძეგლის დაცვის ძირითადი პრინციპია მისთვის იმ თვისებებისა და მახასიათებლების, უძრავი ძეგლის შემთხვევაში – ასევე იმ გარემოს შენარჩუნება, რომლებიც (ან რომელიც) განაპირო-

ბებს მის ისტორიულ, კულტურულ, მემორიალურ, ეთნოლოგიურ, მხატვრულ, ესთეტიკურ, მეცნიერულ ან სხვა ღირებულებას.

კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების სტრუქტურა შედგება ძეგლის ინდივიდუალური დამცავი ზონისა (მათ შორის: ძეგლის ფიზიკური დაცვის არეალი და ძეგლის ვიზუალური დაცვის არეალი) და ზოგადი დამცავი ზონებისაგან (მათ შორის: ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონა, განაშენიანების რეგულირების ზონა, ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონა).

კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონის მიზნებია: მის საზღვრებში არსებული კულტურული მემკვიდრეობის, მათ შორის ძეგლების, კულტურული ღირებულების მქონე ურბანული ქსოვილისა და ცალკეული შენობა-ნაგებობების, ისტორიული განაშენიანების, ქუჩათა ქსელის, გეგმარებითი სტრუქტურის, ისტორიული ლანდშაფტის და არქეოლოგიური ობიექტების არასასურველი ზემოქმედებისაგან დაცვა; მის საზღვრებში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ბუნებრივი, ისტორიული, ესთეტიკური და ეკოლოგიური გარემოს, მისი ავთენტიკური ელემენტების, ისტორიულად ჩამოყალიბებული ხედებისა და პანორამების, ასევე იმ სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული კონტექსტის შენარჩუნება, რომელიც ხელს შეუწყობს ძეგლისა და მისი გარემოს დაცვასა და მდგრად განვითარებას; ძეგლის, როგორც ისტორიის მოწმის, როლის შენარჩუნებას.

მცხეთის კულტურული ლანდშაფტის ფუნქციური ზონირებისა და დაგეგმარებისას გათვალისწინებულ იქნა განხილული კანონის ყველა მოთხოვნა.

### საქართველოს კანონი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“

კანონის მიხედვით განიხილება დაცული ტერიტორიების 6 კატეგორიის დაარსების პირობები და მოთხოვნები. აქ განსაკუთრებულ ყურადღებას, დაგეგმარების მასშტაბებიდან გამომდინარე, იქცევს დაცული ლანდშაფტის კატეგორია. იგი შეიძლება დაარსდეს ეროვნული მნიშვნელობის მქონე, მაღალი ესთეტიკური ღირებულებით გამორჩეული როგორც ბუნებრივი, ასევე ადამიანისა და ბუნებრივი გარემოს ჰარმონიული ურთიერთქმედების შედეგად ჩამოყალიბებული ბუნებრივ-კულტურული ლანდშაფტის დასაცავად სასიცოცხლო გარემოს

შენარჩუნების, რეკრეაციულ-ტურისტული და ტრადიციული სამეურ-  
ნეო საქმიანობისთვის.

დაცული ლანდშაფტი საჭიროებს ეროვნული მნიშვნელობის მქონე  
ფართო სახმელეთო ტერიტორიას ან აკვატორიას, სადაც თვითმყოფა-  
დი ბუნებრივ-კულტურული ლანდშაფტი გამოირჩევა მაღალი ისტო-  
რიული და ესთეტიკური ღირებულებით. იგი შეიძლება შედიოდეს სხვა  
დაცული ტერიტორიის (ბიოსფერული რეზერვატი, მსოფლიო მემკვი-  
დერეობის უბანი) შემადგენლობაში ან მოიცავდეს შედარებით მცირე  
ფართობის მქონე დაცულ ტერიტორიას (მაგ., ბუნების ძეგლს).

მცხეთის კულტურული ლანდშაფტის ფარგლებში შესაძლებელია  
გამოიყოს რამდენიმე დაცული ლანდშაფტი, რომელიც მოიცავს მაღალ  
ბუნებრივ და ისტორიულ ფასეულობებს.

### **საერთაშორისო კონვენციებით განსაზღვრული სივრცითი რეგულაციები ევროპის ლანდშაფტური კონვენცია**

ევროპის ლანდშაფტური კონვენცია წარმოაჩენს ლანდშაფტის  
განსაკუთრებულ როლს საზოგადოებრივი განვითარების ისეთ მიმარ-  
თულებებში, როგორიცაა: კულტურა, ეკოლოგია, გარემოსდაცვითი და  
სოციალური სფეროები, ეკონომიკური განვითარება და დაგეგმარება.  
ევროპის ლანდშაფტური კონვენცია ერთგვარად უნივერსალური საკა-  
ნონმდებლო აქტია, რომელიც ითვალისწინებს საერთაშორისო დონე-  
ზე არსებული სამართლებრივი დოკუმენტების ტექსტებს ბუნებრივი  
და კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და მართვის, რეგიონული  
და სივრცობრივი დაგეგმარების, ადგილობრივი თვითმმართველობისა  
და ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის სფეროში.

ევროპის ლანდშაფტური კონვენციის მთავარი მიზანია ლანდშაფ-  
ტების ხარისხის და მრავალფეროვნების შენარჩუნება, ევროპის ქვეყ-  
ნების თანამშრომლობა ყველა ლანდშაფტის დაცვის, მართვისა და და-  
გეგმარების მიზნით. ევროპის ლანდშაფტური კონვენციის ძირითადი  
პოსტულატების მიხედვით განერილია ის ქმედებები, რაც ემსახურება  
მცხეთის კულტურული ლანდშაფტის დაცვას, მართვასა და დაგეგმა-  
რებას. კერძოდ (Naturschutz mit schwerpunkt landschaftsplanung, 2006):

**„ლანდშაფტის დაცვა“** – ქმედება, რომელიც მიმართულია ლან-  
დშაფტის მნიშვნელოვანი ან დამახასიათებელი თვისებების კონსერვა-

ციასა და შენარჩუნებაზე, რაც გამართლებულია მისი მემკვიდრეობითი ღირებულებით, რომელიც წარმოშობილია მისი ბუნებრივი კონფიგურაციიდან და/ან ადამიანის მიერ განხორციელებული ქმედებებიდან;

„ლანდშაფტის მართვა“ – მდგრადი განვითარების პერსპექტივის გათვალისწინებული ქმედება, რომელიც უზრუნველყოფს ლანდშაფტის რეგულარულ მოვლას ისე, რომ მოხდეს სოციალური, ეკონომიკური და გარემოში მიმდინარე პროცესებით გამოწვეული ცვლილებების მართვა და ჰარმონიზაცია;

„ლანდშაფტის დაგეგმარება“ – გადამწყვეტი, მათ შორის, გამიზული ქმედებები ლანდშაფტების გაუმჯობესების, განვითარების ან შენარჩუნების მიზნით.

### რამსარის კონვენცია

საქართველო რამსარის კონვენციას 1996 წელს მიუერთდა. იგი რამდენიმე ათეული წელია გლობალური მასშტაბით უწყობს ხელს ჭარბტენიანი ტერიტორიების „გონივრული გამოყენების“ იდეის რეალურ განხორციელებას. მცხეთის კულტურული ლანდშაფტის არეალში ჯეროვნადაა წარმოდგენილი ჭარბტენიანი ლანდშაფტები, რომლებიც ადამიანის სამეურნეო საქმიანობის შედეგად ძლიერ დეგრადირებულია. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა მდინარე არაგვის ორივე ნაპირის გასწვრივ და მდინარე მტკვრის მარჯვენანაპირეთში.

### კონვენცია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ

საქართველო კონვენციას მიუერთდა 2007 წელს. იგი ითვალისწინებს მჭიდრო ურთიერთკავშირს არამატერიალურ და მატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობას, აგრეთვე ბუნებივ მემკვიდრეობას შორის. „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა“ მოიცავს ზეპირსიტყვიერების ადათ-წესებს, წარმოსახვისა და გამოხატვის ფორმებს, ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, ასევე მათთან დაკავშირებულ საშუალებებს, საგნებს, არტეფაქტებს და კულტურულ სივრცეებს. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა მუდმივ განახლებას განიცდის მათი გარემო პირობების, ბუნებასთან მათი ურთიერთქმედებისა და ისტორიის შესაბამისად.

მცხეთის კულტურული ლანდშაფტი მოიცავს საკმაო რაოდენობის არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობას, რაც, ძირითადად, ქრისტიანულ რელიგიასთან და მასთან გაიგივებულ ადათ-წესებთანაა დაკავშირებული. ამგვარი მემკვიდრეობის დაცვა, ძირითადად, ხორციელდება მისი სიცოცხლისუნარიანობის, კვლევის, შენარჩუნების, პოპულარიზაციისა და მისი როლის ამაღლების, მათ მნიშვნელობაზე ყურადღების გამახვილების მიზნით ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

დაბოლოს, მცხეთის კულტურული ლანდშაფტის ფარგლებში კლასიფიცირებისა და სამართლებრივი რეგულაციების განსაზღვრის შედეგად გამოიყო 10 ზონალური ტიპი, რომლებშიც წარმოდგენილია 16 ერთეული. ისინი განსხვავდებიან ისტორიული, კულტურული, სამეურნეო და ეკოლოგიური დანიშნულებით. ესენია:

1. მცხეთის ისტორიული ლანდშაფტი;
2. მცხეთის ისტორიული ლანდშაფტის ბუფერული ზონა;
3. ჭალის ტყის ლანდშაფტი – რამსარის კონვენციის საიტი – 2 ერთეული;
4. არქეოლოგიური ლანდშაფტი (საიტი) – 2 ერთეული;
5. გარემოსდაცვითი ლანდშაფტი – 4 ერთეული;
6. ბუფერული ლანდშაფტი;
7. დეგრადირებული ლანდშაფტი (საჭიროებს გაუმჯობესებას) – 2 ერთეული;
8. დაცული ლანდშაფტი;
9. სასოფლო-სამეურნეო ლანდშაფტი (საჭიროებს განვითარებას);
10. ესთეტიკური ლანდშაფტი – 2 ერთეული.

აღნიშნული ზონიება, რომელიც განხილულ იქნა იუნესკოს სპეციალური კომისიის სხდომაზე 2014 წლის თებერვალში, მისაღებად ჩაითვალა და მოწონება დაიმსახურა.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. 6. ელიზბარაშვილი. გეოგრაფიის საფუძვლები. გამომც. „უნივერსალი“, თბ., 2008, 207 გვ.
2. 6. ელიზბარაშვილი 6. (ი. დევნოზაშვილის თანაავტორობით). გეოგრაფიული კვანძები. უურნ. საქართველოს გეოგრაფია, 4, გამომც. თსუ, თბ., 2005.

3. 6. ელიზბარაშვილი ნ. ლანდშაფტური დაგეგმარების გეოეკოლოგიური საფუძვლები. თბ., გამომც. „უნივერსალი“, თბ., 2005, 300 გვ.
4. European Landscape Convention. Opening for signature on 20 October 2000, European Treaty Series – No.176, 9 p., Florence. [Http://conventions.coe.int](http://conventions.coe.int)
5. Naturschutz mit schwerpunkt landschaftsplanung (2006). Deutsch-Russisch-Englisches sachwörterbuch. Bonn-Berlin-Hannover-Moskau-Irkutsk. -191 pp.
6. Protection of landscapes. Dictionary. – M., 1982,-271 pp. (In Russian)
7. Biological and Landscape Diversity of Georgia, (2000). Proceedings of the First National Conference. -Tbilisi, 312 pp.

**Nodar Elizbarashvili**

Professor

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

### **Geographical knot Mtskheta and legal features of her regulation**

#### **Resume**

Features of landscape planning of the historical and cultural environment of the oldest capital of Georgia – the city of Mtskheta are addressed in the article. Thus, actually for the first time in Georgia, the process of studying, functional zoning and planning of historical and cultural landscapes began. The features defined on the basis of landscape planning of the city of Mtskheta: 1. show universal value of monuments of the world heritage and 2. Create conditions of protection and rehabilitation of a cultural landscape. For preservation, rehabilitations and sustainability development of a historical landscape of Mtskheta, some principles are defined: Reduction of risk, preservation of stability and preservation of landscape diversity.

The article considers spatial regulation, determined by the nature protection legislation of Georgia (the forest code, the law on preservation of soils, on conservation, cultural heritage, etc.) and the international conventions (The European landscape convention, the convention on protection of non-material cultural heritage).

**Nino Kereselidze**  
PHD student  
University of St Andrews, UK

**Interdisciplinary Approach and  
Hybrid Policy to Maritime Piracy**

Maritime piracy recurring over the last decades poses significant risk to human life, safety of shipping, and international security. Several disciplines, particularly International Relations, economics, legal studies, development studies, and gender studies try to explain such form of transnational crime. On policy level, economic and social approaches were taken into account when a maritime nation of Georgia tackled the issue of the Georgian and Turkish seafarers taken hostage in 2010 by the Somali pirates in the Gulf of Aden/Horn of Africa (GOA/HOA) region that the paper aims to explore as an empirical case study. This is a unique case because similar to other maritime nations facing piracy, but unlike other maritime powers, the state having no experience of dealing with piracy, effectively responded to this issue. Since then Georgia has joined campaign against piracy initiated by governments and launched by the United Nations (UN) specialized agency International Maritime Organization (IMO) at its 27th Assembly Session in November 2011.

This paper poses a question what has been the nature of modern piracy at sea and what policy approach can address this issue? The paper argues that a single discipline is unable to comprehend the nature of this transnational phenomenon and it is the interdisciplinary theoretical approach and a hybrid policy stance that can explain and deal with maritime piracy. Hybrid policy that Georgia took resting on the interdisciplinary study can explain the puzzle posed in this paper. In developing this argument, the first section overviews theoretical approaches towards maritime piracy, the next section of this paper moves on to examine how Georgia engaged to release the seafarers. The final section concludes.

To define piracy at sea, an armed robbery as a form of organised crime, following the European Security Strategy (ESS) which is the core document

drafted by the European Union (EU),<sup>1</sup> has changed its nature transforming into transnational crime performed by non-state actors. The research draws on methods of data collection including literature review, document analysis, interviews and elements of personal observation. The research on the case confronted limitations of primary data gathering taking into account sensitivity of the case.

### **Interdisciplinary Scope to the Study of the Maritime Piracy**

Interdisciplinary approach can shed clarity to complex question of maritime piracy on the theoretical level. Interdisciplinarity allows deeper understanding and reveals previously unexplored angles of complex phenomena which include economic and social reasons for piracy. In terms of Karl Popper, as problems cut right across the borders of subject matter or a discipline, it is essential to integrate several disciplines to produce synthesised knowledge.<sup>2</sup> Interdisciplinary approach can position epistemological work based on the way reality is practiced and produces knowledge. When exploring piracy with the cross-disciplinary stance, unique insights can be gained to understand nuanced meaning. State-of-the-art from different disciplines, challenging traditional views, points to creative ways for solving theoretical and practical problems. As John Gerring rightly points out, even though epistemological relativism exists, interdisciplinary and trans-disciplinary standards are applied to social sciences.<sup>3</sup> Interdisciplinary research is thus a cognitive tool that handles questions of fundamental understanding, and an instrumental tool which aims at problem-solving. Interdisciplinary research in academia has become reference point for policy makers that can inform policy research.

In International Relations, the realist school of thought takes state-centric approach and focuses on states' ability to exercise power and to check organized crime. This line of reasoning supports one of the current solutions to enhance security on vessels entering the territory of port/coastal states by introducing military assets and private armed forces. The liberal approach favours

---

<sup>1</sup> Council of the European Union, "A Secure Europe in a Better World: European Security Strategy," Brussels, 2003, Accessed 30-12-12, <http://www.consilium.europa.eu/uedocs/cmsUpload/78367.pdf>, 4-5.

<sup>2</sup> Karl Popper, *Conjectures and Refutations* (London: Routledge, 1963), 88.

<sup>3</sup> John Gerring, *Social Science Methodology: A Criterial Framework* (Cambridge: Cambridge University Press,2001), 4.

cooperation among governments to ensure safety at sea. Maritime nations facing the danger of piracy need to cooperate among each other to counter piracy. Such cooperation is translated in patrols at sea, joint coordination among coast guards, and exchange of information. Transnational governance goes beyond the state-centric approach and detects the changing nature of organized crime. This raises a question how states can respond to transnational crime exercised by the non-state actors. Expedient response can be achieved with close involvement on intergovernmental and supranational levels.

Apart from the realist and liberal perspectives, legal approach emphasizes rules of international law concerning piracy and maritime regulations. Most notable among such regulations are the Code of Conduct concerning the Repression of Piracy and Armed Robbery against Ships in the Western Indian Ocean and the Gulf of Aden (Djibouti Code) (2009), and Regional Cooperation Agreement on Combating Piracy and Armed Robbery against Ships in Asia (ReCAAP) (2004). Since 2008 the UN Security Council has adopted 13 resolutions on counter-piracy actions. The SC/RES 1851 established Contact Group on Piracy off the Coast of Somalia (CGPCS) in 2009. This legislative framework has created harmonized counter piracy legislation and law enforcement mechanisms among the regional countries.

Besides legal premises, economic dimension takes into account effects of piracy on industry including international shipping community, maritime transportation, and global trade. According to the World Bank report, beyond the human tragedy, piracy in the GOA/HOA is estimated to be costing world economy USD 18 billion every year.<sup>1</sup> Armed groups after seizing vessels demand ransom for them and their crews with payments increasing from USD 150,000 in 2005 to USD 5.4 million in 2010.<sup>2</sup> From here follows taking anti-piracy measures by ship owners and operators in industries.<sup>3</sup> Development approach points to sustainable economic development and foreign aid as a primary course of action to eradicate poverty that nurtures crime. Gender is more attuned to human

---

<sup>1</sup> World Bank, "The Pirates of Somalia: Ending the Threat Rebuilding a Nation," Washington: World Bank, 2013, Accessed 17-06-14, <http://www.worldbank.org/africa/piratesofsomalia>.

<sup>2</sup> Anna Bowden, "The Economic Cost of Maritime Piracy," Royal United Services Institute for Defence and Security Studies, London: RUSI, 2011, Accessed 17-06-14, [https://www.rusi.org/downloads/assets/Anna\\_Bowden\\_%5BCompatibility\\_Mode%5D.pdf](https://www.rusi.org/downloads/assets/Anna_Bowden_%5BCompatibility_Mode%5D.pdf).

<sup>3</sup> Lloyds' Register, "Anti-piracy Measures for Ship owners and Operators Developed by Industries: A Summary of Vessel and Crew Protection Procedures," *Horizons* 2011 (September): 22.

insecurity by looking at the underlying root causes for the pirates, vulnerability of seafarers and aid dependency. According to gender approach, whilst maritime nations understand the importance of collaborative actions to respond to piracy, by depicting the phenomenon as the human threat of XXI century and by demonizing the fisherman-cum-pirates shifts the narratives away from the root causes. Such narratives do not sufficiently attribute attention to seafarers who belong to the marginalized group of people facing the perils of sea on a daily basis and experience anguish inflicted to them and their families when captured by pirates.

These disciplines can shed clarity to theoretical underpinnings to maritime piracy. Because a single discipline can not explain this complex phenomenon, it is through the dialogue among the disciplines that the nature of modern piracy can be comprehended. On a policy level, an integrated approach can hence encourage thinking about creative comprehensive solutions to the issue of piracy. Hybridism rests in selecting and applying the elements of explanations from the IR, economics, legal and gender studies. Such hybrid approach can beyond academia be adopted in policy research by governmental, intergovernmental, nongovernmental organizations, and research institutions.

### **Hybrid Policy Expedited by the IMO and the EU**

Over 20 years piracy has posed significant risk to international society. Besides threat to the seafarers, piracy affects international shipping industry. As Peter Lehr put it, response to maritime terrorism has been hampered with sovereignty, the laws of the sea, and international coordination.<sup>1</sup> Maritime nations facing danger of piracy understand the urgency for cooperation among governments, international and intergovernmental organizations, and shipping industry. Safety at sea is hence declared to be an ultimate obligation for all stakeholders involved in maritime affairs. With joint efforts international society will be able to respond to piracy expediently.

The IMO, having responsibility for safety and security of shipping was the first to raise the urgency of the issue. The question has been how governments either as flag States, coastal States, port States or States whose nationals are employed as seafarers should deal with piracy. As declared at the 27th Assembly Session of the IMO in 2011, countries need to commit to support campaign with coordinated

---

<sup>1</sup> Peter Lehr, *Violence at Sea: Piracy in the Age of Global Terrorism* (London: Routledge, 2007).

action against piracy. In the scope of campaigns such as celebrating the World Maritime Day themed “Piracy: Orchestrating the Response” in 2011, the message of the IMO Secretary-General Efthimios Mitropoulos was that alliances of states, military forces, and shipping companies had a part to play to respond to piracy.<sup>1</sup> The same message does point out that “although piracy manifests itself at sea, the roots of the problem are to be found ashore.”<sup>2</sup> In 2011 the IMO Maritime Safety Committee (MSC) released MSC.1/Circ.1405 Interim Guidance on the Use of Privately Contracted Armed Security Personnel (PCASP)<sup>3</sup> which addressed management of the PCASP and Private Maritime Security Company (PMSC), and the Rules for the Use of Force (RUF). Introducing such security being subject to diverse legal regimes has raised the need for a high level policy debate.

Another intergovernmental organization that took this debate further was the International Transport Forum (ITF) at the Organisation for Economic Co-operation and Development (OECD). At the ITF annual summit in 2012, Ministers’ Roundtable on Piracy at Sea after discussing a threat of piracy off the coast of Somalia to maritime transportation industry concluded in its joint statement that the short-term solution for containing piracy would be advanced security on ships and sustainable solution would be stability in Somalia.<sup>4</sup> An expert attending the summit accounts that the Georgian side supported this stance.<sup>5</sup> Such integrated approach on both discourse and legislative levels has demonstrated an attempt to apply aspects from across the disciplines for policy solutions.

Nowadays nearly 40 countries are involved in military counter-piracy operations through supranational entities. Most notable among them is the North Atlantic Treaty Organization (NATO) that set up Standing Naval Maritime Group in 2005 and the counter piracy mission Operation Ocean Shield in 2009. In contrast with the NATO, significance of the EU’s approach rests in the

<sup>1</sup> International Maritime Organization, “World Maritime Day 2011 – “Piracy: Orchestrating the Response,” Briefing, London: IMO, 2011, Accessed 7-06-14, <http://www.imo.org/MediaCentre/PressBriefings/Pages/49-WMD-2011.aspx#.U5cZ51Ngu3o>.

<sup>2</sup> IMO, Briefing, 2011.

<sup>3</sup> International Maritime Organization, “Interim Guidance to Ship owners, Ship Operators and Shipmasters on the Use of Privately Contracted Armed Security Personnel (PCASP) on Board Ships in the High Risk Area,” MSC.1/Circ.1405, London: IMO, 2011, Accessed 14-06-14, <http://www.imo.org/MediaCentre/PressBriefings/Pages/27-MSC-89-piracy.aspx#.U6BO31Ngu3o>.

<sup>4</sup> Cf. International Transport Forum, Ministers’ Roundtable: Piracy at Sea, Joint Statement, Annual Summit, 2012, Accessed 15-06-14, 2012.internationaltransportforum.org/sites/itforum2012/files/documents/en/PiracyAtSea.pdf.

<sup>5</sup> Interview 1.

circumstance that the EU involved non-member states in its global crisis management operations in maritime affairs. Underlining the threat of maritime piracy in its Security Strategy, the EU stated:

“Europe is a prime target for organised crime. This internal threat to our security has an important external dimension. ... A new dimension to organised crime which will merit further attention is the growth in maritime piracy.”<sup>1</sup>

Based on this strategy, in 2008 the EU launched military operation European Union Naval Force Somalia (EU NAVFOR Atlanta) mandated to protect vessels with humanitarian aid and redress acts of piracy.<sup>2</sup> Most importantly, with relevance to involvement of the EU’s eastern neighbouring countries such as Georgia in its oversees crisis management operations, in 2012 under the Common Foreign and Security Policy (CFSP) the EU invited Georgia to participate in its three new operations one with maritime focus – European Union Regional Maritime Capacity Building for the Horn of Africa and the Western Indian Ocean (EUCAP Nestor). At the Vilnius Summit of Eastern Partnership (EaP) in November 2013, the parties signed a Framework Participation Agreement on Georgia’s contribution in EU’s crisis management operations creating permanent legal basis for Georgia’s involvement in the EU missions.<sup>3</sup> Following the realist tenets, Georgia’s contribution to maritime capacity building missions also enhances national capacity.

### **Response to Piracy from a Maritime Nation of Georgia**

At the IMO 27th Assembly Session, Georgia shared its commitment to support governments’ actions against piracy. This policy followed the state’s experience in the counter-piracy measures on the *ad hoc* basis. Neither did the state have previous experience of dealing with piracy nor did it have a contingency approach for such instances. Liberation of the Georgian seafarers held captive by the pirates for more than a year rendered incentive to the Government of Georgia to share its experience.

---

<sup>1</sup> Council of the European Union, “European Security Strategy,” 4-5.

<sup>2</sup> European Union External Action Service, Completed Missions and Operations, Ongoing Missions and Operations, Brussels: EEAS, 2014, Accessed 23-04-14, [http://www.eeas.europa.eu/csdp/index\\_en.htm](http://www.eeas.europa.eu/csdp/index_en.htm).

<sup>3</sup> European Union External Action Service, EU and Georgia Sign Framework Agreement on Participation in EU Crisis Management Operations, Press Release 131129/02, 29 November 2013, Vilnius, Accessed 29-11-13, [http://www.eeas.europa.eu/statements/docs/2013/131129\\_02\\_en.pdf](http://www.eeas.europa.eu/statements/docs/2013/131129_02_en.pdf).

It was on 8 September 2010 when the crew of Malta-flagged cargo ship “Olib G” on board with 15 Georgian and 3 Turkish seafarers was seized by the Somali pirates near the Gulf of Aden while on route from the port of Alexandria, Egypt to Alang, India. The pirates initially demanded ransom for the seafarers, but since the ship owner refused to pay, the families of the seafarers sought assistance from the state. For their release, the President of Georgia commissioned the Special Representative, Deputy Minister of Economy and Sustainable Development of Georgia in charge of negotiations that entailed international mechanisms.<sup>1</sup> The team setting off to Kenya, managed to negotiate on 6 January 2012 that ended with liberating 18 captives and transferring them safely on board the rescue vessel controlled by the Government of Georgia to the safe port of Mombasa on the night of 12 January where the seafarers received the first aid. They were first transported to Istanbul, Turkey where 3 Turkish seafarers were brought to the Prime Minister of Turkey and the Georgian seafarers were then taken to Batumi, Georgia.<sup>2</sup> Having gone through complexity of the release, a negotiator accentuates the necessity to cooperate with all stakeholders to counter piracy.<sup>3</sup> In addition, liberation was considered remarkable as Georgia was one of those few nations which managed to have its nationals freed with negotiations.

The country apart from engaging in collaborative actions for addressing transnational crime, on the national level took an array of measures to protect rights of the seafarers. This primarily included enhancing supervision on the crewing companies with amendments in the Maritime Code of Georgia in 2012.<sup>4</sup> Apart from that, approximation of the Georgian legislation with the European rules and regulations, notably the Association Agreement (AA) initialled in 2013, provides for protection of social and labour rights of the seafarers. In addition, the EU Transport Corridor Europe-Caucasus-Asia (TRACECA) Maritime Safety and Security II Project envisaging gradual alignment of the Georgian legislation with the Maritime Labour Convention (MLC) is to advance

<sup>1</sup> 24 Saati (24 Hours Newspaper), “Tamashi khut dapaze: Saidumlo operatsia kartvel mezgvaarta gamosakhsnelad” (Game on Five Boards: Secret Operation for Releasing the Georgian Seafarers), 18 March 2012, Tbilisi, Accessed 17-06-14, <http://www.24hours.ge/weekend/story/26429-tamashi-khut-dafaze>, (in Georgian).

<sup>2</sup> 1 Arkhi (Channel 1), “Somaleli mekobreebis mier datkvevebuli kartvelebi gaatavisuples” (“Georgian Captives Released from the Somali Pirates”), 9 January 2012, Tbilisi, Accessed 6-06-14, <http://1tv.ge/news-view/33566>, (in Georgian).

<sup>3</sup> Interview 2.

<sup>4</sup> President of Georgia, Maritime Code of Georgia, № 715-IIS, Tbilisi, 1997, Accessed 19-06-14, [https://matsne.gov.ge/index.php?option=com\\_ldmssearch&view=docView&id=29908&lang=ge#](https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=29908&lang=ge#), Art. 69<sup>1</sup>.

safety of employment for the seafarers to avoid navigation at high risk areas. This section revealed that the hybrid policy that Georgia has taken draws on the IR, economics, legal and development studies.

### **Conclusion**

Maritime piracy poses an imminent risk to human life and safety of shipping. This paper has delved into the previously unexplored area of piracy drawing on interdisciplinary approach and empirical case of responding to piracy against the Georgian seafarers from a state's side. The paper has proven that because a single discipline is unable to comprehend the nature of modern piracy, there is a need for an interdisciplinary approach to study maritime piracy. The case of how Georgia negotiated release of the seafarers has constituted a remarkable case for the research. The paper found that interdisciplinary theoretical premises and a hybrid policy approach to maritime piracy can constitute solution that encompasses protection of ships, safeguarding the life at sea, compliance with the recommended measures and addressing the root causes.

### **References**

1. Council of the European Union. "A Secure Europe in a Better World: European Security Strategy." Brussels. 2003. Accessed on 30-12-12. At: <http://www.consilium.europa.eu/uedocs/cmsUpload/78367.pdf>.
2. Bowden, Anna. "The Economic Cost of Maritime Piracy." Royal United Services Institute for Defence and Security Studies. London: RUSI. 2011. Accessed on 17-06-14. At: [https://www.rusi.org/downloads/assets/Anna\\_Bowden\\_%5BCompatibility\\_Mode%5D.pdf](https://www.rusi.org/downloads/assets/Anna_Bowden_%5BCompatibility_Mode%5D.pdf).
3. European Union External Action Service. Completed Missions and Operations, Ongoing Missions and Operations. Brussels: EEAS. 2014. Accessed on 23-04-14. At: [http://www.eeas.europa.eu/csdp/index\\_en.htm](http://www.eeas.europa.eu/csdp/index_en.htm).
4. European Union External Action Service.EU and Georgia Sign Framework Agreement on Participation in EU Crisis Management Operations.Press Release 131129/02. 29 November 2013. Vilnius. Accessed on 29-11-13. At: [http://www.eeas.europa.eu/statements/docs/2013/131129\\_02\\_en.pdf](http://www.eeas.europa.eu/statements/docs/2013/131129_02_en.pdf).
5. Gerring, John. *Social Science Methodology: A Criterial Framework*. Cambridge: Cambridge University Press, 2001.

6. International Maritime Organization.“Interim Guidance to Shipowners, Ship Operators and Shipmasters on the Use of Privately Contracted Armed Security Personnel (PCASP) on Board Ships in the High Risk Area.” MSC.1/Circ.1405. London: IMO. 2011. Accessed on 14-06-14. At: <http://www.imo.org/MediaCentre/PressBriefings/Pages/27-MSC-89-piracy.aspx#.U6BO3lNgu3o>.
7. International Maritime Organization. “World Maritime Day 2011 – “Piracy: Orchestrating the Response.” Briefing. London: IMO. 2011. Accessed on 7-06-14. At: <http://www.imo.org/MediaCentre/PressBriefings/Pages/49-WMD-2011.aspx#.U5cZ5lNgu3o>.
8. International Transport Forum. Ministers’ Roundtable: Piracy at Sea. Joint Statement. Annual Summit. 2012. Accessed on 15-06-14. At: [2012.internationaltransportforum.org/sites/itforum2012/files/documents/en/PiracyAtSea.pdf](http://2012.internationaltransportforum.org/sites/itforum2012/files/documents/en/PiracyAtSea.pdf).
9. Lehr, Peter. *Violence at Sea: Piracy in the Age of Global Terrorism*. London: Routledge, 2007.
10. Lloyds’ Register. “Anti-piracy Measures for Ship owners and Operators Developed by Industries: A Summary of Vessel and Crew Protection Procedures.” *Horizons* 2011 (September).
11. Popper, Karl. *Conjectures and Refutations*. London: Routledge, 1963.
12. President of Georgia. Maritime Code of Georgia. № 715-IIS. Tbilisi. 1997. Accessed on 12-06-14. At: [https://matsne.gov.ge/index.php?option=com\\_ldmssearch&view=docView&id=29908&lang=ge#](https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=29908&lang=ge#).
13. World Bank. “The Pirates of Somalia: Ending the Threat Rebuilding a Nation.” Washington: World Bank. 2013. Accessed on 17-06-14. At: <http://www.worldbank.org/africa/piratesofsomalia>.
14. 1 Arkhi (Channel 1). “Somaleli mekobreebis mier datkvevebuli kartvelebi gaatavisuples” (“Georgian Captives Released from the Somali Pirates”). 9 January 2012. Tbilisi. Accessed on 6-06-14. At: [\(In Georgian\)](http://1tv.ge/news-view/33566).
15. 24 Saati (24 Hours Newspaper). “Tamashi khut dapaze: Saidumlo operatsia kartvel mezgvaurta gamosakhsnelad” (Game on Five Boards: Secret Operation for Releasing the Georgian Seafarers). 18 March 2012. Tbilisi. Accessed on 17-06-14. At: [\(In Georgian\)](http://www.24hours.ge/weekend/story/26429-tamashi-khut-dafaze).

## Interviews

Ketevan Salukvadze  
Head of Transport Policy Department  
Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia  
19 June 2014, Tbilisi, Georgia  
Captain Mamuka Akhaladze  
Director, LEPL Maritime Transport Agency  
Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia  
24 June 2013, Batumi, Georgia

**ნინო კერესელიძე**  
დოქტორანტი  
სენტ ენდრიუს უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი

**დისციპლინათაშორისი მიდგომა და შერწყმული  
პოლიტიკა საზღვაო მეკობრეობის მიმართ**  
**რეზიუმე**

საზღვაო მეკობრეობა საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლესა და ნაოსნობის უსაფრთხოებას. ევროკავშირის სტრატეგიის (ESS) თანახმად, მეკობრეობა საერთაშორისო საფრთხეს წარმოადგენს. სხვადასხვა დისციპლინა, კერძოდ, საერთაშორისო ურთიერთობები, ეკონომიკა, სამართალმცოდნეობა, განვითარების კვლევები და, ასევე, გენდერული კვლევები ბოლო ათწლეულის განმავლობაში წარმოშობილი ტრანსნაციონალური დანაშაულის ახსნას ცდილობენ.

აღნიშნული სტატიის მიზანია დაადგინოს ზღვაზე მეკობრეობის ამ ახალი ფორმის ბუნება და რა სახის მიდგომაა საჭირო აღნიშნული პრობლემის გადაჭრის მიზნით. სტატიაში განხილულია საქართველოს, როგორც საზღვაო სახელმწიფოს ემპირიულ მაგალითზე ის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა, რაც გამოყენებულ იქნა სომალელი მეკობრეების მიერ 2010 წელს ადენის ყურეში იგივე აფრიკის რეგიონში (GOA/HOA) მძევლად აყვანილი საქართველოსა და თურქეთის მეზღვაურების გასათავისუფლებლად. ეს უნიკალური შემთხვევაა, ვი-

ნაიდან სხვა საზღვაო ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველომ, რომელსაც მეკობრეობის წინააღმდეგ ბრძოლის გამოცდილება არ ჰქონდა, ტყვეების გათავისუფლება წარმატებული მოლაპარაკებების გზით შეძლო. 2011 წელს კი საქართველო შეურთდა გაეროს სპეციალიზებული დანესხებულების საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (UN IMO) მიერ წამოწყებულ და საერთაშორისო ტრანსპორტის ფორუმის (ITF) განვითარებულ მეკობრეობის წინააღმდეგ მიმართულ მთავრობათაშორის კამპანიას. ევროკავშირსა და საქართველოს შორის 2014 წელს ხელმოწერილი ასოცირების შესახებ შეთანხმება კი უზრუნველყოფს მეზღვაურთა შრომითი უფლებების დაცვას.

მიუხედავად იმისა, რომ რეალიზმის თეორიის მიხედვით, ყველაზე ქმედით პასუხად მეკობრეობის წინააღმდეგ დაუყოვნებლივ ძალისმიერი ქმედება მიიჩნევა, აღნიშნულმა სტატიამ ცხადყო, რომ ერთ დისკიპლინას ვერ შესწევს თანამედროვე მეკობრეობის ბუნების ახსნა, ამიტომ დისციპლინათაშორისი თეორია და შერწყმული (ჰიბრიდული) პოლიტიკა საზღვაო მეკობრეობის მიმართ წარმოადგენს გამოსავალს ზღვაზე ხომალდებისა და სიცოცხლის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებული ზომების მისაღებად და მეკობრეობის გამომწვევი ძირეული მიზეზების აღმოსაფხვრელად.

**გიორგი კვინიკაძე**  
ასისტენტი პროფესორი, თსუ

**გეოეკონომიკა და ახალი ეკონომიკური გეოგრაფია**

1990-იანი წლების დასაწყიში გეოგრაფიის, ეკონომიკის და პოლიტოლოგიის ზღვარზე ყალბიბდება გეოეკონომიკა. გეოეკონომიკის საგანში შეინიშნება რამოდენიმე ასპექტი, რომელიც ერთ კომპლექსში აერთიანებს ეკონომიკურ გეოგრაფიას, თანამედროვე გლობალურ ეკონომიკას, პოლიტოლოგიას, კონფლიქტოლოგიასა და მართვის სისტემების თეორიას. მეცნიერების ამ მიმართულების სინთეზი განსაზღვრავს თანამედროვე გეოეკონომიკას, რომელიც სწავლობს: ა) ეკონომიკისა და სივრცის ორგანულ კავშირს; ბ) მსოფლიოს ძალისმიერი დაპირისპირების და კონფლიქტების გადატანას სამხედრო პოლიტიკურიდან ეკონომიკურ სიბრტყეში; გ) ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში სახელმწიფოს კონკურენტუნარიანობის სტრატეგიას და პოლიტიკას; დ) სხვადასხვა ეკონომიკური საქმიანობის სივრცობრივ ლოკალიზაციას (გეოგრაფიულს და ტრანსგეოგრაფიულს); ე) პოლიტიკისა და ეკონომიკის შერწყმას საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში და ამ ბაზისზე სტრატეგიული ურთიერთქმედებისა და გლობალური ხასიათის კომპლექსური მართვის ფორმირებას. (კვინიკაძე:2008:32). როგორც ვხედავთ, განუზომლად დიდია ეკონომიკური გეოგრაფიის როლი გეოეკონომიკის, როგორც მულტიდისციპლინარული მეცნიერების ფორმირებაში, ვინაიდან ეკონომიკური გეოგრაფია მას აძლევს საბაზისო პოზიციას იმ ნაწილში, სადაც „მოქმედებს“ სივრცობრივი ეკონომიკა. სხვა შემთხვევაში გეოეკონომიკა ემსგავსება პოლიტიკურ ეკონომიკას. ამ მოცემულობაში კი მისი არსებობა და მომავალი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება. სხვა საკითხია ის, რომ გეოეკონომიკა, თავის მხრივ, ახალ მოთხოვნებს უყენებს (იმავდროულად ანგითარებს) ეკონომიკურ გეოგრაფიას იმ ნაწილში, სადაც ეკონომიკურ გეოგრაფიული სეგმენტი ყველაზე მეტად რელევანტურია. კერძოდ, ეს ეხება, ერთი მხრივ, ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში სა-

ხელმწიფოს, რეგიონების, ქალაქების კონკურენტუნარიანობის სტრატეგიასა და პოლიტიკას, მეორე მხრივ, სხვადასხვა ტიპის და ზომის ეკონომიკური სუბიექტების მიერ განხორციელებული ეკონომიკური საქმიანობის სივრცობრივ ლოკალიზაციას (გეოგრაფიულს და ტრანსგეოგრაფიულს) შრომის გეოგრაფიული დანაწილების ახალი ტიპო-ლოგიის საფუძველზე. სწორედ ამ საკითხების გახსნაზე ვახდენ ფოკუსირებას ქვემომდებარე სტატიაში.

ცნობილია, რომ კვლევის საგანი განისაზღვრება მოცემულ მომენტში გაბატონებული კვლევის პარადიგმით. თუ ადრე ეკონომიკურ გეოგრაფიას განსაზღვრავდნენ, როგორც „ეკონომიკური რაიონების და საზოგადოებრივი წარმოების განლაგების“, „ტერიტორიული სოციალურ ეკონომიკური სისტემების“ ან „საზოგადოების ცხოვრების რეგიონული (ტერიტორიული) ორგანიზაციის“ შემსახულება მეცნიერებად, ახალი მოცემულობის შესაბამისად იგი შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც: „გეოგრაფიული მეცნიერების მიმართულება, რომელიც საზოგადოებისა და გეოგრაფიული გარემოს ურთიერთქმედების კონტექსტში კომპლექსურად შეისწავლის მსოფლიოს გეოეკონომიკური სისტემის სუბიექტების ქცევის სივრცით-დროით ასპექტებს გეოგრაფიული სივრცის იმ ნაწილში (ეკოსფერო), სადაც მოქმედებენ აღნიშნული სუბიექტები“ (კვინიკაძე:2014:22).

შემოთავაზებულ დეფინიციას საფუძვლად უდევს ე.ნ. „ახალი ეკონომიკური გეოგრაფია“ (იგივე „გეოგრაფიული ეკონომიკა“-გ.კ), რომლის ფორმირების ათვლის წერტილია 1970-ანი წლების ბოლო. ეს გეოგრაფია, პოლ კრუგმანის აზრით, მოწოდებულია შეავსოს ის ხარვეზი, რომელსაც ტრადიციულად იჩენს ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორია საწარმოო ძალთა ტერიტორიული განლაგების პრობლემები-სადმი (Fujita,Krugman,Venables:1999). ამ ახალი მოცემულობის შესაბამისად მიმართინა, რომ ჩემ მიერ შემოთავაზებულ განმარტებას ახასიათებს რამდენიმე პოზიტიური მომენტი. კერძოდ, იგი სამუალებას იძლევა ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ, ერთი მხრივ, გეოგრაფიული და ეკონომიკური სივრცე (ეს უკანასკნელი სწავლობს ეკონომიკურ პროცესებს აბსტრაქტულ ეკონომიკურ სივრცეში). მეორე მხრივ, განმარტებაში გამოკვეთილია გეოეკონომიკის ის სეგმენტი, სადაც ოპერირებს კონკურეტული გეოგრაფიული სივრცის ის ნაწილი, რომელშიც ხდება მსოფლიოს ახალი, სხვადასხვა ძალის ეკონომიკური სუბიექტებისა და სისტემების ფორმირება-განვითარება დროის გარკვეულ პე-

რიოდში, რაც დეფინიციას მეტ კონკრეტულობას და „გეოგრაფიულობას“ ანიჭებს. მესამე – აქცენტი კეთდება კვლევის კომპლექსურობაზე, რაც გულისხმობს გეოგრაფიული (ტერიტორიული) ფაქტორების გამოვლენას და მათი ზეგავლენის ხარისხის დადგენას გეოეკონომიკური სუბიექტების ქცევის ხასიათზე კონკრეტულ გეოეკონომიკურ სივრცეში.

გეოეკონომიკური სივრცე ასახავს ახლებურ ხედვას იმ ეკონომიკურ და პოლიტიკურ სივრცეზე, რომელიც აქტუალურია XXI საუკუნეში (კვინიკაძე: 2014). ეს აქტუალობა, უპირველეს ყოვლისა, იმაში გამოიხატება, რომ ამჟამად ბაზარი მიჩნეულია საერთო ცივილიზაციურ ფასეულობად. დღეს ნებისმიერი ქვეყნის ძალას და სიძლიერეს სულ უფრო მეტად განსაზღვრავს მასში შემავალი ეკონომიკური სუბიექტების კონკურენტუნარიანობა. სწორედ ეს უკანასკნელი უდევს საფუძვლად ქვეყნების, რეგიონების, ქალაქების და სხვადასხვა მასშტაბისა და ძალის კომპანიებისა და ფირმების განვითარების თანამედროვე სტრატეგიებს. მიმაჩნია, რომ მომავალში სწორედ ამ სუბიექტების კონკურენტუნარიანობის ტერიტორიული და დროითი ასპექტების შესწავლა უნდა გახდეს ეკონომიკურ-გეოგრაფიული კვლევების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება.

რეგიონის კონკურენტუნარიანობის ქვეშ მოიაზრება რეგიონის ეკონომიკური სისტემის უნარი რეგიონული ეკონომიკების გლობალურ ბაზარზე წარმოდგენილი იყოს მასთან კონკურენციაში მყოფი სხვა რეგიონების (ტერიტორიების) ღირსეულ კონკურენტად. რეგიონის კონკურენტუნარიანობა განისაზღვრება როგორც მის შემადგენლობაში მყოფი კონკურენტუნარიანი დარგებით და ეკონომიკის სეგმენტებით, ასევე ხელისუფლების რეგიონული ორგანოების უნარით შექმნან პირობები, რათა რეგიონულმა ეკონომიკურმა სუბიექტებმა მიაღწიონ და შეინარჩუნონ კონკურენტუნარიანობა გლობალურ და რეგიონულ ბაზრებზე (Johansson, Karlsson and Stough:2001).

გეოეკონომიკის ამოცანაა გამოიმუშაოს სახელმწიფოს მოქმედების სტრატეგია, რომელიც უზრუნველყოფს მთლიანად ქვეყნის და ქვეყნის შიგნით არსებული კომპანიების, ფირმების, საწარმოების და ა.შ კონკურენტუნარიანობის ამაღლებას სხვა ქვეყნებთან მიმართებაში, რაშიც რეგიონული (ტერიტორიული) ასპექტების და, შესაბამისად, ახალი ეკონომიკური გეოგრაფიის როლი მნიშვნელოვნად მაღლდება. უნდა შევნიშნო, რომ კონკურენტუნარიანობის რეგიონული ასპექტების კვლევა მხოლოდ ახლო წარსულში გახდა დამოუკიდებელი კვლე-

ვის ობიექტი, ისევე როგორც ამ საკითხთან მჭიდროდ დაკავშირებული მარკეტინგის პრობლემა. ამ მხრივ, ჩვენთან ფუნდამენტური კვლევების დეფიციტია. მხოლოდ დასვლეთის სამეცნიერო წრეებშია იგი გააქტიურებული, სადაც რეგიონული კონკურენციის თეორიული და გამოყენებითი კვლევები შემდეგი მიმართულებებით ხორციელდება:

- რეგიონული კონკურენციის არსებული სუბიექტების განსაზღვრა;
- რეგიონების კონკურენტუნარიანობის ინდიკატორთა სისტემის დამუშავება;
- რეგიონული კონკურენციის ნეგატიური და პოზიტიური ეფექტების განსაზღვრა;
- რეგიონული კონკურენციის ჩართვა რეგიონული პოლიტიკის პრიორიტეტებში.

თუ გავაანალიზებთ დასავლეთის სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ ტენდენციებს (Lefebvre:1991; Kotler, Haider,Rein:1994; Laulajainen, Stafford:1995; Fujita,Krugman,Venables:1999; Johansson, Karlsson, Stough:2001; Porter:2005), მათში აშკარად იკვეთება ტერიტორიული კონკურენციის აქტუალიზაციის ხუთი მთავარი ნიშანი:

პირველი – მოძველებული მტკიცებები „არასივრცობრივ ეკონომიკასა“ და „გეოგრაფიის დასასრულზე“ დროის გამოცდას ვერ უძლებს, ვინაიდან სრულიად აშკარაა, რომ გლობალურ ეკონომიკაში ძლიერდება რეგიონული (ტერიტორიული) კონცენტრაციისა და წარმოების სპეციალიზაციის პროცესები, იზრდება რეგიონული გეოგრაფიული გარემოს სისტემური ხასიათის როლი საქონლისა და მომსახურების განლაგების პროცესში, სოციალურად პასუხისმგებლურ და სტაბილური ბიზნესის კონცეფციის სახით. რეგიონები და ქალაქები გლობალური ეკონომიკის რეალური მამოძრავებელი ძალები ხდებიან. პოლ კრუგმანი მიუთითებს, რომ გაჩნდა შესაძლებლობა გეოგრაფიული ანალიზი სრულად ჩაჯდეს ნეოკლასიკურ ეკონომიკაში<sup>1</sup> და ბოლო მოედოს მის მარგინალურ მდგომარეობას.

მეორე – ამჟამად ძირი ეთხრება ტრადიციულ ეკონომიკურ პრინციპებს ისეთ კატეგორიებში, როგორიცაა „ადგილმდებარეობა“ და „ეკონომიკური სივრცე“. ისინი უკვე ვეღარ აღიქმებიან, როგორც ფიქსირე-

---

<sup>1</sup> ნეოკლასიკური მიმართულება ეკონომიკაში იკვლევს ე.ნ. ეკონომიკური ადამიანის (მომხმარებელი, მენარმე, დაქირავებული მომუშავე) ქცევას, რომელიც ცდილობს გაზარდოს მოგება და მინიმუმამდე შეამციროს დანახარჯები.

ბული და უცვლელი კატეგორიები. ამის ნათელი მაგალითია მრავალი ტექნოლოგიური პროცესის, ასე ვთქვათ, ოფშორიზაცია, რომლებიც სულ უფრო მეტად გადაადგილდებიან იქ, სადაც იაფი მუშახელია.

მესამე – სახელმწიფოების და კომპანიებისაგან (ფირმების) განსხვავებით რეგიონებისათვის, რომლებიც წარმოადგენენ „მეზოეკონომიკის“ დონეს, ჯერ კიდევ არ არის დამუშავებული ეფექტური ეკონომიკური კომპენსაციური მექანიზმები. მათვის თითქმის არ არ არის დამუშავებული მაკროეკონომიკური რეგულირების მკაფიო სქემები.

მეოთხე – რეგიონები წამყვან როლს თამაშობენ დეცენტრალიზაციის უახლეს პროცესებსა და ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებაში. ეკონომიკური კოორდინაციისა და რეგულაციის ფუნქციები სულ უფრო მეტად გადადის ეროვნულიდან გლობალურ დონეზე, შემდგომ კი მისი ტრანსლირება ხდება რეგიონულ და სუბრეგიონულ დონეებზე.

მეხუთე – როგორც ეკონომიკური პრაქტიკა მოწმობს, კონკურენტუნარიანი რეგიონები და ტერიტორიები მეტ კერძო ინვესტიციებს იზიდავენ. ასეთი ინვესტიციებიდან მოგება იმ რეგიონებშია ყველაზე დიდი, რომლებიც საკუთარ სიმდიდრეს ზრდიან მაღალი კონკურენტუნარიანობის ხარჯზე.

რეგიონული კონკურენტუნარიანობის მიღწევაში წამყვან როლს ასრულებენ ეკონომიკურ-გეოგრაფიული კლასტერები.<sup>1</sup> სწორედ კლასტერები ქმნიან იმ კრიტიკულ მასას, რომელიც აუცილებელია ეკონომიკის ცალკეულ სექტორებში კონკურენტული წარმატების მისაღწევად და რაც შესაბამისი რეგიონების ანალოგიურ მაჩვენებელში აისახება (Porter:2005).

დასავლეთის სამეცნიერო წყაროებზე დაყრდნობით, უკრაინელი მეცნიერი ვლადიმერ ანდერსონი აღნიშნავს, რომ გეოეკონომიკური კონკურენციის პირობებში რეგიონული განვითარების ეფექტური ინსტრუმენტი უნდა გახდეს ბიზნეს-გეოგრაფია (Anderson:2006:83–94). ამ ახალი მიმართულების ფართო პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობების ზრდა რამდენიმე გარემოებითაა განპირობებული: ერთი მხრივ, გაიზარდა იმ ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობა, რომ-

<sup>1</sup> ეკონომიკურ-გეოგრაფიული კლასტერი წარმოადგენს გეოგრაფიული ნიშნით თავმოყრილ იმ ურთიერთდამოკიდებულ საწარმოთა, სერვისის მინიდების ჯგუფებს, ასევე მათ საქმიანობასთან დაკავშირებულ სამეცნიერო და არაკომერციულ ორგანიზაციებს, რომლებიც კონკურენციაში არიან ერთმანეთთან და, იმავდროულად, დახმარებას უწევენ ერთმანეთს.

ლებიც დამოუკიდებლად ახორციელებენ ტერიტორიების მენეჯმენტს. ეს პროცესი განსაკუთრებით დამახასიათებელია გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის, რომლებშიც აღდგა მიწაზე კერძო საკუთრება, ასევე გაიზარდა იმ დამოუკიდებელი კომპანიებისა და ფირმების რაოდენობა, რომლებიც სთავაზობენ ტერიტორიული-განაწილებით მომსახურებას (Location-Based Service). ამ მოცემულობაში ბიზნეს-გეოგრაფიის ამოცანაა გეოეკონომიკური სუბიექტების კონკურენტუნარიანობა უზრუნველყონ წარმოებისა და გასაღების ბაზრის რაციონალური სივრცობრივი ორგანიზაციის ხარჯზე. მეორე მხრივ, კონკურენციის გამწვავება საქონლისა და მომსახურების ბაზარზე, ეკონომიკის სუბიექტების კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში, სივრცობრივი ფაქტორის ჩართვის აუცილებლობას განაპირობებს. ისეთ მოცემულობაში, როცა კონკურენტუნარიანობის გაზრდის ყველა სხვა საშუალება (ტექნოლოგიური, ორგანიზაციული, სოციალური და ა.შ) ამონურულია, წარმოების და განაწილების რაციონალიზაციის სივრცობრივი ორგანიზაცია წამყვანი ხდება, რომელსაც მნიშვნელოვანი ეკონომიკური ეფექტის მოტანა შეუძლია. ამ კუთხით გეოგრაფიული სივრცე შეიძლება განხილული იქნას, როგორც სანარმოო რესურსის მნიშვნელოვანი სახესხვაობა, რომელიც პრეტენზიას აცხადებს დამოუკიდებელ მენეჯმენტსა და მარკეტინგზე. მესამე – ადგილობრივი მმართველობის ორგანოების უფლებების გაფართოება განსაზღვრავს ტერიტორიული მართვის (რომელიც, ფაქტობრივად, ასრულებდა ადმინისტრირებას ტერიტორიული ნიშნით-გ.კ) გადაყვანის აუცილებლობას გეოგრაფიულ მენეჯმენტზე (გეოგრაფიული ექსპერტიზა, რეგიონული მარკეტინგი, გეოგრაფიული აუდიტი და ა.შ). მეოთხე – თანამედროვე გეოინფორმაციული სისტემები იძლევა ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური მონიტორინგის შესაძლებლობას. ასეთი მონიტორინგით შესაძლებელია გაკონტროლდეს წარმოებისა და მოხმარების ტერიტორიული ორგანიზაციის პროცესები როგორც კომპანიების (ფირმების), ასევე მთელი რეგიონის დონეზე. გეოინფორმაციული სისტემები, დისტანციური ზონდირება, ინტერნეტი თანამედროვე გეომენეჯმენტის საფუძველს შეადგენს.

ბიზნეს-გეოგრაფიის კვლევის ობიექტად, ჩემი აზრით, განხილული უნდა იქნას გეოეკონომიკური სუბიექტების (კომპანიები, ფირმები, ბანკები და ა.შ) ქცევა რეალურ გეოგრაფიულ სივრცეში, ხოლო მისი

კვლევის საგანია ცალკეული ბიზნეს პროცესების რეგიონული (ტერი-  
ტორიული) კანონზომიერებების შესწავლა. მიზანს კი ნარმოადგენს

სუბიექტების საქმიანობის ტერიტორიული ორგანიზაციის რაციო-  
ნალური მოდელების შექმნა ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალუ-  
რი და ეკოლოგიური კრიტერიუმების საფუძველზე.

ამასთან, სასარგებლოა ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ ბიზნესის გე-  
ოგრაფია და გამოყენებითი ეკონომიკური გეოგრაფია. პირველი იმით  
განსხვავდება მეორისაგან, რომ იგი ორიენტირებულია კონკრეტული  
ბიზნეს გადაწყვეტილებების გაუმჯობესების რეალიზაციის სივრცობ-  
რივი ფაქტორების ძიებაზე. ამდენად, ბიზნეს გეოგრაფიის შესწავლის  
დონეა ცალკეული კომპანიის, ფირმის, საწარმოს მენეჯმენტი, ხოლო  
გამოყენებითი ეკონომიკური გეოგრაფიის კვლევის ობიექტია ცალკეუ-  
ლი რეგიონების (ტერიტორიების) კორპორაციული საზოგადოებრივი  
მოთხოვნილებების შესწავლა, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი შეისწავლის  
სტრატეგიულ მენეჯმენტს რეგიონის (ტერიტორიის) დონეზე.

ბიზნეს-გეოგრაფიის თეორიულ საფუძვლებს ქმნის ის ახალი კომ-  
პლექსური (გეოეკონომიკური, გეოგრაფიული, ეკონომიკური) თეორი-  
ები, რომელიც ქართულ ეკონომიკურ-გეოგრაფიულ სივრცეში ჯერ კი-  
დევ ნაკლებადაა ცნობილი. მხედველობაში მაქს ისეთი ახალი გეოგ-  
რაფიული თეორიები, როგორებიცაა: სივრცობრივი კონკურენციის,  
გეოგრაფიული რენტის, მარკეტინგის, ეკონომიკურ-გეოგრაფიული  
რისკების, სივრცობრივი გადაწყვეტილებების, ბიზნესის სივრცობრი-  
ვი ორგანიზაციის კლასტერული თეორია, ეკონომიკური დემოგრაფიის  
და გეოგრაფიულ რეალიტათან ადაპტირებული „ლოკაციური“ (Location  
Theory) თეორიები.

სტატიის ფორმატი არ იძლევა თითოეული კონცეფციის განხილ-  
ვის საშუალებას, ამიტომ ყურადღებას შევაჩერებ მის ზოგიერთ შე-  
მადგენელზე, რომლებიც, ჩვენი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინა-  
რე, შედარებით რელევანტურად მეჩვენება. ბიზნეს-გეოგრაფია ფოკუ-  
სირებას ახდენს ლოკაციის იმ მულტიპლიკაციური (გამაძლიერებელი  
ან/და შემაფერხებელი) ეფექტების შესწავლაზე, რომელიც ობიექტზე  
განსაზღვრული სივრცობრივი ფაქტორების ერთობლივი ზემოქმედე-  
ბის შედეგად აღმოცენდება. ბუნებრივია, რომ ობიექტის ლოკაციის  
ეფექტი (გეოეკონომიკური, ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიუ-  
რი) სხვადასხვა ტერიტორიაზე სხვადასხვა იქნება. ბიზნეს-გეოგრაფი-  
ის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შემადგენელია გეოგრაფიული

მარკეტინგი, რომელიც სამ სხვდასხვა კონცეფციაში შეიძლება იქნას განიხილული. უპირველეს ყოვლისა, გეოგრაფიულ მარკეტინგში უნდა მოვიაზროთ კლასიკური მარკეტინგის<sup>1</sup> გეოგრაფიული ასპექტები, კერძოდ, ბაზრის გეოგრაფიული სეგმენტაციის პროცედურები და საქონლისა და მომსახურების გეოგრაფიული პოზიციონირება<sup>2</sup> (The Geographical Position of Market). მეორე მხრივ, გეოგრაფიული მარკეტინგი შეიძლება განვმარტოთ, როგორც გეოგრაფიული ადგილის მარკეტინგი. კერძოდ, როგორც რეგიონის (ტერიტორიის) მარკეტინგი (Region Marketing) და ბოლოს გეოგრაფიული მარკეტინგი შეიძლება განვიხილოთ, როგორც გეოგრაფიული ცოდნისა და ტექნოლოგიების მარკეტინგი (მარკეტინგ of Geographical Knowledge and Technologies). ამდენად, თანამედროვე ქართული ეკონომიკური გეოგრაფიისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია იმ გიგანტური უფლესობისა მოვსება, რომელიც წარმოიქმნა თეორიულ და მეთოდოლოგიურ კვლევებში. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება ისეთ მიმართულებებს, როგორიცაა ეკონომიკური გეოგრაფიის თეორია და ეკონომიკის გეოგრაფიული თეორია. ამის მიზეზი კი ისაა, რომ ჩვენ დღემდე არ გაგვაჩნია თანამედროვე ცივილიზებულ საბაზრო სისტემაში „გეოგრაფიული მოქმედების“ პრაქტიკა და არც შესაბამისი თეორია, რომელიც საფუძვლად დაედება ამ პრაქტიკას. სწორედ ამიტომ, მიზანშენონილად მიგვაჩნია მომავალი გეოგრაფიული კვლევების ფოკუსირება მოხდეს სამერარმეო საქმიანობის სივრცობრივი ასპექტების შესწავლაზე (ბიზნეს-გეოგრაფიის თეორია), რომელის მნიშვნელობა ჯერჯერობით დასავლეთის სამეცნიერო წყაროებშიც კი ჯეროვნად არ ფასდება. ამ მხრივ, სასარგებლო იქნება უკვე დღეს ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ გეოგრაფიული ეკონომიკა და რეგიონული ეკონომიკა. თანამედროვე სისტემების ზოგადი თეორიის მიხედვით ეს ორივე მეცნიერება ერთი და იმავე ობიექტს იკვლევს – ტერიტორიულ ეკონომიკურ კომპლექსებს და ეკონომიკის სუბიექტების ქცევას, თუმცა სხვადასხვა გზებით. მათ შორის განსხვავება ისაა, რომ გეოგრაფიული

<sup>1</sup> კლასიკური მარკეტინგი კონკურენტუნარიანი საქონლის შემუშავების, წარმოებისა და გასაღების მართვის სისტემა, რომელიც დამყარებულია ბაზარზე მიმდინარე პროცესების შესწავლაზე და ორიენტირებულია მიზნობრივი მომხმარებლების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე.

<sup>2</sup> პოზიციონირება – ქმედება, რომელიც მიმართულია მიზნობრივი მყიდველების გონიერების პროდუქტის განსაზღვრული, განსხვავებული და სასურველი პოზიციის შექმნისაკენ კონკურენტ პროდუქტებთან მიმართებაში.

ეკონომიკის სისტემურ მოდელებში დამოუკიდებელ ცვლადს წარმოადგენს ტერიტორია, რომელსაც შემდეგ ებმება მრავალი ატრიბუტი (როგორც იტყვიან გეოლოგიდან იდეოლოგიამდე), ხოლო რეგიონულ ეკონომიკაში დამოუკიდებელი ცვლადია ეკონომიკური საქმიანობის განსაზღვრული სუბიექტები, რომელსაც ებმება ტერიტორია, როგორც ერთ-ერთი ცალკე ატრიბუტის ნიშანი. ამ ნიუანსის გაუთვალისწინებლობა კი იწვევს რიგ მეთოდოლოგიურ უზუსტობებს, სადაც, უმეტესწილად, სწორედ გეოგრაფიული ეკონომიკა ზარალდება.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. გიორგი კვინიკაძე. გეოეკონომიკისა და ეკონომიკური გეოგრაფიის აქტუალური საკითხები, თსუ გამომცემლობა, 2014.
2. გიორგი კვინიკაძე. გეოეკონომიკა. სახელმძღვანელო. გამოცემლობა უნივერსალი. თბ., 2008.
3. Fujita M., Krugman P., Venables A. J. *The Spatial Economy: Cities, Regions and International Trade*. Cambridge: The MIT Press, 1999.
4. Gateways to the Global Economy / A. E. Andersson, D. E. Andersson (Eds.). Edward Elgar, 2000.
5. Geomarketing. Methods and Strategies in Spatial Marketing / Gerard Cliquet (Ed.). – ISTE Ltd, 2006.
6. Kotler P., Asplund C., Rein I., Haider D. *Marketing Places Europe*. – Pearson Education Limited, 1999.
7. Kotler P., Haider D., Rein I. *Marketing Places*. – New York. The Free Press, 1994.
8. Laulajainen R., Stafford H. A. *Corporate Geography. Business Location Principles and Cases*. Kluwer Academic Publishers, 1995.
9. Lefebvre H. *The Production of Space*. – Blackwell, Oxford, 1991.
10. Regional Competition / P. W. J. Batey, P. Friedrich (Eds.). – Springer, 2000.
11. Theories of Endogenous Regional Growth: Lessons for Regional Policies / B. Johansson, C. Karlsson, and R. Stough (Eds.). – Springer, 2001.
12. Андерсон В. М. Бізнес-географія і геомаркетинг – нові напрямки конструктивної географії // Наукова парадигма географічної освіти України в ХХІ столітті: Збірник наукових статей II Міжвузівської науково-практичної конференції 22 грудня 2006 р. – Донецьк: ДОУ, 2006.
13. Портер М. Конкуренция – М.: ИД «Вильямс», 2005.

**Giorgi Kvinikadze**  
Assistant Professor  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

## **Geoeconomics and the New Economic Geography**

### **Resume**

The article addresses association of the issues of geoeconomics and the new economic geography.

Today, when the market is regarded a common civilization value, competing ability of the economic subjects within its territory determines its strength.

On the basis of the given hypothesis, the author singles out the main signs of the actualization of the territorial competing ability, territorial levels of the studies and defines the role of business geography actors in the increase of the territorial competing ability.

**მანანა კვაჭანტირაძე**  
პროფესორი  
შოთა რუსთაველის ქართული  
ლიტერატურის ინსტიტუტი, თსუ  
**აგორა. ქრონოტოპის რეკონსტრუქცია**  
**(XIX-XX სს ქართული ლიტერატურის გამოცდილება)**

აგორა – ბერძნ. ბაზრის მოედანი – ჰომეროსის დროს თავისუფალი მოქალაქეების სახალხო, სასამართლო ან სამხედრო თავყრილობის ადგილი. ანტიკურობაში აგორა ქალაქის საზოგადოებრივი ცენტრის როლს ასრულებდა. მოედნის გარშემო განლაგებული იყო საზოგადოებრივი და საკულტო შენობები, ასევე, სავაჭრო დახლები. აგორას მაგალითია ათენის აგორა, რომელმაც თავისი დამახასიათებელი სახე შეიძინა პერიკლეს დროს.<sup>1</sup> მერაბ მამარდაშვილის აზრით: „ჩვენი ნახევარი აზრები, ნახევარი ფიქრები უნდა გამოვიტანოთ გარეთ, საჯარო სივრცეში, აგორაზე, და უნდა ვაგორაოთ ისინი აგორაზე, რათა მთლიანობა შეიძინონ“<sup>2</sup> გასათვალისწინებელია, რომ არასრული, ნახევარი-აზრი, იმავდროულად, არაცხადი, ფარული აზრია, რომელიც „გორაობით“ არა მხოლოდ სისრულეს, არამედ სიცხადესაც იძენს.

ქართულ კულტურულ-ცნობიერებით სივრცეში, აგორას ქრონოტოპის რეკონსტრუქციის მიზნით, მოვახდინეთ აგორას ზემოთ მოყვანილი კულტურულ-სივრცული მოდელისა და მამარდაშვილის მოსაზრების ეგზემფლიფიკაცია XIX-XX სს-ების პროზის რამდენიმე ნიმუშზე, ესენია: ილია ჭავჭავაძის „სარჩობელაზედ“ (1879წ), გურამ რჩეულიშვილის „ალავერდობა“ (1959წ.), ოთარ ჭილაძის „აველუმი“ (1996) და გია არგანაშვილის „შავ-თეთრი მოთხრობა“ (2013წ.)

ზემოჩამოთვლილი სპეციფიკაციების გამო, მოდელზე და, შესაბამისად, აგორას ხატის განვითარების დინამიკაზე დაკვირვება, მისი

<sup>1</sup> Словарь Античности. »Прогресс», М., 1089.

<sup>2</sup> ზ. შათირიშვილი. ნარატივია აპოლოგია. გვ. 175.

მხატვრული შინაარსის დაზუსტება შესაძლებლობას გვაძლევს თვალი მივადევნოთ ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ ცნობიერებათა განვითარების ტენდენციებს ისტორიის საკმაოდ ვრცელ მონაკვეთზე, მათი დიალოგურობის ხარისხსა და ინტენსივობას, და ამის კვალდაკვალ, ქართულ სოციოკულტურულ, ეთიკურ და, ზოგადად, ღირებულებათა სივრცეში მომხდარ ცვლილებებს.

ტექსტებზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ მოცემული პერიოდის ღიტერატურაში აგორა წარმოადგენს კულტურის სივრცის განსაკუთრებით მგრძნობიარე სეგმენტს, რომელიც რეაგირებს ყველა მნიშვნელოვან ცვლილებაზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. გარდა იმისა, რომ აქ ხდება აქტუალური აზრების, წარმოდგენების, კონცეპტების კონცენტრაცია, იკვეთება ცვლილებებისა და განვითარების ტენდენციები – აგორაზევე მოწმდება ინდივიდუალური აზრის შესაბამისობა საზოგადოებრივ აზრთან, მისი კანონიზაციისა და თავისუფლების საზღვრები. ერთი სიტყვით, აგორა საზოგადოებრივი თავშეყრის ის ქრონოტოპია, სადაც ინდივიდუალური ცნობიერება ღია ან ფარულ დიალოგურ მიმართებას ამყარებს საზოგადოებრივ ცნობიერებასთან. ამ დიალოგის პროცესში აზრის დაუსრულებელი ფრაგმენტები დასრულებულ, სოციალურად აქცენტირებულ სახეს იძენენ. აგორა საზოგადოებრივი ცნობიერების ინდივიდუალიზაციის და, პირიქით, „მეს“ ღრმა სოციალიზაციის სივრცეა, სადაც საზოგადოებრივ და ინდივიდუალურ ცნობიერებათა განუწყვეტელი, აქტუალიზებული, ურთიერთშემხვედრი მოძრაობაა: შეთანხმება ან დაპირისპირება. მოკლედ, აგორაზე საზოგადოებრივი და ინდივიდუალური აზრი ერთმანეთთან ნაწილი – მთელის ურთიერთმიმართებაში იმყოფებია.

ქართული ტრადიციით, საზოგადოებრივი თავშეყრისათვის შეირჩევა მომალლო ადგილი, გორაკი (სხვათა შორის, აგორას სახელს უკავშირდება ცნობილი გორაკი „კოლონის აგორეოსი“ და შესაძლოა, თვით ქართული „გორაკის“ ეტიმოლოგიაც) – მოტიტვებული ან საკალურ-ტოტემური ნიშნით გამორჩეული ერთი ან რამოდენიმე ფოთლოვანი ხით. ქალაქის განვითარების კვალდაკვალ, აგორას ფუნქციას ასრულებდა დაბალი ადგილიც, მაგალითად, რიყედ წოდებული მტკვრისპირა დაბლობი. ერთი სიტყვით, ქართულ ტრადიციაშიც აგორა საზოგადოების ყურადღების, საყოველთაო მზერისა და განსჯის, საზოგადოებრივი აზრის გამომზეურების ადგილია.

იღია ჭავჭავაძის მოთხოვბაში „სარჩობელაზედ“ აგორა ის სივ-რცული წერტილია, სადაც სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩე-ნით დამნაშავე საჯაროდ ისჯება სიკვდილით. თუმც მახათას მთა აგო-რას ტრადიციულ სივრცულ პარამეტრებს სავსებით აკმაყოფილებს, იღიას მოთხოვბის მიხედვით, იგი საზოგადოების განვითარების ამ ეტაპზე არ წარმოადგენს აზრების მომწიფების ტოპოსს, თუმცა ამ-ჟღავნებს ტენდენციას, იქცეს მათი სოციალიზაციის სივრცედ.

ქალაქში ჩასული პეტრეს არჩევანი, ნახოს ქალაქი, მახათას მთის სასარგებლოდ წყდება. რატომ მოუწევს გული პეტრეს აქეთ? სანახაო-ბისთვის – და ამას თავადაც აღიარებს („გულმა უხედნელ მოზვერსა-ვით კი გამომინია და...“). აქ მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო აზრს, არამედ თავშეყრასაც, ცოცხალ კომუნიკაციას, მის სხეულებრივ ფორ-მებს. აგორა სცენაა, სადაც ყველაფერი, რაც ხდება, ტრაგიზმის მიუ-ხედავად, სანახაობის, სპექტაკლის სახეს ატარებს. ამას ინტუიტიუ-რად გრძნობს პეტრეც, როცა ამბობს „სულ რომ ასე იქნივო ფეხები, მაინც არ დაგიჯერებ“. რეალობა აქ დაუჯერებლობის მანტიით იმოსე-ბა და ეს პეტრეს სიტყვებიდანაც ჩანს: „თამაშა ხომ მაინც ვნახე“. აგო-რაზე სწორედ სანახაობას ელიან, თუმცა ის, რაც სანახავია, დანახული უნდა იქნას გონების თვალითაც (სანახაობა ხომ აზრთწარმომქმნელი სივრცეა). იღიას აგორაზე ასე არ ხდება, რადგან მისი ტრადიციული კულტურული ფუნქცია დავინყებულია, ტრანსფორმირებულია უხეშ სანახაობად, სადაც განსასჯელის სიბრალულსაც მხოლოდ ხალხის სიმრავლე ანიჭებს ლეგიტიმურობას და არა ზნეობრივი განცდის რეა-ლობა.

იღიას შენიშვნით, ქალაქი პეტრესთვის უცხო, არასაკუთარი სივ-რცეა, რომელიც პეტრეს არ უყვარს და არ ენდობა. მახათას მთა ამ გა-უცხოების ცენტრალური ტოპოსია, ადგილი, სადაც ყველა მნიშვნელო-ბა დაძრულია და დაშორებულია ნიშანს. ამ დაშორებას ტექსტი ორი გზით გამოხატავს: პეტრეს ცნობიერების მოუსვენრობით (პეტრე იმე-ორებს შეკითხვებს და პასუხის მიუღებლობით შეწუხებული, კვლავ და კვლავ იმეორებს) და სახრჩობელას ტერიტორიაზე მისი ფიზიკური გა-დაადგილებით: პეტრეს ორიენტაცია უჭირს – სანახაობაც აფორია-ქებს, დაცინვისაც ეშინია და თავსაც უხერხულად, ანუ უადგილოდ გრძნობს („ხელახლა გადაინაცვლა ადგილი“; „ადგილი გადაინაცვლა“ და ა.შ.). შეკითხვებისა და ქცევის ეს „მექანიკიზმი“ აშკარად მიგვანიშ-ნებს რაღაც დაუძლეველ დაბრკოლებაზე პეტრეს არსებაში. ამ სივ-

რცეში ყველაფერი თითქოს თავდაყირა დგება: პეტრე კაცის ჩამოხ-  
რჩობას თამაშად აღიქვამს, ჩამოხრჩობის ადგილს – სათამაშო მოედ-  
ნად, მღვდელს – ტერტერად, მსჯავრდებულს თან ცნობს, თან – ვერა,  
ვერც ის აუხსნია, „დედაკაცები ასე რას გაუგიჟებია“ და სხვ.

მახათას სივრცე მნიშვნელობის მიუგნებლობით აფორიაქებული  
პეტრეს არაცნობიერის გამოხატულება და მისი რეპრეზენტაციული  
ნიშანია. მთელი ამ ფორიაქის მიზანი (და მიზეზიც!) კი ისაა, რომ პეტ-  
რემ როგორმე თვალი აარიდოს სიმართლეს, რადგან რცხვენია იმისა,  
რასაც თვალი უნდა გაუსწოროს. პეტრეს ამ სივრცის ეშინია და  
რცხვენია, რადგან იგი რაღაც ისეთს ახსენებს, რის გახსენებასაც გა-  
ურბის. მისი გაურკვეველი ფიქრი სიმართლისა და სიცხადისკენ კი არ  
მიიღოს, არამედ ისევ გაურკვევლობაში დარჩენას ცდილობს. მთელ  
მახათას სივრცეს ისევე, როგორც პეტრეს ცნობიერებას – ეს ორმაგო-  
ბა, გაურკვევლობა, მოუსვენრობა მსჯვალავს.

ყველა ეს მცდელობა, გამეორებები, გადაადგილებები, ის ფაქტიც,  
ყველაზე გვიან რომ ტოვებს მოედანს, ერთი სიტყვით, აშკარად დატ-  
ვირთული სემიოტური სივრცე მიგვანიშნებს, რომ პეტრე მასში ქრის-  
ტეს ჯვარცმის სახეცვლილ მისტერიას გრძნობს გაუცნობიერებლად.  
მისი სირცხვილის შიშიც კაცობრიობის მარადიული სირცხვილის ნაწი-  
ლია უფლის ჯვარცმისა და ღვთის ძის ვერცნობის გამო, ოღონდ სა-  
ხეცვლილი და დეფორმირებული. ეს მარადიული სცენა ორივე პეტრეს  
სირცხვილია – სახარების პეტრე-კლდისაც და „ჩვენი ბებერი პეტრე-  
სიც“. თუ მოთხოვობას ასე წავიკითხავთ, მაშინ შეიძლება საუბარი  
„სირცხვილის კულტურის“ (ლოტმანი) ერთ საინტერესო მხატვრულ  
გამოვლინებაზეც ილიას შემოქმედებაში. პეტრეს მოუსვენრობა და  
ფორიაქიც სხვა არაფერია, თუ არა არაპირდაპირ გამოხატული სირ-  
ცხვილის განცდა ერთგულების პირობის შეუსრულებლობის გამო,  
ცრუ მიზეზით (სოფლელობა, დაცინვის შიში) ჩანაცვლებული, საკუ-  
თარი უძლურებისა და ნამდვილი მიზეზის დაფარვით ნაკარნახევი.

ილია სასინჯ ქვად სწორედ ჩამოხრჩობის ფაქტისადმი ადამიანთა  
ამბივალენტურ დამოკიდებულებას იღებს და ამ ორმაგი მიმართების  
პოლარიზაციას პეტრესა და ბრბოს შორის ახდენს (თუმცა უმცროსი  
ძმა ამას სხვაგვარად ხედავს). პეტრეს თითქოს აწუხებს ის, რასაც  
ხალხი ცნობისმოყვარეობით ელოდება და სანახაობად აღიქვამს. მაგ-  
რამ პეტრეც ამ ხალხის შვილია, მისი ნაწილია და მათ ერთი ნაბიჯი  
აშორებთ ერთმანეთისგან. ილიას აგორა ჯერჯერობით ისევ უმრავლე-

სობის აზრის გამოხატვის ტოპოსია, სადაც ინდივიდუალური აზრი და სიტყვა ჯერ კიდევ არაა მკაფიოდ დიფერენცირებული მასის ცნობიერებისაგან.

რამდენად შეიძლება იმის თქმა, რომ სივრცე აქ განზოგადებულია და ილია მახათას სივრცეს მოდელის ფუნქციას აკისრებს? ეს რომ სწორედ ასეა, ამაზე მახათას მთის განაკუთრებული სიმბოლური დატვირთვა და მასთან დაკავშირებული კონტაციური მნიშვნელობები მიგვითოთებენ. ამ სივრცეში, უკვე მერამდენედ, საზოგადოება ვერ პასუხობს ინდივიდის ეთიკურ და ჰუმანისტურ მოთხოვნებს, მკვლელობა სანახაობად იქცევა, მორალური დანაშაული კი გაუაზრებელი რჩება. ტოპოსის განსაკუთრებულობას ადასტურებს პეტრეს მოუსვენრობაც ამ სივრცეში. ადგილის მიუგნებლობით გამოწვეული ფორიაქი სხვა არაფერია, თუ არა გადაგვარებული, კულტურული დანიშნულების გარეშე დარჩენილი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილი, რომელიც ინდივიდისთვის საბედისწერო სივრცედ იქცევა, რადგან მის დავიწყებას იგი ვერც სიუჟეტურ და ვერც სიმბოლურ პლანში ვეღარ შეძლებს.

მახათას აგორაზე აზრი გზას ვერ იკვლევს, ვერ „გორავს“. შეიძლება ითქვას, რომ მოთხოვნაში ეს აგორა მხოლოდ შესაძლებლობის სახით არსებობს და არა რეალური კულტურული დანიშნულებით. ინდივიდის (პეტრეს) პროტესტს არა აქვს დასრულებული აზრის, შეხედულების სახე. იგი ჯერ ისევ ემოციურ დონეზე შეყოვნებული, გაუცნობიერებელი უკმაყოფილებაა საზოგადოების დეჰუმანიზაციის მიმართ. როგორც ინდივიდუალური, ისე საზოგადოებრივი აზრი ჯერაც მთვლემარე, არასრული და სიცხადეს მოკლებულია, იგი სხვა დროსა და სივრცეში უნდა დასრულდეს, თუმცა ილიას უაზრობაზე არანაკლებ ამ სივრცის არაეთიკურობა აფიქრებს, მეტიც, არაეთიკურობა აქ აზრის დეფიციტითა გამოწვეული და სწორედ ეს უხილავი კავშირი იწვევს ილიას შეშფოთებას. უმცროსი ძმა ერთადერთი ადამიანია, ვინც ამ სივრცეში აზრის შესაძლებლობას აჩენს საზოგადოების მიმართ წაყენებული მამხილებელი, მრისხანე ბრალდებებით, მაგრამ მისი აზრი არ ხმიანდება, სივრცე ჯერ კიდევ არაა მზად ინდივიდუალური აზრის მოსასმენად.

აგორას კულტურულ-სივრცული მოდელი გურამ რჩეულიშვილის „ალავერდობაში“ ალავერდის ტაძრის ეზოს სახითა წარმოდგენილი. ესაა სადღესასწაულო მოედანი, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგი-

ლი, სადაც რიტუალი, ისტორია, წარსული დავინწყებულია. ალავერდის აგორა სიუჟეტის დასაწყისში (გურამის ჩასვლის მომენტისთვის) დაბ-ნეული, დახშული ცნობიერების სივრცე-მეტაფორაა, ადამიანთა მექა-ნიკურ, გაუაზრებელ ქმედებათა არეალი. დაუსრულებლობა მისი ნიშა-ნია ( დაუსრულებელი ცეკვა, ქმედებათა განმეორებადი რიგი). ალა-ვერდის ერთიანი სივრცე დანაწილებულია მცირე ზომის ფრაგმენტე-ბად, სადაც ცალკეული ადამიანები და ადამიანთა ჯგუფები „უზარმა-ზარი მთვრალი მასის უცნაური არაკავშირის“ ერთიანობას ქმნის. აგორა აქ პროფანირებული საზოგადოებრივი აზრის სივრცეა, რომ-ლის ნიაღშიც ინდივიდუალური აზრი იბრძვის, ჯანყდება და წამიერად აღნევს კიდეც მიზანს, ერთიანობად კრავს საზოგადოებრივ მზერას და მიმართავს ზემოთ, ცისკენ, ვერტიკალური განზომილებისკენ.

ილიას მოთხრობისაგან განსხვავებით, პერსონაჟის მოძრაობას „ალა-ვერდობაში“ ბორიალის, უთავბოლო გადაადგილების სახე კი არა აქვს, არამედ მიზანმიმართული, ცნობისმოყვარეობით ნაკარნახევი მოძრა-ობისა, სადაც პერსონაჟის აზრი მნიუდება, ივსება და დასაბადებლად ემზადება. აქ აზრი მართლაც „გორავს“, მეტიც, სხეულის გაჭრა აგო-რადან „სხვა“ სივრცეში და უკან მობრუნება აზრის საბოლოო სრულ-ყოფასა და „დაბნეულთათვის“ მის გაზიარებას ემსახურება.

ალავერდის აგორა „მეს“ თავისუფლების სარეალიზაციო გარე-მოდ იქცევა – ინდივიდუალური ცნობიერება საკუთარ ფუნქციაზე ეთიკურად ლირებულ გამოცდილებას იძენს და მკაფიო, დასრულე-ბულ, მომავალზე ორიენტირებულ დოქტრინად ყალიბდება. აგორაზე-ვე მყარდება წამიერი კონტაქტი დიდ დროსთან და მასში აკუმულირე-ბულ მარადიულ საზრისებთან. აქვე ჩნდება შესაძლებლობა ამ გამოც-დილების წამიერი გაზიარებისა იქ შეკრებილი ადამიანებისათვის პერ-სონაჟის შემკრები ენერგეტიკის წყალობით, ოლონდ იმპულსის და არა აზრის სახით.

„ალავერდობაში“ აგორა არა მარტო აზრის, არამედ მოქმედების სივრცეა, რომელსაც თავისუფალი არჩევანის, ვითარების შეცვლის მოუთოვავი ვნება წარმართავს. გურამის აზრი ივსება და იბადება მას შემდეგ, რაც ალავერდის სიმაღლიდან დანახულ ალაზნის სივ-რცეში შეიგრძნობს ისტორიის გამოცდილებას და ალიარებს მოდლე-სასწაულე მასასთან თავის ერთიანობას. იგი შეიგრძნობს შრომით მიღწეულ დიდ წესრიგს, დიდ დროში ჩაკირულ კულტურულ მნიშვნე-ლობათა თეზაურუსს. აზრის აღმოჩენა, დაბადება ასრულებს სუბიექ-

ტის კონფლიქტს გარემოსთან, ქაოსთან. საზრისი თავს უყრის, ერთიანობად კრავს დროის დაფანტულ ფრაგმენტებს და სივრცეს ახსენებს თავის ვალდებულებას დიდი დროის წინაშე. ამ ასპექტით, გურამის მიერ ცხენის მოტაცება, გა-ვარდნა, გადაკარგვა და შემდეგ ალავერდის ეზოში შემო-ვარდნა, ალავერდის ლავგარდაზე ა-ვარდნა და ხელებ-გაშლილი დგომა, თვით ალავერდის შემო-ვარდნა ალაზნის ველის სივრცეში, მოკლედ, მთელი ეს ხაზგასმული აქციები „ვარდნისა“ წარმოადგენს დინამიკურ, თანმიმდევრულ რიგს წინებისა, რომელიც საზრისის მიგნების აუცილებლობითაა ნაკარნახევი. გურამის ცდის ეს ფიზიკური „ნატურალიზმი“ წარმოადგენს ერთგვარ პირობას საზრისის ალმოჩენის გზაზე. სხეულის ეს „პროტესტი“ ფუნქციადაკარგული სივრცის წინააღმდეგ არის აზრის გაუცნობიერებელი ამბოხი ფორმამდელი მდგომარეობის, ქაოსის წინააღმდეგ, როცა გმირის ცნობიერება ემზადება, როგორც მამარდაშვილი იტყოდა, ცნობიერებაში „ჩასავარდნად“: „ჩვენ „ვვარდებით ცნობიერებაში“, „ვვარდებით აზრში“. ცნობიერება არის ველი, რომელშიც სულ თავიდან და თავიდან უნდა „ჩავარდე“<sup>1</sup>. ცხენზე ამხედრებიდან და „გავარდნიდან“, რომელიც ამ შემთხვევაში სხვა არაფერია, თუ არა არჩევანის ნების ფიზიკური გამოხატულება, გურამი „ვარდება“ ისტორიაში, როგორც „დიდ დროში“ და საზრისების ველში. ეს ველი ყოველ „ჩავარდნაზე“ იცვლება, დეფორმირდება და შეცვლილი სახით „ეგებება“ „მე“-ს ცნობიერებას, თუმცა მასში ხელშეუხებლად ინახება ე. წ. „დასაბამიერი ცოდნა“, დიდი დროის მიერ შექმნილი მარადიული საზრისების საგანძურო.

ალავერდის შემოჭრა („შემოვარდნა“) ალაზნის ველიდან გურამის ცნობიერებაში სხვა არაფერია, თუ არა დიდი დროის უეცარი შემოჭრა ლოკალურ დროში და დიდი დროის ნიშანი. აზრის დაბადებასაც, ცოცხალი არსების მსგავსად, სწორედ ასეთი პლასტიკა ახასიათებს – უეცარი გამოსხლტომა, გამოჭრა სათავსოდან, დედის სხეულიდან. ალავერდობის სიუჟეტურ-თხრობითი პლასტი ზუსტად ასახავს ამ კორელაციას მომხდარსა და პერსონაჟის სხეულის ენას შორის. მისი პლასტიკა ცოდნისა და რწმენის დაბადების თუ მოულოდნელი გახსენების პლასტიკაა. მოპოვებული აზრის სიმაღლე და მნიშვნელოვნება ეკლესიის ლავგარდაზე გასული ხელებგაშლილი კაცის ხატითაა წარ-

<sup>1</sup> ციტ.: ზ. შათირიშვილი. ნარატივის აპოლოგია. გვ. 131.

მოდგენილი და არა მხოლოდ აზრობრივი, არამედ სიმბოლურ-სახეობ-რივი დატვირთვაც გააჩინა.

ალავერდი ისევე იქრება ალაზნის ველის სივრცეში, როგორც გვირგვინი და მწვერვალი, ყველაზე სრული და მუღერი აკორდი რწმენით შთაგონებული შემოქმედებითი შრომისა, რელიგიური კულტურის ეთიკური და ესთეტიკური მიზანდასახულებისა. ალავერდისა და ალაზნის ველის სახით მნერალი რელიგიური განცდის, რელიგიის ძალაუფლების ყველაზე „ცხად“ სივრცულ ფორმას გვთავაზობს, ადამიანის შრომაში განივთებულ, გან-ხორციელებულ, ცხად-ყოფილ ღმერთის სადიდებულ აზრსა და სიტყვას.

აგორა აქ კვლავ აღიდგენს აზრის დაბადების, მისი მასტიმულირებელი ტოპოსის კულტურულ ფუნქციას. მეტიც, აქ იგი განსაკუთრებულ სემანტიკურ და პლასტიკურ დატვირთვას იძენს: ადამიანთა თავ-შეყრის ადგილიდან დროთა შეხვედრის ადგილად გარდაიქმნება. ალავერდში, როგორც ნიშანში, ხდება დიდ დროში შენახული ყველა საზრისის ფოკალიზაცია, საუკუნეების გამოცდილება ყველა დროის ადამიანთა ზიარ სასიცოცხლო ცოდნად გადმოიღვრება: „ვნების სიმძაფრე შენებაშია და არა აშენებულით ტკბობაში“.

რუსთაველის პროსპექტი, როგორც „განელილი“ (არასტაციონალური) აგორა, ტრადიციულად, პოეზიის მიერ კანონიზებული, პოეტური აზრის დაბადების სივრცე და განსაკუთრებული სასიცოცხლო ტოპოსია. მისი ქვეტექსტი და ინტერტექსტი ლადო ასათიანის ცნობილი ლექსის სტრიქონებია: „რუსთაველის პროსპექტზე სიარული ნუ მომიშალოს ღმერთმა, / ვიყო მუდამ ასე მხიარული, ქართველი პოეტი მერქვას“. „აველუმში“ სივრცის პოეტური განზომილება თავის საპირისპირო მდგომარეობაშია გადასული და ომის, სიკვდილის, საზოგადოებრივი აზრის დაშლის, პერვერსიის, ცნობიერებათა განხეთქილების სივრცედაა ტრანსფორმირებული. ამ სივრცეში საკუთარი თანამოძმეების წინააღმდეგ იარაღმომარჯვებულ ქალს ისევ მწერალი ეუბნება სიცოცხლისა და მომავლის დამცველ ფრაზას: „წადი, შვილს მიხედე.“

„შავ-თეთრ მოთხრობაში“ აგორას სივრცე მთლიანად პაგანიზებულია და დაცლილია იმ სადლესასწაულო განწყობისგანაც, რაც, ტრადიციულად, ამ სივრცეს სადაგი ყოველდღიურობისაგან გამოარჩევს.

სოფლის ცენტრი, როგორც სოციალური ჯგუფის სისტემატური თავშეყრის ადგილი და ნიშანი, მართალია, გარკვეული სუბკულტურის სახელით გამოდის, მაგრამ მის მიღმა აღარ იკითხება არანაირი კულ-

ტურული აღსანიშნი, არანაირი აზრი და მიზანი. აზრიდან ჭორამდე ჩა-  
მოქვეითებული ცნობიერება აგორას, როგორც აზრის წარმომშობი  
კულტურული კონცეპტის სრულ დისკრედიტაციას მოწმობს. ტერიტო-  
რიალიზაცია არ განიხილება, როგორც სუბიექტის ან ჯგუფის ძალის-  
ხმევის შედეგი. თავშეყრა, როგორც ადამიანთა კომუნიკაციის ადგი-  
ლი, გულისხმობს დიალოგს, აზრის გაზიარებას, აქ მოგროვილი ადამი-  
ანები კი არ ლაპარაკობენ, არ ურთიერთობენ, არც მოძრაობენ – მხო-  
ლოდ სხეულებრივად თანაარსებობენ ლოკალურ დრო-სივრცულ წერ-  
ტილში და განუწყვეტლივ სხედან. ჯდომა მათი ბუნებრივი მდგომარე-  
ობაა. აზრს კი არ „აგორავებენ“, არამედ ფურთხს – ჭორაობენ, იფურ-  
თხებიან და ამ ფურთხს ასორსოლავებენ მტკერში. მოკლედ, ესაა დი-  
სიპაციური სივრცე, სადაც აზრი არც „გორავს“ და არც მთლიანდება,  
რადგან ადამიანები თავ-დაკარგულები არიან. მათ თავ-შეყრას მხო-  
ლოდ დროის მოკვლის აუცილებლობა განაპირობებს. ესაა უსახელო,  
უმოტივაციო და, შესაბამისად, მექანიკური, თავის ავტოქტონურ ყო-  
ფიერებასთან დაპრუნებული, მილევადი სივრცე, სადაც დროს ანუ სი-  
ცოცხლეს კლავენ, ამდენად, ძალის მკვლელობა ამ სივრცის ტიპო-  
ლოგიური მსაზღვრელია (ეს სიმბოლური მკვლელობაა და მის მიღმა  
კვდება ყველა დაუცველი, გარიყული და უარნათქვამი არსება ცხადი  
ან ფარული აგრესის ხელით). მომაკვდავი სივრცის იდეა წარმოდგე-  
ნილია გაყინული კადრის ეფექტით, ე. წ. „სტოპკადრით“, რომელიც  
მხოლოდ ამწამიერ ყოფიერებას აღბეჭდავს.

„სიმრავლეს არ გააჩნია არც სუბიექტი, არც ობიექტი. მხოლოდ  
დეტერმინაციები, სიდიდეები, განზომილებები“<sup>1</sup>. თუკი აქ შეყრილ  
ადამიანთა სიმრავლეს სიცოცხლის უმარტივესი ფორმების კონტექ-  
სტში განვიხილავთ, მაშინ მათ მიერ ამ სივრცის მიტოვება და სხვა-  
დასხვა მხარეს დაფანტვა („სხვადასხვა მხარეს გასწევენ“), სხვა არა-  
ფერია, თუ არა სხულის ინსტინქტი, მიატოვოს დანაშაულისა და სიკ-  
ვდილის ადგილი. ზედაპირი-სიღრმის დაპირისპირების კონტექსტში,  
როგორც სივრცული ნიშანი, ეს აგორა სიღრმის არმცოდნე ზედაპირია,  
ანუ მდგომარეობა, როცა ზედაპირმა არაფერი უწყის თავისი ოპოზი-  
ციური მეწყვილის შესახებ. ამიტომ იგი სიღრმისკენ, ანუ აზრისკენ კი  
არ მოძრაობს, არამედ უცნობი „სხვისკენ“, ანუ გარეთა ტერიტორიე-  
ბისკენ.

<sup>1</sup> Пост-Модернизм. Энциклопедия. Минск. Интерпрес Сервисю Книжный дом. гვ. 216.

იკვრება წრე, რომელიც სამ სტადიას მოიცავს: უაზრობა – უმოქ-  
მედობა – ადამიანური სახის დაკარგვა. აგორა, როგორც აზრის „ტე-  
რიტორიალური ცენტრი“, აქ მკვიდრდება არა როგორც სხვა ტოპოსე-  
ბის კულტურული ალტერნატივა, არამედ როგორც ყველა დანარჩენის  
უარყოფა და, იმავდროულად, თვითუარყოფა, თვითდაშლა და თვით-  
განადგურება. ის აუქმებს აგორის, კულტურის სივრცის ტერიტორიას  
ისევე, როგორც აუქმებს აზრსა და განცდას. თუ აქ რაიმე ჩნდება, ესაა  
ახალი ჰორიზონტები, ოღონდ არა გამთლიანების, არამედ დაფანტვი-  
სა, დეტერიტორიალიზაციისა. კულტურის დეკონსტრუქციის თანა-  
მედროვე ეტაპმა მოიტანა მკვლელობა, როგორც სოციალური ცხოვ-  
რების ნიშანი, რადგან, როგორც ცნობილია, ნებისმიერი დეკოდირება,  
რომელიც აუცილებლად ახლავს დეკონსტრუქციას, იმავე დროს დე-  
ტერიტორიალიზაციაა – ღირებულებების, ტრადიციის, მისწრაფებე-  
ბის, სტრუქტურის, ფორმისა და ა.შ., ერთი სიტყვით, ზოგადად სი-  
ცოცხლის.

ნახევარი, არასრული, ნაკლოვანი აზრი სამივე მოთხრობაში „გო-  
რავს“, მაგრამ სხვადასხვაგვარად: ილიას მოთხრობაში იგი სრულ აზ-  
რად ვერა, მაგრამ აზრისკენ მიმავალ ცხოვრებისეულ გამოცდილებად  
ნამდვილად იქცევა. შეიძლება ითქვას, რომ მახათას მთა აქ, როგორც  
აზრთნარმომქმნელი სივრცე-აგორა მხოლოდ შესაძლებლობის სახით  
არსებობს და არა რეალური კულტურული დანიშნულებით.

„შავ-თეთრ მოთხრობაში“ აგორა ფოტოდოკუმენტურად დამოწ-  
მებული კოლექტიური მკვლელობის ადგილია. ეს აგორა თანამედრო-  
ვე სივრცის ტერიტორიალური ვირუსით დაავადებული სივრცეა, რო-  
მელიც არამხოლოდ სოფელს – ტექსტს ემუქრება გაქრობით, არამედ  
ტრადიციული ღირებულების ნიშნით ალბეჭდილ ნებისმიერ საზოგა-  
დოებრივ და ინდივიდუალურ აზრსაც. ამ ვირუსშეყრილი სივრცე სა-  
კუთარ თავს ვერ ცნობს და ყველა სახის იდენტობას ივიწყებს. აზრითა  
და კულტურით შემოსაზღვრული აგორას ტრადიციული სივრცე ას-  
ტრუქტურულ, დეტერიტორიალიზებულ, გასაქრობად მზადმყოფ სივ-  
რცედ გარდაიქმნება.

„ალავერდობაში“ აგორა ის ადგილია, სადაც აზრი თავის უმაღლეს  
გამოვლინებას აღწევს და ინდივიდუალურიდან საყოველთაო გამოც-  
დილებად იქცევა. არაშემთხვევითია, რომ ეს აგორა უბრალო თავშეყ-  
რის ადგილი კი არ არის, არამედ რელიგიური ტაძრის, ალავერდის ეზო  
და სივრცეა, ღვთის სახლი და მისი შემოგარენი. აგორა აქ გვევლინება

მაღალი აზრისა და შემოქმედებითი ექსერგიების (ზესამუშაო) განმუხ-  
ტვის ტოპოსად, სადაც აზრი ერთის გზით მიეწოდება მრავალს. ნაწი-  
ლი უერთდება მთელს. ასე რომ, აქ აგორა რელაქსაციის, რეაბილიტა-  
ციის, რეკონსტრუქციის ადგილი, გზათა და დროთა თავშეყრის ქრო-  
ნოტოპი, დროსივრცული მეხსიერების კონცენტრაციის წერტილია.

**Manana Kvachantiradze**

Professor

Shota Rustaveli Institute of Georgian literature, TSU

**Agora. The Reconstruction of Chronotope  
(Experience of XIX-XXI cc. Georgian Literature)**

**Resume**

The work addresses Chronotopic model of Agora in Georgian Literature of XIX - XX centuries. Pieces of the Georgian prose of the period are presented as an example: "Sarchobelized" by Ilia Chavchavadze (1879), "Alaverdoba" by Guram Rcheulishvili (1959), "Avelum" by Otar Chiladze and "Black and White Story" by Gia arganashvili (2013). The Dynamics of the development of the cultural concept of Agora, in accordance with the regarded materials, shows an interesting picture of contemplation space changes, within the given time segment. Agora, as a particularly important fragment of cultural space, represents:

1. A place of public gathering. Where incomplete, superficial fragments of the thought acquire, accomplished, socially, culturally and ethically accentuated features;
2. Chronotope of the public consciousness individualization or vice versa, deeper socialization of "Me";
3. The space of the dialogue of individual and public consciousness, their conflict and reconciliation. At Agora, relationship between individual (personal) and public insights is put to test, as well as their relevance, conflict, freedom and mutual recognition boundaries.

In Ilia's work Agora is a part of the city space, place of the gathering of the mob, where individual protest is still unassessed. It is an incomplete, halted thought at the emotional level, that should end in a different space and time, acquiring public significance.

In “Alaverdoba“, the cultural model of Agora is presented, through the image of di Church and its yard. It is a closed time and space, where the ritual, past, history is sunk in oblivion. Agora is turned into a mechanic activity sphere of public consciousness. Instead, individual consciousness establishes momentary contact with the grand time and secret insights kept in it, from where it acquires future oriented, ethically valuable experience on its human significance. Personal thesis for activity, assumed through the ecstatic “rebellion“ of the main hero – “passion rampage lies in construction and not enjoying the construction“ – recognizes permanent creative thriving as a vital significance, the practical manifestation of which in the culture is materialized labour.

Rustaveli avenue as an “over extending“ Agora, is traditionally an exceptional sacral space, vital topos, canonized by the poetry: (Lado Asatiani: “May I'd be blessed to walk along Rustaveli avenue,/ May I always be this cheerful,/ Called Georgian poet forever“). Poetic dimension in “Avelum“ is inverted from vital space into death space, from poetic to – public insight decomposition, dissension and finally is transformed into a battle space; it is transformed into a time-space if conscious perversion, aggression and blind alley consciousness, where the poet himself utters the only valuable phrase in defense of life and the future: “Go look after your child“.

“In black and White Story“ Agora space is totally profanated. It is empty of the festive frame of mind, which distinguishes it from the drab routine. Here the thought does not gain completion but empties of it altogether, losing ethics and interaction. At this Agora neither the voice of the socium voice could be heard, nor the individual's underlined, unethical silence and the negligence forments the murder. Consciousness, being demoted from thought to a gossip, shows a complete paganization of the Agora cultural idea itself.

**Juho Korhonen**

PhD, Brown University, USA

### **The Sea(s) as the Liminal Origins of the Logic of Modern States**

#### 1. Sea as the Liminal Origin of State Logic

I preliminarily and tentatively investigate here the logic of states in relation to the sea(s) and thereafter the markets as the liminal and necessary counterfactual that allowed for the establishment of bureaucratically limited and coherent spaces, the modern nation-states. Within the historical world-system<sup>1</sup> such limitations were not inherent to political entities that defined themselves not in reference to the sea. Rather, they arose hand in hand with the emergence of the modern world-economy that has relied on this interstate structure. I claim that this liminal role of uncertainty is today represented by the world-economy. I trace that role from the seas, and the emergence of the first modern singular states – such as the attempts of Spain to the solidification of that logic in the Netherlands, Britain and France – finally to the cul-de-sack of today when no more space and possibilities are offered by the sea(s) or the markets that conceptually and economically followed the role of the seas.

An important aspect of this liminal role of the sea was its importance to capitalist trade, i.e. trade that systematically attempted to guarantee the accumulation of capital and therefore was dependent on the state in countering the uncertainty presented by the seas. This manifested in a dualistic sense of allowing competition and access for all, but simultaneously allowing for indirect domination by those most adaptable to the uncertainty of the sea; concretely at first this meant predicting the security of shipments and sea routes. Michel Foucault has examined the rise of the economy of power, i.e. the indirect disciplinary force that rose in response to capital's needs and what Foucault calls bad economies of power<sup>2</sup>. The importance of this lies in the abstract nature

---

<sup>1</sup> See Wallerstein 1980, 1989 and 2011.

<sup>2</sup> See Foucault *Discipline and Punish*

of sea routes and sea supremacy because they could never be physically occupied but were based purely on the calculation of possibilities, which then demanded the opposite from the nation-states that it spawned, i.e. internal unity and predictability. Such calculation, predicated upon the duality between singularity and an uncertain openness, never took place in the semi-peripheral land-based political entities such as the Russian and Soviet Empires, where a plurality of the body politic and of risk calculation and management of possibilities governed political imagination. Pierre Bourdieu famously accounts for the mechanisms by which this singularity and predictability is maintained in modern states. According to Bourdieu the differentiations within the modern state only serve to maintain domination and the singularity of the state. At once then these differentiations, such as the legal, economic and political spheres, reproduce the kind of power described by Foucault, power that exists not within any of these entities but in their relations and power that is predicated upon its predictability.

This is empirically most well represented in the expansion of the western European empires not in geographic but more importantly in terms of economic and bureaucratic-cultural domination. Andrew Zimmerman has described this as the process of internal colonization for the sake of external colonization<sup>1</sup>. Whereas the eastern empires both politically and culturally expanded with the logic of geographic plurality; no direct binary between the center and the overseas existed but several logics and hierarchies led to the center. Both the Russian Empire and the Soviet Union, for example, specifically created varying forms of governance and relations to both the power center in St. Petersburg or Moscow and to external factors such as different market transactions. This is exemplified for example by the great variety of legal systems in the Russian Empire and the constant failures and impossibility to create a unified legal system for the country. In the Soviet Union the most visible example was of course the diversification and horizontal dependencies in production and manufacturing.

## 2. From Seas to Markets

The movement by the modern states from internal colonization, in order to account for the unpredictability of the seas, into the external colonization

---

<sup>1</sup> Zimmerman Andrew *From Internal Colonization to Overseas Colonization and Back Again in Sociology and Empire. The Imperial Entanglements of a Discipline*. Duke University Press. Durham and London 2013.

transformed through the logic of the colonial state and later empire into the world market. External colonization was an attempt to create an adaptable counterpart to the singularity of the modern state; a transformable and moldable multiplicity that would serve as a buffer for any irregularities between the world-economy and the singularity of the modern state, an insurance one may claim.

Today this translates to logics of governance and behavior towards world-economy. Where the sea states now vie for global power as a singularity against an uncertain economic totality and the land states continue to assert local multiplicities of dominance with no consideration to managing external economic uncertainty because they do not measure their political futures against it. The land logic is today exemplified by the behavior of Russia. Russia is only concerned of its own internal hierarchies of domination. The sea logic is exemplified by China that attempts to position its singularity to be as responsive and effective against the uncertainty of economic world-system as possible.

These two logics can then be understood as, first, the one that began from its positions towards the sea(s) and as an interstate system established the world market as a reflection of the sea and now deals with power and domination in terms of binaries of predictability and unpredictability where an internal logic of singularity aims to reproduce predictability and an external logic of multiplicity aims to buffer and soften the unpredictability. Just as previously a merchant would sent out ten ships to different locations with different cargos and calculate his profits with the assumption that nine will return and later on further counter that by buying an insurance that guarantee such a rate of profit or make up for the losses, similarly today an effective company has outsourced its buffers to multiple locations that all serve varying function. Secondly, there exists still the logic of power of the land based state. Such a state, in contrast to a singularity diversifies its internal power in order not to predict but to maintain its dominance against both internal and external challenges. If it were to rely on the logic of singularity it would be significantly more susceptible to any counter-hegemonic movements, internal or external.

But it has become increasingly difficult, especially for states in-between the two logics to either separate them or built their internal system of power accordingly. The Japanese state famously closed itself to prepare internally for entering the world market, the Finnish state, after the Second World War, standing in between the two logics was able to exploit their differences beneficially. But unsuccessful cases are more abundant. Not even to mention the colonial states of

Africa, one can just look at the Post-Soviet sphere where newly independent and re-independent states were promised great benefits from entering into the modern sea state world-economy. However, the contradictions of the two logics and the ever increasing pace at which they operate, also possible their increasing exclusivity and antagonism as the Crimean case has recently shown us, failed to create either promising regional cooperation nor the emergence of modern state logic and the singularity of power. Instead a deadlock between two fronts has fueled cronyism and authoritarianism. Sarah Amsler has written incisively of this dual deadlock:

*Political independence did not automatically translate into intellectual autonomy, but rather into new forms of cultural and structural dependency that must be negotiated within an entirely new set of conceptual frameworks and institutional arrangements.<sup>1</sup>*

Just the tables have now turned, empirical science dominates now, rather than a deep understanding of the philosophy of democracy or the markets, and whereas in the Soviet Union “knowledge about human behavior could be applied as a technology for disciplining and modifying it”<sup>2</sup> now knowledge about the state and social movements are applied as a technology of control. Thus, the knowledge cultures in the region reproduce the in-betweenness of these world-systemic logics as they themselves are historically constituted as highly polarized being imposed both sides. Therefore I believe it is important to detach the analysis of the post-Soviet, for example, from the grand narratives of universalized understandings of the state and power and instead aim to expose foundations of the state in a world-systemic light, and, where appropriate, from the stance of state-building and of social movements. The focus then is not on the causes and effects of social change as imitating either of these systems but on the nature and politics of this change itself, i.e. on the relation the region takes to these world-systemic logics transformations.

This means that, paraphrasing Sarah Amsler here, in a world-system where the state and social movements are considered to be the facilitators of power and resistance, who constitute and reproduce the system, it is also crucial to investigate the liminalities, limitations and possibilities of the facilitators themselves to engage that system. A fitting metaphor is the death of a star. A star is a self-sustained nuclear reaction that constantly expands and simultaneously tran-

---

<sup>1</sup> Amsler 2007

<sup>2</sup> (Amsler: Aldasheva and Nikolaenko 1973: 55)

sforms material within the star. As such it is like the logic of the modern state. When the nuclear reaction within a star accelerates towards the end of its lifespan it expands rapidly and spews out large quantities of its own energy just as when forming it had taken in huge masses of material, this process itself accelerates the expansion even more. This is however accompanied by a condensation of the core of the star as it - in an explosive manner- propels everything else out. In very simple terms, this is what I suggest happens with the world-economy at present. The logic of the modern state is condensing and consolidating itself but at the same time it has become exceedingly difficult for latecomers to copy that logic. Because - looking at the post-Soviet peripheries (not to mention even poorer regions) from the angles of statehood, economy and knowledge cultures it would appear that they have been spit out from the star and no matter how they try can no longer access the condensed core even as part of its dependent periphery, its security and buffer zone.

Therefore, the only question is not what will become of the logic of the modern state, the core of the star, but there is also the question of what happens to the residues expelled in the process. These regions now lack the liminal space that seas and thereafter the markets once offered for anyone capable and willing to follow the singular logic of the modern state.

### 3. Alternatives and Futures

I conclude by discussing possibilities of how might we alternatively conceptualize the sea, besides the world-economy, for the future. Are other visions for the logic of the modern state possible? Could it be represented by climate change or maybe visions for economic opportunities in space? And what will become of the land states? In terms of land states the latest developments with Russia, following the collapse of the Soviet Union and all the optimism that arose about the possibilities of free market liberal democracy, one is hard pressed to acknowledge that this logic is still viable. Indeed, it appears the most suited logic for sustaining continuous political power in the core of the state.

Other visions for the logic of the modern state, besides the singular and decentralized power described by Foucault and Bourdieu, are direly needed and definitely have a market, but in the vein of the star metaphor and the escalation of the two logics of the state at the present – their increased intensity to develop and maintain their own capabilities while keeping others at bay - it would

appear to fall upon the rejected and least solidified to discover that new logic. That is unless the core states have a revolution in terms of technology that would open up new possibilities for economic activity or in terms of their political system as happened with the French revolution and British parliamentarism before that.

The history of the small states' efforts following the First World War provides an example of true alternatives. These states, like Georgia, Finland or Estonia, were able to build their own particular and suitable state logics that were not mere copies of the dominant modern states. Of course most of them were then suffocated under the pressure of the two main logics and their competition and at present these logics continue to offset efforts by independent states attempting to follow alternative pathways. I would nevertheless dare to suggest that something is possible, once and if the expansion of either logic is undermined by ideological or material upheavals, then, there would no more so than ever be available technologies, mechanisms and tools for the organization of society on idealistic, innovative and alternative grounds. But this would require genuine concern and devotion by people and groups willing to denounce the benefits and possibilities offered by the world-economy or the hierarchical structures of domination. In such a case any liminal conceptualization or actual space must have a new role in determining future pathways, i.e. it cannot have the face of unpredictability nor can we dismiss the need for such a liminality that brings together various political entities, as Russia has shown to be doing.

## References

1. Amsler, Sarah. 2007. *The Politics of Knowledge in Central Asia. Between Marx and the Market*. Routledge. London and New York.
2. Bourdieu, Pierre. 1994. *Distinction. A Social Critique of the Judgment of Taste*. Routledge, London.
3. Foucault, Michel. (1978) 1995. *Discipline and Punish*. Random House. New York
4. Steinmetz, George. 2013. *Sociology and Empire. The Imperial Entanglements of a Discipline*. Duke University Press. Durham and London.
5. Wallerstein, Immanuel. 1980. *The Modern World-System II: Mercantilism and the Consolidation of the European World-Economy, 1600-1750*. Academic Press. New York

6. Wallerstein, Immanuel. 1989. *The Modern World-System III: The Second Great Expansion of the Capitalist World-Economy, 1730-1840*. Academic Press. San Diego.
7. Wallerstein, Immanuel. 2011. *The Modern World-System IV: Centrist Liberalism Triumphant, 1789-1914*. University of California Press. Berkeley.

### იუჰო კორჰონენი

დოქტორი

ბრაუნის უნივერსიტეტი, აშშ

### ზღვა, როგორც თანამედროვე სახელმწიფოთა ლიმინალური ლოგიკა რეზიუმე

ნაშრომში განხილულია სახელმწიფოთა განვითარებულობის ხარისხის დამოკიდებულება საზღვაო სივრცესთან მიმართებაში. დახასიათებულია საზღვაო და სახმელეთო სახელმწიფოები, ახსნილია მათი ეკონომიკური და კულტურული განვითარების ლოგიკა. გავლებულია პარალელები და ნაჩვენებია საზღვაო სახელმწიფოთა უპირატესობა ნახევრადპერიფერიულ სახმელეთო სახელმწიფოებთან შედარებით. მოცემულია ორივე ტიპის სახელმწიფოთა განვითარების გზები და სამომავლო გამოწვევები და ნაჩვენებია საზღვაო ტიპის სახელმწიფოთა უპირატესი როლი კაპიტალიზმის ჩასახვა-განვითარებისა და კაპიტალის დაგროვების ეპოქიდან, მსოფლიო ეკონომიკის თანამედროვე მდგომარეობამდე.

ავტორი თვლის, რომ საზღვაო სახელმწიფოები ახლა ეჯიბრებიან ერთმანეთს მსოფლიო მბრძანებლობაში და რომ საზღვაო ლოგიკა მაქ-სიმალურად მერძნობიარე და ეფექტურია მსოფლიო ეკონომიკური და კულტურული სისტემების განვითარების გზების ძიებაში.

**რომან მაისურაძე**  
გეოგრაფიის აკად. დოქტორი, თსუ  
**თენგიზ გორდებიანი**  
ასოცირებული პროფესორი, თსუ  
**რევაზ თოლორდავა**  
ასოცირებული პროფესორი  
სოხუმის უნივერსიტეტი  
**ნელი ჯამასპაშვილი**  
გეოგრაფიის აკად. დოქტორი, თსუ  
**თამარ ხარძიანი**  
დოქტორანტი, თსუ  
**აჭარის და ზემო სვანეთის**  
**შედარებითი ლანდშაფტურ-ეკოლოგიური შეფასება**

ბოლო წლებში ჩატარებულმა ლანდშაფტურ-ეკოლოგიურმა კვლევებმა, შესწავლილი რეგიონების ურთიერთშედარების და ლანდშაფტურ-ეკოლოგიური თვალსაზრისით, გარკვეული შეფასების საშუალება მოგვცა. ქართული ლანდშაფტური სკოლის ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულება რეგიონების გეოსისტემების სივრცე-დროითი ანალიზი და სინთეზია, ამ მხრივ მთიანი რეგიონები თავისი კონტრასტულობის, რთული სტრუქტურისა და ჰიდრომეტრიული განვითარებით განსაკუთრებით საინტერესოა. დინამიზმის ტენდენციების დადგენის მიზნით ანალოგიური კვლევები ჩატარდა ლანდშაფტების რესურსული პოტენციალის განსაზღვრის, მდგრადობისა და კრიტიკულობის თვალსაზრისით. ლანდშაფტურ-ეკოლოგიური ექსპერტიზა გულისხმობს თითოეულ ლანდშაფტში მიმდინარე პროცესების შესწავლას, რაც დაკავშირებულია გეოფიზიკური ერთეულების სივრცე-დროით ცვალება-დობასთან, აღნიშნული პროცესების შესაძლო განვითარების ტენდენციასთან და პასუხისმგებელი ფაქტორების აქტივობის დონესთან. მიკროლოკალიზაციიდან გამომდინარე, ლანდშაფტურ-ეკოლოგიური ექ-

სპერტიზა, ასევე, გულისხმობს მის მდებარეობას სხვა ლანდშაფტური ერთეულების მიმართ და მათ შორის ურთიერთზემოქმედების ინტენსივობას. კონკრეტიკისთვის აღვიჩნავთ ლითოლოგიურ სტრუქტურას, როგორც ხანგძლივ პერიოდში ნიადაგურ-ედაფიური პირობების განმსაზღვრელ კომპონენტს, ასევე, გეოდინამიკური და გეო-მორფოლოგიური პროცესების სხვადასხვა ინტენსივობით განვითარების გამომწვევ ფაქტორს. რიგ შემთხვევებში, როცა ნიადაგურ-ედაფიური მასასიათებლის განსაზღვრა ვერ ხერხდება დინამიკური პროცესების მაღალი ინტენსივობის გამო (ეკოციდირებული და გეოციდირებული ტერიტორიების არსებობა), ლანდშაფტურ-ეკოლოგიურ კვლევებში მნიშვნელოვანი ხდება კონკრეტული ლანდშაფტური ერთეულის პირობებში ლანდშაფტის მდგრადობის მაჩვენებლის ექსპერტიზა.

აჭარის რეგიონში ასეთი სამუშაოს შესრულება რთულდება ლანდშაფტის 6500-მდე ურანგო მორფოლოგიური ერთეულის დიფერენცირების გამო. ამასთან, გასათვალისწინებელია ლანდშაფტების ექსპოზიცია, ფერდობის დახრილობა, მიგრაციის რეჟიმი, მცენარეული საფარი (მათ შორის როგორც ედიფიკატორი და კოდომინანტი ტყის ჯიშების, ისე მასასიათებელი ჯიშის აღნიშვნით), მისი სიმძლავრე (სიმაღლე ნიადაგის ზედაპირიდან) და ქვეიარუსში დამახასიათებელი გეომასის მაჩვენებლები.

ზემო სვანეთში გამოიყო ლანდშაფტის 6000-მდე ასეთი ურანგო ერთეული, რაც ართულებს ლანდშაფტების წონასწორობიდან გამოსვლის პირობების განსაზღვრას, მოსალოდნელი დაზიანება-დეგრადირების უბნების დადგენას, კონკრეტული ლანდშაფტის თვითგანახლების მასშტაბებს. ამ თვალსაზრისით, ტყის ლანდშაფტთა მდგრადობის შეფასების მიზნით, შემუშავებულია სამ- და ხუთსაფეხურიანი კლასიფიკაციები, რომელიც მოითხოვს შემდეგ სრულყოფას, თუმცა უკვე იძლევა ბუნებრივ-ტერიტორიულ კომპლექსში (ბტკ) ადამიანის აქტიური სამეურნეო ჩარევის შედეგების გამოხატავის საშუალებას. გეომასის შემცირების რაოდენობისა და მისი პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის დროის დადგენის საკითხი საჭიროებს დეტალურ ლანდშაფტურ-გეოფიზიკურ, ლანდშაფტურ-ეკოლოგიურ და გის-ანალიზის ჩატარების ხანგრძლივ პროცესს. ყოველივე აღნიშნულის შედეგად შესაძლებელია პროგნოზულ-ექსპერიმენტული დასკვნების მიღება, რომელიც საკმაოდ მაღალი სიზუსტით იქნება გათვლილი, თუმცა, ამ შემთხვევაში, აუცილებელია ამ პროცედურას წინ უძლოდეს ლანდშაფ-


ტურ-ეკოლოგიური სტრუქტურის განმსაზღვრელი კომპონენტ-ფაქ-  
ტორების სიცრცითი ქსელის შექმნა, ანუ ე.წ. „ლანდშაფტურ-ეკოლო-  
გიური კარკასის“ შედგენა, რომელიც გულისხმობს ლანდშაფტის დი-  
ნამიზმის ტენდენციის კავშირის დადგენას გეოლოგიურ, ნიადაგურ-ე-  
დაფიურ, გეოდინამიკურ, კლიმატურ, ექსპოზიციურ, რელიეფურ პა-  
ლეოგეოგრაფიულ, პალეობიოლოგიურ და სხვა თავისებურებებთან,  
ასევე ცალკეული ორგანიზმის, მავნებლის ან დაავადების გავრცელე-  
ბის კერებთან.

საკვლევი რეგიონები თითქმის თანატოლ ფართობს იკავებს. აღ-  
სანიშნავია, რომ ჩატარებული კვლევა განხორციელდა და ლანდშაფ-  
ტების მდგომარეობა ფიქსირებულია ერთსა და იმავე პერიოდში.  
კვლევისას კიდევ ერთი დეტალი იქნა გათვალისწინებული – აჭარის  
რეგიონში, მთის ლანდშაფტების გარდა, გარკვეულ ფართობს ბარის  
ლანდშაფტებიც იკავებს, რაც შედარებისთვის თითქოს კარგ საფუძ-  
ველს არ იძლევა. პირველი მათგანი მდებარეობს მცირე კავკასიონისა  
და ნანილობრივ პონტოს ქედის დაბოლოებაზე, ხოლო მეორე მთავარი  
კავკასიონის სამხრეთ ფერდობებზე, მოქცეულია ერთმანეთის პარა-  
ლელურ ოროგრაფიულ ერთეულებს შორის. ორივე შემთხვევაში ლან-  
დშაფტთა ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მთის ქვაბუ-  
ლები, აჭარის და ზემო სვანეთის ქვაბულების სახით. ორივე რეგიონში  
ტერიტორიის გარკვეულ ნაწილს დაცვითი სტატუსი გააჩნია, რაც კი-  
დევ უფრო საინტერესოს ხდის მათ შედარებას.

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია რამდენიმე საკითხზე:


- რეგიონში ნარმოდგენილი ლანდშაფტების (ლანდშაფტის გვა-  
რი) ზუსტი ფართობების დადგენა და მათი ვერიფიკაცია მსხვილ (1 :  
50 000) მასშტაბში;
- ტყიანი ლანდშაფტების მდგრადობის მაჩვენებლის განსაზღ-  
ვრა და მათი შედარებითი ანალიზი;
- აჭარის და ზემო სვანეთის ტერიტორიის ტყიანობის პოტენცი-  
ური მაჩვენებელის გამოვლენა და მათი დინამიკის შედეგები;
- დაცვითი სტატუსის მქონე ტერიტორიების არსებობა საკვლე-  
ვი რეგიონების მთის ლანდშაფტებში [3].

რ. მაისურაძე, თ. გორდეზიანი,  
რ. თოლორდავა, ნ. ჯამასპაშვილი, თ. ხარძიანი



ნახ. 1. შავი ზღვის გავლენა აჭარის რეგიონზე

კვლევისას განსკუთრებული ყურადღება ექცეოდა ორივე რეგიონის ლანდშაფტური სტრუქტურის სირთულის უმთავრესი ფაქტორების გამოვლენასა და კარტოგრაფირებას. ლანდშაფტებზე უმთავრესად მოქმედი ფაქტორების გამოყოფისას ყურადღება შევაჩერეთ შავი ზღვის გავლენაზე, რომელიც, გარკვეულწილად, აღნიშნული რეგიონების ლანდშაფტების ფორმირების განმსაზღვრელია.




ნახ. 2. შავი ზღვის გავლენა ზემო სვანეთის რეგიონზე

აჭარის და ზემო სვანეთის შედარებითი  
ლანდშაფტურ-ეკოლოგიური შეფასება

2005-2006 წლებში ჩვენს მიერ შედგენილი ორივე რეგიონის  
მსხვილმასშტაბიანი ლანდშაფტური რუკისათვის გამოყენებულ იქნა  
შემდეგი წყაროები:


- მსხვილმასშტაბიანი ტოპოგრაფიული რუკები (1:50 000);
- მსხვილმასშტაბიანი გეოლოგიური რუკები (1 : 50 000, 1 : 200 000);
- მსხვილმასშტაბიანი სატყეო რუკები და გეგმები (1 : 25 000, 1 : 100 000);
- მსხვილმასშტაბიანი აეროფოტო და კოსმოსური სურათები,  
ექსპერიმენტული ნაკვეთებისა და კარტოგრაფიული წერტი-  
ლების აღწერის ბლანკები;
- საველე პირობებში შედგენილი რუკები.

აღნიშნული მასალების გამოყენებით და Gis – მეთოდებით, პროგ-  
რამა Mapinfo Profesional-ის მეშვეობით შედგა ბუნებრივ-ტერიტორიუ-  
ლი კომპლექსების დეტალური რუკები (ნახ. 3, 4 ფრაგმენტები).




ნახ. 3. აჭარის რეგიონის ბუნებრივ-ტერიტორიული  
კომპლექსების რუკის ფრაგმენტი

რ. მაისურაძე, თ. გორდეზიანი,  
რ. თოლორდავა, ნ. ჯამასპაშვილი, თ. ხარძიანი



**ნახ. 4.** ზემო სვანეთის რეგიონის ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების რუკის ფრაგმენტი

აღნიშვნული ბტკ-ების მსხვილმაშტაბიანი რუკების საფუძველზე შემუშავდა საკვლევი რეგიონების ლანდშაფტური რუკების გეოინფორმაციული სისტემები, ლანდშაფტთა გვარების დონეზე, რომელიც კავკასიის ლანდშაფტური რუკის განახლებული ვერსიაა. მათი ვერიფიკაცია მოხდენილია მსხვილ მასშტაბში კვლევის მასალებზე დაყრდნობით. მათი ლეგენდა აღებულია კავკასიის ლანდშაფტური რუკიდან [2].




**ნახ. 5.** აჭარის რეგიონის ლახლპატზე ური რუკა

აჭარის და ზემო სვანეთის შედარებითი  
ლანდშაფტურ-ეკოლოგიური შეფასება

ორივე საკვლევი რეგიონისათვის შედგა ლანდშაფტური რუკები, სადაც ძირითადი ერთეულია ლანდშაფტის გვარი, ამ მხრივ აჭარის რეგიონი უფრო მრავალფეროვანია და გამოიყოფა ლანდშაფტის 13 გვარი, ზემო სვანეთის რეგიონში ვრცელდება მხოლოდ ლანდშაფტის 7 გვარი.

ორივე რეგიონში ლანდშაფტის შემდეგი გვარებია: 125, 129, 135 და 144. ხოლო აჭარაში ლანდშაფტის ქვეტიპი: საშუალო მთის ზომიერად თბილი კოლეური ლანდშაფტები წარმოდგენილია 72-ე გვარით, განსხვავებით ზემო სვანეთისაგან სადაც ვრცელდება ლანდშაფტის 70-ე გვარი (კავკასიის ლანდშაფტური რუკის მიხედვით). ჩვენ მიერ ჩატარებული გის-ანალიზის შედეგად დადგინდა აქ წარმოდგენილი ლანდშაფტის გვარების ზუსტი ფართობული მაჩვენებლები (ცხრ. 1).



ნახ. 6. ზემო სვანეთის რეგიონის ლანდშაფტური რუკა

ცხრილი 1

აჭარის რეგიონის ლანდშაფტთა ფართობები

ლანდშაფტის გვარი	ფართობი( $\text{კმ}^2$ )
1	123. 759
7	246. 887
48	11. 619
65	412. 201

რ. მაისურაძე, თ. გორდევიანი,  
რ. თოლორდავა, ნ. ჯამასპაშვილი, თ. ხარძიანი

66	203. 494
72	744. 609
125	657. 752
127	6. 470
129	146. 749
135	303. 096
139	28. 126
144	1. 936
147	7. 471
სულ	2894. 170

### ცხრილი 2

ზემო სვანეთის რეგიონის ლანდშაფტთა ფართობები

ლანდშაფტის გვარი	ფართობი (კვ.კმ)
70	232. 493
125	830. 109
129	355. 672
135	594. 822
144	466. 441
150	115. 731
152	484. 012
სულ	3079. 281

ამ ორი ცხრილის გაერთიანებით გამოჩნდება ორი რეგიონის საერთო და განმასხვავებელი ნიშნები.

აჭარის რეგიონში დომინირებს 72-ე გვარის ლანდშაფტები, რომლის ქვეტიპსვე მიეკუთვნება 70-ე გვარის ლანდშაფტები ზემო სვანეთში, იმ განსხვავებით, რომ ზემო სვანეთში ეს ლანდშაფტები შედარებით მცირე ფართობს იკავებს. აქ დომინირებს 125-ე გვარის ლანდშაფტები, რომელიც აჭარაშიც ერთ-ერთი წამყვანია და, დაკავებული ფართობის მიხედვით, მხოლოდ 72-ე გვარის ლანდშაფტებს ჩამორჩიე-

ბა. ასევე საინტერესოა იდენტური 129-ე გვარის ლანდშაფტები, რომ-ლებიც ზემო სვანეთში მნიშვნელოვნად აჭარბებს აჭარაში წარმოდგენილ იმავე გვარის ლანდშაფტების ფართობებს, რაც განპირობებულია ზემო სვანეთში პალეოგლაციალური რელიეფით, ხოლო აჭარაში ქედების თხემურ ნაწილებში მოსწორებული ზედაპირების დომინირებით, რაც განსაზღვრავს ტყის ზედა სასაზღვრო სარტყელში სეზონური მე-საქონლეობის ფართო მასშტაბებს. ზედა მთის ტყის ლანდშაფტების განადგურება და მათი ფართობების მხოლოდ ლოკალურად შენარჩუნება ასეთი რელიეფის შედეგია.

ნაშრომში განხილულია, ასევე, საკვლევი რეგიონების ტყიანი ლანდშაფტების მდგრადობის საკითხი. 2005-2006 წლებში ამ რეგიონების სატყეო სექტორის მდგრადი განვითარების მიზნით ლანდშაფტურ-ეკოლოგიური კარკასის შედგენასთან დაკავშირებით ჩატარდა საველე კვლევები, რომელიც მოიცავდა ტყიანი ლანდშაფტების ზონი-რებას: მდგრად, საშუალო მდგრადობის და არამდგრად ზონებად. რე-გიონებში არამდგრადი ზონები უმთავრესად უკავშირდება შემდეგ მო-ნაკვეთებს:

- ციცაბო ( $30^{\circ}$ - $35^{\circ}$  ზე მეტი დახრილობის) ფერდობები;
- მეოთხეული ალუვიონით და სხვა ნაკლებად მტკიცე ქანებით აგებული საშუალო დახრილობის ფერდობები;
- ნეოგენურ და ბაიოსურ წყებებში, ასევე, ფიქლებით აგებულ ტე-რიტორიებზე აქტიური მეწყრული და ღვარცოფული უბნები;
- მდინარეთა ხეობების ქვედა ნანილებში წარმოდგენილი შედა-რებით ციცაბო, ეროზიასაშიში ფერდობები;
- აჭარის და ზემო სვანეთის ქვაბულებში სამხრეთული ექსპოზი-ციის საშუალო დახრილობის და ციცაბო ფერდობები, დაფა-რული ფიჭვნარი ტყით (ზანძარსაშიში არეალები);
- ზედამთის, მათ შორის, სუბალპური მდელოს საზღვარზე მდე-ბარე ტყეები;
- სუბალპური მდელოების ქვემოთ მდებარე ჩადაბლებები და პოტენციურად ზვავსაშიში ფერდობები;
- წარსულში ზემოქმედების ქვეშ მყოფი ტყის ბტკ-ები, რომელ-თა აღდგენის პროცესი გაძნელებულია;

რ. მაისურაძე, თ. გორდეზიანი,  
რ. თოლორდავა, ნ. ჯამასპაშვილი, თ. ხარძიანი

- ორივე რეგიონის დასავლეთ ნაწილში გავრცელებული ბტკ-ები ნაბლნარი ტყით, რომელიც ხშირად დაავადებულია *Endotea Parazitica*-თი.

საველე კვლევების და მსხვილმასშტაბიანი კარტოგრაფიულის შედეგად დადგინდა, რომ ორივე რეგიონში დომინირებს არამდგრადი ლანდშაფტები, რომელთა ბუნებათსარგებლობითი თავლსაზრისით შეფასებისას საინტერესო იყო მათი ხედრითი წილი რეგიონების საერთო ფართობიდან (ცხრ. 3; ცხრ. 4) [1].

### ცხრილი 3

აჭარის რეგიონის ლანდშაფტთა მდგრადობის მაჩვენებელი

უტყეო ზონა	მდგრადი ზონა	ნაწილობრივ მდგრადი ზონა	არამდგრადი ზონა	სულ ( $\text{კმ}^2$ )	
1014. 401	590. 742	530. 960	758. 067	2894. 17	ფარ-თობი
35. 05	20. 41	18. 35	26. 9	100	ხედრი-თი წილი %

### ცხრილი 4

ზემო სვანეთის რეგიონის ლანდშაფტთა მდგრადობის მაჩვენებელი

უტყეო ზონა	არამდგრადი ზონა	ნაწილობრივ მდგრადი ზონა	მდგრადი ზონა	სულ ( $\text{კმ}^2$ )	
1826.978	578.063	373.569	305.220	3083.829	ფართობი
59.24	18.74	12.11	9.90	100	ხედრი-თი წილი %

არანაკლებ საინტერესოა ორივე რეგიონის ტყით დაფარული ლან-  
დშაფტების თანამედროვე ფართობების რეგიონების პოტენციურ ტყი-  
ანობასთან შედარება, რომლის მაჩვენებელი რამდენადმე შემცირებუ-  
ლია. ეს ტენდენცია დაკავშირებულია განსახლების ზოლთან და სა-  
სოფლო-სამეურნეო სავარგულებთან. საზაფხული საცხოვრებელი და-  
სახლებების (ე.წ. „იაილები“), გავრცელებამ ზემო სვანეთში ნაწილობ-  
რივ, ხოლო მთიან აჭარაში თითქმის ყველგან (ძირითადად, ზ.დ. 1700-  
2200 მ-ს შორის) გამოიწვია 129 გვარის ლანდშაფტების ძლიერი შემცი-  
რება, რიგ მონაკვეთებში კი სრული გაქრობა (უმეტესად აჭარაში). მათი  
ფართობების ზუსტი აღდგენა ჯერჯერობით ვერ მოხერხდა. კვლევის  
შედეგად შესძლებელი გახდა პოტენციური ტყიანობისა და მისი დინამი-  
კის ტენდენციების გარკვეული სიზუსტით დადგენა, რამაც საკმაოდ სა-  
ინტერესო სურათი აჩვენა (ცხრ. 5; ცხრ. 6; ცხრ. 7). (ცხრილი 5-7)

#### ცხრილი 5

აჭარის რეგიონის ტყიანობის მაჩვენებელი

პოტენციურად ტყე- ბუჩქნარით დაფარული ტერიტორია	ტყე- ბუჩქნარების თანამედროვე ფართობი კმ <sup>2</sup>	მეორადი მდელოები და სრულიად სახეცვლილი ტერიტორიები კმ <sup>2</sup>
2554. 537	1879. 769	674. 768
88. 255%	64. 95%	23. 305%

#### ცხრილი 6

ზემო სვანეთის რეგიონის ტყიანობის მაჩვენებელი

ბუნებრივად ტყის საფარს მოკლებული ტერიტორია	საერთო ფართობიდან (%)	პოტენციური ტყიანობის კოეფიციენტი %
1675. 215	54. 323	45. 677

რ. მაისურაძე, თ. გორდევიანი,  
რ. თოლორდავა, ნ. ჯამასპაშვილი, თ. ხარძიანი

#### ცხრილი 7

ზემო სვანეთის რეგიონის ტყით დაფარული  
დანდშაფტების დინამიკის მაჩვენებელი

ბტკ-ის ტიპი	ფართობი კმ <sup>2</sup>	% რეგიონის მთლიანი ფართობიდან
ტყით დაფარული ტერიტორიები	1256. 851	40.76
გაჩეხილი და გარდაქმნილი ბტკ-ები	151. 55	4.921

რეგიონის მდგრადი განვითარება თავისთავად გულისხმობს დაცვითი სტატუსის მქონე ტერიტორიების ქსელის გაფართოებას და გეოსისტემათა კონსერვაციის ხელშეწყობას. ნაშრომში განხილულია ორივე რეგიონის დაცული ტერიტორიები, რომლებიც მთის ლანდშაფტებს იკავებს. სავარაუდოდ, დაცვითი სტატუსის მინიჭების მიზნით, ზემო სვანეთის ტერიტორიის დაახლოებით ნახევარზე მეტი ცენტრალური კავეასიონის ეროვნული პარკის ტერიტორიაში უნდა მოექცეს. ამ მხრივ სხვაგვარი მდგომარეობაა აჭარის მთის ლანდშაფტებში (ცხრ. 8; ცხრ. 9; ცხრ. 10).

#### ცხრილი 8

აჭარის რეგიონის მთის ლანდშაფტების  
დაცულ ტერიტორიათა ფართობი

დაცული ტერიტორიების საერთო ფართობი (კმ <sup>2</sup> )	% რეგიონის საერთო ფართობიდან
287. 589	9. 937

### ცხრილი 9

აჭარის რეგიონის მთის ლანდშაფტების  
დაცულ ტერიტორიათა კატეგორიების ფართობები

დაცული ტერიტორიის ტიპი	საერთო ფართობი $\text{კმ}^2$	% რეგიონის საერთო ფართობიდან
ნაკრძალის	131. 001	4. 526
ეროვნული პარკის	156. 589	5. 410

### ცხრილი 10

ზემო სვანეთის დაცულ ტერიტორიათა ფართობი

გეგმარებითი ეროვნული პარკის შესაძლო ფართობი (დემარკაცია არ დასრულებულა)	% რაიონის საერთო ფართობიდან
1622. 170	52. 6

როგორც ცხრილებიდან ჩანს, აჭარაში დაცული ტერიტორიების ხვედრითი წილი გაცილებით ნაკლებია ზემო სვანეთთან შედარებით, თუმცა ნავარაუდევია მათი ფართობის გაზრდა სხვადასხვა სახის დაცვითი კატეგორიების მინიჭებით. ჩვენ მიერ შედგენილი ლანდშაფტური რუკის გამოყენება შესაძლებელია მათი სტრუქტურის, განსაკუთრებით საინტერესო, მაღალი კონსერვაციის და დაცვითი მნიშვნელობის ეკოსისტემათა შესწავლის ძირითად საფუძვლად.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს ლანდშაფტური რუკა (მასშტაბი 1:200 000; ავტორები: რ. მაისურაძე, ნ. ჯამასპაშვილი, ზ. სეფერთელაძე, ნ. ბერუჩავაშვილი, ყ. ინაშვილი, თ. ხარძიანი), თბ., 2012
2. Беручашвили Н.Л. Ландшафтная карта Кавказа, Тб., Изд. ТГУ, 1979.
3. Беручашвили Н.Л. Кавказ: ландшафты, модели, эксперименты, Тб., Изд. ТГУ, 1995.

რ. მაისურაძე, თ. გორდევიანი,  
რ. თოლორდავა, ნ. ჯამასპაშვილი, თ. ხარძიანი

**Roman Maisuradze**

PhD of Geography, TSU

**Tengiz Gordeziani**

Associate professor, TSU

**Revaz Tolordava**

Associate professor, Sokhumi University

**Neli Jamaspashvili**

PhD of Geography, TSU

**Tamar Xardziani**

PhD Student, TSU

**Adjara and Svaneti comparative  
landscape – ecological assessment**

**Resume**

Adjara and Upper Svaneti are two similar regions with climate, elevation, floristic and landscape features. However, there are differences between them, associated with a number of geographical features. It should be noted that this comparative analysis gives some idea of the the western parts of the landscape structure of main Caucasus and the Lesser Caucasus ridges. After the analysis of a series of drawn landscape maps some interesting landscapes were evaluated - ecological characteristics, including their condition and differentiation specifics of unstable areas were developed for both regions, as well as dynamics of natural landscape trends, for nowadays landscapes covered with forests are compared with potential regional areas to be covered by forests. Calculations of the landscape areas of the region were made and the data bank was set up. We have also compared the conservation status of areas in both regions. Hence the thesis holds both the scientific and practical importance.

**რომან მაისურაძე**  
გეორგიის აკად. დოქტორი, თსუ  
**ლევან ბერუჩიშვილი**  
დოქტორანტი, თსუ  
**ნიკოლოზ ბერუჩიშვილი**  
დოქტორანტი, თსუ  
**თამარ ხარძიანი**  
დოქტორანტი, თსუ  
**ნელი ჯამასპაშვილი**  
გეოგრაფიის აკად. დოქტორი, თსუ

**საქართველოს ლანდშაფტების ტურისტულ-რეკრეაციული  
მნიშვნელობა და მათი პოტენციალის შეფასება**

ლანდშაფტის სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობის შეფასება სივრცითი განვითარების და დაგეგმარების ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობაა. ლანდშაფტის სახე კი ყველაზე მცირე ტიპოლოგიური ერთეულია, სადაც ყველაზე მაღალი დეტალობითაა ნაჩვენები ერთიან ლანდშაფტურ ერთეულში ყველა კომპონენტის თავისებურება, დაწყებული გეოლოგიური სტრუქტურით და დასრულებული კონკრეტული ფლორისტული ფორმაციით. აღნიშნულიდან გამომდინარე ლანდშაფტური ერთეულებისათვის, როდესაც ლანდშაფტები დიფერენცირებულია მაღალი დეტალურობით, შესაძლებელია მოხერხებულად განვსაზღვროთ თითოეული მათგანის სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა და პოტენციალი სოციალურ-ეკონომიკურ-გეოგრაფიული თვალსაზრისით, კერძოდ, თითოეული მისი შემადგენელი დარგის თვალსაზრისით.

ლანდშაფტის სოციალურ-ეკონომიკურ-გეოგრაფიული შეფასებისას ვგულისხმობთ როგორც მის შეფასებას რესურსული პოტენციალის, ისე სხვა თვალსაზრისითაც. ამგვარი შეფასებაც ზოგადია, ამიტომ ლანდშაფტის შეფასებას ვახდენთ კონკრეტული მიმართულებით.

რ. მაისურაძე, ლ. ბერუჩიაშვილი,  
თ. ხარძიანი, ნ. ჯამასპაშვილი

მაგალითად, ტყის, ბიოლოგიური, სათბობ-ენერგეტიკული, კლიმატური, აგროკლიმატური, ეკოლოგიური, მიწის ფონდის, სასოფლო-სამეურნეო, ენერგეტიკული, ტურისტულ-რეკრეაციული და ა.შ.

ჩვენს ნაშრომში ყურადღება გავამახვილეთ საქართველოს ლანდშაფტების ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის შეფასებაზე და მის მნიშვნელობაზე. ნაშრომი ეფუძნება ბოლო წლების განმავლობაში ჩატარებულ კვლევებს, რომელიც ლანდშაფტების შესწავლის მიზნით განხორციელდა და საქართველოს ახალ ლანდშაფტურ გეოინფორმაციულ სისტემას, რომელიც აღნიშნული სამუშაოების შედგად იქნა შედგენილი.

**მეთოდები და მიდგომები.** ლანდშაფტების შეფასება ტურისტული და რეკრეაციული თვალსაზრისით გამორიცხულია მოვახდინოთ ცალსახად და პირდაპირი გამოთვლებით ან გაზომვებით. ამისთვის აუცილებელია მხედველობაში ვიქონიოთ ტერიტორიის სპეციფიკა და მათი თავისებურებები.

ლანდშაფტის ტურისტულ-რეკრეაციული მნიშვნელობის და პოტენციალის შეფასებისათვის ვითვალისწინებთ არაერთ მახასიათებელს, რადგან თავად ტურიზმი მრავალი სახის არსებობს. შესაბამისად, თითოეულ ლანდშაფტში შესაძლებელი იქნება სხვადასხვა სპეციფიკის ტურისტულ-რეკრეაციული მეურნეობის განვითარება, მთავარია ის, რომ გამოვავლინოთ თითოეული სივრცითი ერთეულის სპეციფიკა.

ზოგიერთი ლანდშაფტისათვის დამახასიათებელია ბიომრავალფეროვნების მაღალი მაჩვენებელი, რაც შესაძლოა სამეცნიერო ტურიზმის განვითარებისათვის მნიშვნელოვან ატრაქციად იქცეს. ასევე, მსგავსად, შეიძლება ვივარაუდოთ ხელუხლებელი, პირველადი ლანდშაფტების შემთხვევაში. რიგი ლანდშაფტებისა შესაძლებელია მიმზიდველი აღმოჩნდეს ესთეტურობიდან, ხედებიდან და ბუნების ძეგლებიდან გამომდინარე, ხოლო ზოგიერთი ლანდშაფტი კი დიდხნოვანი, მძლავრი ვერტიკალური სტრუქტურის მქონე ტყის მასივების გამო. ასეთი რესურსის მქონე ლანდშაფტები კიდევ უფრო იმით შეიძლება გახდეს მიმზიდველი, რომ აქ შესაძლებელია სუფთა ჰაერის გამო გახდეს გამაჯანსაღებელი სახის ვიზიტორთა ინტერესით გამორჩეული.

სუფთა, მაღალი გამჭვირვალეობის მქონე ჰაერი, და მისი სასარგებლო სამკურნალო ნივთიერებით სიმდიდრე, ეს კიდევ ერთი საინტე-

რესო ატრაქციაა, რომელიც საუკუნეების მანძილზე იზიდავდა დამსა-  
ვენებელს და მათი ასეთი ფუნქცია დღესაც არ შესუსტებულა.

თავის მხრივ, რიგი ლანდშაფტებისა არ გამოირჩევა განსაკუთრე-  
ბული ჰაერის გამჭვირვალეობით და ჰავის სიჯანსაღით, მაგრამ გააჩ-  
ნია სხვა ღირსებები, მაგალითად, კირქვული კანიონები, მღვიმეებით  
მდიდარი და მიწისქვეშა სამყაროთი გამორჩეული, რომელთაც შესაძ-  
ლებელია გამაჯანსაღებელი ფუნქცია ნაკლებად ჰქონდეთ, მაგრამ  
სპელეოტურიზმისათვის საუკეთესო პოტენციალით გამოირჩევიან.  
ასევე ლანდშაფტები, სადაც გამოსავალი აქვს მიწისქვეშა სამკურნა-  
ლო დანიშნულების წყლებს, მათ შორის თერმულ წყაროებს. ასეთ ლან-  
დშაფტებს შეიძლება განეკუთვნებოდს ის ლანდშაფტები, სადაც ადგი-  
ლი აქვს საღზების, ანუ ტალასის ვულკანების კერების არსებობას, სა-  
დაც შესაძლებელია სამკურნალო დანიშნულებით ვიზიტორთა რაოდე-  
ნობით ზრდა. რიგი ლანდშაფტებისა, შესაძლებელია არ გამოირჩეოდეს  
ზემოთჩამოთვლილი პოტენციალით, მაგრამ მათთვის შესაძლებელია  
დამახასიათებელი იყოს ბუნების ისეთი ძეგლები, რომელიც განსაკუთ-  
რებულ ინტერესის საგანს წარმოადგენდნენ სამეცნიერო ან სხვა სახის  
ნატურალიზმის მიმდევრებისადმი. მაგალითად, განამარხებული ტყეე-  
ბი, სვეტები და ა.შ. რიგ შემთხვევებში კი ბუნების დაცვის რაიმე გან-  
საკუთრებული ძეგლები, რომლებიც, ასევე, შესაძლოა იქცნენ მნიშნე-  
ლოვან ატრაქციებად. ცალკე საკითხია გლაციალური ლანდშაფტები  
და ალპინიზმისათვის ხელსაყრელი ლანდშაფტები.

ბუნებრივი ღირსშესანიშნაობების გარდა, რიგი ლანდშაფტებისა  
მდებარეობს შედარებით დიდი ხნის ადამიანის ზეგავლენის მქონე  
ზოლში, რაც, ბუნებრივია, განაპირობებდა მნიშვნელოვან ტრანსფორ-  
მაციის ხარისხს. მაგრამ დრესდლეობით ეს ლანდშაფტები მდიდარია  
მატერიალური კულტურული მემკვიდრეობით. ნაქალაქარებით, ციხე-  
ებით, მონასტრებით და სხვა არქიტექტურული ძეგლებით, არქეოლო-  
გიური ძეგლებით და უძველესი განსახლების კერებით, ასევე, ტრადი-  
ციული მეურნეობის ზონებით, რომლითაც საქართველო იქცევს გან-  
საკუთრებულ ყურადღებას. მათ შორის, ვენახები, ღვინის მარნები და  
ა.შ. ამიტომ ლანდშაფტებს, სადაც ასეთი ობიექტები მდებარეობს, შე-  
საძლებელია საკმაოდ მაღალი ტურისტული პოტენციალი გააჩნდეს.

თითოეული ლანდშაფტის ფარგლებში არსებული დაცული ტერი-  
ტორია, რომელიც უშუალოდ მკაცრი დაცვის ზონას არ წარმოადგენს  
(ანუ მხოლოდ სამეცნიერო დანიშნულებით ვიზიტი) შესაძლოა ატა-

რ. მაისურაძე, ლ. ბერუჩიაშვილი,  
თ. ხარძიანი, ნ. ჯამასპაშვილი

რებდეს განსაკუთრებით დიდ პოტენციალს ვიზიტორთა მოზიდვის თვალსაზრისით, რაც შეეხება მკაფრი დაცვის ზონას, სამეცნიერო ტურიზმის თვალსაზრისით შესაძლოა მასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს.

ჩვენ მიერ დიფერენცირებული ლანდშაფტებიდან ნაწილს გააჩნია ერთი სახის პოტენციალი, ნაწილს კი სხვა, ზოგიერთ მათგანში კი თავ-მოყრილია რამოდენიმე მახასიათებელი, ზოგიერთი მათგანი მდიდარია, ზოგიერთი კი ნაკლებად, როდესაც ეხება კულტურულ მემკვიდრეობას და სხვა ღირებულებებს. ზოგიერთ შემთხვევაში ლანდშაფტში ხვდება კულტურული მემკვიდრეობის მხოლოდ მცირე ნაწილი ან ისე-თები, სადაც შესაძლებელია ვიზიტორთა მხოლოდ ვიწრო წრე და მცირე კატეგორიის სტუმრობა მოსალოდნელი.

ჩვენ მიერ შედგენილ გეოინფორმაციულ სისტემაში, თითოეული ლანდშაფტისათვის მონაცემთა ბანკში მივუთითეთ მათი შეფასებითი მნიშვნელობა, რომელიც მათ ტურისტულ-რეკრეაციულ პოტენციალს ასახავს. გამოვყავით ოთხი კატეგორია.

1. ძალიან დიდი პოტენციალი;
2. დიდი პოტენციალი;
3. საშუალო პოტენციალი;
4. შედარებით დაბალი პოტენციალი.

თითოეული ლანდშაფტს მის მონაცემთა ბაზაში მივუთითეთ მისი ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალი, რამაც მოგვცა საშუალება, რომ გვემსჯელა იმ ლანდშაფტის იდენტობაზე და მათ მიერ დაკავებულ ფართობზე, რომელთაც ტურისტულ-რეკრეაციული თვალსაზირისით ქვეყნის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლიათ.

თითოეული ლანდშაფტის ძირითადი შედგები შეფასებულ იქნა მათი ზოგადი პოტენციალის მიხედვით, რაც დაკავშირებულია თითოეულ ლანდშაფტთან ტურისტულ-რეკრეაციული მეურნეობის განვითარების თვალსაზრისით. ჩატარებული კვლევა მოიცავს 1053 ლანდშაფტურ ერთეულს (ლანდშაფტის სახე), რომელთა ფარგლებშიც შედგა აღნიშნული გეოინფორმაციული სისტემა და თემატური რუკაც. ბუნებრივია, ლანდშაფტის თითოეული ერთეულისთვის რომ მიგვესადაგებინა ტურიზმის თითოეული სფერო (ეკოტურიზმი, სათაგვადასავლო ტურიზმი, ალპინიზმი, სპორტული ტურიზმი, ნოსტალგიური ტურიზმი, პილიგრიმული ტურიზმი, სამეცნიერო ტურიზმი, ნატურალი-ტური ტურიზმი, ბიზნეს ტურიზმი და სხვ. ან რეკრეაციის თითოეული

საქართველოს ლანდშაფტების ტურისტულ-რეკრეაციული  
მნიშვნელობა და მათი პოტენციალის შეფასება

ფორმა, დასვენება, ძალების აღდგენა, ბალნეოლოგიური დატვირთვა და ა.შ.), მაშინ კვლევა მოიცავდა თითოეულ აღნიშნულ დარგებს უფრო სიღრმისეულად და ჩატარებული სამუშაოების შედგების მოთავსება ერთ სტატიაში შეუძლებელი გახდებოდა, რადგან მისი შედეგების ასახვას მრავალი რუკა, გრაფიკი და ცხრილი დასჭირდებოდა. ამიტომ აღნიშნულ ეტაპზე ზოგადი შეფასებით შემოვიფარგლეთ და აღნიშნული მიმართულებით კვლევა კვლავ გრძელდება. ასევე, საინტერესო იქნებოდა ტურიზმის თითოეული დარგის კავშირი ტურისტული ობიექტების რაოდენობასთან, რომლის ანალიზსაც ლანდაფტურ ერთეულებტან კავშირში სამომავლოდ ვაპირებთ, ეს ნაშრომი კი ამ ყველაფრის ერთ-ერთი წინაპირობაა.

როგორც ჩვენ მიერ შედგენილი ცხრილებიდან ჩანს, საქართველოს ტერიტორიის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი ტურისტული ინდუსტრიის განვითარებისათვის დიდი პოტენციალის მატარებელია, ხოლო დანარჩენი ტერიტორიაც არაა დარჩენილი ისე, რომ საერთოდ არ გააჩნდეს ამ თვალსაზრისით რაიმე პოტენციალი, მხოლოდ აღნიშნულ ლანდაფტებში შესაძლებელია უფრო პერსპექტიული აღმოჩნდეს ეკონომიკის სხვა დარგები და ტურისტული ინდუსტრიის განვითარებას მათაც მნიშვნელოვანილად შეუწყონ ხელი, როგორც ირიბი ჩართულობა აღნიშნულ სფეროს განვითარებაში.

ჩვენ მიერ შემოთავაზებულია ცხრილური მასალა, რომელიც ლანდშაფტების რაოდენობას და ფართობულ ანალიზს გვაჩვენებს ტურისტული პოტენციალის თვალსაზრისით.

## ცხრილი 2

**ლანდშაფტების ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალი  
და ლანდშაფტური ერთეულების (ლანდშაფტის სახე) ოდენობა**

შედარებით დაბალი	საშუალო	დიდი	ძალიან დიდი
233	402	272	146


### ცხრილი 1

ლანდშაფტების ტურისტულ-რეკრეაციული  
პოტენციალი და მათი ფართობები (კმ<sup>2</sup>)

შედარებით დაბალი	საშუალო	დიდი	ძალიან დიდი
14703,11	29085,10	17619,922	8149,765
21,138 %	41,814 %	25,331 %	11,717 %

ჩვენ მიერ შედგენილ იქნა თემატური რუკა, რომელიც სწორედ საქართველოს ლანდშაფტების მიხედვით არის შექმნილი და თითოეული ლანდშაფტის ტურისტულ-რეკრეაციულ პოტენციალს გვიჩვენებს. ეს რუკა შინაარსობრივად შეესაბამება ზემოთ მოყვანილ ცხრილებს.

აღნიშნული მასალები გვიჩვენებს, რომ საქართველოს ლანდშაფტების მნიშნელოვანი ნაწილი საქმაოდ მაღალლირებულია ტურისტულ-რეკრეაციული თვალსაზრისით და მათი პოტენციალის გონივრულ გამოყენებას შესაძლებელია მნიშნელოვანი სარგებლის მოტანა ქვეყნის ეკონომიკისათვის, ხოლო გლობალურ და რეგიონულ დონეებზე კი ტურისტებს და დამსვენებლებს საუკეთესო დასვენება, სანახაობა, შემეცნება და სასიამოვნო გარემო შეიძლება შევთავაზოთ, რაც მათთვის შესაძლოა საინტერესო და მისასალმებელი იყოს.



ნახ. 1. საქართველოს ლანდშაფტები და მათი  
ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალი

## გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს ახალი ლანდშაფტური რუკა და გეოინფორმაციული სისტემა, კედლის რუკა, თანაავტორობით: ნ. ჯამასპაშვილთან, ზ. სეფერთელაძესთან, ნ, ბერუჩაშვილთან, ნ. ინაშვილთან და თ. ხარძიანთან. თბ., 2012.
2. საქართველოს ახალი ლანდშაფტური რუკა და გეოინფორმაციული სისტემა, წიგნი-კატალოგი, თანაავტორობით: ნ. ჯამასპაშვილთან, ზ. სეფერთელაძესთან, ნ, ბერუჩაშვილთან, ნ. ინაშვილთან და თ. ხარძიანთან, თბ., 2012.
3. N. Beruchashvili, Caucasus, Landscale, Models, Experiments 1995.
4. Беручашвили Н.Л. Жучкова Т. Методы Полевых Физико-географических исследований Москва, МГУ 1995
5. Some Questions of the methods of evaluation of mountainous landscapes ecological value. R. Maisuradze, T. Gordeziani, T. mamukashvili. Georgian International Journal of Science and Technology, „nova publishers“ New York.

**R. Maisuradze**

PhD of Geography, TSU

**L. Beruchashvili**

PhD student, TSU

**N. Beruchashvili**

PhD student, TSU

**T. Khardziani**

PhD student, TSU

**N. Jamaspashvili**

PhD of Geography, TSU

## **Tourist-recreational value of the Georgian landscapes and evaluation of their potential**

### **Resume**

In recent years large scale landscapes map and Georgia's GIS were created, where numerous landscape spatial units were identified at different typological

რ. მაისურაძე, ლ. ბერუბაშვილი,  
თ. ხარძიანი, ნ. ჯამასპაშვილი

levels. The novelty of the project was the content of spatial scale. It was the first time that the landscapes of the Georgian territory were identified at the level of landscape species. As a result a landscape wall map of Georgia and the reference book with powerful data were published, including not only the information about natural landscapes and elements, but also social-economical parameters such as evaluation of landscapes according their tourist-recreational potential. The fact that the entire data was created by the use of GIS, allows us to continue further research. In the present article we would like to represent the results of GIS and geo-statistical analysis. We separated four categories on the tourist-recreational potential map: very high, high, average and relatively low. The results of the calculations are shown in corresponding table. According to these categories we created thematic map, which was named the tourist-recreational potential of Georgian landscapes, accompanying the present article.

**გიორგი მელაძე**  
ასოცირებული პროფესორი, თსუ

**საქართველო და მეორე დემოგრაფიული გადასვლა,  
როგორც გლობალური მოვლენა**

შობადობის საყოველთაო კლება ისტორიულად გარდაუვალი მოვლენაა, რომელიც საზოგადოების მოდერნიზაციის თანმდევი პროცესია. თანამედროვე დემოგრაფიულ გამოწვევათა შორის, დაბალი შობადობა მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური სისტემების უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს.

გასული საუკუნის 60-იანი წლების მიწურულს დასავლეთ ევროპაში (უმთავრესად ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებში: შვედეთში, დანიაში და ფინეთში), შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი ვეღარ უზრუნველყოფდა მოსახლეობის მარტივ აღნარმოებას (ნაკლები იყო 2.1-ზე). აღნიშნული პროცესის გლობალური მასშტაბებიდან გამომდინარე, შემდგომ ათწლეულებში მისი გეოგრაფია გაფართოვდა და პრაქტიულად მთელი განვითარებული სამყარო მოიცვა. XXI საუკუნის დასაწყისში გაჩნდა ახალი ტერმინი – „ძალიან დაბალი შობადობა“. ამ უკანასკნელით აღნიშნავენ ქვეყნებს, რომლებშიაც შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი 1.5-ზე დაბალია. ამჟამად შობადობის კლება განვითარებად ქვეყნებზედაც გავრცელდა, რის შედეგადაც დედამიწის მოსახლეობის ნახევარზე მეტს ახასიათებს შობადობის რეჟიმი, რომელიც დაბალია მოსახლეობის მარტივი აღნარმოების დონეზე.

მოვლენათა ასეთი განვითარების ფონზე, სპეციალისტთა მიერ გამოთქმულ იქნა მოსაზრება მეორე დემოგრაფიული გადასვლის შესახებ [Lesthaege R., D.J.van de Kaa, 1986]. პირველი დემოგრაფიული გადასვლისაგან განსხვავებით, რომლის ირიბ დეტერმინანტებს შეადგენდნენ ინდუსტრიალიზაცია, ურბანიზაცია და სეკულარიზაცია [Lesthaege and Wilson, 1978], მეორე დემოგრაფიული გადასვლა დაკავშირებული იყო მარტივი აღნარმოების დონეზე.

ბულია პოსტინდუსტრიულ, სწრაფად ცვლად საზოგადოებაში პიროვნების ინდივიდუალურ მოქმედებასთან [Van de Kaa, 1987].

როგორც აღვნიშნეთ, მეორე დემოგრაფიული გადასვლის პრინციპული თვისებაა შობადობის კლება მოსახლეობის მარტივი აღწარმოების ზღვარზე დაბლა. გარდა ამისა, მისი მნიშვნელოვანი დეტერმინანტებია: პირველი ქორნინების საშუალო ასაკის მატება, ქორნინებათა და ბავშვთაშობის დროში გადავადება (რაც შობადობის თვალსაზრისით, მაღალი ასაკის ქალების მაჩვენებლების მატებაში აისახება), რეგისტრირებული ქორნინებების კლება, განცალკევებით მცხოვრები მეუღლების წილისა და თანაცხოვრებათა მატება, თანამედროვე ჩასახვისსანინააღმდეგო საშუალებების ფართოდ გავრცელება, დაბადებულთა საერთო რაოდენობაში რეგისტრირებული ქორნინების გარეშე დაბადებული ბავშვების რაოდენობრივი ზრდა, ნებაყოფლობითი უშვილობის მატება და სხვა [Van de Kaa, 1997].

დემოგრაფიული პროცესების განვითარებაში უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენდა კონტრაცეფციული რევოლუცია, რომელმაც 1960-იანი წლების მეორე ნახევრიდან მოიცვა დასავლეთის ქვეყნები. აღნიშნული მოვლენა მჭიდროდ უკავშირდება მასობრივი ჩასახვის სანინააღმდეგო ეფექტური საშუალებების დანერგვას, რომელმაც, სოციალური წორმების ცვლილებებთან ერთად, რეალობად აქცია შობადობაზე მასობრივი კონტროლი. შესაძლებელია ითქვას, რომ მეორე დემოგრაფიული გადასვლა წარმოადგენს ოჯახის დაგეგმვის ახალ ეტაპს.

მეორე დემოგრაფიული გადასვლის უმთავრესი არსი დემოგრაფიულ და ოჯახის მოდერნიზაციაში მდგომარეობს, რაც გულისხმობს ადამიანების დემოგრაფიული და ოჯახური ქცევის სოციალური კონტროლის სიმძიმის ცენტრის ინსტიტუციონალურ-კოლექტიურიდან ინდივიდუალურ დონეზე გადატანას: სახელმწიფოს, ეკლესიის, სოფლის თემის მხრიდან „შინაგანი“ კონტროლი ადგილს უთმობს „გარედან“ კონტროლს, ანუ თვითკონტროლს და ერთდროულად მკვეთრად ფართოვდება ინდივიდუალური თავისუფლება ყველაფერში, რაც ადამიანის პირად ცხოვრებას შეეხება [Демографическая модернизация..., 2006]. მეორე დემოგრაფიული გადასვლის ერთ-ერთი ავტორის – ვ. დე კაას აზრით, აღნიშნული გადასვლა საზოგადოებრივი ცნობიერების მიმართულების ვექტორის ცვლილების შედეგია, კონსერვატიზმიდან – პროგრესულისაკენ. ადამიანის ყველა განზრახვა თვითრეა-

ლიზაციის, არჩევითობის თავისუფლების, პირადი განვითარების, ცხოვრების ინდივიდუალური სტილისა და ემანსიპაციის ირგვლივ იყრის თავს, რაც ასახვას ოჯახის ფორმირებაში, მშობლობის მოტივების და შობადობის რეგულირების მიმართებაში, შესაბამის განწყობებში პოულობს (Van de Kaa, 1996).

თანამედროვე მეცნიერებაში სულ უფრო მტკიცდება აზრი, რომ მოსახლეობის დემოგრაფიული ქცევის მოდელის ტრანსფორმაციის მიზეზია ოჯახის მიმართ მოსახლეობის სოციალური განწყობების, ფასეულობების ნორმათა მოდერნიზაცია. დღესდღეობით რეგისტრირებულ ქორწინებაში არ მყოფი ადამიანების რაოდენობის მნიშვნელოვანი მატება, მათი ინტიმური ურთიერთობები და მარტოხელა დედის მიერ გაჩენილი ბავშვი, საზოგადოების მიერ ნაკლებად აღიქმება სოციალურ დევიაციად. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში ადამიანთა უმრავლესობის ფასეულობათა სისტემაში, ოჯახს უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია, თანდათანობით იცვლება ადამიანთა დამოკიდებულება მშობლობის ინსტიტუტისადმი და ოჯახისადმი. მშობლობის ინსტიტუტი ნაკლებად წარმოადგენს თანამედროვე ადამიანის სასიცოცხლო პრიორიტეტს. შვილის დაბადება სულ უფრო ნაკლებად აღიქმება როგორც აუცილებლობა ან საზოგადოებრივი მოვალეობა. წყვილები იღებენ რა გადაწყვეტილებას შვილის ყოლის შესახებ, ხელმძღვანელობენ თუ რა დადებით და უარყოფით ზეგავლენას მოახდენს შვილის დაბადება მათ ცხოვრებაზე, პირად ურთიერთობებზე, მატერიალურ უზრუნველყოფაზე.

გასული საუკუნის 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან, ჩრდილოეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში დაწყებული შობადობის კლების პროცესი ფართოდ გავრცელდა XX საუკუნის 70-იან და 80-იან წლებში. მისი შემდგომი დიფუზიის შედეგად, 1990 წლისათვის დასავლეთის ქვეწების უმრავლესობაში შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი მოსახლეობის მარტივი ალწარმოების დონეზე (2.1) დაბლა იმყოფებოდა (ის. ცხრილი 1). მსგავსი მოვლენა საქართველოში 1991 წლიდან შეიმჩნევა.

მეორე დემოგრაფიული გადასვლის ერთ-ერთ დეტერმინანტს პირველი ქორწინების საშუალო ასაკის მატება წარმოადგენს. 2011 წელს აღნიშნულმა მაჩვენებელმა 30 წელს გადააჭარბა ავსტრიაში, დანიაში, ესპანეთში, იტალიაში, ნიდერლანდებში, ნორვეგიაში, საფრანგეთში და შვედეთში. ამ უკანასკნელში მან ძალიან მაღალი მნიშვნელობა – 33 წელი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ 1970-იანი წლების შუა პერიოდში გან-

ხილული მაჩვენებელი საქართველოში ახლოს იდგა მის დასავლურ ანალოგებთან. თუმცა როგორც სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზმა გვიჩვენა, 1970-2011 წწ., დასავლეთის ქვეყნებში ქალების პირველი ქორნინების საშუალო ასაკი მნიშვნელოვნად (6-9 წლით) გაიზარდა, საქართველოში კი მხოლოდ 2 წლით მატება დაფიქსირდა (იხ. ცხრილი 1).

### ცხრილი 1

შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის და ქალების პირველი ქორნინების საშუალო ასაკის დინამიკა მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყანაში და საქართველოში 1970, 1990, 2011 და 2012 წლებში

ქვეყანა	შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი			ქალების პირველი ქორნინების საშუალო ასაკი		
	1970	1990	2012	1970	1990	2011
ავსტრია	2.29	1.46	1.44	22.9	25.2	30.3
ბელგია	2..25	1.62	1.79	22.4	24.4	29.4*
ბულგარეთი	2.17	1.82	1.50	21.4	21.5	26.6
დანია	1.99	1.67	1.73	22.8	27.8	31.4
ესპანეთი	2.88	1.36	1.32	24.9	25.6	31.3
იტალია	2.43	1.33	1.40	23.9	25.9	30.6
ნიდერლანდები	2.57	1.62	1.72	22.9	26.1	30.1
ნორვეგია	2.50	1.93	1.85	22.8	26.4	31.1
პოლონეთი	2.26	2.05	1.30	22.8	22.6	26.2
პორტუგალია	3.01	1.57	1.28	24.1	24.6	28.8
საფრანგეთი	2.47	1.78	2.00	22.6	25.6	30.8
უნგრეთი	1.98	1.87	1.34	21.5	22	28.7
შვედეთი	1.92	2.13	1.91	23.9	27.7	33.0
საქართველო	2.62	2.16	1.67	24.0**	24.1	26.0

\*2010 წელი

\*\*1974 წელი.

წყარო: Population of Georgia..., 2003; Demographic Yearbook of Georgia.


2013; GCPR- (Georgian Centre of Population Research);

[www.http://demoscope.ru/weekly/app/app4019.php](http://demoscope.ru/weekly/app/app4019.php)

ზემოაღნიშნულიდან ლოგიკურია, რომ საქართველოში ჯერჯე-  
რობით დაბალია ქალების საშუალო ასაკი პირველი ბავშვის დაბადები-  
სას. ჩვენს ხელთ არსებული 2010 წლის მონაცემების თანახმად, პირ-  
ველი ბავშვის გაჩენის ასაკი ძალიან მაღალი იყო იტალიაში, ესპანეთ-  
ში, ნიდერლანდებში, დანიაში. განხილულმა მაჩვენებელმა საქართვე-  
ლოში 24.5 წელი შეადგინა (იხ. ნახაზი 1).

### ნახაზი 1

პირველი ბავშვის გაჩენის საშუალო ასაკი მსოფლიოს ზოგიერთ  
ქვეყანაში და საქართველოში 2010 წელს




წყარო: European Demographic Data Sheet 2012.

მეორე დემოგრაფიული გადასვლის ერთ-ერთ ინგრედიენტს დაბა-  
დებულთა საერთო რაოდენობაში 35 წლის და უფროსი ასაკის ქალების  
მიერ გაჩენილი ბავშვების მაღალი წილი წარმოადგენს. საქართველო  
ამ თვალსაზრისითაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება დასავლეთში არსე-  
ბულ მაჩვენებლებს (იხ. ნახაზი 2).

## ნახაზი 2

35 წლის და უფროსი ასაკის ქალების წვლილი  
შობადობის ჯამობრივ კოეფიციენტში 2010 წელს



წყარო: [www.demoscope.ru](http://www.demoscope.ru); Demographic Yearbook of Georgia. 2013.

უკანასკნელი 30-40 წლის განმავლობაში დასავლეთის ქვეყნებში გავრცელდა მოვლენა, რომელიც ადრე არ ყოფილა შემჩნეული. მატულობს იმ ახალგაზრდა წყვილთა რაოდენობა, რომელთაც ნებაყოფლობით არ სურთ იყოლიონ შვილები. ნიდერლანდელი სპეციალისტების მიერ ევროპის 25 ქვეყანაში ჩატარებული გამოკვლევების შედეგების ანალიზის საფუძველზე გაკეთებულ იქნა დასკვნა, რომლის მიხედვით ნებაყოფლობითი უშვილობისაკენ უფრო მეტი ლტოლვა შეიმჩნევა ე.ნ. მაღალი გენდერული თანასწორობის დონის მქონე ქვეყნებში (ჩრდილოეთ ევროპა, სკანდინავია). გარდა ამისა, არც ერთ სულზე მთლიანი შიდა პროდუქტის მაღალ დონეს და არც ბავშვების მზრუნველობაზე სახელმწიფოს მიერ განეულ ხარჯებს პრაქტიკულად არ გააჩნიათ ზეგავლენა ნებაყოფლობით უშვილობაზე [Liefbroer and Merz]. როდესაც საზოგადოების სოციალური ორგანიზაციის დონე ასეთ სტადიას აღწევს, შობადობის ძალიან დაბალი დონის გადალახვა პრობლემატური ხდება [Goldstein, Lutz and Testa, 2003].

1990-იანი წლებიდან ნიშანდობლივ დემოგრაფიულ მოვლენას სა-  
ქართველოში რეგისტრირებული ქორწინების გარეშე შობადობის მა-  
ტება წარმოადგენდა. 2006 წელს აღნიშნული კატეგორიის ბავშვების  
წილი (დაბადებულთა საერთო რაოდენობაში) 54.4%-ს შეადგენდა (De-  
mographic Yearbook of Georgia, 2013), რაც ევროპული მასშტაბით ერთ-  
ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო ესტონეთისა და შვედეთის  
შემდეგ. უკანასკნელ წლებში განხილული მაჩვენებელის წილი დაბადე-  
ბულთა საერთო რაოდენობაში შედარებით შემცირდა და 2012 წელს  
32.4%-ი შეადგინა (იხ. ცხრილი 2).

## ცხრილი 2

რეგისტრირებული ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების წილი  
დაბადებულთა საერთო რაოდენობაში მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყანაში  
და საქართველოში 1970, 1980, 1990, 2000 და 2012 წლებში

(პროცენტი)

ქვეყანა	წ ლ ე ბ ი				
	1970	1980	1990	2000	2012
ავსტრია	11.8	17.8	23.6	31.3	41.5
გაერთ. სამეფო	8.0	11.5	27.9	39.5	47.6
ბულგარეთი	8.5	10.9	12.4	38.4	57.4
დანია	11.0	33.2	46.4	44.6	50.3
იტალია	2.2	4.3	6.5	9.7	23.4*
ნიდერლანდები	2.1	4.1	11.4	24.9	45.3*
ნორვეგია	6.9	14.5	38.6	49.6	56.5
პოლონეთი	5.0	4.8	6.2	12.1	22.3
საფრანგეთი	6.8	11.4	30.1	42.6	55.8*
ფინეთი	5.8	13.1	25.2	39.2	41.5
შვედეთი	18.6	39.7	47.0	55.3	54.4
საქართველო	0.2	4.7	18.2	41.1	33.8

\*-2011 წელი.

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური;

[www.http://www.demoscope.ru](http://www.demoscope.ru); Recent Demographic Development in Europe, 2004.

მაგრამ, თუ აღნიშნული მაჩვენებელის დიფერენცირებულ ანალიზს მოვახდენთ, სიტუაცია მნიშვნელოვნად იცვლება. კერძოდ, ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების თანახმად, საქართველოში მხოლოდ დედის განცხადებით დაბადებული ბავშვების პროცენტული წილის ამპლიტუდა 1990-2012 წელს 2.5-დან 8.0%-ს შორის მერყეობდა, რაც საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ მარტოხელა დედების მიერ დაბადებული ბავშვების წილი (დაბადებულთა საერთო რაოდენობაში) არ განიცდიდა მნიშვნელოვან ცვლილებებს. ამ მაჩვენებელზე ყურადღებას იმიტომ ვამახვილებთ, რომ სწორედ აღნიშნული კატეგორიის მშობლების მიერ დაბადებული ბავშვები შეადგენენ რეგისტრირებული ქორნინების გარეშე დაბადებული ბავშვების უმთავრეს წყაროს.

საქართველოში ჩვენ 1997 წელს ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგად [წულაძე, მელაძე, 1998] გაირკვა, რომ რეგისტრირებული ქორნინების გარეშე დაბადებული ბავშვების მშობელთა მნიშვნელოვან ნაწილს (განსაკუთრებით კი ახალგაზრდა მშობლებს) მხოლოდ ჯვარი აქვთ დაწერილი ეკლესიაში. მიუხედავად ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის 2002 წელს დადგებული კონსტიტუციური ხელშეკრულებისა, აღნიშნული ქორნინებების რეგისტრაცია რიგი მიზეზების გამო ვერ ხერხდება. ამის გამო ამგვარ ოჯახებში დაბადებული ბავშვები ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებში აღირიცხებიან როგორც რეგისტრირებული ქორნინების გარეშე დაბადებულები, რაც, საბოლოოდ, არასრულ წარმოდგენას იძლევა აღნიშნულ სფეროში მიმდინარე პროცესებზე. აქედან გამომდინარე, რეგისტრირებული ქორნინების გარეშე დაბადებული ბავშვების წილი (დაბადებულთა საერთო რაოდენობაში) უფრო ნაკლები უნდა იყოს.

მეორე დემოგრაფიული გადასვლის მნიშვნელოვან ინდიკატორებს წარმოადგენს ქორნინებების მაჩვენებლების რაოდენობრივი კლება და განქორნინებათა მატების ტენდენცია, რაც წათლად დასტურდება დასავლეთის ქვეყნების მაგალითზე (იხ. ცხრილი 3).

### ცხრილი 3

ქორწინების და განქორწინების ზოგადი კოეფიციენტების დინამიკა  
მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყანაში და საქართველოში 1960-2012 წწ.

ქვეყანა	ქორწინების ზოგადი კოეფიციენტი (%)			განქორწინების ზოგადი კოეფიციენტი (%)		
	1960	1990	2012	1960	1990	2012
ავსტრია	8.3	5.9	4.6	1.14	2.12	2.00
ბელგია	7.1	6.5	3.6	0.50	2.04	2.50
ბულგარეთი	8.8	6.9	2.9	0.90	1.30	1.60
დანია	7.8	6.1	5.1	1.46	2.67	2.80
დიდი ბრიტანეთი	7.5	6.6	4.5*	0.49	2.93	2.10**
იტალია	7.7	5.6	3.4**	0.10	0.49	0.90*
ნიდერლანდები	7.7	6.5	4.7	0.49	1.90	2.00
ნორვეგია	6.6	5.2	4.9	0.66	2.40	2.00
პორტუგალია	7.8	7.2	3.4**	0.08	0.93	2.50**
პოლონეთი	8.2	6.7	5.3	0.50	1.11	1.70
საფრანგეთი	7.9	5.1	3.7	0.66	1.87	2.00**
უნგრეთი	8.9	6.4	3.6	1.66	2.40	2.20
შვედეთი	6.7	4.7	5.3	1.20	2.26	2.50
საქართველო	10.6	6.8	6.8	0.4	1.4	1.60

\*2010 წელი

\*\*2011 წელი.

წყარო: Demographic Yearbook of Georgia, 2013; [www.http://demoscope.ru](http://demoscope.ru);

საქართველოში 1960-2012 წწ. მართალია შემცირდა ქორწინების ზოგადი კოეფიციენტი, მაგრამ არა იმ დონემდე როგორც დასავლეთის ქვეყნებში. აღნიშნულ პროცესზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა 1990-იან წლებში არსებულმა სოციალურ-ეკონომიკურმა კრიზისმა და სხვა ცნობილმა მოვლენებმა, რის შედეგადაც ქორწინების ზოგადი კოეფიციენტი ცალკეულ წლებში ევროპაში დაფიქსირებულ მაჩვენებლებზე დაბალიც კი იყო. 21-ე საუკუნის პირველ წლებში იწყება კოეფიციენტის მატების პროცესი, რომლის მნიშვნელობამაც 2008 წლი-

დან 1990-იანი წლების დასაწყისის დონეს მიაღწია. ამჟამად მისი სიდი-დე დასავლეთის ქვეყნებთან შედარებით უფრო მაღალია.

რაც შეეხება განქორწინების სფეროში არსებულ ვითარებას, უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე საგრძნობლად გაიზარდა განქორწინების ზოგადი კოეფიციენტის მნიშვნელობები (იხ. ცხრილი 3). უახლოესი ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში 2012 წელს განქორწინების ზოგადმა კოეფიციენტმა 1.6 შეადგინა, რაც ჩვენი ქვეყნისათვის სარეკორდო მაჩვენებელს წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, ჩვენი ქვეყანა ჩამორჩება დასავლეთის ქვეყნებში დაფიქსირებულ იდენტურ მაჩვენებლებს.

საქართველოში ძალიან მაღალია აბორტების დონე. 2000-2012 წწ. 2.6-ჯერ გაიზარდა რეგისტრირებული აბორტების აბსოლუტური რაოდენობა, რომელმაც 2012 წელს 39.2 ათასი შეადგინა [Historical abortion statistics, Georgia]. ეს უკანასკნელი ყოველ 100 ცოცხლადდაბადებულ ახალშობილზე 69 აბორტის ტოლფასია, რაც საგრძნობლად აღემატება მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების მაჩვენებლებს. განსაკუთრებით საყურადღებო ფაქტია აბორტების მნიშვნელოვანი მატება 20 წლამდე ასაკის დედებში. განხილულ სფეროში მოღვაწე სპეციალისტების აზრით, აბორტების მაღალი მაჩვენებლები საქართველოში გამოწვეულია: პროფილაქტიკური გასინჯვების კულტურის არქონითა და სექსუალური კულტურისა და განათლების სიმცირით. აქედან გამომდინარე, საქართველოში დაბალია თანამედროვე კონტრაცეპტივების გამოყენების დონე. უახლოესი წლების მონაცემებით, საქართველოში ფერტილური ასაკის (15-19 წწ.) ქალების 35% იყენებდა თანამედროვე ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებს. დასავლეთის ქვეყნებში აღნიშნული მაჩვენებელი საშუალოდ 60%-ს შეადგენდა, ცალკეულ ქვეყნებში იგი უფრო მაღალ მნიშვნელობებსაც აღწევს (World Contraceptive Patterns 2013).

შესაბამისი დემოგრაფიული მაჩვენებლების განხილვის შედეგად შესაძლებელია აღინიშნოს, რომ მიუხედავად საქართველოს ზოგიერთი დემოგრაფიული მაჩვენებელის მსგავსებისა დასავლეთის ქვეყნებთან, იგი მეორე დემოგრაფიული გადასვლა საწყის ეტაპზე იმყოფება. აღნიშნული მოვლენა – მისი გლობალური მასშტაბებიდან გამომდინარე, მომავალში სულ უფრო საგრძნობი გახდება და მნიშვნელოვან როლს შეასრულებს საქართველოში მიმდინარე დემოგრაფიული პროცესებისა და დემოგრაფიული სიტუაციის ჩამოყალიბებაში.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ნულაძე გ., მელაძე გ. დემოგრაფიული ვითარება საქართველოში 1997. ობილისი, 1998: 32-37, 51-59.
2. Демографическая модернизация России: 1900-2000. П/р А. Вишневского. М., 2006.
3. Demographic Yearbook of Georgia (Tsuladze G., Maglaperidze N., Vachachkoria A.), Tbilisi, 2013.
4. European Demographic Data Sheet 2012. [http://www.oeaw.ac.at/vid/data-sheet/download\\_2012.shtml](http://www.oeaw.ac.at/vid/data-sheet/download_2012.shtml)
5. Goldstein J., Lutz W., Testa M. The Emergence of sub-replacement family size ideals in Europe // Population Research and Policy Review. 22(5-6). 2003.
6. Historical abortion statistics, Georgia. <http://www.johnstonsarchive.net/policy/abortion/ab-georgia.html>
7. <http://www.demoscope.ru/weekly/app/app4019.php>
8. Lestaeghe R. and D.van de Kaa. Twee Demografische Transities? // D.van de Kaa and R.Lestaeghe (eds), Bevoking:groei en krimp, Deventer:Van Loghum Stalerus, 1986.
9. Lestaeghe R.,Wilson C. Modes of Production , Secularisation, and the Pace of the Fertility Decline in Western Europe, 1870-1930, Working Paper, Bussels, 1978.
10. Liefbroer A., Merz E.M. Report on Analysis of ESS Data on Cross-National Differences in Perceived Norms Concerning Fertility-Related Behavior // <http://www.oeaw.ac.at/vid/repro/assets/docs>
11. Population of Georgia. State Department for Statistics of Georgia. Tbilisi, 2003. p. 36.
12. Recent demographic developments in Europe 2003; Council of Europe Publishing, 2004.
13. Van de Kaa D.J. Anchored Narratives: The Story and Findings of Half a Century of Research into Determinants of Fertility // Population Studies. 1996. Vol. 50. N3: 425.
14. Van de Kaa D.J. Europe's Second Demographic Transition // Population Bulletin. Vol. 42, No. 1, March, 1987.
15. Van de Kaa D.J. Options and Sequences: Europe's Demographic Patterns // Journal of the Australian Population Association. 1997. 14 (1): 1-30.
16. World Contraceptive Patterns 2013. <http://www.unpopulation.org>

**Giorgi Meladze**

Associate Professor

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**Georgia and Second Demographic  
Transition as a Global Phenomenon**

**Resume**

General reduction of the birth rate is a historically inevitable event attributable to the process of societal modernization. Among modern demographic challenges, low birth rate is the most important problem in the social-economic system of the developed countries of the world.

By the end of the 1960s, the total fertility rate in West Europe (mostly in Scandinavian countries) failed to provide replacement level of fertility (which was less than 2.1). Following the global scales of the said process, in the following decades, its geographical area expanded and in fact covered the whole of the developed world. At the beginning of the XXI century, a new term appeared “very low natality”. This is the term used for the countries with the total fertility rate less than 1.5.

The principal feature of the second demographic transition is the fall of the birth rate below the limit of the replacement level of fertility. In addition, its important determinants are: higher mean age of the first marriage, delay in marriage and birth-giving (what in respect of birth rate, is demonstrated in the increased indicators of older women), reduced number of registered marriages, increased ratio of single couples and co-life, widely spread modern contraceptives, increased number of the newborns without registered marriage in the total number of newborns (extra-marital births), increased rate of voluntary childlessness, etc.

Comparison of the demographic indicators of Georgia with Western analogues showed that despite the similarities between some Georgian and foreign demographic indicators, the second demographic transition is at its initial stage in Georgia. The mentioned phenomenon, following its global scales, will become more evident in the future and will play an important role in forming the demographic processes and demographic situation in Georgia.

**ადა ნემსაძე**  
ფილოლოგის დოქტორი  
შოთა რუსთაველის ქართული  
ლიტერატურის ინსტიტუტი, თსუ

**იმპერიული, საბჭოთა და პოსტსაბჭოთა  
სივრცის მხატვრული ტრანსფორმაცია  
ოთარ ჭილაძის „გოდორში“**

ოთარ ჭილაძის „გოდორი“ მრავალმხრივ საინტერესო რომანია თხრობის განსხვავებული ხერხებით, მძლავრი პუბლიცისტური ნარატივით, რეფლექსიებით, ცნობიერების ნაკადით და ა. შ. პრობლემატიკის ფართო სპექტრში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ქრონოტოპის პრობლემა, რაზეც მინიშნება უშუალოდ მხატვრულ ტექსტთან შეხვედრამდე, ჯერ კიდევ სათაურიდან იწყება. **გოდორი** უკვე სივრცეა, უფრო ზუსტად, მკაცრად შემოსაზღვრული სივრცის მიკრომოდელი. ახალი ქრონოტოპის მახასიათებლები რომანის პირველივე გვერდებიდან ჩნდება და მკითხველის თვალწინ ნელ-ნელა გამოიკვეთება მისი კონტურები. პირველი, რითაც ავტორი მკითხველს ამ სივრცის რაგვარობაზე მიანიშნებს, არის მწყემსი მოხევე, უძლური, სიმართლისშემცნობი და მაინც ვერაფრის გამკეთებელი, საკუთარი უძლურება და სისუსტე სატანჯველად რომ ქცევია. სემიოტიკურ აღმნიშვნელად მაინცდამაინც მოხევის არჩევა თავიდანვე აჩენს მეორეული სემიოტიკური სისტემის მყარ ქსოვილს, რომელშიც ილიას ბრძენი მოხევეც და რუსეთთან შეურიგებელი ალ. ყაზბეგის სახეც იმთავითვე ილანდება, მით უფრო, რომ ავტორიც იძლევა ამის საბაბს: ულონო მწყემსი თავის ჩვენებებში ხშირად ხედავს „მოხევეების ნამდვილ გულშემატკივარსა და ერთადერთ ქომაგს“, რომელიც, კარგა ხნის გარდაცვლილი და ან უკვე მკვდრეთით აღმდგარი, ლექურს უვლდა და „მზეზე აბრჭყვიალებულ სანჯლებს ზედიზედ ასობდა „სცენის“ დამპალ იატაკზე“ (ჭილაძე 2006: 18).

ასე გადაგვარებულსა და დაკნინებულ ერს დიდი ხნის ლოდინი აღარც დასჭირვებია, ისე ამოყო უეცრად თავი სრულიად სხვა სივრცეში, ასევე დეფორმირებულში, გადაგვარებულსა და თავისუფლებაშეზღუდულში. ეს უკვე რაჟდენ კაშელის პერსონალური სივრცე-გოდორია: „რუსეთის იმპერიის უკანა ხვრელიდან მალე საქართველოს ახალი სახეობა უნდა დაბადებულიყო და ის ბიჭიც იმ საქართველოს-თვის ჰყავდა განკუთვნილი განგებას. იმ საქართველოში უნდა გამოეჩინა გოდორში შეძენილი მიდრეეკილებები“ (ჭილაძე 2006: 20). რაჟდენ კაშელის ამ პერსონალური სივრცის საზღვრები მალე ისე გაფართოვდება, რომ მთელი ერის საარსებო არეალად იქცევა. გოდორი არის მიკრომოდელი იმ სივრცისა, რომელშიც, ნებით თუ უნებურად, თავისი უნიათობითა თუ საკუთარი შვილების დახმარებით, ან იქნებ სულაც ბრძან ბედისწერის წყალობით, კიდევ ერთხელ ამოყო თავი საქართველომ XX საუკუნის დასაწყისში.

საკმაოდ რთულია ოთარ ჭილაძის მხატვრული სამყაროს ქრონოტოპული მოდელის ახსნა-გაანალიზება. ზოგადად, რომანის პოლიფონიურ სისტემაში დროსისვრცული პრობლემატიკა ერთ-ერთი ყველაზე რთული და მნიშვნელოვანი კომპონენტია. ქრონოტოპის თეორიის დამაარსებელი მ. ბახტინი წერს: „ქრონოტოპი განსაზღვრავს ლიტერატურული ნაწარმოების მხატვრულ მთლიანობას და მის დამოკიდებულებას რეალური მოქმედებისადმი... იგი არის დროის მატერიალიზაცია სივრცეში. რომანის ყველა აბსტრაქტული ელემენტი – ფილოსოფიური და სოციალური დისკურსი, იდეები, მოვლენებისა და მათი შედეგების ანალიზი და ა. შ. – ქრონოტოპის საშუალებით ისხამს ხორცს და ივსება სისხლით. ასეთია ქრონოტოპის მხატვრული მნიშვნელობა“ (Бахтин 1973). ოთარ ჭილაძის განსახილველ რომანშიც უმთავრესი ადგილი უჭირავს საქართველოს სივრცობრივი ორიენტაციის გარკვევას. ავტორისა თუ პერსონაჟთა ვრცელი მონოლოგები, პუბლიცისტური ჩანართები, ფაქტებისა და მოვლენების სიმბოლიზაცია, ასევე სიმბოლურ პერსონაჟთა შემოყვანა თხრობაში სწორედ ამის გარკვევას ისახავს მიზნად.

როგორც მკვლევარი მ. კვაჭანტირაძე აღნიშნავს, „ოთარ ჭილაძის სამყაროს იერარქიაში გამოიყოფა გარეკოსმოსი და შიდაკოსმოსი. მათი მნიშვნელობები და ფუნქციები განუწყვეტლივ გადადიან ერთმანეთში. გარეკოსმოსის რღვევა ბუნებაში მომხდარი ცვლილებებით იწყება, სახელმწიფოსა და ოჯახის დონეზე გრძელდება და პიროვნე-

ბის შინაგანი გახლეჩით, ანუ შიდაკოსმოსის ნგრევით სრულდება“ (კვაჭანტირაძე 2001: 228). ამ მხრივ არც ეს რომანია გამონაკლისი. „გოდორის“ ქრონიტოპი გადალახავს რეალობის საზღვრებს და მარა-დიულ, უდროო დრო-სივრცედ მოიაზრება. იგი XV საუკუნეში რომის პაპის, პიოს, მიერ გამოგზავნილი „დიპლომიანი დესპანით“, „ქვეყნი-სათვის შეუცვლელი პერსონა გრატა“ ლუდოვიკო ბოლონიელით იწყება და XX საუკუნის ბოლო ათწლეულით მთავრდება (თუმც ეს ისტორიული დრო და საზღვრები რომანში უსასრულოდაა გაწეული). აღმოჩნდა, რომ ბიზანტიის ოსმალთაგან გათავისუფლებაში დახმარების სათხოვნელად ჩამოსულ ლუდოვიკოს საქართველო თავის ადგილზე აღარ დაუხვდა. გამქრალი საქართველო თავისუფლებადაკარგული ერის მხატვრული აღქმაა, რომელიც ამის გამოა ამორიცხული სამყაროსული შემადგენლობიდან. მსოფლიო სივრცულ კონტინუუმში გაჩენილი ეს ცვლილება, მთელი სამყაროსთვის საგანგაშო ფაქტად აღიქმება. მთლიანობის რღვევა, თუნდაც უმნიშვნელოდ, უკვე რღვევაა, რასაც აუცილებლად ახალი გადანანილება მოჰყვება, რადგან ბუნება ცარიელ ადგილებს ვერ იტანს. ასე შეიცვალა თავისუფალი ერის საარსებო სივრცე გოდორით, „კონკლავი-გოდორით, რომელსაც თავისი შიგთავსიანად, როგორც მის მფლობელთ, წარმმართველთ, ხელმძღვანელთ სურთ, იქით გადააგორებენ, გადააგვარებენ, უფსკრულში გადაისვრიან, სულაც ისტორიის სანაგვეზე დაუსრულებელი დროით დაავანებენ“ (გენძეხაძე 2004: 10).

**გოდორი**, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არის მიკრომოდელი მკაც-რად შემოსაზღვრული სივრცისა, ოღონდ არა ყოველი მხრიდან. გოდორს აქვს ჭუჭრუტანები, რაც შიგნიდან გარესივრცის კონტროლის შესაძლებლობაზე მიუთითებს, პირიქით კი – კონტროლი გარედან შიგნით – შეუძლებელია, ამიტომ შიგნით ყველაფერი შეიძლება მოხდეს, ყველანაირი ბინძური ფიქრი და მიზანი შეიძლება გაჩნდეს, რაც ჩნდება და ახდება კიდეც მომავალში. გარდა ამისა, ესაა ერთი მხრიდან, ზემოდან თავისუფალი სივრცე, ეს გახსნილობა კი, თავის მხრივ, თავისუფლებისაკენ სწრაფვის შესაძლებლობას ტოვებს, რაც მოგვიანებით გამოვლინდება, კაშელთა მეოთხე თაობაში.

რომანი ერთი ოჯახის, კაშელთა საგვარეულოს ოთხი თაობის ამბავს გადმოგვცემს (უფროსი რაუდენ კაშელიდან უმცროს ანტონ კაშელამდე), თუმც ამით, როგორც რუსულმა სალიტერატურო კრიტიკამ რომანის რუსულად გამოქვეყნებისთანავე შენიშნა, მწერალი გვარის

ბედსა და ერის გზას უკავშირებს ერთმანეთს (ოგნევი 2004: 3). გვარის ისტორია კი გოდრიდან იწყება. ნიშანდობლივია, რომ მხატვრული ტექსტის დასაწყისში რეალური გოდორი, რომელშიც დედა სვამდა ხოლმე შვილს, ურიადნიკთან სასიყვარულო გართობის დროს ხელი რომ არ შეშლოდა, თანდათან მხატვრული სივრცის ამსახველ მთავარ სიმბოლოდ იქცევა. ის გოდორი, რომლიდანაც კაშელთა პირველი თაობა ამოიზარდა, მალე მთელი ერის იმპერიული მმართველობის მიერ დასაზღვრულ მიკროსამყაროდ ტრანსფორმირდა, რითაც ოთარ ჭილაძემ დამონებული ქვეყნის (სულერთია, ცარისტული თუ საბჭოთა იმპერიის მიერ) სივრცული მდგომარეობა გადმოგვცა.

სულიერი კრიზისი, ტრადიციების მსხვრევა, ღირებულებათა გაუფასურება, გაუკულმართებული ყოფა, ზნების ყოველგვარი ნორმის მოშლა და სამყაროში მარტოდ დარჩენილი ადამიანის ტრაგედია... – ეს ყველაფერი ამ სივრცის მახასიათებელი ნიშნებია, რომლებიც თავიდან კაშელთა გვარის, შემდეგ კი მთელი ერის უბედურებად იქცევა. ელიზბარის თანამედროვე საქართველო უკვე გოდრად ქცეული ქვეყანაა, მისი ყველაზე დიდი უბედურება კი „კაშელის თესლის აღზევებაა“ (ჭილაძე 2006: 276). მწერლის ეს ერთგვარი ფორმულა აკუსტიკურადაც და აზრობრივადაც იმეორებს ირაკლი აბაშიძის ცნობილ ფრაზას პაოლო იაშვილისადმი მიძღვნილი ლექსიდან – „კაენის სულის აღზევება“, რასაც ასოციაციურად გადავყავართ 20-იანი წლების ბოლშევიკური ბოროტების ხანაში. ამ პარალელს მყარი საფუძველი აქვს ტექსტშიც – უფროსი რაჟდენ კაშელის შვილი, უფროსი ანტონ კაშელი, 1921 წლის 25 თებერვალს იბადება გზაში, სოღანლულსა და ორთაჭალას შორის, პირდაპირ შარაგზაზე, ჯარისკაცების თვალწინ, როდესაც მისი მშობლები, მეთერთმეტე არმიის ჯარისკაცები, თბილისის ასაღებად მოდიან. ამის შემდეგ იწყება იმ თვისებების, შეხედულებების, ცხოვრების წესის დანერგვა ქვეყანაში, რაც გოდრიდან გამოჰყვა კაშელთა მოდგმას. ასე იქმნება გარყვნილების, ლოთობის, უზნეობის, უპასუხისმგებლობის სივრცე. ეს იგივე გოდორია, ისეთივე, როგორშიც მამამისი იჯდა, ოღონდ უფრო ფართო. ანტონ კაშელის „გოდორი“ ბოლშევიკების მიერ გაფართოებული სივრცეა, ახალი ბოლშევიკური საქართველო. არსებითად მხოლოდ გოდრის შიდასივრცის მოცულობა იზრდება, არსი კი უცვლელი რჩება. თუკი მამა მარტო იჯდა გოდორში და გარყვნილებასა და უზნეობას მის გარშემო არსებულ სივრცეში (დედისა და ურიადნიკის ცეკვით) სწავლობდა, ანტონ კაშელიც იმავე დღეშია,

იმავე ცხოვრებას უყურებს, ოღონდ ერთი განსხვავებით – იგი უკვე გარედან კი არ აკვირდება ამ ყველაფერს, არამედ შიგნიდან და, რა თქმა უნდა, მხოლოდ პასიურ მაყურებლადაც არ რჩება, რადგან მთელი საქართველო გოდორში მოქცეულა უკვე მასთან ერთად.

კაშელთა ყველა მომდევნო თაობისთვის გოდრიდან გამოყოლილი თვისებები დომინანტური ნიშნებია. XX საუკუნის მიწურულს კი ეს თვისებები უკვე მასობრივ სენად ქცეულა, უკვე განურჩევლად ბატონობს კაშელთა გენი მთელ ქვეყანაში: „რაუდენ კაშელი პიროვნება კი არა სისტემაა, გნებავთ, ზღაპრული დევის თავი – რამდენჯერაც არ უნდა მოიკვეთო, მაინც ამოვა, ზუსტად ისეთივე და თანაც ახალი“ (ჭილაძე 2006: 219).

„გოდორის“ სივრცე რთულია, არაერთგვაროვანი. სივრცე-გოდრის ნაირსახეობებად აღიქმება რომანში შედარებით ფართო – ტრიფოლიატის მაღალი ღობით შემოზღუდული ეზო (მის ბინადარ ნოეს-თან ერთად) და უაღრესად ვიწრო – ჭუპრი (რომლიდანაც ვერაფრით გამოიძრა პეტელა). ტრიფოლიატის მაღალი და ეკლიანი ღობით შემოზღუდული ეზო თავისუფალი, მენშევიკური საქართველოს სივრცული სიმბოლოა, რომელიც, პირველ რიგში, ეზოს პატრონის სიმხდალეს უსვამს ხაზს, რომელსაც, თავის ვიწრო ნაჟუჭში შეკეტილს, მემუარების წერა ჰქონდა გადაწყვეტილი, დრო რომ მის სასარგებლოდ არ შემოტრიალებულიყო. ეს სივრცე თავისი მახასიათებლებით ბევრი რამით ჰგავს გოდორს, ორივეს ზემო მხარე აქვს თავისუფალი და ორივე საიმედო დამცველია შიგნით მყოფთათვის, განსხვავება მხოლოდ მათ მოცულობაშია, ტრიფოლიატის ღობე თავისუფლების მეტ შეგრძნებას ბადებს ადამიანში, ვიდრე გოდორი. ამ მხატვრული სახეებით მწერალი ბოლშევიკური და მენშევიკური საქართველოს არსობრივ მსგავსებას გახაზავს, რომლებიც ასევე ერთნაირად უპირისპირდებოდნენ ერის ნამდვილ მამას და ჭირისუფალს. „მაშინვე მომრავლდებოდნენ და აფუთფუთდებოდნენ სოციალ-დემოკრატები, იგივე ბოლშევიკები და იგივე მენშევიკები, და ქართველთა გადამრჩენელი ნოეც მაშინვე მოიმარჯვებდა შალაშინსა და ხელეჩის, ვითომ ახალი კიდობნის შესაკონინებლად, სინამდვილეში კი ისტორიის ჩაყვითლებულ ფოლიანტებზე საქართველოს დანატოვარი ნებისმიერი კვალის მოსასპობად. პირველ რიგში კი, ილია ჭავჭავაძეს დაეძგერებოდა, მოჩეუბარი მამალივით, და უნინდელი საქართველოს ნეშტის ძლივს მოგროვილ ნაწილებს დააყრევინებდა ხელიდან“ (ჭილაძე 2006: 21).

რომანში მოცემული მხატვრული სივრცე უამრავი სხვადასხვა სახის, ფორმის და რაგვარობის მდგენელისგანაა აგებული. იქნება ეს მოწნული გოდორი თუ ტრიფოლიატის მაღალი ღობით შემოზღუდული ეზო, დაჭუპრებული მატლი თუ ჰაერს მოდებული მუმლი, ქვიშეთის მშობლიური ციხე თუ მაყვლოვანი... მათ შორის აშკარად ბატონობს უარყოფითი სიმბოლური ხატები, რითაც ოთარ ჭილაძე, ზოგადად, როგორც იმპერიული, ისე პოსტიმპერიული სივრცის ფორმირებას ახდენს. რომანის ქრონოტოპულ სტრუქტურაში ეს ერთი სივრცეა, არც ცარისტული თუ საბჭოთა და არც პოსტსაბჭოთა სივრცეები ერთმანეთისგან არ განსხვავდება. სივრცული სიმბოლოები ავსებენ ერთმანეთს, ეწყობიან, უთავსდებიან ისე, თითქოს თავიდანვე შესაძლებელი ყოფილიყოს მათი ერთად არსებობა (მაგალითად, გოდრისა და მაყვლოვანის) და სწორედ ამ შენყობა-შეთანხმებით იხატება ის სულისშემხუთველი გარემო, რომელშიც სუნთქვაც ჭირს და მხედველობაც. ამის ყველაზე ხელშესახები სიმბოლური გამოხატულებაა **მუმლი:** „მუმლი კიდევ ცალკე! რაუდენი კი არა, ტასო ძალია გაშტერებული, დედის ტოლა ქალი, მსგავსიც არაფერი მინახავსო, პირჯვარს იწერს განუწყვეტლივ... ამერიკელებისაგან ყველაფერია მოსალოდნელი. იქნებ ბაქტერიებს ავრცელებენ?! რა არ შეიძლება?! თუ არ იკადრებენ?! ალბათ მუმლის განსაკუთრებული სახეობა გამოჰყავთ საამისოდ. მართლაც, უცნაური მუმლია, მსხვილი, დონდლო, წყლიანი... ავადმყოფური. მუმლი-რაკეტა. ბატერიომზიდი. ჩვენებური ბევრად უფრო წვრილია და მოუხელთებელი“ (ჭილაძე 2006: 64). რომანში ზეცასა და მიწას შორის არსებულ სივრცეს ჰაერი კი არ ავსებს, რომელიც სუნთქვის ერთადერთი საშუალებაა და ბუნებრივი, ჯანსაღი გარემოს ერთ-ერთი მკაფიო ნიშანი, არამედ მუმლი. „მარტო კაშელების აგარაკი კი არა, მთელი საქართველო მუმლით იყო სავსე. საითაც არ უნდა გაგეხედათ, მუმლით გასქელებული და განებილი ჰაერი მდუღარე ბადაგივით იბუშტებოდა, ლივლივებდა, ბრუნავდა... ქვიშეთიდან თბილისამდე მუმლის ერთი უწყვეტი და უკიდეგანო მდინარე მიაცილებდა მათ მანქანას, ხოლო, მეორე, ზუსტად ისეთივე, წინ ხვდებოდა, გზას ულობავდა, აკავებდა შეძლებისდაგვარად, და, ამავე დროს, უდრტვინველად, თითქოს მოუთმენელი სიხარულითაც ესრისებოდა ზედ მანქანის საქარე შუშას... მანქანაშიც ისევე ირევა, როგორც მანქანის ირგვლივ. არც მის დახოცვას აქვს აზრი და არც მანქანიდან მის განდევნას“ (ჭილაძე 2006: 78-79). ეს განსაკუთრებული სახეობის მუმლი, რომელიც ისტორიული მესხიერების ულრმეს შრეებს აცოცხლებს და ერისთვის საფრთხის შემცველ მინიშნებას შეი-

იმპერიული, საბჭოთა და პოსტსაბჭოთა სივრცის  
მხატვრული ტრანსფორმაცია ოთარ ჭილაძის „გოდორში“

ცავს, არაჯანსაღი და შეხუთული სივრცის ერთ-ერთი მკაფიო ნიშანია. ამიტომაცაა მისით ამოვსებული ყველაფერი: ეზო, სახლი, მანქანა... მეტიც, ეს მუმლი მოუშორებელი ჭირია, რადგან არა მარტო გარს ახვევია, სულშიც კი შეუძვრა ადამიანს და მისგან გათავისუფლებას ვეღარ არხერხებს. თუკი რომანის დასაწყისში სივრცის დომინანტური ნიშანი სისხლია (პირდაპირი მნიშვნელობით, ჯერ 20-იან წლებში ახალი წყობის დამკვიდრების საფუძვლად, შემდეგ კი 30-იან წლებში ამ ახალი წყობის ფესვების მოსაძლიერებლად წყალივით დაღვრილი), გარკვეული ხნის შემდეგ (რომანში უკვე 90-იანი წლებია) იგი მუმლად იქცევა. ბუნებაში, სიკეთისა არ იყოს, არც ბოროტება იკარგება უკვალოდ, წინაპართა მიერ დაღვრილი უდანაშაულო ადამიანთა სისხლი შვიდი ათეული წლის შემდეგ მუმლის სახით უხუთავს სულს კაშელთა მეოთხე თაობას. სისხლისა და მუმლის იდენტიფიკაციისთვის მათი საერთო მახასიათებლებიც გამოდგება – ორივე სქელია, წებოვანი, მისგან გათავისუფლება შეუძლებელია, სულს გიხუთავს, სუნთქვასა და ხედვას გიმლის... ეს საერთო ნიშნები ერთი მნიშვნელოვნი ხატის განსხვავებული ვარიაციებია ან, უკეთ რომ ვთქათ, ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემის სხვადასხვა კოდური ნიშნებია. ამ ყველაფრის მიზეზი კი კაშელთა ოჯახში საფუძველჩაყრილი ცოდვაა, რომელიც გოდრიდან დაიწყო ოდესლაც და, საბოლოოდ, ყველაზე მიუტევებელი, წარმოუდგენელი და ამაზრზენი სახე მიიღო – ინცესტი. ამიტომაცაა, რომ მუმლის გაჩენა და რაჟდენ კაშელის თავში საკუთარი რძლის გაბახების გადაწყვეტილება დროში ერთმანეთს ემთხვევა.

„მუმლი მუხასა გარს ეხვეოდა“ – ხალხური ლექსის ეს სტრიქონი, რომელსაც თავისდაუნებურად, უაზროდ იმეორებს თაფლობის თვის ბოლო დღეს ქვიშეთიდან მომავალი ანტონი, პირდაპირ ხვდება ლიზიკოს გულს. ლიზიკო ანტონისთვის სწორედ რომ მუხაა, მისი სიძლიერეა, მისი ოჯახის ბურჯი და სინდისია (ქალის ეს განსაკუთრებული ფუნქცია – მორალის, ზნეობისა და ოჯახური სინმინდის გადატანა – ოთარ ჭილაძის მხატვრული სისტემის ერთ-ერთი მყარი მარკერია). ამიტომ სიმბოლური ნომინაცია მუმლი ამ კონტექსტში მამამისსაც მოიცავს სხვა ბევრ მნიშვნელობასთან ერთად. რაჟდენ კაშელი – საკუთარ მუხას შემოხვეული მუმლია. ამას უკვე გრძნობს ლიზიკო, ამიტომაც გაქცევის სურვილიც სპონტანურად უჩნდება. მაგრამ ამ სულისშემხუთველი სივრციდან გაქცევის ეს პირველი მცდელობა, როდესაც ჯერ კიდევ შეუჩერებელი მანქანიდან გადამხტარი ლიზიკო მაყვლოვანში შევარდება, კრახით მთავრდება. მაყვლოვანი რომანში ამ მუმლით გაჯერე-

ბულ სივრცეში ერთადერთი სუფთა ადგილია. „ლიზიკო მაყვლოვანში შევარდება, დაუფიქრებლად შეუვარდება ქვეშ ათასნაირად დახლართულსა და დაგრაგნილ ბუჩქებს, როგორც თვითმკვლელი – მატარებელს...“ (ჭილაძე 2006: 86). გადარჩენის ინსტიქტით ნაკარნახევი ეს თავგანწირული შევარდნა, ღვთისმშობლის კალთის ქვეშ შეფარების არაცნობიერი გამოვლენაა. ძველი აღთქმის მიხედვით, ალმოდებული ბუჩქი, რომელშიც უფლის ანგელოზი ცეცხლის ალად გამოეცხადა მოსეს, სწორედ მაყვალი იყო: „გამოეცხადა უფლის ანგელოზი ცეცხლის ალად შუაგულ მაყვლოვანში. ხედავს, ცეცხლი უკიდია მაყვლოვანს, მაგრამ არ იწვის მაყვლის ბუჩქი“ (გამოსვლა 3. 2). ახალ აღთქმაში კი იგი ქალწულ მარიამის სიწმინდის სიმბოლოდ მოიაზრება: მან გაუძლო ღვთაებრივი სიყვარულის ალს და არ დაინვა ვნებისაგან (Ежевика 2012). მაყვლოვანი მუმლით გაჯერებული სივრცის ოპოზიციად მოიაზრება რომანის ტექსტში, მაგრამ სივრცის გარდაქმნას იგი ვერ ახერხებს, მუმლის „წყალობით“ უარყოფითად ფორმირებული სივრცე მეტისმეტად მძლავრ დადებით საწყისებს საჭიროებს, მხოლოდ მუხა და მაყვლოვანი სივრცის რაგვარობის რადიკალურად შეცვლისათვის არასაკმარისია. ის კი არა, გამეფებული ბოროტება თავად მაყვლოვანს აქცევს ამბივალენტურ სიმბოლოდ. გადასარჩენად შემძვრალი ლიზიკოსათვის იგი ახალ განსაცდელად იქცევა – „თითქოს ეკლის ურჩხულის საშოდან არანაკლებ ეკლიანი მისი ნაწილი ამოიყვანეს“ (ჭილაძე 2006: 192). ზოგადად, ეკლიან საგნებს სიმბოლოლოგიაში საერთო სემანტიკური მნიშვნელობები გააჩნიათ. მათ ერთდროულად აქვთ როგორც ზიანის მიყენების – დაჭრის, დაკანვრის, სხეულში შეღწევის, ტკივილის, ისე დამცველობითი ფუნქციაც (Колючестъ 2012). ამ სიმბოლოში საბჭოთა თუ პოსტსაბჭოთა საქართველოს ყველა ტრაგედია ერთად აისახა: რწმენის კრიზისი, ღვთაებრივი საწყისისაგან მოწყვეტა, ამ ყველაფრის წყალობით კი უკიდეგანო და უსიყვარულო სამყაროში ჩაკარგვა საბრალო ადამიანისა, რომლისთვისაც გვერდით მდგომი მეორე ადამიანი მხოლოდ მგელია. ამ უმნეო მდგომარეობის გაზრებას მიჰყავს სწორედ ლიზიკო თვითმკვლელობამდე, ანტონი კი – მამის-მკვლელობამდე.

ოთარ ჭილაძის მხატვრულ სამყაროში გადარჩენა ერთ-ერთი მთავარი კონცეპტია. ეს ვერბალური აღმნიშვნელი სხვადასხვა რომანში განსხვავებულ კონტექსტში წარმოჩნდება და ხსნის გზას გვთავაზობს. გადარჩენის ერთ-ერთი პირობა მამა-შვილის ერთიანობაა. ამით გაძ

ლიერებული მომავალი თაობა ახერხებს სწორედ თავის დაღწევას გან-  
საცდელისაგან. მაგრამ ამ რომანში ცოტა განსხვავებული სურათი  
გვაქვს. კაშელთა მოდგმა ერის ხორცშესხმული ცოდვაა. ამიტომ ამ  
ცოდვისგან განწმენდა მხოლოდ გოდრის საგვარეულოსგან გათავი-  
სუფლებით შეიძლება. ეს ანტონმა უნდა გააკეთოს, მან უნდა გადაწყ-  
ვიტოს, ვინ იქნება – „მატლი თუ მატლის პეპელა, გვარის გამგრძელე-  
ბელი თუ გვარის მესაფლავე“ (ჭილაძე 2006: 179). აქ მწერალი კიდევ  
ერთ სივრცულ სიმბოლოს ქმნის, უფრო სწორად, არა ერთ სიმბოლოს,  
არამედ ზოომორფულ ტრიადას: მატლი-ჭუპრი-პეპელა. ეს კაშელების  
დინასტიის სახეა, მათმა სამმა თაობაში მატლობაში გაატარა ცხოვრე-  
ბა. მერამდენე თაობაში გაკეთილშობილდებიან ისინი? რამდენი თაო-  
ბის მსხვერპლია ამისათვის საჭირო? როდის მოევლინება ერს პეპელა  
– „წინამორბედის სიკვდილით გაკეთილშობილებული მატლი“? „თავი-  
სუფლებამდე ჯერ კიდევ შორია. მატლი კი გაჭუპრდა, მაგრამ ჭუპრი-  
დან პეპელა ჯერ არ ამოფრენილა... იქნებ შენ ხარ ის პეპელა, ჰა?!“ (ჭი-  
ლაძე 2006: 301) – ეკითხება ელიზბარი ანტონს. მან იცის, რომ „უბრა-  
ლო სისხლისგან“ თავისუფალი, გვარის ყველაზე უცოდველი შვილი  
შეძლებს ცოდვების ტვირთებას. ანტონი საკმარისად მოამზადა მისმა  
საუბრებმა და გიუი ნიკოლოზის მიერ მიცემულმა წიგნებმა ამისათვის.  
და თუმც თვით ანტონი არ მიიჩნევს თავს პეპლად – „მატლი ნამდვი-  
ლად ვარ... ბავშვობიდანვე მატლის მხარეზე ვიყავიო“ (ჭილაძე 2006:  
301) – იგი მაინც იმედია შერყვნილი, ზნეობადაკარგული, სულიერ  
კრიზისში ჩავარდნილი ერისა. ამიტომ უწოდებს მწერალი მას „გაჭუპ-  
რებული მამიდან ამოფრენილ პეპელას“.

ანტონი, კაშელთა მოდგმაში ყველაზე წესიერი და პატიოსანი ადა-  
მიანი, ბავშვობიდანვე გაუუცხოვდა იმ სივრცეს, რომელშიც უწევდა  
ცხოვრება. და თუკი ეს გაუცხოება თავიდან არაცნობიერ, ინსტიქტურ  
დონეზე იყო, ასაკის მატებასთან ერთად თანდათან ახერხებდა, რაცი-  
ონალურად აეხსნა იგი. ლოგინში, საბანში თავჩარგული, ფარნის შუქ-  
ზე კითხულობდა ელიზბარის მიცემულ წიგნებს, რითაც იმ რეალურ  
სამყაროს გაურბოდა, რომელშიც მისი ნების საწინააღმდეგოდ უწევდა  
ცხოვრება. სამაგიეროდ, თანდათან მთელი სიმძაფრით გრძნობდა  
გოდრიდან მომდინარე სიმყრალეს. გოდორი, „ცოდვისა და სიბილნის  
მოზღუდული სივრცე, საიდანაც ქვეყნიერებაზე ლპობის სუნი ვრცელ-  
დება“ (კვაჭანტირაძე 2004), მისი სახლია, რომელიც ციხედ ექცა. სწო-  
რედ ამ ციხის პატიმარი იყო 23 წლის განმავლობაში, სანამ იმ შემზა-

რავმა სცენამ, საკუთარი სახლის სამზარეულოში რომ წაწყდა, საბოლოოდ არ აუხილა თვალი.

ანტონი მამისთვის შტერია, ელიზბარისთვის კი – ერთადერთი წესიერი ადამიანი კაშელთა სამხეცეში. „უსამშობლოდ გაიზარდა, თუმციფეხიც არ გაუდგამს სამშობლოს გარეთ. უბრალოდ, ისე კარგად შეუნილბეს უფროსებმა სამშობლო, ვერ მიაკვლია, როგორც შავ კატას ბნელ ოთახში“ (ჭილაძე 2006: 161), – ამბობს მის შესახებ ელიზბარი.

ანტონი ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული პერსონაჟია რომანში, რადგან წინაპართა ცოდვებით დამძიმებული ცხოვრების ზიდვა უნევს. პირად ტრაგედიას (მამამისისა და მისი ცოლის ურთიერთობა) სწორედ ეს უმძიმესი ტვირთი – წინაპართა ცოდვების შეგრძნება და უსამშობლობა ამძაფრებს (მარტოობამ ამოათქმევინა გალაკტიონს „ჩემს სამშობლოში მე მოვგლე მხოლოდ უდაბნო, ლურჯად ნახავერდები“, ერთი საუკუნით ადრე კი უსიყვარულობისგან დატანჯული ტატო ბარათაშვილი ასე მოთქვამდა საკუთარ უბედურებას: „ვპოვე ტაძარი შესაფარი, უდაბნოდ მდგარი“). ლიზიკოს სიყვარული იყო მისთვის სწორედ ის ტაძარი, „შესაფარი, უდაბნოდ მდგარი“, რომელიც ისევე სწრაფად გაქრა, როგორც ზემოსხენებულ ლექსში და სიყვარულის ტრაგედიამ გაუსაძლისი ტკივილით აავსო მარტოდმარტო დარჩენილი ანტონის ცხოვრება. ელიზბარის სიზმარში, რაც რომანის ტექსტში წარმოსახული სამყაროა, თუმცი ყველაზე მეტად შესაფერისი რეალობისათვის, ანტონი ჰერში მოტივტივე თოკზე გამობმული ფრანია. „ცაში ავფრინდე და იქაც დამაბან?!” (ჭილაძე 2006: 166) – ლიზიკოს ეს აღშფოთებული შეძახილი ანტონის რეალური ცხოვრების შეფასებაა. თუმც ამ უკანასკნელის ბრალი ამ „დაბმაში“ მინიმალურია, ცოდვებით დამძიმებული გვარის შვილობა უსპობს მას ჰერში თავისუფლად ფრენის საშუალებას.

ანტონი პირველი იმედის სხივია გოდრის მოდგმაში, რომელიც საკუთარი მამის მოსაკლავად შემართავს ცულს, რათა ერთხელ და სამუდამოდ დაასრულოს სიბილნისა და უსამართლობის ის მორევი, რაშიც მთლიანად იყო გადაშვებული კაშელთა ყველა წინა თაობა. „ჭუპრიდან ჰეპლის ამოფრენა, უპირველეს ყოვლისა, მატლის სიკვდილის მაუნყებელია. ჰეპელა სულივით უნდა ამოხდეს მატლს, ამ შემთხვევაში, შვილი – მამას, და ასე უნდა დამთავრდეს მატლის მიწიერი არსებობა, მისი მატლობა...“ (ჭილაძე 2006: 175). ამრიგად, იმ დიდი ბოროტების ამოსაშანთად, რასაც კაშელობა ჰქვია, ერთადერთი გამოსავალი სისხლის დაღვრაა, ოღონდ ეს აუცილებლად ისევ კაშელმა უნდა გააკეთოს, მან

უნდა მოსპოს საკუთარი ხელით საკუთარი გენი, რათა სამუდამოდ ამოიძირკვოს მიწიდან თუ მიწის პირიდან გადაგვარებულ ადამიანთა სახსენებელი. მაგრამ, მეორე მხრივ, მამისმკვლელობა უპატიებელი დანაშაულია, უდიდესი ცოდვა, ჩადენილი შთამომავლობის წინაშე. ამიტომ ანტონ კაშელი თვითონვე ართმევს საკუთარ თავს შთამომავლობის დატოვების უფლებას, ყოველ შემთხვევაში, თუ არ უნდა, ბოროტებამ ოდესმე ისევ შეისხას ფრთები, თვითონ უნდა დაამთავროს ამ ცოდვიანი დინასტიის არსებობა. აქედან გამომდინარე, ანტონი ერთდროულად უდიდესი მისითაც არის აღჭურვილი და უდიდესი სასჯელითაც დასჯილი – მან ბოროტება უნდა ამოიძირკვოს და შემდეგ თვითონაც შეენიროს მსხვერპლად. სხვა გზა ერის გადასარჩენად არ არის. მატლიდან ამოფრენილმა პეპელამ (შვილმა) უნდა მოკლას მატლი (მამა), მაგრამ თავადაც პეპლად გარდასახული უნდა მოკვდეს, პეპელასავით სამ დღეში. მართალია, საკუთარ წარმოსახვაში, მაგრამ ანტონი მაინც კლავს მამას, მერე კი განსაწმენდად მიდის ომში. „ანტონი უნდა გადარჩეს. აუცილებლად უნდა გადარჩეს. ამ ომს თუ აუღო ალღო და გაითავისა, გადარჩება. განიწმინდება ცეცხლითა და მახვილით. ცეცხლითა და მახვილით მოინათლება ახალი ცხოვრებისათვის“ (ჭილაძე 2006: 327), – ფიქრობს ელიზბარი, მაგრამ ანტონი აფხაზეთში იღუპება სნაიპერის ტყვიით. მართალია, იგი ვერ კლავს მამას, მაგრამ სამაგიეროდ მაინც ანადგურებს კაშელთა მოდგმას საკუთარი სიკვდილით. ასეთია რომანის მკაცრი განაჩენი. ასეთია ერის გადარჩენის, მისი გოდრიდან გამოსვლის ერთადერთი გზა, უაღრესად მტკიცნეული, მაგრამ აუცილებლად შესასრულებელი: „აუცილებელია... სრულიად საქართველომ სასწრაფოდ მოიშალოს მუცელი... გაიკეთოს აბორტი, – დაუნანებლად, დაუნდობლად, როგორც არ უნდა დაირღვეს ჩვენი გენეტიკური ფონდი, გამოიფხიკოს თავისი წიაღიდან, იგივე წარსულიდან, ანუ გონებიდან, სულიდან – საიდანაც გნებავთ – კაშელის თესლი, ერთხელ და სამუდამოდ, უკუნითი უკუნისამდე, თუკი მართლა აპირებს გადარჩენას“ (ჭილაძე 2006: 233). „გვამის სუნში გაზრდილმა და გვამის სუნით გაჟღენთილმა“ ანტონ კაშელმა ეს გააკეთა საკუთარი სიკვდილით. მაგრამ ანტონის საქციელი ჯერ კიდევ არ არის გადარჩენის პირისა. სინაწულის გარეშე შეუძლებელია ცოდვებისგან გათავისუფლება. რომანის მთელი ტექსტი ტრაგიკული ეპოზოდების, ავტორისა თუ პერსონაჟთა ღრმა ინიციაციისა და საკუთარი თუ ერის ცოდვების გამომზეურების ასპარეზია. აქ მხოლოდ უზნეობა, ინცესტი, სი-

ძულვილი, სისასტიკე, ეგოიზმი, ტკივილი ჩანს. მშვენიერების სხივი კი მხოლოდ რომანის ბოლო ფურცლებზე გამოკრთება, როდესაც ფსიქი-ატრიულ საავადმყოფოში მოხვედრილი ლიზიკო, საკუთარ ცხოვრება-ზე ჩაფიქრებული, სინანულს იწყებს. „ეგ რომ კარგი ადამიანი არ იყოს, აქ მოსასვლელად არ გაუხდებოდა საქმეო... ეგაო, ეტყობა, ნამდვილი შთამომავალია თავისი წინაპრებისაო, აქ რო წინათ ხალხი ცხოვრობ-და, იმათიო“ (ჭილაძე 2006: 372), – ამბობს ლიზიკოს შესახებ ლუდოვი-კო, ფსიქიატრიული საავადმყოფოს პაციენტი, რომელიც, ამავე დროს, იმ ლუდოვიკო ბოლონიელის სიმბოლური სახეა, XV საუკუნიდან მოყო-ლებული რომ დაეძებს უცნაურად გამქრალ ქართველ ხალხს.

ასეთი რთული სტრუქტურისაა ოთარ ჭილაძის უკანასკნელი რო-მანი, რომელშიც უმთავრეს და უნიკალურ სემიოტიკურ აღმნიშვნე-ლად **გოდორი** გვევლინება: იგი ჯერ იმპერიის ფარგლებში მოქცეული ქართული სივრცის მხატვრული სახეა, შემდეგ კი გაცილებით გაფარ-თოებული სივრცულადაც და შინაარსობრივადაც, საბჭოთა და პოს-ტიაბჭოთა სივრცისა. მისი წაშიერები ამ შეზღუდული სივრცის მიერ გამომუშავებულ მთავარ ნიშნებს ატარებენ: პიროვნული სისასტიკე, მუდმივი ზრუნვა თავდაცვაზე, უზნეობა და მორალური პრინციპების სრული იგნორირება. სულისშემსუთველი სივრცის გარღვევას მხო-ლოდ უმცროსი ანტონ კაშელი ახერხებს, რაც შეეხება მშვენიერების დაბრუნებას – მატლის პეპლად ქცევას – ამას, ალბათ, ერთი ან ორი თაობის შეგნებული და სინაულით აღსავსე ცხოვრება მაინც დასჭირ-დება. ამის იმედს ტოვებს თავის მოკვლის მსურველი, მაგრამ გადარ-ჩენილი და საკუთარ (ერის) ცოდვებზე ჩაფიქრებული ლიზიკოს მხატ-ვრული სახე და ლუდოვიკო ბოლონიელის ლექსი, რომლითაც მწერალი რომანის ბოლო ფურცელს ხურავს:

„სამარადისოდ და უკვალოდ ის ქრება მხოლოდ,  
რის დაკარგვასაც ვეგუებით... მაგრამ თუ ვიგრძნობთ,  
რომ ჩვენს სიცოცხლეს უიმისოდ აზრი არა აქვს,  
ისიც ბრუნდება, უფრო სწორად, კვლავ იბადება,  
და, ერთ დღეს, როგორც წყლიდან მიწა, ან რძიდან ყველი,  
პირველყოფილი ბრწყინვალებით ამოიზრდება...“  
(ჭილაძე 2006: 381).

## გამოყენებული ლიტერატურა

1. **გენდებაძე 2004:** გენდებაძე ც. ლიტერატურული მერიდიანები. თბ.: 2004.
2. **კვაჭანტირაძე 2001:** კვაჭანტირაძე გ. წერილები ლიტერატურაზე. თბ.: 2001.
3. **კვაჭანტირაძე 2004:** კვაჭანტირაძე გ. განვითარების რომანები. (განთავსებულია 13 მაისიდან 2009); მის.: <http://burusi.wordpress.com/2009/05/13/მანანა-კვანტირაძე-გან/>.
4. **ოგნევი 2004:** ოგნევი ვლ. გვარის ბედი და ერის გზა. თარგმნა ა. ბუაჩიძემ. ქ. „არილი“. თბ.: 2004, №6.
5. **ჭილაძე 2006:** ჭილაძე ო. გოდორი. თბ.: „არეტე“, 2006.
6. **Бахтин 1973:** Бахтин М. *Формы времени и хронотопа в романе. Заключительные замечания*. 1973 г. მის.: [http://www.gumer.info/bibliotek\\_Literat/baht\\_form/10.php](http://www.gumer.info/bibliotek_Literat/baht_form/10.php)
7. **Ежевика 2012:** Ежевика. Краткая энциклопедия символов / Грефенштейн А. (Peter Greif). Peter Greif's Symbolarium. (г. Екатеринбург, 26 июля 2012 г.); მის.: <http://www.symbolarium.ru/index.php/Ежевика>.
8. **Колючесть 2012:** Колючесть. Краткая энциклопедия символов / Грефенштейн А. (Peter Greif). Peter Greif's Symbolarium. (г. Екатеринбург, 26 июля 2012 г.); მის.: <http://www.symbolarium.ru/index.php/Колючесть>.

**Ada Nemsadze**

Doctor of Philology

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature, TSU

### Artistic Transformation of the Imperial, Soviet and Post-Soviet Space in “The Basket” by Otar Chiladze

#### Resume

“The Basket” by Otar Chiladze is an interesting novel in many respects. It tells the story of four generations of Kasheli family, while the writer identifies the ways of the family and the nation. Within the context of wide range of issu-

es the problem of chronotope is of major significance and it is pointed out from the very beginning – the basket is a micro-model of the strictly limited space in which Georgia happened to be in the early 20<sup>th</sup> century. Chronotope of the novel passes beyond the limits of reality and transforms into the eternal time-space without time. Basket has an open lid and offers the chance for aspiration towards the freedom and which will be revealed later in the fourth generation of the Kashelis.

For each Kasheli generation the properties inherited from the basket are dominant ones and by the end of 20<sup>th</sup> century this turns into the national problem: crisis of spirituality, crush of the traditions, collapse of the values, becoming a pervert, elimination of all moral norms, including incest and tragedy of a person left alone in the world...

Space is perceived as some type of the basket in the novel relatively wide – the yard limited with the high fence of trifoliate and extremely narrow – chrysalis, expressed by zoomorphic triad: larva-chrysalis-butterfly. One more sign of the choking environment is the swarm of midges of particular type, reviving historical memory and contains hint on the danger of Eristavi.

The artistic space provided in the novel is built of the subjects of numerous different types, shapes and nature. Among them the negative symbols apparently dominate by means of which Otar Chiladze forms the imperial and post-imperial space.

In the family of basket the first beam of hope is Anton. He is bearing the greatest mission and greatest punishment simultaneously – he has to eradicate the evil at first and then be sacrificed.

The last novel by Otar Chiladze is of such complicated structure with the basket as main semiotic mark: at first it is the artistic image of Georgian space within the scopes of the empire and further – of the soviet and post-soviet space. Its main signs include: personal cruelty, permanent care for self-defense, dissoluteness and absolute negligence to the moral principles. Only young Anton Kasheli manages to break through the suffocating space and as for return of beauty – transformation of larva into the butterfly – perhaps, this would require regretful life of one or two generations. Character of Liziko, who attempted to commit suicide but survived and pondering over her own (nation's) sins leaves such hope.

**დალი ნიკოლაიშვილი**  
ასოცირებული პროფესორი, თსუ  
**რევაზ თოლორდავა**  
ასოცირებული პროფესორი  
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**სოფელ აიბგის ტერიტორიული  
მიკუთვნებულობის ისტორიული ანალიზი  
კარტოგრაფიული წყაროების მიხედვით**

**აქტუალობა.** რუკა ობიექტური რეალობის აღქმისა და შემეცნების, სივრცითი კანონზომიერების შესწავლის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. როგორც ალექსანდრე ასლანიკაშვილი წერდა, იგი ობიექტური რეალობის სუბიექტური ანასახია [ასლანიკაშვილი, 1968]. თუმცა ეს სუბიექტურობა არ ნიშნავს ინფორმაციის დამახინჯებასა და რეალობის არაადეკვატურად ასახვას. დანიშნულებისა და მასშტაბის შესაბამისად, რუკა მაქსიმალური სიზუსტით უნდა ასახავდეს ბუნების, მოსახლეობისა და საზოგადოების ამა თუ იმ თავისებურების ტერიტორიულ განაწილებას.

კარტოგრაფიული მეთოდის გამოყენებას დიდი ხნის ისტორია აქვს. ჯერ კიდევ დამწერლობამდე, პირველყოფილ საზოგადოებაში უნდა შექმნილიყო უმარტივესი კარტოგრაფიული გამოსახულებები – პრეისტორიული რუკები. ამ პერიოდიდან დაწყებული რუკებზე მოცემული ინფორმაცია მეტ-ნაკლებად ასახავდა რეალობას, ზოგჯერ კი იგი, ნებით თუ უნებლიერ, მცდარად იყო წარმოჩენილი. რუკათშექმნის პროცესისა და კვლევის კარტოგრაფიული ხერხების სრულყოფის პარალელურად თითქოს მიღწეულ უნდა ყოფილიყო მეტი სიზუსტე, თუმცა ის ხარვეზებისაგან მთლიანად თანამედროვე პერიოდშიც კი ვერ განთავისუფლდა. ამასთან, კაცობრიობის თითქმის მთელი ისტორიის მანძილზე რუკა ხშირად ქცეულა პოლიტიკური ინტერესების გამოხატვის ერთ-ერთ მძლავრ იარაღადაც კი. შესაბამისად, იქმნებოდა

არამართებულად გატარებული პოლიტიკური საზღვრები, რომლებიც ნაკლებად ასახავდნენ იმ დროის რეალურ სურათს. აქედან გამომდინარე, რუკა ერთი მხრივ, ასრულებს უმნიშვნელოვანესი და ღირებული წყაროს ფუნქციას, ხოლო მეორე მხრივ, არა მარტო ამახინჯებს რეალობას, არამედ თანამედროვე პერიოდშიც ქმნის პრობლემებს სამეცნიერო, კულტურული თუ პოლიტიკური თვალსაზრისით. სწორედ ამ ორ კონტექსტში შეიძლება განვიხილოთ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ადეკვატური ასახვა ძველ კარტოგრაფიულ წყაროებში. საკითხის შესწავლის აქტუალობას განსაზღვრას ისიც, რომ საქართველოს ტერიტორიის ამსახველი ძველი კარტოგრაფიული წყაროები ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი და გაანალიზებული, მიუხედავად იმისა, რომ მათზე ასახული ინფორმაცია ფასდაუდებელი განდისა სხვადასხვა დარგის სპეციალისტისათვის.

პოლიტიკური მნიშვნელობის მიუხედავად, ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შემუშავებული და მეცნიერულად დასაბუთებული სახელმწიფო საზღვრების ორგანიზების კარტოგრაფიულ-გეოდეზიური საფუძველი. კიდევ უფრო მცირეა იმ სამეცნიერო ნაშრომთა ნუსხა, სადაც აღნიშნული საკითხის მოგვარება ეფუძნება კადასტრული გეოინფორმაციული კარტოგრაფირების პრინციპს, ე.ო. იმ პრინციპს, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ნებისმიერი სივრცე-დროითი ცვლილების, კონტროლისა და ოპერატიული რეაგირების სისტემის შექმნა. სწორედ სუსტი მეთოდოლოგიური ბაზითაც შეიძლება აიხსნას მრავალი სადემილიტაციო და სადემარკაციო სადავო პრეცედენტების არსებობა თანამედროვე მსოფლიოში და, მათ შორის, საქართველოში [Nikolaishvili, Tolordava, 2013].

**კვლევის მიზანია კარტოგრაფიული წყაროების მიხედვით საქართველოს სახელმწიფო საზღვრის “აიბგის მონაკვეთის“ ტერიტორიული მიკუთვნებულობის ასახვის ანალიზი.**

XIX-XX საუკუნეების რთული გეოპოლიტიკური სიტუაცია, რომლის ფონზეც ყალიბდებოდა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო საზღვრები, მეტად ართულებს საკითხის შესწავლასა და მისი მართებული ანალიზის განხორციელებას. ეს სირთულე უკავშირდება ძველ კარტოგრაფიულ წყაროებში ასახული სწორი და დამახინჯებული ინფორმაციის ერთმანეთისაგან გამიჯვნას, რაც უნდა ეფუძნებოდეს მრავალმხრივ და კომპლექსურ კვლევებს.

**კვლევის მეთოდი და საწყისი მონაცემები.** კვლევა დაეფუძნა სხვადასხვა პერიოდში (უმთავრესად XIX-XX სს) და სხვადასხვა მეტ-რულ სისტემაში შედგენილი რუკების ურთიერთშედარებას. პირობითად ეს რუკები შეიძლება 3 ნაწილად დავაჯგუფოდ:

- XIX საუკუნის კავკასიისა და მიმდებარე ტერიტორიების (საქართველო, აზებაიჯანი, სომხეთი, რუსეთის სამხრეთი ნაწილი, თურქეთისა და ირანის ჩრდილოეთი ნაწილები) სამხედრო-ტოპოგრაფიული რუკები, შედგენილი კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის ტოპოგრაფიული განყოფილების მიერ რეგიონში ჩატარებული გეოდეზიური, ტოპოგრაფიული და ასტრონომიული სამუშაოების საფუძველზე. ეს რუკები სხვადასხვა მასშტაბისაა და შესრულებულია ძველ რუსულ მეტ-რულ სისტემაში (1, 2, 3, 5, 10, 20, 40-„ვერსიანი“).

- „საქართველოს ისტორიული ატლასის“ [2003] რუკები, რომლებიც ასახავენ სხვადასხვა ისტორიული პერიოდის საქართველოს ტერიტორიასა და საზღვრებს.

- სხვადასხვა ნლეპში გამოცემული საბჭოთა ტოპოგრაფიული რუკები (მასშტაბები 1:100,000 და 1:25,000), სადაც დეტალურადაა ასახული რელიეფი, ბუნების კომპონენტები, ინფრასტრუქტურა, საყრდენი გეოდეზიური ქსელი და ა.შ. [Топографические карты] და რაც ძალზე მნიშვნელოვანია, სხვადასხვა პერიოდში (1940, 1960, 1970, 1980-იანი წლების) გამოცემული ან განახლებული რუკები ხშირად სხვადასხვანა-ირად ასახავს სახელმწიფო საზღვრების კონტურს.

რუკების სიზუსტე და შინაარსის სისრულე შესაძლებლობას იძლევა საკმაოდ დიდი სიზუსტით გადაწყდეს კვლევის წინაშე მდგარი ამოცანები.

რუკების ურთიერთშედარების გარდა, კვლევა დაეფუძნა სხვადასხვა პერიოდში მიღებული სამთავრობო დადგენილებებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების ანალიზს, კერძოდ, მათში ასახულ საქართველოს სახელმწიფო საზღვართან დაკავშირებული ინფორმაციის რუკებზე ადეკვატურად ასახვის შეფასებას.

**კვლევის ობიექტი.** სოფელი აიბგა მდებარეობს მდ. ფსოუს ზემონელის აუზში, მის ორივე მხარეს. მოიცავს 5 უბანს, აქედან 3 უბანი მდებარეობს მდ. ფსოუს მარცხენა მხარეს (საქართველო, გაგრის მუნიციპალიტეტი), ხოლო 2 უბანი – მდ. ფსოუს მარჯვენა მხარეს, ადლერიდან მომავალ საავტომობილო გზის გასწვრივ (რუსეთი, ადლერის

რაიონი). ხუთივე უბნის საერთო ფართობია დაახლოებით 15.5 ათასი ჰექტარი [Черемных, 2012].

სოფელი აიბგა მოხსენიებულია მრავალ სამეცნიერო-გეოგრაფიულ ლიტერატურაში, როგორც ყოფილი სოფელი. თუმცა, ზოგიერთ თანამედროვე რუსულ წყაროში მდ. ფსოუს მარცხენა სანაპიროზე მდებარე სოფელი აიბგაც დასახლებულადაა დასახელებული, რაც საქართველოს მოსახლეობის უკანასკნელი ორი საყოველთაო აღწერით არ დასტურდება [საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერა, 1989; 2002]. საქართველოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფის (1961, 1966, 1987), აფხაზეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის [ახაზეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული სამეცნიერო-გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიულ ლექსიკონებშიც [1987; 2009] საერთოდ არ არის დასახელებული სოფელი აიბგა.

სოფელ აიბგის სასახლვრო ტერიტორია დღეს სადაცო რუსეთისა და ე.წ. აფხაზეთის მთავრობებს შორის და იგი არაეთხელ გამხდარა სამთავრობოთაშორისო კომისიის დავის საკითხი. სხვა მრავალ გარემოებასთან ერთად, საკითხის მოგვარებას ხელს უშლის ძველ კარტოგრაფიულ წყაროებში არააღვატურად ასახული ისტორიული რეალობაც.

**კვლევის შედეგები.** პოლიტიკური სიტუაციების ხშირი ცვლილებები სახელმწიფო საზღვრის ისტორიული ტრანსფორმაციების გამაპირობებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ეს ითქმის საკვლევ ობიექტზეც. ქართული სახელმწიფოს არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე, ისევე როგორც საზღვრის თითქმის მთელი პერიოდზე, „აიბგის მონაკვეთიც“ მუდმივი ტრანსფორმაციის რეჟიმში იმყოფებოდა.


საქართველოს ისტორიული რუკების [საქართველოს ისტორიული ატლასი, 2003] ანალიზმა აჩვენა, რომ სახელმწიფო საზღვრის „აიბგის მონაკვეთი“ ძვ.წ. VI-III საუკუნეებიდან ეგრისის (კოლხეთის) სამეფოს შემადგენლობაშია, ისევე როგორც მისგან ჩრდილო-დასავლეთით მდებარე საქმაოდ ვრცელი ტერიტორია. ქვეყნის მაშინდელი საზღვარი გადიოდა აფხაზეთის კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე, თუმცა, თანამედროვესაგან განსხვავებით, იგი მდ. ფსოუს ზემო წელის ხეობისაკენ კი არ ეშვებოდა (როგორც დღეს), არამედ მთავარი ქედის თხემს გაცილებით დასავლეთით გასდევდა, სავარუდოდ მ. ავადჰარიდან (2960.7) მ. ფიშტამდე (2867 მ). შემდგომ ისტორიულ ეპოქებში აიბგის მონაკვეთის ტერიტორიული კუთხინილება დროდადრო იკვლებო-

სოფელ აიბგის ტერიტორიული მიკუთვნებულობის  
ისტორიული ანალიზი კარტოგრაფიული წყაროების მიხედვით

და, თუმცა ისტორიის უდიდეს მონაკვეთზე იგი საქართველოს სახელ-  
მწიფოს ან მისი სამეფო-სამთავროს/საერისთავოს – აფხაზეთის ფარ-  
გლებშია [ნიკოლაიშვილი, თოლორდავა, 2013].

სახელმწიფო საზღვრის „აიბგის მონაკვეთის“ ტრანსფორმაციები  
ინტენსიურ სახეს იღებს XIX-XX საუკუნეების პოლიტიკური ბატალიე-  
ბის ფონზე (ნახ. 1).

XIX საუკუნის თითქმის ყველა კარტოგრაფიულ წყაროში, რომლე-  
ბიც შედგენილია რუსულ, ფრანგულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე  
[Charte Generale, 1819; Генеральная Карта земель..., 1819; Генеральная  
Карта Грузии..., 1823; Europe. Partie de..., 1827; Карта Черкесии, 1830;  
Map to Illustrate..., 1840; Karte des Kaukasischen..., 1856; Генеральная Карта  
Кавказа, 1858 და სხვ.] „აიბგის მონაკვეთი“ არ შედის საქართველოს შე-  
მადგენლობაში. შეიძლება გამონაკლისად დასახელდეს რამდენიმე რუ-  
კა. მაგალითად, 1808 წელს გამოცემული გერმანული რუკა [Charte  
Landeram Caucasus, 1808], სადაც აბაზების ტერიტორია მოიცავს დიდ  
არეალს ტამანის ნახევარკუნძულიდან ილორამდე (ამჟამად ოჩამჩირის  
რაიონი). აფხაზეთსაა მიკუთვნებული საკვლევი ობიექტი 1857 წლის  
ერთ-ერთი რუკის მიხედვით [Карта Закубанскихъ..., 1857]. ამ რუკაზე  
აიბგა მცირე ტერიტორიულ ერთეულს ქმნის და არა ერთ დასახლე-  
ბულ პუნქტს. 1877 წლამდე ტომი აიბგა განსახლებული იყო რამდენიმე  
სოფელში. ამაზე მეტყველებს XIX საუკუნის რუსი ოფიცრისა და დო-  
კუმენტურ-ლიტერატურული ნანარმოების ავტორის ფ. ტორნაუს ჩა-  
ნაწერებიც: "...Ачипсоу, Айбога и Чужгуча, на верховьях Мдзимты, Псоу  
и Мцы. Последние четыре селения известны были у черкесов под одним  
общим названием Медовей. В них господствовали также Маршани,  
разделившиеся на две отрасли Богорканипов и Масипов..." [Торнау, 2008.  
стр. 269]. თუმცა აღნიშნულ რუკაზე მკაფიოდ არ არის ასახული აიბგის  
ტერიტორიული მიკუთვნებულობა.




ნახ. 1. სახელმწიფო საზღვრის „აიბგის მონაკვეთის“ ტე-  
რიტორიული კუთვნილება ისტორიულ პერიოდში  
(მედგენილი XIX-XX საუკუნეების კარტოგრაფიული  
წყაროების მიხედვით)

კავკასიის ომების დასრულების შემდეგ, კერძოდ 1866 წელს, ამ ტერიტორიაზე, ყუბანის გუბერნიის შემადგენლობაში, ყალიბდება ჩერნომორსკის ოკრუგი, რომელიც თავდაპირველად მოქცეული იყო ტუაფსიდან მდ. ბზიფის ქვემო წელის ხეობამდე [Положение Его..., 1866], 1896-1918 წლებში კი იგი ჩერნომორსკის გუბერნიად გადაკეთდა [Высочайшее повеление..., 1896]. ცხადია, ამ პერიოდიდანაც კარტოგრა-  
ფიულ წყაროებში საკვლევი ობიექტი კვლავ საქართველოს მიღმააა  
მოცემული [Russia, 1883; Карта Кавказского края..., 1899; 1901 და სხვ.].  
თუმცა ზოგიერთ წყაროში არც ამჯერადაა რეალობის ზუსტი აღეკვა-  
ტური ანასახი. მაგალითად, 1869 წლის კავკასიის რუკის [Карта Кавказ-

სოფელ აიბგის ტერიტორიული მიკუთხნებულობის  
ისტორიული ანალიზი კარტოგრაფიული წყაროების მიხედვით

скаго края, 1869; Археологическая Карта..., 1882] მიხედვით, ჩერნომორ-  
სკის ოკრუგი სამხრეთ-აღმოსავლეთით აღნევს არა მდ. ბზიფის ხეო-  
ბამდე, არამედ მდინარების ხაშუფსესა (Хашупсе) და ხოლოდნაია  
რეჩკას (Холодная речка) წყალგამყოფამდე, გაგრასთან.



**ნახ. 2.** კავკასიის მხარის რუკის ფრაგმენტი  
(მავ-თეთრი ვარიანტი, 1901)

1901 წლის კავკასიის რუკაზე (40-ვერსიანი, მასშტაბი 1: 1,680,000), სადაც აღნიშნულია სახელმწიფო საზღვრები 1801-1813 წლების მდგომარეობით [Карта Кавказского края, 1901; Карта Кубанской области..., 1902], საქართველოს მიღმაა დარჩენილი აფხაზეთისა და ზე-  
მო სვანეთის ტერიტორიები და დამოუკიდებელი ერთეულების სახით  
მთიელ ხალხთა მიწების (Земли горских народов) შემადგენლობაშია  
მოქცეული (ნახ. 2).

სახელმწიფო საზღვრის „აიბგის მონაკვეთის“ შემდგომი ცვლი-  
ლება აღინიშნა 1904 წელს [Указ Императора, 1904]. ამ დოკუმენტიდან  
ირკვევა, რომ სოხუმის ოკრუგიდან გამოიყო კლიმატური სადგურის  
რაიონი გაგრაში და იგი შეუერთდა სოჩის ოკრუგს (ჩერნომორსკის  
გუბერნია), ე.ი. საქართველოს საზღვარმა სამხრეთ-აღმოსავლეთით  
გადმოიწია. შესაბამისად, 1904 წლის ყუბანის ოლქის რუკაზე [Карта  
Кубанской области..., 1904] „აიბგის მონაკვეთი“ მთლიანად მოქცეულია  
რუსეთის ფარგლებში. სოხუმის ოკრუგიც კი გამოყოფილია ქუთაისის



ნახ. 3. საქართველოს რუკის ფრაგმენტი, 1932

გუბერნიიდან და იგი მიკუთვნებულია სოჩის ოკრუგს, თუმცა აღნიშნულ რუკაზე იგი თითქოს „დამოუკიდებელ ერთეულად“ გვევლინება, ვინაიდან არც ჩერნომორსკის და არც ქუთაისის გუბერნიის ტერიტორიაზე არაა მიკუთვნებული. ამავე წელს გამოცემულ მეორე რუკაზე კი თვით გაგრის სექტორიც გამოყოფილია სოხუმის ოკრუგიდან და მიკუთვნებულია სოჩის ოკრუგს.

სხვადასხვა კარტოგრაფიული წყაროს ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ საზღვრის ამ მონაკვეთის ისტორიული ტრანსფორმაციები პიკს აღწევს XX საუკუნის პირველ მეოთხედში, განსაკუთრებით კი 1917-1929 წლებში. ამ 12 წლის მანძილზე 8-ჯერ მოხდა ეს ცვლილებები, შესაბამისად, ეს მონაკვეთი ხან საქართველოს ფარგლებში იყო, ხან მის მიღმა რჩებოდა.

1918 წლიდან საზღვარი გადის მდ. ფსოუზე (სოფლის 2 უბანი რუსეთის, ხოლო 3 უბანი საქართველოს ფარგლებში), 1919 წლიდან – მდ. ბზიფზე, 1920 წლიდან – კვლავ მდ. ფსოუზე მ. ახახჩამდე (გ. Камерин-Депа, 1967.5 მ, ტეპებაშის (Тепебаш) ქედზე – მდინარეების ფსოუსა და ფხისთას (Троицкая) წყალგამყოფი [Договор между Грузией и Россией от 7 мая 1920 года], 1921 წლიდან – მდ. ბალრიფშთაზე, იგივე ხოლოდნაიაზე (მდინარე ქ. გაგრის ჩრდილო-დასავლეთით, ე.ი. რუსეთის შემად-

სოფელ აიბგის ტერიტორიული მიკუთხნებულობის  
ისტორიული ანალიზი კარტოგრაფიული წყაროების მიხედვით

გენლობაშია). 1924 წლიდან კვლავ იცვლება სიტუაცია და პილენკოვოს  
თემი საქართველოს [Постановление ЦИК СССР 31 октября 1924 года],  
ხოლო 1926 წლიდან ჩერნოგორსკის ოკრუგშია მოქცეული (რუსთი)  
[Постановление ЦИК СССР 19 марта 1926 года].


1920 წლის ხელშეკრულებით მდ. ფსოუზე გატარებული საზღვარი  
ქართული დიპლომატის უდიდესი ნარმატებად იქნა მიჩნეული, ვინაი-  
დან „საქართველოს ტერიტორიული მოთხოვნების ძირითადი ნაწილი  
დაკმაყოფილდა და კიდევაც გასცდა ქუთაისის გუბერნიის სოხუმის  
ოკრუგის საზღვრებს და გაგრის ტერიტორია მოიცვა, რომელიც მა-  
ნამდე შავი ზღვის გუბერნიის სოჭის ოკრუგის შემადგენლობაში შედი-  
ოდა“ [სამხარაძე, 2012. გვ. 10].



ნახ. 4. სახელმწიფო საზღვრის „აიბგის მონაკვეთი“  
1904, 1928 წლების რუკების მიხედვით

1928 წლამდე გამოცემული რუკების მიხედვით სოფელი აიბგა რუ-  
სეთის შემადგენლობაშია. 1928 წლიდან კი მიქელირიფშის, პილენკო-  
ვოს, სალმესა და ქრისტეფორეს სასოფლო საბჭოები გადაეცა საქარ-

თველოს, ხოლო მეტუთე აიბგის სოფსაბჭო (აიბგის მე-5 უბანი) – შავიზღვისპირეთის ოკუუგის სოფის რაიონის შემადგენლობაშია [Постановление ВЦИК, 31.12.1928]. სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ამ დადგენილებაში ვკითხულობთ: „...Южнее данного села (с. Аибга – населенный пункт), в пределах границ колонизационного фонда, отмеченных рекогносцировкой и нанесенных на лесохозяйственную Карту Сочинского района РСФСР. Далее Аибги границу продолжить по реке Псоу“. თუმცა 1928 და 1929 წლებში გამოცემულ რუკებზე [Закавказская С.Ф.С.Р., 1928; Карта Грузинской ССР, 1929] „აიბგის მონაკვეთი“ მთლიანად საქართველოს მილმა დარჩენილი. სახელმწიფო საზღვრის რუკაზე



ნახ. 5. საქართველოს რუკის ფრაგმენტი, 1931-1932

არამართებულად გატარების მაგალითია, ასევე, 1929 წლის კარტოგრაფიული წყაროებიც. 1929 წლიდან სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება, სტალინის სპეციალური დადგენილებით [Постановление ВЦИК, 12.04.1929] პილენკოვის ქვერაიონი საქართველოს შემადგენლობაში ექცევა, თუმცა 1929 წლის შემდგომ პერიოდში გამოცემულ, მათ შორის ქართულენოვან, რუკებზეც საზღვარი კვლავ 1928 წლის მდგომარეობითაა მოცემული. მაგალითად, 1932 წელს საქართველოს კარტოგრაფიის ინსტიტუტის (პროფ. ალ. ჯავახიშვილისა და ასისტ. ს. ცხაკაიას ხელმძღვანელობით) მიერ გამოცემულ რუკაზე საზღვარი გასდევს მდ. ფსოუს ქვემო წელს და აღწევს მ. ახახიამდე, ისე როგორც

სოფელ აიბგის ტერიტორიული მიკუთვნებულობის  
ისტორიული ანალიზი კარტოგრაფიული წყაროების მიხედვით

განისაზღვრა 1904 წელს (ნახ. 4). 1931-1932 წლების რუკაზე [საქართველოს სოციალისტური საბჭოთა..., 1932] კი, რომელიც ასევე პროფ. ალ ჯავახიშვილის ხელმძღვანელობითაა გამოცემული, საზღვარი გასდევს მდინარეების ფსოუსა და მზიმთის წყალგამყოფს. შესაბამისად, სოფელ აიბგის ხუთივე უბანი საქართველოს შემადგენლობაშია მოქცეული (ნახ. 5). გაუგებარია, რა დადგენილების საფუძველზეა გატარებული განსხვავებულად სახელმწიფო საზღვრის ეს მონაკვეთი ერთსა და იმავე პერიოდში გამოცემულ რუკებზე.

დადგენილებების მიხედვით არ მომხდარა, თუ არ ჩავთვლით 2000-იან წლებში განვითარებულ მოვლენებს, რაც უკავშირდება რუსეთისა და ე.წ. აფხაზეთის მთავრობებს შორის სასაზღვრო დავას „აიბგის მონაკვეთთან“ და შავ ზღვაზე საზღვაო სივრცის გაყოფის შესახებ.

**დასკვნა.** კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის „აიბგის მონაკვეთი“ ერთ-ერთი რთულად გადასაჭრელი საკითხია, რაც დაკავშირებულია მრავალ გარემოებასთან, კერძოდ, XIX-XX საუკუნეებში მისი ტერიტორიული მიკუთვნებულობის ხშირ ცვლასთან, აგრეთვე საბჭოთა პერიოდში არასამართლებრივად გატარებულ ადმინისტრაციულ საზღვრებთან, სხვადასხვა წყაროებში არსებული ინფორმაციის სხვადასხვაგვარ ინტერპტაციებთან, არადელიმიტირებული და არადემარკირებული საზღვრის არსებობასთან, არაკონტროლირებად ტერიტორიაზე მის მდებარეობასთან და სხვ. ამ თვალსაზრისით, ასევე, ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამაპირობებელ ფაქტორად კარტოგრაფიული წყაროებიც გვევლინება. მათ შორის შეიძლება დასახელდეს უზუსტობები და რეალობის არაადეკვატური ასახვა კარტოგრაფიულ წყაროებში. აქედან გამომდინარე, მეტად მნიშვნელოვანია ძველ კარტოგრაფიულ წყაროებში მოცემული სახელმწიფო საზღვრის კონტურის ანალიზი და მათი ადეკვატურობის შედარება სამთავრობო დადგენილებებთან. ის ფაქტი, რომ სახელმწიფო საზღვრის „აიბგის მონაკვეთი“ დღესაც ქმნის ერგვარ „ცხელ პოლიტიკურ წერტილს“, საჭიროებს კარტოგრაფიული წყაროების ერთიანი ელექტრონული ბაზის შექმნასა და მათ კომპლექსურ ანალიზს. ამ მხრივ, ნარმოდგენილი ნაშრომი ერთი წინგადადგმული ნაბიჯია.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ასლანიკაშვილი ალ. კარტოგრაფია. ზოგადი თეორიის საკითხები. თბ., 1968.
2. სამხარაძე ნ. საქართველოს სახელმწიფო საზღვარი – წარსული და აწმყო. საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების პროგრამა, სექტემბერი 2012.
3. საქართველოს გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიულ ლექსიკონი. თბილისი, 1987; 1989.
4. საქართველოს ისტორიული ატლასი. რედ. დ. მუსხელიშვილი. თბილისი, 2003.
5. საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერა. თბილისი. 1989; 2002.
6. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რუკა I. შემუშავებული საქართველოს კარტოგრაფიულ ინსტიტუტში. საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობა, 1932. მასშტაბი 1:200.000.
7. სოფელ აიბგის ტერიტორიული მიკუთვნებულობის გეოგრაფიულ-კარტომეტრიული შეფასება. ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის დაარსების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის მასალები „გეოგრაფიის თანამედროვე პრობლემები“, 7-9 ნოემბერი. თბილისი, 2013.
8. საქართველოს ისტორიული ატლასი. რედ. დ. მუსხელიშვილი. თბილისი, 2003.
9. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა სასწავლო ფიზიკური რუკა. შედგენილი და შემუშავებული საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების კარტოგრაფიულ კაბინეტში პროფ. ალ. ჯავახიშვილისა და ასისტ. ს. ცხაკაიას ხელმძღვანელობით. 1931-1932. მასშტაბი 1:400,000.
10. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა სასწავლო ფიზიკური რუკა. შემუშავებული საქართველოს კარტოგრაფიულ ინსტიტუტში. 1932. მასშტაბი 1:200,000.
11. Charte Generale. Lieutenant-General, Ministre et Secrétaire d'Etat au Department des Affaires étrangères Par J.M. Darmet, 1819.
12. Charte Landeram Caucasus. I.C.M. Reinecke. Weimar, 1808.
13. Europe. Partie de La Russie D'Europe, 1827.
14. Karte des Kaukasischen Isthmus - Entworfen und gezeichnet von J-Grassl, 1856.

15. Map to Illustrate "Narrative of a Residence in Circassia. James Stanislaus Bell. Esq", 1840.
16. Nikolaishvili D., Tolordava R Geographical factr as a bases for research of state borders - an example of Georgia. Journal of Earth Science and Engeneering. volume 3, number 10, October (serial number 25), CA, USA, 2013. pp. 701-713.
17. Russia. Letts's Popular Atlas. London, 1883. 54 Miles in Inch.
18. Абхазская АССР. Административно-территориальное деление. Су-хуми: Госиздат Абхазской АССР, 1953.
19. Археологическая Карта Кубанской области.Составил Е.Д. Фели-цынъ, 1882. 20 верст.
20. Атлас Союза Советских Социалистических Республик. Сост. и на-грав. в картоизд-ве НКВД РСФСР; авт. предисл. А. Енукидзе. Москва: Изд. ЦИК СССР, 1928.
21. Высочайшее повеление 23 мая 1896 года.
22. Генеральная Карта Грузии. 1823.
23. Генеральная Карта земель между Чернымъ и Каспийскимъ Морями, обозначением новой границы России и Персии. 1819.
24. Генеральная Карта Кавказа, 1858. 30 верст в дюйм.
25. Договор между Грузией и Россией от 7 мая 1920 года.
26. Закавказская С.Ф.С.Р. 1928. масштаб 1:3,000,000.
27. Карта Грузинской ССР, 1929.
28. Карта Закубанскихъ горскихъ народовъ. По статьго Л.Люлье. Тифлис, 1857. 20 верст на дюйм.
29. Карта Кавказского края. Составлена топографовъ штабеъ-капита-номъ Кондратьевымъ, 1869.
30. Карта Кавказского края с обозначением границ 1799 г.. Составлена в военно-историческом отделе при штабе Кавказского военного окру-га подполковником Томниевым. Тифлис, 1899 г.
31. Карта Кавказского края с обозначением границ 1801-1813г. Состав-лена в военно-историческом отделе при штабе Кавказского военного округа подполковником Томниевым. Тифлис, 1901 год. 40-верстовая карта. Приложение к XVIII книге Зап. Кавказскаго отдела Геогр. Общества. 10-верстовая карта.
32. Карта Кубанской области и близких к ней Черноморской губернии и части Сухумского округа. Составил Н.С. Иваненков, 1902 год. 1 верст.

33. Карта Кубанской области и близких к ней Черноморской губернии и части Сухумского округа. Составлена Н. С. Иваненковым. 1904. 10 верст в дюйме.
34. Карта Черкессии 1830 года.
35. Карта Черноморского окр. и Западной Сухумского окр. 10 верст въ дюйм, 1883.
36. Положение Его Императормклшл Величества "О заселении Черноморского округа и управлении оным" 10 марта 1866 года.
37. Постановления ЦИК СССР: 31 октября 1924 года, 19 марта 1926 года.
38. Постановления ВЦИК: 31.12.1928, 12.04.1929.
39. Топографические карты масштаба 1:100,000. К-37-20, К-37-21. 1956-1976.
40. Топографические карты масштаба 1:25,000. К-37-20-А (в, г), К-37-20-Б (а, в, г), К-37-20-В (а, б, в, г), К-37-20-Г (а, б, в, г). 1957-1962.
41. Торнау Ф. Ф. Воспоминания Кавказского офицера. М.: «АИРО-XXI», 2008. 456 с.
42. Указ Императора 25 декабря 1904 года.
43. Черемных А. Забытые в Аибге. 3.09.2012. <http://alexsrblivejournal.com/57207.html>.

**Dali Nikolaishvili**

Associate Professor

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**Revaz Tolordava**

Associate Professor

Sokhumi State University

**The Historical Analysis of Territorial  
Belonging of the Village Aibga  
According to the Cartographic Sources**

**Resume**

The work examines certain issues of the territorial belonging of Aibga village, situated on the Georgia-Russian state boarder. The research was conducted in two main directions: the evaluation of historical transformations of

state border and evaluation of accuracy of cartographic and historical documents. Special emphasis has been made on the determination of transformations degree. On the base of different data demographical situation in the XIX-XXI centuries is analyzed as well. The research is mainly based on cartographical sources and historical documents from the different periods and on their comparative analysis.

The research showed:

- The frequency of the historical transformation of Georgia-Russian state borders along "Aibga section", the main factors causing these transformations;
- Divergence between the cartographic sources and governmental regulations, which is connected with the fact that on the map all five districts of village Aibga are marked as a Russian side;
- Irregular representation of village Aibga's historical belonging in the XX century's Soviet scientific and statistical sources, where the village is named as a "former" or is not accounted at all. In fact, all the five districts, including Georgian side were uninterruptedly inhabited in between 1864-1990 years;
- The fact of giving village Aibga's Georgian part to the Adler region officially was motivated with population's economic and cultural interests, but in reality it had a political background;
- Reality of settling of "Georgian side" of the village Aibga in a modern-day.

Thus, on the basis of cartographic sources of different periods, it is concluded that the borderline old maps (end of XIX century and the beginning of XX century) is partially plotted by ignoring the governmental regulations. Therefore, this section of state border of Georgia is one of the best examples of the wrong approach in the delimitation of the borderline. This is why the complex analysis of this issue is very important.

**დალი ოსეფაშვილი**  
პროფესორი, თსუ

**ოჯახური ძალადობის გაშუქება ქართულ ბეჭდურ  
მედიაში და ურნალისტური ეთიკის პრობლემები**

**შესავალი**

ოჯახური ძალადობა ერთ-ერთი სენსაციური თემაა ქართულ მე-დიაში, რომელიც არცთუ იშვიათად უურნალისტური ეთიკის ნორმების დარღვევით შექდება. მსხვერპლი, ძირითადად, არიან ქალები, რომ-ლებიც ფიზიკურ ძალადობას განიცდიან საკუთარი მეუღლების ან ვა-ჟების მხრიდან, თუმცა მაინც არ ტოვებენ ოჯახებს და თავს არიდებენ ამ თემაზე საუბარს.

ეს თემა ე.წ. „მედია აჯენდაში“ ანუ მედიის დღის წესრიგში, ძირი-თადად, გვხვდება მაშინ, როდესაც ცდილობენ საზოგადოებას მიაწო-დონ ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად მიმართული კამპანიის ამსახველი ინფორმაციული ხასიათის მასალები. თუმცა, ვხვდებით ასევე სენსაციური და დრამატული გაშუქების ფაქტებსაც, როდესაც ოჯახური ძალადობის კონკრეტული ფაქტებია წარმოდგენი-ლი და ამგვარი ფაქტების გაშუქებისას არცთუ იშვიათად ირღვევა უურნალისტური ეთიკის ნორმები და, ამავდროულად, ილახება ადამია-ნის უფლებები – უთითებენ ძალადობის მსხვერპლი ქალის ვინაობას; ირღვევა უდანაშაულობის პრეზუმფიაც, როცა დამნაშავედ მოიხსე-ნიებენ ეჭვმიტანილ პირებს.

სტატიის მიზანია წარმოვადგინოთ კვლევის შედეგები თუ როგორ აშუქებს თანამედროვე ქართული ბეჭდური მედია ოჯახური ძალადო-ბის საკითხებს. ამ მიზნით შევისწავლე 2011-12 წლების ქართული ბეჭ-დური მედია, გაზეთები: „ალია“, „კვირის ქრონიკა“, „კვირის პალიტ-რა“, „24 საათი“, „რეზონანსი“, „ვერსია“. „პრაიმტაიმი“, „ახალი თაო-ბა“.

ოჯახური ძალადობის გაშუქება ქართულ ბეჭდურ  
მედიაში და უურნალისტური ეთიკის პრობლემები

ვფიქრობთ, ჩვენი ეს კვლევა მნიშვნელოვანი და აქტუალურია, რადგან ისეთი კვლევა, რომელიც ფოკუსირებული იქნებოდა საქართველოში ოჯახური ძალადობის კონკრეტული ფაქტების გაშუქებაზე, არ ჩატარებულა ჯერ.

### **ლიტერატურის მიმოხილვა:**

მედიაში ქალთა მიმართ ძალადობის გაშუქების შესწავლა ამერიკაში დაიწყო ჯერ კიდევ 1970-80-იან წლებში. ტიერნიმ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ 1970-1978 შესწავლით ჩაუყარა საფუძველი კვლევებს ამ მიმართულებით (Tierney, 1982).

ბულოკმა და კუბერტმა საგაზეთო სტატიების რაოდენობრივი, შინაარსობრივი ანალიზი და ფრეიმანალიზი ჩატარეს (Bullock, C., & Cubert, J. 2002); რეიანმა, ანასტრაიომ და დაკუნამ მკვლელობით დასრულებული ძალადობის შემთხვევათა გაშუქება შეისწავლეს (Rayan., Ch, Anastasio., M. DaCunha. 2006); გილესპიმ, რიჩარდსმა, გივენსმა და სმიტმა ოჯახური ძალადობის მსხვერპლი გარდაცვლილი ქალების თემის გაშუქების ფრეიმანალიზი ჩატარეს (Gillespie LK, Richards TN, Givens EM, Smith MD. 2013) და სხვ.

ბოლო წლებში ამერიკაში არაერთი „მედიაგაიდი“, ანუ სახელმძღვანელო რეკომენდაციები მომზადდა უურნალისტებისთვის, როგორ უნდა გავაშუქოთ ოჯახური ძალადობის თემა.

საქართველოში ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის თემასთან დაკავშირებით მომზადდა ბევრი საყურადღებო კვლევა: „საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის ეროვნული კვლევა“ (ჩიტაშვილი., მ. 2009); „ოჯახურ ძალადობასთან ბრძოლის მედია რეპრეზენტაცია“ (ჯავახიშვილი., ნ. 2011); „ვინ არის პასუხისმგებელი ძალადობაზე?“ (ბახტურიძე., ი. 2010), საინტერესოა ბავშვთა მიმართ ძალადობის ამსახველი კვლევებიც: „ბავშვთა მიმართ ძალადობა და უურნალისტური ეთიკა“ (ქორიძე., ზ. 2008), „ბავშვთა საკითხები და უურნალისტური ეთიკის პრობლემები ქართულ მედიაში“ (ოსეფაშვილი., დ. 2013). ასევე საინტერესოა სამართლებრივი თვალსაზრისით ჩატარებული კვლევაც „ოჯახური ძალადობა და მისი გადაჭრის გზები“ (კუსიანი., 2. 2012) და სხვ.

ჩვენი კვლევა კი წარმოადგენს ოჯახური ძალადობის გაშუქებას ქართულ ბეჭდურ მედიაში. კვლევა აქტუალური და მნიშვნელოვანია,

რადგან ასეთი სახის კვლევა, რომელიც ფოკუსირებული იქნებოდა ძალადობის კონკრეტული ფაქტების გაშუქებაზე, არ ჩატარებულა ჯერ.

### **კვლევის ჰიპოთეზა:**

ოჯახური ძალადობის თემის გაშუქებისას ქართულ მედიაში არ-ცოუ იშვიათად ილახება ადამიანის უფლებები – ძალადობის კონკრეტული ფაქტები სენსაციურად, უურნალისტური ეთიკის ნორმების დარღვევით შუქდება. ხდება მსხვერპლთა იდენტიფიკაცია ასევე, შესაძლოა გვხვდებოდეს უდანაშაულობის პრეზუმაციის დარღვევის ფაქტებიც.

### **საკვლევი კითხვები:**

რა სიხშირით შუქდება ეს თემა ქართულ ბეჭდურ მედიაში? როგორ შუქდება? რა ძირითად შეცდომებს უშვებენ ქართველი უურნალისტები ამ თემის გაშუქებისას? – ეს გახლავთ ძირითადი საკვლევი კითხვები.

### **კვლევის მეთოდოლოგია:**

კვლევის ძირითად მეთოდად გამოვიყენე კონტენტანალიზის მეთოდი. სულ 194 საგაზიონო სტატია შეგვხვდა საკვლევ პერიოდში, 2011-2013 წლების ქართულ ბეჭდურ მედიაში. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, გავაანალიზე ყოველი მესამე სტატია ( $n=64$ ). სტატისტიკური მონაცემები დამუშავდა სპეციალური კომპიუტერული პროგრამის SPSS-ის მეშვეობით.

კვლევისთვის ვიყენებდი შემდეგ ცვლადებს: ძალადობის ფორმა; პუბლიკაციის ფორმა (ჟანრი); წყაროთა ბალანსი; წყაროები; ფოკუსი; ძალადობის მსხვერპლი; მოძალადე; ინფორმაციის სისრულე; ფოტო; სენსაციური გაშუქება; მსხვერპლის იდენტიფიკაცია; მსხვერპლის დამადანაშაულებელი ენა; შეცდომები უურნალისტური ეთიკის თვალსაზრისით.


### **კვლევის ძირითადი მიგნებები:**

როგორც კვლევის შედეგად გამოიკვეთა, ოჯახური ძალადობა გამოწვეულია, ძირითადად, ოჯახური კონფლიქტებით. ტერმინოლოგიად

ოჯახური ძალადობის გაშუქება ქართულ ბეჭდურ  
მედიაში და უურნალისტური ეთიკის პრობლემები

მედიის მიერ, ძირითადად, სწორედ „ოჯახური ძალადობაა“ გამოყენე-  
ბული გაანალიზებული საგაზეთო მასალების 52 შემთხვევაში (80%).


საინტერესო იყო კვლევისთვის ისიც, თუ ოჯახური ძალადობის  
რომელი ფორმა სჭარბობდა ჩვენ მიერ შესწავლილ პუბლიკაციებში.  
დავეყყრდენით გაეროსა და უურნალისტთა საერთაშორისო ფედერაცი-  
ის განმარტებას, რომ არსებობს ოჯახური ძალადობის 4 სახე: ფიზიკუ-  
რი; სექსუალური; ფსიქოლოგიური და ეკონომიკური.



დიაგრამა 1. ძალადობის ფორმა

განხილული საგაზეთო მასალების ანალიზის შედეგად აღმოჩნდა,  
რომ, ძირითადად, ფიზიკური ძალადობა ჭარბობს 45 სტატიაში (69.2%);  
ფსიქოლოგიური ძალადობა გვხვდება 10 სტატიაში 915,4%), სექსუა-  
ლური ძალადობა 8 სტატიაში (12.3%); ხოლო ეკონომიკური 2 პუბლი-  
კაციაში (3.1%).

რაც შეეხება სტატიათა ფორმას, ჭარბობს, ძირითადად, ინტერვიუ  
38 შემთხვევა (58.5%); ადამიანური ისტორია 11 (16.9%); ახალი ამბავი  
-3 (4.6%) და კატეგორია „სხვა“ 13 (20%).



**დიაგრამა 2.** პუბლიკაციების ფორმა (ჟანრი)

რაც შეეხება სტატიათა ფოკუსს, როგორც კვლევის შედეგად აღმოჩნდა, სჭარბობს ოჯახური ძალადობის გაშუქების ფაქტები. განხილულ პუბლიკაციათა 72.3 %-ში (47 სტატია); ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებული პუბლიკაციები 27.7 პროცენტია (18 სტატია).

ფატალური შედეგით, მკვლელობით დასრულებული ოჯახური ძალადობის შემთხვევას გაშუქება გვხვდება გაანალიზებულ სტატიათა 29 პროცენტში (19 სტატია).

სტატიების ტონი ნეიტრალურია მხოლოდ 34 შემთხვევაში (52.3 %). დანარჩენ შემთხვევებში გვხვდება უურნალისტთა მხრიდან გაკეთებული შეფასებები.


უურნალისტთა მხრიდან Victim blame language გამოყენებას ვხვდებით გაანალიზებულ სტატიათა 12.3 პროცენტში (8 შემთხვევა). ეს, ძირითადად, ვლინდება ისეთ ტიპურ კითხვაში, როგორიცაა: „თქვენი ბრალია, რატომ არ წამოხვედით ოჯახიდან?“ თუმცა, ვხვდებით არამხოლოდ მსხვერპლთა დადანაშაულების შემთხვევებს, არამედ მკვლელად და დამნაშავედ მოხსენიების შემთხვევებსაც იქამდე, ვიდრე მათი ბრალეულობა არ არის დამტკიცებული.

ინფორმაცია სრულად არის წარმოდგენილი (completeness on information გვხვდება) სტატიათა 19 შემთხვევაში (29.2%) ხოლო 46 შემთხვევაში (70.2%) – არასრულად.

ოჯახური ძალადობის გაშუქება ქართულ ბეჭდურ  
მედიაში და უურნალისტური ეთიკის პრობლემები


ბალანსი დაცულია სტატიების მხოლოდ 20 %-ში (13 შემთხვევა).  
არ არის დაცული 80%-ში (52 შემთხვევა). სასურველია, ოჯახური კონ-  
ფლიქტის გაშუქებისას ორივე მხარე იყოს წარმოდგენილი უურნალის-  
ტთა მიერ მომზადებულ პუბლიკაციებში.

რაც შეეხება ინფორმაციის წყაროებს, ძალადობის მსხვერპლი  
წარმოდგენილია 45 სტატიაში, ოჯახის წევრი – 6. ფსიქოლოგი – 8;  
ადამიანის უფლებათა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციის  
წარმომადგენელი – 19; მეზობელი – 11; ადამიანის უფლებათა დამცვე-  
ლი – 2; სხვა წყაროები – 18. სასურველია, ყოველი პუბლიკაცია, რო-  
გორც მინიმუმ, 3 წყაროს მაინც უნდა ეყრდნობოდეს, რათა ნდობა გა-  
მოიწვიოს აუდიტორიაში.




დიაგრამა 3. ინფორმაციის წყაროები

კვლევის მიხედვით გამოიკვეთა, რომ ოჯახური ძალადობის  
მსხვერპლი, ძირითადად, არიან ქალები, რომლებიც განიცდიან  
ძალადობას ქმრების ან ვაჟების მხრიდან, სტატიათა 83.1%-ში (54  
შემთხვევა); ბავშვებზე განხორციელებული ოჯახური ძალადობა  
შეგვხვდა სტატიათა 10.8 პროცენტში (7 შემთხვევა); სტატიათა 3.1  
პროცენტში (2 შემთხვევა) შეგვხვდა მამაკაცებზე ცოლების მხრიდან  
განხორციელებული ძალადობა.



**დიაგრამა 4.** ძალადობის მსხვერპლი

ვინ არიან მოძალადეები? როგორც კვლევამ გვიჩვენა, ძირითადად, მამაკაცები არიან მოძალადეები, რომლებიც ძალადობას ახორციელებენ საკუთარ ცოლებზე, გაანალიზებულ საგაზეთო მასალათა 76.9 % (50 შემთხვევა); ქალები, რომლებიც ქმრებზე ძალადობენ, 6.2 პროცენტია (4 შემთხვევა); შვილები, რომლებიც ფიზიკურ ძალადობას ახდენენ დედებზე 10.8 % (7 შემთხვევა) და სხვა ოჯახის წევრი 4.6% (3 სტატია).



**დიაგრამა 5.** მოძალადე

ოჯახური ძალადობის გაშუქება ქართულ ბეჭდურ  
მედიაში და უურნალისტური ეთიკის პრობლემები

როგორც კვლევამ გვიჩვენა, ძალადობის მსხვერპლი ქალების 38.5 პროცენტი (25 შემთხვევა) მაინც სახლში რჩება და აგრძელებს მოძალადე ქმართან თუ შვილთან ცხოვრებას. 61.5% (40 სტატია) წამოსულია სახლიდან და დროებით თავშესაფარშია ან ნათესავთან ან ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს. თუმცა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ უურნალისტთა მხრიდან ეს შეცდომაა, როდესაც უთითებენ ძალადობის მსხვერპლი ქალების ადგილმდებარეობას, რადგან მოძალადემ შესაძლოა, კვლავაც მიაგნოს მსხვერპლს და სცადოს ძალადობა;

ფოტოები ახლავს სტატიათა 86.2 პროცენტია (9 შემთხვევა). წარმოდგენილი ფოტოს ან ნახატის გარეშე. უმეტესად, ფოტოები დრამატულია, სისხლიანი დანებით ან სისხლის გუბეებით. ვხვდებით ოჯახური კონფლიქტის მონაწილე პერსონების ფოტოებსაც. მართალია, ზოგიერთ შემთხვევაში ცდილობენ თვალების დაფარვას, თუმცა, მაინც შესაძლებელია ადამიანის იდენტიფიცირება.

გარდა ფოტოებისა, ძალადობის მსხვერპლთა იდენტიფიკაცია შესაძლებელია გაანალიზებულ სტატიათა 26.2 პროცენტში (17 შემთხვევა), შეუძლებელია 73.8 პროცენტში (48 შემთხვევა), ანუ ძირითადად, უურნალისტები ცდილობენ დაიცვან მსხვერპლი წყაროს ანონიმურობა და არ მოიხსენიონ სახელითა და გვარით;

ძალადობის ფაქტები სენსაციურად და დრამატულად არის გადმოცემული სტატიათა 75.4 პროცენტში (49 შემთხვევა).

მთლიანობაში კი, სხვადასხვა სახის ეს შეცდომები, უურნალისტური ეთიკის დარღვევის ფაქტები გვხვდება სტატიათა 41.5 პროცენტში (27 შემთხვევა), ხოლო დაცულია ეთიკის ნორმები სტატიათა 58.5 პროცენტში (38 შემთხვევა).

### დასკვნა:

ამგვარად, როგორც კვლევამ გვიჩვენა, ქართულ მედიაში ოჯახური ძალადობის თემის გაშუქებისას უურნალისტები მრავალ შეცდომას უშვებენ ეთიკური თვალსაზრისით. ფაქტებს აშუქებენ სენსაციურად, მყვირალა სათაურებით, დრამატული ფოტოებითა და თემის გაზეთის პირველ გვერდზე გამოტანით; ეს საკითხი შუქდება არა როგორც სოციალური პრობლემა, არამედ როგორც კრიმინალის თემა. შესაძლებელს ხდიან ძალადობის მსხვერპლთა იდენტიფიცირებას; უთითებენ მათ ადგილსამყოფელს და არ ფიქრობენ იმაზე, რომ შესაძლოა ეს ადამიანები კვლავაც აღმოჩნდნენ მოძალადის მსხვერპლი; რომ ძალადო-

ბის მსხვერპლს ამგვარი დრამატული გაშუქებით შესაძლოა ხელმეორედ მიადგეს ტრამვა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით და სტიგმის მსხვერპლნი აღმოჩნდნენ, განსაკუთრებით, კი, ძალადობის მსხვერპლ ბავშვებს; არღვევენ ასევე უდანაშაულობის პრეზუმუციას და ტრაგიკული შედეგით დასრულებული ფაქტების გაშუქებისას, დამნაშავედ და მკვლელად მოიხსენიებენ ადამიანს იქამდე, ვიდრე არ არის მისი ბრალეულობა დამტკიცებული; გარკვეულ შემთხვევებში, უხეშად ირღვევა როგორც ბავშვთა, ასევე ზოგადად, ადამიანის უფლებები.

თუმცა, ერთი რამ გვინდა აღვნიშნოთ ხაზგასმით, რომ ამ კვლევის მიზანს არ წარმოადგენდა რომელიმე კონკრეტული გაზეთის კრიტიკა. გვსურდა ჩვენება იმ ტენდენციის, რომელიც თანამედროვე ქართულ მედიას ახასიათებს ამ მგრძნობიარე თემის გაშუქებისას. ერთადერთი გამოსავალი, ჩვენი აზრით, უურნალისტური პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვაა.

### **კვლევის ლიმიტი და მომავალი კვლევის გეგმა:**

ჩვენ შემოვისაზღვრეთ ოჯახური ძალადობის თემის მხოლოდ ბეჭდური მედიის მასალების შესწავლით. მომავალი კვლევებისთვის, შედარებით სრული სურათის საჩვენებლად საინტერესოა სატელევიზიო და ონლაინმედიის შესწავლა და ბეჭდურ მედიასთან შედარება. გარდა ამისა, შესაძლებელია ასევე, თვისობრივი კვლევის ჩატარება იმ უურნალისტებს შორის, ვინც ამ თემებს აშუქებენ და ასევე ამ თემის შესწავლა რომელიმე დასავლური ქვეყნის მედიაში.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. Bakhturidze., I. (2010) „Who or What is Responsible for Violence?!”, Center for Social Sciences Tbilisi State University. Accessed February 14, 2013 [www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0001/000757/kalta.pdf](http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0001/000757/kalta.pdf)
2. Bergen, Jenny, M.A. Who Owns Domestic Violence? A Content Analysis of Newsmagazines, 1960-2000. (2006) Directed by Dr. Julie V. Brown. 78 pp. Accessed February 14, 2013 <http://libres.uncg.edu/ir/uncg/f/umi-uncg-1262>.
3. Berns, N. *Framing the Victim: Domestic Violence, Media and Social Problems*. New York: Aldine de Gruyter, 2004 Accessed February 15, 2013 <http://cjsonline.ca/pdf/framingvictim.pdf>

4. Bullock, C., & Cubert, J (2002) Coverage of domestic violence fatalities by newspapers in Washington State. *Journal of Interpersonal Violence*, 17, 475-499.
5. Bullock, C. F. (2008). „Official Sources Dominate Domestic Violence Reporting.“ *Newspaper Research Journal*, 29, 6-22
6. Domestic Violence: Quick Reference Guide for Media Coverage. Accessed February 14, 2013 [http://www.idph.state.ia.us/bh/common/pdf/domestic\\_violence/quick\\_reference\\_media\\_coverage.pdf](http://www.idph.state.ia.us/bh/common/pdf/domestic_violence/quick_reference_media_coverage.pdf)
7. Gillespie LK, Richards TN, Givens EM, Smith MD. (2013), Framing deadly domestic violence: why the media's spin matters in newspaper coverage of femicide. *Violence Against Women* 19 (2) 222-245
8. Iowa Domestic Abuse Death Review Team (2009) Domestic Violence: A Guide for Media Coverage. [http://www.idph.state.ia.us/bh/common/pdf/domesticviolence/guide\\_mediacoveryage.pdf](http://www.idph.state.ia.us/bh/common/pdf/domesticviolence/guide_mediacoveryage.pdf)
9. Koridze., Z. (2008), ‘Ethical reporting on children in Georgia – Situation Analysis, Tb., 2008
10. Kusiani,, E. (2012) – “Domestic violence and the ways of solving it~ Accessed February 1, 2013 <http://blawg.ge/?p=748>
11. Making a Difference, Strategic Communications to End Violence against Women, United Nations Development Fund for Women (2003); Accessed February 14, 2013 [http://saynotoviolence.org/sites/default/files/Making-ADifference\\_eng.pdf](http://saynotoviolence.org/sites/default/files/Making-ADifference_eng.pdf)
12. McCarthy., S. (1995), Role of the Media in Domestic Violence Cases: A Journalist's Perspective, AlbanyLaw Review, Volume:58 Issue:4 Dated: (1995) Pages:1235-1244.
13. Maxwell. K., Huxford., J., Borum., C. Hornik., R.(2000), Covering Domestic Violence, *Journalism & Mass Communication Quarterly*. June 2000 vol. 77 no. 2258-272
14. Media Coverage of Domestic Violence Bulletins (2010) - Fall 2010 OPDV Bulletin; [http://hr.hunter.cuny.edu/DV/fall2010\\_bulletin.pdf](http://hr.hunter.cuny.edu/DV/fall2010_bulletin.pdf) Accessed Februart 12, 2013
15. Meyers, Marian. (1997). News Coverage of Violence Against Women: Engendering Blame. Thousand Oaks: Sage Publications.
16. Osepashvili., D. (2009), Topic on Children and the problems of journalistic ethics in Georgian mass media, „Caucasian Messenger“, 2008 N17; p. 171-178;
17. Osepashvili., D. (2009), „Georgian Media Coverage of Children and Crime“, „Inteqtuali„, 2009, N8, p.83-91;

18. Osepashvili., D. (2010), „Georgian Media Coverage of Children and Crime“. Proceedings of the Emotion, Media and Crime Conference. Denmark, Aarhus University;
19. Rayan., Ch, Anastasio., M. DaCunha., A. Changing Coverage of Domestic Violence Murders.*Journal of Interpersonal Violence, Vol. 21 Number 2 February 2006, p.209-228.* Accessed February 14, 2013  
<http://www.racialequitytools.org/resourcefiles/ryan1.pdf>
20. Reporting on Domestic Violence in Connecticut . A Guide for Media Accessed February 14, 2013  
<http://www.ctcadv.org/Portals/0/Uploads/Documents/2011%20CT%20Media%20Guide%20.pdf>
21. Starr, Kelly. (2008). “Covering Domestic Violence: A Guide for Journalists and Other Media Professionals,” Washington State Coalition Against Domestic Violence.[http://www.wscadv.org/docs/Media\\_Guide\\_2008.pdf](http://www.wscadv.org/docs/Media_Guide_2008.pdf)
22. Stevens, Jane Ellen, Lori Dorfman, ed. (2001). „Reporting on Violence: New Ideas for Television, Print and Web.“ Berkeley: Berkeley Media Studies Group.  
[http://bmsg.org/sites/default/files/bmsg\\_handbook\\_reporting\\_on\\_violence\\_new\\_ideas.pdf](http://bmsg.org/sites/default/files/bmsg_handbook_reporting_on_violence_new_ideas.pdf)
23. Telling the Full Story: An Online Guide for Journalists Covering Domestic Violence. Accessed February 14, 2013 <http://dvoonlineguide.org/en/>
24. Tierney, K. (1982). The battered women movement and the creation of the wife beating problem. *Social Problems*, 29, 207-220.
25. Tips for Media Professionals Reporting on Relationship Abuse  
<http://stoprelationshipabuse.org/wp-content/uploads/2013/01/Tips-for-Media-Professionals.pdf>
26. Javakhishvili., N. (2011), Media Representation of Combating Domestic Violence in Georgia. Accessed February 12, 2013 [ucss.ge/nino%20javaxiSvili.doc](http://ucss.ge/nino%20javaxiSvili.doc)
27. Chitashvili., M. (2011), „National Research on Domestic Violence against Women in Georgia“, Tbilisi. Accessed February 1, 2013  
[www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0001/000757/kalta.pdf](http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0001/000757/kalta.pdf)
28. Washington Coalition Against Domestic Violence. Covering Domestic Violence: A Guide for Journalists and other Media Professionals. January 2008. Accessed February 14, 2013 [http://www.wscadv.org/docs/Media\\_Guide\\_2008.pdf](http://www.wscadv.org/docs/Media_Guide_2008.pdf)
29. Weller., Ch. (2009), Needed: A Guide for Media Coverage of Domestic Violence. *University of Nevada, Reno, 2009.*

**Dali Osepashvili**

Professor

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**Covering of Domestic Violence  
in Georgian Print Media and Problems  
of Journalism Ethics**

**Resume**

The purpose of this paper is to present the results of the research on covering the topic of domestic violence by the modern Georgian print media. For this aim the author has studied newspapers: 'Alia', 'Kviris Chronika', 'Kviris Palitra', '24 Saati', 'Rezonansi', 'Versia', 'Prime Time', 'Akhali Taoba'. Content-analysis is used as the method of research. According to the results of the research, the domestic violence mainly is caused by the domestic conflicts.

According to the research, the women fall mostly the victims of domestic violence. They are the subject of violence from their husbands but do not leave their families and avoid sharing the facts; It also turned out that the frequency of covering the given topic is low. Georgian media basically gives the information concerning the campaign of struggle against the domestic violence, though there are the cases of sensational coverage when the certain facts of violence are illustrated in Georgian media and at the same time the professional ethical standards of journalism are breached. They allow the identification of the victims of the violence; indicate their location and do not think about the possibility that, these people may become the victims of violence once again; they do not realize that as a result of similar dramatic coverage the victim of the violence may suffer from the psychological point of view again and they may become victims of stigma, especially, children victims of violence; Georgian journalists also breach presumption of innocence and during the coverage of cases with tragic outcome, define the murderers and criminals before they are proved to be guilty; in some cases, there are some facts of breaching the rights of the children, and human rights in general.

**Татьяна Сашук**

Докторант

Киевский национальный университет имени Тараса Шевченко

**Формы презентации социальной  
проблематики в аналитических  
материалах украинских изданий**

Решение социальных проблем, которые существуют в современном обществе, – важный вопрос нашей действительности. В освещении масс-медиа, которые являются мощным средством влияния на аудиторию, проблемы социальной практики показаны как одни из самых актуальных, как те, что нуждаются во внимании общества. Очевидно, что СМИ влияют на формирование социальной политики в государстве, влияют на общественность и призывают ее к действию.

Социальная тематика на страницах печатных СМИ реализуется во взаимосвязи с другими актуальными проблемами настоящего времени, в контексте этих проблем, в совокупности с ними. Однако всегда ключевой фигурой, которая играет важную роль в формировании, пропагандировании, осуществлении социальной практики, является человек.

Многие исследователи изучали отдельные аспекты проблем социальной практики в масс-медиа, среди них – Д. Климанская<sup>1</sup>, М. Корниенко<sup>2</sup>, О. Лаврик<sup>3</sup>, Т. Семигина<sup>4</sup>, Л. Скокова<sup>5</sup>, О. Ткаченко<sup>6</sup>, Т. Фролова<sup>7</sup>, А. Чекмишев<sup>8</sup> и др.

По мнению К. Шендеровского, «медиа в любых ситуациях должны иметь возможность выполнять свою социальную функцию. Кроме того, медиа являются интересными тогда, когда они в социальном плане затрагивают вопросы, которые особенно тревожат людей. Основным современным заданием медиа должно быть преодоление пяти «С» (сенсация, скандал, смерть, смех, секс), которые преобладают в современной журналистике».

ке, и изменение их на три «Д» (добро, помощь, доверие) (помощь – на украинском «допомога» – *Авт.*).

Соответственно и формирование социальной надежды в медиаматериалах приводит к появлению социально значимой журналистики («социальной журналистики», «социальнопроблемных медиа», общественной журналистики, журналистики соучастия и тому подобное)<sup>9</sup>. Ученый последовательно доводит тезис, что социальная журналистика – это отдельный институт, который полноценно функционирует в нашем обществе, требуя от своей аудитории не пассивного созерцания, прочтения, прослушивания информации, а активного участия в творении и перестройке общества.

Последующего глубинного рассмотрения институализация коммуникации в сфере решения социальных проблем приобретает в кандидатской диссертации К. Шендеровского. Ученый последовательно доказывает, что «в современных условиях приобрел значимость институциональный подход, согласно которым коммуникации не отражают (не освещают) реальность, а творят ее, выступая в роли генератора новых качеств социального. Институциалисты определяют условия создания и развития институциональных кодексов поведения, норм, принципов, формируют стратегии, связанные с приобретением социальными институтами статусов и форм»<sup>10</sup>.

Исследование вышеназванных ученых базируется на комплексной характеристике проблемно-тематического уровня контента национальных и региональных масс-медиа. Однако проблемы социальной практики не рассматриваются в этих трудах как отдельный предмет научного изучения (или исследуются в сравнительном аспекте с другими темами), хотя степень их важности актуализируется с каждым годом, о чем свидетельствует контент современных украинских общенациональных печатных масс-медиа.

Одной из мощных попыток систематизации и обобщения проблематики СМИ и отведения важного места актуальным проблемам социальной практики в освещении масс-медиа есть научный труд коллектива авторов «Проблематика СМИ: Информационная повестка дня» (под ред. М. Шкондина).

Пособие структурировано на три раздела, в которых представлена актуальная проблематика современных масс-медиа: глобальные процессы современности в проблематике СМИ (противоречие глобализации, демографические проблемы, миграционные процессы, проблемы экологии),

основные сферы общественной жизни как объект журналистики (политическая проблематика, экономическая проблематика, социальная проблематика, культурологическая проблематика), актуальные проблемы социальной практики в освещении СМИ (духовно-религиозная проблематика, проблема благотворительной деятельности, проблемы детства в информационном поле СМИ, гендерная проблематика, антикриминальная проблематика, проблематика антинаркотических публикаций)<sup>11</sup>.

Как видим, весомое место в структуре важнейших тем и проблем масс-медийного пространства занимает именно социальная проблематика, структурированная на шесть самых актуальных подтем, которые не исчерпывают все возможности и векторы проблем социальной практики.

Русский ученый И. Ясавеев в пособии «Конструирование социальных проблем средствами массовой коммуникации» особое внимание уделяет конкуренции между социальными проблемами за место в «повестке дня», которая устанавливается средствами массовой информации, конструированию социальных проблем преступности и ВИЧ/СПИДА русскими и региональными телекомпаниями и газетами, а также последствиям медиаконструирования социальных проблем таким как «эмоциональное сгорание» аудитории. Автор детально рассматривает основные социологические подходы к социальным проблемам: направлений социальной патологии, социальной дезорганизации, функционалистского подхода, критического, интеракционистского и конструкционистского<sup>12</sup>.

Экономический подход к моделированию социальных процессов предлагает В. Райцин в своем пособии<sup>13</sup>. Ученый рассчитывает стандарты уровня жизни населения, в первую очередь прожиточного минимума, который также является одним из аспектов реализации социальной проблематики.

Интересным с точки зрения анализа социальной психологии массовой коммуникации является учебник Н. Богомоловой<sup>14</sup>. Книга посвящена анализу современного состояния социально-психологических исследований СМИ, которые приобретают особое значение в эпоху бурного развития информационных технологий. В работе проанализированы теоретические и эмпирические исследования массовой коммуникации, проведенные русскими и заграничными специалистами.

Анализ вышеназванных научных трудов свидетельствует об активной заинтересованности учеными анализом проблем социальной практики с

точки зрения психологии, социологии, экономики и массовых коммуникаций.

М. Бережная в своем исследовании социальной действительности отмечает, что к началу 2000-х годов произошло «формирование нового направления в профессиональной идеологии – социальной журналистику, ориентированной на конструктивный подход в освещении социальной проблематики и позитивное социальное действие общества»<sup>15</sup>.

Исследуя социальную проблематику в русском информационном пространстве, Т. Фролова подходящие выделяет четыре основных сферы общества: политическую, экономическую, социальную, духовную. Социальная сфера, по мнению ученой, «определяет предметное своеобразие социальной журналистики, прежде всего ее тематические особенности: проблемы труда, занятости, доходов, образования, здравоохранения, социальной защиты, межнациональных взаимоотношений, женщин, детей семьи, других социальных групп и отдельных сегментов социальной инфраструктуры и так далее. Проблематика более подвижная, переменчивая, более злободневная: каждое общество разрешает свои собственные проблемы, которые выходят из характера социальных связей в определенный исторический период»<sup>16</sup>. Одно из заданий социальной журналистики научный работник видит в обращении в пространство человека и, как следствие, – полнота подачи информации об обществе, качестве социального анализа, участии граждан в информационном обмене.

Вышеназванные тенденции в освещении социальных тем демонстрируют современные украинские СМИ, в частности ежедневная всеукраинская газета общественно-политической тематики «День» и международный общественно-политический еженедельник «Зеркало недели».

За исследуемый период перечислены авторитетные издания среди лидеров по тиражам, уровнем цитирования, влиятельностью на аудиторию. Эти газеты имеют постоянного, четко определенного, читателя. Еще большей является их потенциальная аудитория – те читатели, которые обращаются к газетам эпизодически, а не периодически, не стали постоянными подписчиками или читателями. Задекларированный редакцией тираж «Дня» – 62500-65400, пятничный выпуск – 90000, еженедельника «Зеркало недели» – 48000-52000 экземпляров.

Еще одним критерием для выбора и сравнения стал тот факт, что указанные еженедельник и ежедневное издание отображают интересы ауди-

тории Украины и выходят для читателей государства (газета «День» также выдает англоязычный дайджест во вторник, четверг тиражом свыше 7 тыс. экз.). Издания близки по тематике и проблематике, общей парадигме освещения событий, объективности, а также их электронные версии дают возможность читателю оставить комментарий о прочитанной публикации, оценить ее, порекомендовать в социальных сетях, ссылаясь на прочитанное и тому подобное, то есть предусмотрено обсуждение самых актуальных, по мнению аудитории, тем и проблем. Анализируемые источники имеют общие тенденции в объеме, территории распространения, охватыва- нии потенциальной аудитории, а поэтому сравнение парадигмы и особенностей освещения социальной проблематики в изданиях является плодотворным векторе изучения контента. Исследование контента ана- лизируемых источников позволит понять особенности влияния этих изданий на читателей и на формирование мыслей и настроений граждан Украины.

Смысловое наполнение этих печатных масс-медиа подчиняется рубрикации изданий. Весомые аспекты социальной практики газета «День» подает в рубриках «Политика», «Экономика», «Взгляд», «Мысль», «Размышления», «Проблема», «Ситуация», «Параллели», «Событие», «Факт и комментарий», «Точка зрения», «NB!», «ЧП» «Резонанс», «Эксклюзив», «Фотофакт», «Телегид», «Проект», «Культура», «Почта», «Украинцы, – читайте!», «Общество», «Тенденции», «Опыт», и др., что свидетельствует о масштабе охватывания актуальной проблематики. Социальная проблема- тика международного общественно-политического еженедельника «Зеркало недели» освещается в основных рубриках: «Власть», «Деньги», «Чело- век», «Культура», «Социум», «Внутренняя политика», «Право».

Объединительным фактором для «Зеркала недели» и «Дня» является целевая аудитория изданий – украинская интеллигенция. Иными словами, это читатели, небезразличные к истории, политике, экономике, обществен- ному и социальному строению своей родины, ее прошлого, настоящего и будущего; политики, сознательные граждане, способные осмыслить глубину аналитических публикаций.

Мониторинг контента еженедельника «Зеркало недели» и ежедневной газеты «День» (за сентябрь-ноябрь 2013 года) засвидетельствовал, что издания представляют социальную проблематику через взаимодействие с

другими актуальными общественными вопросами в таких тематических блоках:

- **экономика и политика:** «О финансовых мостах с Поднебесной», автор: Наталья Белоусова (День. – 1 октября); «С чего начинается развитие?», автор: Владимир Дубровский (Зеркало недели. – 9 октября);

- **наука и образование:** «Нанотехнологии в Украине: вдогонку за уходящим поездом», автор: Петр Усатенко (Зеркало недели. – 27 сентября); «Как университеты... зарабатывают деньги?», автор: Наталья Малимон (День. – 8 октября);

- **государство и его взаимодействие с другими социальными институтами:** «Государство не может гарантировать защиту персональных данных», автор: Мария Томак (День. – 8 октября); «Культура жизни vs культуры смерти (О попытках налаживания коммуникации по вопросам биоэтики между Церковью и обществом)», автор: Юлиана Лавриш (День. – 30 сентября);

- **социальная культура:** «Социальной культуре нужно обучать», автор: Ирина Кириченко (Зеркало недели. – 6 сентября); «Частная собственность за рамками общественного признания?», автор: Ирина Кириченко (Зеркало недели. – 27 сентября);

- **экология и сбережение энергоресурсов:** «Климатический вердикт (Эксперты: в Украине будут исчезать весна и осень, участятся природные катаклизмы. Как к этому готовиться?)», авторы: Ирина Диховид, Оксана Миколюк (День. – 3 октября); «Выбрось батарейку правильно», автор: Ольга Харченко (День. – 8 октября);

- **физическое и моральное здоровье нации:** «Крокодил» в Украине. Аптечная наркомания набирает обороты», автор: Сергей Гордиенко (Зеркало недели. – 4 октября); «Дешевые, искусственные и нездоровые (60 % наших помещений незэкологичны и наносят вред здоровью. Что с этим делать?)», автор: Оксана Миколюк (День. – 1 октября);

- **материнство и детство:** «Быть или не быть международному усыновлению», автор: Наталья Кравченко (Зеркало недели. – 20 сентября); «Семья как мечта (В Украине сокращается усыновление: граждане не хотят брать на воспитание детей старше 10 лет)», автор: Оксана Миколюк (День. – 1 октября);

- **культура и искусство:** «Переселение храма культуры в никуда – это фактически его уничтожение!», автор: Татьяна Полищук (День. – 10

октября); «Украинская классика и аншлаги», автор: Людмила Обуховская (День. – 8 октября).

Смысловые контексты и содержательные аспекты социальной проблематики представлены в аналитических материалах украинских изданий значительно шире. Автором очерчена только схема, которая демонстрирует основные тенденции в освещении социальных тем, обусловленные направлениями социальной политики государства, а также социальными стереотипами, устойчивыми представления аудитории о напряженности в отдельных направлениях социальной проблематики.

Отметим, что наиболее подходящим, влиятельным инструментом воздействия на читательскую аудиторию, своеобразным инструментом для реализации функций критики и контроля выступают аналитические материалы. Авторы публикаций используют такие весомые аргументы аналитики: интерпретирование событий через другие факты, привлечение мнение экспертов, донесение ключевой идеи, детальное ее описание, четкая аргументация высказывания, приведение доказательств, ясность и простота стиля, уместные вставки. Что же касается жанровых форм презентации социальной проблематики, то характерными примерами ее реализации есть аналитическая и проблемная статья, корреспонденция, комментарий (аналитические жанры), репортаж, интервью (информационные жанры). Иногда в статье используются элементы интервью или комментария. Аналитические материалы обычно дополнены фотографиями, графикой, диаграммами, что усиливает влияние текста публикации на реципиента.

К примеру, журналист «Зеркала недели» Оксана Кузяків дискусию относительно перспективы подписания Украиной Соглашения об ассоциации в Европейском Союзе освещает в форме аналитической статьи «Украинский бизнес начинает смотреть в сторону запада» (Зеркало недели. – 4 октября). За счет подачи конкретной проблемы, автор создает точный ракурс ее освещения и детального анализа, отслеживает мнения экспертов, удачно использует цифровые данные, резюмирует результаты опросов.

Таким образом, тенденции социальной проблематики на страницах украинских изданий «День» и «Зеркало недели» воплощаются в рубрикационном комплексе, в публикациях, которые объединяются общими проблемно-тематическими характеристиками, направленными на освещение,

анализ, раскрытие остроактуальных тем. Классификация векторов социальной проблематики, которые исследуются в анализируемых масс-медиа, не может претендовать на всеохватченность проблем социальной практики, однако иллюстрирует типичные тенденции освещения актуальной проблематики социальной области общественной жизни. Аналитическая и проблемная статья, репортаж, интервью оказались продуктивным инструментом для осуществления анализа актуальных социальных проблем.

### Примечания

1. Климанська Л. Д. Медіа-імідж соціальної проблеми // Методологія, теорія та практика соціологічного аналізу сучасного суспільства. К., 2009. Вип. 15. С. 273–279.
2. Корнієнко М. В., Малиш М. М. Соціальні проблеми молоді: медіаризики та медіапрофілактика // Наукові записки Інституту журналістики. К., 2011. Т. 43. С. 69–99.
3. Лаврик О. В. Соціальна проблематика газетних виступів. Харків, 2010. 72 с.
4. Семигіна Т. В. Інформаційне забезпечення соціальної сфери. К., 2007. 156 с.
5. Скокова Л. Культурна соціологія: «сильна програма» дослідження смыслів соціального життя // Соціологія: теорія, методи, маркетинг. К., 2009. № 4. С. 19–42.
6. Ткаченко О. Г. Соціальні проблеми на шпалтах газет – дієвий чинник у процесі виховання особистості (на матеріалі обласної преси Сумщини) // Наукові записки інституту журналістики. К., 2010. Т. 38. С. 69–72.
7. Фролова Т. И. Социальная проблематика / Проблематика СМИ: Информационная повестка дня. М., 2008. С. 98–142.
8. Чекмішев О. В. Основи професіональної комунікації. Теорія і практика новинної журналістики. К., 2004. 129 с.
9. Шендеровський К. С. Передумови інституалізації соціально значимих медіа // Ученые записки Таврійского національного

- университета им. В. И. Вернадского. Сер. «Филология. Социальные коммуникации». 2011. Т. 24 (63). № 4. Ч. 1. С. 121–134.
10. Шендеровський К. С. Інституціалізація комунікацій у сфері вирішення соціальних проблем: Дис. ... канд. н. із соц. комунік. К., 2013. 245 с.
  11. Шкондин М. В., Вычуб Г. С., Фролова Т. И. Проблематика СМИ: Информационная повестка дня. М., 2008. 316 с.
  12. Ясавеев И. Г. Конструирование социальных проблем средствами массовой коммуникации. М., 2004. 200 с.
  13. Райцин В. Я. Моделирование социальных процессов. М., 2005. 192 с.
  14. Богомолова Н. Социальная психология печати, радио и телевидения. М., 1991. 125 с.
  15. Бережная М. А. Позитивные ракурсы социальной проблематики на современном телезране // Вестник ВГУ. Серия: Филология. Журналистика. 2008. № 2. С. 150–154.
  16. Фролова Т. И. Социальная проблематика / Проблематика СМИ: Информационная повестка дня. М., 2008. С. 98–142.

### ტატიანა სასჩუკი

დოქტორანტი

ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი (უკრაინა)

სოციალური პრობლემატიკის პრეზენტაციის ფორმები  
უკრაინული გამოცემების ანალიტიკურ მასალებში

### რეზიუმე

სტატიაში გამოკვლეულია ზოგიერთი უკრაინული გამოცემის ანალიტიკურ მასალებში სოციალური პრობლემატიკის პრეზენტაციის ფორმები. უფრო მეტად გამოყოფილია აქტუალური მიმართულებები, რომლებიც გაშუქებულია სოციალური პრობლემების გადაწყვეტის კონტექსტში. განხილულია უკრაინული ბეჭდური მედიის თემატური და უანრობრივი პარადიგმები.

## იოსებ სალუქვაძე

პროფესორი, თსუ

## გიორგი მელაძე

ასოცირებული პროფესორი, თსუ

### მიგრაციული პროცესები საქართველოში და მისი დემოგრაფიული შედეგები

საქართველოს სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და განვითარების ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე, სხვადასხვა ფორმითა და ინტენსივობით, ყოველთვის ახასიათებდა მიგრაციული პროცესები. საბჭოთა იმპერიის არსებობის პერიოდში გარე მიგრაციული პროცესები მინიმალური იყო, ვინაიდან აღნიშნული იმპერია პრაქტიკულად ჩაკეტილ სივრცეს წარმოადგენდა. ამ შემთხვევაში საქართველოსათვის გარე მიგრაციად უნდა მივიჩნიოთ ცალკეულ საბჭოთა რესპუბლიკებთან არსებული მიგრაციული პროცესები. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (შემდგომში სსეს) მონაცემებით, საქართველო ემიგრაციული ქვეყანა 1960 წლიდან ხდება. ამ წელს ქვეყნიდან გასულთა რაოდენობამ 16.8 ათასით გადააჭარბა შემოსულთა რაოდენობას. 1990 წლამდე მიგრაციის უარყოფითი სალდოს ყველაზე მაღალი მნიშვნელობა 1975 წელს დაფიქსირდა (-25.5 ათასი), რის შემდგომ იგი შემცირდა და 1976-1990 წწ. საშუალოდ -17.6 ათასს შეადგინდა. მიუხედავად იმისა, რომ განხილული დროის მონაკვეთში მიგრაციული სალდო უარყოფითი იყო, მოსახლეობის ბუნებრივი მატების აბსოლუტური რაოდენობის მაჩვენებელი ამ უკანასკნელს ყოველთვის აღემატებოდა, რის შედეგადაც ქვეყნის მოსახლეობის საერთო რაოდენობა არასოდეს არ შემცირებულა.


საქართველოში გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში განვითარებულმა ექსტრაორდინარულმა პროცესებმა უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი და დემოგრაფიული სისტემის მნიშვნელოვანი დეფორმირება გამოიწვია. აღნიშნულ მოვლენაში კატალიზა-

ტორის როლი, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, ათობით წლების მანძილზე არსებული ეკონომიკური კავშირების მყისიერმა განცყვეტამ, აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში გარეშე ძალების მიერ ხელოვნურად ინსპირირებულმა შეიარაღებულმა კონფლიქტებმა და სამოქალაქო ომმა შეასრულეს. ქვეყნის მართვაში სახელმწიფო კონტროლის შესუსტებამ კიდევ უფრო დაძაბა არსებული საერთო ვითარება. მოიშალა სახალხო მეურნეობის რიგი დარგები, მკვეთრად გაუარესდა კრიმინოგენული სიტუაცია, არსებულმა საერთო ვითარებამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია.

პოსტსოციალისტურ სივრცეში ეკონომიკის დაქვეითებას არსად მიუღია ისეთი მასშტაბები და ინტენსიური ხასიათი, როგორიც საქართველოში. 1990-იანი წლების პირველ ნახევარში კატასტროფულ ვარდნას განიცდიდა ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების ინდექსები. 1990-1994 წწ. საქართველოში ნარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტი თითქმის 5-ჯერ შემცირდა. 1994 წელს მრეწველობის მთლიანი პროდუქცია 1958 წლის, ხოლო სოფლის მეურნეობისა 1945 წლის დონეზე იყო დაქვეითებული. 1990 წელს მრეწველობაში დასაქმებული იყო ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანი (ჩიქავა, 1997). ათი წლის შემდეგ ეს მაჩვენებელი ათჯერ შემცირდა, ანუ მოხდა საქართველოს დეინდუსტრიალიზაცია (გაჩერილაძე, 2011). მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი უმუშევარი დარჩა. 1990 წელს საშუალო თვიურმა ინფლაციამ საქართველოში 1.7% შეადგინა, 1992 წელს – 21.3%, ხოლო 1994 წელს – 56.3% (ი.არჩევაძე. სტატისტიკური შოკი). 1994 წელს მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე მხოლოდ 500 დოლარის ტოლი იყო (<http://www.unstats.un.org>). 2000 წელს რეალურმა მთლიანმა შიდა პროდუქტმა 1990 წლის დონის მხოლოდ 29% შეადგინა, რაც ყოფილ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებს შორის ყველაზე უარესი მაჩვენებელი იყო (იხ. ნახაზი 1).

### ნახაზი 1

რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ცვლილება საქართველოში  
და ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში 1990-2000 წწ.  
1990 = 100%



წყარო: <http://www.siteresource.worldbank.org>

უმნვავესი სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის და არასტაბილური პოლიტიკური მდგომარეობის გამო, ქვეყნის მოქალაქეთა მნიშვნელოვანი ნაწილი იძულებული გახდა საკუთარი თავისა და ოჯახების გადარჩენის მიზნით, სამუდამოდ, დროებით და გაურკვეველი ვადით საზღვარგარეთ გამგზავრებულიყო.

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ემიგრაციული პროცესების პიკი 1992-1996 წლებში დაფიქსირდა. აღნიშნული დროის მონაკვეთში, საქართველოს მოსახლეობის უარყოფითმა გარე მიგრაციულმა სალდომ 673.1 ათასი ადამიანი შეადგინა. საგულისხმო ფაქტია, რომ ეს უკანასკნელი ბევრად აღემატებოდა 1960-1991 წწ. 32 წლის მანძილზე დაფიქსირებულ გარე მიგრაციის უარყოფით სალდოს, რომელიც 474.5 ათასის ტოლი იყო. 1997-2001 წწ. შეიმჩნეოდა უარყოფითი მიგრაციული სალდოს კლების პროცესი.

მიგრაციულ პროცესებში მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა 2004 წელს, როდესაც 1960 წლიდან პირველად, ქვეყანაში ჩამოსულთა რაოდენობამ 5.5 ათასით გადააჭარბა გასულთა რაოდენობას. 2005 წელს დადებითი გარე მიგრაციული სალდო თითქმის 14-ჯერ გაიზარდა და 76.3 ათასი შეადგინა (იხ. ცხრილი 1).

აღნიშნული მოვლენა, ნაწილობრივ, შესაძლებელია აიხსნას იმ ფაქტით, რომ ვარდების რევოლუციის შემდგომ პერიოდში, საზღვარგარეთ მყოფ ჩვენი თანამემამულების გარკვეულ ნაწილს მიეცათ ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ღირსეული დასაქმების იმედი, რის გამოც ისინი დაბრუნდნენ სამშობლოში. სამწუხაროდ, პროცესი ხანმოკლე აღმოჩნდა და 2006-2008 წელებით (2009-2011 წწ.), გარე მიგრაციული სალდო კვლავ უარყოფითი იყო. ოფიციალური მონაცემებით (2009-2011 წწ.), გარე მიგრაციული სალდო დადებით ნიშნულს დაუბრუნდა, რის შემდგომ იგი კვლავ უარყოფითია.

### ცხრილი 1

#### საქართველოს მოსახლეობის გარე მიგრაციის სალდო

1990-2014 წწ.

წლები	მიგრაციის სალდო		წლები	მიგრაციის სალდო	
	რაოდენობა (ათასი)	კოეფიციენტი (%)		რაოდენობა (ათასი)	კოეფიციენტი (%)
1990	-13.2	-2.4	2002	-27.8	-6.4
1991	-22.6	-4.1	2003	-27.5	-6.4
1992	-139.3	-25.8	2004	5.5	1.3
1993	-140.9	-27.4	2005	76.3	17.5
1994	-142.6	-29.3	2006	-12.1	-2.8
1995	-127.2	-26.9	2007	-20.7	-4.7
1996	-123.1	-26.7	2008	-10.2	-2.3
1997	-59.9	-13.2	2009	34.2	7.8
1998	-39.2	-8.7	2010	18.1	4.1
1999	-36.3	-8.2	2011	20.2	4.5
2000	-35.2	-8.0	2012	-21.5	-4.8
2001	-32.6	-7.4	2013	-2.6	-0.6

წყარო: სსეს.

უკანასკნელ წლებში, გლობალური ეკონომიკური კრიზისის შედეგად, ბევრ ქვეყანაში გაუარესდა მიგრანტთა შრომითი და საყოფაცხოვრებო პირობები. მიგრანტების გარკვეული რაოდენობა სამუშაოს გარეშე დარჩა, რის გამოც მათი ნაწილი სიტუაციის გაუმჯობესებისა და სამსახურის მიღების მოლოდინით იმავე ქვეყანაში დარჩა. ზოგიერ-

თი მათგანი სხვა ქვეყანაში გადავიდა, მცირე ნაწილი კი სამშობლოში დაბრუნდა.


საქართველოდან ემიგრაციის რიგ მიზეზთაგან უმთავრესი უმუშევრობაა. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების თანახმად, უმუშევრობის მაჩვენებელი 2004-2010 წწ. 2.4 პუნქტით გაიზარდა და 2012 წელს 15.0% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა შეფასებით აღნიშნულ წელს უმუშევრობის დონე გაცილებით მაღალი – 32.4%-ის ტოლი იყო (ლაცაბიძე, ცარციძე, 2013).

2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომისა და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ზეგავლენის შედეგად ქვეყანა შევიდა რეცესიის ფაზაში. ომის შედეგად საქართველომ განიცადა დიდი პირდაპირი ეკონომიკური ზარალი, რაც ზრდის მაჩვენებლის მკვეთრ შემცირებაში აისახა. 2008 წელს მშპ-ს ზრდამ მხოლოდ 2.1% შეადგინა, მაშინ როდესაც 2007 წელს ეს ციფრი 12.3% იყო. ომს მოჰყვა მნიშვნელოვანი ეკოლოგიური ზიანი და სერიოზული სოციალური პრობლემები. იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა გაიზარდა თითქმის 160 000 ათასი კაცით. საჭირო გახდა მათთვის დროებითი საცხოვრებელი სახლების აშენება და სოციალური დახმარება (<http://www.internaldisplacement.org>).

არსებულ მდგომარეობაში 2004, 2005, 2009-2011 წლებში საქართველოში დაფიქსირებული მიგრაციის სალდოს დადებითი მნიშვნელობები ეჭვის საფუძველს ბადებს. მით უმეტეს, რომ გაეროს სპეციალისტების შეფასებებით 2005-2010 წლებში გარე მიგრაციის საშუალო წლიური სალდოს მნიშვნელობა უარყოფითი იყო და -30.0 ათასს შეადგენდა (<http://esa.un.org>). იგივე წყაროს მიხედვით, კიდევ უფრო მეტი იყო აღნიშნული მაჩვენებელი 2000-2005 წწ. (-62.0 ათასი). ცხადია მოტანილი მნიშვნელობები საშუალო მაჩვენებლებია და ცალკეული წლების მიხედვით ისინი გარკვეულ გადახრებს ექვემდებარებიან, მაგრამ ფაქტი ერთია, რომ ისინი ყოველთვის უარყოფითი იყო.

გაეროს ექსპერტების შეფასებით, 2005-2010 წწ. ყოფილი სსრ კავშირის ქვეყნებს შორის მოსახლეობის მიგრაციული მატების უარყოფითი საშუალონლიური კოეფიციენტი საქართველოში ყოველ 1000 მცხოვრებზე ყველაზე მაღალი იყო და – 11.5-ს შეადგენდა (იხ. ნახაზი 2).

ნახაზი 2  
მოსახლეობის მიგრაციული მატების საშუალონდიური  
კოეფიციენტი ყოფილი სსრ კავშირის ქვეყნებში  
(ყოველ 1000 მცხოვრებზე)  
2005-2010 წწ.



ნუარო : International Migration 2009.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ემიგრაციული პროცესები უმთავრეს როლს ასრულებენ საქართველოს დემოგრაფიული სისტემის ფორმირებაში. არსებული მდგომარეობა შესაბამისად აისახა დემოგრაფიულ მაჩვენებლებში. მკვეთრად შემცირდა მოსახლეობის და დაბადებულთა აბსოლუტური რაოდენობა, გაიზარდა მოკვდაობის კოეფიციენტი, ინტენსიურად მიმდინარეობდა მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების პროცესი.

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიხედვით 1992-2004 წწ. მოსახლეობის რაოდენობის კლების პერმანენტული პროცესი მიმდინარეობდა (იხ. ცხრილი 2). აღნიშნული დროის მონაკვეთში 20%-ით შემცირდა ქვეყნის მოსახლეობა.

ცხრილი 2

საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის დინამიკა  
1990-2013 წწ.

წლები	მოსახლეობის რაოდენობა (ათასი)	წლები	მოსახლეობის რაოდენობა (ათასი)	წლები	მოსახლე- ობის რაოდენობა (ათასი)
1990	5424.4	1998	4504.9	2006	4401.3
1991	5453.3	1999	4469.8	2007	4394.7
1992	5467.4	2000	4435.2	2008	4382.1
1993	5345.8	2001	4401.4	2009	4385.4
1994	4929.9	2002	4371.5	2010	4436.4
1995	4794.2	2003	4342.6	2011	4469.2
1996	4674.5	2004	4315.2	2012	4497.6
1997	4558.4	2005	4321.5	2013	4483.8


1993 და 1994 წლებიდან ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის გარეშე.  
წყარო : სსეს

დაფიქსირებული კლება, ძირითადად, აქტიური რეპროდუქციული  
ასაკისა (20-29 წწ.) და შრომისუნარიან ასაკში (15-64 წწ.) მყოფი მოსახ-  
ლეობის ხარჯზე მოხდა. საგულისხმო ფაქტია, რომ 1989-2002 წლებში  
ფერტილური ასაკის ქალების შობადობის პოტენციალის რეალიზაცი-  
ის ხარისხი 36.6-დან 25.5%-მდე შემცირდა (მელაძე, 2007). უკანასკნელ  
წლებში (2008-2012 წწ.) ქვეყანაში მოსახლეობის რაოდენობის მატება  
დაფიქსირდა, რომელიც 2013 წელს კვლავ კლებით შეიცვალა. აღნიშ-  
ნულ წელს ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობამ 4483.8 ათასი შეადგინა.

მიუხედავად ცალკეულ წლებში შობადობის ზოგადი კოეფიციენ-  
ტის მატებისა, 1990-2013 წლებში მისი ძირითადი ტენდენცია კლებით  
ხასიათდებოდა (იხ. ნახაზი 3).

### ნახაზი 3

შობადობის, მოკვდაობისა და ბუნებრივი  
მატების ზოგადი კოეფიციენტების  
დინამიკა საქართველოში 1990-2013 წწ.



წყარო : სსეს

შობადობის ზოგადი კოეფიციენტის მკვეთრი კლება 1990-1994 წწ. დაფიქსირდა, როდესაც მისი მნიშვნელობა 5.3 პუნქტით შემცირდა. 1990 წელთან შედარებით, 2003 წელს დაბადებულთა აბსოლუტური რაოდენობა განახევრდა. 2006-2009 წწ. საქართველოში დაბადებული ბავშვების აბსოლუტური რაოდენობის საგრძნობი მატება აღინიშნა, რის შედეგადაც შობადობის ზოგადი კოეფიციენტი 3.2 პუნქტით გაიზარდა და 14.4 (2009 წ.) შეადგინა, რაც 1991 წლის შემდგომ ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო. საზოგადოების გარკვეულ ნაწილში წარმოიშვა აზრი აღნიშნულ მოვლენაზე საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია II-ს ცნობილი მოწოდებისა (2008 წლიდან საქართველოს პატრიარქი ნათლავს ყოველ მესამე და შემდეგი რიგითობის ბავშვებს) და ხელისუფლების წარმატებული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის დადგებითი ზეგავლენის შესახებ. ნაწილობრივ შესაძლებელია გავიზიაროთ აღნიშნული მოსაზრება, მაგრამ ნაკლებად სარწმუნოდ მიგვაჩნია დაბადებულთა რაოდენობის ასეთი საგრძნობი მატების ახსნა მხოლოდ ზემოაღნიშნული მიზეზებით, მით უმეტეს, რომ ქვეყანაში არ გატარებულა რაიმე პრონატალისტური პოლიტიკა. მოვლენის არსის ძირითადი საფუძველი დემოგრაფიული სისტემისა და გარემომცველი სამყაროს ურთიერთობით გამოწვეულ ურთულეს პროცესებში უნდა

ვეძიოთ (მელაძე, 2013). აღნიშნულ წლებში დაბადებულთა რაოდენობრივ მატებაზე ზეგავლენა მოახდინა რეპროდუქციული ასაკის ქალებში მომხდარმა სტრუქტურულმა ცვლილებებმა. საქართველოში დაბადებული ბავშვების ყველაზე დიდი წილი მოდის 20-24 წწ. ასაკის დედებზე. შობადობის მატება ქვეყანაში 2006 წლიდან შეინიშნებოდა. აღნიშნულ წელს 20-24 წწ. ასაკის ქალები დაბადებულები არიან 1982-1986 წწ. როდესაც რეალურად მაღალი იყო შობადობა. შესაძლებელია ითქვას, რომ 1980-იანი წლების მეორე ნახევარში ჩამოყალიბებული დემოგრაფიული ტალღის შესაძლებლობები (შობადობაზე ზეგავლენის თვალსაზრისით) იწურება და უახლოეს წლებში ქვეყნისათვის შობადობის კლების ტენდენცია იქნება დამახასიათებელი (ცალკეულ წლებში შესაძლებელია მისი უმნიშვნელო მატება, რაც ზეგავლენას ვერ მოახდენს ძირითად ტენდენციაზე). 2009 წლის შემდგომ საქართველოში უკვე მიმდინარეობს აღნიშნული პროცესი.

უკანასკნელ წლებში შეინიშნება მოკვდაობის მატების ტენდენცია. 2013 წელს მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი 10.8%-ს ტოლი იყო, რაც 1990-2013 წწ. ერთ-ერთი მაღალი მაჩვენებელია.

მიმდინარე ნეგატიური დემოგრაფიული პროცესების შედეგად საგრძნობლად შემცირდა მოსახლეობის ბუნებრივი მატება. 1999-2004 წწ. ბუნებრივი მატების კოეფიციენტი ნულთან ახლოს იმყოფებოდა, ხოლო 2002 წელს მისი ნულოვანი მნიშვნელობაც კი დაფიქსირდა. 2013 წელს მისი მაჩვენებელი დაბალი იყო და 2.1%-ს შეადგენდა (იხ. ნახაზი 3).

საქართველოში მიმდინარე შობადობის კლებისა და ფართომას-შტაბიანი ემიგრაციული პროცესების შედეგად გაიზარდა მოსახლეობის დაბერების მაჩვენებელი. 2008 წელს საქართველო მსოფლიოს 25 დემოგრაფიულად ყველაზე დაბერებულ ქვეყნებს შორის მე-14 ადგილზე იმყოფებოდა (An Aging World, 2009). 2014 წლის 1 იანვრის მონაცემებით, 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი ქვეყანაში თითქმის 14%-ს შეადგენდა.

ემიგრაციული პროცესების შედეგად საგრძნობი ცვლილებები განიცადა საქართველოს მოსახლეობის ეროვნულმა სტრუქტურამ. სამწუხაროდ, 2002 წლის შემდგომ საქართველოში არ ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერა, რომელიც მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა აღნიშნული სტრუქტურის შესახებ. არსებული ვითარებიდან გამომდინარე, ზემოაღნიშნული აღწერის მონაცემებით უნდა ვისარგებლოთ, რომლის თანახმად ემიგრირებული მოსახლეობის საერ-

თო რაოდენობიდან მნიშვნელოვან ნაწილს (60.9%) ქართველები შეადგენდნენ. მაღალი მაჩვენებლები გააჩნდათ სომხებს (11.1%), აზერბაიჯანელებს (7.7%) და ბერძნებს (7.7%).

ემიგრაციული პროცესის სიღრმისეული დახასიათებისათვის მიზანშენონილია ემიგრაციის ინტენსიურობის ინდექსის გამოყენება, რომელიც გვიჩვენებს თუ ცალკეული ეროვნების ყოველი 1000 ადამიანიდან რამდენი გაემგზავრა ემიგრაციაში. მისმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ყველაზე მაღალი ემიგრაციის ინტენსივობით ბერძნები გამოირჩეოდნენ, რომელთა მაჩვენებელიც 2.7-ჯერ აღემატებოდა მეორე ადგილზე მყოფ ებრაელი ეროვნების მოსახლეობის მაჩვენებელს. განხილული კოეფიციენტი მნიშვნელოვანი სიდიდით გამოირჩეოდა ოსი ეროვნების ადამიანებშიც (იხ. ნახაზი 4).


#### ნახაზი 4

ემიგრანტების განაწილება ეროვნებისა

და ემიგრაციის ინტენსიურობის

ინდექსის მიხედვით საქართველოში 2002

წლის აღწერის მონაცემების მიხედვით



წყარო: მელაძე, 2007


## მიგრაციული პროცესები საქართველოში და მისი დემოგრაფიული შედეგები

მომხდარი ცვლილებების შედეგად ყველა ეროვნების მოსახლეობის აბსოლუტურმა რაოდენობამ კლება განიცადა. აღნიშნული პროცესი განსაკუთრებით ფართო მასშტაბით გამოირჩეოდა ბერძენი, ებრაელი და რუსი ეროვნების ადამიანებს შორის.

პროცენტული განაწილების თვალსაზრისით, გარდა ქართველი და აზერბაიჯანელი მოსახლეობისა, შემცირდა ყველა დანარჩენი ეროვნებების წილი. ქართველების წილმა 84% შეადგინა. ასეთი მაღალი მაჩვენებელი არასოდეს არ დაფიქსირებულა საქართველოში 1897 წლიდან ჩატარებული მოსახლეობის აღწერების მიხედვით. აზერბაიჯანელები პირველად აღმოჩნდნენ (ქართველების შემდგომ) მეორე ადგილზე როგორც აბსოლუტური, ასევე პროცენტული მაჩვენებლების მიხედვითაც.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მიმდინარე დემოგრაფიული პროცესები ადეკვატურად აისახა საქართველოს მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივ სტრუქტურაზე. დემოგრაფიული განვითარების თვალსაზრისით დროის არცთუ დიდი მონაკვეთის მანძილზე (1990-2014 წწ.), ქვეყნის ასაკობრივ-სქესობრივი პირამიდა სულ უფრო იღებს რეგრესული პირამიდის ფორმას (იხ. ნახაზი 5).

**ნახაზი 5**  
**საქართველოს მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივი  
პირამიდები 1990 და 2014 წწ.**



უკანასკნელ წლებში ქვეყნის ხელისუფლება ატარებს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ მიმართულ რიგ

ღონისძიებებს. აღნიშნულმა ქმედებებმა, გარკვეულწილად, პოზიტიური გავლენა უნდა მოახდინონ დემოგრაფიულ ვითარებასა და მიგრაციულ პროცესებზე. მიუხედავად არსებული სიძნელეებისა, უკანასკნელ წლებში სამთავრობო დონეზე ხელმოწერილია რიგი საერთაშორისო ხელშეკრულებები და მიღებულია კანონები, რომლებიც ხელშეუწყობს მიგრაციული პროცესების სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევას, მიგრაციის ლეგალიზებასა და მისი ეფექტურობის ამაღლებას, დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციას. მიგრაციის სფეროში განხორციელებული ღონისძიებები წინგადადგმულ ნაბიჯებად უნდა იყოს აღქმული, ვინაიდან ითვალისწინებუნ ქვეყნის ინტერესებსა და ევროინტეგრაციისაკენ სწრაფვას.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. არჩვაძე ი. სტატისტიკური შოკი. <http://www.geworld.ge/View.php?ArtId=4241&Title=statistikuri+Soki&lang=ge>
2. გაჩერჩილაძე რ. ჩემი XX საუკუნე. ტ. 2, თბილისი, 2011.
3. ლაცაბიძე ნ., ცარციძე მ. საქართველოს სოფლის მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმების უზრუნველყოფის გზები // ბიოეკონომიკა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება. II საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. შრომების კრებული. თბილისი, 2013. გვ. 274.
4. მელაძე გ. საქართველო და გლობალური დემოგრაფიული პროცესები. თბილისი, 2013.
5. მელაძე გ. საქართველოს დემოგრაფიული გამოწვევები. თბილისი, 2007.
6. ჩიქაგა ლ. დემოგრაფიული ვითარების გამწვავება საქართველოში და მისი სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები // სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნათა სტრატეგია და ტაქტიკა გარდამავალ პერიოდში. საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმის მასალები. თბილისი, 13-14 ნოემბერი, 1997.
7. An Aging World. International Population Reports. By K.Kinsella and Wan He, Issued June 2009.
8. International Migration 2009. [http://www.un.org/esa/population/publications/2009Migration\\_Chart/ittmig\\_wallchart09.pdf](http://www.un.org/esa/population/publications/2009Migration_Chart/ittmig_wallchart09.pdf)

9. <http://www.esa.un.org>
10. <http://www.internaldisplacement.org/idmc/website/countries.nsf/%28httpEnvvelopes%29/C38CFB59E6593F79C12579C6006DCACC?OpenDocument#19.2.1>
11. <http://www.siteresources.worldbank.org/INTTRANSITION/Newsletters/20561622/JanFeb2002.pdf>
12. <http://www.unstats.un.org/unsd/snaama/resCountry.asp>

**Joseph Salukvadze**

Professor

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**Giorgi Meladze,**

Associate Professor

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

## **Migration Processes in Georgia and Their Demographic Consequences**

### **Resume**

According to the official statistics, since 1960 Georgia has predominantly become a country of migration. In the specified year the out-migrants exceeded in-migrants by 16,800 persons. Until 1990 the largest number of out-migration was fixed in 1975 – 25,500, while during 1976-1990 an average negative balance comprised 17,600 persons annually. However, due to quite substantial natural growth Georgia never experienced the population decline before the independence.

After the independence Georgia has undergone the most dramatic and intense decline of economy, compared to other countries of the post-socialist space. Significant part of the population remained unemployed. As a result of acute socio-economic crisis and unstable political situation, a significant number of Georgian citizens decided to leave the country on permanent basis, temporarily or for unknown period, in order to secure their and family living.

The above-described situation has had subsequent imprint on demographical figures: population number and absolute number of births significantly

decreased; death rate increased; As a consequence of negative demographic processes, natural growth of population decreased significantly. During 1999-2004 rate of natural increase was close to 0, and in 2002 became 0. This index was quite low also in 2013 making up only 2.1%. Emigration from the country reached threatening scale. Since 1990's more than million people left Georgia. The process of birth number decrease and wide-scale emigration from Georgia intensely determines the growth of population aging index. In 2008 Georgia ranked 14<sup>th</sup> among 25 demographically most aged countries worldwide. According to National Statistics Office of Georgia in 2014 the share of persons of 65 and older amounted to almost 14%.

Despite the significant difficulties existing in the country, the situation in the field of migration policy in Georgia is improving gradually. The legal acts adopted during the recent years will help to keep migration processes within the legal frames – legalizing migrations and integrating returning migrants in the society. The aspiration of Georgia to harmonize its environment with EU regarding migration, is a part of Georgian Euro-integration policy that has still long way to go, but has already brought certain positive results that are crucial for long term socioeconomic development of the country.

**ნანა ტალახაძე**  
ასოცირებული პროფესორი, თსუ

**ნაციონალური იდენტობის პრობლემები  
საბჭოთა პერიოდის დისიდენტურ მედიაში  
(„ოქროს საწმისისა“ და  
„საქართველოს მოამბის“ მაგალითზე)**

გასული საუკუნის 70-იანი წლებში საქართველოში საფუძველი ჩა-  
ეყარა არაოფიციალურ უურნალისტიკას, ე.წ. სამიზდატების – თვით-  
გამოცემათა ისტორიას, რომელიც უშუალოდ უკავშირდება დისიდენ-  
ტური მოძრაობისა და ანტისაბჭოთა პროპაგანდის გააქტიურებას რუ-  
სეთსა და სსრკ-ის სხვა რესპუბლიკებში. მას დიდი მხარდაჭერა ჰქონ-  
და საზღვარგარეთიდანაც.

თვითგამოცემათა ინიციატორები იყვნენ „დისიდენტებად“ წოდე-  
ბული ადამიანები, რომლებიც არალეგალურად ეწეოდნენ საგამომ-  
ცემლო საქმიანობას, კონსპირაციულად ბეჭდავდნენ, ამრავლებდნენ  
და ავრცელებდნენ საბჭოთა ცენტურისაგან აკრძალულ მხატვრულ თუ  
პუბლიცისტურ ლიტერატურას და დიდი რისკის ფასად უპირისპირდე-  
ბოდნენ საბჭოთა ხელისუფლების ტოტალიტარულ სისტემას. ცნობი-  
ლი დისიდენტი ვლადიმერ ბუკოვსკი „სამიზდატს“ ასე განმარტავდა:  
„თვითონ წერ, თვითონ უკეთებ რედაქტირებას, უტარებ ცენტურას,  
თვითონ გამოსცემ, ავრცელებ და, შემდეგ, ამ ყველაფრისთვის თვი-  
თონვე იხდი სასჯელს“ (საყვარელიძე 2010: 76).

საბჭოთა კავშირში დისიდენტური მოძრაობა ყალიბდებოდა მარ-  
ქსისტულ-ლენინური პროპაგანდით გაჯერებულ იდეოლოგიზმირებულ  
პოლიტიკურ, სამართლებრივ, ეკონომიკურ თუ კულტურულ-საგანმა-  
ნათლებლო სივრცეში და უმკაცრესი პარტიული კონტროლის პირო-  
ბებში. ბუნებრივია, მონოპოლია საბჭოთა საინფორმაციო საშუალე-  
ბებზეც ხორციელდებოდა, რომელიც უწყებრივი ინტერესების სამსა-  
ხურში იდგა და ალტერნატიული ინფორმაციის ლეგალურად გავრცე-

ლების არავითარი შესაძლებლობა არ არსებობდა. მხოლოდ 70-იანი წლების შუახანებში მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურმა პროცესებმა ხელი შეუწყო საბჭოთა რეჟიმის კულტურულ-იდეოლოგიური გარემოს შედარებით ლიბერალიზაციას, რამაც გაააქტიურა ეროვნული ოპოზიციური დაჯგუფებების საქმიანობა და გააღვიძა ქვეყნის განახლებისა და დაკარგული ნაციონალური ლირებულებების აღდგენის იმედი.

1975 წელს ჰელსინკიში სსრკ-ის მიერ ხელი მოეწერა „ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის დასკვნით აქტს“, რითიც საბჭოთა ხელისუფლებამ საკუთარ თავზე აიღო ადამიანის უფლებების დაცვის ვალდებულებები. შეიქმნა ადამიანთა უფლებების დაცვის ჰელსინკის ჯგუფები მოსკოვსა და სხვა რესპუბლიკებში. მათ შორის საქართველოშიც. ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავასა და ვიქტორ რცხილაძის მონაწილეობით ჩამოყალიბდა პირველი ლეგალური ოპოზიციური ორგანიზაცია „ჰელსინკის ჯგუფი“, რომელმაც მიზნად დაისახა: არაძალადობრივი გზით საბჭოთა რეჟიმისა და კომუნისტური იდეოლოგიის წინააღმდეგ პოლიტიკური ბრძოლა, „ილია ჭავჭავაძის მიერ ჩამოყალიბებული ნაციონალური პროგრამის განხორციელება, ეროვნულ სივრცეში მობილიზება“ (სონდულაშვილი 2013: 34), ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების პოპულარიზაცია, ადამიანთა უფლებების დაცვისა და სხვა პოლიტიკური თუ სოციალური პრობლემების სააშკარაოზე გამოტანა და ანტისაბჭოთა პროპაგანდით კომუნისტური სტერეოტიპების მსხვრევა.

გამოიკვეთა დისიდენტური მოძრაობის ფორმები და მეთოდები. მათ შორის ერთ-ერთი იყო ე.წ. „ლიტერატურული სამიზდატების“ ორგანიზება, რომელთა სამუალებითაც მკითხველამდე აღწევდა საბჭოთა ცენზურის მიერ „შერისხული“ მწერლების აკრძალული ნაწარმოებები, მაგ., პ. პასტერნაკის „ექიმი შივაგო“, ა. ახმატოვას, მ. ცვეტაევას, ი. ბროდსკის, ო. მანდელშტამისა და სხვათა შემოქმედების წიმუშები. საქართველოშიც თვითგამოცემებით ვრცელდებოდა ა. სოლუენიცინის, ა. სახაროვის, კ. გამსახურდიას, ზ. გამსახურდიას ანტისაბჭოთა ხასიათის წერილები. 1974 წელს ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავასა და მანანა არჩევაძის ინიციატივით თბილისში კონსპირაციულად დაიბეჭდა სსრკ-დან „მისდამი მტრული მოღვაწეობის გამო“ გაძევებული ალექსანდრე სოლუენიცინის ოთხნანილიანი „გულაგის არქიპელაგი“, რომ-

ლის ათასობით ეგზემპლარი საქართველოში, რუსეთსა და სსრკ-ის სხვა რესპუბლიკებში გავრცელდა.

საბჭოთა ცენზურის დასაძლევად დისიდენტური მოძრაობის უმ-  
თავრესი ქმედითი იარაღი იყო არალეგალური პრესა, რომელიც აკრძა-  
ლული ინფორმაციის მოპოვებითა და გავრცელებით სახელისუფლე-  
ბო, ოფიციალური მედიის ოპოზიციურ ალტერნატივად იქცა და მასში აისახა დისიდენტური მოძრაობის მახასიათებლები, რომლებიც იდეა-  
ლებისა და პოლიტიკური მიმართულებების მიხედვით საკმაოდ გან-  
სხვავებული იყო.

საქართველოში დისიდენტური მოძრაობის მთავარ მოტივაციად ნაციონალურ-პატრიოტული დისკურსი განიხილებოდა და მიზნად ისა-  
ხავდა რუსეთის დიდმპყრობელური შოვინისტური პოლიტიკის მხილე-  
ბას და ამ გზით ნაციონალური იდენტობის გააზრებასა და ეროვნული  
დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას საბჭოთა კავშირიდან სრულ გა-  
მოყოფამდე (ბალტისპირელი და უკრაინელი დისიდენტების მსგავ-  
სად). პარალელურად, საქართველოშიც აქტუალური გახდა უფლება-  
დაცვითი მოძრაობები, რომლებიც საბჭოთა კავშირის კონსტიტუციით  
გარანტირებული სამოქალაქო უფლებებისა და თავისუფლებების  
დაცვაზე იყო ორიენტირებული და ყურადღებას ამახვილებდა საზოგა-  
დოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების საჭირბოროტო პრობლემებზე.

ქართულ ნაციონალურ ნარატივში გამოიკვეთა ეროვნული იდენ-  
ტობის ძირითადი კომპონენტები – ენა, ტერიტორია, ისტორიული მახ-  
სოვრობა, რელიგია, ტრადიციები და ა.შ., რომლებმაც ხელი შეუწყვეს  
აქტიური ნაციონალიზმის აღორძინებას, რაც ბუნებრივი მოვლენაა  
„ყველგან, სადაც ეს განწყობილებები და კულტურები, მათი წევრების  
თვალსაზრისით საფრთხეს განიცდიან მეზობლებისა თუ ცენტრის  
მხრიდან“ (სმითი 2008: 186). საქართველოსთვის ეს ცენტრიც და „მე-  
ზობლობაც“ მოსკოვთან, და, ზოგადად, რუსეთთან ასოცირდებოდა,  
რომლის ხელისუფლების რუსიფიკატორული პოლიტიკა 1801 წლიდან  
დაწყებული და გასაბჭოების შემდეგ გაგრძელებული, იმდენად ხისტი  
იყო, რომ ქართული ნაციონალისტური განწყობილებები უფრო მყარი  
აღმოჩნდა, ვიდრე იდეოლოგიური ფაქტორები და სწორედ „თავისუფ-  
ლების იდეალმა მისცა დასაპამი ნაციონალურ თვითგამორკვევას და  
ბრძოლას ნაციონალური ნების რეალიზაციისათვის“ (სმითი 2008: 95).

1975-76 წლებში ქართველმა დისიდენტებმა გამოსცეს ლიტერა-  
ტურულ-პოლიტიკური უურნალები „ოქროს საწმისი“ (გამოვიდა ოთხი

ნომერი) და „საქართველოს მოამბე“ (გამოვიდა ორი ნომერი), რომლებიც, მართალია, მცირე ტირაჟით იბეჭდებოდა, მაგრამ დისიდენტთა და მათ თანამდგომთა გულმოდგინებით კონსპირაციულად მრავლდებოდა და ვრცელდებოდა საზოგადოების სხვადასხვა ფენაში, განსაკუთრებით – ახალგაზრდებში, რაც ხელს უწყობდა ანტისაბჭოთა განწყობილებების გაღრმავებასა და ეროვნულ-პატრიოტული თვითშეგნების გაძლიერებას. ორივე უურნალს რედაქტორობდა მეცნიერი, მწერალი და პუბლიცისტი, შემდგომში საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

„საწმისი, საწმომისი, ღრუბელს ნიშნავს ქართულად“ – ასე იხსნება „ოქროს საწმისის“ პირველი გვერდი. „საწმისი, საწვიმისი წვიმის მშობელია, ვითარცა ღვთისმშობელი ქრისტესი, ლოგოსის, რომელიც გარდმოხდა უღვთობის გვალვით გადამხმარ მიწაზე, ვითარცა წვიმა განმაცხოველებელი. სანუკვარია წვიმა ხანგრძლივი გვალვის შემდგომ, ასევე სანუკვარია სიტყვა ხანგრძლივი იძულებითი მდუმარების შემდგომ – აი, რატომ დაერქვა ჩვენს უურნალს „ოქროს საწმისი“ (ოქროს საწმისი 2006: 43). სწორედ მრავალწლიანი მდუმარების დარღვევისა და სიმართლის თქმის პრეტენზით დაარსდა ლიტერატურული პროფილის უურნალი „ოქროს საწმისი“, რომელიც ამ ამოცანას ეროვნულ-კულტურული დისკურსით ახორციელებდა და მის მთავარ სამიზნეს რუსეთის დიდმპრობელური შოვინიზმით გაჯერებული ტოტალიტარული პოლიტიკა წარმოადგენდა. უკიდურესად ნეგატიური აქცენტები რუსული ფენომენისადმი, რომელიც ქართულ ცნობიერებაში რუსულ ჩექმასთან ასოცირდებოდა, გამოწვეული იყო იმ ისტორიული მახსოვრობით, რომელიც ბოლშევიზმთან, საქართველოს ოკუპაციასთან და სისხლიან რეპრესიებთან იყო დაკავშირებული. ძნელია „ოქროს საწმისის“ მხოლოდ ლიტერატურულ უურნალად გააზრება, რადგან მასში თავმოყრილი მხატვრული პროდუქცია თითქოს ერთიანი პოლიტიკური სივრცეა, სადაც ყოველი სტრიქონი სამშობლოს დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენის სურვილითა და პატრიოტულ-ნაციონალისტური ემოციებით არის გაჯერებული, ხოლო მასში წარმოდგენილი ქართული მნერლობის სხვადასხვა თაობის შემოქმედნი კი გაერთიანებული არიან ერთი ნიშნით – ეროვნული თემატიკითა და დამპრობლისადმი გაუნელებელი სიძულვილით. ეს ტენდენცია დამახასიათებელია ქართული სიტყვაკაზმული მნერლობისათვის, რომელიც, კულტურულ-საგანმანათლებლო და ესთეტიკურ ფუნქციასთან ერთად, ყო-

ველთვის ითავსებდა კონკრეტულ იდეოლოგიურ ფუნქციას და ტრა-  
დიციულად ეროვნული იდეოლოგიის იდეების გამავრცელებლის მისია  
ეკისრებოდა გარკვეული ისტორიული თუ პოლიტიკური გარემოებების  
გამო. ცხადია, დისიდენტური უურნალის მესვეურები, რომელთა ნაწი-  
ლი თავად იყო მწერალი თუ პუბლიცისტი, სწორედ არსებული რეალო-  
ბის გათვალისწინებით ირჩევდნენ ისეთ ლიტერატურულ მასალას, რო-  
მელიც ნაციონალური იდენტობისა და საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ  
დაუმორჩილებლობის პროპაგანდით იყო აღბეჭდილი.

შემთხვევითი არ იყო „ოქროს საწმისის“ ფურცლებზე აკაკი წე-  
რეთლისა და ვაჟა-ფშაველას ანტიბოლშევიკური და ანტირუსული გან-  
წყობის გამომხატველი ლექსების გამოქვეყნება, სადაც მკაცრადაა შე-  
ფასებული ქართველი სოციალ-დემოკრატების ნიპილისტური დამოკი-  
დებულება ეროვნული ფასეულობებისადმი. საუკუნის წინ დაწერილი  
აკაკის ლექსი „ჩემი ჭმუნვა“ ახალ დროებასაც ეხმიანება და იმ ქარ-  
თველს ეხება, რომელსაც „ჰგონია თავს დებს სამშობლოსათვის, / მი-  
სივე მტერს კი ემსახურება“ და რომლის გამოისობით „ეროვნების მა-  
გარი ციხე / შეუგნებლობით შიგნითვე ტყდება“. დაუმორჩილებლობის  
უინი იკითხება სტრიქონებში: „ვისაც არ ესმის ეს წმინდა მცნება / და  
სხვის დაჩაგვრა გულში აქვს მარად / უნდა ავიღოთ მახვილი მაზედ /  
და მოვიხმაროთ, მაგრამ კი ფრთხილად“ (ოქროს საწმისი 2006:221).  
ასეთივე პათოსითაა გამსჭვალული ვაჟა-ფშაველას გამოუქვეყნებელი  
ლექსი „სოციალ-დემოკრატებისადმი“, სადაც სიტყვებში – „შენ, ეი,  
თმა-გრძელო, წვერებცანცარა, / ჭკუაზე მოსვლის მაგიერ გადაირიე  
თანთანა! / აჩუქებ საქართველოსა, თუ ვინმემ დაგიკაუნა“ (ოქროს  
საწმისი 2006 : 217) იგულისხმება რუსეთი, საიდანაც გავრცელდა სა-  
ქართველოში სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა და სავალალო შე-  
დეგებიც მოიტანა. საერთოდ, დისიდენტური პრესა ხშირად აკრიტი-  
კებს ქართველ სოციალ-დემოკრატებს, იხსენებს მათ „ცოდვებს“ სა-  
ქართველოს დამოუკიდებლობის ხელყოფაში და ეროვნული იდეოლო-  
გის – ილია ჭავჭავაძის მკლელობაშიც. ამ მხრივ საყურადღებო დოკუ-  
მენტია დაბეჭდილი „ოქროს საწმისში“ – ცნობილი პოეტისა და სოცი-  
ალ-დემოკრატიული პარტიის აქტიური წევრის იროდიონ ევდოშვილის  
„წერილი სანდრო შანშიაშვილისადმი“, რომელიც ილიას მკვლელობის  
შემდეგ გაემიჯნა სოციალ-დემოკრატებს და 1911 წელს გადასახლება-  
ში მყოფი მეგობარს სწერდა: „ილია დამებმარა მე თავის სიკვდილით,  
იმ დღიდან კი სამუდამოდ ვიბრუნე პირი ქართველი ესდეკებიდან (სო-

ციალ-დემოკრატები) და თუ მივბრუნდები დღეს მათკენ, მხოლოდ იმისთვის, რომ მივაფურთხო მათ“ (ოქროს საწმისი 2006 : 213).

გარდა კლასიკური მწერლობისა, თვითგამოცემებში ადგილი და-ეთმო საბჭოთა პერიოდში მოღვაწე ისეთ ავტორებს, რომლებიც იძუ-ლებით იქცნენ საბჭოთა მწერლობის „თვალსაჩინო“ წარმომადგენლე-ბად და არაერთი ლექსი მოუძღვნეს სოციალისტურ აღმშენებლობას. როგორც აკაკი ბაქრაძე აღნიშნავს: „ეს არ მომხდარა ნებაყოფლობით, მსოფლმხედველობის ბუნებრივი განვითარებით. იგი მოხდა შიშით, ძალდატანებით, მათრახით. ჯოჯოხეთურ დარჯაკში გაიარა ყოველმა ქართველმა მწერალმა, რომ ცოცხალი გადარჩენილიყო“ (ბაქრაძე 1990: 23). უურნალმა სწორედ გასაბჭოებამდელი პერიოდის ნაწარმოე-ბებისა თუ ცენზურის მიერ აკრძალული ნიმუშების გამოქვეყნებით სცადა მკითხველისთვის „თვალის ახელა“ და ამჯერად იოსებ გრიშაშ-ვილის ორი ლექსი აირჩია – „ოცდახუთი თებერვალი“ და „ახალ ხელი-სუფლებას“, რომლებიც დაწერილია 1921 წლის 25 თებერვალს. ისტო-რიის ეს ტაბუდადებული მონაკვეთი ერთგვარი ლუსტრაციაა ქართვე-ლი ბოლშევიკებისა, რომლებმაც გადამწყვეტი როლი ითამაშეს საქარ-თველოს დამოუკიდებლობის ხელყოფასა და რუსეთის კოლონიად ქცე-ვაში. სწორედ ამის გამო მიმართავს ი. გრიშაშვილი მათ შემდეგი სიტყ-ვებით: „მაგრამ ერი არ შეგინდობთ, რომ სხვის ხიშტით შემოხვედით“, ან „ვერასგზით ვერ ავიტანთ გამარჯვებულ რუსის ჩექმას / ზეინახად გად-ვიქცევით, გულს ჩავიკლავთ აღთქმას შმაგურს / და უსისხლოდ მტერს არ მივცემთ არცერთ კუთხეს, არცერთ აგურს!“ გამაფრთხილებლად უდერდა ომისკენ მოწოდებაც: „ამ გიაურებს, მშიერთა ურდოს ./ ვაჭა-მოთ ტყვია ნაჭიკჭიკარი / და რომ არავინ აღარ გაგვეურდოს / მკვდრე-ბით ავქოლოთ ქალაქის კარი!“ (ოქროს საწმისი 2006 : 318).

არანაკლები სიმწვავით გამოირჩევა „ოქროს საწმისის“ 1975 წლის პირველ ნომერში დაბეჭდილი საბჭოთა ცენზურის მიერ უარყოფილი მწერლის, ლადო ასათიანისა და მირზა გელოვანის ძმადნაფიცის, გაბ-რიელ ჯაბუშანურის (1914-1968) ანგისაბჭოთა ეპოპეა „ინვექტივა-მო-ნუმენტი“. იგი „მიეძღვნა“ სტალინს, რომელსაც ავტორი უწოდებს სის-ხლიან ბელადს, სატანას, იუდას და ასე მიმართავს: „რამდენი ლერიც თმისა გასხია, იმდენი კაცის გამძიმებს ცოდვა. / მშვიდად უმზერენ ხალხთა წამებას / თვალები შენი, – ჩვეულნი გარყენას / მათ შეუძლი-ათ შეუწყნარებლად / ისევ უმზირონ სამყაროს წარღვნას. / შენ დააბ-ნელე მსოფლიო თალხით / მზეს მოერკალე კუპრის ღრუბლებად / თა-

ვისუფლება წაართვი ხალხებს / და თავისუფლად ფიქრის უფლებაც“ (ოქროს საწმისი 2006 : 73-74). ეს ვრცელი ეპოპეა დაწერილია 1950-53 წლებში და გამოხატულია სტალინის სიკვდილით გამოწვეული აღტა-ცებაც, რომელმაც ხალხი იხსნა მისი ხუნდებისგან და ახალი სამყარო აღდგა.

ლადო ასათიანს არაერთი ლექსი აქვს მიძღვნილი საბჭოთა ბელა-დებისადმი, თუმცა მათ მიერ „მშენებარე“ ქვეყანაში არაერთგზის გა-უმწარებიათ პატრიოტიზმისა და სიყვარულის მქადაგებლი შემოქმე-დი. აუკრძალავთ მისი წიგნი „წინაპრები“ და ლექსებიც. სწორედ არაო-ფიციალურ პრესაში, „ოქროს საწმისში“ დაიბეჭდა პირველად ლადო ასათიანის 1941 წელს დაწერილი ლექსი „დედისადმი“, რომელსაც ავ-ტორის სიცოცხლეში გამოქვეყნება არ ეღირსა და რომელშიც „სახიე-რად გამოიკვეთა მაშინდელი საზოგადოებრივი მოვლენებიც, ლიტერა-ტურული ყოფაც და თვითონ ლადოს ბიოგრაფიის ცალკეული, აქამდე მიჩქმალული შემთხვევები“ (ჩხეიძე 1995: 65). უჩვეულო პესიმიზმი ჩანს „სალალობოს“ ავტორის სიტყვებში: „ნეტავ, შენსავით ბნელში ვტიროდე, არ ვუყურებდე ქვეყნის დაქცევას“, „მე კარგად ვიცი მალე მოვკვდები, მე ვერ გავუძლებ ამ საუკუნეს“ (ოქროს საწმისი 2006 : 222) და ა. შ. ეს ლექსი მოგვიანებით, 1988 წელს „ოქროს საწმისიდან“ გადა-ბეჭდეს უურნალ „განთიადში“, სადაც ცენზურამ ჩაასწორა ერთი სიტყვა – სტრიქონში „ჩვენი სახლ-კარი ააწიოკეს დაუბანელმა გლეხის კაცებმა“, შეცვალა – „გაუხარელმა გლეხის კაცებმა“ ჩხეიძე 1995:66.

თვითგამოცემათა ფურცლებზე გალაკტიონის ერთი ლექსიც დაი-ბეჭდა ოპტიმისტური ფინალით, სათაურით „საქართველო“: „დადგება დრო, უფროსი ძმა / უმცროსს ვეღარ უბატონებს, / გნამდეთ ყველას, სა-ქართველო / კვლავ თავის თავს უპატრონებს“ (ოქროს საწმისი 2006: 316).

ასევე, დისიდენტურმა უურნალებმა პირველად გააცნეს მკითხვე-ლებს მერაბ აბაშიძის, შოთა ჩანტლაძის, ნიკო სამადაშვილისა და სხვა ნიჭიერ და მოკრძალებულ შემოქმედთა „არასაბჭოური“ ნაწარმოებე-ბი. უურნალი მხოლოდ პრაგმატული მიდგომებით ბეჭდავდა პროზისა და პოეზის ისეთ ნიმუშებსაც, რომლებიც მაღალმხატვრული ღირსე-ბებით არ გამოირჩეოდა, მაგრამ პატრიოტულ-პათეტიკური თუ ანტი-საბჭოთა ინტონაციებით ეროვნულ გრძნობებზე მოქმედებდა.

ხელისუფლების სერიოზული გამოწვევა იყო „ოქროს საწმისის“ ფურცლებზე ქართველი ემიგრანტი მწერლების შემოქმედების გაცნო-ბა. უურნალში პირველად გამოქვეყნდა „ხალხის მტრად“ შერაცხული

გრიგოლ რობაქიძის (1880-1962) 1943 წელს ბერლინში შექმნილი ლექსი „ქართველი დედის წერილი“ (ომში წაყვანილი შვილისადმი), რომელიც ავტორმა მიუძღვნა დებს „მოსაგონებლად ჩვენი დედისა“. ხოლო, რედაქციამ გამოსათხოვარი წერილით გააცნო მკითხველს ემიგრაციაში „ახლახან გარდაცვლილი პოეტის“ გიორგი გამყრელიძის (1903-1975 წნ.) პოეზია, რომელიც საქართველოში ცნობილი იყო გრიგოლ ზოდელის ფსევდონიმით (გ. გამყრელიძე 1922 წელს სასწავლებლად წავიდა საზღვარგარეთ, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გადასახლდა ამერიკის შეერთებულ შტატებში და პენსიამდე გასვლამდე მუშაობდა რადიო „ამერიკის ხმის“ ქართულ განყოფილებაში. გარდაიცვალა ქ. მიუნხენში (შარაძე 1991: 270). როგორც რედაქცია აღნიშნავს: „თავის შესანიშნავ ლექსებში მან დაიტირა იავარდებული მამულის ბედი, თუმცა მამულმა ველარ დაიტირა იგი და ამჯერად გერმანიის მიწას მიაბარეს ნოსტალგიით გულგასერილი“ (ოქროს საწმისი 2006: 141). გ. გამყრელიძის ლექსები გადმოიბეჭდა კრებულიდან „გვიანი რთველი“, რომელიც სანტიაგო დე ჩილეში გამოვიდა 1960 წელს.

უნდა აღნიშნოს დისიდენტური მოძრაობის კიდევ ერთი აპრობირებული ფორმა, რომელიც მიზნად ისახავდა არაფორმალური კონტაქტების დამყარებას უცხოეთში მყოფ საბჭოთა ხელისუფლებისგან დევნილ ემიგრაციასთან და მათი საშუალებით ობიექტური ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლასა და დისიდენტური პრესის გავრცელებას საზღვარგარეთ. საბჭოთა მაკონტროლებელი ორგანოების მკაცრი და სადამსჯელო ღონისძიებების მიუხედავად, საქართველოდან კონსპირაციულად მიწოდებული მასალები იბეჭდებოდა ემიგრანტულ მედიაში და მას ხშირად იყენებდა ანტისაბჭოთა რადიოსადგური „თავისუფლება“.

თვითგამოცემათა მესვეურებმა პირველად მიაქციეს ყურადღება 1924 და 1943 წლების შეთქმულთა ანტისაბჭოთა საქმიანობას და მათი ტაბუდადებული შემოქმედება გააცნეს მკითხველებს. მათ შორის, გამორჩეულია ე.ნ. „შავსიელის“, 1924 წლის აჯანყების მონაწილის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლის ბასილ მელიქიშვილის (1904-1930 წნ.) შესანიშნავი მოთხოვა „გველების ტბა“, მინიატურები და ლექსები. ბასილ მელქიშვილის მოთხოვებების პირველი კრებული 1963 წელს გამოიცა, მაგრამ ლიტერატურულ წრეებს თუ შეუმჩნეველი დარჩათ დამწყები შემოქმედის წერის ორიგინალური მანერა, შესაბამის ორგანოებს არ გამორჩენიათ პ. მელიქიშვილის ორაზროვანი ქვეტექსტები. მრავალი წლის შემდეგ ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ

თვითგამოცემების საშუალებით კვლავ შეახსენეს საზოგადოებას უდ-  
როვდ დალუპული ნიჭიერი მწერლის შემოქმედება, რომელიც „აღმო-  
ჩენად“ იქცა ქართველი ახალგაზრდობისათვის და მისი ნაწარმოებე-  
ბის რომანტიკულ-პატრიოტული ნიაღსვლები და ანტისაბჭოთა შეუ-  
რიგებლობით გაჯერებული სტრიქონები ზუსტად „მიესადაგა“ 70-იანი  
წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სულისკვეთე-  
ბას. ბ. მელიქიშვილის პოპულარობას ისიც განაპირობებდა, რომ „იმ  
დროსაც კი იშვიათი იყო ისეთი მწერალი, რომელიც სიცოცხლეში ქა-  
ქუცა ჩოლოყაშვილის გვერდით, ხოლო სიკვდილის შემდეგ ზვიად გამ-  
სახურდიასა და მერაბ კოსტავას გვერდით იბრძოდა საბჭოთა რეჟიმის  
წინააღმდეგ“ (არგანაშვილი 2014:153).

არანაკლები ინტერესი მოჰყვა „ოქროს საწმისის“ მეოთხე ნომერ-  
ში გამოქვეყნებულ „საქართველოს აყვავებისათვის მებრძოლო ახალ-  
გაზრდა ნაციონლისტების“ ე.ნ. „სამანის“ წევრის, ლეგენდარული ადამ  
ბობლიაშვილის-ალვანელის (1912-1943 წწ.) ლექსებსა და მოთხოვნებს:  
„გაუღუნავი სიტყვა“, „ტყვე ლამეში“, „სიკვდილი კაკლიანში“ და სხვ.  
(„სამანი“ 1941 წელს შეიქმნა თსუ-ში. მისი მიზანი იყო საბჭოთა ხელი-  
სუფლების დამხობა, საქართველოს განთავისუფლება რუსეთისგან და  
ომიდან ხალხისა და ქვეყნის უვნებლად გამოყვანა. თბილისში შეთქმუ-  
ლების გამოაშეარავების შემდეგ სამანელები იატაკევეშეთში გადავიდ-  
ნენ, თავი მთა-თუშეთს შეაფარეს და იქიდან გააგრძელეს ანტისაბჭო-  
თა პროპაგანდა). ადამ ბობლიაშვილი მოკლეს „ჩე“-ს აგენტებმა“ თუშე-  
თის ტყეში და იგი ვაჟა-ფობისა და მტრისადმი დაუმორჩილებლობის  
სიმბოლოდ იქცა. როგორც როსტომ ჩხეიძე წერდა: „ადამი უფრო სხვა  
სიმბოლოა, მას ცრუსამშობლო არაფრისდიდებით არ ერეოდა ჭეშმა-  
რიტ სამშობლოში. იგი მწერალი იყო და სძულდა ტოტალიტარული რე-  
ჟიმი. სძულდა ომი და სისასტიკე, სძულდა კაცისკვლა, სძულდა საოკუ-  
პაციო ჯარი და მისი ადამიანური ღირსება ამ სიძულვილს ვერ შეელე-  
ოდა (ჩხეიძე 1995: 21).

„ოქროს საწმისში“ დაიბეჭდა ორი ქალბატონის – ნუნუ შალვაშვი-  
ლის კონსტანტინე გამსახურდიასადმი მიძღვნილი ლექსი და ცნობილი  
დისიდენტი ქალის ელისაბედ ქავთარაძის (1905-1988 წწ.) ესე სათაუ-  
რით „ქვეყანა დაკარგული საფლავებისა“, რომელშიც ეროვნული  
გრძნობების გულწრფელი მანიფესტაციით, ისტორიული პირებისა და  
„საგმირო“ ეპიზოდების სიუხვეში, მითებისა და ლეგენდების სამყარო-  
ში ქართული იდენტობის განცდაა გამოხატული. ხოლო მხატვრულ სა-

ხეში – „ცაზე გამოჩნდებოდა უცხო კომეტა, გესლიან კუდით, მისი ში-შის ქვეშ იძინებდნენ და იღვიძებდნენ საქართველოში“ (ოქროს საწმი-სი 2006:254) – იგულისხმება საბჭოთა რეჟიმი, რომელმაც ელისაბედ ქავთარაძე, ცნობილი სოციალისტ-ფედერალისტის ქაიხოსრო ქავთა-რაძის ქალიშვილი ანტისაბჭოთა საქმიანობისათვის 1928 წელს დააპა-ტიმრა და გადასახლებაში 28 წელი გაატარებინა. მხოლოდ 1986 წელს დაბრუნდა იგი თბილისში და ჩაერთო ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

კონსტანტინე გამსახურდიას ნაციონალისტური „გამოხდომები“ უცხო არ ყოფილა საბჭოთა პოლიტიკური თუ კულტურული ისტებ-ლიშმენტისთვის და მისი შემოქმედება არაერთგზის გამხდარა თავ-დასხმების ობიექტი სხვადასხვა პარტიულ პლენუმზე, მწერალთა შეკ-რებებსა თუ ყრილობებზე, ხოლო საბჭოთა რუსეთის დიდმშეყრობელუ-რი პოლიტიკის კრიტიკის გამო სოლოვკის არქიპელაგზეც იყო გადა-სახლებული, სადაც გატარებული სამი წელი აღწერა ნოველაში „მტრე-ბის მეობრობა“ და რომელიც მხოლოდ თვითგამოცემით გახდა ხელ-მისაწვდომი მკითხველისათვის. აქვე პპოვა ადგილი კონსტანტინე გამ-სახურდიას ბევრმა „დაარქივებულმა“ თუ 20-იანი წლების პრესაში და-ბეჭდილმა ან, საერთოდ, ოფიციოზისგან დაწუნებულმა პოლიტიკური ხასიათის სტატიებმა, ფრაგმენტებმა მოგონებებიდან, ღია წერილებმა, „დღიურის ჩანაწერებმა“ და სხვა მასალებმა, რომლებმაც დისიდენ-ტურ პრესას მეტი წონა და აკადემიზმი შესძინეს. დღესაც არ დაუკარ-გავთ აქტუალობა კონსტანტინე გამსახურდიას „ღია წერილს ულია-ნოვ-ლენინისადმი“, „ვინ არის შოვინისტი“, „გაორებული საქართვე-ლო“, „ჩვენი კულტურ-პოლიტიკა“ და სხვ. არც საბჭოთა ნომენკლატუ-რას და არც „წითელ ინტელიგენციას“, ბუნებრივია, არ მოეწონებოდა დისიდენტურ პრესაში 1921 წლის გაზეთ „სოციალ-ფედერალისტიდან“ გადმობეჭდილი კონსტანტინე განსახურდიას ის სტატიები და ღია წე-რილები, სადაც მწერალი პატარა ერების თვითგამორკვევასა და თავი-სუფლებაზე, მწერლის მოვალეობებზე და ეროვნული იდენტობის სხვა პრობლემებზე საუბრობს: „პირადად მე მგონია, რომ მწერალი არც ერ-თი მთავრობის, არც ერთი პოლიტიკური პარტიის „მოჯამაგირე“ არ უნდა იყოს, რადგან მწერალი მხოლოდ თავისუფალი სულის და სიტყ-ვის „მოჯამაგირე“ ყოფილა მუდამ. იგი ანმყოში და მომავალშიც ასე უნდა დარჩეს, რადგანაც იცვლებიან და ქრებიან პარტიები და მთავ-რობები, ხოლო ერი უკვდავია“ (ოქროს საწმისი, 2006: 204). ოფიცია-

ლური იდეოლოგიის დოგმატიკოსებისთვის არც პატრიოტიზმისა და შოვინიზმის მისეული განმარტება იქნებოდა მისაღები: „შოვინიზმი, როგორც იმპერიალისტური იდეოლოგიის პაროლი, მუდამ დიდ ერებს ახასიათებდათ. პატარა ერის წიაღში შეუძლებელი ამბავიც გახლავთ“ (ოქროს საწმისი 2006:208). „ისიც შოვინიზმია თქვენის მხრით, რომ როცა თქვენ ქართულის ნაცვლად რუსული ენა და რუსული კოლორიტი გინდათ გაავრცელოთ ისეთ ქვეყანაში, რომელიც რუსის ერს არ ეკუთვნის“ (ოქროს საწმისი 2006: 209) და სხვ.

„ოქროს საწმისსა“ და „საქართველოს მოამბის“ თითქმის ყველა ნომერში იბეჭდებოდა ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას, რომელიც მერაბ კამარელის ფსევდონიმით წერდა, მხატვრული ნაწარმოებები და პუბლიცისტური წერილები. „ოქროს საწმისის“ პირველივე ნომერში აღინიშნა გურამ რჩეულიშვილის დაბადების 40 წლისთავი და რუბრიკით „ალავერდობის ცეცხლი“ გამოქვეყნდა მ. კოსტავას, ზ. გამსახურდიასა და ვ. რცხილაძის ბრწყინვალე წერილები. გურამ რჩეულიშვილისადმი ესოდენი ყურადღება თავად მწერლის თავისუფლებისმოყვარე პიროვნულმა თვისებებმა განაპირობა. ამიტომ წერდა მის შესახებ მერაბ კოსტავა: „რჩეულიშვილი მესახება გრაალის ერთ-ერთ მცველად, იგი არის წოდებულთაგან რჩეული, სტიქიათა სილრმეებისკენ წიაღსვლით ზღუდეთა მსხვრეველი, კაცი მშფოთვარე და დაუდეგარი!“ (ოქროს საწმისი 2006:117). ხოლო ვიქტორ რცხილაძის შეფასებით: „რჩეულიშვილის ხედვა ქართულია და მის ნაწერებში იგრძნობა მოზღვავებული განცდა ეროვნული ტრაგედიისა, ასეთ ლიტერატურას შეუძლია გარკვეული გამაჯანსაღებელი იმპულსები შეიტანოს საზოგადოებაში, შეაცნობინოს მის წევრებს ერთი ეროვნული სულის შემადგენელ ნაწილად თავი, რომელსაც დღეს ასე გააფთრებით ებრძვის მის-თვის უცხო მსოფლგაგება და მოძღვრებანი“ (ოქროს საწმისი 2006: 132).

თვითგამოცემებში დიდი ყურადღება დაეთმო ნაციონალური იდენტობის მახასიათებელ ისეთ კომპონენტებს, როგორიცაა ტერიტორიული ფენომენი და კულტურული მემკვიდრეობა. საყოველთაოდ გავრცელებული მოსაზრებით: „ტერიტორია – ეს ის ადგილია, რომელსაც მივეკუთვნებით – ეს არის საკრალური მიწა, ჩვენი მამა-პაპათა, სჯულმდებელთა, მეფეთა, პრძენთა, კაცთა, პოეტთა და მღვდელმსახურთა მიწა და ამიტომ არის ჩვენი სამშობლო. ჩვენ ისევე ვეკუთვნით მას, როგორც იგი გვეკუთვნის ჩვენ“ (სმითი 74). თუმცა რუსეთის ანექსირებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა არაერთგზის

დამდგარა დიდი საფრთხის წინაშე და განსაკუთრებით მაშინ, როდე-საც რუსეთმა „1828 წლიდან მოყოლებული, ქართველი მაპმადიანებით დასახლებული სამცხე-ჯავახეთი, ერუშეთი და პალაკაციო ოსმალეთს წაართვა, იქაური მცხოვრებლები ისეთ სულიერ განწყობილებებში ჩა-აგდო, რომ ქართველმა მაპმადიანებმა თავიანთი მამაპაპური სამოსახ-ლოდან აყრა და ოსმალეთში გადასახლება არჩიეს“ (ოქროს საწმისი 2006:99). ეს ამონარიდი ივანე ჯავახიშვილის სტატიიდან მოვიყვანეთ, რომელიც „ოქროს საწმისში“ დაიბეჭდა სათაურით „XIX საუკუნის სა-ქართველოს ისტორიის საკითხები“. მასში გაანალიზებულია ქართული ისტორიოგრაფიის ისეთი ტაბუდადებული თემები, როგორიცაა რუსე-თის კოლონიური პოლიტიკის სავალალო შედეგები ამიერკავკასიაში და ქართული მიწების მიტაცებითა და უცხომინელთა ჩამოსახლებით ეროვნული ღირსებების შელახვისა და ქართველთა შევიწროვების პრობლემები. ავტორი ყურადღებას ამახვილებს სომებს დაწნაკელთა იმ პროექტზეც, რომელშიც „დიდი სომხეთის“ აღდგენას მოითხოვენ და მათ მიერ სტამბულში დაბეჭდილ „ვითომც ისტორიულ ფანტასტიკურ რუკაზე“, სადაც სომხეთი გადაჭიმულია შავი ზღვიდან კასპიის ზღვამ-დე, ხოლო „ბათუმი, ახალციხე, თვით მცხეთა და თბილისიც კი ამ რუ-კაზე სომხეთშია მოქცეული და საქართველოს პატარა ვიწრო ზოლილა აქვს მიკუთვნებული“ (ოქროს საწმისი 2006:101).

ქართველმა მკითხველმა სწორედ თვითგამოცემათა შემწეობით გაიცნო ის მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომლითაც სრულიად საქარ-თველოს პატრიარქმა ამბროსი ხელაიამ 1922 წლის 7 თებერვალს ამა-ღელვებელი მოწოდებით მიმართა ცივილიზებულ ქვეყნებს გენუის ერ-თა საერთაშორისო კონფერენციაზე და საქვეყნოდ განაცხადა, რომ რუსეთმა 1921 წლის 25 თებერვალს: „კვლავ დაადგა ჩაგვრის ულელი პატარა, ტანჯულ ქვეყანას, გაცილებით უარესი ულელი, ვიდრე ოდეს-მე ღირსებია მას თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე“ (ოქროს საწმისი 2006:313).

დოკუმენტურობისა და სარწმუნოობის თვალსაზრისით მნიშვნე-ლოვან ინფორმაციას შეიცავდა დისიდენტურ პრესაში გამოქვეყნებუ-ლი სხვადასხვა სამთავრობო ღონისძიების, თათბირისა თუ კონფერენ-ციის სტენოგრაფიული ჩანაწერები, რომლებიც სრული სახით საბჭო-თა პრესაში არ იბეჭდებოდა, მაგ., დისიდენტებმა ყურადღება მიაქცი-ეს ნაციონალური იდენტობის მთავარ გამოხატულებას – ენას და ხე-ლისუფლების იმ მანკიერ პოლიტიკაზე გაამახვილეს ყურადღება,

რომლის მიზანი იყო არარუსებისთვის რუსული ენის სწავლების გაძლიერება და საბჭოთა ხელისუფლების იდეოლოგების სანუკვარი ოცნების – „საბჭოთა ერის“ შექმნის იდეის განხორციელება. 70-იან წლებში ეროვნულ ინდივიდუალობათა წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ ფართოდ გავრცელებულ ფორმად ორენვნების ქადაგება იქცა, თუმცა სხვა რესპუბლიკებისაგან განსხვავებით, საქართველოში ამის მიღწევა ძნელი აღმოჩნდა, რადგან ეროვნული ოპოზიციისა და მეცნიერებისა და კულტურის ზოგიერთი მოღვანისგან ამ ინიციატივას სერიოზული პროტესტი მოჰყვა. საქართველომ შეძლო შეენარჩუნებინა კულტურული დამოუკიდებლობის ელემენტები იმპერიის ფარგლებშიც კი და, ამ მხრივ, თვითგამოცემებსაც დიდი წვლილი მიუძღვით. „ოქროს საწმისის“ პირველ ნომერში დაიბეჭდა მწერალ ნოდარ წულეისკირის სიტყვის სტენოგრამა წარმოთქმული ე. შევარდნაძესთან შეხვედრის დროს მწერალთა კავშირში, სადაც ნ. წულეისკირმა ქართული ენის შევიწროების ფაქტების ილუსტრირებით ის სავალალო სურათი წარმოადგენა, რომელიც მშობლიური ენის არსებობასაც კი სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა: „ახალგაზრდებს ყველაფერს ვასწავლით, გარდა მშობლიური ენისა, მშობლიური ისტორიისა, ამიტომ მისი აზროვნება შეზღუდულია, მკვდარია, რაღაც იცის, მაგრამ გამოთქმა უჭირს, საბოლოოდ ცუდი სპეციალისტია“ (ოქროს საწმისი 2006:26), ხოლო რუსული ენის სწავლისკენ მოწოდებას, მტკიცე მოთხოვნას „ყოველმა ქართველმა ტურგენევით იცოდეს რუსული ენა“, იგი უსამართლო მოთხოვნად მიიჩნევს და პირიქით, თხოვლობს ქართული ენის „გადარჩენას“.

ამავე თემას ეხმიანება რევაზ ჯაფარიძის სიტყვა წარმოთქმული საქართველოს მწერალთა VIII ყრილობაზე, სადაც „დიდი ლენინის“ ციტატების აპელირებით და ამონარიდებით ლენინის შრომებიდან („სრულიად არავითარი პრივილეგია არც ერთ ერს, არც ენას“) მწერალი აპროტესტებს საქართველოს სკოლებში რუსულ ენაზე სხვადასხვა საგნის სწავლების შემოღებას და წერს: „მხოლოდ გულუბრყვილო ადამიანს შეუძლია იმის ფიქრი, რომ ამა თუ იმ ენის უგულებელყოფით არავითარ დანაშაულს არ სჩადიან ამ ენის მფლობელი ერის წინაშე“ (ოქროს საწმისი 2006:396).

უმაღლეს სასწავლებლებში და სკოლებში საქართველოს ისტორიასა და ენის სწავლების პრობლემებს მიეძღვნა ნიკოლოზ სამხარაძის წერილები: „საქართველოს ისტორიის სწავლების საკითხისათვის“,

„საქართველოს ისტორიის სწავლება ქართულ სკოლებში“ და სხვ. რომელებიც „საქართველოს მოამბეში“ გამოქვეყნდა.

„ოქროს სანმისისგან“ განსხვავებით, „საქართველოს მოამბე“ პოლიტიკური პროფილის უურნალი იყო, რომელიც პუბლიცისტურ ჭრილში განიხილავდა ნაციონალური იდენტობის პრობლემატიკას – რუსიფიკატორული პოლიტიკის გააქტიურებას, „წითელი ინტელიგენტისა“ და „წითელი სამღვდელოების“ „სუკთან“ თანამშრომლობის ფორმებსა და სხვ. ასევე, მან სერიოზული ყურადღება დაუთმო უფლებადაცვით საკითხებს, რომელიც მოიცავდა საპროტესტო მოქმედებებს თავისუფალი სიტყვის დასაცავად. სწორედ „საქართველოს მოამბის“ 1975 წლის პირველ წომერში დაიბეჭდა გაეროს ადამიანთა უფლებების დაცვის დეკლარაცია. ასევე, მოწოდებები თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის, პოლიტპატიმრების განთავისუფლების მოთხოვნით. კონკრეტული ფაქტების, კონსპირაციულად მოპოვებული დოკუმენტების გამოაშკარავებით უურნალი ამხელდა საბჭოთა სამართალდამცველთა ანტისამართლებრივ ქმედებებს. მათ შორის, პატიმრებისა და განსხვავებულად მოაზროვნეთა მიმართ არაადამიანური წამებისა და აგენტების გადაპირების სასტიკ პრაქტიკას.

„საქართველოს მოამბის“ ფურცლებზე სერიოზული მსჯელობის საგანი გახდა მუსლიმან მესხთა საკითხი, რომელსაც, მერაბ კოსტავასა და ვიქტორ რცხილაძის სტატიები მიეძღვნა და შემოკლებით დაიბეჭდა საქართველოდან გასახლებულ მესხთა მიმართვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. შევარდნაძისადმი და საბჭოთა კავშირის კომპარტიის XXIII ყრილობის პრეზიდიუმისადმი გაგზავნილი საჩივარი, სადაც მკაფიოდ იყო გაცხადებული სტალინური პოლიტიკის მსხვერპლთა ვედრება: „ოცი წელია, ნიადაგ გავიძისით, ვაცხადებთ პროტესტს, რომ „თურქები“ არა ვართ!“ (საარქივო მოამბე 2011:11).

ქართული თვითგამოცემებისთვის საბედისწერო გამოდგა მეორე მსოფლიო ომის მონაწილის შალვა მალაკელიძის ნეკროლოგის გამოქვეყნება, რომელიც ვიქტორ რცხილაძეს ეკუთვნოდა და ასე მთავრდებოდა: „სიმბოლური იყო ბატონი შალვას გარდაცვალება 7 ნოემბერს. მაშინ, როცა საქართველოს სატახტო ქალაქის მთავარ გამზირზე რუს დამპყრობელთა საზეიმო ჩექმების ბრახუნი ისმოდა, პატარა მიყრუებულ ოთახში, საქართველოს მხედართმთავრის გაცივებული ცხედარი ესვენა ქართველთაგან დაუტირები“ (საარქივო მოამბე 2012:

12). შალვა მალლაკელიძე მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელი გენერალი იყო და კომუნიზმის დამარცხებაში ხედავდა საქართველოს თავისუფალ მომავალს.

1976 წელს „ოქროს საწმისი“ და „საქართველოს მოამბე“ დაიხურა, ხოლო მისი ორგანიზატორები – მ. კოსტავა, ზ. გამსახურდია და ვ. რცხილაძე დააპატიმრეს.

დაბეჯითებით უნდა ითქვას, რომ 70-იანი წლების დისიდენტურმა მოძრაობამ და „თვითგამოცემებმა“ გზა გაუკვალეს 80-იანი წლებიდან ახალი პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების და, შესაბამისად, ოპოზიციური მედიის ჩამოყალიბებას, ანტიკომუნისტური მოძრაობის აღმავლობას და ქართული „ეროვნული ენერგიის“ გაძლიერებას, რაც 90-იან წლებში სსრკ-ის დაშლითა და საქართველოს დამოუკიდებლობით დამთავრდა.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. არგანაშვილი გ., ბასილ მელიქიშვილი, უურნალი „ლიტერატურული პალიტრა“, 2014, 3.
2. ბაქრაძე ა., მწერლობის მოთვინიერება, „სარანგი“, 1990.
3. „ოქროს საწმისი, ქართული თვითგამოცემა 30 წლისაა“, „საქართველოს მაცნე“, თბ., 2006.
4. საარქივო მოამბე, 2011, 11; 2012, 12.
5. საყვარელიძე ფ., დისიდენტური მოძრაობა სსრკ-ში; უურნალი „სოლიდარობა“, 2010, 4.
6. სმითი ე., ნაციონალური იდენტობა, „ლოგოს-პრესი“, თბ., 2008.
7. სონღულაშვილი ნ., „ეპოქის გამოწვევა და ქართული ეროვნული იდენტობა“, 1900-1921 წწ. „უნივერსალი“, თბ., 2013.
8. შარაძე გ., უცხოეთის ცის ქვეშ, წიგნი I, „მერანი“, თბ., 1991.
9. ჩხეიძე რ., დაწყევლილი თაობა, „ლომისი“ თბ., 1995.

**Nana Talakhadze**

Associate Professor

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**National Identity problems in Post Soviet Period Dissident Media  
(on the texempees of “Golden Fleece” and “Georgian Moambe”)**

**Resume**

In the 70s of the past century unofficial journalism, the so called self-publishing, came into existence in Georgia and other Soviet states, the history of which is directly related to the activisation of dissident movement and anti-Soviet propaganda.

Upon the initiative of the first legal opposition organization "Helsinki Group" founded by the so called new wave representatives – Zviad Gamsakhurdia, Merab Kostava and Viktor Rtskhiladze, in 1975-76, literary political magazines „Golden Fleece“ (four issues) and Georgian Moambe“ (two issues) were illegally published and secretly distributed, editoe Zviad Gamsakhurdia.

The priorities of the Georgian dissident movement is clearly outlined on the pages of the mentioned magazine, namely – whistleblowing of Russian expansionist chauvinistic policy and struggle for the national identity and independence until the full secession from the Soviet Union (similarly to the Baltic and Ukrainian dissidents).

The literary-political Journal "Golden Fleece" used to carry out this task with national political discussions and publishing patriotic lyrics of Georgian classic writers, imbued with anti-Russian spirit (Akaki Tsereteli "My Concerns", Vazha-Pshavela "to Social Democrats"), as well as artistic works and epistolary publicist samples of writers and poets who were banned by the Communist censors. The "Golden Fleece" was the first magazine which introduced 1924 and 1943 years conspirators' taboo creativity (Basil Melikishvili, Otar Maisuradze, Adam Bobgiashvili) to the readers. The magazine also presented the samples of poetry of the Georgian imigrant writers who were regarded enemies of the nation (Grigol Robakidze, Giorgi Gamkrelidze).

Nearly every issue of „Golden Fleece“ published artistic works and publicistic letters of Zviad Gamsakhurdia and Merab Kostava, along with the banned political characteristic articles, fragments of memoires and open letters

(“Open Letter to Ulyanov Lenin“, „Who is Chauvinists“, „Our Cultural-Politics“ and others) from the archive of Konstantine Gamsakhurdia.

The magazine „Georgian Moambe“ analyzed national identity problems rather through journalistic point of view – Activation of Russian policy, antinational approach toward native language and history teaching in educational institutions, Government's careless attitude to the Georgian cultural monuments (the demand to relocate military polygon from Davit Gareji), cooperation forms of „Red Clergy“ and „Red intelligentsia“ with „KGB“ and so on. The magazine has paid great attention to the issues of human rights and concrete facts. By disclosing secretly obtained documents the magazine exposed unlawful actions of the Soviet law-enforcement institutions, including torture of prisoners, and resort to cruel practice in order to win the people over.

Publishing of the appeal made by the Georgian Patriarch Ambrosi Khelaia, which read that – „On February 25, 1921, Russia had once again embarked upon the route of oppression placing a yoke on a small, suffering country, the worst yoke, that had ever been put on it throughout its long and troubled history“ – on the pages of „Samizdat“ was a great challenge to the Soviet regime.

The obituary of the Second World War participant, German Army Gen. Shalva Maghlakelidze published by the mentioned magazines turned out to be fatal for the dissident press; the fact played a key role in the arrest of the dissidents and closure of the journals "Golden Fleece" and "Georgian Moambe".

It must be said, that the dissident media of the 70s has paved the way for anti-communist movement, rising up in the 80s, and contributed to the awakening of the Georgian consciousness and breakdown of soviet stereotypes, which ended with the collapse of the Soviet Union and Georgia's liberation in the 90s.

**ავთანდილ ტუკვაძე**  
ასისტენტი პროფესორი, თსუ

**აშშ-ის, ბრიტანეთის და საქართველოს პოლიტიკური  
კულტურის შედარებითი ანალიზი**

პოლიტიკური კულტურა სულიერი კულტურის ნაწილია; იგი პოლიტიკის და კულტურის ინტეგრირებული გამოხატულებაა და განმსაზღვრელ გავლენას ახდენს პოლიტიკურ რეჟიმზე.

პოლიტიკური კულტურა საზოგადოების პოლიტიკური ქცევის მოდელია, რომელიც მკვეთრად ვლინდება არჩევნების, რეფერენდუმების დროს, ხელისუფლებაზე ზეწოლის, მხარდაჭერის პროცესში, „პოლიტიკური თამაშის წესებში“ და მასში მნიშვნელოვან თავისებურებებს განაპირობებს კონკრეტული ქვეყნის პოლიტიკური, ისტორიული, ეკონომიკური, რელიგიური, ეროვნული, კულტურული, გეოპოლიტიკური განვითარების სპეციფიკა;<sup>1</sup> პოლიტიკური კულტურის კომპონენტებში მნიშვნელოვან როლს თამაშობს პოლიტიკური გამოცდილება, განათლებისა და ინტელექტის დონე, პოლიტიკური სისტემის, პოლიტიკური პროცესის, დემოკრატიის საპაზისო ღირებულებების, ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ირგვლივ საზოგადოების ცოდნის დონე; გარდა კოგნიტური ელემენტებისა, პოლიტიკურ კულტურაზე დიდ ზეგავლენას ახდენს არაცნობიერი, ემოციური ელემენტები, რომლებიც ხშირად განსაზღვრავენ საზოგადოების პოლიტიკური ქცევების მიმართულებასა და ხასიათს; პოლიტიკური კულტურა ყალიბდება ხანგრძლივი დროის განმავლობაში და მას განსაკუთრებული სიმყარე ახასიათებს: ბრიტანეთში სამოქალაქო კულტურა საუკუნეების განმავლობაში, თანდათანობით, ევოლუციური გზით ყალიბდებოდა და ვითარდებოდა, ხოლო ტრანსფორმირებად ქვეყნებში, საქართველოს მსგავსად, ამის მიღწევა სურთ რამოდენიმე წლის

<sup>1</sup> ა. ტუკვაძე. პოლიტიკური კულტურის ტიპები (შედარებითი ანალიზი) თბ; 2007 გვ 17.

განმავლობაში; მიუხედავად იმისა, რომ გლობალიზაციის პროცესში სწრაფად ვრცელდება დემოკრატიული, უნივერსალური ლიბერალური ღირებულებები, მაინც უტოპიური იდეაა სამოქალაქო კულტურისა და დემოკრატიის მყისიერი დამყარებაზე აქცენტირება; პოლიტიკურ კულტურის ფორმირებაზე გავლენას ახდენს ოჯახი, სკოლა, თანატოლები, უნივერსიტეტი, პარტიები, რელიგიური და სხვა ფაქტორები; მისი სწავლა საგანმანათლებლო დაწესებულების კედლებში შეუძლებელია, თუმცა განათლების მაღალი დონე აუცილებელია დემოკრატიული კულტურის განვითარების პროცესში, მაგრამ ჩვენ შემოხვევაში, განათლებული და ინტელექტუალური ადამიანი ხშირად ქვეშევრდომისა და პატრიარქალური კულტურის მატარებელია; ამის მიზეზად ალმონდისა და ვერბას მიერ დასახელებული ფაქტორები (ბუნდოვანი წარმოდგენა პოლიტიკურ ინსტიტუტებსა და პოლიტიკურ როლებზე) არ გამოდგება, არამედ ტოტალიტარული წარსულიდან მემკვიდრეობით მიღებული ქვეშევრდომული ორიენტაციები, შეურიგებელი იდეოლოგიური ორიენტირები, ქურდული მენტალიტეტი, სხვის სახელმწიფოში ხანგრძლივი ცხოვრება არის.

პოლიტიკური კულტურის ტიპი, რომელიც განვითარების დონეს ასახავს, განაპირობებს დემოკრატიის ხარისხს: აქედან გამომდინარე, აკეთებენ მეცნიერები პესიმისტურ დასკვნას, რომ დასავლური დემოკრატიების, პოლიტიკური სისტემების „ტრანსპლანტაცია“ შეუძლებელია არადასავლური ცივილიზაციების ქვეყნებში და სამწუხაროდ ამ ჭეშმარიტების დადასტურებაა აზის, აფრიკის, სამხრეთ ამერიკის, პოსტსოციალისტური ქვეყნების უმრავლესობის თანამედროვე ისტორია.

მკვლევარები განასხვავებენ დემოკრატიულ, ავტორიტარულ, სამოქალაქო პოლიტიკური კულტურის ტიპებს, სადაც სხვადასხვა პროცენტული თანაფარდობითაა გადანაწილებული პატრიარქალური, ქვეშევრდომული და მონაწილეობითი ორიენტაციები; გამოყოფენ ერთგვაროვან, ფრაგმენტულ, საბაზრო და ეტატისტურ, აღმოსავლეთისა და დასავლეთის სუბკულტურების ტიპებს, ადგენენ მსოფლიო პოლიტიკური კულტურის ვირტუალურ მოდელს და ხედავენ მისი ფორმირების კონტურებს, პოლიტიკური კულტურის ზოგად მოდელებზე დაყრდნობით ცდილობენ განსაზღვრონ კონკრეტული ქვეყნის პოლიტიკური კულტურის ტიპი და შეაფასონ დემოკრატიულად ან არადემოკრატიულად, რაც, თავისთვის, პირობითია, რადგანაც კულტურაში შემავალი ელემენტების ირგვლივაც არ არსებობს საყოველთაო თან-

ხმობა; უფრო რეალურია ვილაპარაკოთ, პოლიტიკური კულტურის იმ-დენ ტიპზე, რამდენი ერი და სახელმწიფოც არსებობს დედამიწის ზურ-გზე; ყოველ შემთხვევაში ეროვნული თავისებურებები ქმნის მრავალ-ფეროვან მოზაიკას და მისი გათვალისწინება აუცილებელია.

პოლიტიკური კულტურის შემადგენელი ელემენტების, ღირებუ-ლებების (კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებები, კომპრომისუ-ნარიანობა, ტოლერანტობა, პლურალიზმი, კერძო საკუთრებისა და პი-რადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, სახელმწიფოებრივი აზროვნება, პოლიტიკური ინსტიტუტების დემოკრატიულობა და საკუთარი სახელ-მწიფოთი სიამაყის გრძნობა, უმცირესობის ინტერესების გათვალის-წინება პოლიტიკური კურსის შემუშავების პროცესში და სხვა) განვი-თარებაზე გავლენას ახდენს ე.ნ. „გენეტიკური კოდი“, ტრადიციები, მენტალიტეტი, რომელიც სუბიექტიდან დაწყებული მთლიანად ერის ქცევას ლეგიტიმაციას სძენს; ყოველივე გამოხატულია სახელმწიფოს ვიზუალურ მხარესა და ხალხის ხასიათში, მაგრამ არასწორი იქნებოდა გვეფიქრა ხალხის იზოლირებული განვითარების შესაძლებლობაზე, განსაკუთრებით დღეს, როცა გლობალიზაციის ეპოქაში საკომუნიკა-ციონ საშუალებების ახალი ტენილოგიების დამკვიდრებამ და საერთო ბაზრის განვითარებამ მნიშვნელოვნად გაზარდა და ინტენსიური გახა-და სახელმწიფოებისა და ადამიანების დონეზე კავშირები, რაც, საბო-ლოო ჯამში, კულტურების ურთიერთგამდიდრებისა და საერთო ღირე-ბულებების ჩამოყალიბებას აჩქარებს.

ზემოთთქმულიდან გამომდინარე, ცხადია, აშშ-ის, ბრიტანეთის და საქართველოს პოლიტიკური კულტურის შედარებითი ანალიზი პირო-ბით ხასიათს ატარებს, მაგრამ ჩვენი აზრით საჭიროა, რადგანაც, ფაქ-ტობრივად, ერთმანეთს ვადარებთ, ერთი მხრივ, სამოქალაქო კულტუ-რას ბრიტანეთისა და აშშ-ის სახით და, მეორე მხრივ, ფრაგმენტულ, ტრანსფორმირებად საქართველოს პოლიტიკურ კულტურას, რომელ-შიც ჭარბობს ქვეშევრდომული ორიენტაციები მზარდ მონაწილეობით კულტურას; მეორე მხრივ, ასეთი შედარება, მიუხედავად მრავალი ცდომილებისა, შეიცავს პრაგმატულ ელემენტებსაც, დაგვეხმარება დასავლური ღირებულებების ავკარგიანობის გარკვევაში, მათ ტრან-სპლანტაციაში და რაც მთავარია დემოკრატიის „უჩვეულო ადგილას“<sup>1</sup> აშენებაში, რომლის პოტენციალი საქართველოს ნამდვილად გააჩნია.

<sup>1</sup> ამ ტერმინს ისრაელთან და ინდოეთთან მიმართებით იყენებს თომას მაგ-შტადტი

პოლიტიკური კულტურის განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენს ეთნიკური და რელიგიური განსხვავებულობის აღქმა კონკრეტული ხალხის მიერ, რომელიც ტოლერანტობის გრძნობაში პოულობს გამოხატულებას: ტოლერანტობა მნიშვნელოვანი დემოკრატიული ღირებულებაა, რომელიც სხვადასხვა ეთნიკური, რელიგიური და სოციალური ჯგუფების მშვიდობიან თანაცხოვრებას გულისხმობს; ტოლერანტობა პოლიტიკურ პლურალიზმს, უმცირესობების ინტერესების პატივისცემას ნიშნავს და, ბუნებრივია, იგი პოლიტიკური კულტურის და დემოკრატიის საბაზისო ღირებულებას წარმოადგენს.

აშშ-ის და დიდი ბრიტანეთის საზოგადოება ტოლერანტულია და ამის ყველაზე ნათელი დადასტურება აფროამერიკელი პრეზიდენტი, ეთნიკური, რელიგიური და სხვა უმცირესობების სამართლებრივი სტატუსია ამ ქვეყნებში, მაგრამ ისტორია ადასტურებს, რომ ეს პროცესი მტკიცნეულად ვითარდებოდა წინა საუკუნეებში: აშშ-ში, განსაკუთრებით სამხრეთის შტატების მიერ წაქეზებული და მხარდაჭერილი იყო „რასობრივი წესრიგის“ დამყარების მიზნით კუ-კლუს-კლანის საქმიანობა, რომელმაც მოგვიანებით „წარმატებული“ კამპანია გააჩადა კათოლიკებისა და ეპრაელების წინააღმდეგ; „ამერიკული სადნობი ქვაბი“ განსაკუთრებულობაზე, ამერიკული ღირებულებების, პოლიტიკური სისტემის, კონსტიტუციის, ცხოვრების წესის უპირატესობებზე აპელირებით, მრავალეროვნული კულტურის გაერთგვაროვნებაზე, გაამერიკელებაზე აკეთებდა აქცენტს; ნამდვილი ამერიკელობის დაცვის პოლიტიკამ წარმოშვა ანტიმიგრაციული და ანტიკათოლიკური მოძრაობა; სერიოზული საფრთხე დაემუქრა ქვეყნის ერთიანობას და საერთო სახელმწიფოში თანაცხოვრებას; 1829-49 წლებში ე.წ. „ჯექსონური დემოკრატიის“ დროს მნიშვნელოვნად გაფართოვდა თეთრი მამაკაცის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები, ხოლო შეზღუდვები დაუწესდა ქალებს, შავკანიანებს; იმიგრანტების წარმატებული ასიმილაციის პოლიტიკაში მონაწილეობდნენ მეცენატებიც, რომლებიც სახელმწიფოს ეხმარებოდნენ ბიბლიოთეკების, მუზეუმების, სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების გახსნაში, რათა დაეჩქარებინათ ამერიკელობის იდენტობის განცდა იმიგრაციის ახალ ტალღაში; წინააღმდეგობამ განსხვავებულ კულტურულ და ყოფით ღირებეულებებს შორის წარმოშვა „კულტურული დემოკრატიის ცნება“; კოლენი ნიუიორკის სოციალური კვლევების ახალი სკოლის წარმომადგენელი წერს, რომ კულტურული განვითარება ემყარება კულტურულ პლურა-

ლიზმს. კულტურული პლურალიზმი შეიძლება იყოს მხოლოდ დემოკ-რატიულ საზოგადოებაში, რომლის ინსტიტუტები აქეზებენ ინდივი-დუალურობას, პიროვნულობას, ხასიათს, რომლის მიზანდასახულობე-ბი ანათლებენ ძმობის, თავისუფლების, თანამშრომლობის უპირატე-სობებში; ამერიკა დგას ალტერნატივის წინაშე: „კუ-კლუს-კლანი“ თუ „კულტურული პლურალიზმი“.<sup>1</sup>

ამერიკული საზოგადოებისთვის რასობრივი, ეთნიკური, რელიგი-ური, პოლიტიკური ტოლერანტიზმის ჩამოყალიბება ერთიანი სახელ-მწიფოს და სახელმწიფო ერად ფორმირების პროცესში სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენდა, სხვანაირად მშვიდობიანი თანაცხოვრება შეუძ-ლებელი იყო; ამას კარგად გრძნობდნენ კონსტიტუციის მამები, ამი-ტომაა, კონსტიტუციაში ფედერალიზმის სასარგებლოდ და დემოკრა-ტიის „საზიანოდ“ მთელი რიგი დებულებები; აშშ-ის მოქალაქეებმა „გადააბიჯეს“ ეთნიკურ, რასობრივ, რელიგიურ, სქესობრივ განსხვა-ვებულობის ბარიერებს და ჭეშმარიტად ტოლერანტულ კულტურას ჩა-უყარეს საფუძველი: მხოლოდ ამ გზით ფორმირდება სახელმწიფო ერად ნებისმიერი ხალხი.

ტოლერანტობის დიდი წარსული და ტრადიცია ახასიათებს ქარ-თულ კულტურას. ამერიკელებისგან განსხვავებით ქართველები ჯერ კულტურულ ერთობად ფორმირდნენ და შემდგომ სახელმწიფოებრიო-ბასთან ერთად ჩამოყალიბდნენ ერად და, ამდენად, ერი-სახელმწიფოს კატეგორიაში მოიაზრებიან; საკითხის გაუბრალოებად მიგვაჩნია ნე-ბისმიერი მცდელობა ქართველების და ებრაელების, სომხების, მუ-სულმანების, რუსების და სხვა ეროვნებების მრავალსაუკუნოვანი მშვიდობიანი თანაცხოვრება საქართველოს ტერიტორიაზე მარტო მართმადიდებლური სარწმუნოებით, გეოპოლიტიკური რეალიებით, ისტორიული მესიერებით ან სხვა პარამეტრებით ავხსნათ ეთნიკური და რელიგიური ტოლერანტული კულტურა, რომელმაც საუკუნეებს გაუძლო და განვითარდა ასეთ „უჩვეულო ადგილას“: თბილისში ერთი კილომეტრის რადიუსში ყველა აღმსარებლობის სამლოცველოების თავმოყრა, საბჭოთა პერიოდში ოსური სკოლების, უმაღლესი სასწავ-ლებლის და თეატრის არსებობა, თავის ავტონომიაში ტიტულოვანი ერის „გააფხაზება“, უპრობლემოდ მოქალაქეობის მინიჭება (ევროკავ-შირის ბალტიისპირელი წევრი ქვეყნებისგან განსხვავებით); შესაძლოა

<sup>1</sup> ა. ტუკვაძე. პოლიტიკური კულტურის ეროვნული თავისებურებები. იხ: ჟურ-ნალი „ცხოვრება და კანონი“ თბ; 2013 3(23) გვ 59.

დავასკვნათ, რომ ტოლერანტობა ქართველებისთვის ღმერთისგან ბო-  
ძებული მადლია და მასზე გავლენა ვერც რუსეთის მიერ პროვოცირე-  
ბულმა კონფლიქტებმა მოახდინა.

ილია ჭავჭავაძე 1888 წელს დავით აღმაშენებლის მოსახსენიებელ  
დღისადმი დანერილ სტატიაში „დავით აღმაშენებელი“ წერდა: „იგი  
თავდადებული მოყვარე თავის ეროვნობისა და მართლმადიდებელის  
სარწმუნოებისა, დიდი პატივისმცემელი იყო სხვის ეროვნობისაც და  
სარწმუნოებისა. ამისთანა შემწყნარებელი სხვისა მაშინ, როდესაც იგი  
ყოვლადშემძლებელ მპრძანებლად შეიქმნა სვადასხვა თესლის და  
სხვადასხვა სარწმუნოების ერისა, ამისთანა ერის ღირსების თაყვანის-  
მცემელი იმ დროში, როცა კაცი კაცს შესაჭმელადაც არ ჰზოგავდა,  
ამისთანა კაცთმოყვარული პატივისცემა სხვის სარწმუნოებისა, ნუთუ  
საკვირველი და საოცარი არ არის მეთორმეტე საუკუნის კაცისაგან!  
მეტი-ლა დიდ-ბუნევანობა მოეთხოვება განა მეთორმეტე საუკუნის  
კაცს მაშინ, როცა დღეს, მეცხრამეტე საუკუნის დასარულს საკვირვე-  
ლად მიგვაჩნია გლადისტონი, რომ ირლანდის ეროვნობას და სარწმუ-  
ნოებას ესარჩლება იმავე კაცთმოყვარეობით, რა კაცთმოყვარეობი-  
თაც დავით აღმაშენებელი სხვა ერს პატივსა-სცემდა! ჩვენ მატიანებს  
თავი დავანებოთ და ვიმოწმოთ სხვა ერის შემატიანენი. ისინიც კი აღ-  
ტაცებით იხსენიებენ დაყით აღმაშენებელს, როგორც კაცს, პატივის-  
მცემელს და შემწყნარებელს სხვა ერისას და სჯულისას.<sup>1</sup> შემდგომ  
ილია იმოწმებს სომეხი მათე ედესელის, ვარდან დიდის, მაპმადიანი  
მწერლის ალ-აიანის შეხედულებებს; მაგრამ მთავარი სხვაა, დიდი და-  
ვითის თვალსაზრისი არ იყო ამოვარდნილი ქართული კონტექსტიდან  
და ტოლერანტობა, როგორც ზემოთ იყო მითითებული, წითელი ხაზი-  
ვით გასდევს საქართველოს შუასაუკუნეებისა და უახლეს ისტორიას;  
საკითხის სხვა მხარეა ნარსულში როგორი სამსახური გაუნია მან სა-  
ხელმწიფოს, მაგრამ ერთი რამ ცხადია, ჩვენ მასზე დაყრდნობით უნდა  
მოვახდინოთ ეროვნული უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაცია,  
იდენტიფიცირება ქართულ სახელმწიფოებრიობასთან და მხოლოდ ამ  
შემთხვევაში დავუახლოვდებით ევროპულ ღირებულებებს და ჩამოვა-  
ყალიბებთ დემოკრატიულ საზოგადოებას.

გლობალიზაციის ეპოქაში კულტურული მოდერნიზაციის პროცე-  
სი ჩქარდება, რაც, საბოლოო ჯამში, ტრადიციული ფასეულობების  
ნაცვლად ახალ ღირებულებებს ამკვიდრებს მოსახლეობის, განსაკუთ-

<sup>1</sup> ილია ჭავჭავაძე. თხზ. თბ; 1984 გვ 606-607.

რებით ახალგაზრდობის შეგნებაში: თანასწორობის განცდა, ეკოლო-  
გიური და გენდერული პრობლემები, რელიგიური, ეთნიკური და სხვა  
უმცირესობების უფლებების დაცვის აუცილებლობა, რაც წარმოშობს  
მრავალრიცხოვან საერთაშორისო ორგანიზაციებს; ყოველივე, საბო-  
ლოო ჯამში, აყალიბებს საერთო პოლიტიკური კულტურის ნიშნებს სა-  
ზოგადოებრივ ცნობიერებაში. განსაკუთრებით აღნიშნული ტენდენ-  
ცია ნათლად ვლინდება ახალგაზრდობის პოლიტიკურ კულტურაში რა-  
ზეც მეტყველებს საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ჩატარე-  
ბული სოციოლოგიური კვლევის შედეგები.<sup>1</sup> თუმცა, მართლმადიდებ-  
ლური კულტურა ავლენს გარკვეულ რეაქციას დასავლური ლიბერა-  
ლური ლირებულებების მიმართ: დღეს ის ქვეყანაა დემოკრატიული,  
სადაც უმცირესობების ინტერესები მაქსიმალურადაა დაცული, მაგ-  
რამ უმცირესობების უფლებების დაცვის „მაქსიმალიზაცია“ წინააღ-  
მდეგობაში მოდის ქრისტიანულ-მორალურ ლირებულებებთან და, უფ-  
რო მეტიც, არღვევს ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლე-  
ბებს და საერთოდ ადამიანის თანაცხოვრების მორალურ და ეთიკურ  
ნორმებს: ერთსქესიანების ქორწინების (ისლამურ ქვეყნებში ქრისტია-  
ნობა უკვე ასოცირდება ჰიმოსექსუალიზმთან) და განსაკუთრებით,  
შვილად აყვანის უფლების დაკანონება, არღვევს გაეროს მიერ აღია-  
რებულ ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ძირი-  
თად პრინციპებს, მათ შორის, ბავშვთა უფლებების დეკლარაციას. ამა-  
ვე დროს, ამ დარგის სპეციალისტების უმრავლესობა (70%) მიიჩნევს,  
რომ ჰიმოსექსუალიზმი დავადება და განკურნებადია, ხოლო 30%  
თვლის, რომ იგი თანდაყოლი თვისებაა და, მაშასადამე, ღმერთმა შექ-  
მნა ასეთი; რატომ ვემყარებით მეორე ვარაუდს და ამით ხომ არ ვაკა-  
ნონებთ ავადმყოფობას და პროპაგანდას ვუწევთ მას. განსხვავებული  
სქესობრივი ორიენტაციის მქონე ადამიანები უნდა სარგებლობდნენ  
ყველა იმ უფლებებით, რაც საზოგადოების დანარჩენ წევრებს გააჩნი-  
ათ და ამაზე მეტყველებს საქართველოს პარლამენტის მიერ ახლახან  
მიღებული ანგიდისკრიმანაციული კანონიც, მაგრამ მათ უპირატესი  
მდგომარეობა არ უნდა შევუქმნათ, რაც პროპაგანდას ნიშნავს და შე-  
საძლოა ამ მიმართულებით წაქეზების ტოლფასიც კი გახდეს; ამერი-  
კული მასმედია ებრძვის ოჯახის ინსტიტუტს, როგორც დიქტატურის

<sup>1</sup> ჯავახიშვილის, პოლიტექნიკური, ილიას, სოხუმის, საქართველოსა და  
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტებში ჩატარებული კვლევები გვიჩვენებს  
ამ ტენდენციას.

მაგალითს და შოვინიზმის ინკუბატორს, სოციალური უსამართლობის ბუდეს და ამიტომ, ჩვენი აზრით, ყოველმხრივ მხარს უჭერს არატრა-დიციულ ურთიერთობებს.<sup>1</sup>

აშშ-ის პოლიტიკური კულტურის სტაბილურობის გარანტი, პირ-ველ რიგში, მისი კონსტიტუციაა, რომელმაც ჩამოაყალიბა მსოფლიო-ში ყველაზე სტაბილური პოლიტიკური სისტემა და საფუძველი დაუდო არნახულ ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ განვი-თარებას და ეს ქვეყანა ზესახელმწიფოდ აქცია; აშშ-ის პოლიტიკური კულტურის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ბრიტანე-თის პარლამენტარიზმის გამოცდილებამ; კანონის უზენაესობის, კერ-ძო საკუთრების ხელშეუხლებლობის, ხელისუფლების დანაწილების იდეები და პრინციპები კარგად იყო ცნობილი ემიგრანტი მოსახლეო-ბისთვის, მაგრამ ამერიკულ სინამდვილეში სახელმწიფოებრივი მშე-ნებლობის გზაზე ხელისუფლების ხელახალი გამოგონების ამერიკული იდეა ვეტოსა და იმპირიზმის ინსტიტუტის დამკვიდრებაში მდგომა-რებას; აშშ-ის კონსტიტუცია ამერიკელი ხალხის პოლიტიკური კულ-ტურის ბუნებრივი განვითარების ლოგიკური შედეგია; მასში მოკლედ და ლაკონურად არის ფორმირებული ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, ფედერალური და ადგილობრივი ხელისუფლების უფლებამოსილებები, სასამართლო სისტემა, რომელიც ინგლისურ პრეცედენტულ სამართალს ემყარება; სასამართლოს დამოუკიდებ-ლობის მაღალმა ხარისხმა შტატებში მნიშვნელოვნად განაპირობა პლურალისტული დემოკრატიის და სამართლებრივი სახელმწიფოს ჩა-მოყალიბება.

ამერიკელები დამსახურებულად ამაყობენ თავისი კონსტიტუცი-ით, პოლიტიკური სისტემით, „პატიოსანი პოლიტიკური თამაშის წესე-ბით“; მართლაც ამერიკა უნიკალური ქვეყანაა, რომელმაც ყველაზე სრულად უზრუნველყო ადამიანის შესაძლებლობების რეალიზაცია; ამერიკული დემოკრატია და ლინებულებები საუკეთესოა მსოფლიოში გააჩნია უნივერსალური ხასიათი და იგი სხვა ხალხებმაც უნდა გადაი-ღონ, ასეთია ამერიკელების განწყობა.

პოლიტიკური სისტემისა და სამართლებრივი ნორმებისადმი და-მოკიდებულება თავისებურ ხასიათს ატარებს ბრიტანეთში, სადაც შუა საუკუნეებიდან მოყოლებული არსებობს საპარლამენტო დემოკრატია,

<sup>1</sup> Филимонов Г. Ю. Внешняя культурная политика США как компонент «мягкой силы». М.2010 с 67.

ხოლო კონსტიტუციური ნორმები ინგლისელების ცნობიერებაშია დამკვიდრებული; ინგლისელები ყველაზე ადრე მივიდნენ კერძო საქუთრების ხელშეუხებლობის იდეამდე; მათ პოლიტიკურ კულტურაში მკვიდრდება აზრი, რომ რადიკალურ აზრს, რევოლუციებს საზოგადოების დაპირისპირებამდე და პოლიტიკური კულტურის ფრაგმენტაციამდე მივყავართ და ამიტომ ევოლუციურ განვითარებას, მემკვიდრეობის შენარჩუნებას ანიჭებენ უპირატესობას: ბრიტანეთი კლასიკური კონსტიტუციური მონარქიის ქვეყანაა, სადაც ერთმანეთს ორგანულად ერწყმის ორპალატიანი საპარლამენტო დემოკრატია და მემკვიდრეობითი მონარქია; ბრიტანელები ამერიკელების მსგავსად ამაყობენ პოლიტიკური სისტემით, პარლამენტით, სადაც პოლიტიკური გადაწყვეტილება იღებს ლეგიტიმიტაციას; ამერიკელებისგან განსხვავებით უფრო იხრებიან წესრიგისკენ, არა აქვთ კონსტიტუცია, მაგრამ უფრო მეტად სჯერათ სამართლიანობის, ხასიათდებიან კანონმორჩილებით, ნაკლებად ინფორმირებული არიან და გამოირჩევიან კონსერვატორული აზროვნებით; მეტია ტრადიციებისადმი პატივისცემის გრძნობა, ხანგრძლივია ისტორიული მეხსიერება და აშშ-ის მსგავსად პოლიტიკური კულტურა სამოქალაქო საზოგადოების პირობებში განვითარდა და ამიტომაც გაუძლო ისტორიულ რყევებს და არ შექმნილა პოლიტიკური ინსტიტუტების რღვევისა და რადიკალური ცვლილებების პრეცედენტი.

საქართველოს პოლიტიკური კულტურის განხილვა პოლიტიკურ სისტემასთან, მმართველობის ფორმასთან, კონსტიტუციასთან და მთლიანად სახელმწიფოსთან მიმართებაში განვითარებული დემოკრატიების კონტექსტში რთულია და მრავალ პასუხაუცემელ კითხვას წარმოშობს, მაგრამ საჭიროა, რომ უფრო კარგად გავაცნობიეროთ სამოქალაქო კულტურის გზაზე არსებული პრობლემები.

საქართველოს სახელმწიფოებრიობის ისტორია პირობითად შევვიძლია სამ ნაწილად დავყოთ: სრული დამოუკიდებლობის, „ნაწილობრივ“, „ნახევრად დამოუკიდებლობის“ (რომელშიც იგულისხმება როგორც ცალკეული ნაწილების, ასევე, სახელმწიფოებრიობის შეზღუდვა გარე ძალის მიერ, რომელიც ხასიათდებოდა სრული დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვით), დამოუკიდებლობის დაკარგვის (სხვის სახელმწიფოში (ცხოვრება) პერიოდები, სადაც უკანასკნელი რუსეთისა და საბჭოთა იმპერიის შემადგენლობაში ყოფნას გულისხმობს, რომელსაც ახლდა როგორც რადიკალური, ისე ზომიერი დაპირისპირება ცენტრა-

ლურ ხელისუფლებასთან; ბუნებრივია, სახელმწიფოებრიობის განცდის პოლიტიკური და სამართლებრივი კულტურა განსხვავებულია ზემოთ დასახელებულ ეპოქებში; განსაკუთრებული ზიანი სახლმწიფოებრივ აზროვნებას საბჭოთა ტოტალიტარიზმა დაამჩნია: ამის შედეგია ის, რომ ოთხმოცი წლის წინათ, 1921 წელს უფრო დაბალანსებული კონსტიტუცია მივიღეთ, ვიდრე 1995, 2004 წლებში.

კონსტიტუციის სიმყარეზე დამოკიდებულია საზოგადოებრივი ნდობის ფორმირება პოლიტიკურ ინსტიტუტების მიმართ; ოცდაათამდე საკონსტიტუციო ცვლილება (რომლის ანალოგი არ მოიძებნება პოსტსაბჭოთა სივრცეში), რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს ჩვენთვის მისაღები მმართველობის ფორმის ძიებასთან და მიზნად მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლების გაძლიერებას ისახავდა, არღვევდა წონასწორობას ხელისუფლებრივ შტოებს შორის და ნამდვილად არ წაადგება კანონის უზენაესობის პრინციპის და სახელმწიფოებრივი აზროვნების დამკვიდრებას საზოგადოებრივ ცნობიერებაში; აქედან გამომდინარე, არსებული პოლიტიკური სისტემის მიმართ ნაკლები ლოიალობა ქართული პოლიტიკური კულტურის წარმატებისა, რაც არასტაბილურობის განმაპირობებელი ფაქტორია.

საზოგადოებრივი აზრის პოლარიზაცია საქართველოში კიდევ უფრო გააძლიერა მასობრივმა უმუშევრობამ და მძიმე სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ და ნაციონალების მმართველობის დროს დამყარებულმა ავტორიტარულმა რეჟიმმა; პოლიტიკურ სისტემასთან და მთავრობასთან იქნა გაიგივებული მმართველი ელიტის პარტიული საქმიანობა; ასევე, საქართველოს უახლესი ისტორია გვიჩვენებს, რომ პოლიტიკურ სპექტრში არსებობენ ცრუ ოპოზიციური და ხელისუფლებასთან მტრულ რეჟიმში ფუნქციონირებადი პოლიტიკური ძალები; განვითარებული დემოკრატიებისაგან განსხვავებით, გამოვირჩევით პარტიების სიმრავლით, რომელთა უმრავლესობას გაურკვეველი იდეოლოგიური ორიენტირები და ბრძოლის მეთოდები გააჩნიათ; პოლიტიკურ სპექტრში განსხვავებული ხედვაა დემოკრატიის საბაზისო ღირებულებების ირგვლივ, რაც პოლიტიკური კულტურის ფრაგმენტაციას განაპირობებს; ჯერაც არაა გამოკვეთილი კონსტრუქციული ოპოზიცია, პოლიტიკური თამაშის საერთო ღირებულებები და, შესაბამისად, აშშ-ისა და ბრიტანეთისაგან განსხვავებით, თანამშრომლობის პოლიტიკური კულტურა სუსტია; მთლიანობაში აღებული ქართულ საზოგადოებრივ ცნობიერებაში ჭარბობს ქვეშევრდო-

მული, მორჩილებითი კულტურის ელემენტები, რომელიც მხსნელი ლიდერის ძიებაში გამოიხატება და კომუნისტური მემკვიდრეობის გარდა, ზვიად გამსახურდიას ძალადობრივმა დამხობამ, ნაციონალების მმართველობის მეთოდებმაც განამტკიცეს მოქალაქეების ცნობიერებაში; ბრიტანეთთან და აშშ-თან შედარებით აშკარაა ინსტიტუტების მიმართ უნდობლობა და სახელმწიფოებრივი აზროვნების დეფიციტი როგორც მმართველი ელიტის, ისე საზოგადოების მხრიდან.

ინდივიდუალიზმი აშშ-ის პოლიტიკური კულტურის საბაზისო ნაწილია; პიროვნულმა განცდებმა, რწმენა-წარმოდგენებმა ასახვა ჰპოვა გ. მელვილის, გ. ტობოს, უ. უიტმანის და სხვათა ნაწარმოებებში; მოჭარბებული ინდივიდუალიზმის მიზეზები ემიგრანტების ფსიქოლოგიაში უნდა ვეძებოთ: მათ თავიანთ ქვეყანასთან განყვიტეს კავშირი და მთლიანად საკუთარ თავზე იყვნენ დამოკიდებულნი; მათი უმრავლესობა თავისუფლების, დამოუკიდებლობის, კარგი ცხოვრების ძიებამ ჩაიყვანა ამერიკაში; კვლევები ადასტურებენ, რომ აშშ-ის მოქალაქეების უმრავლესობა თავისუფლებას, თანასწორობასთან შედარებით მეტ უპირატესობას ანიჭებენ, რასაც ვერ ვიტყვით რუსებზე, გერმანელებზე და სხვა ხალხებზე;

ინდივიდუალიზმი ამერიკული მენტალიტეტის განუყოფელი ნაწილია; ინდივიდი აშშ-ის პოლიტიკური კულტურაში არის ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულება, ხოლო სახელმწიფო, ოჯახი და საზოგადოება პიროვნების უფლებების შემდგომ განიხილება; პიროვნულ უფლებებს უპირატესობა ენიჭება კოლექტიურ ინტერესებთან შედარებით; პოლიტიკა ხშირად ბიზნესის ნაირსახეობად არის აღქმული; ამერიკაში პიროვნება ევროპისაგან განსხვავებით თავისუფალი იყო ტრადიციულობის, თემობრიობის, კლანურობის ისტორიულად ჩამოყალიბებული ფეოდალური ინსტიტუტებისგან და ახალ ურთიერთობებს მთლიანად ინდივიდუალური შესაძლებლებებისა და მისწრაფებების საფუძველზე აგებდა; თავისუფლებისა და ინდივიდუალიზმის თავისებური ანარეკლია 1791 წელს კონსტიტუციაში შეტანილი შესწორება: „რამდენადაც კარგად ორგანიზებული პოლიცია აუცილებელია თავისუფალი სახელმწიფოს უსაფრთხოებისთვის, არ შეიძლება დაირღვეს ხალხის უფლება, შეინახოს და ატაროს იარაღი“<sup>1</sup>. ამერიკელებს სჯერათ, რომ ვერც ერთი სამართალდამცავი ორგანო ვერ უზრუნველყოფს განაიარალოს

<sup>1</sup> საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები. ნაწილი 1 თბ; 2008 გვ 56.

ყველა დამნაშავე, მაგრამ იარაღის შეძენისა და ტარების აკრძალვით ნებისმიერი სახელმწიფო მოახდენს კანონმორჩილი მოქალაქეების განიარაღებას კრიმინალის წინაშე და ამით შეზღუდვას მათ თავისუფლებას.

საქართველოს მოქალაქეები დამოუკიდებლობას ფსიქოლოგიურად მომზადებულები შეხვდნენ, რადგანაც რუსეთისა და საბჭოთა იმპერიის პერიოდში საკუთარ სახელმწიფოებრიობაზე ფიქრი, ოცნება და ბრძოლა არასოდეს შეუწყვეტიათ, მაგრამ, გაცილებით მეტი სირთულეების წინაშე აღმოჩნდნენ სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, ეროვნული, კულტურული გარდაქმნების პროცესში: დამოუკიდებელ ქვეყანას მოაზროვნე ინდივიდები, მმართველი ელიტა ესაჭიროებოდა, რომლებიც დამოუკიდებლად შეძლებდნენ გარდამავალი ეპოქის გამოწვევების გამკლავებას, მაგრამ თავდაპირველად საქართველოს სინამდვილეში სახეზე საშემსრულებლო მართვის კულტურაზე ორიენტირებული კომუნისტური ნომენკლატურა და სახელმწიფო მმართველობითი კულტურისგან გაუცხოებული დისიდენტური ეროვნული ძალები იყვნენ.<sup>1</sup>

სოციალისტური პოლიტიკური კულტურა მთლიანად გამორიცხავდა შემოქმედებითი აზროვნების უნარ-ჩვევებს და ორიენტირებული იყო სოციალურ დახმარებებზე და საბჭოთა პერიოდში მობილიზაციურ მდგომარეობაში იმყოფებოდა კომუნისტური იდეალების განხორციელების გზაზე: ჩვეულებრივი სამეურნეო ამოცანების შესრულების პროცესი „ბრძოლებისა“ და რევოლუციურ ეტაპებად იყოფოდა (ბრძოლა ინდუსტრიალიზაციისთვის, ბრძოლა ყამირის ათვისებისთვის, ხუთნლედის ოთხ წელიწადში შესრულებისთვის და სხვა). საზოგადოებრივ საკუთრებაზე დაფუძნებულმა ტოტალიტარულმა სისტემამ, პოლიტიკურმა კულტურამ ინდივიდი საზოგადოებაში გათქვიფა; საზოგადოებრივი ცნობიერება და თანასწორობის იდეები გახდა წამყვანი იდეოლოგიური პრადიგმები, ხოლო ინდივიდუალური ინტერესები, მისწრაფებები, ბურჟუაზიულ და მავნე გადმონაშთებად ითვლებოდა.

მთლიანობაში, გარდა ზემოთ თქმულისა, საქართველოს პოლიტიკურ კულტურას დასავლურ დემოკრატიულ ლირებულებებს აშორებს პოლიტიკურ კულტურაში რადიკალური დაპირისპირება დემოკრატიის საბაზისო ლირებულებების ირგვლივ, ქართულ სახელმწიფოებრიობასთან არაიდენტიფიცირებული ეთნოპოლიტიკური კულტურები, რომ-

<sup>1</sup> ა. ტუკვაძე. პოლიტიკური ელიტა. თბ 1998 გვ 218.

ლებიც თანდათანობით იქნება დაძლეული სახელმწიფოებრიობის გან-  
მტკიცების, დასავლური რეკომენდაციების და განსაკუთრებით ასო-  
ცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული გარდაქმნების პრო-  
ცესში.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. ილია ჭავჭავაძე. თხზ. თბ; 1984.
2. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები. ნაწილი 1 თბ; 2008.
3. ა. ტუკვაძე. პოლიტიკური კულტურის ტიპები (შედარებითი ანალი-  
ზი) თბ; 2007.
4. ა. ტუკვაძე. პოლიტიკური ელიტა. თბ 1998.
5. თომას მაგრადგი. გავიგოთ პოლიტიკა. თბ 2010.
6. Филимонов Г. Ю. Внешняя культурная политика США как компонент  
«мягкой силы». М.2010.
7. Peter Reicher (Hg) Politische Kultur in Westeuropa. Campus Verlag Frank-  
furt. Ntw York. 1984.

**Avtandil Tukvadze**

Assistant Professor

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

### **Comparative analysis of USA, British and Georgian political cultures**

#### **Resume**

The specificities of the Socio-economic, state-political, national, geopolitcal, religious and historical developments of particular countries determine the peculiarities of their political culture.

As many types of political culture can be named as there are states and nations on the five continents of the world and many facts can be named in support of this statement, but the history of long cohabitation between different peoples, naturally gives birth to some common features between them, rendering the comparison of these diverse cultures, and thus the making of conclusions, plausible.

**ჯაბა უროტაძე**  
დოქტორანტი, თსუ

**პუმანიტარული ინტერვენცია:**  
**ადამიანის უფლებები VS სახელმწიფო სუვერენიტეტი**

საერთაშორისო პოლიტიკაში მიმდინარე მოვლენების ფონზე, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს პუმანიტარული ინტერვენციის საკითხი.

მსოფლიო საზოგადოებაში ხშირად იმართება მწვავე კამათი, თურამდენად მართებულია საერთაშორისო სამხედრო ინტერვენციის განხორციელება კონფლიქტის შესაჩერებლად.

ეს საკითხი აქტუალურია საქართველოსთვისაც, რადგან რუსეთმა 2008 წელს განხორციელებული აგრესია გაამართლა პუმანიტარული ინტერვენციის აუცილებლობის მოტივით. საერთაშორისო საზოგადოებაში აღიარებული პუმანიტარული ინტერვენციის კრიტერიუმების ცოდნა და ანალიზი, საშუალებას მოგვცემს უკეთ დავასაბუთოთ რუსეთის აგრესის სამართლებრივ და მორალურ ნორმებთან შეუსაბამობის ფაქტი.

მე-19 საუკუნესა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ცივილიზებული და არაცივილიზებული ქვეყნების მიმართ სუვერენიტეტის განსხვავებული ნორმები გამოიყენებოდა. ამ პერიოდში ადამიანის ფუნდამენტური უფლებები არ იყო აღიარებული, სამხედრო ინტერვენციების შეზღუდვები ძალზე უმნიშვნელო იყო, დაპყრობის უფლება აღიარებული იყო და ომი არ იყო აკრძალული. პუმანიტარული ინტერვენციების განხორციელების საკითხი დამოკიდებული იყო მსოფლიოს დომინანტი ძალების ინტერესებზე, რომლებზეც ფორმალური საერთაშორისო ინსტიტუტები და საერთაშორისო სამართლის ნორმები ნაკლებ ზეგავლენას ახდენდნენ<sup>1</sup>.

II მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ძალის გამოყენების უფლება საგრძნობლად შეიზღუდა და დავიდა ორ შემთხვევამდე, ესენია –

---

<sup>1</sup> Miles Kahler, “Legitimacy, humanitarian intervention, and international institutions”, politics, philosophy and economics, (2011) p. 24

თავდაცვის უფლება და გაეროს უშიშროების საბჭოს ნებართვა<sup>1</sup>. აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის ცივი ომის გამო, უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრთა შეთანხმება ძალის გამოყენებაზე თითქმის შეუძლებელი გახდა. 1940-1990-იან წლებში გაერომ მხოლოდ ორჯერ შეძლო გადაწყვეტილების მიღება, რომელიც მშვიდობის დარღვევის ფაქტს აფიქსირებდა. თუმცა ამ პერიოდში, ოთხმოცამდე სახელმწიფოთაშორისი ომი მიმდინარეობდა, შიდა კონფლიქტების ჩათვლით კი მათი რიცხვი სამასს აღწევდა<sup>2</sup>.

1990-იანი წლების დასაწყისიდან საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში ახალი ერა დადგა, საბჭოთა კავშირის დაშლას ცივი ომის დასრულება მოჰყვა და მსოფლიოში ერთადერთ დომინანტ ძალად აშში ქცა. ცალმხრივი ინტერვენცია აღარ ქმნიდა ზესახელმწიფოებს შორის კონფლიქტის დაწყების საფრთხეს<sup>3</sup>. რეზოლუციების რაოდენობა გაიზარდა წელიწადში საშუალოდ 15-დან (ცივი ომის დროს), თითქმის სამოცამდე (1990-იან წლებში). გაეროს უშიშროების საბჭო ძალის გამოყენების ნებას იძლეოდა არა მხოლოდ მშვიდობის დარღვევის შემთხვევებში, არამედ სამოქალაქო ომების და სახელმწიფო ხელისუფლების კოლაფსის დროსაც (სომალი 1992, ჰაიდი 1994)<sup>4</sup>. 1999 წელს ნატოს მიერ გაეროს უშიშროების საბჭოს ავტორიზაციის გარეშე კოსოვოში ინტერვენციამ, დამატებითი აქტუალობა შესძინა უშიშროების საბჭოს ნებართვის გარეშე ჰუმანიტარული ინტერვენციის ლეგალურობის საკითხზე დებატებს. ნატოს ბრალს სდებენ, რომ მათი მოქმედება იუგოსლავის წინააღმდეგ განპირობებული იყო ქვეყნის დასუსტების სურვილით, ვინაიდან ის არ იყო პროდასავლური ქვეყანა.

2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ აშშ-ს მეტი მოტივაცია მიეცა განეხორციელებინა ინტერვენციები (ავღანეთი 2001, ერაყი 2003) ტერორიზმთან ბრძოლის საბაბით, თუმცა ხელისუფლებაში დემოკრატების მოსვლის შემდეგ აშშ-ის ხისტი საგარეო პოლიტიკა შეიცვალა უფრო რბილი, ურთიერთთანამშრომლობაზე დაფუძნებული პოლიტიკით.

<sup>1</sup> იქვე.

<sup>2</sup> გ. სანიკიძე, ნ. კილურაძე, თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები, მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2001. <http://ucss.ge/publication/012%20Tanamedrove%20Saertashoriso%20Urtiertobebi.pdf> 83. 136.

<sup>3</sup> Miles Kahler, “Legitimacy, humanitarian intervention, and international institutions”, politics, philosophy and economics, (2011) p. 25.

<sup>4</sup> იქვე, p. 24.

ესაა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ მოხდა სამხედრო ინტერვენცია ლიბიაში 2011 წელს და რატომ დღემდე ლიად არ ერევა აშშ სირიის სამოქალაქო ომში. ლიბიის შემთხვევაში მოხდა შეთანხმება უშიშროების საბჭოს ხუთივე წევრს შორის, სირიაში ძალის გამოყენებაზე უშიშროების საბჭო თანხმობას არ აძლევს, იმიტომ, რომ რუსეთის სტრატეგიულ ინტერესებში შედის ჯერ კიდევ სსრკ-ის დროიდან, სირიაში მისი მოკავშირე მმართველი რეჟიმის შენარჩუნება. არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორია ის, რომ აშშ-ისა და მისი მოკავშირების მიერ ამ საუკუნეში განხორციელებული ინტერვენციების შედეგები საკმაოდ საკამათოა. დღეს ლიბია, ერაყი და ავღანეთი მსოფლიოში პოლიტიკურად ერთ-ერთი ყველაზე არასტაბილური ქვეყნებია და ინტერვენციის შემდეგ მოსული ხელისუფლებები წარუმატებლად ცდილობენ წესრიგის დამყარებას.

ამიტომ დასავლეთი არა დარწმუნებული, რომ სირიაში სამხედრო ინტერვენცია ქვეყნისთვის სასიკეთო იქნება. 2008 წელს რუსეთმა საქართველოში შეჭრა ჰუმანიტარული მიზეზებით გაამართლა, რუსეთის ოფიციალურმა პირებმა გაავრცელეს ინფორმაცია 2000 წლის მშვიდობიანი მოქალაქის მკვდრელობის შესახებ და დაარქვეს ამას გენოციდი. ევროპის კავშირის საბჭომ კი უარყო ქართველების მიერ ოსების გენოციდი და დაადასტურა ქართველების წინააღმდეგ განხორციელებული ეთნოწმენდის ფაქტები<sup>1</sup>. ინტერვენციის ნამდვილი მოტივების გასარკვევად მნიშვნელოვანია გავიხსენოთ, რომ აგვისტოს ომიდან რამდენიმე თვით ადრე დასავლეთის ქვეყნების უმრავლესობამ აღიარა კოსოვოს დამოუკიდებლობა. ვინაიდან სერბეთი რუსეთის ტრადიციულ მოკავშირედ ითვლება, რუსეთმა მიიჩნია, რომ მას მსოფლიო პოლიტიკაში სერიოზულ ძალად აღარავინ თვლიდა. მას პრესტიჟის აღსაფენად სჭირდებოდა ძლევამოსილი ომი, რაც მიიღეს კიდეც 2008 წლის აგვისტოში. რუსეთმა აგვისტოს ომში გამარჯვება ჩათვალა დიდ საერთაშორისო პოლიტიკაში დაბრუნებად.

ჰუმანიტარული ინტერვენციის საყოველთაოდ მიღებული სამართლებრივი ან პოლიტიკური განმარტება არ არსებობს. ქვემოთ მოყვანილია ჰუმანიტარული ინტერვენციის განმარტების რამდენიმე მაგალითი:

<sup>1</sup> independent international fact finding mission on the conflict in Georgia, report, (2009) pp. 18,28 [http://www.ceiig.ch/pdf/IFFMCG\\_Volume\\_I.pdf](http://www.ceiig.ch/pdf/IFFMCG_Volume_I.pdf)

1. ჰუმანიტარული ინტერვენცია არის სახელმწიფოს მიერ (ან სახელმწიფოთა ჯგუფის მიერ) სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენება, რომელიც მიმართულია ადამიანების (გარდა საკუთარი მოქალაქეებისა) ფუნდამენტური უფლებების ფართომასშტაბიანი და მძიმე დარღვევების პრევენციის ან შეწყვეტისკენ, იმ ქვეყნის ნებართვის გარეშე, რომლის წინააღმდეგაც გამოიყენება ძალა<sup>1</sup>;

2. ინტერვენციის თეორია, ეყრდნობა რა ჰუმანურობის პრინციპს, ცნობს სახელმწიფოს უფლებას განახორციელოს საერთაშორისო კონტროლი სხვა სახელმწიფოს იმ ქმედებებზე, რომლებიც მის შიდა სუვერენიტეტს ეხება, როცა ეს ქმედება ეწინააღმდეგება ჰუმანურობის ნორმებს<sup>2</sup>;

3. ჰუმანიტარული ინტერვენცია არის ძალის გამოყენება, ან მისი გამოყენების მუქარა სახელმწიფოს, ან სახელმწიფოთა ჯგუფის მიერ, უპირველეს ყოვლისა სამიზნე ქვეყნის მოსახლეობის დასაცავად, საერთაშორისოდ აღიარებული ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევებისგან<sup>3</sup>.

მიუხედავად განმარტებებში აზრთა სხვაობისა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გაეროს ნებართვის რიგ შემთხვევებში უგულებელყოფისა, არსებობს კონსენსუსი ჰუმანიტარული ინტერვენციის რამდენიმე საერთო მახასიათებელთან დაკავშირებით. ესენია:

1. ჰუმანიტარული ინტერვენცია არის სამხედრო ძალის გამოყენება იმ ქვეყნის წინააღმდეგ, რომელიც არ ახორციელებს აგრესიას სხვა ქვეყნის მიმართ;

2. ჰუმანიტარული ინტერვენცია მოტივირებული უნდა იყოს მხოლოდ ჰუმანიტარული მიზნებით და არა კერძო ინტერესებით<sup>4</sup>;

არსებობს აზრთა სხვადასხვაობა კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით:

<sup>1</sup> J.L. Holzgrefe, The humanitarian intervention debate, J.L. Holzgrefe, Robert O. Keohane, Humanitarian intervention: Ethical, Legal and Political Dilemmas, Cambridge university press, (2003) p.18.

<sup>2</sup> Anne Ryniker, The ICRC's position on humanitarian intervention, International review of the Red Cross, No482, (2001) p. 528.

<sup>3</sup> Sean D. Murphy, "Humanitarian intervention: the United Nations in an evolving world order p11-12 (1996), ნანახია (17.03.2013) R. Goodman, "Humanitarian intervention and pretexts for war", the american journal of international law, (2006) p. 107. <http://www.law.harvard.edu/faculty/rgoodman/pdfs/RGoodmanHumanitarianInterventionPretextsforWar.pdf>

<sup>4</sup> Alton Frye, Humanitarian Intervention: Crafting a Workable Doctrine, New York: Council on Foreign Relations, 2000.

- ა) შეიძლება თუ არა ინტერვენციას ეწოდოს ჰუმანიტარული, თუ  
ის ხორციელდება სამიზნე სახელმწიფოს ნებართვით;
- ბ) საკუთარი მოქალაქეების დაცვის მოტივით;
- გ) საერთაშორისო სამართლის რა კონკრეტული ნორმების დარ-  
ღვევისთვის შეიძლება განხორციელდეს ჰუმანიტარული ინტერვენცია:  
გენოციდისა და ეთნონმენტის, თუ სხვა ისეთ შემთხვევებში, როგორი-  
ცაა დემოკრატიის პრინციპების დანერგვა, სიტყვის თავისუფლება და  
სხვა;
- დ) უნდა ეწოდოს თუ არა ჰუმანიტარული ინტერვენცია მხოლოდ  
გაეროს უშიშროების საბჭოს ნებართვის გარეშე სამხედრო მოქმედე-  
ბას.

პასუხი ამ კითხვებზე შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს:

- ა) ჰუმანიტარული ინტერვენცია წინააღმდეგობაში მოდის სახელ-  
მწიფოს სუვერენიტეტის პრინციპთან და უპირატესობას ანიჭებს ადა-  
მიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვას. იმ შემთხვევაში, თუ სა-  
ხელმწიფო მისცა ნებართვა, რომ საკუთარ ტერიტორიაზე განხორ-  
ციელდეს სამხედრო ინტერვენცია, მაშინ ეს არ წარმოადგენს მისი სუ-  
ვერენიტეტის დარღვევას, თუმცა არის გამონაკლისი შემთხვევები.  
მაგ: 1860 წელს საფრანგეთმა შეიყვანა სამხედრო ძალები სირიაში ად-  
გილობრივი ქრისტიანების მასობრივი ხოცვის შეჩერების მოტივით,  
რაზედაც მიიღო თანხმობა ოსმალეთის ხელისუფლებისგან. თუმცა აშ-  
კარაა, რომ ეს ნებართვა იყო იძულებითი ნაბიჯი და ოსმალეთს არ  
შესწევდა ძალა წინააღმდეგობა გაეწია საფრანგეთის ჯარებისთვის;

- ბ) საკუთარი მოქალაქეების დაცვის მოტივით სხვა ქვეყნის წინა-  
აღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენება არ წარმოადგენს ჰუმანიტარუ-  
ლი ინტერვენციის ნაირსახეობას. არსებობს მოსაზრება, რომ ამგვარი  
ინტერვენციის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს თავდაცვის  
უფლება, სხვათა აზრით კი, ამ საკითხს არეგულირებენ საერთაშორი-  
სო ჩვეულებითი სამართლის ნორმები, რომლებიც განსხვავდებიან  
თავდაცვის უფლების პრინციპებისაგან<sup>1</sup>. ჰუმანიტარული ინტერვენ-  
ცია კლასიკური გაგებით უნდა განხორციელდეს, უპირველესად, უცხო  
ქვეყნის მოქალაქეების უფლებების უზეში დარღვევის შეჩერების მო-  
ტივით და არა საკუთარი ქვეყნის და მისი მოქალაქეების ინტერესები-  
დან გამომდინარე;

<sup>1</sup> T.D. Gill, Humanitarian Intervention: Legality, Justice and Legitimacy, The Global Yearbook of International Law & Jurisprudence Vol.2 2004 (2005) p51-74.

გ) ყველაზე გავრცელებული აზრია, რომ ჰუმანიტარული ინტერ-ვენცია უნდა ხორციელდებოდეს მხოლოდ ადამიანის უფლებათა მძი-მე, მასობრივი და სისტემატიური დარღვევების დროს. ასეთი დანაშაუ-ლია გენოციდი და ეთნიკური წმენდა. გენოციდის განმარტება მოყვა-ნილია გაეროს 1948 წლის კონვენციაში გენოციდის დანაშაულის თავი-დან აცილებისა და დასჯის შესახებ: „გენოციდი ნიშნავს ნებისმიერ ქვემოთ ჩამოთვლილ ქმედებას, რომელიც ჩადენილია ეროვნული, ეთ-ნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის მთლიანი ან ნაწილობრივი განადგურების მიზნით, როგორიცაა:

- ჯგუფის წევრთა მკვლელობა;
- ჯგუფის წევრთათვის სხეულის მძიმე დაზიანების ან ფსიქიკუ-რი მოშლილობის მიყენება;
- ჯგუფისათვის განზრას ისეთი პირობების შექმნა, რაც მიზნად ისახავს მის მთლიან ან ნაწილობრივ ფიზიკურ განადგურებას;
- ისეთი ზომების გატარება, რომელთა მიზანია ჯგუფის შიგნით შობადობის აღკვეთა;

- ერთი ჯგუფიდან მეორეში ბავშვების ძალადობით გადაცემა<sup>1</sup>.

ვინაიდან არ არის დანესებული ზუსტი კრიტერიუმები, რომლებიც განსაზღვრავენ, თუ რა მასშტაბს უნდა მიაღწიოს მკვლელობებმა, რომ მოვლენას გენოციდი ეწოდოს – ამ ფაქტს იყენებენ ჰუმანიტარული ინ-ტერვენციის მოწინააღმდეგები და აღნიშნავენ, რომ ეს საბაბს აძლევს ძლიერ სახელმწიფოებს გაამართლონ ძალისმიერი მეთოდები სხვა სუ-ვერენული სახელმწიფოების წინააღმდეგ და, ფაქტობრივად, ნებისმი-ერ კონფლიქტს დაარქვან გენოციდი. ასეთი გაურკვევლობის მაგალი-თია რუსეთის მიერ ოსების გენოციდის აღიარება 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს. თუმცა ევროპის კავშირის საბჭომ უარყო ქართველების მიერ ოსების გენოციდი და დაადასტურა ქართველების წინააღმდეგ განხორციელებული ეთნონმენდის ფაქტები. ზოგი მეცნი-ერი (ფ. ტესონი) მომხრეა ისეთ შემთხვევებზეც გავრცელდეს ჰუმანი-ტარული ინტერვენციის უფლება, როგორიცაა: შიმშილი, ეპიდემიები, დემოკრატიული ნორმების უგულებელყოფა: მაგალითად, გაეროს უშიშროების საბჭომ 1994 წელს გასცა ჰაიტიში ინტერვენციის ნებარ-

<sup>1</sup> გაეროს 1948 წლის კონვენცია გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ [https://matsne.gov.ge/index.php?option=com\\_ldmssearch&view=docView&id=1219170&lang=ge](https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1219170&lang=ge)

თვა სახელმწიფო გადატრიალების შედეგად განდევნილი, ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლების აღდგენის მოტივით, თუმცა ჰუმანიტარულ კატასტროფას იმ დროს ჰაიტიში ადგილი არ ჰქონდა.

ჯეფრი ბუთველის აზრით ჰუმანიტარული ინტერვენციების აუცი-  
ლებლობა შემთხვევებისუფრო ფართო წრეზე უნდა გავრცელდეს და  
მან გამოყო შემთხვევების ოთხი ჯგუფი:

- ადამიანის უფლებათა მასშტაბური და სისტემატიური დარ-  
ღვევები, მათ შორის გენოციდი;
- უმრავლესობის ნათლად გამოხატული ნების უგულებელყოფა,  
მაგ: დემოკრატიულად არჩეული მთავრობის დამხობა;
- არშემდგარი სახელმწიფოების აშკარა მაგალითები, როდესაც  
ცენტრალური ხელისუფლება არ ფუნქციონირებს და მშვიდობიანი მო-  
სახლეობა დაუცველია აჯანყებულთა, საველე მეთაურთა და კრიმინა-  
ლურ დაჯგუფებათა წინაშე;
- ძალის უკანონო და არაჰუმანური გამოყენება ნებისმიერი და-  
პირისპირებული მხარის მიერ სამოქალაქო ომის დროს, როდესაც ად-  
გილი აქვს ეთნიკურ ან/და რელიგიურ სეპარატიზმს<sup>1</sup>.

დ) თანამედროვე საერთაშორისო სამართალში ძალის გამოყენები-  
სათვის აუცილებელია გაეროს უშიშროების საბჭოს ნებართვა, გამო-  
ნაკლისს წარმოადგენს თავდაცვის უფლების განხორციელება. მკვლე-  
ვართა ნაწილის აზრით მხოლოდ უშიშროების საბჭოს ავტორიზების  
გარეშე ძალის გამოყენებას შეიძლება ეწოდოს ჰუმანიტარული ინტერ-  
ვენცია.<sup>2</sup> ჩვენი აზრით, მისი მთავარი მახასიათებელია სამხედრო ძა-  
ლის გამოყენება სხვა ქვეყნის წინააღმდეგ, ადამიანთა ტანჯვის თავი-  
დან აცილების მოტივით. უშიშროების საბჭოს ნებართვის არსებობის,  
ან არარსებობის ფაქტს ამ მოვლენის დეფინიციისთვის გადამწყვეტი  
მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს.

ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა მიმართება სახელმწიფო სუვერე-  
ნიტეტსა და ადამიანის უფლებებს შორის და იმის გარკვევა, თუ რო-  
დის ირდვევა სუვერენიტეტი ადამიანის უფლებების დაცვის მოტივით.  
ასევე უნდა გავარკვიოთ, რა ზომებია მიღებული გაეროს მიერ ამ დი-  
ლემის გადასაჭრელად.

<sup>1</sup> Jeffrey Boutwell, intervention, sovereignty and international security. report of pugwash study group meeting. 1999.

<sup>2</sup> T.D. Gill, Humanitarian Intervention: Legality, Justice and Legitimacy, The Global Yearbook of International Law & Jurisprudence Vol.2 2004 (2005) p51-74.

თანამედროვე საერთაშორისო სამართალს საფუძველი ჩაეყარა 1648 წლის ვესტფალიის ზავით, რომლითაც დასრულდა ოცდაათწლიანი ომი ევროპაში. ამ ზავით სახელმწიფოებმა აღიარეს სახელმწიფოს შიდა საქმეებში ჩაურევლობის, ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის და სახელმწიფოთა თანასწორობის პრინციპი. ეს პრინციპები განმტკიცდა 1945 წელს მიღებული გაეროს წესდებით, რომლის მეორე მუხლის პირველ პუნქტის მიხედვით: ორგანიზაცია ემყარება ყველა მისი წევრის სუვერენული თანასწორობის პრინციპს<sup>1</sup>.

2.7 მუხლის თანახმად, მოცემული წესდება სრულებითაც არ აძლევს უფლებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, ჩაერიოს ისეთ საქმეებში, რომლებიც არსებითად ნებისმიერი სახელმწიფოს შინაგან კომპეტენციას მიეკუთვნება და არ მოითხოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებისგან წარმოადგინონ ასეთი საკითხები ამ წესდების მიხედვით განსახილველად.

სახელმწიფო სუვერენიტეტი გულისხმობს ორ ასპექტს: შიდასახელმწიფოებრივს და საერთაშორისოსამართლებრივს. შიდასახელმწიფოებრივი ასპექტი გულისხმობს ხელისუფლების უზენაესობას სახელმწიფოს ტერიტორიაზე და ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა დაქვემდებარებულობას ამ ხელისუფლებისადმი. საერთაშორისოსამართლებრივი გულისხმობს სახელმწიფო ხელისუფლების დაუქვემდებარებლობას სხვა ხელისუფლებისადმი<sup>2</sup>. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის მიზნით ჰუმანიტარული ინტერვენციის განხორციელების მომხრეთა მთავარი წინაღობა სწორედ სუვერენიტეტისა და ქვეყნის შიდა საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებია.

ინტერვენციისა და სახელმწიფო სუვერენიტეტის საერთაშორისო კომისიის ანგარიშში აღნიშნულია, რომ: „სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვა, თუნდაც მისი ყველაზე თავგამოდებული მომხრეებისთვის, არ ნიშნავს სახელმწიფოს შეუზღუდავ ძალაუფლებას, გააკეთოს ის, რაც მოესურვება საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ... სუვერენიტეტი ორმაგ პასუხისმგებლობას მოიცავს: საერთაშორისო არენაზე სხვა სა-

<sup>1</sup> C. Abbot, Rights and responsibilities resolving the dilemma of humanitarian intervention, Oxford research group, (2005), p. 1.

<sup>2</sup> რუხაძე ნ., ჰუმანიტარული ინტერვენცია თანამედროვე საერთაშორისო სამრთალში, საერთაშორისო სამართლის ურნალი, 1, 2009, გვ. 46, [http://library.law.tsu.ge/files/Publications/Journal%20International%20Law\\_N1\\_2009.pdf](http://library.law.tsu.ge/files/Publications/Journal%20International%20Law_N1_2009.pdf)

ხელმწიფოების სუვერენიტეტის პატივისცემას და ქვეყნის შიგნით  
მცხოვრებთა ღირსების და ფუნდამენტური უფლებების დაცვას<sup>1</sup>.

გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანამა 1999 წლის სექტემ-  
ბერში გააკეთა განცხადება ჰუმანიტარულ ინტერვენციასა და სუვე-  
რენიტეტის პრინციპს შორის წინააღმდეგობაზე: „კრიმინალური ქმე-  
დებების განმახორციელებელმა სახელმწიფოებმა უნდა იცოდნენ, რომ  
საზღვრები არ წარმოადგენენ დაცვის აბსოლუტურ საშუალებას...  
ადამიანის უფლებების მასობრივი და სისტემატიური დარღვევები –  
სადაც არ უნდა განხორციელდეს ისინი – არ უნდა იქნეს რეაგირების  
გარეშე დატოვებული“<sup>2</sup>.

კანადის მთავრობის მიერ 2000 წლის სექტემბერში დაარსებულმა  
„ინტერვენციისა და სახელმწიფო სუვერენიტეტის საერთაშორისო კო-  
მისიამ“ მოამზადა ანგარიში – „პასუხისმგებლობა დაცვაზე“, ანუ  
"Responsibility to Protect" (R2P), რომელშიც მოითხოვა სახელმწიფო სუ-  
ვერენიტეტის იდეის გადახედვა და, ნაცვლად ტერმინისა „სუვერენი-  
ტეტი, როგორც კონტროლი“, „სუვერენიტეტი, როგორც პასუხისმგებ-  
ლობა“ შემოღება, რომლის მიხედვითაც სუვერენული სახელმწიფოს-  
თვის მინიჭებული უფლებები, პასუხისმგებლობებით ბალანსდება. ან-  
გარიშის მიზანია არა ჩაურევლობის ნორმის გაუქმება, არამედ მისი  
სრულყოფა. როდესაც მშვიდობიანი მოსახლეობა იტანჯება ადამიანის  
უფლებების მნიშვნელოვანი დარღვევებისგან და სახელმწიფოს არ  
აქვს ძალა ან სურვილი თავიდან აიცილოს ეს დარღვევები, ჩაურევლო-  
ბის პრინციპზე მაღლა, ამ მოქალაქეთა დაცვის პასუხისმგებლობა უნ-  
და დადგეს<sup>3</sup>.

ჰუმანიტარული ინტერვენციის ამ კონცეფციის მიხედვით, ნების-  
მიერი სამხედრო ინტერვენცია უნდა პასუხობდეს ექვს კრიტერიუმს,  
რათა ძალის გამოყენება იყოს გამართლებული:

1. სამართლიანი მიზეზი (Just Cause) – უნდა დადგინდეს, არის თუ  
არა დანაშაული, იმდენად მძიმე, რომ დასაშვებია ჩაურევლობის პრინ-  
ციპის დარღვევა. ასეთი შემთხვევებია:

<sup>1</sup> International Commission On Intervention And State Sovereignty, "The responsibility to protect", International development research center, (2001) p. 8 <http://responsibilitytoprotect.org/ICISS%20Report.pdf>

<sup>2</sup> T. Weiss, "The politics of Humanitarian ideas", security dialogue, 2000.

<sup>3</sup> C. Abbot, Rights and responsibilities resolving the dilemma of humanitarian intervention, Oxford research group, (2005), p. 8.

- ადამიანთა სიკვდილის დიდი მასშტაბები, განხორციელებული გენოციდის მიზნით ან მის გარეშე, რომლის მიზეზია სახელმწიფოს მიზანმიმართული ქმედებები ან გულგრილობა ან მოქმედების უუნარობა ან არშემდგარი სახელმწიფოს სიტუაცია ან
  - ფართომასშტაბიანი ეთნიკური წმენდა... რომელიც ხორციელ-დება მკვლელობების, ძალით გასახლების, ტერორის ან გაუპატიურე-ბების გზით<sup>1</sup>.
2. სწორი განზრახვა – ინტერვენციის უპირველესი მიზანი უნდა იყოს ადამიანთა ტანჯვის თავიდან აცილება<sup>2</sup>;
  3. უკიდურესი ზომა – სამხედრო ინტერვენციის განხორციელე-ბამდე, კრიზისის დაძლევის ყველა სხვა საშუალების გამოყენების შე-საძლებლობა უნდა იქნეს ამოწურული;
  4. ლეგიტიმურობა – ინტერვენცია აუცილებლად უნდა იყოს სან-ქციორებული გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ;
  5. პროპორციული ზომები – პუმანიტარული მიზნების მისაღწე-ვად დეგმილი სამხედრო ინტერვენციის მასშტაბი, ხანგრძლივობა და ინტენსივობა უნდა იყოს შეძლებისდაგვარად მინიმალური<sup>3</sup>;
  6. წარმატების პერსპექტივა – უნდა არსებობდეს წარმატების გონივრული შანსი, ქმედების შედეგი არ უნდა იყოს უმოქმედობის შე-დეგზე უარესი<sup>4</sup>.

აღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, 2005 წელს გა-მართულ გაეროს მსოფლიო სამიტზე მიღებულ იქნა „პასუხისმგებლო-ბა დაცვაზე“ კონცეფციის პრინციპები, ხოლო 2006 წელს უშიშროების საბჭოს რეზოლუციით (1674) კიდევ ერთხელ დადასტურდა მხარდაჭე-რა ამ კონცეფციის მიმართ.

საერთაშორისო სამართალში ყველაზე მნიშვნელოვანი საერთაშო-რისო ხელშეკრულება, რომელიც ძალის გამოყენების საკითხებს არე-გულირებს არის გაეროს წესდება. ამ დოკუმენტის 2.4 მუხლის მიხედ-ვით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრი თავს იკა-ვებს ძალის, მუქარის ან მისი გამოყენებისაგან, როგორც წებისმიერი

<sup>1</sup> International Commission On Intervention And State Sovereignty, “The responsibility to protect”, International development research center, (2001) p. 48. responsibilitytoprotect.org/iciss%20report.pdf

<sup>2</sup> იქვე pXII.

<sup>3</sup> იქვე pXII.

<sup>4</sup> C. Abbot, Rights and responsibilities resolving the dilemma of humanitarian intervention, Oxford research group, (2005), p9.

სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ასევე, გაეროს მიზნებთან შეუთავსებელი რაიმე სხვა სახით. წესდების მე-7 თავის თანახმად, ძალის გამოყენება შესაძლებელია თავდაცვის მიზნით ან უშიშროების საბჭოს ნებართვით, თუ საფრთხე ემუქრება საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას. უშიშროების საბჭოს ნებართვისთვის აუცილებელია ხუთივე მუდმივი წევრის (აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, რუსეთი, ჩინეთი) თანხმობა. ამ დებულებებიდან გამომდინარე ცალსახაა, რომ აკრძალულია სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ ჰუმანიტარული ინტერვენციის ცალმხრივად, ანუ უშიშროების საბჭოს ნებართვის გარეშე განხორციელება.

არსებობს მოსაზრება, რომ ჰუმანიტარული ინტერვენცია კანონიერია, რადგან იგი არ არღვევს გაეროს წესდების 2.4 მუხლს და არ არის მიმართული „სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ“, არამედ იგი გამიზნულია მხოლოდ ჰუმანიტარული კატასტროფის თავიდან ასაცილებლად. ამგვარი გამართლება მოუძებნა ბელგიის მთავრობამ კოსოვოში ინტერვენციას, თუმცა ამ არგუმენტის წინააღმდეგ მეტყველებს გაეროს საერთაშორისო სასამართლოს 1949 წლის გადაწყვეტილება კორფუს სრუტესთან დაკავშირებით, როდესაც დიდმა ბრიტანეთმა განახორციელა ნაღმებისგან სრუტის განმენდის ოპერაცია ალბანეთის ტერიტორიულ წყლებში, რამაც ალბანეთის პროტესტი გამოიწვია. ბრიტანელები ამტკიცებდნენ, რომ მხოლოდ მათ შეეძლოთ ამ პრობლემის მოგვარება და მათი ქმედებები „არ უქმნიდნენ საფრთხეს ალბანეთის ტერიტორიულ მთლიანობას და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას“<sup>1</sup>.

საქმე განიხილა საერთაშორისო სასამართლომ, რომელმაც არ გაითვალისწინა დიდი ბრიტანეთის არგუმენტაცია:

„სასამართლო ვერ გაითვალისწინებს დაცვის ამგვარ პოზიციას. სასამართლო თვლის, რომ ე.წ. ინტერვენციის უფლება წარმოადგენს ძალისმიერი პოლიტიკის მანიფესტაციას, რომელიც წარსულში გამხდარა ყველაზე მძიმე სამართალდარღვევების მიზეზი და რომელსაც, მიუხედავად საერთაშორისო ორგანიზაციაში არსებული ხარვეზებისა, არ უნდა ჰქონდეს ადგილი საერთაშორისო სამართალში. ინტერვენცია... ბუნებრივია განხორციელდება მხოლოდ ყველაზე ძლევამოსილი ქვეყნებისათვის“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> D.W. Bowett, “Self-defence in international law”, The lawbook exchange Ltd., (2009) p. 151.

ბის მიერ, რაც ადვილად გამოიწვევს საერთაშორისო სამართლის ად-  
მინისტრირების დამახინჯებას”<sup>1</sup>.

როგორც განხილვებიდან ჩანს, მრავალი მეცნიერი და ორგანიზა-  
ცია ცდილობს მკაფიოდ იქნეს ჩამოყალიბებული და სამართლებრივად  
დარეგულირებული ჰუმანიტარული ინტერვენციის ცნება, გადაწყვე-  
ტილების მიღების მექანიზმები, კრიტერიუმები, რომელსიც გათვა-  
ლისწინებული იქნება დარღვევების სიმძიმის, ძალის გამოყენების და  
პასუხის პროპორციულობის ხარისხი.

ეს მეტად სათუთი თემებია და საჭიროა სამართლისა და მორალის  
ზღვარზე სიარული, რომ არ იქნეს გამოყენებული უკიდურესი ზომები,  
სადაც ძნელი იქნება საზღვრის გავლება სახელმწიფო სუვერენიტეტსა  
და ადამიანის უფლებების დაცვას შორის.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. რუხაძე ნ., ჰუმანიტარული ინტერვენცია თანამედროვე საერთა-  
შორისო სამართალში, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი,  
[http://library.law.tsu.ge/files/Publications/Journal%20International%20Law\\_N1\\_2009.pdf](http://library.law.tsu.ge/files/Publications/Journal%20International%20Law_N1_2009.pdf)
2. გ. სანიკიძე, ნ. კილურაძე, თანამედროვე საერთაშორისო ურთიერ-  
თობები, მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია, გამომცემლობა  
„მერიდიანი“, 2001 <http://ucss.ge/publication/012%20Tanamedrove%20Saertashoriso%20Urtiertobebi.pdf>
3. გაეროს 1948 წლის კონვენცია გენოციდის დანაშაულის თავიდან  
აცილებისა და დასჯის შესახებ [https://matsne.gov.ge/index.php?option=com\\_ldmssearch&view=docView&id=1219170&lang=ge](https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1219170&lang=ge)
4. J.L. Holzgrefe, Robert O. Keohane, Humanitarian intervention: Ethical, Legal and Political Dilemmas, Cambridge university press, (2003).
5. Independent international fact finding mission on the conflict in Georgia, report, (2009).
6. D.W. Bowett, “Self-defense in international law”, The Lawbook Exchange Ltd., (2009).

---

<sup>1</sup> ICIJ, The corfu channel case, (merits), (1949), p. 35 <http://www.icj-cij.org/docket/files/1/1645.pdf>

7. ICJ, The Corfu channel case, (merits), (1949) <http://www.icj-cij.org/docket/files/1/1645.pdf>
8. "Humanitarian Intervention, legal and political aspects", Danish institute of international affairs, (1999) [http://subweb.diis.dk/graphics/Publications-/Andet/Humanitarian\\_Intervention\\_1999.pdf](http://subweb.diis.dk/graphics/Publications-/Andet/Humanitarian_Intervention_1999.pdf)
9. Anne RYNIKER, The ICRC's position on humanitarian intervention, International review of the Red Cross, No482, (2001).
10. T.D. Gill, Humanitarian Intervention: Legality, Justice and Legitimacy, The Global Yearbook of International Law & Jurisprudence Vol.2 2004 (2005) p.51-74.
11. Alton Frye, Humanitarian Intervention: Crafting a Workable Doctrine, New York: Council on Foreign Relations, 2000.
12. R. Goodman, "Humanitarian intervention and pretexts for war", the american journal of international law, (2006) <http://www.law.harvard.edu/faculty/rgoodman/pdfs/RGoodmanHumanitarianInterventionPretextsforWar.pdf>
13. Jeffrey Boutwell, intervention, sovereignty and international security. report of pugwash study group meeting. 1999.
14. T. Weiss, "The politics of Humanitarian ideas", security dialogue, 2000.
15. C. Abbot, Rights and responsibilities resolving the dilemma of humanitarian intervention, Oxford research group, (2005).
16. International Commission On Intervention And State Sovereignty, "The responsibility to protect", International development research center, (2001) <http://responsibilitytoprotect.org/ICISS%20Report.pdf>
17. Miles Kahler, "Legitimacy, humanitarian intervention, and international institutions", politics, philosophy and economics, (2011).
18. Terry Nardin, "The moral basis of Humanitarian Intervention", Center for Global Peace and Conflict Studies, University of California, 2000.
19. Mark S. Stein, Unauthorized humanitarian intervention, Social Philosophy & Policy Foundation, 2004.

**Jaba Urotadze**

PhD Student

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**"Issues of Humanitarian Intervention Definition"**

**Resume**

Among the current events in international politics, humanitarian intervention is receiving special attention. The arguments about the necessity of international armed intervention aimed at stopping gross and systematic violations of human rights are taking place quite often in the world society.

This issue is also important for Georgia, as Russia justified its aggression in 2008 on the basis that there was necessity of humanitarian intervention. Knowledge and analysis of internationally recognized criteria for humanitarian intervention will enable us to prove the irrelevance of Russia's aggression with international legal and ethical norms.

In this work we consider the issues of definition of humanitarian intervention and its place in international law. We will also examine the conflict between state sovereignty and human rights, and in the circumstances of the prevalence of basic human rights over the principles of state sovereignty.

Many scientists and organizations are trying to define the following issues: the exact criteria of humanitarian intervention, proportionate use of force, mechanisms of decision making (who and when should intervene) etc.

The issue is highly sensitive, and it is necessary not to cross the line of justice and morality, and abstain from the extensive use of force when it becomes hard to draw the clear line between state sovereignty and human rights.

**ეკატერინე ფირცხალავა**  
ასისტენტ პროფესორი, თსუ

**გადაადგილების გავლენა ქორწინების პროცესზე  
მუსულიმ მესხებს შორის ამერიკის შეერთებულ შტატებში**

**შესავალი**

მიგრაცია არ არის ახალი ფენომენი, – ადამიანები მუდმივად გა-  
დაადგილდებიან სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა მოტივით. გადა-  
ადგილებები განსხვავებული მიზეზებით ხდება, ზოგჯერ ეს გამოწვე-  
ულია სხვა ქვეყანაში ცხოვრების ძლიერი სურვილით, ზოგჯერ ეკონო-  
მიკური, პოლიტიკური გარემო და პირობები ქმნის გადაადგილების  
აუცილებლობას. (Oudenhoven 2006). ახალ ქვეყანაში ადამიანებს უხ-  
დებათ ახალ გარემოსთან შეგუება, ადაპატაცია და ზოგჯერ ასიმილი-  
აციაც.

მუსლიმი მესხები უნიკალური ჯგუფია, რომელთაც ბევრჯერ გა-  
მოსცადეს გადადგილების სიძნელეები თავის თავზე. 1944 წელს, სტა-  
ლინის ბრძანებით, როგორც „არასანდო ადამიანები“ დეპორტირებუ-  
ლები იყვნენ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან უზბეკეთში, ყირ-  
გიზეთსა და ყაზახეთში. მათ შესახებ არსებული მონაცემების მიხედ-  
ვით, მათი გადაადგილება სხვადასხვა დროს სხვადასხვა მიზეზით მოხ-  
და. ზოგჯერ ისინი მსგავსი რელიგიის პირობებში ცხოვრობდნენ. მაგა-  
ლითად; უზბეკეთში დეპორტაციის შემდეგ, 1944 წლიდან 1989 წლამდე  
უზბეკ მუსლიმებთან ერთად, შემდეგ ენაც და რელიგიაც განსხვავდე-  
ბოდა, რუსეთის ფედერაციაში კი მართლმადიდებელ ქრისტიან რუ-  
სებთან ერთად 1989 წლიდან 2005 წლამდე. არსებული გამოკვლევების  
მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მაჰმადიანი მესხები გარემოს ეგუებოდ-  
ნენ, მაგრამ მათი ასიმილაცია არცერთ ქვეყანაში არ მომხდარა.  
(Trier&. Khanzhin 2007).

ჩემი მოლოდინით ინდივიდუალისტური კულტურული გარემო, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებშია, აუცილებლად აისახება მუსლიმი მესხების ცხოვრებაზე. ამ ნაშრომის მიზანია ვაჩვენო, თუ როგორი გავლენა იქონია ამერიკაში გადასახლებამ მუსლიმი მესხების ოჯახებზე, რა შეიცვალა მათ ოჯახურ ურთიერთობებში და აისახა თუ არა ახალ გარემოში ცხოვრება მათი ოჯახის შექმნის გადაწყვეტილების მიღების პროცესზე.

### თეორიული მიმოხილვა

კვლევები ოჯახთან ერთად იმიგრაციის შესახებ ბევრი არ არის.

ოჯახი ერთი მთლიანი ორგანიზმია. ეს არის სისტემა, რომლის შემადგენელ ყველა ნაწილზე ნებისმიერი ზემოქმედება აისახება მთელი ოჯახის ცხოვრებაზე, ისევე როგორც პირიქით (Minuchin, 1974).

მუსლიმი მესხების საზოგადოება არის ტრადიციული და დახურული საზოგადოება, რომელშიც ინდივიდების ქცევა განსაზღვრულია ამ საზოგადოებისთვის ისტორიულად მოცემული მოდელებით. მისთვის დამახასიათებელია სტაბილური სოციალური ქცევის წესები, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა. ასეთ საზოგადოებაში ცვლილება ნელა მიმდინარეობს, ხოლო თვით საზოგადოებისათვის დამახასიათებელია მექანიკური სოლიდარობა.

არსებული კვლევების საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ მუსლიმ მესხებს ნაწილი ტრადიციები და წეს-ჩვეულებები შემორჩენილი აქვთ ყველა ქვეყანაში, სადაც მათ მოუნიათ ცხოვრება (Trier, T. 2007).

მუსლიმი მესხების ოჯახში ტრადიციული მამაკაცური და ქალური როლები განსაზღვრულია გენდერული ნიშნის მიხედვით. ეს კოლექტივისტური კულტურის წამომადგენლობით და მათი რელიგიით არის განპირობებული. მათთვის დამახასიათებლია გაფართოებულ ოჯახებად ცხოვრებაც, ოჯახების შექმნისას პროგრამა, მშობლების მნიშვნელოვანი როლი ოჯახის შექმნის პროცესში. ძირითადად, მონოგამიური ოჯახები აქვთ, ასევე უნდა აღინიშნოს გენდერული სეგრეგაცია განათლებაში.

კვლევის პროცესში ველოდი, რომ მუსლიმი მესხების ამერიკაში ცხოვრების მცირე პერიოდის მიუხედავად 2005 წლიდან 2014 წლამდე, ახალი საცხოვრებელი გარემო გავლენას იქონიებდა ოჯახურ სისტემაზე, ახალ ფორმას მისცემდა ოჯახურ ურთიერთობებს, კერძოდ,

იმის გამო რომ ქალები უფრო მეტად აქტიურები არიან ოჯახის გარეთ ამერიკის შეერთებული შტატებში, ეს აისახებოდა მუსლიმი მესხების ოჯახში გენდერული ფუნქციების განაწილებაზე და ასევე ოჯახში გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათ მონაწილეობაზე.

კვლევები, რომელიც ლტოლვილების ოჯახებში გადაადგილების ეფექტს სწავლობდნენ, უჩვენებენ, რომ გადადგილების შემდეგ ოჯახების სტრუქტურა იცვლება, ეს გამოიხატება სხვადასხვა ასპექტში, კერძოდ, მასპინძელი გარემო გავლენას ახდენს და ცვლის ოჯახურ მოდელებს (Glick & Van Hook, 2002; Gratton et al 2007). ახალ გარემოში საოჯახო საქმეების მოდელები და გენდერული როლების ცვლილება ხდება (Coben & Deng, 1998), რესურს თეორიის მიხედვით, ოჯახში ძალაუფლების სტურქტურა შესაძლებელია შეიცვალოს ქალთა მიერ მიღებული განათლების გავლენით (Blood & Wolfe, 1960). ფემინისტურ კვლევებში ასახულია, რომ ახალი გარემო ცვლის დევნილების იდენტობას, გენდერს და კულტურას იმიგრანტთა ოჯახებში (Camino & Krufeld (ads) 1994). ამერიკის შეერთებული შტატების კონტექსტში კი ოჯახში ქალების პოზიციები იცვლება, რადგან ეკონომიკური ძალაუფლება ცვლის ოჯახურ ურთიერთობებს (Lim 1997; Ferree 1979; Glenn 1987; Kibria, 1990, 1994).

გენდერული როლები მუსლიმი მესხების საზოგადოებაში ფიქსირებულია ისე, როგორც ეს კონსერვატორულ საზოგადოებაშია მიღებული. ჩვეულებრივ, ყველაზე უფროსი ასაკის მესხი მამაკაცი არის ოჯახის უფროსი (თავი), ქალები ვალდებული არიან დაემორჩილონ მამას, ძმას, ქმარს. ბევრ მესხურ ოჯახში დღემდე განაწილებულია მამაკაცური და ქალური სამუშაოები. მაჲმადიანი მესხების ოჯახში, როგორც წესი, ვაჟი უფრო თავისუფალია, ვიდრე გოგონა. მათ ოჯახებში გოგონები შედარებით ადრე თხოვდებიან, ვიდრე ბიჭები ირთავენ ცოლს. მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ ვაჟები ძალიან მკაცრი დისციპლინის ქვეშ იმყოფებიან, ისინიც ემორჩილებიან უფროსებს გაკვეულ საკითხებში, ეს განაკუთრებით ოჯახის შექმნას შეეხება.

ოჯახის გავლენისა და ასევე გენდერული სეგრეგაციის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ დაოჯახების გადაწყვეტილების მიღება მუსლიმი მესხების ოჯახში. როცა ოჯახში წყდება შვილების დაქორწინების საკითხი, ახალგაზრდები ვალდებულები არიან დაემორჩილონ

მშობლების ნებას „მშობლებმა უკეთ იციან“ პრინციპით. უნდა აღი-  
ნიშნოს, რომ ქორწინებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მუსლიმი  
მესხების ცხოვრებაში, ეს არის მნიშვნელოვანი არა მხოლოდ იმ ოჯა-  
ხისთვის, ვისაც ქორწილი აქვს, არამედ სხვა პოტენციური ოჯახების-  
თვისაც, რადგან ქალ-ვაჟის შერჩევა, კვლევაში მონაწილეების აზრით,  
სწორედ ქორწილებში ხდება.

ქორწინებას რაც შეეხება, როგორც უკვე აღვნიშნე, ჰომოგამიუ-  
რობით ხასიათდება. ძალიან იშვიათია შერეული ქორწინებები. როცა  
ცოლი მოჰყავთ, ქალი აუცილებლად მესხი უნდა იყოს, იშვითად შე-  
საძლებელია არა მესხიც, თუ ის მიიღებს ქმრის კულტურას და ჩვეუ-  
ლებებს. ხოლო ქალის გათხოვება შესაძლებელია საერთო რელიგიის  
და წეს-ჩვეულების გამო მოხდეს. ქორწინება მესხებს შორის ითვლება  
მესხების შემაკავშირებლად და, ასევე, ხელს უწყობს ქალისა და მამა-  
კაცის როლების შენარჩუნებას ოჯახსა და საზოგადოებაში.

### საკითხის დასმა

ამ ჯგუფის ისტორიის მანძილზე სხვადასხვა პირობებში გამოწ-  
რობილი ოჯახური ღირებულებები, გენდერული როლები აქამდე არ-  
სებული კვლევების მიხედვით მეტ-ნაკლებად შენარჩუნებული იქნა  
(Trier, T. 2007), ჩემი კვლევის მიზანი იყო გამომეკვლია ამერიკის შერ-  
თებულ შტატებში გადმოსვლის შედეგად მიმდინარე ცვლილებები.

იმიგრანტი და ლტოლვილი ოჯახების კვლევის არსებული კვლევე-  
ბის თანახმად, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ მიუხედავად ისეთი  
ტრადიციული, დახურული და პატრიარქალური საზოგადოებისა, რო-  
გორიც მუსლიმი მესხების საზოგადოებაა, ახალმა, სრულიად განსხვა-  
ვებულმა სოციო-ეკონომიკურმა და კულტურულმა გარემომ შეიძლება  
გავლენა იქნიოს მათ ტრადიციებზე. ეს გავლენა აისახება ცხოვრების  
სხვადასხვა სფეროზე, ნაშრომი ფოკუსირებულია ახალი გარემოს გავ-  
ლენის შესწავლაზე მუსლიმი მესხების ოჯახურ ურთიერთობებზე,  
კერძოდ, ოჯახის შექმნის პროცესზე.

### მეთოდოლოგია

კვლევის პროცესში ვიხელმძღვანელე იმიგრაციის მკვლევარების  
რჩევით (Kim at al. 2001), რომლებიც თვლიან, რომ იმიგრაციის პროცე-

სის შესწავლისას უფრო სიღრმისეული პრობლემების გაანალიზების-  
თვის უკეთესია თვისობრივი მეთოდების გამოყენება.

ჩემ მიერ ჩატარებული კვლევა არის თვისობრივი, რომელიც მოი-  
ცავდა: სიღრმისეულ ინტერვიუებს, ჯგუფურ შეხვედრებს, არაფორმა-  
ლურ საუბრებს კვლევის მონაწილეებთან და, ნაწილობრივ, დაკვირვე-  
ბის შედეგებს.

თვისობრივ კვლევაში მონაწილეობა მიიღეს პენსილვანიის და  
ილინოისის შტატებში მცხოვრებმა მუსლიმმა მესხებმა. გამოკითხვა  
ჩატარდა 2 ეტაპად, 2012 წლის მარტსა და აპრილში პენსილვანიაში და  
2014 წლის თებერვალში ილინოისის შტატში.

სულ ჩატარდა 30 სიღრმისეული ინტერვიუ მაჲმადიან მესხებ-  
თან, რომლებიც ცხოვრობენ ამერიკის შეერთებულ შტატებში 2005  
წლიდან.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო როგორც ახალგზარდა თაობამ,  
ისე საშუალოდ უფროსი თაობის წარმომადგენლებმა. ასაკი მერყეობ-  
და 17-დან 65 წლამდე.

**სიღრმისეულ ინტერვიუებში მონაწილეთა სქესი,  
განათლება და ოჯახური მდგომარეობა**

სქესი	N	ასაკი			განათლება			ქორწინება	
		20-29	30-45	46-62	ს.კ.	ტექ.	უნ.	დაქ.	დაუქ.
ქალი	14	5	7	2	9	3		11	3
მამაკაცი	16	4	2	10	10	3	3	13	3
სულ	30	9	9	12	19	6	3	24	6

შერჩევისთვის გამოყენებული იყო მეთოდი „თოვლის გუნდა“. ად-  
გილობრივი თემის არაფორმალური ხელმძღვანელები მეხმარებოდნენ  
მონაწილეებთან დაკავშირებაში, გამოკითხვები ჩატარდა მათ სახლებ-  
ში, ხოლო ჯგუფური შეხვედრები ილინოისის შტატში – „აპიცხა თურ-  
ქთა“ – კულტურულ ცენტრში.

ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები ჩატარდა რუსულ  
ენაზე. ტრასნკრიპტები გაკეთდა რუსულად ნიუჯერსის უნივერსი-  
ტეტში და ილინოისის უნივერსიტეტში ჩემ მიერ. კვლევის პროცესი  
მიმდინარეობდა კვლევის ეთიკის დაცვის გათვალისწინებით. კვლევამ  
გაიარა ინსტიტუციური განხილვის საბჭო (IRB).

გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემების მიხედვით გამოი-  
ყო 2 ძირითადი თემა და შესაბამისი ქვეთემები.

ძირითადი თემები: ოჯახური ურთიერთობები, გენდერული როლები.

პირველ კატეგორიაში გამოიყო შემდეგი ქვეთემები: ოჯახების განსახლების ტიპები, ურთიერთობები თაობებს შორის, ფინანსების განაწილება ოჯახში; გადაწყვეტილების მიღება ოჯახში - ქორწინება.

მეორე კატეგორიაში: ქალის ფუნქცია, ოჯახური საქმიანობების განაწილება, სამუშაო, განათლება, ოჯახის უფროსი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში,

არსებული მასალების ანალიზის საფუძველზე შემიძლია გაგიზიაროთ ძირითადი მიგნებები. სტატიაში განხილული იქნება ამ კვლევის ერთი ნაწილი, კერძოდ, ცვლილებები მუსლიმი მესხების ოჯახში ქორწინების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში

### **ძირითადი მიგნებები: როგორ იქმნებოდა მუსლიმი მესხების ოჯახი წარსულში**

ოჯახი მნიშვნელოვანი ინსიტუტია მუსლიმი მესხებისთვის. როცა მუსლიმი მესხების ოჯახში გადაწყვეტენ, რომ ვაჟი დასაქორწინებელია ან ქალიშვილი უნდა გათხოვდეს, იწყება შესაბამისი ოჯახის „პარტიის ძებნა“ ან იციან ოჯახი, რომელიც მათი ოჯახის შესაფერისია სოციალურად, წარმოშობით და ეკონომიკურად. ამის შემდეგ იწყება მოლაპარაკება მათ დანათესავებაზე. ამ პროცესში აქტიურ მონაწილეობას იღებენ ოჯახის მიერ შერჩეული ნათესავები. ორივე ოჯახი მუსლიმი მესხი უნდა იყოს, ქორწინება სხვა ეროვნების ან კულტურის წარმომადგენლებზე იშვიათია.

როგორც კვლევის ახალგზარდა და საშუალო ასაკის მონაწილეები ყვებიან, ძველ პერიოდში, მათი მშობლების ახალგაზრდობაში, იყო შემთხვევები როცა ორივე ოჯახი თვითონ, შვილების დაუკითხავად აკეთებდა არჩევანს და გადაწყვეტილებასაც იღებდა. ქალ-ვაჟი საერთოდ არ იყო ამ პროცესში ჩართული, – ისინი ქორწილის დღეს ხვდებოდნენ ერთმანეთს და თანახმა იყვნენ მშობლების არჩევანზე. არც ვაჟი და არც ქალი არ ამბობდა უარს მშობლების გადაწყვეტილებაზე. ძალიან ცოტა მუსლიმი მესხი აპროტესტებდა ასეთ გადაწყვეტილებას. დაუწერელი კანონი, რომ მშობლები შვილებისთვის ცუდს არ გააკეთებენ მოქმედებდა და დღესაც ძალაშია.

„მშობლებმა უკეთესად იციან, რა არის ჩვენთვის კარგი.“ – 27  
წლის ვაჟი.

უფრო მოგვიანებით, უკვე შერჩეული ოჯახის მოწონებული ქა-  
ლიშვილის ოჯახში უშვებდნენ „ელჩს“, ადამიანს, რომელსაც მიჰქონდა  
ამბავი მათი დამოყვრების სურვილის შესახებ. ქალიშვილის ოჯახის  
თანხმობის შემთხვევაში, ვაჟი მიდიოდა გოგონას ოჯახში მის გასაც-  
ნობად და ხვდებოდა გოგონას, რასაკვირველია მესამე პირთან ერთად.  
ისინი ქალის ოჯახში ვინმე ნათესავის თანდასწრებით ან იქვე სახლში,  
მაგრამ ცალკე ოთახში საუბრობენ (როგორც ისინი ყვებიან) და ბო-  
ლოს, რადენიმე საათიანი საუბრის შემდეგ აცხადებდნენ თავიანთ გა-  
დაწყვეტილებას დაქორწინების შესახებ. ამის შემდეგ ვაჟის ოჯახიდან,  
გოგონას ოჯახში მიდიან ოჯახის უფროსი მამაკაცები და ქალი ინიშნე-  
ბოდა იმ რიტუალების შესაბამისად, რაც აქვთ წლების განმავლობაში.  
ასევე თანხმდებოდა ქორწილის თარიღი, ქორწილამდე ახალგაზრდები  
ერთმანეთს არ ნახულობდნენ. ქორწილის დღესვე გოგონა საცხოვ-  
რებლად გადადიოდა ვაჟის ოჯახში.

„ჩემი და ისე გათხოვდა, ნარმოდგენა არ ჰქონდა ვის მიჰყვებოდა,  
ქორწილის კასეტაზე ნახეს, მერე სახლში შემოთვალეს, რომ თქვენი  
ოჯახის გოგონა მოვცენონაო, მამამ თანხმობა განაცხადა, უფოსი მე  
ვიყავი და მე ვთქვი, რომ მე უფლებას ვაძლევ ჯერ ის გათხოვდეს -  
თქმ. მოვიდნენ ოჯახში, ჩვენს ნათესავ ქალთან ერთად, ჩემი და და მო-  
მავალი სიძე შევიდნენ სალაპარაკოდ, დაახლოებით ვ საათი ილაპარა-  
კეს, გამოაცხადეს რომ თანახმა არიან... დაინიშნენ და ვ თვეში ქორ-  
წილი გაიმართა. ამ ვ თვის განმავლობაში ერთხელაც არ უნახავთ ერ-  
თმანეთი, მაშინ არც ტელეფონები იყო და არც ინტერნეტი. ქორწილში  
მოკიდეს ხელი და ნაიყვანეს. დღეს ასე ვერავინ მოგექცევა, მე 30  
წლის ვარ. მაქვს შემოთავაზებები, მაგრამ უარს ვამბობ, რადგან მხო-  
ლოდ ოჯახის მოწონება არაა მთავარი“ – 30 წლის გოგონა.

ოჯახის შექმნის პროცესში არის კიდევ ერთი გზა, როცა ქალის ნა-  
თესავები (ბიცოლები ან მამიდები), ცდილობენ ერთი ოჯახი დააახლო-  
ვონ მეორესთან, ისინი, ძირითადად, დედამთილებთან ცდილობენ ინ-  
ფორმაციის გაცვლას. ეს ხდება შემდეგი სახით. რადგანაც მუსლიმი  
მესხები არ კარგავენ ერთმანეთს, ხშირად დადიან ერთმანეთთან წვეუ-  
ლებეზე, განსაკუთრებით ქორწილებში ოჯახებთან ერთად (დიდი ოჯა-  
ხებით). ქორწილში ნათესავი აჩვენებს დედამთილს გოგონას. თუ მას  
ეს გოგონა მოეწონება, თავის ვაჟს ელაპარაკება რომ კარგი გოგო შე-

არჩიეს და მან უნდა გაიცნოს. ახალგაზრდები ქორწილშიც კი არ ურ-თიერთობენ ერთმანეთთან. ამის შემდეგ ეს ნათესავი ქალი უთანხმებს ვაჟის სტუმრობის შესახებ გოგონას გასაცნობად ან ვაჟის მშობლები რეკავენ თანხმობის მისაღებად. მაგრამ ამ შემთხვევაში, ოჯახის თან-ხმობა საკმარისი არაა, – ახლა უკვე გოგონაც უნდა იყოს თანახმა შეხ-ვდეს ვაჟს და დაელაპარკოს მომავალზე.

ასე გრძელდებოდა დროთა განმავლობაში, ასე იყო კრასნოდარ-შიც, ძალიან ცოტა შემთხვევაა ცნობილი, როცა მშობლების ნების სა-წინაღმდეგოდ სიყვარულით ქორწინდებოდნენ, ან არა მესხებთან ქმნიდნენ ოჯახებს.

„განჯორწინების მხრივ ჩვენთან თითქმის 0%-ია, სწორედ იმიტომ, რომ მშობლებმა უკეთ იციან ვისზე უნდა დაქორწინდე“ 27 წლის ვაჟი.

### რა შეიცვალა და როგორ იქმნება ოჯახები ამერიკაში

ამერიკაში მუსლიმი მესხები, არსებული მონაცემების მიხედვით, გაფანტულები არიან 33 შტატში, მათი პირველი განსახლების მერე, როგორც კვლევის მონაზილები საუბრობენ, შეიცვალეს ადგილმდე-ბარეობა, რადგან:

„ჩვენ ვართ ხალხი, ვინც ერთად ცხოვრობს ძირითადად, და ვცდი-ლობთ ერთმანეთთან ახლოს დავსახლდეთ, მეზობლები ნათესავები ნაცნობები“, - 60 წლის მამკაცი.

მუსლიმი მესხები ცდილობენ ერთ შტატში, ან ქალაქში დასახლდე-ნენ, ერთმანეთთან ახლოს. ეს საზოგადოება დახურული და ჰომოგამი-ური საზოგადოებაა. მუსლიმ მესხებში თემის შიგნითაც არჩევენ სა-ქართველოდან წარმომავლობის ოჯახებს (სოფლის სახელით განას-ხვავებენ ერთმანეთს, რომელი სოფლიდანაა და შესაძლებელია თუ არა ამ სოფლის ადამიანთან და ნათესავება). წინაპრებისგან გადმოცემით იციან ამა თუ იმ სოფლის მცხოვრებთა წეს-ჩვეულებები და ამასაც აქ-ცევენ ყურადღებას (ამერიკაშიც), შესაბამისად დადიან ქორწილებში, ნაცნობები რეკავენ ერთმანეთთან და ქორწილებში ეპატიუებიან, ამე-რიკაში მანძილს მნიშვნელობა არ აქვს, მაინც მიდიან მანქანით. ამ ქორწილებში გრძელდება ტრადიციულად გოგონების „გადანახულე-ბა“, ან ბიჭების მიერ გოგონების „შემჩნევა“.

„გოგონების დეფიციტია ამერიკაში“, ამბობს გულდანყვეტილი, კვლევაში მონაზილე 54 წლის მამაკაცი.

ამერიკაში ცხოვრების შემდეგ განსხვავება ის არის, რომ ხანდახან ამბის მოტანის შემდეგ იწყება სურათების თვალიერება სოციალურ ქსელებში, ძირითადად ეს „ოდნოკლასნიკებია“, სადაც ხდება ოჯახის წევრების მიერ გოგონების შეთვალიერება. ქორწილებში კი ნათესავი ქალი ცდილობს აჩვენოს ქალ-ვაჟს ერთმანეთი, მას შემდეგ რაც ეს დედამთილთან არის შეთანხმებული. დედამთილი ცენტრალური ფიგურაა, მთვარია მას მოენონოს სარძლო.

„ეს იმიტომ, რომ დედა და ჩემი ცოლი არიან სახლში, ძირითადად, დადედამთილიც წყნარ და თვინიერ გოგოს არჩევს, რომელმაც კარგად იცის ჩვენი წესები“ – ამბობს 27 წლის ვაჟი.

განსხვავება ამერიკაში ცხოვრების მერე ისაა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია გოგონას თანხმობა. თუ ის არ არის თანახმა, ვერავინ აიძულებს მას მშობლების ნებაზე იაროს.

„ქალები მიხვდნენ, რომ მათ ამერიკაში აქვთ ისეთივე უფლებები, როგორიც მამაკაცებს,“ ამბობს 27 წლის გოგონა.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ გოგონების ასეთ თავისუფლებაში დიდ როლს თამაშობენ გოგონას დედები, რომლებიც ქალიშვილების მხარეს იჭერენ, როგორც მუსლიმი მესხი ახალგზარდა ბიჭები ამბობენ.

„თავიანთი გამოცდილებიდან გამომდინარე, თვითონ ხომ ზუსტად იგივე გზა გაიარეს და არ უნდათ თავიანთმა შვილებმაც იგივე გზით იარონ“ – 25 წლის ვაჟი. აქ, ამ გარემოში მათ აქვთ ამის გამოხატვის საშუალება.

დამატებითი ფაქტორი თავისულებისა ის არის, რომ ამერიკაში თითქმის ყველა ოჯახი მუშაობს, ეკონომიკური მდგომარეობა თითქმის ყველას ნორმალურად აქვს, ძველ ცხოვრებასთან შედარებით, ეს კი გავლენას ახდენს ქალების თავისუფლებაზე და მათ მიერ ასეთი გადაწყვეტილების მიღებაზე.

„როცა ოჯახში ფინანსური საშუალება არის, ასეთი ოჯახის გოგონები პრეტენზიულები არიან, კაპრიზულები და მათ ადვილად ვერ მიაღებინებ გადაწყვეტილებას“ – აღნიშნავს 54 წლის მამაკაცი.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ხშირია შემთხვევები, როცა გოგონა უარს ამბობს სწავლის დასრულების მიზეზით. მშობლებიც თანხმდებიან და შემოთავაზებაზე უარს ამბობენ, რადაგან ამერიკაში გოგონები ძალიან მოტივირებულები არიან განათლების მისაღებად და მშობლებიც ხელს უწყობენ განათლების დასრულებაში.

„განათლება კარგია ქალისთვის, რომ ქმრის გვერდზე დვომა შეძლოს, ფინანსურად შემომტანი იყოს ოჯახში“ - 47 წლის მამაკაცი.

თუკი კრასნოდარში გოგონებს სკოლიდან ათხოვებდნენ, აქ სკოლის დასრულება აუცილებელია, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება საუბარი გათხოვებაზე, ხოლო თუკი გოგონამ გადაწყვიტა კოლეჯში სწავლა, ოჯახი ცდილობს გვერდში დაუდგეს. ამერიკის მთავრობის დახმარებაც ხელს უწოდს მათ გადაწყვეტილებების განხორციელებაში, მაგრამ შემდეგ სხვა პრობლემა დგება, განათლებულ გოგონებს აღარ უნდათ „გაუნათლებელ“ ვაჟებზე გათხოვება, მშობლები მათზე გავლენას ვეღარ ახდენენ, ესეც ცვლილებაა ამერიკაში გადმოსვლის შემდეგ. კოლეჯდამთავრებული გოგონები უკვე განათლებულ ბიჭებს ეძებენ.

„ჩემმა გოგომ დაამთავრა უმაღლესი. 24 წლისაა, მაგრამ არ მოსწონს არავინ დაეძებს განათლებულს, რაც ნათესავების მხრიდან მაინცდამინც მოსწონებას არ იმსახურებს.“ - 57 წლის მამაკაცი.

„მათ სწავლა არ უნდათ, ადვილად უნდათ ფულის შოვნა, მხოლოდ გადამზიდავი მანქანების ტარება შეუძლიათ. მთელი კვირები და თვეები არ არიან სახლში. აბა, ეს რა ოჯახია“ – ამბობს 17 წლის გოგონა.

ამერიკაში, თუ გოგონა დასთანხმდა შეხვედრას, ვაჟთან შეხვედრის მერე ისინი ერთმანეთში ტელეფონის ნომრებს ცვლიან და ასე ეკონტაქტებიან ერთმანეთს, თუ ერთსა და იმავე ქალაქში ცხოვრობენ შეიძლება რამდენჯერმე შეხვდნენ კიდეც.

„უნდა გაიცნო ადამიანი, თუმცა ამისთვის ეს დრო არ არის საქმარისი“ – 17-24 წლის გოგონები ამბობენ.

ცვალებადობას არა მარტო გოგონები აღნიშნავენ, არამედ ბიჭებიც ხაზს უსვამენ. როგორც მუსლიმი მესხი ბიჭები ამბობენ, მშობლები ისევ მნიშვნელოვანნი დარჩნენ, მაგრამ სხვა რამები მაინც შეიცვალა ცოტათი მაინც, კერძოდ:

„მე დავინიშნე ამ წესების მიხედვით, და შემდეგ შეხვედრები რომ დავინწყეთ, მივხვდით, რომ ჩვენ არ ვიყავით ერთმანეთისთვის და დავშორდით. ეს სხვა დროს და სხვაგან არ მოხდებოდა“ (25 წლის ვაჟი) ამერიკაში, ისევე როგორც კრასნოდარში, როგორც ჩემი ინფორმანტები ამბობენ, თუ ქალ-ვაჟს ერთმანეთი მოეწონათ, მერე საქმის კურსში აყენებენ მშობლებს, მშობლები გაიკითხავ-გამოიკითხავენ, თუ ოჯახები შესაბამისია ერთმანეთის, მაშინ თანხმდებიან და იწყება ელჩების გაგზავნა, თუ ასე არ არის, მაშინ მშობლებს შეუძლიათ ამქორწინების ჩაშლა.

გადაადგილების გავლენა ქორწინების პროცესზე  
მუსულიმ მესხებს შორის ამერიკის შეერთებულ შტატებში

„ამერიკაში ქალებმა ამოისუნთქეს. თვალები გაახილეს, დაინახეს,  
რომ მათაც აქვთ უფლებები“ - 30 წლის გოგონა.

„აქ ქალები უფრო თავისუფლები არიან ვიდრე იყვნენ, - ვსწავ-  
ლობთ, ვმუშაობთ, მანქანებს ვატარებთ.“ - 20 წლის გოგონა.

ვაჟები თვლიან რომ შეიცვალა რაღაცები.

„მხოლოდ მამა ვერ გადაწყვეტს ჩვენ ბედს, მე 2-ჯერ ჩამეშალა ასე  
ცოლის მოყვანის პროცესი, დეტალებზე არ ვიღლაპარკებ“, - 25 წლის  
ვაჟი ასეც ხდება, ახალგაზრები იზიარებენ რომ მათი ცხოვრება მათი  
გადასაწყვეტია და მშობლების ჩარევა კარგად არ მთავრდება ხოლმე.

„ასე მშობლების გადაწყვეტილებით შექმნილი ოჯახები პანტაბუნ-  
ტით ინგრევა, აღმოაჩენენ რომ არ არიან ერთმანეთისთვის და დამ-  
თავრდა“ (28 წლის ვაჟი) თუმცა პატრიარქალური საზოგადოებისთვის  
დამახასითებელი თავისებურება, რომ ქალების თავისუფლება  
მათვის მოსაწონი არაა, აშკარაა.

„ამერიკაში უფრო ხმირია განქორწინება, ვიდრე ეს ოდესმე ყოფი-  
ლა, ესეც ქალების თავისუფლებაა“ - 26 წლის ვაჟი.

### შედეგები და დასკვნები

როგორც კვლევამ აჩვენა, ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვ-  
რებამ გავლენა იქონია მუსლიმი მესხების ცხოვრების სტილზე: ოჯა-  
ხის სტრუქტურაზე, ძალაუფლების განაწილებაზე ოჯახში, ოჯახის  
შექმნის პროცესზე.

იმიგრაციის პროცესში ჩვენ კვლევაში მონაწილე მუსლიმ მესხებ-  
თან შენარჩუნებულია, როგორც მინუხინი ამბობს, ოჯახური როლების  
სტრუქტურა, - ყველას თავისი როლი აქვს და ტრადიციების შესაბამი-  
სად ასრულებენ ამ როლებს: მეუღლის, დედის, მამის, ქალიშვილის, ვა-  
ჟის, ბების, ბაბუის, დედამთლის, მამამთილის, სიდედრის, სიმამრის,  
რძლის, უფროსი ძმის და ა. შ.

შენარჩუნებულია ოჯახური წესების (აღიარებული და უხმო წესე-  
ბი) (Bowen M 1978) სტრუქტურა. ამაზე მეტყველებს, დღემდე არსებუ-  
ლი „მშობლებმა ჩვენზე უკეთ იციან“ გამონათქვამი, რომელიც მიუხე-  
დავად განსხვავებული გარემო პირობებისა და ფინანსური დამოუკი-  
დებლობისა, დღემდე მუშაობს.

ისინი მყარად მიჰყვებიან ჰომოგამიური ქორწინების წესებს, რომელიც ასევე ხაზს უსვამს მათ თვითმყოფადობის შენარჩუნებას და გარემოსთან ასიმილაციის წინააღმდეგობას.

## დასკვნა

ეს არის უნიკალური ჯგუფი ადამიანებისა, რომელმაც ბევრჯერ განიცადა ადგილმონაცველეობა და ყველა გადაადგილებისას, ამერიკაში გადმოსვლამდე, ინარჩუნებდა თავის სახეს და თვითმყოფადობას. მათ დიდი ხანი იცხოვრეს საბჭოთა კავშირში გადასახლებასა და გადაადგილებაში, (უზბეკეთსა და რუსეთში), ხოლო ამერიკაში კი, მიუხედავად მათი აქ ცხოვრების მცირე დროისა და გამოცდილებისა, ცვლილება სახეზეა.

მექანიზმები, რომელიც ამ ყველაფერზე ზეგავლენას ახდენს, ჩემი აზრით, არის სხვა ტიპის განათლება, რომელსაც ისინი იღებენ ამერიკის შეერთებულ შტატებში. შრომის ბაზარი რომელიც, ასევე, არის განსხვავებული საბჭოთა და პოსტსაბჭოთა სივრცეებისგან. განათლება და შრომის ბაზარი მეტ დამოუკიდებლობას ანიჭებს ქალებს და ახალგაზრდებს ოჯახში.

შეგვიძლია გავაერთიანოთ ფემინისტური (Camino & Krulfeld (ads) 1994) და რესურსების (Blood & Wolfe, 1960) თეორიის მოსაზრებები და ვთქვათ, რომ მუსლიმი მესხების ოჯახებში, რომლებიც ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობენ, იცვლება ქალების განათლება და ეკონომიკური სტაპილურობა, რაც გავლენას ახდენს ოჯახში გადაწყვეტილების მიღების პროცესზე, გენდერული როლების გადანაწილებაზე და კულტურულ ცვალებადობაზე.

სავარაუდოდ, ეს პროცესი განგრძობადია. ინტერვიუებს შორის ორწლიანმა განსხვავებამ აჩვენა, რომ ცვლილებებს კიდევ ექნება ადგილი მომავალში.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. Blood, R. O. Jr. , & D. M. Wolfe. 1960. *Husbands and wives: The dynamics of married living*. Westport, Conn.: Greenwood Press, 1978, c1960.
2. Camino, L.A.,&Krulfeld, R.M. (ads) (994). *Reconstructing Lives, Recapturing Meaning: Refugee Identity, Gender, and Cultural Change*.

- Basel, Switzerland: Gordon and Breach uba, L, &Hummon, D. M. (1993b). Constructing a sense of home: Place affiliation and migration across the life-cycle. *Sociological Forum*, 8(4), 547-572.
3. Cuba, L.& M. Hummon, D. M. (1993a). A place to call home: Identification with dwelling, community and religion. *The Sociological Quarterly*, 34, 11-131.
  4. Ferree. M. M. (1979). Employment without Liberation: Cuban Women in US. *Social Science Quarterly* 60(1) 35-50.
  5. Glenn, E. N. (1987). Racial ethnic women's labor, the intersection of race, gender, and class oppression. In Hidden aspects of women's work. Edited by C. Bose. R. Feldberg, and N. Sokoloff. with the women and Work Research Group. Pp46-73.
  6. New York: Praeger Glick, J. E., and Van HookJ.(2002). Parents' co-residence with adult children: Can immigration explain race and ethnic variation? *Journal of Marriage and Family.&thinsp;* 2002; 64(1):240-253.
  7. Gratton, B. Gutmann, M. P. & Skop, E. (2007). Immigrants, their children, and theories of assimilation: Family structure in the United States, 1880-1970. *History of the Family: An International Quarterly*, 12(3): 203-222.
  8. Hofstede, G. (1984) Culture'sconsequences: international differences in work-related values. Beverly Hills, CA: Sage.
  9. Kibria, N. (1990). Power, Patriarchy and Gender Conflict in the Vietnamese Immigrant Community."*Gender &Society*, vol 4, no, p 9-24.
  10. Kibria, N. (1994). Household structure and family ideologies s: the dynamics of Immigrant economic adaptation among Vietnamese refugees, *Social Problems*, vol 4, no 1, p 81-96.
  11. Kim, B. S. K., Yang, P. H., Atkinson, D. R., Wolfe, M. M, & Hong, S. (2001). Cultural value similarities and differences among Asian American ethnic groups.*CulturalDiversity and Ethnic Minority Psychology*, 7, 343-361.
  12. Lim, In- Sook.(1997). Korean Immigrants women's Challenge to gender inequality at home: the interplay of economic resources, gender, and family. *Gender & Society*, 11, 31-51.
  13. Minuchin, S. (1974). Families and Family therapy. Cambridge: Harvard University Press.

14. Oudenhoven J.P (2006)The Cambridge Handbook of Acculturation Psychology edited by D.L. Sam & J. Berry. Cambridge University press 2006.
15. Trier, T. Tarkhan-Mouravi,G. Kilimnik, F (2011) “Meskhetians: Home-ward Bound...” Published by European Centre for Minority Issues – Caucasus.
16. Trier, Tom and Andrei Khanzhin, eds. 2007.*The Meskhetian Turks at a Crossroads: Integration, Repatriation or Resettlement?* Berlin, Germany: LITVerlag: Berlin.

**Ekaterine Pirtskhalava**

Assistant Professor

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**Displacement Effects on the Marriage**

**Process among Muslim Meskhetians in the USA**

**Resume**

This paper is a part of my research, which examines how the processes of relocation to the USA influence the everyday lives of the Muslim Meskhetians, a group that originated on the territory of Georgia and that has been subjected to external rule and multiple forced displacements in the twentieth century. Most recently, a large number of the Muslims Meskhetian were granted refugee status and resettled in the United States of America. Guided by the previous studies on cultural adaptation and identity maintenance, I explore how this group has negotiated resettlement in the United States. I analyze the in-depth interviews with the immigrants, who live in the states of Pennsylvania and Illinois, to illustrate the changes and effects of the relocation on the marriage process among Muslim Mesketians in the USA. I focus on the following important areas: suitable spouse choosing process, family member involving in arrangement marriage, and decision making process in family about marriage.

This article finds that Muslim Meskhetians, who are unique groups, who have endured a long history of displacement that has does not changed their family patterns and tradition, now in the U.S are carefully negotiating traditional values of patriarchal religious conservatism with contemporary American liberalism.

**თამარ ქარაია**  
ასისტენტი პროფესორი, თსუ

**მონუმენტალიზმი და მეხსიერების  
პოლიტიკა თანამედროვე საქართველოში**

საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ ყოფილმა მოკავშირე ქვეყნებმა – სახელმწიფოებრიობის მშენებლობა ახლიდან დაიწყეს, რისთვისაც საჭირო იყო ერის კონსოლიდაცია ახალი იდეალების გარშემო და ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბება, რომელიც დაუპირისპირდებოდა ძველ „საბჭოთა მოქალაქეს“, რომელსაც საბჭოთა მესვეურები ქმნიდნენ. იდენტობის ჩამოყალიბების პროცესს თან ახლდა ახალი კოლექტიური მეხსიერების შექმნისკენ მიმართული პოლიტიკის განხორციელება, რომელიც მიზნად კოლონიური მეხსიერებისაგან განთავისუფლებას და ისტორიული მოვლენების არსებული ინტერპრეტაციის გადაფასებას ისახავდა. შედეგად, დაიწყო მიჩქმალური ფაქტების გამომზეურება, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებისათვის იყო მიუღებელი და ეს ყოველივე საბჭოთა გმირების და დღესასწაულების დავიწყების ფონზე ხდებოდა. შესაბამისად, დავიწყება და გახსენება გახდა მეხსიერების პოლიტიკის უმთავრესი სტრატეგია, რომლის საბოლოო დანიშნულება დამოუკიდებელი სახელმწიფოს ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბება იყო.

იდენტობა და მეხსიერება, ორივე უნდა განვიხილოთ, როგორც დინამიკური პროცესი, რომელიც კონსტრუქციონისტური ხედვის თანახმად მუდმივად იცვლება, და, ამ ცვლილების შესაბამისად, ფორმირდება საზოგადოების ფუნდამენტური ღირებულებები, მიზნები და ინტერესები. კოლექტიური მეხსიერება წარმოადგენს საუკეთესო ინდიკატორს, თუ როგორ იაზრებს საზოგადობა საკუთარ თავს და „სხვებს“, რაც, თავისთავად, ასახვას ჰქოვებს მის პრიორიტეტებში და, შესაბამისად, მიღებულ გადაწყვეტილებებში. გამომდინარე იქიდან, რომ მეხსიერება ეროვნული იდენტობის უმთავრესი კომპონენტია, მას

რთავენ პოლიტიკის დისკურსში და მეტიც, შესაძლებელია, ვისაუბროთ „მეხსიერების ოფიციალურ პოლიტიკაზე“, რომელიც სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით ქმნის საზოგადოებრივ აზრს ამა თუ იმ მოვლენის გარშემო.

დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობისათვის ბრძოლა საბჭოთა მონუმენტურული არქიტექტურისგან განთავისუფლებით დაიწყო, რადგანაც, ის არ შეესაბამებოდა ახალ სულისკვეთებას, რომელიც საბჭოთა იდენტობის ჩანაცვლებას ცდილობდა. შესაბამისად, იდენტობის კონსტრუირების პროცესი შესაძლებელია გავაანალიზოთ არა მხოლოდ პოლიტიკური და იდეოლოგიური ორიენტირების, არამედ ვიზუალური, მონუმენტალურ-არქიტექტურულ ნაგებობათა შესწავლით.

არქიტექტურა, როგორც პოლიტიკური იარაღი გამოყენების დიდ პერიოდს ითვლის, რადგანაც მმართველობის სტილის და ლირებულებების გამოხატვა და საზოგადოებისათვის მისი მუდმივი შეხსენება, სწორედ მონუმენტალიზმის, ე.ნ. „მეხსიერების ადგილების“ შექმნით მიიღწევა. საქართველო, მსგავსად სხვა საბჭოთა სახელმწიფოებისა, ჩაერთო საბჭოთა მონუმენტურ მემკვიდრეობასთან „ბრძოლის“ პროცესში, რომელიც შესაძლებელია დავყოთ ორ ნაწილად: პირველი ეტაპი ემთხვევა XX საუკუნის 90-იან წლებს, როდესაც იმპერიის ნგრევის-თანავე კომუნისტ ბელადთა ძეგლების დიდი ნაწილი ჩამოაგდეს. თუმცა გაცილებით გააზრებული პოლიტიკა, რომელსაც შესაძლებელია მეორე ეტაპი ვუწოდოთ 2006 წლიდან, საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობათა დაძაბვის შემდეგ, დაიწყო და განსაკუთრებით აგვისტოს ომის შემდეგ გამწვავდა, როდესაც საბჭოთა ბელადთა ძეგლები, როგორც ერთ-ერთი სიმბოლო რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციისა საზოგადოების დიდი ნაწილისათვის მიუღებელი აღმოჩნდა.

ვარდების რევოლუციის შემდეგ ახალი ეპოქის სასტარტო პირობების ხელშემწყობი ერთ-ერთი ფაქტორი ხელისუფლების ერთგვარი მესიანისტური აღქმა იყო, რომლის თანახმადაც ქვეყანაში ახალი ძალა გამოჩნდა. ყველაზე რთულ სიტუაციაში, ამ ძალას უნდა ეხსნა სახელმწიფო იმ მძიმე მდგომარეობიდან, რომელშიც ის თითქმის ათწლეულის განმავლობაში იმყოფებოდა<sup>1</sup>. ამას თან ერთვოდა პრეზიდენტ მი-

<sup>1</sup> ეს არ იყო მხოლოდ საზოგადოების განწყობა, თავად ხელისუფლების წარმომადგენლებიც თავიანთ გამოსვლებში ხელს უწყობდნენ ამ გრძნობის გან-

ხეილ სააკაშვილის ქარიზმატული თვისებები და თვითაღქმაც. თავად პრეზიდენტის განცხადების თანახმად ამ ეტაპზე ერს ჰქონდა უნიკა-ლური შანსი შესულიყო ისტორიაში, როგორც „თაობა, რომლის ძა-ლისხმევითა და უშუალო მონაწილეობით, პირველად, დავით აღმაშე-ნებლის ეპოქის შემდეგ, საქართველო ხელახლა გაერთიანდა<sup>1</sup>“.<sup>2</sup>

საზოგადოების ხელისუფლებისადმი პოზიტიური განწყობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენდა, ასევე, ხე-ლისუფლების პოლიტიკა, რომელიც სიმბოლისტური და კომემორაცი-ული ღონისძიებებისადმი დიდ მისწრაფებას განიცდიდა. თუკი გამო-ვიყენებთ პიერ ნორას კონცეფციას „მეხსიერების ადგილების“ შექმნის შესახებ, პოსტრევოლუციური მთავრობა, აღნიშნული პოლიტიკის თითქმის ყველა სფეროში გატარებაზე იყო ორიენტირებული. ამ ქმე-დების დანიშნულება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საზოგადოების კონსოლიდაცია და მმართველთა ლეგიტიმურობის არსებული ნიშნუ-ლის შენარჩუნება იყო.

რთული ხანის დაძლევის და ძველი დიდების დაბრუნებისათვის ბრძოლის დაწყების ალეგორია შესაძლოა ვეძებოთ მიხეილ სააკაშვი-ლის მიერ ინაუგურაციისას ფიცის დავით აღამაშენებლის საფლავზე დადებით.

„...დღეს საქართველო დანაწევრებულია, დღეს ქართველი ხალხი დამცირებულია! ... საქართველო არსებობდა, საქართველო არსებობს და ყოველთვის იარსებებს. საქართველო არ მომკვდარა. ჩვენ ყველაზე ერთად უნდა ვთქვათ, ერმაც და ბერმაც, მთავრობამაც და ყველა ადა-მიანძა, ჩვენმა მოქალაქემ, ყველამ... ყველაფერი უნდა გადავდოთ

---

ვითარებას. მაგ., მოგვიანებით, თავის ერთ ერთ გამოსვლაში პრეზიდენტმა სააკაშვილმა აღნიშნა „...დარწმუნებული ვიყავი, რომ დღევანდელი მსოფ-ლიოს ისტორიაში საქართველო, მისი სიმცირის მიუხედავად, სულიერ მი-სის აიღებდა და ახლა ამ ისტორიული მიხის შესრულების დრო დადგა“.<sup>25</sup> მაისს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა წლის შემა-ჯამებელი ბრიფინგი გამართა. 26.05.2005

<sup>1</sup> საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გამოსვლა ზუგდიდში. 20.11.2005

<sup>2</sup> საინტერესოა ის ფაქტი, რომ მიხეილ სააკაშვილი ასოციაციური კავშირის დამყარებას, უფრო მეტად, დავით აღმაშენებელთან ცდილობდა, ვიდრე საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის პირველ ხელისუფლებასთან, რაც შესაძლოა ამ უკანასკნელის სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიისად-მი კუთვნილებით და დავითის წარმატებული მმართველობის სტილით იყო განპირობებული.

გვერდზე, უნდა მოვემზადოთ, უნდა გავერთიანდეთ, გავძლიერდეთ და აღვადგინოთ საქართველოს ერთიანობა და მთლიანობა. ეს არის ჩემი ცხოვრების მიზანი.<sup>1</sup> ამ სიტყვებით პრეზიდენტი მიუთითებდა იმ გამოწვევებზე, რომლებიც ახალი ხელისუფლების წინაშე იდგა და, ამავე დროს, მიზანზე, რომლის განსახორციელებლად ის ხელისუფლებაში მოდიოდა.

ფიცის საფლავზე დადება იყო ჟესტი, მაჩვენებელი იმისა, რომ, როგორც დავით აღმაშენებელი იყო ყველას მეცე, მიუხედავად სარწმუნოებისა, ქონებისა, ეროვნებისა, ასევე საქართველოს პრეზიდენტი აცხადებდა, რომ ის ინებოდა ყველას პრეზიდენტი და, ამასთანავე, მოუწოდებდა ყველას ვისაც ქვეყანაზე გული შესტკიოდა გაერთიანებულიყვნენ სამშობლოს სიყვარულით და გაეგრძელებინათ ის ესტაფეტა, რომელიც გმირმა წინაპრებმა დატოვეს „...დავითის საფლავზე ჩვენ ყველამ ერთად უნდა ვთქვათ, საქართველო მოემზადება, საქართველო გაერთიანდება, საქართველო გაძლიერდება და საქართველო გამთლიანდება. საქართველო შეიკვრება ერთ ძლიერ სახელმწიფოდ. მე მინდა, თქვენი დახმარება ვითხოვო ამ საქმის განხორციელებაში. მე მინდა, ყველანი ერთად დაუდგეთ და ყველანი ერთმანეთს დაკუდგეთ გვერდით...“<sup>2</sup>

ცერემონიას საზოგადოებაშიც შესაბამისი რექცია და მოლოდინები ჰქონდა. პარალელები დავით აღმაშენებლის ადრეულ ასაკში გამეფეხასთან და საქართველოსთვის უჩვეულო ახალგაზრდა პირის პრეზიდენტად არჩევასთანაც კი გაიღლო, ქუთაისის (სადაც პრეზიდენტმა ფიცი დაღი) თეატრის ფასადზე გამოფენილი ბანერი ხალხს შეახსენებდა, რომ გელათში პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ინაუგურაცია იყო „დავით აღმაშენებლის გზა - წნმენისა და მამულის ხსნისათვის“.

ძველისადმი ძირეულად გამიჯვნის კიდევ ერთ სიმბოლურ გამოხატულებას სახელმწიფოს ახალი სიმბოლიკების შექმნა წარმოადგენდა, როდესაც ახალი გერბი, დროშა და ჰიმნი ხაზგასმით მიუთითებდა საქართველოს გმირულ წარსულზე, დიად ბრძოლაზე, მათდამი მემკვიდრეობითობაზე და ამავე დროს საზოგადოების კონსოლიდაციას ცდილობდა ერთი მიზნის გარშემო, რადგანაც სახელწიფო სიმბოლიკა

<sup>1</sup> პრეზიდენტ მ. სააკაშვილის საინაუგურაციო სიტყვა 25.01.2004. [www.president.gov.ge](http://www.president.gov.ge) (მოძიებულია 04.04.2011)

<sup>2</sup> იქვე.

ერთი ძირითადი ლოზუნგის გარშემო გაერთიანდა, რომლის თანახმა-  
დაც „ძალა ერთობაში“ იყო<sup>1</sup>.

გარდა სახელმწიფო სიმბოლოების შეცვლისა, ხელისუფლება თა-  
ვად ქმნიდა ახალ სიმბოლოს, რომელიც გამოხატავდა იმ იდეას, რომ-  
ლითაც რევოლუციის შემდეგ მოვიდნენ ხელისუფლებაში, თანაც მე-  
სიანური სულისკვეთების მატარებელი იქნებოდა. ასეთ სიმბოლოს  
ვარდების რევოლუციიდან სამი წლის თავზე თავისუფლების მოედან-  
ზე საზეიმოდ აღმართული წმინდა გიორგის ქანდაკება განასახიერებ-  
და, რომელიც საზოგადოების ნაწილისათვის წმინდანად აღიქმებოდა  
ნაწილისათვის ერთგვარი კიტჩი იყო, თუმცა ალეგორიულად ის უჩვე-  
ნებდა, რომ გიორგობას (23 მოემბერს, ვარდების რევოლუციის დღეს,  
ასევე 6 მაისს ასლან აბაშიძის მიერ ბათუმის დატოვების დღეს, ასევე  
გიორგობას) საქართველომ დაამარცხა ბოროტება, წარსულში დატო-  
ვა რთული პერიოდი და ახლა გამარჯვებების და წინსვლის დრო იყო.

მეორე ტენდენცია, რომელიც შეიმჩნევა ხელისუფლების პოლიტი-  
კაში ისტორიული გმირებისადმი, განსაკუთრებული დამოკიდებულე-  
ბაა, ხდება ერთგვარი „წარსულის აღმოჩენა“, რომელსაც თუკი ერიკ  
ჰოსპაუმის თეორიის ფარგლებში განვიხილავთ, მიზნად საზოგადოე-  
ბაში რწმენის გაღვივება, მისი კონსოლიდაცია ედო. თუ გადავხედავთ  
მეხსიერების სტრატეგიებს ეს ერთგვარად „დამფუძნებელი მამების“  
შესახებ მითების შექმნას უახლოვდება, რამდენადაც ამ გმირების გახ-  
სენებით საზოგადოებას მოუთხრობდნენ, თუ როგორ შეძლო საქარ-  
თველომ გაევლო ამდენი ძნელბედობის უამი და გადარჩენილიყო.  
ამასთანავე, ამავე გმირების გამოცდილებაზე დაყრდნობით ასევე უსა-  
ხავენ ანმყოსა და მომავლის სამოქმედო გეგმას, თუ მაშინ გადავრჩით,  
ახლაც გადავრჩებით. ისევე როგორც დღეს საქართველოს აქვს უამ-  
რავი პრობლემა, მტერიც არასოდეს გამოლევია, „...ამ ქალაქს (თბი-  
ლისს) არაერთი ზესახელმწიფოს ხელმძღვანელი უნახავს, მავრამ ისი-

1 გარდა ახალი სიმბოლიკის მიღებისა, ასევე, დიდი აქცენტი კეთდებოდა სა-  
ზოგადოებაში მათ პოპულარიზაციაზე, რამაც შედეგს მიაღწია „ამ დროშას  
სხვადასხვა დღესასწაულის დროს ხალხი თავად ფეხს, რაც კომუნისტების  
პერიოდისგან რადიკალურად განსხვავებული მოვლენაა... დღეს საქართვე-  
ლოში, ეროვნების მიუხედავად, არც ერთი ბავშვი არ არის, რომელმაც სა-  
კუთარი ქვეყნის ჰიმნი არ იცის. 22.11.2005 საქართველოს პრეზიდენტმა მი-  
ხეილ სააკაშვილმა საერთაშორისო ფორუმი „ევროპის გათავისუფლების  
ახალი ტალღა, დემოკრატია და ტრანსფორმაცია“ გახსნა.

ნი საქართველოში მოდიოდნენ როგორც დამპყრობლები საკუთარ კოლონიაში. მათი აქ მოსვლა ნგრევის, სისხლისა და ცრემლის მიზეზი და შედეგი იყო<sup>“1”</sup>.

დღესაც საქართველოს არაერთი გამოწვევა აქვს ესენია ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, სახელმწიფო აპარატის გაჯანსაღება და, რაც მთავარია, საზოგადოებისათვის რწმენის დაბრუნება, რომ: „ჩვენ ისტორიული პროცესის მომსწრები ვართ. უნდა გვესმოდეს, რომ პრაქტიკულად ახალი ქართული სახელმწიფო იქმნება. თავისი ინსტიტუტებით, მენტალიტეტით, უნარ-ჩვევებით, განსაკუთრებული ტრადიციებით.<sup>2</sup>

ამ ფონზე უმნიშვნელოვანესია ისტორიული გმირების გახსენება, რომელთა უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანია, რომ ისინი ქვეყნის თავისუფლებისათვის იბრძოდნენ (ფარნავაზი და ქუჯი, დავით აღმაშენებელი, ვახტანგ გორგასალი). ამასთანავე, სამშობლო იხსენებს და პატივს სცემს მათ და ამის გამოხატულება იყო მაგალითად, 1924 წლის აჯანყების გმირის ქაქუცა ჩოლოყაშვილის ნეშტის გადმოსვენება 2005 წელს, რომელიც სახალხო დღესასწაულად იქცა და რომლითაც ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ სამშობლო იბრუნებდა გმირებს, რომელიც ქვეყნის განთავისუფლების იდეას შეენირნენ. ეს იყო ერთგვარი კომემორაციული აქცია, რომლითაც საზოგადოებისთვის ერთდროულად ხდებოდა დავიწყებული წარსულის მოთხოვა და, ამავე დროს, ჩვენება, თუ როგორი უნდა იყოს სანიმუშო ქართველი.

ქაქუცა მნიშვნელოვანია ქართულ ისტორიულ ნარატივში, რამდენადაც მისი სახე ქართული ვალუტის კუპიურაზეც აისახა და სახელი-სუფლებო დისკურსშიც არაერთხელ იქნა გამოყენებული, როგორც მაგალითი წინააღმეგობის მოძრაობისა, რომელიც წარუმატებლად დასრულდა, მაგრამ დატოვა ანდერძი, რაც ახალმა თაობამ უნდა შეასრულოს.<sup>3</sup>

<sup>1</sup> საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის საჯარო გამოსვლა ბუშის ვიზიტთან დაკავშირებით. 2005-05-10. [www.president.gov.ge](http://www.president.gov.ge) (მოძიებულია 04.05.2011)

<sup>2</sup> პრეზიდენტ მ. სააკაშვილის საინაუგურაციო სიტყვა 25.01.2004. [www.president.gov.ge](http://www.president.gov.ge) (მოძიებულია 04.04.2011)

<sup>3</sup> მოგვიანებით, მეხსიერების სტრატეგიის ცვლილებასთან ერთად, ქაქუცას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა, კერძოდ თავისუფლებისათვის მებრძოლიდან აქცენტი რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაზე იქნა გადატანილი.

მხოლოდ ისტორიულ წარსულზე აპელირება არ იყო საკმარისი საზოგადოების კონსოლიდაციისა და მენტალიტეტის ცვლილებისთვის, მათ სჭირდებოდათ მაგალითები თანამედროვეობიდან, რომელთაც მიბაძავდნენ და რომელთა ქცევაც მონონებული და დაფასებული იქნებოდა. ამასთანავე, ჩვენი დროის გმირების ჩვენება იქნებოდა ერთგვარი პროგრესის მაჩვენებელი, რომ საზოგადოებაში ცვლილებების ყინული დაიძრა და საჭიროა ყველანი ჩავერთოთ ამ პროცესებში.

„ახალი საქართველოს ნამდვილი გმირები“<sup>1</sup>, შესაძლოა ყოფილიყვნენ როგორც რიგითი ადამიანები, არაკორუმპირებული სახელმწიფო მოხელეები, მშობლები, რომელთაც შვილები ჯარში გაუშვეს<sup>2</sup> ან, ასევე, ნამდვილი გმირები, რომელთაც საქართველოს ერთიანობას შესწირეს თავი. შესაბამისად, საქართველოს ყველა მოქალაქე უნდა ჩაბმულიყო ქვეყნის მშენებლობის საქმეში, უნდა გამხდარიყო ჩვენი დროის გმირი ან მოხალისე, რადგანაც „პირველად, მას შემდევ, რაც დავითის, თამარის, გიორგი ბრწყინვალის დროს საქართველოს ჰყავდა მოხალისეთა ჯარი“, ახლა გაჩნდა შესძლებლობა საქართველომ აღადგინოს ისტორიული წარსული და ისევ ჰყავდეს მსგავსი ჯარი. აღნიშნულის რეალიზება რეზერვისტების პროგრამის შემუშავება იყო, როდესაც თითოეული მოქალაქეს უნდა გაევლო სამხედრო წვრთნები, შეეძინა გარკვეული სამხედრო უნარ-ჩვევები, რათა საჭიროების შემთხვევაში გამხდარიყო სამშობლოს რიგითი ჯარისკაცი.

თუმცა გმირული წარსულის პარალელურად, დისკურსში ასევე ჩნდებიან პერსონაჟები, რომლებიც სახელმწიფოებრიობას საფრთხეს უქმნიდნენ, რომელთა „რაზმელები სოფელ-სოფელ დადიოდნენ და ხალხს უუბნებოდნენ: ქართველებო, არ გამოხვიდეთ, მტერი ასჯერ ძლიერია და ის არაფერს დაგვიშავებს, – მაგრამ მოვიდა მტერი, რომელმაც მიწასთან გაასწორა, გადაწვა თბილისი, ნამუსი ახადა ქვეყანას და ქართველების ღალატის გამო საქართველოს დამოუკიდებლო-

<sup>1</sup> საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პარლამენტში წლის საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა. 24.02.2005 [www.priesident.gov.ge](http://www.priesident.gov.ge) (მოძიებულია 24.05.2012)

<sup>2</sup> 26.05.2004 საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის საჯარო გამოსვლა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ აღლუმზე [www.priesident.gov.ge](http://www.priesident.gov.ge) (მოძიებულია 04.05.2011)

<sup>3</sup> 25.09.2005 საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა პერველკურსელებს სიტყვით მიმართა [www.priesident.gov.ge](http://www.priesident.gov.ge) (მოძიებულია 24.05.2012)

ბას წერტილი დაუსვა.<sup>1</sup>“ და რომლებიც გვახსოვდეს, გარდამავალ ეტაპზე საჭიროა სიფრთხილე, რადგანაც მსგავსი პრეცედენტები არ გამეორდეს. ამასთანავე, საფრთხის შეგრძნება განსაკუთრებით გაძლიერდა 2005 წლისთვის, როდესაც პოლიტიკურ არენაზე გამოჩინდენ ადამიანები, რომლებიც საბჭოთა სამხედრო სამსახურებთან ასოცირდებოდნენ (იგორ გიორგაძე) და რომელთაც ხელისუფლების საწინააღმდეგოდ დაიწყეს აქტიურობა, ამას ემატება ურთიერთობის დაძაბვა რუსეთის ფედერაციასთან. ამის ფონზე მეხსიერების პოლიტიკა უფრო მეტად გააქტიურდა და ის სახელმწიფო უსაფრთხოების პოლიტიკის ნაწილი გახდა.

პოლიტიკური პრიორიტეტების ცვლილებასთან ერთად, დღის წესრიგში დგება სტალინის, როგორც საბჭოთა დიქტატორის გადაფასების საკითხი. შესაბამისად მისი სახელი პოლიტიკურ დისკურსში გამოჩინდა. ოღონდ ამ გამოჩინას წევატიური დატვირთვა ქონდა და საბჭოთა კავშირის რეპრესიების ავტორად აღიქმებოდა, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია ბელადის და მეორე მსოფლიო ომის მონუმენტების საქართველოში არსებობის რაციონალურობის საკითხის დასმა.

ამასთანავე, შეიმჩნევა ბელადის დადებითად აღქმისა და ამ იდეის გავრცელებისადმი წევატიური დამოკიდებულება. მაგალითად, 2007 წლის თებერვალში ტელეკომპანია რუსთავი 2-ის ეთერში დაიწყო სერიალ „სტალინ LIVE“-ის ჩვენება, რომელშიც ნაჩვენები იყო იოსებ სტალინის ცხოვრების უკანასკნელი თვე, რომელშიაც ბელადი იხსენებს განვლილ გზას და ბოლოს საკუთარი ქმედებების მონანიებას ცდილობს. ტელეკომპანიის გენერალური დირექტორი აღნიშნული სერიალის რეკლამირებისას აცხადებდა: „ეს ფილმი მაყურებელს საშუალებას აძლევს გაიგოს, რაზე ფიქრობდა სტალინი, ვინ სძულდა და ვინ უყვარდა; ასევე გაიგოს იყო თუ არა სტალინი მართლა ასეთი ცუდი როგორც ჩვენ ამდენი წლები თავში გვიჭედავდნენ და თურმე ეს ყველაფერი ასე არ ყოფილა“<sup>2</sup>.

აღნიშნულმა განცხადებამ, ხელისუფლების წარმომადგენლების მკაცრი კრიტიკა გამოიწვია. მას სამარცხვინო და სკანდალური შეფა-

<sup>1</sup> 11.09.2005 საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გამოსვლა პატრიოტთა პირველ ეროვნულ ფორუმზე

<sup>2</sup> ლუსტრაცია სტალინზე დებატების ფონზე. 17.02.2007. <http://www.civil.ge/geo/article.php?d=14829>.

სება უწოდეს, რადგანაც სისხლიანი ტირანის მითის ძლიერი ქართველი პოლიტიკოსით ჩანაცვლების მცდელობის განსხვავებულად შეფასება ვერ მოხდებოდა. არხის საპასუხო განცხადების თანახმად, საქართველოში ჯერ კიდევ იყვნენ დიდი რაოდენობით ადამიანები, რომელთათვის სტალინის სახელი მნიშვნელოვანი იყო და, შესაბამისად, ფილმი სწორედ მათზე იყო გათვლილი.

დისკურსში ოკუპაციის, რეპრესიების და საბჭოთა კავშირის პოლიტიკის ნეგატიური შეფასების მცდელობის დამკვიდრებისას შესამჩნევია ე.ნ. ჰენრი ნარატივის ჩამოყალიბების მცდელობა<sup>1</sup>, რომლის დროსაც საზოგადოებისათვის კონკრეტული მომენტების თხრობას, დამახსოვრებას თან ახლავს შესაბამისი ვიზუალური მხარდაჭერაც, რაც მონუმენტების გადატანა/ჩამოგდება/შექმნაში გამოიხატება.

სტალინის შეფასების საკითხი განსაკუთრებულად მწვავე 2008 წლის რუსეთ საქართველოს ომის შემდევ გახდა და დაუკავშირდა ომისგან ყველაზე მეტად დაზარალებული ქალაქის - გორის მოედანზე სტალინის მონუმენტის არსებობის მართებულობის საკითხს.

სახელისუფლებო წრეებში გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ქალაქში, რომელიც ომის დროს პერმანენტულად და დაუნდობლად იბომბებოდა რუსი აგრესორების მიერ, არ შეიძლებოდა მდგარიყო საბჭოთა ბელადის ქანდაკება, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვდა ბოლშევიკების მიერ დემოკრატიული საქართველოს ანექსიაში და იმ მძიმე მდგომარებაში, რაშიც დღესდღეობით ქვეყანა იმყოფებოდა. ამასთანავე, საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე რუსეთის ფედერაცია, რომელიც, თავის მხრივ, ცდილობდა აღედგინა სტალინის დროინდელი იმპერია, კვლავაც აგრძელებდა საქართველოს ოკუპაციას და საქართველოს ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილის მიტაცებასთან ერთად ათასეულობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

გორის ცენტრალურ მოედანზე მდგარი ძეგლი, ასევე, ენინააღმდეგებოდა სახელმწიფოს ოფიციალურ პოლიტიკას, რომელიც წარსულის შეფასებას და საზოგადოებაში საბჭოთა მენტალიტეტის დამსხვრევას ითვალისწინებდა. პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განცხადებით XXI საუკუნეში, როდესაც საქართველოს აქვს თავისი დამოუკიდებელი ისტორია, ამ ქვეყანაში არ შეიძლება ერთდროულად არსებობდეს ოკუპაციის მუზეუმი და ოკუპანტთა ძეგლები. რადგანაც სა-

<sup>1</sup> Sontag, Susan. *Regarding the Pain of Others*. New York: Picador, 2003. 85–88. Print.

ფუძელშივე ეწინააღმდეგება საქართველოს, როგორც თავისუფალი ქვეყნის მენტალიტეტს და სახელმწიფოებრივ პრიორიტეტებს.<sup>1</sup>

აღნიშნული ძეგლის ქალაქის ცენტრიდან გადატანის იდეა 2008 წელს მთავრობის სხდომაზე გაცხადდა, როდესაც ვიცე პრემიერმა გიორგი ბარამიძემ ხაზი გაუსვა, რომ მუდმივად თავისუფლებისათვის მებრძოლი ერს არ შეიძლება თავისუფლების სიმბოლოდ ოკუპანტის ძეგლი ჰქონდეს, მხოლოდ იმ არგუმენტზე დაყრდნობით, რომ ის საქართველოში დაიბადა<sup>2</sup>.

ოფიციალური დისკურსის თანახმად, გორის ცენტრალურ მოედანზე ძეგლის არსებობა „ახირებული და გაუგებარი დაუდევრობა იყო“,<sup>3</sup> რომელიც სახელმწიფოს იდიოტურ მდგომარეობაში აყენებდა (გია ნოდია). აღნიშნულ ინიციატივას მთავრობის წარმომადგენლები მიესალმნენ, მაგრამ საზოგადოებაში განსხვავებული რეაქცია გამოიწვია. კერძოდ, სამოქალაქო საზოგადოებისა და პოლიტიკოსთა წარმომადგენლები ორ ბანაკად დაიყვნენ. ნაწილი მხარს უჭერდა ძეგლის აღებას, მეორე ნაწილი კი აპროტესტებდა. ორივე მხარე ხაზს უსვამდა, რომ აღნიშნულ გადაწყვეტილებას პოლიტიკური სარჩული ჰქონდა, რასაც ძეგლის გადატანის მომხრეები დადებით, ხოლო მოწინააღმდეგები უარყოფით მხარედ მიიჩნევდნენ.

ძეგლის გადატანის მომხრეთა თანახმად, აღნიშნული გადაწყვეტილება, სახელმწიფოს მხრიდან ემსახურებოდა ხაზგასმას, რომ ის აგრძელებდა ბრძოლას იმპერიის წინააღმდეგ და არ დაუშვებდა მტკიცნეული ისტორიის განმეორებას. ეს გადაწყვეტილება გულისხმობდა როგორც პროტესტს რუსეთის იმპერიული პოლიტიკის წინააღმდეგ, ასევე საზოგადოებაში აღვიძებდა ერის კოლექტიურ მეხსიერებაში წინააღმდეგობის მოძრაობას, რომელიც ათწლეულების განმავლობაში წარუმატებელი იყო, მაგრამ ამჟამად მიზნისთვის უნდა მიეღწია. იდეის მომხრეთა ერთ-ერთი არგუმენტის თანახმად, ძეგლის

<sup>1</sup> მიხეილ სააკაშვილმა სტალინის ძეგლის დემონტაჟთან დაკავშირებით გაცხადება გააკეთა. [http://www.president.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=226&info\\_id=5285](http://www.president.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=226&info_id=5285)

<sup>2</sup> სტალინის ძეგლი შესაძლოა მუზეუმში გადაიტანონ 03.10.08 რუსთავი 2 [http://www.rustavi2.com.ge/news/news\\_textg.php?rec\\_start=128&rec\\_start\\_nav=-11&id\\_news=28153&pg=&srch\\_w=&im=main&srch=1&ct=0&wth=0&l=0&ddd=0](http://www.rustavi2.com.ge/news/news_textg.php?rec_start=128&rec_start_nav=-11&id_news=28153&pg=&srch_w=&im=main&srch=1&ct=0&wth=0&l=0&ddd=0)

<sup>3</sup> ნიკა რურუა: სტალინი იყო პოლიტიკური დამნაშვე, თბილისი 13:29 - 25.06.10 „ჯი-ეიჩ-ენი“<http://ghn.ge/news-17700.html> (მოძიებულია 04.04.2011)

არსებობა ქალაქის ცენტრში, ასევე ენინააღმდეგებოდა საქართველოს და მისი ხელისუფლების მიერ ევროპული ფასეულობების გაზიარების საკითხს, რამდენადაც აღნიშნული ძეგლი მიანიშნებდა, რომ ბელადის მეხსიერება ქვეყანაში ჯერაც ცოცხალი იყო, (ამის არგუმენტად მოყავდათ, რომ ევროპელებმა შეძლეს ტოტალიტარული წარსულის გადალახვა, რუსეთმა კი ვერა. ეს ერთ-ერთ ევროპულ ფასეულობად აღიქმებოდა) შესაბამისად, ცოცხლობდა დიადი საბჭოეთის ნოსტალგია და შანსი, რომ ფორსმაჟორულ სიტუაციაში მტერი კონფორმისტულად განწყობილი ადამიანების პოვნას მოახერხებდა.

ამასთანავე, საბჭოთა მონუმენტების ქვეყანაში არსებობა ხელისუფლებას კიდევ ერთხელ ახსენებდა, რომ მიუხედავად წამატებულ რეფორმებზე აპელირებისა, ის მაინც პოსტსაბჭოთა სახელმწიფო იყო, რომელიც ჯერ კიდევ ვერ გამიჯვნოდა რუსეთს, მიუხედავად მისი მხრიდან არაერთჯერადად თავდასხმისა. საზოგადოებაშიც კი, სტალინის ძეგლის გადატანა რუსეთის აგრესის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად და ერთგვარ რევანშად აღიქმებოდა, რამდენადაც ხელისუფლება ცდილობდა ისტორიის გადაწერას და ახალი ვერსიის შექმნას, პოლიტიკური ბერკეტების გამოყენებით.

სტალინის ძეგლის გადატანის მონინააღმდეგეთა ძირითადი არგუმენტი, სწორედ იმ პრინციპზე იყო დაფუძნებული, რომ ხელისუფლება მიზნად ტოტალიტარული წარსულის შეფასებას და სტალინიზმის, როგორც ფენომენის შესწავლას არ უნდა ისახავდეს მიზნად. სტალინის, როგორც ბელადისადმი არსებული დადებითი განწყობის განეირითალება ძეგლის „ჩამოკვერცხლბეკებით“ ვერ მოხდებოდა. მენტალობის შესცვლელად საჭირო იყო საბჭოთა კავშირის, როგორც სისტემის მეცნიერული კვლევა, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მხოლოდ ამ გზით მოხერხდებოდა საზოგადოებაში არსებული მითების გადაფასება.

სისტემის დემონტაჟი არა ძეგლების მოშორებით, არამედ ჩვენს თავებში, ეს იყო მათი ძირითადი დევიზი. წარსულის სრულად გააზრების შემთხვევაში საბჭოთა ძეგლები არ წარმოადგენდა საფრთხეს არც ხელისუფლებისთვის და, შესაბამისად, არც საზოგადოებისათვის. მას მხოლოდ ტურისტული მნიშვნელობა ექნებოდა, როგორიც ეს აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოთა უმრავლესობამ წარმატებით განახორციელა.

გორში სტალინის ძეგლის დემონტაჟის პრეცედენტი შეეხო საქართველოს სხვადასხვა ქალაქში არსებულ საბჭოთა ძეგლებს და მათი ლეგიტიმურობის საკითხის ერთიან კონტექსტში განხილვა დაიწყო. ეს უკვე საბჭოთა ძეგლებისადმი შემუშავებული ერთიანი პრაქტიკა იყო და არა კონკრეტული, გორში სტალინის ძეგლის არსებობა-არარსებობის საკითხი. რამაც აღნიშნულ თემაზე გორის ფაქტორი ჩამოაცილა და უფრო მეტად სისტემური გახადა. ძეგლების დემონტაჟის პროცესი გორიდან დაიწყო, ძეგლი ღამით წინასწარი გაფრთხილების გარეშე გორის ცენტრიდან მალულად გადაიტანეს. ანალოგიურად წარიმართა ძეგლების გადატანის პროცესი საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში, კერძოდ, ტყიბულში, ქუთაისში, ახმეტასა და თელავში.

საქართველოს მოსახლეობამ სტალინის „ჩამოკვერცხლბეკების<sup>1</sup>“ პროცესი პოლიციელების მიერ გადალებული კადრების საშუალებით ნახა, საიდანაც ჩანდა, თუ როგორი ოვაციებით ხვდებოდა ადგილზე შეკრებილი ადამიანების ჯგუფი ძეგლის ჩამოგდებას. ოფიციალური დისკურსის თანახმად მოზეიმე ხალხი გამოხატავდა საბჭოთა მენტალიტეტთან დამშვიდობებას და რომ, ეს პროცესი არა მხოლოდ ხელისუფლების ჩარევით, არამედ თავისთავად ხალხის სურვილით ხდებოდა. მითუმეტეს ძეგლის გადატანამდე არაერთხელ გამართულა ამ ადგილას ახალგაზრდების აქცია, რომლებიც, ხელისუფლებას უმოქმედობაში ადანაშაულებდნენ და მონუმენტის სასწრაფოდ გადატანას ითხოვდნენ. საზოგადოების რეაქცია ძეგლის ჩუმად გადატანაზე მკვეთრად ნეგატიური იყო. სტალინის ღამით „მოტაცების“ მიზეზად ოფიციალური წყაროები ადგილობრივი მოსახლეობის გალიზიანების თავიდან აცილების სურვილს ასახელებდნენ. ცენტრალური მთავრობის განცხადების თანახმად, ბელადის ძეგლი სტალინის მუზეუმში უნდა აღმართულიყო, თუმცა აღნიშნული დაპირება არ შესრულებულა<sup>2</sup>.

მოგვანებით, ხელისუფლების მიერ გახმოვანდა სტალინის მუზეუმის კონცეფციის შეცვლის იდეა, რომლითაც ეს უკანასკნელი სტალინიზმის მუზეუმად უნდა გადაკეთებულიყო. ამ გადაწყვეტილებით იქ-

<sup>1</sup> ტერმინი ნოდარ ლადარიას მიერ იქნა გამოყენებული.

<sup>2</sup> ძეგლის დაბრუნების იდეა დღესაც ცოცხლობს. ხელისუფლების ცვლილების შემდეგაც არაერთი პოლიტიკოსი პირდებოდა გორის მაცხოვრებლებს ბელადის ძეგლის დაბრუნებას, მაგრამ თავისუფლების ქარტიაში 2014 წელს შესული ცვლილების თანახმად კანონმდებლობით იკრძალება კომუნიზმთან და ფაშიზმთან დაკავშირებული ძეგლების დადგმა.

მნებოდა მეხსიერების კიდევ ერთი ადგილი, რომელიც თავის წვლილს შეიტანდა ისტორიის ჰეგემონური ვერსიის დამკვიდრების პროცესში. ჯერ კიდევ 2008 წლის სექტემბერში ნიკა ვაჩეიძემა განაცხადა, რომ საქართველოს ხელისუფლება გორში, სტალინის მუზეუმში კიდევ ერთი ოკუპაციის მუზეუმის გახსნას გეგმავდა, რომელიც საზოგადოებას გააცნობდა ორსაუკუნოვანი რუსული ოკუპაციის შესახებ მასალას. ახალი მუზეუმი უნდა დაეპროექტებინათ პოლონელ და ლიტველ სპეციალისტებს, რომელთაც აღნიშნულ საკითხზე მუშაობის დიდი გამოცდილება ქონდათ.<sup>1</sup> ოფიციალური დისკურსის თანახმად არსებულ სტალინის მუზეუმში უფრო მეტად კომუნიზმის პროპაგანდა მიმდინარეობდა, ვიდრე რეალობის ასახვა, რამდენადაც გიდების ტექსტი ორიენტირებული იყო გაემართლებინა საბჭოთა ხელისუფლების სისხლიანი რეპრესიები, ამიტომაც საჭირო იყო მუზეუმის შინაარსის და, შესაბამისად, ექსპოზიციის შეცვლა და მისი თანამედროვე მოთხოვნილებებზე მორგება.

კულტურის მინისტრმა ნიკა რურუამ 2008 წლის აგვისტოში საქართველოში დატრიალებული უბედურება, სტალინიზმის პროდუქტად შეაფასა და დასძინა, რომ ურთიერთშეუთავსებელია სტალინის მუზეუმი, საბჭოთა ბელადის განდიდების ლექციებით, და საქართველოს სწრაფვა ცივილიზებული მსოფლიოსკენ<sup>2</sup>. ძეგლის ადგილას უნდა დადგმულიყო სტალინური საბჭოთა რეპრესიების შედეგად დალუპული ადამიანების ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალი, რომლის მაკეტის შესარჩევად კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ 2010 წელს საერთაშორისო კონკურსი გამოაცხადა. ნამუშევრები საკონკურსო პროექტები 2011 წლის 21 იანვრიდან 30 იანვრის ჩათვლით გამოფენილი იყო თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის საგამოფენო დარბაზში.

წარმოდგენილი 42 პროექტიდან თამარ კვესიტაძისა და პაატა სანაიას სკულპტურამ „ამაოებას არ ამოება“ გაიმარჯვა. 5-მეტრიანი ბეტონის ქანდაკება განასახიერებს დაჩეხილი ადამიანების ერთობას, რომლებიც, მიუხედავად ჭრილობებისა, წინ მოიწვევენ. სკულპტურის სახელწოდებად აღებულ იქნა კოტე ყუბანეიშვილის ზემოალნიშნული

<sup>1</sup> В Доме-музее Сталина откроют музей российской оккупации <http://www.interfax.by/article/27874> 25.09.08

<sup>2</sup> სტალინის მუზეუმს სტალინიზმის მუზეუმი შეცვლის 13.04.2012 <http://www.radiotavisupleba.ge/content/article/24547737.html>

ფრაზა, ხოლო ძეგლის ავტორების თანახმად ის გამოხატავს „რომ რაც ამაოებაა, არ უნდა ჩაეჭიდო, არ უნდა ა მ ო ე ბ ა. არადა, ეს ხშირად ხდება ჩვენ ცხოვრებაში. ძეგლთან ამ ფრაზას საერთო თუნდაც ის აქვს, რომ სტალინის კულტიც ამაოება იყო და ეს დრომ უკვე ვამოაჩინა. თუმცა, ნახევარი გორი მაინც ჩაჭიდებულია ამ ამაოებას!“

პრეზიდენტმა სააკაშვილმა ძეგლზე საუბრისას ხაზი გაუსვა, რომ ეს მონუმენტი საქართველოს იდეას განასახიერებს, „როგორც არ უნდა დაგვანანერვონ, დაგვჩეხონ, გვებრძოლონ, მაინც დავდგებით ფეხზე და გავაგრძელებთ სკლას წინ“<sup>1</sup>. მიუხედავად კონკურსში გამარჯვებისა სკულპტურა სტალინის ძეგლის ადგილას არ აღმართეს. ჩამოთვლილ მიზეზთა შორის ერთ-ერთი, თავად სკულპტურის ვიზუალური მხარე იყო, კერძოდ, ომგამოვლილ ქალაქში დაჩიხილი ადამიანების ხილვა ისდაც მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობას კიდევ უფრო დაამძიმებდა. ამიტომაც არაოფიციალური წყაროების თანახმად ერთი წლის შემდეგ, ახალი კონკურსის ჩატარება დაიგეგმა, თუმცა ხელი-სუფლების ცვლილების გამო ის არ ჩატარებულა.

სტალინის, როგორც მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთი უმთავრესი გმირის, მიმართ არსებულ პოლიტიკას დაუკავშირდა მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა მემორიალების საკითხი, რომელიც მსგავსად ბელადის ძეგლისა საბჭოთა მმართველობასთან ასოცირდებოდა და ეროვნული მნიშვნელობის მატარებელი არ ყოფილა. მიუხედავად ვარდების რევოლუციის შემდგომი ხელისუფლების განსაკუთრებული დამოკიდებულებისა გმირების მიმართ, მეორე მსოფლიო ომში დაღუპული მებრძოლები ნაციონალური გმირების სიაში არ ჩაეწერნენ, რადგანაც ისინი საბჭოთა სისტემას ემსახრებოდნენ, რომელსაც საერთო საქართველოსთან არაფერი არ ქონია.

ხელისუფლების ამ პოლიტიკის გამოხატულება იყო ქალაქ ქუთაისში არსებული დიდების მემორიალი, რომელიც 2009 წლის 19 დეკემბერს ააფეთქეს. მემორიალის აფეთქების მიზეზად მემორიალის ადგილას პარლამენტის მშენებლობის სურვილი დასახელდა, თუმცა ოპოზიციური პარტიებისა და საზოგადოების ნაწილისათვის ეს ფაქტი ხე-

<sup>1</sup> „ამაოებას არ ამოება“ სტალინის ნაცვლად 11.02.2011 <http://liberali.ge/ge-liberali/articles/105104/>

<sup>2</sup> „ამაოებას არ ამოება“ გორში აღარ დაიდგმება? 04.04.2011 <http://www.radiotavisupleba.ge/content/article/3546476.html>

ლისუფლების ანტირუსული პოლიტიკის გაგრძელებას წარმოადგენ-  
და.

ეს იმ ფონზე როდესაც საქართველოსა და რუსეთს შორის ომის  
შემდეგ ურთიერთობა უაღრესად დაძაბული იყო. ამასთანავე, აღბათ  
არც ის ფაქტია შემთხვევითი, რომ მემორიალის აფეთქების ოფიცია-  
ლურ თარიღად 21 დეკემბერი დასახელდა, რაც სტალინის და სააკაშ-  
ვილის დაბადების დღე იყო. სიმბოლური თვალსაზრისით სწორედ ამ  
დღეს მონუმენტის აფეთქება განასახიერებდა საბჭოთა წარსულიდან  
კიდევ ერთი ნაბიჯის გადადგმას.

აღნიშნული გადაწყვეტილებით რუსეთი ნამდვილად გაღიზიანდა,  
რამდენადაც ჯერ კიდევ მონუმენტის დემონტაჟის იდეის გაუღერე-  
ბისთანავე, კრემლში ეს მოსაზრება მეორე მსოფლიო ომის ვეტერანე-  
ბისადმი უპატივცემულობის გამოხატულებად შეფასდა. ხოლო, მემო-  
რიალის აფეთქებიდან რამდენიმე კვირის შემდეგ, ქუთაისში დანგრეუ-  
ლი მემორიალის ასლის მოსკოვში დადგმის იდეას კენჭი რუსეთის ფე-  
დერაციის საკანონმდებლო ორგანოში ეყარა და 448 ხმით არცერთის  
ნინააღმდეგ გადაწყვეტილება ინიციატივის სასარგებლოდ იქნა მიღე-  
ბული.

დიდების მემორიალის ანალოგის მშენებლობასაც, თავის მხრივ,  
რუსულმა მხარემ სიმბოლური დატვირთვა მიანიჭა. მონუმენტის ავ-  
ტორმა მერაბ ბერძენიშვილმა აღდგენის პროცესში ჩართვაზე უარი  
განაცხადა იმ პრინციპით, რომ მას ესკაზები აღარ ჰქონდა. საბოლოო  
ჯამში, მოსკოვში დადგმული მონუმენტის სახელიც კი სიმბოლური  
დატვირთვის მატარებელია, მას „ფაშიზმის ნინააღმდეგ ჩვენ ერთად  
ვიყავით“ უწოდეს, მონუმენტი კომპოზიციურად გამოხატავს ფოტოს,  
სადაც მელიტონ ქანთარიასა და მიხაილ ეგოროვს რაიხსტაგზე საბჭო-  
თა დროშა ააქვთ. ხოლო ქუთაისში აფეთქებული დიდების მემორიალი  
წარმოადგენს კომპოზიციის უკანა ხედს. ასევე სიმბოლური დატვირ-  
თვა ჰქონდა იმ ფაქტსაც, რომ მონუმენტის გახსნაზე მიწვულ სტუმ-  
რებს შორის ქართველი პოლიტიკოსებიც იყვნენ<sup>1</sup>. საინტერესოა ის  
ფაქტიც, რომ რუსი პოლიტიკოსების საპასუხო შეფასებისას აღნიშ-  
ნულ ფაქტში დამნაშავედ საქართველოს ხელისუფლება, როგორც

<sup>1</sup> მონუმენტი მონუმენტის წილ, 25.12.2010 <http://www.liberali.ge/ge/liberali/articles/104410/> (მოძიებულია 5.11. 2013)

ცალკე მხარე, გამოყავდათ და ამ პროცესში თავად საქართველოს მო-  
სახლეობა არანაირად არ იყო გარეული.

რუსული ოკუპაციის შესახებ ხსოვნის მატარებელი კიდევ ერთი  
ადგილი 2011 წლის მაისში გმირთა მოედანზე გაიხსნა. ის თბილისში  
ყველაზე მაღალი მემორიალი იყო, რომელიც ესპანელმა არქიტექ-  
ტორმა ალბერტო დომინგო კაბომ დააპროექტა. მემორიალი ერთგვა-  
რად საბჭოთა და თანამედროვე რუსულო ოკუპაციის გაერთიანებას  
ცდილობს, რამდენედაც მასზე ამოტვიფრულია 1918 წელს დაღუპული  
იუნკრები, 1924 წლის აჯანყების მეთაურები, 1992-93 წლებში აფხა-  
ზეთსა და სამაჩაბლოში, 2008 წლის აგვისტოს ომში რუსეთის აგრესი-  
ის შედეგად დაღუპულ მეომრები, ჯამში 3500-მდე ადამიანი.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ თავდაპირველად აპელი-  
რება კეთდებოდა ახალი სახელმწიფოს მშენებლობაზე, ახალ შესაძ-  
ლებლობებზე, ახალ ადამიანებზე, მოითხოვდა ნარსულიდან ფაქტების  
გამოთხოვას, რომელიც ორიენტირებული იქნებოდა საზოგადოების  
გაერთიანებაზე, შიდაკონფლიქტების აღმოფხვრაზე, მანკიერი ჩვევე-  
ბის დავიწყებაზე. ამ პროცესში უმნიშვნელოვანესი იყო დიადი ბრძო-  
ლების, გამარჯვებების და მათი ავტორების მემორალიზაცია. საქარ-  
თველოში შეიქმნა გმირების „პანთეონი“, რომელთათვის უნდა მიება-  
ძათ, ამასთან, ის მოიცავდა არა მხოლოდ ისტორიულ გმირებს, არამედ  
თანამედროვეებსაც, მოქალაქეებს, რომლებიც კეთილსინდისიერად  
ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას. ეს უკანასკნელი მი-  
უთითებდა, რომ ქვეყანაში მდგომარეობა არ არის სტატიკური, არა-  
მედ დინამიკურია, მუდმივად პროგრესირებს. რუსეთის ფედერაციი-  
დან საქართველოს მოქალაქეების დეპორტაცია, ენერგოდივერსია, ემ-  
ბარგო ქართულ პროდუქტებზე. ეს ის ფაქტორებია, რომელთაც სა-  
ქართველოში მეხსიერების პოლიტიკის სტრატეგიის რადიკალური  
ცვლილება გამოიწვია.

თუმცა გამოწვევების ცვლილებათა ფონზე შეიცვალა გმირების  
პანთეონი. არსებული „განტევების ვაცის ძიებისა“ და „დამფუძნებელი  
მამების“ ძიების პროცესი ჩანაცვლდა „ვიქტიმიზაციის“ სტრატეგიით,  
როდესაც აქცენტი გადატანილ იქნა თუ რას ვერ მიაღწია ქვეყანამ, რა  
დაკარგა მას შემდეგ, რაც ძალადობის გამოყენებით ჩამოაცილეს გან-  
ვითარების არჩეულ კურსს. ამასთან, მსხვერპლის მეხსიერება მოი-  
ცავდა შიშს, რომ შესაძლოა ისტორია განმეორდეს და „მტერმა“ ქვეყა-

ნაში მოძებნოს დასაყრდენი, რაც მან წარსულში მოახერხა. მითუმე-  
ტეს ქვეყანაში დღესაც მოიძებნებოდნენ ადამიანები, რომელთა ხედვა  
რადიკალურად განსხვავდებოდა არსებული სახელისუფლებო დის-  
კურსისაგან.

აგვისტოს ომის შემდეგ, ვიქტიმიზაციის პროცესი შესაძლებელია  
შეფასდეს, როგორც ერთგვარი პროექტი, რომელიც კომპლექსური აქ-  
ტივობების გამოყენებით მიზნად ისახავდა ახალი კოლექტიური მეხსი-  
ერების კონსტრუირებას. ამასთანავე, სურდა აღნიშნული მეხსიერების  
ყოველდღიური ცხოვრების ნაწილად ქცევა. აღნიშნულ პროცესში მო-  
ნუმენტები წარმოადგენენ საუკეთესო დამხმარე რესურსებს, რამდე-  
ნადაც ისინი ატარებენ ხსოვნას და გადასცემენ საზოგადოებას, რო-  
მელსაც, თავის მხრივ, ის ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოხატავს.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. 25 მაისს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა წლის  
შემაჯამებელი ბრიფინგი გამართა. 26.05.2005 [www.president.gov.ge](http://www.president.gov.ge)  
(მოძიებულია 04.04.2011).
2. საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გამოსვლა ზუგ-  
დიდში. 20.11.2005 [www.president.gov.ge](http://www.president.gov.ge) (მოძიებულია 04.04.2011).
3. პრეზიდენტ მ. სააკაშვილის საინაუგურაციო სიტყვა (25.01.2004).  
[www.president.gov.ge](http://www.president.gov.ge) (მოძიებულია 04.04.2011).
4. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სოციალურ-ეკო-  
ნომიკური განვითარების აქტუალური საკითხების შესახებ. (2004),  
”გეოკერია”, თბილისი.
5. საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საერთაშორისო  
ფორუმი „ევროპის გათავისუფლების ახალი ტალღა, დემოკრატია  
და ტრანსფორმაცია“ გახსნა 22.11.2005 [www.president.gov.ge](http://www.president.gov.ge) (მო-  
ძიებულია 06.04.2011).
6. საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის საჯარო გამოსვლა  
ბუშის ვიზიტან დაკავშირებით. (2005-05-10). [www.president.gov.ge](http://www.president.gov.ge)  
(მოძიებულია 04.05.2011).
7. საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიმართვა ქარ-  
თველი ერისადმი. თბილისის საკრებულოში საქართველოს პრეზი-

- დენტი უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს შეხვდა.  
03.05.2005 [www.president.gov.ge](http://www.president.gov.ge) (მოძიებულია 06.05.2011).
8. საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გამოსვლა ბათუმში საერთაშორისო კონფერენციაზე – „საქართველოს მთავრობის ინიციატივა სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მშვიდობისა და რეგულირებასთან დაკავშირებით“ 10.07.2005 [www.president.gov.ge](http://www.president.gov.ge) (მოძიებულია 04.05.2011).
  9. საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პარლამენტში წლის საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა. (24.02.2005) [www.president.gov.ge](http://www.president.gov.ge) (მოძიებულია 24.05.2012)
  10. საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის საჯარო გამოსვლა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ აღლუმზე (26.05.2004) [www.president.gov.ge](http://www.president.gov.ge) (მოძიებულია 04.05.2011).
  11. საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა პერველკურსელებს სიტყვით მიმართა (25.09.2005) [www.president.gov.ge](http://www.president.gov.ge) (მოძიებულია 24.05.2012).
  12. საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გამოსვლა პატრიოტთა პირველ ეროვნულ ფორუმზე (11.09.2005). [http://www.president.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=226&info\\_id=5285](http://www.president.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=226&info_id=5285) (მოძიებულია 24.05.2012). ლუსტრაცია სტალინზე დებატების ფონზე. 17.02.2007 (მოძიებულია 24.05.2012).
  13. მიხეილ სააკაშვილმა სტალინის ძეგლის დემონტაჟთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა. [http://www.president.gov.ge/index.php?-lang\\_id=GEO&sec\\_id=226&info\\_id=5285](http://www.president.gov.ge/index.php?-lang_id=GEO&sec_id=226&info_id=5285) (მოძიებულია 04.04.2011).
  14. სტალინის ძეგლი შესაძლოა მუზეუმში გადაიტანონ (03.10.08) რუსთავი 2 (მოძიებულია 04.04.2011).
  15. ნიკა რურუა: სტალინი იყო პოლიტიკური დამნაშავე თბილისი 13:29 – 25.06.10 „ჯი-ეიჩ-ენი“ <http://ghn.ge/news-17700.html> (მოძიებულია 04.04.2011).
  16. იაკაშვილი, პ. (29.07.2009) ძეგლია თუ კერპი? 24 საათი. გვ.10.
  17. სტალინი მუზეუმში ორი აზრი 11 აგვისტო, 2009 (მოძიებულია 04.04.2011).
  18. В Доме-музее Сталина откроют музей российской оккупации <http://www.interfax.by/article/27874> (25.09.08).

19. აფციაური გ. სტალინის მუზეუმს სტალინიზმის მუზეუმი შეც-  
ვლის. 13.04.2012 <http://www.radiotavisupleba.ge/content/article/24547737.html>  
(მოძიებულია 04.04.2013).
20. „ამაოებას არ ამოება“ სტალინის ნაცვლად 11.02.2011 <http://liberali.ge/ge/liberali/articles/105104/>
21. აფციაური გ., 04.04.2011 „ამაოებას არ ამოება“ გორში აღარ დაიდგმება?  
„რადიო თავისუფლება“ <http://www.radiotavisupleba.ge/content/article/-3546476.html> (მოძიებულია 04.04.2013).
22. მონუმენტი მონუმენტის წილ 25.12.2010)<http://www.liberali.ge/ge/liberali/articles/104410/> (მოძიებულია 06.04.2011).

**Tamar Karaia**

Assistant Professor

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**Monumentalism and Memory  
Politics in Contemporary Georgia**

**Resume**

After the collapse of the soviet empire, former soviet republics started to build their statehood, to consolidate the nation around new ideals and to transform old identities, confronting the soviet ones was the main challenge of this process. While creating new collective memory politicians re-interpreted their national histories, they re-wrote history textbooks, invented new heroes and enemies, established ceremonies etc.

Georgia, as a former soviet republic began dealing with the soviet past, however, in the 90th these processes were limited and delayed, we could not speak about contiguous politics of the memory and this caused changeable foreign policy priorities. After the Rose Revolution, the new government initiated reforms in most of the major spheres of institutional life, re-addressing the totalitarian past, seeing a number of problematic manifestations in political and cultural life in the post-soviet country. For renovation of the state system, it was essential to set boundaries with the pre-revolution state system correspondingly. Analyzing the politics of memory, symbolism is the most notable attitude of this period.

Subsequent to 2006 when Georgian citizens were deported from Russian Federation, tendencies of politics of memory changed rapidly. In the political discourse appeared terms such as “occupation”, “repression” etc. From this period, the strategies of memory could be associated with politics of victimization and creation of the collective memory prioritized as a national security issue. For this paper we selected some cases to show how symbols and monuments are included to construct hegemonic narrative and implement agendas of politics of memory in contemporary Georgia. According to our hypothesis similar “memory sites” are notable in Eastern European countries and using this version of the narrative as a model in Georgia conditioned by its counter Russian character.

**Marine Kevkhishvili**  
PhD Student  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

### **The Role of Civil Society in Public Policy Making Process**

In post socialist Georgia interest in civil society was renewed as the key role players involved in public policies, as a link between citizens and the state and an important feature of democratization. These ideas were more or less argued by the members of civil sector or intellectual elite. After the Parliamentary elections of 2012, due to governance change and reforms, the expanded civil society expanded engaging in making new laws, programs, policies and strategies, holding government accountable for their commitments.

Despite of this, under the new political and social environment civil society involvement in policy making is still not completely understood in the society. This paper focuses on the concepts of civil society and public policy and tries to point out some thoughts to define shortly what is understood by civil society and by its involvement in policy making from the viewpoints of different thinkers and describes situation in Georgia.

Key terms: Civil society, policy, government, public policy making.

Short theoretical overview of civil society

The civil society is understood differently by different thinkers. Until the end of the 18th century, the term civil society was equal with the state or political society (Keane 1988, 36). At the beginning of the 19th century G.W.F. Hegel envisioned civil society as bourgeoisie driven economy, to be found between the spheres of family and state (Keane 1988, 50-55). Marx uses the term “civil society” associated to a class society in which two opposed classes bourgeois and workers struggle with one another.

J. Cohen and A. Arato refer civil society to the area of associations, social movements and forms of public communication (Cohen & Arato, 1992, p. IX). By Veneklasen it is defined as a sphere of social interaction, cooperation and

community problem solving through informal and formal organizations. (Veneklasen, 1994). (Ghaus-Pasha, 2004)

De Tocqueville (1990) and more recently, Robert D. Putnam (1999) viewed civil society fundamental for democracy development. By Habermas it is an expression of concerns and interests of marginalized groups in the public placed on the political agenda (Habermas 1992, 374, Theory of Communicative Action). Brown et al. (2000, in Teegen, 2004: 664), defines "civil society as an individual or collective action of citizens independent from the state and the market. It is defined as the arena, outside the family, the government, and the market, where people associate to advance their interests (Malena and Volkart Finn Heinrich).

In current sociology, Víctor Pérez-Díaz states that developments all over the world suggest the diffusion of a western model of society that merge liberal democracy, markets (a welfare system) and a plural society (a web of associations). Such understanding makes me think how to set concrete boundaries of civil society.

In Eastern Europe, the consolidation of a new political and social regime could only happen by making far-reaching reforms to develop a market economy, closely linked to the European economy and the world market. Markets and associations cooperate with political actors (Keane 2003) to make world governance more accountable and responsive to social demands (Anheier et al., 2001; Kaldor, 2003). Voluntary associations (labour, peasants, students, environmentalists, etc.) mobilize resources to defend their interests, assert their identities, articulate a normative stand and win acceptance of the social order (Klandermans, 1992; Tilly, 1978; Touraine et al., 1984). In the US, grant-giving foundations have played a strategic role, through funding and advice, their influence has helped to define educational, human rights and social policies for many decades (Anheier and Hammack, 2009; López Novo, 2008 in Víctor Pérez-Díaz, 2011).

Despite variety of views developed about civil society from theoretical frameworks the most complicated area with limited understanding is of what comprises civil society. Most often civil society is defined as organized and unorganized groups, a very wide range of institutions operating at the global, regional, national and local level. Civil society includes NGOs, community groups, research institutes, think tanks, advocacy groups, trade unions, and academic institutions, parts of the media, professional associations, and faith-

based institutions involved in the process of policy making created to guide decision making in response to a political issue or a public problem. While the state represents the broad interests of society at large, individual society groups have a responsibility to advocate the interest that they represent. This promotes a system of good governance on the basis of mutual accountability and brings positive change. Civil society organizations (CSOs) attempt to solve societal challenges and provide work between the household, the private sector, and the state to negotiate matters of public concern.

Accordingly, civil society is an essential tie between citizens and the state which provides an environment for decision-making process and creates democratic culture among people through an interactive process (Fowler, 2000, in Nadia and Renard, 2009, 5). ‘A healthy civil society is considered an integral part of any democratic system of governance. Fundamentally, civil society is a medium in which the social contracts between citizens and political and economic centres of power are negotiated and reproduced it implies that the existence of independent organizations, with active communication between organizations, citizens and the state, leading ultimately to a certain degree of influence on policy-making’ (Orysia Lutsevych, REP BP 2013).

Harbeson describes civil society as a protector and mediator, “civil society may act both as a buffer and a broker between government and society, as a symbol of political norms, agent of change, regulator of participation, integrator of particular interests.” (Harbeson, 1994, 22; (Lund, 2013) It is acknowledged that government relies on civil society organizations (CSOs) - grouping of individuals and associations, formal and informal, which belong neither to the public sector nor to the profit-making private sector to ensure that policies are suitable to the needs of the people.

#### Georgia’s civil society: an overview

Georgia’s modern civil society sprung to existence in 1991. Influenced by western aid (the Open Society Georgia Foundation, Friedrich-Ebert-Stiftung, and Eurasia Foundation, etc.) they successfully fought for environmental protection to human rights taxation and corruption in state institutions. They played a key role in the peaceful events of the 2003 Rose Revolution. In new stage due to government attitudes, new priorities and donor funding the Watchdog and advocacy organizations had to undergo difficult transitions. However, they with another type of CSOs have built strong expertise and influence in the areas of security and geopolitics. Slow development of civil

society organizations in Georgia and the lack of a strong voice on matters of economic development show low level of sustainability because of financing obstacles and little capacity to ensure that the voices of citizens are included in policy-making.

Mostly, local NGOs and new types of public associations have little ability to help wide range of population to formulate opinions and influence policies because they are isolated from public deliberations about important issues. They do not know their local NGOs and are reluctant to take public initiatives. They are unwilling to contribute their time or financial resources and engage in collective actions. Western donors The US Agency for International Development (USAID), The European Union, The Open Society Foundation (OSF), etc) have invested in strengthening good governance by empowering citizens to participate in decision-making, and to develop NGO capacity through training, conferences and study trips.

In order to represent the development of Georgian civil society in detail, an Assessment Georgian Civil Society Report represents the following phases of civil society development:

1. 1992 to 1995 it was too young and weak to play a significant role in the society. The government due to serious problems did not exert control over independent civil society groups.
2. 1995 to 1999: It was the period of growth quantitatively and qualitatively. The government was eager to boost its democratic credentials in the eyes of the West and its interference continued to be minimal in the third sector.
3. 1999 to 2003: Georgian civil society appeared ‘mature’ enough to mobilise citizens for protest actions and to defend their rights. Government tried to discredit NGOs and applied financial and political measures to suppress civil society with the help of pro-government media. Instead civil society consolidated the fight for their rights.
4. 2003 to 2008: at this time the role of civil society increased. Many representatives of civil society were promoted to key positions in government and a successful campaign to defeat the criminal and corrupt oligarchy that had gained strength in the 1990s had begun.
5. 2008 Georgian civil society was in deep trouble as donor organizations reduced their support to them. Many civil society activists have left the civil society sector and moved to state sector.

6. After elections in 2012 new stage began for the civil society and government partnership. The engagement of civil society in policy change and making has increased due to unstable socio-political environment like poverty, low standards of living, unemployment and etc.

Today, civil society faces a new period of development. The relationships between CSOs and the government are changing. The Asian Development Bank in 2010 reported that “CSOs are still engaged in an extensive dialogue with the government and the government also tries to broaden existing forms of dialogue.” Government perceptions of the nonprofit sector are mixed, and engagement is ad hoc. Few NGOs have the capacity to conduct professional, rigorous policy analysis of complex issues and to advocate for change based on research.’

Policy study and analysis face various problems and challenges in Georgia. There was not a high demand for the development of strategic directions of the policy so far but under the new political and social environment there is a necessity to better realize the fundamental nature of public policy making process.

#### Public policy

As this article focuses on the role of civil society in policy making process. First of all it is important to define the notion of public policy. According to Thei Geurts, public policy is defined as a choice that government makes in response to a political issue or a public problem based on values and norms, decisions and actions of government and the intentions that determine those decisions and actions. It includes identification of the problem, formulation of the solution, identification of different alternatives, selecting from those alternatives on the basis of their impact and laying them down in some type of statement or law.

The main process of policy making consists of initiation, formulation, implementation and evaluation. Good-quality policy making depends on high-quality information and the best possible use of evidence by government (Thei Geurts, Public Policy Making: The 21st Century Perspective).

Hill (1993, 47) defines ‘policy’ as ‘the product of political influence, determining and setting limits to what the state does.’ Public policy is known as a course of action to solve social problems, which adopts a specific strategy for its planning and implementation chosen by government (Anderson, 1975;

Also, public policies are designed to achieve defined goals and present solutions to societal problems. It refers to a long series of actions carried out to solve societal problems (Newton and van Deth 2005, 263). The major models that characterize public policies are: the institutional, the rational, the incremental, the group, the elite and the process models (Christoph Knill/Jale Tosun, 2008)

If we look at the role of civil society in public policy during 1991-2012, it is weak. The period of 2003-2008 might be regarded as the time of civil society strengthening. The shift of civil society members to state sector and the fight with the remnants from the old system will not give us strong argument about their solid function in state sector. Later, as soon as the new state institutions started to become sustainable (from 2008), the role of civil society in public policy diminished once again.

According the possessed descriptive materials about the current role of civil society in public policy it is shown that government attempts to be open for collaboration with the representatives of civil sector in some issues. Most widespread practice in establishing and building trust between them is the invitation of local and international organizations for discussion of drafts of new regulations, strategies and laws. Working documents sent to the key stakeholders involved in coalitions for making amendments are followed by open discussions, round tables or conferences. There are some experiences when the government considers the suggestions of civil sector or opposes them on different grounds.

At this stage it is difficult to assess the role of civil society in public policy making after the parliamentary elections of 2012, due to several reasons. First of all monitoring and evaluation of the development process requires time to see the result of the process. Second, there is lack of fundamental researches to analyze the process of the result of collaboration between government and the civil society. Furthermore, there is a limited knowledge and experience of practice in collaboration between state and civil sectors which will guide to intense partnership. However, the engagement of civil society in public policy making and change has increased due to unstable socio-political environment like poverty, low standards of living, unemployment and etc.

Therefore, the intensive research studies should be conducted and the following questions should be answered: How civil society shapes public policies? How Georgian academic researchers, civil society, and government

policy-makers interact with each other? How governments are going to support civil society in social media initiatives in an efficient, effective and transparent way? How responsibilities for the results are shared when civil society is actively engaged in public policy making process?

I believe that fundamental research on the public policy involvement of civil society organizations would contribute to the public policy making process and assessment in Georgia.

## References

1. AN ASSESSMENT OF GEORGIAN CIVIL SOCIETY. (2010). *CIVICUS Civil Society Index* .
2. Asia, U. N. (n.d.). ENHANCING CIVIL SOCIETY PARTICIPATION. IN PUBLIC POLICY PROCESSES. [www.escwa.un.org/information/publications/edit/upload/sdd-10-tp1.pdf](http://www.escwa.un.org/information/publications/edit/upload/sdd-10-tp1.pdf).
3. Christoph Knill/Jale Tosun. (2008). Policy Making. *Oxford University Press* , pp. 495-519.
4. Cohen, J., & Arato, A. (1992). *Civil Society and Political Theory*.
5. Covey, J. (1994). Accountability and Effectiveness of NGO Policy Alliances. *Reports Vol.11 No.8 IDR* .
6. Ghaus-Pasha, A. (2004). Role of Civil Society Organizations in Governance. *6th Global Forum on Reinventing Government Towards Participatory and Transparent Governance* .
7. Guerts, T. (n.d.). Public Policy Making The 21st Century Perspective. [www.beinformed.com](http://www.beinformed.com) .
8. Keane, J. (1988). Democracy and Civil Society. *London: Verso*.
9. Lund, C. (2013). Developmet and Rights Negotiating Justice in Changing Societies. *Routledge* , p. v. 10/2.
10. Lutsevych, O. (2013/01). How to Finish a Revolution:Civil Society and Democracy in Georgia, Moldova and Ukraine. *Russia and Eurasia REP BP* [www.chathamhouse.org](http://www.chathamhouse.org) .
11. Paffenholz, T. (1988). Civil Society and Peacbuilding: A Critical Assessment. *Lynne Rienner Publisher* , p. 36.
12. Peels, R., & Develtere, P. (2009, september). Civil Society Involvement in International Development Cooperation: In Search for Data. *springer* , pp. 331-349.

13. Perez-Diaz, V. (2011). Civil Society: Multi Layered concept. *sociopedia ISA* .
14. Putnam, R. (1993). Making Democracy Work: Civic Traditions in Modern Italy. *Princeton, NJ:* .
15. R.Mukamunana. (2002). THE ROLE OF CIVIL SOCIETY ORGANISATIONS IN POLICY MAKING PROCESS IN RWANDA. *P.A. Brynard (united nations Responsibility Institute for Sustainable Development (UNRISD)* .
16. Seligman, A. B. (1992). The Idea of Civil Society. *New York: The Free Press.*
17. Volkhart, F. H. (n.d.). Assessing and Strengthening Civil Society Worldwide. *CIVICUS Civil Society Index Paper Series Vol. 2, Issue 1* .

**მარინე ქევხიშვილი  
დოქტორანტი, თსუ**

**სამოქალაქო საზოგადოების როლი საჯარო  
სექტორში პოლიტიკის გატარებისას  
რეზიუმე**

სტატია „სამოქალაქო საზოგადოების როლი საჯარო სექტორში გატარებისას“, ეხება დღევანდელი საზოგადოებისათვის მეტად აქტუალურ საკითხს – სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების აუცილებლობას საჯარო პოლიტიკის შემუშავების პროცესში, როგორც დემოკრატიის განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს.

2013 წლიდან საქართველოს მთავრობა აქტიურად თანამშრომლობს სამოქალაქო საზოგადოებასთან ახალი საკანონმდებლო თუ საჯარო ინიციატივის შემუშავების განხილვაში და მიზნად ისახავს საზოგადოებრივი ნდობის ამაღლებას, მოქალაქეთა როლის გაძლიერებას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და გამჭვირვალობის გაზრდას საჯარო პოლიტიკის ეფექტიანობის უზრუნველყოფისათვის.

სამოქალაქო საზოგადოების როლი განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყანაში. იგი მთავარი და შუამავალი რგოლია სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ასოციაცი-

ების, კოალიციების სახით, რაც შესაძლებლობას აძლევს მოქალაქეს გამოხატოს თავისი აზრი.

საქართველოში მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხი საჯარო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში დაბალია, რადგან მოქალაქეები არ გამოთქვამენ თავიანთ შეხედულებებს აქტიურად და სამოქალაქო ორგანიზაციებსაც არ აქვთ გამოცდილება, თუ როგორ ჩართონ მოქალაქეები თავიანთ საქმიანობაში.

მიუხედავად მიღწეული შედეგებისა, ფართო სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა ყოველი ახალი საჯარო პოლიტიკის შემუშავებისა და გატარების პროცესში არ არის უზრუნველყოფილი და სრულყოფილად გაგებული.

**მანანა შამილიშვილი**  
ასოცირებული პროფესორი, თსუ

**პოლიტიკური სიმბოლო  
ქართულ ვიზუალურ მედიაენაში**

სიმბოლოები პოლიტიკაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს. მათ შეუძლიათ თანხმიერება შექმნან პოლიტიკურ სივრცეში, რაც დემოკრატიული ტრანსფორმაციის სტადიაში მყოფი საზოგადოების კონსოლიდაციისთვის გასაკუთრებით საჭირბოროტოა. სიმბოლური კაპიტალის ეფექტიანი გამოყენება პოლიტიკოსის წარმატების საწინდარია. გამორჩეულად დიდ მნიშვნელობას იძენს იგი ამომრჩეველთან კომუნიკაციის პროცესში, რადგან დემოკრატიულ ქვეყნებში მოცემული კაპიტალი მუდმივად მოწმდება და ფასდება ისეთი პოლიტიკური რიტუალებით, როგორიცაა – არჩევნები და საჯარო მანიფესტაციები. მხოლოდ კარგად ნაფიქრი, შინაგანად არანინაალმდევობრივი მოდელირება პოლიტიკური სიმბოლიკისა გვაძლევს წინაპირობას იმ აუცილებელი პოტენციალის შესაქმნელად, რაც დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებისთვისაა საჭირო.

წინამდებარე ნაშრომით შევეცადეთ წარმოგვეჩინა, თუ რამდენად სწორადაა აღქმული ქართულ პოლიტიკურ რეალობაში სიმბოლოთა როლი და მნიშვნელობა; ხდება თუ არა მათი, როგორც ამბივალენტური ინსტრუმენტის, ინტერპრეტირება პოლიტიკური ძალაუფლებისთვის ბრძოლისა და მისი რეალიზაციის პროცესში. გამოვკვეთეთ ის ძირითადი თავისებურებანი, რაც აღნიშნული კუთხით ქართული პოლიტიკური სივრცისთვისაა ნიშანდობლივი.

პოლიტიკურ სიმბოლოზე საუბრისას, პირველ ყოვლისა, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის ძირითადი მარკერები, რომლებიც სიმბოლოს ფორმირებისას გამოიყოფა. ქვემოთ შემოგთავაზებთ ერთგვარ კლასიფიკაციას, რაც ამ როლს და მრავალაქცენტიან საკითხს მეტ მკაფიოობას შესძენს და ცალკეულ ნიმუშებზე დაყრდნობით, ნათლად წარმოაჩენს თანამედროვე სიმბოლიზებული პოლიტიკის აქტუალურ

ნიუანსებს. მაგალითების განხილვისას გამოვყოფთ სიმბოლოს – ნიშნის – დენოტაციურ (ნივთიერ, გარეგნულ) და კონოტაციურ (შინაგან, ასოციაციურ) მნიშვნელობებს, ხოლო ვიზუალური მედიაშემადგენლის ანალიზისას მივმართავთ დესკრიპციის მეთოდს.

მიუხედავად იმისა, რომ მეტაფორა და სიმბოლო ერთმანეთისგან განსხვავდება, გვაქვს შემთხვევები, როდესაც სწორედ მეტაფორა ხდება პოლიტიკური სიმბოლოს ფორმირების საფუძველი. მსგავსი ვითარება განსაკუთრებით მხატვრულ ტექსტებსა და ე.ნ. ლიტერატურული ჟურნალიზმის ნიმუშებში თვალსაჩინოვდება. ნინა არუთინოვა აღნიშნავს: „მეტაფორას, რომელიც სახეს აზრობრიობისკენ მიმართავს, უპირისპირდება სიმბოლო, რომელიც, აგრეთვე, სახეს ემყარება, მაგრამ მიმართულია ფორმის სტაბილიზაციისკენ (არუთინოვა 2010: 1).“ თუკი მხატვრული სახე სემანტიკურად უკავშირდება მეტაფორას, ნიშანი და სიმბოლო სემიოტიკური გზითაა მასთან დაკავშირებული.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზოგჯერ მეტაფორა პოლიტიკური სიმბოლოს დატვირთვას იძენს. ნათელად დასტურად ნიმუშებს მოვიხმობთ. პოლიტიკური მეტაფორის შესახებ საყურადღებო მსჯელობას გვთავაზობს თამარ ბერეკაშვილი, რომელიც უკანასკნელი პერიოდის ქართული რეალობიდან „ხატოვანი“ პოლიტიკური მეტყველების შთამბეჭდავ ნიმუშებს განიხილავს (ბერეკაშვილი 2007: 35 – 41). მას მაგალითად ცნობილი გამონათქვამიც მოაქვს: „ჩვენ ობოლი ერი ვართ“ და ამ ხატოვან გამონათქვამს ექსპრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს მიაკუთვნებს. არადა, ფრაზა გენიალური ოთარ ჭილაძისაა (მეტაფორებით რომ ეაზროვნათ ჩვენს პოლიტიკოსებს, ასეთ სავალალო შედეგებს როდი მოვიმკიდით!). ჩვენს საკვლევ თემას ეხმიანება ის ფაქტიც, რომ ცნობილმა ქართველმა მწერალმა აკა მორჩილაძემ თავის ერთ-ერთ თხზულებას „ობოლე“ უწოდა, რაც ლიტერატურის კრიტიკოსმა სავსებით მართებულად ამოიკითხა, როგორც – „ობოლი ერი.“ ამ მინიშნებაზე საუბრობს ლალი ავალიანი უურნალ „კრიტიკაში“ გამოქვეყნებულ წერილში „მეხსიერება“ (ავალიანი 2013: 51-63).

ზემოხსენებული მეტაფორა თანამედროვე ქართველმა მწერალმა მახვილგონივრულად გამოიყენა რომანის სახელდებად. ამ აზრს ამყარებს ის ფაქტიც, რომ მორჩილაძისეული განზრას სტილიზებული, მსუბუქი თხრობის მანერით შესრულებული, სევდანარევი იუმორით შეზავებული ნაწარმოები „მარადიული დროთა კავშირისა და თაობათა ერთობის განსახიერებაა“ (ლ. ავალიანი), რაც ასე ძლიერ ეხმიანება

ოთარ ჭილაძის სამწერლო კრედოს, მისი შემოქმედების არსს. ნაწარ-მოებში ობოლე ძველისძველი ხირიმის თოფია, რომელიც იმერეთის მეფეს ციხისთავ გოტისთვის უჩუქებია. რომანში სწორედ ამ უტყვი „პერსონაჟის“ ირგვლივ ვითარდება მოვლენები და ჩვენს ალუზიას კი-დევ მეტად ამყარებს. „ობოლე“ წინაპრებთან იდენტიფიკაციის ნიშანია, რომელიც „დროთა კავშირის“ სიმბოლოდ გვევლინება.

მსგავსი მოვლენა იკვეთება გაბრიელ გარსია მარკესის ცნობილი პულიცისტური წერილის სახელდებაში. „22 400 000 კვადრატული კი-ლომეტრი „კოკა-კოლას“ რეკლამის გარეშე“ – ასე მოსწრებულად დაა-სათაურა მარკესმა ნარკვევი, რომელიც გასული საუკუნის 50-იან წლებ-ში საბჭოთა კავშირში მისი მოგზაურობის შთაბეჭდილებებს ასახავს. მა-შინდელი საბჭოთიდან ყველაზე თვალშისაცემად მას სწორედ ეს ფაქ-ტი მიუჩინევია. და მართლაც, მთელის ამსახველი ამგვარი დეტალის წარ-მოჩენით, მწერალმა სიმბოლურად წარმოსახა საბჭოური თვალუწვდე-ნელი სივრცე, რომელსაც „ვესტერნიზაციის“ ხელი არც კი შეხებია, მე-ტიც – თვით ყველაზე გავრცელებული და პოპულარული გლობალური სიმბოლოს – „კოკა-კოლას“ გარეშე ათეულობით წელი უარსებია.

ზოგჯერ სიმბოლოს წარმოქმნა პოლიტიკოსთა არაორდინაციურ ქმედებას უკავშირდება, რაც მეტწილად ქარიზმული ლიდერის ან პო-ლიტიკოსი – რიტორის იმიჯითაა განპირობებული. ცხადია, ეს წინას-წარგანზრახული მცდელობა არ გახლავთ, უფრო სპონტანურობის ელ-ფერი დაპკრავს, თუმცა, ამ შემთხვევაშიც იკითხება გარკვეული ლო-გიკა. გავიხსენოთ ბენჯამინ ფრანკლინის მიერ 1787 წელს, კონსტიტუ-ციის კონვენტის დროს საზეიმოდ წარმოთქმული სიტყვა. ამ ორატო-რულმა გამოსვლამ სკამი, რომელზეც ჯორჯ ვაშინგტონი იჯდა, სიმ-ბოლოდ აქცია: „სხდომის მსვლელობისას, მე მრავალჯერ შემიხედავს ამ მზისთვის, პრეზიდენტის ზურგს უკან, ისე რომ, ვერ გამერკვია, ამომავალი იყო ის თუ ჩამავალი. მაგრამ ახლა, ბოლოსდაბოლოს, მაქვს ბედნიერება ვიცოდე, რომ ის ამომავალი მზეა და არა – ჩამავა-ლი“ (ნადარეიშვილი 2002: 88). მას შემდეგ ეს სიტყვები ამერიკის მომა-ვალი დიდების სიმბოლოდ იქცა, ხოლო მზისგამოსახულებიანი საპრე-ზიდენტო სკამი – მის ნივთიერ გამოხატულებად.

რამდენად შეესაბამება აღნიშნულ შემთხვევას ჩვენ მიერ ქვემოთ მოტანილი ნიმუში, სადაც თუმცა, ერთობ სიმბოლური დატვირთვი-სა აღმოჩნდა „ვარდების რევოლუციის“ (თავისთავად, ეს სახელდებაც სიმბოლურია) კულმინაციისას, პარლამენტში შექრილი ოპოზიციონე-

რი ლიდერის, მიხეილ სააკაშვილის ქმედება. ალბათ გახსოვთ, მწყურ-ვალივით როგორ დაეწაფა იგი მწვანე ჩაის ნაყენს შევარდნაძის ჭიქი-დან. ეს მოვლენა მედიაში მყისიერად არსებული რეჟიმის დასასრულისა და ახალი დროების დასაწყისის სიმბოლოდ აქცია. უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ფაქტი არა მხოლოდ ქართული, საერთაშორისო მედიის თვალსაწინერშიც მოექცა. ამ უკანასკნელმა უპრეცენდენტო ინტენსი-ვობით გააშუქა „გარდების რევოლუციის“ მთელი პროცესი, რითაც მე-დიის ე.წ. „დემონსტრირების ეფექტი“ შექმნა. შეიძლება ითქვას, რომ წამყვანი მსოფლიო მედიასაშუალებების მიერ უწყვეტ რეჟიმში ტრან-სლირებული რევოლუციური ბატალიები ერთგვარი ინსპირატორი აღ-მოჩნდა უკრაინაში ანალოგიური პროცესებისა, რაც, საბოლოოდ, „ნა-რინჯისფერი რევოლუციით“ დასრულდა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ „გარდების“ რევოლუციის (ისევე, რო-გორც „ნარინჯისფერი“ რევოლუციის) ტექნოლოგიური წარმატება გა-ნაპირობა სხვადასხვა სიმბოლური ფორმის კომბინირებულმა გამოყე-ნებამ: ვიზუალურმა (პოლიტიკური სიმბოლიკის საფირმო სტილი), მუ-სიკალურმა (მუდმივი მუსიკალური პერფორმანსი – ე.წ. „წვიმის მუსი-კოსთა“ (ესეც პოლიტიკური მეტაფორაა)) მიერ გამართული პერმანენ-ტული კონცერტები) და რიტორიკულმა (პოლიტიკური განცხადებები).

როდესაც ვიზუალური სიმბოლიკის საფირმო სტილზე ვსაუბ-რობთ, უნინარესად ოპოზიციის ლიდერის, ზურაბ უვანიას სიმბოლი-ზებული აქცია გვახსენდება – წითელი ვარდით ხელში როგორ მოუძლ-ოდა იგი საპროტესტო მსვლელობას. საერთოდ, ვიზუალურ ენაში ვარ-დი სისპეტაკისა და სამოთხებრივი სიწმინდის სიმბოლოა, რომელიც ქალწული მარიამის სახელს უკავშირდება. სწორედ კათოლიკური ასო-ციაციების გამო რუსეთში მას დიდად არ სწყალობდნენ. ქართული რე-ვოლუციის მესვეურებმა ამ აღმნიშვნელს ახალი კონცეპტი მოუძებნეს – იგი უსისხლო, მშვიდობიანი, ხავერდოვანი რევოლუციის სიმბოლოდ აქციეს. თუმცა, არც აქ აღმოჩნდნენ ორიგინალურები. ვიზუალურ კო-მუნიკაციაში გათვითცნობიერებულთათვის კარგადაა ცნობილი საა-გენტო „მაგნუმ-პრესის“ მიერ გავრცელებული ფოტოსურათი, რო-მელზედაც კბილებამდე შეიარაღებული ჯარისკაცების წინაშე მდგა-რი, სამიზნედ ქცეული უიარალო ქალბატონია აღბეჭდილი. მას ხელში მხოლოდ ხასხასა, წითელი ვარდი უჭირავს. აქ სავსებით ნათელია ფო-ტოს ავტორის ჩანაფიქრი – ვარდი მან ძალადობის ალტერნატივად, პა-ციფისტურ სიმბოლოდ წარმოაჩინა.

საერთოდ, ვიზუალური ენა, მისი უნივერსალურობისა და სიმარტივის გამო, აქტიურად გამოიყენება პოლიტიკურ კომუნიკაციაში. მათ სხვადასხვა პოლიტიკურ თუ რელიგიურ მიმდინარეობასთან ვაკავშირებთ. მაგალითად: **ვირი** – აშშ-ის დემოკრატიული პარტიის სიმბოლოა. მე-19 საუკუნეში ბიბლიური მოტივებისადმი ინტერესი ჭარბობდა, რაც ამ სიმბოლოს შექმნის საფუძველი გახდა; **სპილო** – აშშ-ის რესპუბლიკური პარტიის სიმბოლოა. იგი სიბრძნის, მარადიულობის, სიმშვიდისა და თანაგრძნობის გამომხატველია; ერთ-ერთი პირველი საბჭოთა ემბლემაა **ხუთქიმიანი ვარსკვლავი**; **წითელი ჯვარი** – გულმონყალების სიმბოლოა (მუსულმანურ ქვეყნებში მას წითელი ნახევარმთვარით ცვლიან); **სამკაპი** (ცნობილია, როგორც პოსეიდონის ნიშანი). იგი თავადაზნაურთა ნიშანი იყო ისტორიულ რუსეთში. დღეს უკრაინის მცირე გერბია. ინდური ლვთაების – შივას სამკაპი ინერციას, აქტიურობას გამოხატავდა და ა.შ.

ვიზუალური სიმბოლიკის მთელი სპექტრი გამოიყენება რეკლამაში როგორც სასაქონლე ნიშნების, ასევე – პოლიტიკური რეკლამის შექმნისას; აგრეთვე, ბრენდირების დროს, მხატვრობაში და ა.შ. 1939 წლიდან ამერიკულ კომიქსებში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გმირი იყო ბეტმენი – ლამურას კოსტიუმიანი ადამიანი, რომელიც დამნაშავებს აშინებდა. ბეტმენი საკუთარ ქალაქს ბოროტებისგან იცავდა. მის მთავარ მოწინააღმდეგეს წარმოადგენდა მასზე შეყვარებული ქალი – კატა. კატა კი – ალქაჯის სიმბოლოა (გავიხსენოთ დღემდე შემორჩენილი შიში შავი კატებისადმი, განსაკუთრებით, თუკი ისინი გზას გადაგვიჭრიან).

ვიზუალურმა ნიშნებმა **იკონურის** (ხატნერითი) სახელწოდება მიიღეს. რომან იაკობსონი თვლიდა, რომ ხილული ნიშნებისთვის მთავარია სივრცითი განზომილება, სმენითისთვის კი – დროული. რთული ხილული ნიშანი ერთდროულად რამდენიმე შემადგენელს შეიცავს, ხოლო რთული სმენითი ნიშანი, როგორც წესი, შედგება თანმიმდევრულ შემადგენელთა სერიისაგან. პაველ ფლორენსკი პოლიტიკურ რეკლამაში საინტერესოდ მიჯნავდა ანფასსა და პროფილს. **ანფასი:** „**ნებისმიერი** პორტრეტი ანფასში კომპოზიციურად განეკუთვნება იკონურის რიგს. შესაბამისად, მხატვრის ჩანაფიქრში უნდა შედიოდეს გამოსახული პირის იდეალიზება, მისი ღვთაებრივ სიმაღლემდე აყვანა. აქედან გამომდინარე, ამგვარი პორტრეტი განიხილება როგორც გუნდრუკის კმევა, აპოთეოზი.“ თუკი სხვაგვარად წარმოვიდგენთ, ზურგიდან ადამი-

ანი უსუსურად აღიქმება, წინააღმდეგობის ძალის გარეშე; ვისაც მოსალოდნელი საფრთხის გაცნობიერებაც კი არ შეუძლია. **პროფილი** კი, ფლორენსკისვე შეხედულებით: „გვამცნობს გამოსახულის ძალაუფლებას.“ აქ საუბარია მედლებსა და მონეტებზე დატანილ გამოსახულებებზე. „სათუთუნე, რომელზედაც პროფილია ამოტვიფრული, არა მხოლოდ სამშვენისია, არამედ სწორედ იმიტომ ფასობს, რომ ძალაუფლების მქონემ თავად გაიღო იგი საჩუქრად, რითაც მან თავისი ძალის მცირეოდ ათინათი უწილადა დასაჩუქრებულს“ (პოჩებცოვი 1997: 258).

ამ მოსაზრების კვალად მაგალითსაც მოვიშველიებთ: პოლიტიკური რეკლამის თანამედროვე ფრანგმა ოსტატმა, იმიჯოლოგმა უაკ სეგელამ, რომელსაც პრეზიდენტების შემქმნელსაც ეძახიან, პოლიტიკურად სრულიად გაკოტრებული საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა მიტერანი მეორე ვადით „გააპრეზიდენტა“ (პირველადაც სწორედ მან აქცია უფერული მემარცხენე ლიდერი საფრანგეთის საჭეთმპურობლად). ეს მან იმ დროისთვის სრულიად ნოვაციური პიარსტრატეგიით მოახერხა. სხვა მრავალ სიახლეთა შორის, პრეზიდენტს საარჩევნო პლაკატზე პროფილში პოზიციონირება ურჩია, რამაც ამომრჩევლის განწყობაზე საუკეთესოდ იმუშავა (სეგელა 2010: 35 – 60).

ეს მაგალითები ადასტურებს, რომ საქმე გვაქვს გამოსახულებაში ასახულ განსაზღვრულ სიმბოლიზებასთან. საერთოდ, გამოსახულებისადმი წაყენებული ყოველი კონკრეტული ამოცანა სხვაგვარი ინსტრუმენტით უნდა გადავჭრათ. მაგალითად, ადრექრისტიანულ ხელოვნებაში ადამიანის სხეული ცოდვასთან ასოცირდებოდა, შესაბამისად, სილამაზესაც ვერ განასახიერებდა. იგი უნდა ქცეულიყო „სულიერების ვიზუალურ სიმბოლოდ“. როგორ შეიძლებოდა ამის მიღწევა? ადამიანისა და სამყაროს დემატერიალიზაცია გამოსახულებიდან სიღრმისა და მოცულობის მოცილებით, ფერთა გამის შემცირებით, პოზების, უესტებისა და მეტყველი ნაკვთების გაუბრალოებით მიიღწეოდა. ასასახი ობიექტების კომპოზიციური სიმეტრიულობა საეკლესიო ხელისუფლების მიერ დამყარებული იერარქიული წესრიგის სიმყარეს გამოხატავდა.

თითქოს ზემოთქმულს განავრცობსო, იგნასიო არაუხო ამგვარად განასხვავებს სიმეტრიისა და ასიმეტრიის მნიშვნელობებს: „სიმეტრია გულისხმობა: სიმკაცრეს, დასვენებას, უშფოთველობას, კლასიციზმს, ძალას. ასიმეტრია გამოხატავს: სისუსტეს, მოძრაობას, დინამიზმს, „სიცოცხლეს,“ თავისუფლებას, გამოსახულს – როგორც მთლიანობაში, ისე დეტალებში.“ სიმეტრიული ფორმები შეესაბამება „დიდმნიშ-

ვნელოვან“, „ნარმომადგენლობით“ ფორმებს, ასიმეტრიული კი – გარკვეული ხარისხით „სასიამოვნოს.“

სიმბოლოების სამყარო – ძალაუფლების სამყაროა. იგი შემოუ-საზღვრავია. უნდა თუ არა ხელისუფლებას, ის ყოველთვის ახდენს სიმბოლოთა გენერირებას. სხვათა შორის, ეს სიმბოლოები, არცთუ იშვიათად, იმავე ხელისუფლების წინააღმდეგ ამუშავდებიან ხოლმე. ნათქვამის დასტურად მოვიხმობთ გახმაურებულ ფაქტს აბუ გრეიბის ციხეში ამერიკელ ჯარისკაცთა მიერ ერაყელ სამხედრო ტყვეთა წამების შესახებ. ამ სკანდალური შემთხვევის აღმნუსხველი ფოტოები ტელეკომპანია „სი-ბი-ეს-ის“ ეთერით 2004 წლის 28 აპრილს გავრცელდა. არაადამიანური მოპყრობის ამსახველი კადრები ამერიკულ მედიას სრულიად შემთხვევით ჩაუვარდა ხელთ. ერთ-ერთმა ჯარისკაცმა საკუთარი „გმირობით“ თავის მოსაწონებლად ერაყელი ტყვების წამებით გართობის ამსახველი ფოტო სამშობლოში ახლობელს გაუგზავნა. ამ უკანასკნელმა კი ეს ამბავი გაასაჯაროვა. ყველაზე აღმაშფოთებელი ის იყო, რომ ფოტოზე გამოსახულ ჯალათთაგან ერთ-ერთი ამერიკელი სენატორის, ტერი ინგლენდის ქალიშვილი ლინდი აღმოჩნდა (!).

ეს ძალზე სავალალო შემთხვევა იმ კუთხითაც იწვევს ჩვენს ინტერესს, რომ კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს თანამედროვე ეპოქის თავისებურებას, რომელიც ვიზუალური კულტურის ნიშნითაა აღბეჭდილი. საქმე ისაა, რომ ბალდადის მახლობლად მდებარე აბუ გრეიბის ციხეში წამების შესახებ ინფორმაციამ გაცილებით ადრე გაუონა. ამის თაობაზე „საერთაშორისო ამნისტია“ ჯერ კიდევ ერთი წლით ადრე, 2003 წლის 23 ივნისს იტყობინებოდა. თუმცა, ფაქტს რეზონანსი იქამდე არ მოყოლია, სანამ ეს სულისშემძვრელი სურათები მსოფლიომ ტელეეთერით თვალნათლივ არ იხილა (სხვათა შორის, „სი-ბი-ესი“ მზად იყო აპრილის პირველივე რიცხვებში გაეშვა ეს ინფორმაცია, მაგრამ პენტაგონის ზენოლის გამო მისი ჩვენება რამდენიმე ხნით დააყოვნა). 5 მაისს კი უკვე „ვაშინგტონ პოსტმა“ ახალი ფოტოსურათები გამოაქვეყნა. საერთო ჯამში, ვარაუდობდნენ, რომ კერძო მფლობელობაში ამ შინაარსის 1800-მდე ფოტო მაინც მოიპოვებოდა.

ხაზგასასმელია ის ვითარებაც, რომ ამ ოდენობის ფოტოებიდან მხოლოდ განსაზღვრულმა კადრებმა მიიპყრო გამორჩეული ყურადღება და მყარი ადგილი დაიმკვიდრა როგორც დასავლურ, ისე არაბულ კოლექტიურ მეხსიერებაში. მედიის ავანსცენა დაიპყრო ფოტოებმა, რომლებიც, მედიამკვლევარ ვ. ბაილენჰოფის შეხედულებით, ინსცენი-

რებისა და რეჟისურის მკაფიო ნიშნებს შეიცავდა. მაგალითად, კადრი, რომელზედაც აღბეჭდილია თავზე ტომარაჩამოცმული, მავთულშე-მოხვეული ტუსალი მამაკაცი, ანდა ფოტო – ლინდი ინგლენდს შიშველი ერაყელი სამხედრო ტყვე ძალლის საყელურით რომ უჭირავს. დაბოლოს, კადრი, რომელზეც ინგლენდი და მისი თანამზრახველი ჩარლზ გრეინერი მოწონების ნიშნად ცერა თითებანეულები პოზირებენ შიშველი ერაყელი ტუსალების ფონზე. სამივე სურათი რეფერენციის სახეებად გვევლინება. მათში ადრესატისადმი მიმართვის მეტადრე მაღალი პოტენციალი იგრძნობა.

საერთოდ, გამომსახველობითი დისკურსისთვის ხედვის სპეციფიკური რეჟიმია დამახასიათებელი. ეს კარგად ჩანს განხილული ფოტოებიდან. ქალიც და კაციც პოზირებენ, ე.ო. თავს საქვეყნოდ წარმოაჩენენ. მათი პოზა ადასტურებს, რომ აქ მაყურებელია – როგორც როლანდ ბარტი იტყვის: „პოზირების“ პროცესში საკუთარ თავს წინდანინ ვაქცევ სახედ“ (ბარტი 1997: 21). ამგვარად, ჩვენ წინაშეა ფოტოსურათები, ჩვენი მზერისთვის განკუთვნილი და სახედ მაფორმირებელი იმისა, რასაც გვიჩვენებს. ისინი იკონებია – პოლიტიკური სიმბოლოები, რომლებიც ყოველთვის ადრესატს მიერმართება.

სუზან ზონტაგის აზრით, ეს კადრები მეტყველებენ „სასჯელზე“ (Haimsuchung), რომლის არსიც ისაა, რომ გამოსახულებისა და თანამონაწილეობის ზღვარზე არსებული, მიმეზისა და აქტს შორის მერყეობის გამომხატველი ფოტოსურათებისთვის დამახასიათებელია „ტრამვული რეალობა“, დაფუძნებული იმაზე, რომ მან, ვინც იღებდა ფოტოებს, არ შეუშალა ხელი მას, რასაც ის იღებდა (აქვე გავიხსენოთ ზონტაგის მიერ შესანიშნავად თქმული: „სიცოცხლე კინემატოგრაფიაა, სიკვდილი – ფოტოგრაფია“). ორიგინალური ფრაზა ასე იკითხება: „დღეიდან ეს გამოსახულებები ქვეყანას „დასჯიან““. შეეგუებიან კი ადამიანები ამას?“ (გრიობნერი 2003: 169). როგორც ისტორიკოსი იუტა ფრევერტი იტყვის, ეს ფოტოები იკონურია, ანუ ნიშნად, სახე-სიმბოლოდ გვევლინება ანტიჰუმანურობისა (ფრევერტი 2004: 5). მართლაც, მათი დენოტაციური დონე ააშკარავებს კონკრეტული პირების, რიგითი ჯარისკაცებისა თუ ოფიცრების მხრიდან კაციჭამიური მოპყრობის მთელ სისასტიკეს, რაც კოლონიალიზმის ვიზუალური დისკურსის სპეციფიკურ ნიმუშად აღიქმება; კონტაციური კი – სხვადასხვა იკონოგრაფიული რეპერტუარის ჰეტეროგენულ ანსამბლს წარმოადგენს – კოლონიალიზმთან ერთად, ქრისტიანობისა და პორნოგრაფიისა (ბაილენპოფი 2010: 68).

შეუძლებელია ამ შემთხვევამ არ გაგვახსენოს 2012 წლის „ციხის კადრების“ სახელით მონათლული მოვლენები. ქართულ ციხეებში პატიმართა მიმართ სასტიკი მოპყრობის შემზარავი ფაქტები (მიუხედავად იმისა, რომ მათი დიდი ნაწილის ავთენტურობა ეჭვქვეშ დადგა, წინა ხელისუფლებამ მაინც ვერ აიცილა ეს მძიმე ბრალდება) შოკისმომგვრელი აღმოჩნდა ქართული საზოგადოებისთვის, რამაც გადაწყვიტა კიდეც ოქტომბრის არჩევნების ბედი. მოდერნული კულტურის კონსტიტუციისთვის ნიშნეული – ვიზუალური იმპერატივის შესაბამისად, ჩვენ შემთხვევაშიც ყველაფერი გამოსახულებით დაიწყო. ციხის კადრების ტელემედიით გავრცელებამდე დიდი ხნით ადრე, ქართულ პრესაშიც, ძირითადად ოპოზიციურში, პერიოდულად ქვეყნდებოდა ინფორმაცია ამ პრობლემის შესახებ. მეტიც, მასზე უფლებადამცველი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სახალხო დამცველის მხრიდანაც არაერთხელ გამახვილებულა ყურადღება, მაგრამ ხელისუფლება ჯიუტად განაგრძობდა იგნორირების პოლიტიკას (გავიხსენოთ მ. სააკაშვილის ირონიული ფრაზა – ქართულ გაზეთებს არ ვკითხულობო) და ყოველივეს პოლიტიკური ოპონენტების მორიგი ანგარიშგების მცდელობად აცხადებდა. საბოლოო ჯამში კი, „წაყრუების“ პოლიტიკამ მის წინააღმდეგ ბუმერანგის პრინციპით იმუშავა.

რთულია მტკიცება, რამდენად „იკონურია“ ეს კადრები, მაგრამ, ერთი კი ნათელია, რომ ისინი „ძალაუფლების სპირალს“ ქმნიან – ერთი მხრივ, სიდიადისა და ძალის დემონსტრირებას ახდენენ (ჯალათნი მით უფრო ძალმოსილნი ჩანან, რაც მეტად უსუსურია მათი მსხვერპლი), მეორე მხრივ კი – სიმხდალის, ანონიმურობისა და ადამიანური სახის დაკარგვის სავალალო შედეგებს გვიდასტურებენ. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ამ კადრებით გაცხადდა მთავარი – მიზნის მისაღწევად ნებისმიერი სამუალება არ ამართლებს და რომ ნებისმიერი ხელისუფლების ზრუნვის საგანი ადამიანი უნდა იყოს. სწორედ დასავლური ლიბერალური ინდივიდუალიზმის ამოსავალი თეზაა საფუძველი ჭეშმარიტი დემოკრატიისა. ამ ღირებულებით თუ არ საზრდოობს უმაღლესი ხელისუფალი, ამ სიქველეს თუ არ ემსახურება მედია, მაშინ ყველა სხვა მცდელობა, რაგინდ მაღალი მიზნებითაც უნდა იყოს გაცხადებული, ფუჭი და ამაოა. თუკი ქვეყანაში ადამიანის ძირითადი უფლებები დაცული არაა. მხოლოდ კარგ პერფორმანსისა და სერვისზე ორიენტირებული მთავრობა ოდენ დემოკრატიულობის ილუზიას ქმნის, ვიდრე რეალურად მიისწრაფვის გაცხადებული მიზნისკენ.

ჩვენ ორ კონკრეტულ შემთხვევას შორის ანალოგიებზე ვისაუბრეთ, სხვა მხრივ, მათ შორის, რაღაც თქმა უნდა, დიდი სხვაობაა. მაგრამ, აქვე ერთ მთავარ განმასხვავებელსაც ვახსენებთ. თუკი ამერიკელი მოქალაქე პასუხისმგებლიანად მოიქცა და ადამიანის ფუნდამენტური ღირებულებების შემლახველი ფაქტი არ დამალა, მყის სამსჯავროზე გამოიტანა, ჩვენ შემთხვევაში, სკანდალურმა მასალებმა, როგორც ირკვევა, არა ერთი თვე დაჰყო თაროზე, საჭირო დროისა და პოლიტიკურად ხელსაყრელი სიტუაციის მოლოდინში. ვფიქრობთ, ეს ფაქტიც ისევეა ზნეობრიობის თემა, როგორც თავად წამების კადრები.

სადღეისოდ, ქართულ პოლიტიკაში სიმბოლური დატვირთვა ფერთა გამამაც შეიძინა. წითელმა და ლურჯმა ფერებმა, ასე ვთქვათ, ოპოზიციური წყვილის სახე მიიღო (ტრადიციული თეთრი და შავის მსგავსად, სადაც ერთი მეორეზე დომინირებს), რადგან ორი, მკვეთრად დაპირისპირებული პოლიტიკური ძალის – წაციონალური მოძრაობისა და „ქართული ოცნების“ იდეოლოგიურ აღმნიშვნელებად მოგვევლინა. უთუოდ საინტერესოა ის ფაქტიც, რომ მოცემულ ფერთა პოლიტიკურ კონცეპტებად მოხსენიების პრეცენდენტი იუმორისტული შოუს ეთერში შედგა. ამასთან, საგულისხმოა, რომ წაციონალური მოძრაობისადმი ლინიალურად განწყობილი მედიასაშუალების იუმორისტულ ტელეტექსტში წითელი ფერი დომინირებს და პირიქით, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერ არხებზე ლურჯის პრიმატია.

ზოგადად, წითელი ფერი წარმატებასთან, ძლიერებასთან, ამბიციასა და გავლენასთან ასოცირდება, იგი ხაზს უსვამს ძალაუფლებას. მეწამული ფერი ქართულ დროშაზეცაა წარმოდგენილი. ლურჯი – სტაბილურობის, დაცულობის, სიმშვიდის, ჰარმონიის, საზრიანობის გამომხატველი ფერია. ამერიკულ პოლიტიკაში იგი ლიბერალიზმსა და ნდობაზე მიუთითებს, გაერთიანებულ სამეფოში კი – კონსერვატიზმე. თუ წითელი გვაღელვებს და გვაფორიაქებს, ლურჯი პირიქით – გვამშვიდებს და ვნებათაღელვას გვიოკებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „ქართული ოცნების“ გზავნილი ასე შეიძლება წავიკითხოთ: ბობოქარი ცხოვრებიდან მშვიდ და განონასწორებულ ყოფას დავუბრუნდეთ. სხვათა შორის, ჩვენ მიერ ზემოხსენებულმა სეგელამ მიტერანის საარჩევნო კამპანიაში მომეტებულად სწორედ ლურჯი ფერი გამოიყენა. სლოვანიც შესაფერისი მოუფიქრა: „მშვიდი ძალა.“ ეს ოქსიმორონი გახდა სწორედ მისი გამარჯვების საწინდარი.

ვიზუალურ მედიაენაში გამოხატულ პოლიტიკურ სიმბოლიკას შეუძლია ხელი შეუწყოს ხელისუფლებისა და საზოგადოების კომუნიკაციას, მაგრამ ასევე გააძლიეროს პოლიტიკურ ურთიერთობათა ასიმეტრიაცი. მსგავსი ვითარება განსაკუთრებით მკაფიოა ქვეყნებში, რომლებიც ძირითადი პოლიტიკური ინსტიტუტების შექმნის ეტაპზე იმყოფებიან. ამის ნათელ მაგალითად გამოგვადგება საქართველოში ახლახან ჩატარებული თვითმმართველობის არჩევნები. რიგითი ამომრჩევლების აპათიური განწყობა, რაც არჩევნებში მონაწილეობისგან თავის შეკავებით გამოიხატა, სხვა მიზეზებთან ერთად, განპირობებული იყო დაბნეულობით, რომელსაც მათში ხელისუფლებისთვის ბრძოლის გამომხატველი სულ უფრო მზარდი, აგრესიული პოლიტიკური სიმბოლიკის ცნებათა ექსპანსია წარმოქმნის. შედეგად, საარჩევნო კამპანიისას ხშირად გამოყენებული სიტყვები: „ხალხი“, „დემოკრატია“, „კანონი“, ამ სიმბოლოთა მნიშვნელობების გაუფასურებასა და, რაც განსაკუთრებით საშიშია, მათ საბოლოო წაშლას იწვევს ადამიანების წარმოდგენაში.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ თანადროულ ქართულ მედიაში პოლიტიკურ სიმბოლოთა ფუნქციონირების თავისებურება „სიმბოლისტური პოლიტიკის“ ცნების კონტექსტში განიხილება. იმ მნიშვნელობით, რომ ჩვენში პოლიტიკური მედიაკომუნიკაცია მიმართულია არა რაციონალური აღქმისკენ, არამედ მასებისთვის მყარი მნიშვნელობების შთაგონებისკენ, ვიზუალური ეფექტების ინსცენირების მეშვეობით.

მედიით გაცხადებულ პოლიტიკურ სიმბოლოებზე საუბარი დაუსრულებლად შეიძლება. ამ საკითხის აქტუალობა დღითიდღე იზრდება. არცაა გასაკვირი, რადგან თანამედროვე გლობალურ სამყაროში ძალაუფლებისთვის ბრძოლა სიმბოლოებისა და ნიშნებისთვის ბრძოლის გზაზე გადის და ეს პროცესი სულ უფრო აშკარა ხდება. ამიტომაც იწევს წინ მისი შესწავლის საჭიროება. რაც შეეხება წინამდებარე ნაშრომს, ცხადია, მას არ აქვს სიღრმისეული და მრავლისმომცველი კვლევის პრეტენზია. იგი მხოლოდ მოკრძალებული მცდელობა გახლავთ ამ უაღრესად საინტერესო, მრავალაქცენტიანი თემის ზოგიერთი, ჩვენი რეალობისთვის საგულისხმო ასპექტის წარმოჩენისა.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. **ავალიანი 2013:** ავალიანი ლ., „მეხსიერება“, უურნალი: „კრიტიკა“ 8, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2013.
2. **არუთინოვა 2010:** არუთინოვა, ნ., „სიმბოლო“, უურნალი „სემიოტიკა“, ინტერნეტში განთავსებულია 2010 წლის 2 აგვისტოდან, მის.: <http://semioticsjournal.wordpress.com/2010/08/02/>
3. **ბაილენბოფი 2010:** Байленхоф В., „Изображение – события Абу Граиб,, философско – теоретический журнал „Синий Диван,, № 14, изд., „Три квадрата,, Москва, 2010.
4. **ბარტი 1997:** Bart P., Camera Lucida, M., 1997.
5. **ბერეკაშვილი 2011:** ბერეკაშვილი თ., „ზოგიერთი თანამედროვე პოლიტიკური მეტაფორის შესახებ“, უურნალი: „სემიოტიკა“, 1, ილიას უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2007.
6. **გრიმბნერი 2003:** Grobner V., Ungestalten. Die visuelle Kultur der Gewalt im Mittelalter, Munchen, 2003.
7. **ნადარეიშვილი 2002:** ნადარეიშვილი მ., „პრესა და პოლიტიკური სიმბოლოები“, „უურნალისტური ძიებანი“ ტ. III, გამომც. „უნივერსალი“, თბ., 2002.
8. **პოჩებცოვი 1997:** Почебсов Г., „Символы в политической рекламе,, Киев, 1997.
9. **სეგელა 2010:** სეგელა ჟ., „ხმებზე ნადირობის ნაციონალური თავისებურებანი“, საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“, თბილისი, 2010.
10. **ფრევერტი 2004:** Frevert U., Momente der Macht. Die bilder von Abu Ghraib: Opfer, Darsteller und ihre Betrachter// FR.22 Mai 2004.

**Manana Shamilishvili**

Associate Professor

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**Political symbols within Georgian visual media language**

### Resume

Visual language, because of its universality, is widely used in political communication. There are many symbols around us and their world is a world full of power. Intentionally or unintentionally the government always manages

to generate symbols and often these symbols tend to work against the said authority. Symbols make any relationship understandable, simultaneously making them easily predictable. You can try to change the reality, but it is very hard and sometimes impossible – to change the symbols.

Today, Georgia is living with symbolism of the past and the present, because nowadays the symbols of opposite meanings can cohabitato effortlessly. A plethora of visual symbols are used in visual media, they serve as product symbols or make up political advertisements and they are also common during the branding process. From the point of view of symbolical communication, one of the most important links is the example of pop-culture, which is transmitted by media.

Political symbols serve as powerful broadcasters within the political and public discourse they do not only regulate the exchange of information between political institutions and the public, but also aid the flow of information within the political elite itself. In modern Georgian politics, the qualities of symbols are known and discussed as a part of „symbolical politics“. With the meaning that our political communication is not oriented towards rational perception but is more focused on influencing the mass public through visual tricks.

Political symbolism for Georgia, as well as other countries that are undergoing transformation, is becoming a tool for ambivalence, it has the capacity to aid the communication between the government and the general public as well as to empower the political relationship asymmetry. This tendency is emphasized during the pre-election period, when the voters are confused due to the political symbols streamlined through media, representing the battle in order to gain authority.

Study of the mentioned problem is based on Georgian works about political semiotics as well as on the ideas of Roman Jakobson, Ferdinand De Saussure, Pavel Florensky, Roland Barthes, Umberto Eco and other world renowned scientists who had works in semiotics. Within the given research, modern visual media examples, which serve as political symbols, are used as empirical data.

**ვლადიმერ ჩხაიძე**  
ასოცირებული პროფესორი, თსუ

**სივრცითი მონაცემების ეროვნული  
ინფრასტრუქტურა, საერთაშორისო მნიშვნელობა**

**შესავალი – რატომ სივრცითი ინფორმაცია**

თანამედროვე საზოგადოებაში ყველა ის საქმიანობა, რომელიც დედამიწის ზედაპირზე ხორციელდება, დაკავშირებულია სივრცით ინფორმაციაზე, მისი მოპოვების სისწრაფეზე, სიზუსტეზე და ამ ინფორმაციის მიმოცვლის შესაძლებლობებზე, რაც განაპირობებს მისი გამოყენების ეფექტურობას.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში კავშირგაბმულობისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების მიღწევებმა მოგვცა ამ მიმართულების მრავალფეროვანი გამოყენების შესაძლებლობები.

ეს განსაკუთრებით გამოიხატა სივრცითი – გეოგრაფიული ინფორმაციის შექმნაში, დამუშავებასა და გამოყენებაში. შესაძლებელი გახდა სხვადასხვა სახის გეოგრაფიული ინფორმაციის მოპოვება. მრავალი ორგანიზაცია თავისი საქმიანობის ფარგლებში ქმნის და იყენებს გეოგრაფიულ ინფორმაციას, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, საჭირო და ეფექტურია არა მარტო მნარმოებელი ორგანიზაციისათვის, არამედ სხვა ორგანიზაციებისთვისაც სახელმწიფო თუ კერძო სექტორში. ამ გარემოებამ განაპირობა გეოგრაფიული ინფორმაციის მიმოცვლის აუცილებლობა, რაც შეუძლებელია ასეთი ინფორმაციის წარმოდგენისა და სტრუქტურირების სტანდარტების არარსებობის პირობებში.


მთელს მსოფლიოში, განსაკუთრებით განვითარებულ ქვეყნებში, დადგა საკითხი სივრცითი ინფორმაციის მიმოცვლისა არა მარტო ცალკეულ უწყებებს, არამედ რეგიონებსა და ქვეყნებს შორის. ამ მიზნით ბევრ ქვეყანაში შეიქმნა ორგანიზაციები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ასეთი ინფორმაციის სტანდარტიზაციასა და მიმოცვლის უზრუნველყოფას.

2001 წელს ევროკავშირის ინიციატივით შეიქმნა არასამთავრობო ორგანიზაცია „ევროგეოგრაფიქსი“ (Eurogeographics), რომელიც უზრუნველყოფს კავშირებს ევროპის საკადასტრო, მიწის რეგისტრაციისა და კარტოგრაფიის უწყებებთან. მისი უმთავრესი დანიშნულებაა ევროკავშირის (და არა მარტო) წევრი ქვეყნებისა და ორგანიზაციების მიერ შექმნილი გეოგრაფიული ინფორმაციის ჰარმონიზაცია, სტანდარტიზაცია და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

### **რა არის სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურა (SDI)**

სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურა წარმოადგენს სტანდარტების, პერსონალისა და პოლიტიკის ერთობლიობას, რომელიც აუცილებელია გეოგრაფიული ინფორმაციის შეგროვების, მართვისა და გავრცელების ეფექტურობისათვის. მრავალი სახელმწიფო ორგანიზაცია და მკვლევარი ფლობს გეოგრაფიულ ინფორმაციას სხვადასხვა ფორმითა და კონტექსტით, ვინაიდან, საკუთარი მიდგომებიდან გამომდინარე, სხვადასხვაგვარად ათვითცნობიერებენ მას.

სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურა შეიძლება შემდეგნაირად გამოვსახოთ: (ნახ.1)



გეომონაცემები და მომსახურებები სტანდარტული სახით უნდა აღინიშნოს მეტამონაცემების კატალოგში, რათა პოტენციურ მომხმარებელს ჰქონდეს ზოგადი წარმოდგენა ხელმისაწვდომი მონაცემებისა და მომსახურებების შესახებ და, ასევე, ამ მონაცემებისა და მომსახურებების გამოყენების პირობების შესახებ.

გეომონაცემები, მომსახურებები და მეტამონაცემები დღეისათვის შექმნილია საერთაშორისო **სტანდარტების** გამოყენებით. სტანდარტების ISO<sup>1</sup> 19 100 სერიები ხელს უწყობს სპეციფიკაციების შექმნას გეომონაცემებისა და მეტამონაცემებისათვის, ხარისხის გაზომვებისა და სხვა ბევრი განაცხადისათვის. OGC<sup>2</sup> სტანდარტები ვებ რუკების მომსახურებებისთვის (WMS – Web Map Service), ვებ გამოსახვის მომსახურებებისთვის (WFS – Web Feature Service) და ვებ დაფარვის მომსახურებებისთვის (WFS), ისევე როგორც KLM, თავდაპირველად შექმნილი Google-ის მიერ, გამოიყენება სხვადასხვა სახის გეოსივრცითი მომსახურებებისთვის.

**კანონმდებლობა, წესები და ინსტრუქციები**, რომლებიც ხელს უწყობს გეომონაცემების ეფექტურ გამოყენებას, ასევე მნიშვნელოვანი ნაწილია ინფრასტრუქტურისა. ასეთმა კანონმდებლობამ, ამავე დროს, უნდა დაიცვას არსებითი ინტერესები დაკავშირებული, მაგალითად, ეროვნულ უსაფრთხოებასა და პიროვნულ ინტეგრირებასთან. კანონმდებლობამ, ასევე, უნდა განმარტოს პასუხისმგებლობები დაინტერესებული სააგენტოებისთვის.

ინფრასტრუქტურის ხელშეწყობა უნდა მოხდეს ეფექტური **ორგანიზაციის** მიერ, რომელსაც შეუძლია სამუშაოს კოორდინირება და განხორციელება.

SDI-ის განვითარება მოითხოვს **კომპეტენტურობას** სხვადასხვა სფეროებში, როგორიცაა გეოდეზია, კარტოგრაფია, ინფორმაციული და კომპიუტერული ტექნოლოგიები, კანონმდებლობა და ეკონომიკა. თავად SDI-ის კონცეფცია, ასევე, მნიშვნელოვანი თემაა განათლებისა და სწავლებისთვის.

კარგად ფუნქციონირებადი სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის შექმნის ძირითადი მიზნებია:

---

<sup>1</sup> [www.iso.org](http://www.iso.org)

<sup>2</sup> [www.opengeospatial.org](http://www.opengeospatial.org)

- მონაცემთა შეგროვებისა და ტექნიკური უზრუნველყოფის-თვის ხარჯების შემცირება სამუშაოს დუბლირების თავიდან აცილები-სა და ადგილობრივ, რეგიონალურ და ცენტრალურ დონეზე მონაცემ-თა მწარმოებლებს შორის ეფექტური თანამშრომლობის შექმნის მეშ-ვეობით;
- მონაცემთა ხარისხისა და თანმიმდევრულობის გაუმჯობესება, და მონაცემთა ხარისხის აღწერისათვის სტანდარტული მოდელების დანერგვა;
- სხვადასხვა წყაროებიდან მონაცემების გაერთიანების ხელ-შეწყობა სემანტიკური, ტექნიკური და ორგანიზაციული შეთავსების მიღწევის გზით;
- მონაცემებზე წვდომის გაუმჯობესება, მაგალითად, ვებ-ზე დამყარებული, კვირაში 7 დღის და 24 საათის გამავლობაში ხელმისაწ-ვდომი მომსახურებების შეთავაზებით;
- ელექტრონული მმართველობისა და სახელმწიფო ორგანოები-დან მიღებული მონაცემების გამოყენებაზე დამყარებული ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა.

#### **სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის განვითარება**

გეოგრაფიული ინფორმაცია ინარმოება ბევრი სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე. ინფორმაციის ეფექტური წარმოება, ტექნიკური უზრუნველყოფა და გამოყენება გულისხმობს კოორდინირებულ ქმედებებს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის ფუნქციური შეთავსების შექმნის მიზნით.

ევროკავშირის INSPIRE დირექტივები ქმნის საერთოევროპულ ინ-ფრასტრუქტურასა და საერთო წესებს საჯარო სივრცითი მონაცემე-ბისა და მონაცემთა მომსახურებების გაცვლის, გაზიარების, წვდომისა და გამოყენებისათვის. ჯერ კიდევ ბევრი გამოწვევაა, როდესაც საქმე ეხება დირექტივების ეფექტურ განხოციელებას.

მომავალი წლების განმავლობაში ყურადღება, ასევე, გამახვილე-ბული იქნება ეფექტური SDI-ის განვითარებასა და განხორციელებას-თან დაკავშირებულ სამუშაოზე ეროვნულ და ლოკალურ დონეზე, რა-თა მიღწეული იყოს წინა თავში აღნიშნული სარგებელი.

## გეოგრაფიული ინფორმაცია ე-მმართველობისთვის

ბევრ ქვეყანაში სწრაფად ვითარდება ე-მმართველობა. ფართო მასშტაბით ე-მომსახურებები დამყარებული იქნება მაღალი ხარისხისა და ინტერნეტით ხელმისაწვდომ, პარმონიზირებულ გეოგრაფიულ ინფორმაციაზე.

ე-მომსახურებების განვითარება, ასევე, განაპირობებს მჭიდრო თანამშრომლობას სხვადასხვა სააგენტოებს შორის და, ხშირ შემთხვევაში, პროცესების შემდგომ ცვლილებებს სხვადასხვა დავალებების შესასრულებლად.

### სოციალური ცვლილებები

ახალი თაობა შეუძლებლად მიიჩნევს ცხოვრებას ინტერნეტისა და მობილურ ტელეფონზე რამდენიმე დაწესებულებით დიდი რაოდენობის ინფორმაციაზე წვდომის გარეშე. „ჰომო საპიენსის“ ეს თვისება ასევე გავლენას მოახდენს გეოგრაფიული ინფორმაციის მიწოდების ბიზნესმოდელებზე.

ტექნოლოგიებისა და, ზოგადად, საზოგადოების ცვლილებები უფრო და უფრო სწრაფი გახდება, რაც ნიშნავს, რომ ცხოვრებაში უფრო საჭირო იქნება ხანგრძლივი განათლება.

საზოგადოებაზე დამყარებული რუკების წარმოება, სავარაუდოდ, გაიზრდება. არსებულ ინიციატივებთან ერთად, როგორიცაა Wikipedia, City wikis, Geonames, OpenStreetMap და Twitter, წარმოდგენილი იქნება სხვა სახის გაერთიანებული წყაროები. ახალი გამოწვევა იქნება ასეთი ინიციატივების ძლიერი მხარეების გამოყენება ეროვნული რუკების წარმოებასა და სიგრულითი მონაცემების ინფორმაციურაში.

### რუკა მოთხოვნით

ტექნიკური განვითარებისა და საზოგადოების ცვლილების შედეგად მომხმარებლები საჭიროებენ რუკას მოთხოვნით. გეომონაცემები ასრულებს მნიშვნელოვან როლს ყოველდღიურ ცხოვრებაში და ადამიანები მოძებნიან ინფორმაციას მაშინვე, როცა მათ დასჭირდებათ და არა მოგვიანებით, რუკებზე და ატლასებში.

## ახალი ბიზნესმოდელები

იმის გამო, რაც ზემოთ ითქვა ტექნიკურ და სოციალურ ცვლილებებთან დაკავშირებით, არსებული ფასწარმოქმნისა და ლიცენზირების მოდელები ხშირად მიჩნეულია საკმაოდ რთულად, ხისტად და ძვირადღირებულად. მნიშვნელოვანი მიმართულება იქნება ახალი ბიზნეს მოდელების მოძებნა, რომლებიც ხელს შეუწყობს მომხმარებელთა უფრო დიდ რაოდენობებს, გამოიყენოს არსებული მაღალი ხარისხის მონაცემები. ეს ასევე მოიცავს რუკების მნარმოებელი სააგენტოების მხრიდან უფრო მეტი უფასო მონაცემებით უზრუნველყოფას.

### დაკავშირებული მონაცემები

ადრეული დროიდან ადგილმდებარეობა უზრუნველყოფს ძლიერ ორგანიზაციულ საფუძველს საზოგადოებისათვის და მსოფლიოს შესახებ ჩვენი ცოდნისათვის. რუკებს, გეოგრაფიულ ცნობარებსა და ელექტორატებს – ყველას გააჩნია „ადგილი“ თავისი არსით. ამჟამად, მსოფლიო ინტერნეტ ქსელის გამოჩენიდან ორი დეკადის შემდეგ, ადგილმდებარეობას გააჩნია შესაძლებლობა ხელახლა განსაზღვროს ჩვენი ასაკის ციფრული საფუძველი „ვებ 3.0“-ის მეშვეობით, მონაცემის ვებით. მის არქიტექტურაში თავიდანვე ჩაშენებული „დაკავშირებული მონაცემი“ ხელახლა მოისაზრებს დოკუმენტების ვებს, გამოაჩენს მას „გლობალური ღია სამთავრობო მოძრაობის“ მიერ. ის საშუალებას იძლევა მონაცემი და ინფორმაცია იყოს გაზიარებული, მოძებნილი და ინტეგრირებული ისევე იოლად, როგორც დღეისათვის ჰიპერტექსტია.

### 3D ქალაქის მოდელები

მომხმარებლები მოითხოვენ უფრო რთულ და რეალურ მოდელებს შენობების ფასადების ზუსტი გეომეტრიული მოდელირებით. ეს მოითხოვს უმაღლეს ავტომატიზირებულ რეკონსტრუქციულ საშუალებებსა და 3D-ში ქალაქის მოდელების მართვასთან დაკავშირებულ ძირითადი პრინციპების სტანდარტიზაციას.

## ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიები

ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიები გააგრძელებს განვითარებას. რამდენიმე მაგალითია პარალელური გამოთვლები მულტიკორული და უჯრედოვანი პროცესორებით, ვიზუალიზაციის ახალი ტექნიკური ხერხები (3D) და ღრუბლოვანი გამოთვლები (cloud computing). აშკარაა, რომ სანახაობითი საშუალებების განვითარებაც გეოსივრცითი გზით ((Microsoft's Natal, Sony Motion Controller, Nintendo WII) მიდის.

სავარაუდოდ, სწრაფად გაიზრდება „ღრუბლოვანი გამოთვლები“, რომელიც აერთიანებს ინფრასტრუქტურის კომპინაციებს მომსახურების სახით, პლატფორმას მომსახურების სახით და პროგრამულ უზრუნველყოფას მომსახურების სახით.

მობილური მოწყობილობები კიდევ უფრო გაძლიერდება. დღეისათვის უკვე არსებობს 100 000-მდე განაცხადი გარკვეული სახის გეოგრაფიული ინფორმაციით. მობილურ ტელეფონებს უკვე გააჩნიათ GPS და კომპასები და მალე ისინი ასევე აღიჭურვება ადგილმდებარების განმსაზღვრელი სხვა სახის სისტემებით (MEMS, INS, RFID), რაც მათ შენობებში სრული ნავიგაციის საშუალებას მისცემს.

## მონაცემთა მოგროვების ტექნიკა

გაგრძელდება მონაცემთა მოგროვების ტექნიკის განვითარება ახალი საშუალო ფორმატიანი კამერებით, LIDAR, ახალი სატელიტო-თა და სენსორებით და UAV-ის გამოყენებით.

## სტანდარტიზაცია

საერთაშორისო სტანდარტიზაციის სამუშაოს, განსაკუთრებით ISO/TC 211-ისა და OGG-ს ფარგლებში, მნიშვნელოვანი გავლენა აქვს და კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდება მომავალი წლების განმავლობაში. იმ მიზნით, რომ მოხდეს სტანდარტიზაციის სამუშაოში ინვესტიციების სრული გამოყენება, საჭიროა შემოთავაზებული სტანდარტების უკეთ ტესტირება და სტრატეგიების განხორციელებაზე მუშაობა.

## INSPIRE დირექტივების სტრუქტურა

როგორც უკვე იყო აღნიშნული, INSPIRE (Infrastructure for Spatial Information in the European Community) შეიქმნა სივრცითი ინფორმაციის სტანდარტების დასაცავად. იგი მოიცავს მონაცემთა სამი ჯგუფისგან შემდგარ სტრუქტურას:

### პუნქტი /

- კოორდინატთა სისტემა;
- გეოგრაფიული ბადე;
- გეოგრაფიული სახელწოდებები;
- ადმინისტრაციული ერთეულები;
- მისამართები;
- საკადასტრო ნაკვეთები;
- სატრანსპორტო ქსელები;
- ჰიდროგრაფია;
- დაცული ტერიტორიები.

### პუნქტი //

- სიმაღლური მოდელის სისტემა;
- მიწის საფარი;
- ორთოფოტოები;
- გეოლოგია.

### პუნქტი ///

- სტატისტიკური ერთეულები;
- შენობები;
- ნიადაგი;
- მიწათსარგებლობა;
- ჯანდაცვა და უსაფრთხოება;
- კომუნალური და სამთავრობო მომსახურება;
- გარემოს დაცვის მონიტორინგის საშუალებები;


- წარმოებისა და ინდუსტრიის საშუალებები;
- სოფლის მეურნეობისა და აკვაკულტურული საშუალებები;
- არეალის მართვა/შეზღუდვა/ რეგულირების ზონები და ანგა-  
რიშვალდებული ერთეულები;
  - ბუნებრივი რისკის ზონები;
  - ატმოსფერული პირობები;
  - მეტეოროლოგიური გეოგრაფიული მახასიათებლები;
  - ოკეანოგრაფული გეოგრაფიული მახასიათებლები;
  - ზღვის რეგიონები;
  - ბიო-გეოგრაფიული რეგიონები;
  - ბუნებრივი გარემო და ბიოტიპები;
  - სახეობების განაწილება;
  - ენერგიის წყაროები;
  - მინერალური რესურსები.

### მიმდინარე შედეგები

ევროპის გეოპორტალზე (ევროგეოგრაფიქსი – ევროპის გლობა-  
ლური რუკა – EGM) შექმნილი და ინტეგრირებულია შემდეგი თემები:

- ადმინისტრაციული საზღვრები;
- დასახლებული პუნქტები;
- სატრანსპორტო ქსელი;
- ჰიდროგრაფიული ქსელი;
- გეოგრაფიული სახელწოდებები;
- ინტერესის მიერთებული მდგრადირებები.

იგი შემდეგნაირად გამოიყურება: (ნახ. 2)



### არსებული მდგომარეობა და ინიციატივები

საქართველოს გეოსივრცითი მონაცემების სტრატეგია 2014-2015 წლისათვის. შექმნილი და ჩამოყალიბებულია სამუშაო კომისია, რომელიც შექმნის სამუშაო ჯგუფებს და გადაანილებს შესასრულებელ სამუშაოებს. სტრატეგიის ფარგლებში პროექტის კოორდინაცია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს დაევალა.

კომისიისა და სამუშაო ჯგუფების მუშაობის პროცესში დადგინდება სივრცითი მონაცემების შემქმნელი და მომხმარებელი ორგანიზაციები.

### მიზნები და სამოქმედო გეგმები

დაინტერესებულ მხარეთა სარგებელი:

საქართველოს სივრცით მონაცემთა ინფორმაციის (SDI) სტრატეგიის ფორმულირებასა და, ასევე, სტრატეგიის განხორციელებაში წვლილის შეტანა. გეოსივრცითი მონაცემების წარმოებისა და გამოყენების გასაუმჯობესებლად სტრატეგიამ უნდა მოგვცეს მომავალი მიმართულებებისა და საქმიანობების ნათელი სურათი. ამასთან, მან უნდა შექმნას საფუძველი მიმდინარე და შემდგომი მოქმედებებისთვის,

სივრცითი მონაცემების ეროვნული  
ინფრასტრუქტურა, საერთაშორისო მნიშვნელობა

სხვადასხვა საქმიანობებს შორის პრიორიტეტების განსაზღვრისთვის  
და, ასევე, დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობისთვის.

შორეული ხედვა სივრცითი ინფორმაციის სამართავად ფორმუ-  
ლირებულია შემდეგნაირად:

რაც შეიძლება მარტივი, რაც შეიძლება ბევრისთვის, ხელმისაწვდომი  
გეოგრაფიული ინფორმაციის მოსაძებნად, გასაგებად და გამოსაყე-  
ნებლად დაგეგმილი ქმედებები:

	დასახელება	აღწერა	შედეგი
1	ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრას-ტრუქტურის (NSDI) განვითარების შესახებ გრძელვადიანი კომუნიკაციის სტრატეგიის შემუშავება.	სამინისტროების/სააგენტოების მიერ მიზნობრივი ჯგუფების განსაზღვრა და ინფორმაციის მიწოდება NSDI-ის კომისიის ფარგლებში არსებულ საზოგადოებასთან ურთიერთობის (PR) ჯგუფისთვის, რომელიც შემდეგ ეტაპზე იმუშავებს ამ მიზნობრივ ჯგუფებთან.	სივრცით მონაცემთა ინფრასტრუქტურის (SDI) უპირატესობები კარგად არის ცნობილი.
2	კანონმდებლობის შემუშავება.	გეოგრაფიული ინფორმაციის წარმოება და გამოყენება უნდა იმართებოდეს შესაბამისი კანონმდებლობით, ნათელი და მარტივი საკანონმდებლო წესებით. კანონმდებლობა, ემართველობის განვითარებიდან გამომდინარე, მოთხოვნილებებთან უნდა იყოს შესაბამისობაში.	გეოგრაფიული ინფორმაციის მიწოდება რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით.

3	გეომონაცემების გამოყენების პირობებისა და შესაბამისი საფასურის შემუშავება.	გეომონაცემების გამოყენების პირობები და საფასურები ხელს უნდა უწყობდეს არსებული მონაცემებისა და მომსახურებების ფართოდ გამოყენებას. მომხმარებლისთვის განკუთვნილი გამოყენებისას ადვილი უნდა იყოს პირობებისა და საფასურების ნახვა და გაგება. პირობები და საფასური უნდა იყოს შესაფერისი, არადისკრიმინაციული და ნათლად აღწერილი. ლიცენზირების ნარმართვა უნდა იყოს სწრაფი და მომხმარებელს აძლევდეს მონაცემებზე ადვილი წვდომის საშუალებას.	გეოგრაფიული ინფორმაციის გამოყენების პირობები და საფასური მარტივი და ერთნაირია.
4	მეტა მონაცემების სტანდარტის პროფილის შექმნა საქართველოსთვის.	გეოგრაფიულ მონაცემთა ბაზები და მომსახურებები აღწერილი უნდა იყოს მეტა მონაცემების კატალოგის სისტემაში გასაგებად, ერთნაირად და მომხმარებლისთვის მოსახერხებელი ფორმით.	გეოგრაფიული ინფორმაცია და მომსახურებები აღწერილი ადვილი და მომხმარებლისთვის მოსახერხებელი ფორმით.
5	პირველი რიგის საბაზისო სივრცითი მონაცემების თემატური პრიორიტეტების განსაზღვრა და იმ სახელმწიფო ორგანოების იდენტიფიცირება, რომელთა საქმიანობასაც განეკუთვნება ეს მონაცემები.	უნდა გაუმჯობესდეს მომხმარებელთა მოთხოვნების შესაბამისად თანამედროვე გეოგრაფიულ მონაცემთა ბაზების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული სიტუაცია. უნდა გაადვილდეს სხვადასხვა წყაროებდან გეოგრაფიული მონაცემების გაერთიანება – მონაცემების ერთიანად წარმოდგენის, წაკითხვისა და ანალიზის მიზნით.	ძირითადი გეოგრაფიული ინფორმაციის წარმოება პრიორიტიზირებულია ოპტიმალური სახით და ადვილია სხვადასხვა წყაროებიდან მონაცემების გაერთიანება.

სიგრულითი მონაცემების ეროვნული  
ინფრასტრუქტურა, საერთაშორისო მნიშვნელობა

6	სახელმწიფო ორგანო-ების გეო და IT ინ-ფრასტრუქტურის კვლევა-ანალიზი. მონაცემთა გაზიარების კონცეფციის შემუშავება.	უახლოეს მომავალში გეოგრაფიული ინფორმაციის მომხმარებლებსა და მნარ-მოებლებს ურთიერთობა ექ-ნებათ ინტერნეტზე დაფუძნებული მომსახურებებით. შესაძლებელი იქნება მომსახურების სხვადასხვა სახეების გაერთიანება.	მომსახურებები ად-ვილად ხელმისაწვდომია და შეესაბა-მება მომხმარებლის საჭიროებებს.
7	SDI კოორდინაცია.	საქართველოს SDI უნდა იყოს კარგად კოორდინირებული და ეფექტური კავშირები უნდა შეიქმნას ევრო-კავშირთან და მის INSPIRE დირექტივების განხორციელებასთან.	საქართველოს SDI-ის საქმიანობები სათანადოდ კოორდინირებულია.
8	გეოინფორმაციული სისტემების (GIS) სწავლების არსებული კურსების ანალიზი და გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება.	გეოინფორმაციული სისტე-მების (GIS) სწავლების არსებული კურსების ანალიზი და გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება საქართველოს უნივერსიტეტებში გეოინფორმატიკის სფეროში სასწავლო პროგრამების გასაუმჯობესებლად.	სათანადო ცოდნა და გამოცდილება ინფრასტრუქტურის გამოყენების, შექმნისა და ტექნიკური უზრუნველყოფის კუთხით.

### უახლოესი გეგმები:

2015 წლის ბოლოსათვის უნდა იყოს დასრულებული შემდეგი სამუშაოები:

- გეო პორტალის შექმნა;
- გეოპორტალზე მეტამონაცემების შეყვანის ინტერფეისის დამუშავება;
- ინფორმაციის განთავსების ინფრასტრუქტურის შექმნა;
- ტექნიკური ჯგუფების კვალიფიკაციის ანალიზი, ტრენინგების დაგეგმვა და პერმანენტული ჩატარება;

## გამოყენებული ლიტერატურა

1. www.napr.gov.ge
2. www.maps.napr.gov.ge
3. www.eurogeographics.org
4. www.gsdi.org.
5. www.geodata.se.
6. Steven Ramage.
7. Head of Ordnance Survey International.
8. Member of the OGC Global Advisory Council.

**Vladimer Chkhaidze**

Associate Professor

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

### **National Spatial Data Infrastructure (NSDI), International Importance**

#### **Resume**

Geospatial information infrastructure is gaining ever – increasing attention, though academic studies on creating and using that infrastructure remain scarce and. It is clear that the rapid rise of the amount and diversity of data describing surface of the earth, as well as relevant technological developments gives possibilities of new approaches.

In recent decades it became undistinguishable part of the activities, related to the earth surface. New features due to the technical development are becoming more powerful and easy to use for the different disciplines, such as scientific studies as well as for practical implementation.

Many organizations and entities in the world are creating and developing spatial data for their own needs and requirements. At the same time created spatial (Geographical) data can be shared and used by other entities. The problem of data sharing between data producers rose considerably. Spatial data should be shared on the international level. In many countries particular organizations, responsible for solving the given task have been created.

The issue describes the steps that have already been taken in Georgia, institutional approaches of creation, NSDI, standards, technical descriptions, action plans and expected results.

## თამარ ჩარკვიანი

დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანა ჭელიძე

დოქტორანტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

### ინტერკულტურული დიალოგი

და კულტურული მრავალფეროვნების მიმღეობა

(ბოლნისისა და ნინოშინდის მაგალითზე)

ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვა და მათი სამოქალაქო ინტეგრაცია საქართველოს სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის უმნიშვნელოვანეს საკითხთა რიგს უნდა მიეკუთვნებოდეს. სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში არსებობს მრავალი გამოწვევა, რომელიც აქტუალური/მნვავეა და დროულ გადაწყვეტას მოითხოვს. საქართველო მრავალფეროვანი და მრავალეთნიკური ქვეყანაა, მისი მოსახლეობის დაახლოებით 13%-სათვის ქართული მშობლიური ენა არ არის. ქართული სოციალურ-კულტურული გარემოს ნაკლებობა რეგიონებში კიდევ უფრო აშორებს ეთნიკურ სომხებსა და აზერბაიჯანელებს თავიანთი თანამოქალაქეებისაგან. სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს შორის ურთიერთგაუცხოება, მათ შორის ეთნიკურ ჯგუფებს შორისაც, ქმნის ამ ჯგუფის წარმომადგენლების მიმართ წინასწარი განწყობებისა და სტერეოტიპების ფორმირების წინაპირობას, რაც, თავის მხრივ, შეიძლება გახდეს ურთიერთდაპირისპირების მიზეზი.

ჩვენს მიერ 2011-2013 წლებში ჩატარებული ემპირიული სოციო-ლოგიური კვლევების ცენტრალური ამოცანაა ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში ეთნიკურად არაქართველი ახალგაზრდების ინტეგრაციის ხელისშემწყობი/შემშლელი ფაქტორების იდენტიფიცირება. კვლევის მიზანს წარმოადგენდა ნინოშინდასა და ბოლნისის რაიონებში ეთ-

ნიკური უმცირესობების კულტურული ინტეგრაციის და კულტურული მრავალფეროვნების მიმართულებით არსებული ვითარების ანალიზი.

კვლევის მიზნების, ამოცანებისა და სამიზნე ჯგუფის გათვალისწინებით ჩამოყალიბდა შერჩევის კრიტერიუმები, რომელთა შესაბამისადაც განისაზღვრა სკოლები, რომლებშიც ჩატარდა სოციოლოგიური კვლევის საველე სამუშაოები. შეირჩა თვითმმართველი ერთეულები, რომლებიც კომპაქტურად დასახლებულია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით – ბოლნისი და ნინოწმინდა. შერჩეულია სოფლები, სადაც ეთნიკური უმცირესობები უმრავლესობას წარმოადგენს ეთნიკურად ქართველ მოსახლეობასთან მიმართებაში.

სოციოლოგიური კვლევა დაეყრდნო თვისებრივი და რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდებს.

- ჩალრმავებული ინტერვიუები საჯარო სკოლის დირექტორებთან და განათლების რესურსცენტრების წარმომადგენლებთან.
- ჩალრმავებული ინტერვიუები საჯარო სკოლის მასწავლებლებთან და მოსწავლეების მშობლებთან;
- რაოდენობრივი სოციოლიგური კვლევის შერჩევითი ერთობლიობა მოიცავს 160 მოსწავლეს (ყოველ რეგიონში 80-ს) და 20 მასწავლებელს (ყოველ რეგიონში 10-ს).

## I თავი.

### ქართული ენის ცოდნის დონე ახალგაზრდებში

ქართული ენის ცოდნისა და მისი შესწავლის მიმართ დამოკიდებულების ანალიზი მიმდინარე კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. ნინოწმინდისა და ბოლნისის რაიონებში აღნიშნული პრობლემის აქტუალობა, არა მხოლოდ ამ საკითხთან დაკავშირებულ არაერთ კვლევაში იყო ცალსახად აღნიშნული, არამედ ნათლად გამოიკვეთა ჩვენს მიერ 2011 წელს ჩატარებულ კვლევაშიც. სწორედ პრობლემის სიმწვავით საბუთდებოდა ენის კურსების აუცილებლობა რეგიონის მოსწავლეებისათვის.

საბჭოთა პერიოდში რუსული ერთადერთი ოფიციალური ადმინისტრაციული ენა და ე.წ. ლინგუა ფრანგა იყო საქართველოში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში. ეროვნული უმცირესობებისათვის საგანმანათლებლო დაწესებულებათა მეშვეობით მათი მშობლიური ენე-

ბის გამოყენებისა და შენარჩუნებისათვის ხელსაყრელი პირობები არ იყო შექმნილი. ამგვარი პოლიტიკა განსაკუთრებით 1950-იანი წლები-დან ტარდებოდა. საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში ქართული ენის ცოდნა ეროვნული უმცირესობებისათვის პრიო-რიტეტს არ წარმოადგენდა, რადგან რუსული უმრავლესობისა და უმ-ცირესობათა ურთიერთობებში გამაერთიანებელი ენის ფუნქციას ას-რულებდა. ზოგადი დაწყებითი და საშუალო განათლება უმცირესობა-თა ენებზეც იყო ხელმისაწვდომი. მიუხედავად იმისა, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლება ქართულად მიმდინა-რეობდა და ქართული, იმ დროსაც, ასევე, რესპუბლიკის ოფიციალური სახელმწიფო ენა იყო, საქართველოს სსრკ-ს ზემოხსენებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების უმრავლესობაში რუსულენოვა-ნი სექტორებიც ფუნქციონირებდა. შედეგად, საბჭოთა კავშირის დაშ-ლისას ეროვნული უმცირესობების ძირითადი ნაწილი ქართულს ძალი-ან დაბალ დონეზე, თუკი საერთოდ, ფლობდა. განსაკუთრებით ეს ეხე-ბოდა მათ, ვინც ცხოვრობდა ეროვნულ უმცირესობათა მიერ მჭიდ-როდ დასახლებულ რეგიონებში – სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქარ-თლში.

სამცხე-ჯავახეთი და ქვემო ქართლი დასახლებულია სომხებითა და აზერბაიჯანელებით, რომელთა უმრავლესობა ქართულ ენას ძალი-ან ცუდად ფლობს. უკანასკნელი გარემოება აფერხებს უმცირესობათა ჯგუფების ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციას და მათთვის გა-ნათლების ხელმისაწვდომობასთან მიმართებაში ყველაზე მნიშვნელო-ვან პრობლემას წარმოადგენს. სახელმწიფო პოლიტიკის გატარების კუთხით ერთ-ერთი პრობლემური საკითხი ეროვნულ უმცირესობათა განათლების სფეროში არსებული საჭიროებების შესაბამისი, ადეკვა-ტური განათლების შეთავაზება და სახელმწიფო ენის სწავლების პრო-ცესის მხარდაჭერაა.

ითვლება, რომ სკოლის დამთავრებისას ყველა მოსწავლე ქარ-თულს თავისუფლად უნდა ფლობდეს. ქართული ენის ცოდნა განსა-კუთრებით მნიშვნელოვანია იმ მოსწავლეებისათვის, რომლებსაც უმაღლესი განათლების მიღება სურთ, ვინაიდან სწავლების ენას სა-ქართველოს ყველა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ქართული წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, არაქართულენოვანი სკო-ლების მოსწავლეები ქართულს დაბალ დონეზე ფლობენ, განსაკუთრე-

ბით კი ისინი, ვინც უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში (სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში) ცხოვრობენ.


სწორედ ამიტომ 2003-2004 წლებში რეზიმის შეცვლის შემდეგ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მთელ რიგ საკანონმდებლო ცვლილებებსა და პოლიტიკურ რეფორმებს ახორციელებს განათლების სისტემაში ენის პოლიტიკის, როგორც უმცირესობათა ჯგუფების სამოქალაქო ინტეგრაციის მთავარი ინსტრუმენტის, მნიშვნელობის გათვალისწინებით.

ბოლო წლებში, სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობისა და ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვის მიზნით მრავალი სახელმწიფო თუ არასახელმწიფო პროგრამა განხორციელდა. რამაც გარკვეული დადებითი შედეგები გამოიღო და ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობი ფონი შექმნა.

ეროვნული უმცირესობების მიერ განათლების მიღება პირდაპირ უკავშირდება სახელმწიფო ენის სწავლებას. განათლების სფეროს ექსპერტების შეფასებით ამ კუთხით ამჟამად მიმდინარე ცვლილებები არასაკმარისია, რაც გამოიხატება იმაში, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე ქართული ენის ფლობის ხარისხი ეროვნულ უმცირესობებში მნიშვნელოვნად არ გაუმჯობესებულა.

2011 წლის კვლევის მონაცემებით ქართული ენის არცოდნის პრობლემა აშკარად დგას პროექტის სამიზნე ჯგუფში. გამოკითხული რესპონდენტების თითქმის 80% აღიარებდა სახელმწიფო ენის არცოდნას. პრაქტიკულად არ გამოვლინდა ქართული ენის ცოდნის მხრივ ხელშესახები განსხვავება დემოგრაფიული მაჩვენებლების – სქესის, სტატუს ჯგუფის (მასწავლებელი-მოსწავლე) მიხედვით (იხ. დიაგრამა 1).

**დიაგრამა 1.** 2011 წლის კვლევის მონაცემები – ფლობთ თუ არა ქართულს?



მცირედი განსხვავება შეინიშნებოდა ქართული ენის ფლობასთან დაკავშირებით ნინოწმინდისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტების რესპონდენტების პასუხებში. აზერბაიჯანელი რესპონდენტების 26% ქართული ენის ცოდნის დონით კმაყოფილი იყო, იგივე საკითხზე სომეხი რესპონდენტების მხოლოდ 19% პასუხობდა დადებითად. სხვაობა ქართული ენის შეფასების მხრივ 6%-ს შეადგენდა. აღნიშნული მონაცემი, ვალიდურობის თვალსაზრისით, არ იმსახურებს აბსოლუტურ ნდობას, რადგან რესპონდენტების სუბიექტურ შეფასებას ეყრდნობა.

2013 წელს ჩატარებული კვლევის შედეგები ქართული ენის ფლობის დონის შესაფასებლად განსხვავდება 2011 წლის მონაცემებისაგან. ორივე რაიონის მოსახლეობის მხოლოდ 12% მიიჩნევს, რომ ქართულ ენას სრულყოფილად ფლობს, აქვე უნდა დავძინოთ, რომ აღნიშნულ პროცენტულ მაჩვენებელში ეთნიკურად ქართველი რესპონდენტების ხვედრითი წილი მაღალია. ქართული ენის ცუდად ფლობის მაჩვენებლი 12%-ს უტოლდება, ხოლო საშუალოდ ფლობის მაჩვენებლი 76%-ს კვლევაში არ დაფიქსირებულა ქართულის საერთოდ არმცოდნე რესპონდენტების კატეგორია.

ენის ცოდნის საკითხი სქესის ცვლადთან მიმართებაში გავაანალიზეთ – ქალი რესპონდენტების 78%, ხოლო მამაკაცების 73% აცხადებს, რომ ქართულ ენას საშუალოდ ფლობს, რაც შესაძლოა პროექტის ბენეფიციართა შორის ქალთა სქესის რაოდენობის მეტობით აიხსნას. სიტუაცია უფრო მძიმედ ნინოწმინდის რაიონში იხატება – რესპონდენტების 84% მიიჩნევს, რომ ქართულ ენას საშუალოდ ფლობს, მიუხედავად იმისა რომ იგივე მაჩვენებელი უფრო დაბალია 67% ბოლნისში, ქართული ენის სრულყოფილად ფლობის მაჩვენებელი ნინოწმინდაში მხოლოდ 2%-ია, ხოლო ბოლნისში – 22%. ქართული ენა რომ არაპოპულარულია სამიზნე რაიონების მოსახლეობაში მოწმდება იმ ფაქტითაც, რომ ოჯახ-

ში ქართულად რესპონდენტთა მხოლოდ 10% საუბრობს. რაც ლოგიკურია, ქართულის ცოდნის ასეთი დაბალი მაჩვენებლის ფონზე.

კვლევა ცხადყოფს, რომ რუსულს, ისევე როგორც ქართულს, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები ოჯახში სასაუბრო ენად არ იყენებენ. ოჯახში რუსულ ენაზე საუბრის მაჩვენებელი ქართულსაც კი ბევრად ჩამუვარდება და შეადგენს 0%-ს. თუმცა, როგორც მეორე სალაპარაკო ენა მეტ-ნაკლებად არ კარგავს აქტუალობას და 11%-ს შეადგენს. ამ ფონზე ქართული ენა გაცილებით აქტუალურია და სხვა ერებთან ურთიერთობისას მისი გამოყენების მაჩვენებელი 87%-ს აღნევს. ბუნებრივია, რომ ეს მაჩვებელი ბოლნისში ნინოწმინდასთან შედარებით უფრო მაღალია, რადგან ბოლნისი ქართველებით გაცილებით უფრო მეტად არის დასახლებული. ამდენად, ბოლნისში სხვა ერებთან ურთიერთობისათვის რესპონდენტების თითქმის 100% ქართულს იყენებს, ხოლო ნინოწმინდაში 76%. ნინოწმინდაში რუსული ენა მაინც უფრო ფუნქციონალურად რჩება, ვიდრე ბოლნისში. ბოლნისში მას, როგორც პირველ ენას, ფაქტობრივად აღარ იყენებენ, განსხვავებით ნინოწმინდისაგან, სადაც მოსახლეობის 24%-ში ის კვლავ აქტუალურია, ანუ ბოლნისში მეორე ენის ფუნქციას რუსული მეტ-ნაკლებად ინარჩუნებს.

ჩაღრმავებული ინტერვიუები ქართული ენის ფლობის საკითხის შესახებ უფრო სრულ სურათს იძლევა. იკვეთევბა, რომ ქართული ენის ცოდნის დონე საგრძნობლად განსხვავდება ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობას შორის. მაგალითად, ჯავახეთის ქალაქების, ახალქალაქისა და ნინოწმინდის სკოლების მეცხრე და მეათე კლასის მოსწავლეები დამაკმაყოფილებელ დონეზე საუბრობენ ქართულად – თუმცა, არა თავისუფლად. ხოლო, რეგიონის სოფლების მოსახლეობა ერთენოვანია და, მეტნილად, ძალიან დაბალ დონეზე ფლობს ქართულს. უკანასკნელი ვითარება, ძირითადად, განპირობებულია სწავლების დაბალი ხარისხით, მასწავლებელთა შორის ქართული ენის ცოდნის ზოგადად დაბალი დონითა და ასევე, ეროვნული უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში ე.წ. „ქართული გარემოს“ არარსებობით.

ქართული ენის სწავლების მოტივაცია, ნინა წლებთან შედარებით, მომატებულია, რაც განსაკუთრებით შეიმჩნევა ქვემო ქართლში. ინტერვიუების მონაცემებით მოსახლეობის ნაწილი სახელმწიფო ენის სწავლების პრობლემის გადაწყვეტას ქართულ სკოლაში შვილის შეყ-

ვანით ცდილობს, მაგრამ ამის შემდეგ ბავშვის წინაშე დგება მრავალი პრობლემა, რომელიც ჯერ კიდევ არ არის დაძლეული.

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ქვემო ქართლში, ზოგადი განათლების მიმართულებით, წინა წლებში შედარებით, განსხვავებული ვითარებაა. როგორც წინა წლებში იკვეთებოდა, მოსახლეობის დიდ ნაწილს ბავშვები ქართულ სკოლებში შეჰყავდა, ანუ მათ სუბმერსიულ პროგრამებში რთავდა. დღეს ისინი ამბობენ, რომ ქართულ სკოლაში შვილის შეყვანა გამოსავალი არ არის; აუცილებელია აზერბაიჯანულ სკოლებში სახელმწიფო ენის ისეთი კარგი სწავლება, რომ შემდგომში მათ შვილებს არ გაუჭირდეთ უმაღლესი განათლების მიღება და მუშაობა საქართველოში. გასულ წლებში სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა ქართულ სკოლებში შვილების შეყვანის დიდ მონდომებას არ ამჟღავნებდა. ამ რეგიონში მშობლები ამჟამადაც მიიჩნევენ, რომ მათმა შვილებმა უნდა ისწავლონ სომხურ სკოლაში, სრულფასოვნად შეითვისონ ქართული ენის გაკვეთილები და სახელმწიფო ენა, საკუთარ მშობლიურ ენასთან ერთად ისწავლონ.


## II თავი.

### ინტერკულტურული დიალოგის და გაგების უნარები

კულტურული მრავალფეროვნების მიმღეობა და ეროვნულ უმცირესობათა კულტურის შენარჩუნება/დაცვა მნიშვნელოვანია საერთო კულტურულ ცხოვრებაში მათი სრულყოფილი მონაწილეობის, ურთიერთნდობისა და სამოქალაქო ერთობის განცდის მისაღწევად. საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია თითოეული მოქალაქის კულტურული განვითარება, კულტურულ ცხოვრებაში თანამონაწილეობა, კულტურული თვითმყოფადობის გამოვლინება და გამდიდრება. ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში სხვადასხვა ეთნოსებს შორის კულტურული ინტეგრაცია სრულფასოვანი თანაცხოვრების და რეგიონის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. ურთიერთნდობა, ერთობის განცდა, კულტურათა დიალოგი აუცილებელია კონსოლიდირებული საზოგადოების არსებობისთვის. კულტურული მრავალფეროვნებით გამორჩეულ ქვეყანაში, როგორიცაა საქართველო, მეტად მნიშვნელოვანია საზოგადოების ყველა წევრის სამოქალაქო ცნობიერების დონის ამაღლება. მოსახლეობაში სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება ხანგრძლივი და კომპლექსური

პროცესია. ამ მიმართულებით მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს საზოგადოების ყველა სფეროში, განსაკუთრებით – განათლებისა და კულტურის სფეროებში.

**დიაგრამა 2.** როგორ შეაფასებთ იმ ურთიერთობას, რომელიც თქვენს საცხოვრებელ ადგილას არსებობს ქართველებსა და არაქართველებს შორის, ეს ურთიერთობა არის:




მეგობრულ და კეთილმეზობლურ ურთიერთობად აფასებს რესპონდენტთა 85% იმ ურთიერთობას, რომელიც მათ საცხოვრებელ ადგილას არსებობს ქართველებსა და არაქართველებს შორის. თუმცა, ხაზგასმას იმსახურებს ის გარემოება, რომ ნინონმინდის შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 94%, ხოლო ბოლნისში 76%. ნინონმინდა, ფაქტობრივად, სომხური მოსახლეობით არის დასახლებული და აქ პრაქტიკულად არ დგება სხვა კულტურის მიმღევობის რეალური შესაძლებლობა, განსხვავებით ბოლნისისაგან, სადაც ეთნიკური ლანდშაფტი გაცილებით უფრო მრავალფეროვანია.

2011 წლის კვლევის მონაცემების თანახმად, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები სხვა ეთნოსებთან ურთიერთობის ერთერთ ძირითად ბარიერად ენის არცოდნას ასახელებდნენ (83%). იმ ეტაპზე საკმაოდ დაბალი მაჩვენებელი ერგო სხვა მახასიათებლებს: რელიგია 8%, ეთნიკური წარმომავლობა 15%, პოლიტიკური შეხედულებები 6%, ყოფით ცხოვრებაში პრობლემები 9%. შერჩეულ ტერიტორიულ ერთეულებში, რესპონდენტთა შეფასებიდან გამომდინარე, ურთიერთობა ქართველებსა და არაქართველებს შორის, როგორც წესი, მეგობრული და კეთილმეზობლურია (65%). დაძაბული და კონფლიქტური ურთიერთობების ხვედრითი წილი პრაქტიკულად უმნიშვნელო

იყო. ქართველებსა და არაქართველებს შორის თანაცხოვრება ასევე 20%-ის მიერ ფასდებოდა როგორც ნეიტრალური (20%).

ეთნიკურ ჯგუფებს შორის მჭიდრო ინტერკულტურული ურთიერთობების განვითარებას, რესპონდენტების აზრით, სამი ძირითადი ხელისშემლელი ფაქტორი აფერხებს: პირველ რიგში, ეს ისევ და ისევ გამოწვეულია ენის არცოდნის პრობლემით (93%), მეორე მხრივ, რელიგიით (19%) და მესამე ეთნიკური წარმომავლობით (12%). ეს უკანასკნელი ფაქტორი განსაკუთრებით მდედრობითი სქესის რესპონდენტების მხრიდან აღმოჩნდა ხაზგასმული (58%). ეთნიკური და რელიგიური ფაქტორი ნინონმინდასთან შედარებით აქტუალურია ბოლნისისათვის (84-94%) (იხ. დიაგრამა 3). ეს ლოგიკურია, პირველ რიგში, თავად ეთნიკური ლანდშაფტის, ხოლო მეორე მხრივ, რელიგიურ აღმსარებლობებს შორის სერიოზული განსხვავების გამო. მაშინ როდესაც, ფაქტობრივად, არცერთი აღნიშული ფაქტორი ნინონმინდისათვის აქტუალური არ არის – ეთნიკური ლანდშაფტი ერთგვაროვანია, ორივე ეთნოსი (ქართული და სომხური) ქრისტიანობის მიმდევარია.

**დიაგრამა 3.** ეთნიკურ ჯგუფებს შორის ურთიერთობის რა ხელის-შემშლელი ფაქტორები არსებობს?



საკმაოდ დიდი განსხვავება დაფიქსირდა ნინონმინდის და ბოლნისის რესპონდენტთა პასუხებს შორის. ნინონმინდის მოსახლეობა ურთიერთობებს ან რადიკალურად დადებითად – მეგობრულად და კეთილმეზობლურად აფასებდა (75%) ან თავს იკავებდა პასუხის გაცემისგან (18%). ბოლნისში კი მაღალი იყო ურთიერთობების „ნეიტრალურად“ შეფასების მაჩვენებელი (37%).

2011 წლის მონაცემებმა გარკვეული კორექცია განიცადა 2013 წლის მონაცემებთან მიმართებაში. 20%-ით გაზრდილია ეთნოსებს შორის კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობის ტენდენცია ნეიტრალურად ნაკლებად ფასდება ურთიერთობები, როგორც ჩანს, ამ განწყობის მატარებელი რესპონდენტების პოზიცია დადებითად შეიცვალა. თუმცა, რელიგიური ფაქტორის დასახელება ინტეგრაციაში ხელისშემმლელ მიზეზად უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც 4%-ით მომატებულია. პოლიტიკური შეხედულებებისა და ყოფით ცხოვრებაში პრობლემების თემა წინა წლებთან შედარებით აშკარად კარგავს აქტუალობას. მიუხედავად ენის შესწავლის მიმართულებით გადადგმული არაერთი ნაბიჯისა, ენის არცოდნის საკითხი ყველა სხვა აქტუალურ თემას ფარავს და, ამავდროულად, არის ამ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის თვალსაზრისით.

სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების ინტეგრაციის ხარისხის გაზომვა არა მხოლოდ მათ მიერ გაკეთებული განცხადებებით არის შესაძლებელი, არამედ უფრო ობიექტური სურათის წარმოსაჩენად, მაინტეგრირებელი ცალკეული ფაქტორების გაზომვით. საუბარია ეთნოსებს შორის კულტურის, ტრადიციებისა და ყოველდღიური ცხოვრების წესების შესახებ ინფორმირებულობასა და მიმღეობაზე. ინტეგრაციის მაჩვენებლის ობიექტური საზომი სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის ურთიერთობის ფორმების ანალიზია. პირველი და უმნიშვნელოვანესი სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლების ერთმანეთის ტრადიციების შესახებ ინფორმირებულობაა, რადგან ნებისმიერი მიმღეობა, რაც კულტურული რელატივიზმის საფუძველია, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს განხვავებულის შესახებ ცოდნას და მხოლოდ ცოდნაზე დაფუძნებულ გაგებას/პატივისცემას. მიუხედავად ხანგრძლივი თანაცხოვრების ისტორიისა, ეს მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია და ორივე რეგიონში არ აღმატება 33%-ს. ასევე, დაბალია ეთნიკური ჯგუფების ჩართულობა ერთმანეთის დღესასწაულების გაზიარებაში (45%).) სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს სუსტად აქვთ ერთმანეთთან ნათესაური/სამეგობრო კავშირები განვითარებული (27%).) ეს მაჩვენებლები, რა თემა უნდა, ცალსახად მიუთითებს კულტურათაშორის დიალოგის დეფიციტზე და ამ მიმართულებით მეტი აქტივობების განხორციელების აუცილებლობაზე.

შეფასება/მოსაზრება იმის შესახებ, რომ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფები ერთმანეთის ტრადიციებს ნამდვილად იცნობენ, ძირითა-

დად, დაფიქსირდა აზერბაიჯანელ რესპონდენტებში (60%). ბევრად მცირეა, ამ კითხვაზე, ქართველი და სომები ეროვნების რესპონდენტების ცალსახად დადებითი პასუხის პროცენტული მაჩვენებლები (26%-14%), ისინი უპირატესობას ანიჭებენ პასუხს „მეტ-ნაკლებად“. ერთმანეთის დლესასწაულებზე სიარული კი სომები ეროვნების რესპონდენტების აზრით არის ხშირი მოვლენა (71%), ამ აზრს ნაკლებად იზიარებენ ქართველი (10%) და აზერბაიჯანელი (21%) ეროვნების რესპონდენტები. რაც შეეხება ნათესაური და მეგობრული კავშირების არსებობას, სამივე ეთნიკური ჯგუფი ცალსახად დადებითად პასუხობს. პასუხები თითქმის თანაბარ, საშუალოზე საკმაოდ დაბალ მაჩვენებელზე გავიდა: ქართველი – 21%; სომები – 24%; აზერბაიჯანელი – 33%.

2011 წლის კვლევის თანახმად, სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფები საკმაოდ ცუდად იყვნენ ინფორმირებული ერთმანეთის ტრადიციების შესახებ (47%). ინფორმაციის სიმწირე აისახებოდა სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების ერთმანეთის დლესასწაულებზე არდასწრების მაჩვენებელზე (66%). ამ ფონზე არ იყო გასაკვირი არც სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის ნათესაური/სამეგობრო კავშირების ნაკლებობა (52%).

ნინოწმინდასა და ბოლნისის მონაცემებს შორის შედარება აჩვენებდა, რომ ინტეგრაციის დონე ეთნიკურ ჯგუფებს შორის სამივე ურთიერთობის ტიპის მიხედვით ნინოწმინდაში უფრო მაღალი იყო ვიდრე ბოლნისში.

აღნიშნული კვლევის მიხედვით, ქვემო ქართლში უფრო მეტი რესპონდენტი ამბობს, რომ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების ნარმომადგენლები დადიან ერთმანეთის დლესასწაულებზე, ვიდრე – სამცხე-ჯავახეთში. უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ მაღალია ამ კითხვებზე „არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა“ პასუხების წილი: სამცხე-ჯავახეთში – 45%, ქვემო ქართლში – 28.6%, რაც ეთნიკური უმცირესობების ნაკლებად ინფორმირებულობაზე მეტყველებს. აღნიშნული კვლევა იმასაც გვიჩვენებს, რომ ერთმანეთისგან განსხვავებული ეთნიკური ჯგუფები არცთუ კარგად იცნობენ ერთმანეთის ეროვნულ ტრადიციებს. ქვემო ქართლში გამოკითხულთა 35%-ის, სამცხე-ჯავახეთში კი – 21.7%-ის აზრით, ეროვნულ ტრადიციებს იცნობენ მხოლოდ მათ რეგიონში მცხოვრები. ქართველი რესპონდენტების მესამედი მიიჩნევს, რომ საქართველოს ყველა მცხოვრებმა იცის სხვა ეთნიკური ჯგუფების ეროვნული ტრადიციების შესახებ. არაქართველი რესპონდენტების მხოლოდ 15.2% ფიქრობს მსგავსად. შესაძლოა, ქვემო ქართლის რეგი-

ონში ინფორმირებულობის შედარებით მაღალ ხარისხს განაპირობებდეს ამ რეგიონში სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების მეტი რაოდენობა.

2011 წლის მონაცემები, 2013 წლის მონაცემებთან შედარებით, იძლევა დასკვნის საშუალებას, რომ მდგომარეობა დადებითისაკენ არ შეცვლილა, პირიქით, საზომი პარამეტრები განიცდიან კლებას, რაც უსათუოდ მიანიშნებს პრობლემის სიმწვავეზე და მასზე მეტი მუშაობის აუცილებლობაზე.

ტოლერანტობის სულისკვეთების ამაღლება მრავალი მიმართულებით მუშაობას მოითხოვს. ტოლერანტობის სულისკვეთების მხარდაჭერა, კულტურათაშორისი დიალოგისა და კავშირების ხელშეწყობა მნიშვნელოვანია სწავლების დროს – საჭიროა, სწავლის პროცესში დანერგილი იქნას ინტერკულტურული სწავლების მეთოდები; მოსწავლე-ახლგაზრდობა ენთუზიაზმით იღებს მონაწილეობას გაცვლით პროგრამებში, საზაფხულო ბანაკებში. საჭიროა, გაიზარდოს რესურსები ასეთი აქტივობების დასაფინანსებლად. საგანმანათლებლო-შემუცნებითი პროექტები ხელს შეუწყობს ახალგაზრდების დაახლოებას და ცოდნის მიღებას; საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში ეროვნული უმცირესობების მონაწილეობის ხელშეწყობისათვის სასურველია, წინასწარ მოხდეს ამა თუ იმ ღონისძიებაში მონაწილეობისთვის უმცირესობების წარმომამადგენელთა მომზადება; სასურველია, კულტურული კავშირების გასაღრმავებლად და კულტურათა გასაცნობად, მეტი ყურადღება დაეთმოს სხვადასხვა ტიპის ღონისძიებების ორგანიზებას.

**Tamar Charkviani**

PhD, Ilia State University

**Ana Chelidze**

PhD Student, Ilia State University

### **Intercultural Dialogue and Acceptance of Cultural Diversity**

(Example of Ninotsminda and Bolnisi)

### **Resume**

Lack of the Georgian socio-cultural environment in the regions increases the gap between ethnic Armenians and Azerbaijanis and their Georgian co citizens.

zens. Mutual estrangement of different social groups, including ethnic groups, leads to the creation of attitudes and stereotypes with regards to their representatives, which, in its turn, may lead to conflict.

The aim of the empirical research carried out in 2011-2013 was to reveal factors that hinder/assist the integration of non Georgian ethnic youth in Samtskhe-Javaketi and Kvemo Kartli. It also aimed to describe and analyse the issues of cultural integration and cultural diversity of ethnic minorities in Ninotsminda and Bolnisi regions.

Based on the aims and objectives of the research, a number of selection criteria have been identified; according to which schools where fieldwork for the sociological research took place have been selected. Priority was given to self-government units with a concentrated ethnic minority population. In the pre-selected villages ethnic minorities represent a majority compared to Georgian population.

The sociological research was based on ***qualitative and quantitative research methods***.

- ✓ *In-depth interviews with public school principals and representatives of the education resource centre.* In-depth interviews were conducted with 10 respondents from these groups.
- ✓ *In-depth interviews with public school teachers and parents of public school students.* In-depth interviews were conducted with 10 respondents from these groups.
- ✓ The quantitative research sample involved 160 students (80 in each region) and 20 teachers (10 in each region).

The level of integration of various ethnic groups can be measured based not only on their statements, but, to get a more objective picture, also through measuring separate integration factors; i.e. awareness and acceptance of traditions and everyday norms of life by the ethnic groups. According to the results of the research, different ethnic groups are rather badly informed about one another's traditions (47%). Lack of awareness was revealed by the indicator for attendance of celebrations of other ethnic groups – 66%. In view of this, it is not surprising that family/friendly relationships between different ethnic groups are rare (52%).

The respondents were asked to evaluate which ethnic groups they would like to have closer relations with. Naturally, the respondents from Kvemo Kartli have expressed preference for Azerbaijanis to become their family members,

while the respondents from Samtskhe-Javakheti prefer Armenians. However, in both provinces, ethnic Georgians are rated as second best. Perhaps because friendship requires a longer relationship, the majority of respondents give preference to representatives of their own nationality; however, they also point out that nationality is not important in choosing friends.

Representatives of ethnic minorities regard lack of language skills as one of the main barriers for interaction with other ethnic groups (83%); other factors are given considerably less importance: religion 8%, ethnic origin 15%, political views 6%, and everyday problems 9%. According to the opinion of respondents from the selected territorial entities, the relationship between Georgians and non-Georgians is, normally, friendly and neighbourly (65%). The percentage of tense and hostile relationships is very low. 20% of respondents describe the relationship between Georgians and non-Georgians as neutral.

**მარი წერეთელი**  
ასოცირებული პროფესორი, თსუ

**„ცივი ომის“ დროის კონტრასტული სივრცეების  
ინტერკულტურული ასპექტების გაზრებისათვის  
(ჯონ სტაინბეკისა და ნოდარ დუმბაძის  
ჟურნალისტური ნაწერების მიხედვით)**

XX საუკუნის უპრეცენტო საბჭოთა რეჟიმი უკიდურესად ზღუდავდა კულტურულ კომუნიკაციას დასავლეთის ქვეყნებთან, რომლებსაც საბჭოთა მედია პოლიტიკური კონტექსტით წარმოაჩენდა. ანტაგონისტური იდეოლოგიური დისკურსი, ზოგადად, დამახასიათებელია „ცივი ომის“ (1940-იანი წლების შუახნიდან 1990-იანი წლების დასაწყისამდე) პერიოდის ქართული მასშედისთვისაც. ინფორმაციას მიზანმიმართულად ჩატარდა ანტიდასავლური დეზინფორმაცია. მედიაველი, არსებითად, გადაფარული იყო საბჭოთა პროპაგანდისტული საინფორმაციო ნაკადით და იდეოლოგიური დაპირისპირების ნიშნით იყო აღბეჭდილი. ასეთ ვითარებაში დამკვიდრებული კლიშეები და სტერეოტიპები ნეგატიურად აისახებოდა მასობრივ ცნობიერებაზე.

მწირი წარმოდგენების ტყვეობაში მყოფი ქართველი შეითხველი, მხოლოდ კლასიკური მწერლობის საქვეყნოდ ცნობილი ნიმუშების, თითო-ოროლა მხატვრული ფილმისა თუ მუსიკალური ნაწარმოების მეშვეობით ეცნობოდა (ისიც უფრო, ე.წ. დათბობის პოლიტიკის შემდეგ) „რეინის ფარდის“ მიღმა დარჩენილ ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებრივ, პოლიტიკურ თუ კულტურულ ცხოვრებას. თუ მე-19 საუკუნისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართული დემოკრატიული პრესა მიზანმიმართულად, სისტემატურად აქვეყნებდა დასავლეთის ქვეყნების, მათ შორის, შორეული ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური და სოციალური ყოფის ამსახველ პუბლიკაციებს, მე-20 საუკუნეში, საბჭოთა რეჟიმის პირობებში, ეს პროცესი კარგა ხნით

შეწყდა. შედეგად, კარგა ხნით შეფერხდა ქართული დემოკრატიული უურნალისტიკის განვითარება.

ხელოვნურად გაუცხოებული ამერიკული სამყარო მიუწვდომელი გახდა ქართველი მკითხველისათვის. საქართველოს, ისევე როგორც საბჭოთა იმპერიის სხვა ქვეყნებს, დასავლური სამყარო განიხილავდა, მხოლოდ ოდენ, ერთიან საბჭოთა სოციოკულტურულ სივრცეში, საბჭოების შემადგენელ ნაწილად. ბუნებრივად, ქართული კულტურა, დამოუკიდებელი სახით, როგორც თვითმყოფადი ფენომენი, დასავლეთისათვის შეუცნობელი რჩებოდა.

საინფორმაციო ვაკუუმის პირობებში ინერება და ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ამერიკელი მწერლის ჯონ სტაინბეკის ნიგნი „რუსული დღიური“ და ქართველი მწერლის ნოდარ დუმბაძის ნარკევი „ოდისევსის დაბრუნება“. ორივე ტექსტი რეპორტაჟული სტილის დოკუმენტური უურნალიზმის ნიმუშია, რომლებითაც ავტორები გვევლინებიან უურნალიზმის უბადლო ოსტატებად.

თვალსაჩინო ამერიკელი ლიტერატურათმცოდნე-კომპარატივისტი რენე ველევი (1903-1995) აღნიშნავდა: „მსოფლიო ლიტერატურა არ ნიშნავს წესთა ქმნას, არამედ კომუნიკაციასა და კულტურათა კონტაქტს“ („ლიტერატურათმცოდნების ზოგიერთი ცნება“, <http://lib.ge>). მოხმობილი ამონარიდის კონტექსტში, ვფიქრობთ, აქტუალურია ჩვენ მიერ დასახელებული ავტორების უურნალისტური ნააზრევის განხილვა კონტექსტუალურად, მათი ხელახლი წაკითხვით, ინტერპრეტაციის, ასევე ისტორიულ-შედარებითი (კომპარატივისტული) მეთოდისა და სინთეზის მოშველიებით.

ჩვენი დაკვირვების საგანია:

1. „ცივი ომის“ დროის პოლიტიკური პოლარიზაციის გავლენა კონკრეტული ავტორების ტექსტებზე;
2. „რკინის ფარდის“ მიღმა სოციოკულტურული სივრცეების შედარებითი ანალოგის გააზრება;
3. ჯონ სტაინბეკისა და ნოდარ დუმბაძის ნანარმოებების ინტერკულტურული ასპექტების წარმოჩენა.

ჯონ სტაინბეკისა და ნოდარ დუმბაძის დასახელებული ტექსტები სხვადასხვა დროს დაინერა, სტაინბეკის „რუსული დღიური“ 1948 წელს, ანუ სტალინიზმის ზეობის ხანაში გამოქვეყნდა. ნოდარ დუმბაძემ (1928-1984) ამერიკის შეერთებულ შტატებში იმოგზაურა 1978 წელს და „ოდისევსის დაბრუნება“ ცალკე წიგნად დაბეჭდა 1979 წელს.

ტექსტი ასევე შესულია 1981 წელს გამოცემულ წიგნში „შთაბეჭდილებები, წერილები, გამოსვლები“. ბრეზნევის, ე. ნ. „უძრაობის ხანაში“ საბჭოთა რეჟიმითა თითქოსდა იცვალა იერ-სახე, თუმცა მისი პოლიტიკური, მონოიდეოლოგიური შინაარსი ისეთივე დარჩა. „საბჭოთა პოლიტიკური დრო“, როგორც სივრცითი კატეგორია, შეიძლება წარმოვიდგინოთ საერთო ტიპოლოგიური ნიშნებითა და პარადიგმებით აღბეჭდილ უცვლელ მთლიანობად.

დიდმა ამერიკელი მწერალმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა, ჯონ სტაინბეკმა (1902-1968) საბჭოთა კავშირში (რუსეთში, უკრაინასა და საქართველოში იმოგზაურა 1947 წელს ცნობილ ფოტოგრაფ რობერტ კაპასთან ერთად (აქვე აღვნიშნავთ, რომ იგი 1937 წელსაც იყო ნამყოფი საბჭოთა კავშირში). „რუსული დღიურის“ ორი თავი (VII-VIII) ასახავს მწერლის საქართველოში მოგზაურობის შთაბეჭდილებებს. მას საბჭოეთის შესახებ რეპორტაჟების სერია დაუკვეთა გაზეთმა „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნმა“, რომელმაც თანდათან გამოაქვეყნა კიდევ სტაინბეკის რეპორტაჟების ფრაგმენტები, შემდეგ კი ტექსტი წიგნად გამოიცა, თუმცა საბჭოთა მკითხველისათვის ის იმთავითვე მოხვდა ტაბუდადებული წიგნების სათვალავში. რუსულად არ გამოცემულა 1990 წლამდე, ქართულ ენაზე კი მკითხველმა იგი მხოლოდ 2005 წელს იხილა.

წიგნის დაგვიანებით დაბეჭდვის მიზეზებზე სტაინბეკის შემოქმედების ამერიკელი მკვლევარი, სან ხოსეს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სტაინბეკის ცენტრის ხელმძღვანელი პროფესორი სიუზან შილინგლოუ აღნიშნავს: „რა თქმა უნდა, ბევრი რამ არ მოეწონებოდათ. „რუსული დღიური“ მთლიანობაში მაინც კრიტიკული იყო. არაერთი კომენტარი იყო, სადაც კარგად ჩანდა მწერლის ირონია კომუნისტური რეჟიმის მიმართ. მთელი რიგი ბიუროკრატიული პრობლემები, არასახარბიელოდ წარმოაჩენდა საბჭოთა კავშირს. გარდა ამისა, მოგვიანებით სტეინბეკმა ვიეტნამის ომზე დაწერა არაერთი უურნალისტური წერილი, რომელშიც ჩრდილოეთ ვიეტნამის კომუნისტურ რეჟიმს აკრიტიკებდა“ (შილინგლოუ : 2011).

ბუნებრივია, რომ ჯონ სტაინბეკის „რუსული დღიური“, ისევე როგორც ნოდარ დუმბაძის „ოდისევისის დაბრუნება“, არ არის განტვირთული „ცივი ომის“ პოლიტიკური სინამდვილის, ასევე საბჭოთა კომუნისტური რეჟიმით გამოწვეული ზეგავლენისაგან. თავშეკავებული სტაინბეკი აშკარა პუბლიცისტურ-პოლიტიკური აქცენტებისა და კრიტიკული პათოსის გარეშე აღწერს მოგზაურობის ამსახველ შთაბეჭდი-

ლებებს და განსაკუთრებულ კეთილგანწყობილებას გამოხატავს სა-ქართველოს მიმართ.

„რუსული დღიურის“ მიხედვით, საქართველო რუსეთისაგან სრულიად განსხვავებული გეოგრაფიის, მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა და კულტურის ქვეყანაა. ზოგჯერ სტაინბეკი „რუსეთადაც“ მოიხსენიებს საქართველოს (საბჭოთა პერიოდში უცხოელებში დამკვიდრებული კლიშე იყო, მ.ნ.), თუმც, ცალკეული ეპიზოდები მოწმობს, რომ ამერიკელი მწერალი მას უფრო თანამედროვე ამბების გადმოცემისას იყენებს. მწერალი მკითხველს რამდენჯერმე მიანიშნებს, რომ საქართველო რუსებისთვისაც ფრიად საინტერესო გეოგრაფიული სივრცეა, „სამოთხედ“ წოდებული, კავკასიის მთებსა და შავ ზღვას შორის მდებარე, მდიდარი მიწით, საკუთარი ზღვითა და ხალხით: „ტროპიკული კლიმატი ქართველთა სიცოცხლის უნარიანობას ვერ აქვეითებდა, აძლიერებდა კიდეც. მათი ინდივიდუალობისა და ნებისყოფის ჩაცხრობა არაფერს შეეძლო. საუკუნეების მანძილზე ამას დამპყრობლები, ცარისტული არმიები, დესპოტები და ადგილობრივი ტირანები ცდილობდნენ, ასეთი მცდელობები ქართველთა ნებისყოფასთან შეჯახებისას იმსხვრებდა და ამ ნებისყოფის სულ მცირედი შერყევაც კი ვერაფერმა შეძლო“ (სტეინბეკი 2005:232).

მწერალი არ ცდლობს თემების პოლიტიზირებას და ლიად, კრიტიკულად არსად აფასებს სტალინურ რეჟიმს, თუმცა ტექსტის არაერთ პასაუში სიმბოლოებით ისახება სისტემის ზოგადი სახე და მახასიათებლები. „რუსული დღიურის“ მიხედვით, საბჭოეთის მთავარი სახე--სიმბოლო სტალინია. პიროვნების კულტის პირობებში სივრცული გარემო აღბეჭდილია საბჭოთა ტოტალიტარული სისტემის თვისობრიობის წარმომჩენი ვიზუალური იკონური ნიშნებით: ფოტოებით, ძეგლებით, მემორიალებით.

მწერლის ინტერესს უფრო სტალინთან დაკავშირებული „სიწმინდეები“ იწვევს. სტაინბეკი მკითხველს ცოცხალ, ინფორმაციულად დატვირთულ რეპორტაჟულ კადრს სთავაზობს გორის სტალინის სახლ-მუზეუმიდან, მნიშვნელოვანი და უწვრილმანესი დეტალებით, ნიუანსებითა და დინამიკური, ირონიზირებული თხრობით: „მისი სამშობლო მლოცველთა ადგილადაა გადაქცეული, მუზეუმის დათვალიერებისას ადამიანები ჩურჩულით საუბრობდნენ და ფეხის წვერებზე დადიოდნენ, არა, ამის მსგავსი და ამის დარი ისტორიაში არაფერი გვსმენია“ (სტეინბეკი 2005:207). სტალინის ერთპიროვნული ძალაუფლება მასში

ლოგიკურ ფილოსოფიურ ფიქრს აღძრავს, რაც მრავალმნიშვნელოვანი რემარკის სახეს იძენს და დიქტატორული სახელმწიფოს ბედის განსჯას ისახავს მიზნად: „სტალინი სიცოცხლეშივე განუსაზღვრელი ძალაუფლებით სარგებლობს, მაგრამ რა მოხდება მისი სიკვდილის შემდეგ?“ სტალინის სიტყვას ვერავინ ეპასუხება, ამის ახსნა პროპაგანდით, აღზრდის მეთოდებით, მუდმივი შეხსენებებით, იკონოგრაფიისადმი უსაზღვრო სიყვარულით ან სხვა ნებისმიერი მაგალითებით, ერთმნიშვნელოვნად შესაძლებელია“ (სტეინბეკი 2005:208).

მეორე სიმბოლო საბჭოეთისათვის იმანენტურია – საბჭოთა სპეცსამსახური, ტოტალიტარული ქეყნის მთავარი საყრდენი. მისი წარმომადგენელია ივან სმარკი, მეთვალყურე, მოგზაურობაში წუთითაც რომ არ ტოვებს „პოლიტიკურად საეჭვო“ სტუმრებს და ცალკეულ ეპიზოდებში მუდმივად ფიგურირებს. ასევე, სისტემის მახასიათებლებია: კომუნისტური პროპაგანდა, რომლის გავლენაც ტექსტის მიხედვით ყოვლისმომცველია და იდეოლოგიზირებული კულტურა, რომელიც, სტეინბეკის დაკვირვებით, კარგად ჩანს თუნდაც ერთი, რევოლუციური თემატიკის სქემით განყობილი მუზეუმების მაგალითზე. მნერალი, ამ შემთხვევაშიც, თავს არიდებს ზედმეტ კონკრეტიკასა და განსჯას, რაკი უპირატესობას, განზოგადების ნაცვლად, ფაქტების წარმოჩენას ანიჭებს, თუმცა ცალკეული მონაკვეთები უთუოდ კრიტიკული ქვეტექსტის შემცველია.

თბილისში ყოფნისას ჯონ სტაინბეკს აკვირვებს და, ცოტა არ იყოს, ღლის კიდეც ლიტერატურისა და მწერლის დანიშნულების შესახებ წინასწარ დაგეგმილი „ინტელექტუალური საუბრები“, როდესაც მასპინძლები იმაზე მეტ ინტერესს იჩენენ ამერიკული ლიტერატურის მიმართ, ვიდრე ამერიკელ სტუმრებს აქვთ საამისო მზაობა. აქვე აღვნიშნავთ, რომ ნოდარ დუმბაძე ამერიკის შეერთებულ შტატებში მოგზაურობისას ბევრ ცნობილ მწერალს ხვდება, მათ შორის კურტ ვონეგუტს, ჯონ აპდაიკს, არტურ მილერსა და სხვებს. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ადრეული სტერეოტიპების ტყვეობაში არიან თავად ამერიკელი მწერლებიც, ამიტომ სტუმრებისათვის, საბჭოთიდან, მიუღებელია, როცა 1978 წელს ლიტერატურა ისევ 20-30-იანი წლების კლიშეებით ფასდება, თუმცა მწერალი გაკვირვებას არ მალავს: „სხვათა შორის, ამერიკელი მწერლები საკუთარი ლიტერატურის ნაკლზე მეტს ლაპარაკობდნენ, ვიდრე ჩვენსაზე. ლაპარაკობდნენ მკაცრად და მოურიდებლად“ (დუმბაძე 1981:4).

ჯონ სტაინბეკი მკვეთრად განასხვავებს მწერლის როლს აშშ-სა და საქართველოში (საბჭოთა კავშირში). სტალინური ეპოქის საბჭოთა მწერალი, მისი აზრით, სისტემის სამსახურშია, მხარს უჭერს და აძლიერებს მმართველი პარტიის იდეოლოგიურ კურსს და სტრატეგიას მაშინ, როცა ამერიკელი მწერალი საზოგადოებისათვის წერს, შესაბამისად, ის ცხადია, არ იზიარებს სტალინის ცნობილ გამონათქვამს მწერლების, როგორც „სულის ინჟინრების“ შესახებ (როგორც ცნობილია, სულიერების ფუნქცია ლიტერატურაში სოციალისტური რეალიზმის მიხედვით გულისხმობდა მხოლოდ და მხოლოდ კვაზისოციალისტურ იდეურ ფასეულობებს – მ.ნ.). სტაინბეკის თქმით, „ამერიკასა და ინგლისში კარგი მწერალი საზოგადოების გამყიცხავია, მისი მიზანი, საზოგადოებრივი სიბრიყვის სასაცილოდ აგდება, უსამართლობისათვის ფარდის ჩამოხსნა, საზოგადოებრივი შეცდომების გამოაშკარავება იყო, ამერიკაში ამ მიზეზების გამო, არც საზოგადოება და არც მთავრობა მწერლებს არ სწყალობდა“ (სტეინბეკი 2005:200). საგულისხმოა, რომ ჯონ სტაინბეკი 1962 წლის 10 დეკემბერს ნობელის პრემიის მიღების ცერემონიალზე წარმოთქმულ სიტყვაშიც აღნიშნავდა: „მწერლის უძველესი რწმუნებულება არ შეცვლილა. მისი ვალია ჩვენი უამრავი მტანჯველი მარცხი და შეცდომა გამოაშკარაოს, გამოსამზეურებლად ამოზიდოს ჩვენი ბნელი სიღრმეებიდან საშიში წარმოსახვანი მათი გამოსწორების მიზნით. მიმაჩნია, რომ მწერალს, რომელსაც მგზნებარედ არ სწამს ადამიანის სრულყოფილებისა, არც მონოდება აქვს და არც ადგილი ლიტერატურაში“ (სტაინბეკი: Lib.ge). მწერლის ამ სიტყვებში უთუოდ უნდა დავინახოთ ქართული კლასიკური მწერლობის იდეალიც.

ნოდარ დუმბაძე ვაშინგტონის კონგრესის დიდ ბიბლიოთეკაში, დელეგაციის სხვა წევრებთან ერთად, ინტერესით ათვალიერებს ამერიკელ კლასიკოსთა (ფოლკნერის, ჰემინგუეის, სტაინბეკის) ხელნაწერების არქივებს, რომლებსაც, მწერლის თქმით, დიდი „სასოებით უფრთხილებიან ამერიკელები“, ხოლო განცვიაფრებას ვერ მალავს, როდესაც სანტ-ლუისის უნივერსიტეტში სტუდენტებთან შეხვედრის დროს აღმოაჩენს, რომ სტუდენტებს სტაინბეკის შემოქმედება წაკითხულიც კი არ ჰქონდათ. აქ უთუოდ უნდა გავიხსენოთ „რუსული დღიურიდან“ სტაინბეკის სიტყვები: „ამერიკაში მწერლებს საერთოდ ძლიერ იტანდნენ და მათი სიკვდილის შემდეგ ნამუშევრებს სულ ცოტა, ოცდახუთი წლით გვერდზე გადადებდნენ ხოლმე“ (სტეინბეკი 2009:199).

6. დუმბაძე ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ სანაცვლოდ, „ისინი (სტუდენტები) ბრწყინვალედ ფლობენ იმ სპეციალობას, რომელსაც ეუფლებიან. იმის იქით კი რა ხდება, ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ“ (დუმბაძე 1981: 26). ესეც არის „რკინის ფარდის“ მიღმა არსებული კონტრასტული სივრცეების განმასხვავებელი სიმპტომი.

ამ თემას ერგვარად ეხმაურება იტალიელი სემიოტიკოსისა და მწერალ-ესეისტის უმბერტო ეკოს ინტერვიუ „პოპულიზმი, მასმედია, კულტურა და ინტელექტუალები“, როდესაც ჟურნალ „Le Figaro“-ს ჟურნალისტის ფრაზას: „და მაინც, ინტელექტუალური ცხოვრება აშშ-ში საკმაოდ მრავალფეროვანი და მდიდარია!“, უმბერტო ეკო შემდეგნაირად პასუხობს: „მაგრამ ამ ინტელექტუალებს არანაირი გავლენა არა აქვთ! ისინი უმცირეს ჯგუფებად არიან დანანევრებული, რომლებიც უნივერსიტეტის კამპუსების მდიდრულ გეტოებში ცხოვრობენ. დიდტირაჟიანი ამერიკული გაზეთების ფურცლებზე ვერასდროს ნახავთ პროფესორთა კომენტარებს. ხოლო მაშინ, როცა ისინი პოლიტიკაში მიღიან, აკადემიურ საქმიანობას მთლიანად თავს ანებებენ, როგორც ბეჭებინსკი და კისინჯერი. ვერ იტყვი, რომ ევროპაში ყოველთვის ითვალისწინებენ ინტელექტუალების მიერ ხელმოწერილ მანიფესტებს, მაგრამ ისინი არც იგნორირებულები არიან“ (ეკო: 2009).

შემთხვევითი არ არის, რომ ნოდარ დუმბაძის შესანიშნავი სამოგზაურო ნარკვევი „ოდისევის დაბრუნება“ ახლაც ინტერესით იკითხება. ტექსტის ინფორმაციული დატვირთულობა, გამოხატვის ჟურნალისტური ხერხებით შექმნილი კომპოზიციურად შეკრული რეპორტაჟული ტექსტი, თხრობის ხალასი, ფეიერვერკული სტილით, პორტრეტული შტრიხებით, დიალოგებით, რემარკებით განაპირობებს ნაწარმოების პუბლიცისტურ-მხატვრულ გამორჩეულობას. მიუხედავად ტექსტის ზოგიერთი მონაკვეთის კონიუნქტურული შეფერილობისა, მთლიანობაში ის ნარმოგვიდგება იმ კეთილსინდისიერ ავტორად, რომელიც რეალურ სურათს უხატავს მკითხველს.

„ნოდარ დუმბაძის დაკვირვებული მზერის მიღმა არ რჩება ამერიკის პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემის, განათლების, კულტურის, ასევე, თავისუფალი სამყაროს მოქალაქის ფსიქოლოგიისთვის დამახასიათებელი არაერთი მნიშვნელოვანი ნიუანსი, რომელსაც იგი ჩვეული ფერადოვნებით გადმოგვცემს. ნანარმოების მიხედვით ეს არის: კერძო საკუთრების უპირატესობა, შრომის კულტურა, დროის ყადრი, პროფესიონალიზმის გაგება, პროფესიის ათვისებაზე ორიენტირებული გა-

ნათლების სისტემა, რომელიც განსხვავდებოდა საბჭოთა ზოგადი წიგნიერების, ხშირად კი სნობური განათლებისგან“ (წერეთელი 2010: 44).

მაგალითად, „ამერიკელები ბავშვებს შრომისმოყვარეობისა და საქმიანობის გამუდმებულ ატმოსფეროში ზრდიან, იშვიათად ნახავთ ამერიკელი თავის შვილს ენამოჩლექით ელაპარაკებოდეს. დიდი დრო და ადგილი ეთმობა ალგაზრდობის სპორტულ აღზრდას. ძალიან მაღალ დონეზეა ბავშვთა სახელმწიფო პატრიოტიზმის სულისკვეთებით აღზრდა“ (დუმბაძე 1981:43).

„დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე დემოკრატიზმა, რომელიც სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შორის არსებობს. აუდიტორიის მიღმა ყველანი თანასწორნი არიან, არავითარი დაძაბულობა, მხოლოდ უშუალობა, რაც, რა თქმა უნდა, ზრდილობისა და ეთიკის დარღვევის ხარჯზე არ ხდება“ (დუმბაძე 1981:26).

ნოდარ დუმბაძე ამერიკელ მწერლებთან შეხვედრისას თავის გამოსვლაში აღნიშნავს, რომ იგი ეროვნული ლიტერატურის გარდა აღიზარდა ბიჩერ სტოუს, მარკ ტვენის, ფოლკნერის, ჰემინგუეის, უიტმენის, ო'ჰენრის, სტეინბეკის და სხვათა წიგნებზე, ასეთივე კეთილგანწყობას გამოხატავს მწერლის სიტყვები: „აი, მე ახლა ვზივარ ბატონ აპდაიკის გვერდით და მისი მხრის სითბოს ვგრძნობ. ეს სითბო ალბათ თან გამყვება საქართველოში და დიდხანს მეყოფა საგზლად“ (დუმბაძე 1981:7).

კულტურათშორისი ასპექტების გააზრების კონტექსტში გავიხსენოთ, რომ ეთნორელატივიზმი, როგორც ხედვა, ეთნოცენტრიზმისაგან განსხვავებით, აღიარებს ყველა კულტურის თანაბარ მნიშვნელობას და აადვილებს კულტურათა გაგებას. თანამედროვე ამერიკელი ანთროპოლოგის მიღწონ ბენეტის ინტერკულტურული ურთიერთპატივისცემის მოდელის მიხედვით, ეთნორელატივიზმის საფეხურებია: აღიარება – განსხვავებები ხალხებს შორის, როგორც ინტერესის საგანი, ადაპტაცია – სხვადასხვა კულტურული რეალობის შეფასებისას განსხვავებული სტანდარტების გამოყენება, ინტეგრაცია – სხვა კულტურის პირობებში კომფორტულად ყოფნა (Грушевицкая:2003) კონტრასტული პოლიტიკური სივრცეების არსებობა „ცივი ომის“ პირობებში უთუოდ განაპირობებს კულტურათა შორის გაუცხოებას, თუმცა ზემოთ მოყვანილი თეორიული მოდელის მიხედვით შესაძლოა ტექსტებში დავინახოთ ეთნორელატივიზმის ტენდენციები.

„ცივი ომის“ დროის კონტრასტული სივრცეების  
ინტერკულტურული ასპექტების გააზრებისათვის

ავტორებს აინტერესებთ ზოგადეთნიკური თავისებურებანი, ტრა-  
დიციები, ისტორიული და კულტურული ღირებულებები:

მაგალითად, სტაინბეკი გამოყოფს:

1. სტუმართმოყვარეობას, ქართულ სამზარეულოს და ქართული  
სუფრის ტრადიციას (თუმც უთუოდ შეიმჩნევა ერთგვარი კეთილი  
ირონია ე.წ. ქართული გადაჭარბების მიმართ): „სულის ასეთი ერთია-  
ნობა, ისევე როგორც ჩვენთან, საქართველოსთვის უცხო არ ყოფილა,  
ენობრივი ბარიერები წაიშალა, ნაციონალური საზღვრები მოირდვა და  
თარჯიმნების საჭიროებაც მოიხსნა (სტეინბეკი 2005:235);

2. ისტორიული წარსული, მითები და ლეგენდები, თვითმყოფადი  
კულტურა, ხელოვნება – პოეზია, მუსიკა, სპორტი;

3. რელიგიური ტოლერანტობა, ქართული ეკლესია და საეკლესიო  
რიტუალი: „თბილისი იყო და ახლაც იმ ქალაქად რჩებოდა, სადაც სხვა-  
დასხვა რელიგია შესანიშნავად ურთიერთცხოვრობდნენ. ამ ქრისტია-  
ნულ გარემოცვაში უძველესი სინაგოგები და მუსლიმთა მეჩეთები  
თავს თავისუფლად გრძნობენ და არცერთი სალოცავი ქიშპის გამო არ  
დანგრეულა“ (სტეინბეკი 2005: 190).

აქვე უთუოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ სტაინბეკი უყურადღებოდ არ  
ტოვებს მთელ საბჭოეთსა და საქართველოშიც მეორე მსოფლიო ომის  
შემდგომ არსებულ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ გარემოს და კვლა-  
ვაც, შეფასების გარეშე, ფაქტების, დეტალებისა და ეპიზოდების გად-  
მოცემით შემოიფარგლება.

ნოდარ დუმბაძე კარგად ხედავს განსხვავებულ სისტემურ თავი-  
სებურებებს და თხრობისას, ჩვეული ოსტატობით ერთმანეთს უზავებს  
სერიოზულსა და სასაცილოს, ამ კორელაციაში არ უგულებელყოფს  
საბჭოთა კავშირში აგრერიგად ხელალებით უარყოფილ მთავარ და-  
სავლურ ღირებულებებს. ამერიკაში ჩასვლისთანავე მისთვის ახლებუ-  
რად აღიქმება „დრო“, როგორც სივრცითი კატეგორია: „თუკი რაიმეს  
აღმერთებენ და თაყვანს სცემენ ამერიკელები, ეს არის – დრო. დრო  
გახლავთ ყოველივე იმის სათავე, რაც მე მომენტონა და არ მომენტონა ამ  
ქვეყანაში“ (დუმბაძე 1981:4). მწერლის სიტყვები უნებლიერ გვახსე-  
ნებს აშშ-ის ერთ-ერთი დამფუძნებელთაგანის ბენჯამენ ფრანკლინის  
(1706-1790) ცნობილ გამონათქვაში: „გახსოვდეს, რომ დრო – ფულია“  
(„რჩევა ახალბედა მოვაჭრეს“, 1748).

ნოდარ დუმბაძე ე.წ. უძრაობის (ზასტოის) ნლებში მოგზაურობს  
ამერიკაში, ამიტომ კარგად ამჩნევს, რომ დროისა და შრომის ყადრით,

კაპიტალისტური სისტემის ამ ორი მთავარი კომპონენტის წყალობით, ქვეყანა უკიდურესად განვითარებულია. აქ უთუოდ უნდა დავინახოთ შემდეგი ანალოგია: დროც და შრომაც სსრკ-ში ლოზუნგურ კატეგორიებად რჩება – „აქ შესვენება თუ არ არის, გამორიცხულია მუშასთან მასლაათი, შეკითხვების მიცემა: როდის შეუყვარდა ეს პროფესია, ან სხვა (ვფიქრობთ, ქვეტექსტი ნათელია – მ.ნ.), ეს არის უკიდურესად დაძაბული და თავაუღებელი შრომის განაწილების სამაგალითო პროცესი. ცხადია, ასეთ პირობებში რთულია მუშაობა, მაგრამ აქ ერთი გარემოებაა გასათვალისწინებელი, როდესაც მუშას ქარხანაში იღებენ, იდება ორმხრივი ხელშეკრულება-შეთანხმება. ერთი მხრივ, აღნიშნულია მუშის ვალდებულებანი, მეორე მხრივ კი – ადმინისტრაციისა. ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში ორივე მხარე ერთნაირად ისჯება, ავტომატიზაცია, ტექნიკური სრულყოფა და სისუფთავე ადრე მე არსად მინახავს“ (დუმბაძე 1981 :16) – აი, ასე გულწრფელად, პატიოსნად უამბობს ნოდარ დუმბაძე მკითხველს, ჯერაც „ცივი ომის“ პირობებში, მისთვის უცნობი ქვეყნის შესახებ.

მწერალი ათვალიერებს ამერიკის ქალაქებს, პარკებს, მუზეუმებს არქიტექტურულ საოცრებებს, დისნეი-ლენდს, ჰოლივუდს, („ცოდვაა ის ბავშვი, რომელიც ამ საუკუნეში დაიბადა და ეს ორი ზღაპრული ქვეყანა არ უნახავს“), ბროდვეის, ხვდება ადამიანებს, აღწერს საინტერესო ეპიზოდებს, აკვირდება კულტურულ განსხვავებებს. უყურადღებოდ არ ტოვებს რასობრივი დისკრიმინაციის პრობლემასაც, რაც, ცხადია, მხოლოდ საბჭოთა კავშირში ამ პრობლემის, როგორც ამერიკული სახელმწიფოს სისუსტის, მუდმივი მუსირებით არ არის გამოწვეული, თემის იმუამინდელი სიმწვავიდან გამომდინარე, ის ამერიკისათვის მთავარ დილემად მიაჩნდა მწერალს.

ჯონ სტაინბეკსა და ნოდარ დუმბაძეს მოგზაურობის დროს ხშირად უჩნდებათ სამშობლოს იდენტური ასოციაციები: ჯონ სტეინბეკს შავი ზღვის თავზე, სოხუმისკენ ფრენისას, კალიფორნიის სანაპირო, თბილისისკენ ფრენის დროს კი, კავკასიონის ხილვისას, კალიფორნიის მთები ახსენდება, თბილისის ხეობა ნიუ-მექსიკოს აგონებს. ნოდარ დუმბაძესაც ეუფლება მოგზაურობისას სამშობლოს განცდა, თანაც სტაინბეკის მსგავსად, სან-ფრანცისკო აგონებს თბილისს, ხმაურიანი ქუჩებითა და ტრამვაით, მასზე ახტომა-ჩამოხტომით“ („თქვენ წარმოიდგინეთ, „ზაღნით“ ჩამოხტომაც იციანო“). ჯონ სტაინბეკი „ჯადოსნურ ქვეყანად“ მოიხსენიებს საქართველოს, ხოლო თბილისს დიდოს-

ტატის კალმით გამოსახულ ფერწერულ პეიზაჟს უძღვნის: „დასავლე-  
თის მთის თხემზე უზარმაზარი მთვარე შემომჯდარიყო. მთვარის  
ლურჯ სინათლეზე დამის ქალაქი უფრო ძველი და იდუმალი ჩანდა,  
დიდი ციხე-სიმაგრე, გოლიათის მსგავსად, მიწიდან ამოვარდნას ლა-  
მობდა. საოცარი სურათი უნებურად გაფიქრებინებდა, რომ, თუ კი დე-  
დამინის ზურგზე აჩრდილები მართლაც, არსებობდნენ, ისინი აქ უნდა  
შეკრებილიყვნენ, მათ შორის მეფე თამარის აჩრდილიც სწორედ აქ,  
მთვარის შუქით განათებულ მთების თხემზე უნდა ყოფილიყო“ (სტეინ-  
ბეკი 2005: 196).

ნოდარ დუმბაძე საბჭოთა მედიის მიერ დამკვიდრებულ უარყო-  
ფით სტერეოტიპებს ჩვეული მოქნილობით აბათილებს, თუმცა არ შე-  
იძლება არ დავინახოთ მისგან საბჭოეთის დაცვის გარკვეული ვალდე-  
ბულებაც: „მართლაც გინდათ ამერიკის დაპყრობა? – მკითხა უცებ  
ბიჭმა.

- არ დაგიმალავთ და კი გვინდა! – გამოვუტყდი მე.
- რატომ? – მკითხა დადარაჯებულმა.
- ამერიკა ისეთი ლამაზი და მდიდარი ქვეყანაა, შენ რომ ჩვენს  
ადგილზე იყო, შენც წაგძლევდა სული. შევატყვე, თან ესიამოვნა ჩემი  
პასუხი, თან გაუკვირდა.
- თქვენ რაღად გინდათ ჩვენი დაპყრობა, – ახლა მე ვკითხე.
- ჩვენ, ჩვენ სულაც არ გვინდა, – ასე მიპასუხა დაბნეულმა. აგა-  
შენა ღმერთმა, აბა, ჩვენ მით უმეტეს არ გვინდა-მეთქი, და ხელი გავუ-  
ნოდე. თვითონაც გამომიწოდა, მაგრად ჩამოვართვი, თან დავძინე:
- იცოდე, სიტყვა სიტყვა!
- სიტყვა სიტყვა! – მიპასუხა სიცილით. მერე ერთმანეთი გადავ-  
კოცნეთ.

ასე დავდე ამერიკის მომავალ თაობასთან ურთიერთთავდაუს-  
ხმელობის ხელშეკრულება სან-ფრანცისკოს პორტში – 1978 წლის მაი-  
სის თვეში. ღმერთმა ქნას, ეს ხელშეკრულება არცერთ ჩვენს თაობას  
არ დაერღვიოს“ (დუმბაძე 1981: 45). ასეთ პუმანურ მიზანს ისახავს ავ-  
ტორის ნატვრა, ისევე როგორც კეთილ წადილად შეიძლება წარმო-  
ვიდგინოთ ჯონ სტაინბეკის ტექსტიდან შემდეგი, მარად აქტუალური  
შინაარსის პასაჟი: „ჩვენი სადლეგრძელო რეინის, ნეილონის, საერ-  
თოდ, ყოველგვარი ფარდების, პოლიტიკური სიცრუისა და ცრურნმე-  
ნების მოხსნის აუცლებლობას მიეძღვნა. ჩვენი აზრით, ქვეყნებს შო-

რის ჩამოშვებული ფარდები ომის წინაპირობას ქმნიდნენ“ (სტეინბეკი 2005: 2010).

მოვგიანებით, 1963 წელს ჯონ სტაინბეკი კიდევ ერთხელ ესტუმრა თბილისს. სწორედ ამ დროს წარმოთქვა შემდეგი სიტყვები: „პირადად მე კეთილ საქმედ მიმაჩნია, როცა ქვეყნებს შორის არსებობს კულტურული ურთიერთობა, მნერლის ვალია ამ ურთიერთობების გაუმჯობესება“ (სტეინბეკი 2005:13), ხოლო უურნალისტებთან შეხვედრაზე, როდესაც დაადასტურა უურნალისტიკისადმი ერთგულება, აღნიშნა: „ცხოვრებაში მე ავლავ უურნალისტად ვთვლი ჩემ თავს. უურნალისტის მიდგომამ, თვალსაზრისმა, საკუთარმა შეხედულებამ, შეიძლება უაღრესად დიდი გავლენა მოახდინოს მოვლენათა მსვლელობაზე“ (სტეინბეკი: 2005:16).

დასახელებულ ტექსტებზე დაკვირვება ადასტურებს, რომ ეპოქის იდეოლოგიური წესი გარკვეულ გავლენას ახდენს ავტორებზე, თუმცა ისინი არ უგულებელყოფენ შთაბეჭდილებების გადმოცემის სიზუსტის, კეთილსინდისიერების პრინციპს და უურნალიზმისათვის დამასასიათებელი გამოხატვის ხერხებით ქმნიან დიდოსტატური პუბლიცისტური ხელნერით გამორჩეულ, ინფორმაციულად დატვირთულ უურნალისტურ ტექსტებს, რომლებიც საკონტაქტო მედიუმის (წიგნი, გაზეთი) მეშვეობით მიეწოდებოდა მკითხველს და რომლითაც იგი ეზიარებოდა „რკინის ფარდის“ მიღმა არსებულ კონტრასტული სივრცეების დოკუმენტურ სურათს.

ტექსტებში ასახული ეპოქის არსის გამომხატველი სიმბოლოები და პარადიგმები ერთმანეთისაგან ე.წ. დასავლეთ-აღმოსავლეთის („ცივი ომის“ პერიოდის დაპირისპირების სახელდებით), რადიკალურად განსხვავებული, კაპიტალისტური და კვაზისოციალისტური სისტემების თვისიბრიობის ჩვენებას ემსახურება. პოლიტიკური იდეოლოგია, როგორც ხელოვნური წყალგამყოფი, არსებითად, ვერ აბრკოლებს ავტორებს, დაძლიონ საბჭოთა პოლიტიკური წესისგან შექმნილი ფსიქოლოგიური გაუცხოება, დაინახონ და წარმოაჩინონ ქვეყნების უმთავრესი ისტორიული თუ თანამედროვე კულტურული მახასიათებლები.

მიუხედავად პოლიტიკურ სისტემებს შორის არსებული ანტაგონიზმისა, მათი მონათხრობი, გლობალიზაციის პირობებში, თანამედროვე, ინფორმირებული მკითხველისათვის, ცხადია, განიხილება კონკრეტული, ისტორიად ქცეული, მაგრამ მუდამ აქტუალური ეპოქის განზომი-

ლებაში, თუმცა აღსანიშნავია, რომ ჯონ სტაინბეკი და ნოდარ დუმბაძე,  
თავისითავადი, ლიტერატურულ-პუბლიცისტური სტილით გამორჩეულ,  
დოკუმენტური და კულტურული ლირებულების მქონე უურნალისტურ  
ტექსტებში, კონტრასტულ სივრცეებს ეთნორელატივიზმის პოზიციე-  
ბიდან აფასებენ, რის გამოც მათი გააზრება შესაძლებელია ინტერკულ-  
ტურული კომუნიკაციის ჭრილში. ყოველივე ეს, განაპირობებს დასახე-  
ლებული ნაწარმოებების სადღეისო მნიშვნელობას.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ГРУШЕВИЦКАЯ Т.Г 2003: „ГРУШЕВИЦКАЯ Т.Г. ПОПКОВ В.Д. САДОХИН А.П.  
„ОСНОВЫ МЕЖКУЛЬТУРНОЙ КОММУНИКАЦИИ“ М. 2003. ვებმის.:  
<http://bugabooks.com/book/173-osnovy-mezhkulturnoj-kommunikacii/75-glava-3-model-osvoeniya-chuzhoj-kultury-m-benneta/1.html>
2. დუმბაძე 1981: დუმბაძე ნ. „ოდისევსის დაბრუნება“, წიგნიდან  
„შთაბეჭდილებები, წერილები, გამოსვლები“. თბ.:1981.
3. ეკო 2009: ეკო უ., „პოპულიზმი, მასმედია, კულტურა და ინტელექ-  
ტუალები“, – ინტერვიუ უმბერტო ეკოსთან, თარგმნა მალხაზ  
ხარბედიამ. ვებმის.: <http://arilimag.ge/%E1%83%A3%E1%83%9B%E-1%83%91%E1%83%94%E1%83%A0%E1%>
4. სტაინბეკი 2005: სტეინბეკი ჯ. „რუსული დღიური“ (თარგმანი დ.  
გეგენავასი). თბ., 2005.
5. სტაინბეკი: სტეინბეკი ჯ., „სიტყვა, წარმოთქმული ნობელის პრე-  
მის მიღებისას 1962 წლის 10 დეკემბერს“. ვებმის.: <http://lib.ge-book.php?author=802&book=10802>
6. შილინგლოუ: 2011: შილინგლოუ ს. „სამოთხის აღმოსავლეთი“,  
ინტერვიუ სუზან შილინგლოუსთან. ვებმის.: <http://shokoladi.ge/content/samotxis-agmosavleti>, განთავსებულია 2011 წლის 30 ნოემბრი-  
დან.
7. წერეთელი 2010: წერეთელი მ. „ამერიკული ლირებულებები ქარ-  
თულ პუბლიცისტურ ტექსტებში“ (XIX-XX საუკუნეების გამოცდი-  
ლებიდან), უურნალი „ინტელექტუალი“, №14, 2010.
  - მწერლის გვარი „რუსული დღიურის“ ქართულ გამოცემაში თარგმნილია,  
როგორც სტეინბეკი, ამიტომ ჩვენ ის უცვლელად დავიმოწმეთ.

**Mari Tsereteli**

Associate Professor

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**For understanding intercultural aspect of contrasting spaces  
during the „Cold War“ (According to journalistic writings  
of John Steinbeck and Nodar Dumbadze)**

**Resume**

Unprecedented soviet regime of XX century restricted cultural communications with the western countries extremely, which the soviet media demonstrated in the political context. Antagonistic – ideological discourse characterizes in general the „Cold War“ (from the middle of 1940 years to the beginning of 1990 years) period Georgian mass media. Anti-western disinformation replaced information purposefully. Media space, in essence, was covered by soviet propaganda informational flow and impressed with ideological standoff. In a similar situation established cliches and stereotypes adversely affected on the mass consciousness.

Georgian reader in captivity of poor understanding, familiarized public, political and cultural life of the United States of America behind the „Iron Curtain“ through a few feature films, musical compositions or only the world famous classical literary works (the so-called after warming policy more often). By the beginnings of 19 and 20 century, Georgian democratic press made deliberate attempts at the integration with the western world, systematically publishing publications reflecting political and social life of western countries, including the remote United States of America. In the 20 century this process stopped for a lengthy period. As a result, the development of Georgian democratic journalism was hindered for a long time.

Artificially alienated American world became inaccessible for the Georgian reader. The western world discussed Georgia as a constituent part of the Soviet Empire, only in the united social-cultural field and an integral part of the Soviet Union. Naturally, the Georgian culture, in its independent form, as a unique phenomenon, remained unknown to the West.

American writer's, John Steinbeck's book „Russian Diary“ written at the period of the information vacuum, is of particular importance, as one of the

chapters tells the story of the author's trip to Georgia in 1947 and the travel essay by the Georgian writer Nodar Dumbadze „Odysseus Return“, with the reflections of his visit to the United States of America in 1978.

Surveillance of the above-mentioned texts confirms, that ideological pressure of epoch affects the authors to certain extent, but they don't ignore impressions conveying accuracy, principle of conscientiousness and expressing characterizing techniques for journalism, create informative texts, in distinctive journalistic style, which delivered to the reader via contact medium (book, newspaper) documentary pictures of contrast spaces behind the „Iron Curtain“.

N. Dumbadze, with usual chromaticity, conveys American political economical system, education, also many important nuances for citizen psychology of the free world. It should be noted, that in Stalin era, John Steinbeck reflects Georgian soviet political-social and cultural reality without clear political judgment. Characters expressing the essence of the period sited in the texts and paradigms, serve to the quality showing of fundamentally different capitalist and quasi-social systems of the so-called West-East (named „Cold War“ period controversy). Political ideology, as artificial watershed, cannot prevent the authors in essence, to counter the psychological alienation created by the Soviet political pressure, to see and promote main historical and contemporary cultural features of the countries.

Despite the antagonism between the two political systems, ethno-centrist thinking is alien to the authors. Their stories, under the globalization condition, are discussed in a specific, twisted story, though always urgent, epoch dimension in essence, for modern, informed reader, but it should be mentioned that John Steinbeck and Nodar Dumbadze evaluate contrasting spaces from the positions of ethno-relativism, in the original, literary – journalistic style, distinctive journalistic texts possessing the documental and cultural values, for which reason they can be understood in the context of intercultural communication perspective, all of this largely determines present significance of the referred works.

**ალექსანდრე წურწუმია**  
ასისტენტი პროფესორი, თსუ

**საზღვაო ძალისა და სახმელეთო ძალის  
დაპირისპირების ძირითადი ასპექტები**

თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკური მეცნიერებების ფორმირების პროცესი XIX საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო. სწორედ ამავე პერიოდში იწყება გეოპოლიტიკის ფორმირება. გეოპოლიტიკის არსი მკაფიოდ წარმოჩნდება, თუკი მას დავახასიათებთ, როგორც დისციპლინას, რომელიც სწავლობს პოლიტიკური მიზნის მიღწევას გეოგრაფიული ფაქტორების გამოყენებით.

ისევე, როგორც ნებისმიერ პოლიტიკური მეცნიერების უმეტეს დისციპლინას, გეოპოლიტიკასაც გააჩნია ორი მხარე – თეორიული და გამოყენებითი. გეოპოლიტიკაში ეს ორი მხარე ძალზედ მჭიდროდ არის ერთმანეთათან გადაჯაჭვული. გამოყენებითი მხარის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას წარმოადგენს – გეოსტრატეგია. სტრატეგია [ბერძ. strategia] – ომის მომზადებისა და წარმოების, დიდი სამხედრო ოპერაციების ჩატარების ხელოვნება, ანუ გეოსტრატეგია ეს არის გეოგრაფიული გარემოს გათვალისწინება სამხედრო სფეროში.

გეოპოლიტიკის უმთავრეს კატეგორიას წარმოადგენს სივრცე. XX საუკუნის მეორე ნახევრამდე ძირითადი აქცენტი კეთდებოდა სახმელეთო და საზღვაო სივრცეზე. ძირითადი კვლევები დაიყვანება ორი ძალის – თალასოკრატიისა და თელუროკრატიის ურთიერთობისა და წინააღმდეგობის ანალიზამდე. თალასოკრატიის (საზღვაო ძალის) და თელუროკრატიის (სახმელეთო ძალის) ურთიერთზემოქმედება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა კოლუმბის შემდგომ ეპოქაში. მოყოლებული XV საუკუნიდან, ზღვებსა და ოკეანეებზე უპირატესობის მოპოვება განაპირობებდა და განაპირობებს პოლიტიკურ პროცესებს.

კონსტანტინოპოლის დაცემა (1453 წ.) მნიშვნელოვან ეტაპად იქცა კაცობრიობის ისტორიაში.

ამ ფაქტთან დაკავშირებით, ბრიტანელი გეოპოლიტიკოსი, სერ ჰელფორდ მაკინდერი (1861-1947) 1919 წელს გამოცემულ წიგნში „დე-მოკრატიული იდეალები და რეალობა“, აღნიშნავს:

„იმ მომენტიდან, როდესაც ქალაქი კონსტანტინოპოლი 1453 წელს გადავიდა თურქების ხელში, შავი ზღვა ჩაიკეთა ვენეციელი და გენუელი მეზღვაურებისათვის“<sup>1</sup> [Mackinder, 4:1944].

შესაძლოა, ევროპელთათვის XV საუკუნემდეც იყო ცნობილი, აფრიკის შემოვლითი, ინდოეთისკენ მიმავალი საზღვაო გზის არსებობის შესახებ. თუმცა, მისით სარგებლობის აუცილებლობა მანამდე არ დამდგარა. ოსმალეთის იმპერიის მიერ ხმელთაშუაზღვის სივრცეში წარმოებულმა ექსპანსიამ ბიძგი მისცა ახალ დიდ აღმოჩენებს - კოლუმბის მიერ ამერიკისა (1492 წ.), ხოლო ვასკო და გამას მიერ 1498 წელს ინდოეთისკენ მიმავალი საზღვაო გზის აღმოჩენამ განაპირობა სავაჭრო გზების ზღვაზე გადანაცვლება.

მიიჩნევს რა კოლუმბის მიერ განხორციელებულ აღმოჩენას უმნიშვნელოვანეს ეტაპად კაცობრიობის განვითარების ისტორიაში, მაკინდერი შემდეგი სიტყვებით იწყებს თავის ცნობილ სტატიას „ისტორიის გოგრაფიული ღერძი“:

„როდესაც შორეულ მომავალში რომელიმე ისტორიკოსი მოისურვებს ჩვენ ჟამთა გამოკვლევას და შემაჯამებელი ფორმულის სახით მის წარმოდგენას (როგორც ჩვენ ამას ვაკეთებთ ძველი ეგვიპტის დინასტიების მიმართ) მოსალოდნელია, რომ უკანასკნელ ოთხას წელიწადს იგი უწოდებს „კოლუმბის ეპოქას“ და დასკვნის, რომ ეს ეპოქა დასრულდა 1900 წლიდან მცირე ხნის შემდეგ [მაკინდერი, 350:1999].

დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებთან დაკავშირებით გვსურს მოვიყვანოთ მაკინდერის კიდევ ერთი ციტატა, რომელიც ასახავს საზღვაო და სახმელეთო ძალების დაპირისპირების არსს.

„კეთილი იმედის კონცხის შემოვლით ინდოეთში მიმავალი გზის აღმოჩენის ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი ის იყო, რომ ამ გზას, თუნდაც ასეთ გრძელს და შემოვლითს, უნდა დაეკავშირებინა ევრო-აზიის დასავლეთისა და აღმოსავლეთის სავაჭრო-სატვირთო სანაპირო ნაოსნობა და ზურგიდან ზენოლით, გარკვეულწილად, მოეხდინა სტეპების ბინადართა მიერ დაკავებული ცენტრალური მდებარეობის სტრატეგიული უპირატესობის ნეიტრალიზაცია. ერთიანი და განფენილი ოკეანე, რომელიც გარს ევლება გაყოფილ და კუნძულოვან მიწებს, რათქმა უნდა, წარმოადგენს იმ ერთადერთ პირობას, რომელიც უზრუნ-

ველყოფდა მართვის კონცენტრაციის უმაღლეს ხარისხს ზღვაზე, რა-ზეც დაწვრილებით წერდნენ თანამედროვე სამხედრო-საზღვაო სტრა-ტეგისა და პოლიტიკის თეორიაში, კაპიტანი მეჰენი და სპენსერ უილ-კინსონი“ [მაკინდერი, 359:1999].

XIX საუკუნე, მნიშვნელოვან ეტაპად იქცა საზღვაო და სახმელეთო ძალების დაპირისპირებისა. რუსეთის პოლიტიკის გააქტიურებას და ტერიტორიულ გაფართოებას ახლო აღმოსავლეთისა და ცენტრალური აზიის მიმართულებით ევროპულ სახელმწიფოთა, პირველ რიგში ბრიტანეთის, მწვავე რეაქცია მოჰვა. დაძაბული ურთიერთობა დაპირისპირებაში გადაიზარდა, რაც ისტორიაში ცნობილია „დიდი თამაში“-ს სახელწოდებით. ამ დაპირისპირებამ თითქმის საუკუნე (1813-1907) გასტანა [http://en.wikipedia.org/wiki/The\_Great\_Game].

ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ გარკვეული პერიოდულობით პოლიტიკურ პროცესთა გამწვავება და კონფლიქტურ ფაზაში გადას-ვლა ევრაზიული სივრცის ერთსა და იმავე არეალებში ხდება: ბალკანე-თი, ცენტრალური აზია, აღმოსავლეთ აზიის სანაპირო ზოლი. ამ ჩამონათვალში, აღბათ, შეიძლება ახლო აღმოსავლეთის სამხრეთ-დასავ-ლეთის არეალის დასახელება, თუმცა აქ მიმდინარე კონფრონტაცია იმდენად საყურადღებოა, რომ მოითხოვს ცალკე განხილვას. ამავე დროს, ევრაზიულ სივრცეში მიმდინარე დაპირისპირებები საყურადღებოა კოალიციათა შემადგენლობაში წევრთა ცვლილებების თვალსაზრისით. ხშირად პოლიტიკური პარტნიორები მოწინააღმდეგენი გამხდარან და გარკვეული დროის შემდგომ, ინტერესებიდან გამომდინარე კვლავ მოკავშირენი.

„დიდი თამაში“-ს პერიოდის დაპირისპირებასა და ევრაზიულ პო-ლიტიკურ სივრცეში მიმდინარე პროცესებს დიდ ყურადღებას უთმობდა ილია ჭავჭავაძე და სპეციალურ პუბლიცისტურ წერილებს უძღვნიდა ამ საკითხს.

აანალიზებს რა ბრიტანეთის პოლიტიკას და ილია ჭავჭავაძის პო-ზიციას აღმოსავლეთის საკითხთან დაკავშირებით, პროფ. ომარ გოგი-აშვილი აღნიშნავს:

„ილია მაღალი აზრის იყო ინგლისურ დიპლომატიაზე და, ხშირ შემთხვევაში, აღფრთოვანებას ვერ მაღავდა მისი ზოგიერთი წარმოა-მადგენლის მიმმართ, განსაკუთრებით გლადსტონით. გასული საუკუნის 90-იანი წლების შუა ხანებში, როცა ინგლისმა აღმოსავლეთთან მი-მართებაში კიდევ ერთხელ გამოაჩინა თავისი კლანჭები და გაუმაძლა-

რი ბუნება, ევროპული პრესა ალაპარაკდა იმის თაობაზე, რომ ამ შემთხვევაში ინგლისის მცდელობა ამაოა, მის მეტ გაძლიერებას ევროპა არ დაუშვებს და შეიძლება ისიც დაკარგოს, რაც ადრე შეიძინაო. ილია ქართულ საზოგადოებას თავის მოსაზრებას უზიარებს: „ინგლისს თავის სვე-ბედის თავში იმისთანა კაცები ჰყოლია და დღესაც ჰყავს, რომ ისინი ასე ადვილად არ შესცდებიან, რომ ჩვენისთანა კაცებმა შეცდომა გაუსწორონ. ინგლისმა კარგად იცის რას მოქმედებს და რას ეტანება. იგი ისე არ წაადგება სახტომს, რომ ჯერ ათასჯერ არ გადაზომოს და სახტომი თავის დონეს არ შეუწონოს“ [გოგიაშვილი, 544: 2008]

„დიდი თამაში“-ს პერიოდის ერთ-ერთ ყველაზე მწვავე ფაზას წარმოადგენდა ყირიმის ომი (1853-1856), რომლის მთავარი მიზეზი განპირობებული იყო რუსეთის იმპერიის არეალის გაფართოებით ამიერკავკასიისა და ცენტრალური აზიის მიმართულებით, სადაც ის ბრიტანეთის იმპერიის ინტერესებს შეეჯახა.

კოალიციის მიერ (საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, ოსმალეთის იმპერია და სარდინიის სამეფო) დამარცხებული რუსეთის იმპერია მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. 1856 წლის სამშვიდობო შეთანხმების შედეგად რუსეთს მოუწია მნიშვნელოვან დათმობებზე წასვლა:

1. ამიერკავკასიაში ყარსი; შავ ზღვაზე სამხედრო ფლოტისა და სამხედრო ბაზების არსებობა (იგივე მოთხოვნის დაკმაყოფილება მოუწია ოსმალეთს, რაც, გარკვეულწილად, აბალანსებდა მდგომარეობას შავ ზღვაზე);

2. ალანდის კუნძულების, რომელიც 1809 წლის რუსეთ-შვედეთის ომის შემდეგ, დაიკავა რუსულმა კორპუსმა პეტრე ბაგრატიონის მეთაურობით და შეუერთა ფინეთის დიდ სამთავროს;

### 3. ბესარაბია.

თუმცა, 1877-1878 წლების ოსმალეთის იმპერიასთან ომის შედეგად, რუსეთის იმპერია კვლავ იმყარებს პოზიციებს ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, იბრუნებს ბესარაბიას და იერთებს ამიერკავკასიაში: ყარსას, ბათუმსა და არდაგანს.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში მიმდინარე რუსული ექსპანსია ცენტრალურ აზიაში, თანდათანობით უახლოვებდა მის საზღვარს ბრიტანეთის ინდოეთს (ახლანდელი ინდოეთის, პაკისტანის, ბანგლადეშის და მიანმას ტერიტორია). ეს სივრცე XVIII საუკუნის 50-იანი წლებიდან იმყოფებოდა ბრინტანეთის იმპერიის შემადგენლობაში. მიმდინარე პროცესები, შესაბამისად, ზრდიდა ავღანეთის გეოპოლი-

ტიკურ მნიშვნელობას. შაჰ შუჯასა და დოსტ-მუჰამედს შორის დინას-ტიურ დაპირისპირებას, რომლის დროსაც ამ უკანასკნელმა რუსეთის იმპერატორს მიმართა დახმარების თხოვნით, ინგლის-ავღანეთის ომი (1838-1842) მოჰყვა.

ახალი ფაზის დაწყება „დიდ თამაშ“-ში რუსეთის იმპერიის მიერ ბუხარის (1868 წ.), ხივის (1873 წ.) და კოკანდის სახანოების (1876 წ.) „შეერთებას“ მოჰყვა. ექსპანსიას ბრიტანეთმა ავღანეთში ჯარის შეყვანით უპასუხა. ცენტრალურ აზიაში წარმატების შემთხვევაში რუსეთი პრაქტიკულად გაიადვილებდა პეტრე I გეგმის განხორციელებას, შეძლებდა „თბილი წყლებისკენ“ ანუ ინდოეთის ოკეანეზე გასვლას. ავღანეთის მეორე ომს (1878-1880) შედეგად მოჰყვა ხელშეკრულების გაფორმება, რომლითაც საგარეო პოლიტიკა ავღანეთს ბრიტანეთთან უნდა შეეთანხმებინა. რუსეთის იმპერიის მიერ მერვის ოაზისის დაკავებისას (1885 წ.) სიტუაცია დაიძაბა, რასაც შედეგად რუსეთსა და ავღანეთს შორის მდინარე კუშკაზე საზღვრის დადგენა მოჰყვა.

XIX საუკუნის ბოლოსთვის, რწმუნდება რა, რომ ცენტრალური აზიის მიმართულებით მიღწეულზე მეტის მოპოვება შეუძლებელია, რუსეთი ყურადღებას ჩინეთსა და შორეულ აღმოსავლეთზე ამახვილებს. უნდა აღინიშნოს, რომ არა მარტო რუსეთი, არამედ პრაქტიკულად ევროპის მაშინდელი ყველა წამყვანი სახელმწიფოს პოლიტიკურ ურთიერთობათა ცენტრი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და წყნარ ოკეანეში ინაცვლებს.

რუსეთისა და ბრიტანეთის იმპერიების დაპირისპირების შეჩერებას და ანტანტის კავშირის ფორმირებას (რუსეთი, საფრანგეთი და ბრიტანეთი) ხელი შეუწყო ევროპაში XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, გერმანიის მეთაურობით ახალი პოლიტიკური ცენტრისა და კოალიციის ფორმირებამ.

პრუსიის გამარჯვებამ საფრანგეთთან 1870-1871 წლის ომში, სათავე დაუდო გერმანიის იმპერიად ჩამოყალიბებას (1871-1918), რომელიც სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა. ივი არ ჯერდებოდა მოპოვებულ ტერიტორიებს და გავლენის სფეროებს. ჩრდილო გერმანიის კავშირს (შეიქმნა 1867 წელს) შეუერთდნენ: ბავარიის სამეფო, ბადენი, ვუტემბერგი, სამხრეთ გესენ-დარმშტადტი და ანგქისირებული ელზას-ლოტარინგია. ერთიანობის აღდგენის (ინტეგრაციის) პროცესი შეეხო, ასევე, იტალიის სამეფოს (1861).

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან გერმანია ჩაერთო ევროპის მიღმა მიმდინარე კოლონიალურ გადანაწილებაში. ამ ათწლეულის ბოლოს-თვის, გერმანია უკვე ფლობდა ვრცელ კოლონიებს აფრიკის კონტინენტზე: ტოგოს, კამერუნს, გერმანულ აღმოსავლეთ აფრიკასა და გერმანულ სამხრეთ-დასავლეთ აფრიკას. აზიაში გერმანიამ მოიპოვა მნიშვნელოვანი სტრატეგიული დასაყრდენი; ყვითელი ზღვის სანაპიროზე მდებარე ქალაქი ცინდაო 1897-1914 წლებში იმყოფებოდა გერმანელების ხელში; ხოლო ოკეანეში: ახალი გვინეის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი, მიკრონეზია (ნაურუ, პალაუ, მარშალის, კაროლინის და მარიანის კუნძულები).

შემთხვევითი არაა აღმატ ის გარემოება, რომ ევროპასა და, საერთოდ, მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებათა ფონზე, სწორედ გერმანიაში ჩაეყარა საფუძველი იმ დისციპლინის თეორიულ ბაზისს, რომელსაც გეოპოლიტიკა ეწოდება. მის სათავეებთან მდგომ მეცნიერთა შრომებმა მნიშვნელოვანად განაპირობეს პოლიტიკური პროცესები.

გეოპოლიტიკის ფუძემდებელმა, გერმანელმა მეცნიერმა ფრიდრიჰ რატცელმა (1844-1904) XX საუკუნის დასაწყისში ჩამოაყალიბა იდეა მსოფლიო ბატონობისა – Weltmacht (ზესახელმწიფო) და დაასკვნა, რომ ამ სტატუსის მისაღწევად სახელმწიფომ უნდა განავითაროს არა მხოლოდ სახმელეთო, არამედ საზღვაო ძალაც და გააერთიანოს (შერწყას) ისინი. პრაქტიკულად რატცელის ამ ხედვას შეგვიძლია ვუწოდოთ სინთეზური გეოპოლიტიკა.

საზღვაო ძალის თეორეტიკოსთა შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს ადმირალ ალფრედ მეპენს. (1840-1914). მან მჭიდროდ დაუკავშირა ერთმანეთს ვაჭრობა და საზღვაო ძლიერება.

მეპენის მიერ შემუშავებული ხედვა შემდეგი ფორმულის სახით შეიძლება იყოს წარმოდგენილი – N+MM+NB=SP, ანუ სამხედრო ფლოტს+სავაჭრო ფლოტი+სამხედრო-საზღვაო ბაზები = სამხედრო ძლიერებას [გაჯიევ, 13:1998].

კონტინენტური ძალების კონტროლისა და დასუსტების მიზნით მეპენმა პლანეტარულ დონეზე გადაიყვანა „ანაკონდის“ პრიციპი, გამოყენებული 1861-1865 წლების სამოქალაქო ომში გენერალ ჯორჯ მაკკლელანის (1826-1885) მიერ. ამ პრინციპის ძირითადი არსი მდგომარეობს მონინააღმდეგის ზღვიდან და სანაპირო ხაზიდან ბლოკირებაში, რაც იწვევს მის გამოფიტვას.

ალფრედ მეპენმა გაუსწრო თავის დროს. მის ხედვასა და მეთოდს ყველაზე ეფექტურად, აშშ იყენებდა და იყენებს „ცივი ომი“-სა და მის შემდგომ პერიოდში.

2008 წლის აგვისტოს კონფლიქტი წარმოადგენდა მცდელობას რუსეთის მხრიდან „ანაკონდის რკალი“-ს გარღვევისა. იგივე შეიძლება ითქვას უკრაინაში განვითარებულ პროცესებზე. პრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩის იმპირიუნტის შემდგომ, რუსეთის ხელისუფლებამ არ დააყოვნა, დაარღვია უკრაინის სუვერენიტეტი და მოახდინა ყირიმის ოკუპაცია და ანექსია. უკრაინის მიმართ რუსეთის აგრესიული პოლიტიკის საპასუხოდ აშშ-მა გაზარდა სამხედრო გემების რაოდენობა შავ ზღვაში. აშშ-ის ინტერესს უკრაინისადმი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დადასტურება წარმოადგენს ინფორმაცია ა/ნ ივნისის თვეში კიევში პრეზიდენტ ობამას ვიზიტის შესახებ, რომლის დროსაც დაგევმილია შეხვედრა უკრაინის ახლადარჩეულ პრეზიდენტ პეტრე პოროშენკოსთან. ძალზედ სავალალო შედეგის მომტანი იქნება არა მარტო უკრაინისა და შავი ზღვის ქეყუნებისათვის, არამედ დასავლური სამყაროსთვის, თუკი მოხდა უკრაინის პორიზონტალურ ხაზებად (ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილად) გაყოფა, რაც შეზღუდავს შავი ზღვის ჩრდილოეთ ნაწილის მეშვეობით კომუნიკაციას.

მიმდინარე მოვლენები გაძლევს საფუძველს, კიდევ ერთხელ გავუსვათ ხაზი, რომ სახეზეა „ცივი ომი“-ს ახალი ფაზა. „რკინის ფარდა“ ამჯერად ჩამოეშვა არა შტეტინდან ტრიესტამდე, არამედ წარვიდან ქერჩამდე. გადაიწევს თუ არა ის კიდევ უფრო დასავლეთით, დამოკიდებულია დასავლეთის პოლიტიკურ ერთიანობაზე, სწრაფ და ეფექტურ პასუხზე რუსეთის მიერ გადადგმულ ნაბიჯებზე.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. H.I. Mackinder. Democratic Ideals and Reality. New York, Pelican Books, 1944.
2. პელფორდ მაკინდერი. ისტორიის გეოგრაფიული ღერძი. // ა. დუგინი. გეოპოლიტიკის საფუძვლები. თბ., 1999.
3. [http://en.wikipedia.org/wiki/The\\_Great\\_Game](http://en.wikipedia.org/wiki/The_Great_Game)
4. ო. გოგიაშვილი. ილია დლეს. თბ., 2008.
5. K.C. Гаджиев. Введение в геополитику. М., 1998.

**Alexander Tsurtsunia**  
Assistant Professor  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

## **Main Aspect of the Sea Power and Land Power Confrontation**

### **Resume**

Process of formation of contemporary social-political sciences commenced in the second half of the XIX century. Namely this period is deemed as beginning of formation of geopolitics. Essence of geopolitics may be outlined more clearly if we characterize it as a discipline aimed at the study of the achievement of political goals by application of geographical factors.

Like any political science, generally, geopolitics has its two sides as well: theoretical and applicable. It should be emphasized that these two sides are closely interconnected in geopolitics. Applicable side is frequently characterized with a term: Geo-strategy. Strategy (strategia in Greek) means art of war preparation and management of great military operations. So geo-strategy is the envisagement of geographical environment in a military sphere.

Main category of geopolitics is space. Before second part of XX century main attention was paid to land and water space. Confrontation between Thalassocracy (sea power) and Telurocracy (land power) became rather urgent in post Columbus period, when gaining prevalence over the sea and the ocean conditioned and still conditions the political processes.

Founder of geopolitics, German scientist Friedrich Ratzel (1844-1904) was represented by the “Organic School”. By the beginning of the XX century, Ratzel creates (forms) the idea of world powers – Weltmacht (Superpower). He came to a conclusion that in order to achieve this status, the state must develop not only the land forces, but the sea as well; combining these two forces we can practically call Ratzel’s vision Synthetic Geopolitics.

American geopolitical school is based on the principles of sea power. Most famous researcher of sea powers was Admiral Alfred Mahan (1840-1914). He had strongly connected trade and sea power. Mahan’s vision can explain such –  $N + MM + NB = SP$  – Navy + Merchant Marine + Navy Basis = Sea Power.

For the control of continental (Eurasian) forces he had transferred on a planetary level principle of anacondas. The essence of this principle consists of

blocking of the opponent from outside the sea and coastal lines that conducts to its exhaustion and defeat.

Alfred Mahan had outstripped the time. His vision was exceedingly actual and useful by USA in the period of the “Cold War” and is still used nowadays.

August war of 2008 was a demonstration by Russia to destroy “anaconda’s loop”. The same could be said about the present situation in Ukraine. After impeachment of President Viktor Yanukovych, Russia reacted rapidly in order to destroy the sovereignty of Ukraine – it occupied and annexed Crimea. In answer to Russia’s aggressive politics USA increased number of navy in the Black Sea. Division of the country into horizontal lines (Northern and Southern parts) but Western countries as well. Similar situation destroys communication by the use of the northern part of the Black Sea.

These processes give us reason to believe, that we have new phase of “Cold War” and “Iron Curtain” now goes not from Stettin to Trieste, but from Narva to Kerch. Whether it would be moved westward or not, depends on the unity of the Western Society, on force and effective answer to the Russian politics.

**Нелли Джамаспашвили**<sup>\*</sup>, Доктор географии

**Роман Маисурадзе**<sup>\*</sup>, Доктор географии

**Леван Беручашвили**<sup>\*</sup>, докторант

**Николай Беручашвили**<sup>\*</sup>, докторант

**Тамар Хардзиани**<sup>\*</sup>, докторант

<sup>\*</sup>Тбилисский государственный университет,

им. Иване Джавахишвили

## **Ландшафтно-экологический каркас как инструмент для менеджмента лесов грузии**

Исследование биологического и ландшафтного разнообразия отдельных регионов Грузии крайне актуально, так как в настоящее время в стране ведутся большие работы, связанные с менеджментом территории – лесной инвентаризацией, созданием единой сети охраняемых территорий, земельным кадастром.

Леса являются важнейшим компонентом окружающей среды, имеющим значительное влияние на ее состояние. Так, от состояния и режима использования лесов в окрестностях деревень и поселков в значительной степени зависят условия жизни людей, ведущих традиционный сельский образ жизни. Леса представляют ценность для неограниченного круга лиц в силу их биологической (высокий уровень биоразнообразия) или культурной (наличие священных рощ и других объектов религиозного поклонения) уникальности. Экологическая ситуация во многих городах и регионах может полностью определяться состоянием окружающих их лесов. Однако в мире, почти 14 млн. га леса, безвозвратно теряются каждый год, в результате массированных рубок. Если нынешняя тенденция сведения лесов продолжится, то к середине 21 века около 25% всех видов растений и животных нашей планеты исчезнут. (Птичников, 2000). Становится актуальным вопрос о сохранении лесных массивов, хотя с другой стороны нельзя полностью вывести их из экономического использования. Поэтому так в-

жен всесторонний анализ ландшафтно – экологического зонирования территории в качестве предварительного условия для планирования лесохозяйственных мероприятий. Ландшафтно-экологический каркас какой-либо территории представляет собой сетку ландшафтов и входящих в них элементарных природно-территориальных комплексов, с показом основных барьеров и экотонов для этой территории. Первоначально объектом исследования стали территории Онского и Амбролаурского районов. Из барьеров и экотонов в Онском и Амбролаурском районе основное внимание уделялось тем, которые обуславливают ландшафтную структуру территории. Для исследуемых районов наибольшую роль играли литологические, тектонические и климатические барьеры. Они обуславливали основные закономерности распределения растительности районов и их флористическое разнообразие.

Лучшим способом отображения ландшафтно-экологического каркаса территории является Геоинформационная система с Ландшафтной картой и специальными показателями. Для Онского и Амбролаурского районов была составлена ландшафтная карта на уровне видов ландшафта и карта природно-территориальных комплексов этого района.

В зависимости от конкретного назначения, в ГИС, связанной с ландшафтно-экологическим каркасом территории, список основных показателей может меняться. Для Онского и Амбролаурского района были отобраны такие показатели, которые представляют важность для лесоустроительных и лесопользовательских работ.

**Биологическое разнообразие на видовом уровне** сравнительно хорошо изучено. В 1999 году прошла Национальная конференция по биологическому разнообразию Грузии и в результате этой конференции в 2000 г. вышла капитальная коллективная монография «Биологическое и ландшафтное разнообразие Грузии». В этой же книге рассмотрены вопросы ландшафтного разнообразия. Обзор доступной литературы и материалов, помещенных в Интернете, показал, что рассуждения о биологическом разнообразии – один из наиболее популярных вопросов в биологии и географии. Среди многочисленных публикаций по этому вопросу отметим те которые, в той или иной степени, имеют отношение к нашему региону. Это «Глобальная экологическая перспектива» (2000), Biodiversity in Central and Eastern Europe (2000), Environmental in Central Asia (2000), Biodiversity

of the Caucasus Ecoregion (2001). Среди учебных пособий, в которых рассматривается методика исследования биоразнообразия отметим пособие Н.В.Лебедевой, Н.Н.Дроздова, Д.А.Криволуцкого «Биоразнообразие и методы его оценки», изданное в Московском государственном университете в 1999 г. Методика расчета индексов биологического разнообразия предложенная World Bank-ом рассмотрена в брошюре Rodenburg. E., Tustall D.,Van Bolhuis F. “Environmental Indicator for Global cooperation” (1996).

Лесу и его связи с ландшафтом уделяется большое внимание. Сравнительный анализ лесопользования в различных странах Европы приводится в монографии P.Arnould, M.Hotyat, L.Simon “Les Foret d’Europe” (Paris, NATHAN, 1997). Лесная сертификация получила в последнее время большое распространение, этому вопросу посвящена огромная литература и в связи с ним проводится большое количество национальный и международных совещаний и конференций. Из русскоязычной литературы отметим монографию А.В.Птичникова «Леса России: Независимая сертификация и устойчивое управление» (М., Издание WWF, 1999) и информационно-аналитический журнал «Лесная сертификация», который издается с 2000 г., по Инициативе Российского фонда охраны дикой природы.

Основы методики ландшафтных исследований описаны в учебном пособии Н.Л.Беручашвили, В.К.Жучкова. Методы комплексных физико-географических исследований» (1997). В связи с работами по выявлению ландшафтно-экологического каркаса для целей лесной инвентаризации и выделения охраняемых территорий, в Тбилисском государственном университете, проф. Н.Л. Беручашвили, была разработана методика оценки ландшафтного разнообразия. Оценка ландшафтного разнообразия базируется на том положении, что ландшафт имеет пространственно-временную структуру, т.е. характеризуется определенной вертикальной, горизонтальной и временной структурой. *Внутреннее разнообразие ландшафта* сравнительно хорошо изучено. Имеются данные, как по горизонтальной структуре ландшафтов, так и вертикальной структуре и структуре ландшафтов во времени. Эти характеристики детально рассмотрены в монографии «Кавказ. Ландшафты, модели, эксперименты» (Беручашвили, 1995). Важным является понятие «фрагильности», хрупкости ландшафта. Понятие фрагильности обратно по своему значению к понятию устойчивости. В целом, *фрагильными ландшафтами* надо считать те, которые находятся на границах своего существования – например на том климати-

ческом рубеже, где еще может существовать лес. колхидский подлесок, темнохвойные леса и т.д. Фражильность связана с биогенным компонентом, но может найти отклик и в эрозии и др. катастрофических процессах. Кроме того, ландшафт имеет определенное функционирование и косвенно это функционирование можно выявить на базе оценки количества геомасс. Важными являются и некоторые оценочные параметры, такие как ландшафтно-экологическая значимость, эстетическая оценка, рекреационная оценка и уникальность ландшафта или его составной части, какого-либо природно-территориального комплекса (Беручашвили, 2004, 2006).

Одним из основных результатов изучения ландшафтно-экологического каркаса исследуемых районов было составление т.н. **«Красной» или «Семафорной карты»**. Эта карта состоит из 4 основных частей. Первая связана с оценкой устойчивости ландшафта. Вторая показывает распространение основных геодинамических процессов, которые обуславливают устойчивость ландшафта. Третья часть связана с показом тех территорий, которые отличаются высоким биологическим разнообразием и, в принципе, требуют специального режима лесопользования. Наконец, четвертая часть показывает расположение нарушенных участков, которые требуют специальных восстановительных работ.

Устойчивость ландшафта показана на основе так называемого «семафорного» метода. Нестабильные (фражильные) участки показаны **красным цветом**. Относительно стабильные участки – **зеленым цветом**, Переходные между ними участки с относительно нестабильными ландшафтами – **желтым цветом**.

Рассмотрим первую компоненту карты. Общая площадь **неустойчивых территорий** в Онском районе равна 253,75 кв.км, что составляет 35,4% всех лесных ландшафтов района (18% от общей площади района). Эти территории приурочены, в основном, к бассейну верхней части долин Риони и Чанчахи, узкому ущелью Риони между Саглоло и Уцера. Более 70 % неустойчивые территории занимают в 5 ландшафтах. Все они относятся к верхнегорно-лесным ландшафтам Шода Кеделы, правого борта Чанчахи и склонам г.Купра. Гебские верхнегорно-лесные ландшафты имеют 50-70 % нестабильных территорий. Наконец, от 30 до 50% имеют нестабильные территории в Уцерском ущелья и в окрестностях Шкмери-Мравалдзали. Ландшафты, в которых неустойчивые территории занимают более 70%

рекомендуется вообще изъять из территории активного лесопользования и придать им статус аналогичный статусу противоэрозионных лесов. По ориентировочным подсчетам на эти ландшафты приходится менее 10% всего суммарного запаса древесины Онского района.

В Амбролаурском районе к явно неустойчивым территориям относится 171 кв.км, что составляет 15,2% всей территории района, что почти в 2 раза меньше, чем в Онском районе.

**К относительно неустойчивым территориям** относятся склоны крутизной в 30-35 градусов в относительно устойчивых горных породах и склоны 25-30 (реже 20-25) градусов в тех ландшафтах, где имеются неустойчивые горные породы и легко эродируемые поверхности. Эти территории занимают 44,7 % (320,86 кв.км) лесных ландшафтов Онского района (22,8% всей территории района). Относительно нестабильные территории приурочены в основном к южной, более низкой части Онского района. Относительно неустойчивые территории в Амбролаурском районе составляют 255 кв.км. Это в два раза меньше, чем в Онском районе.

**К относительно устойчивым ландшафтам** относятся все остальные территории. Надо отметить, что в условиях Онского района этот критерий весьма относителен, так как действительно устойчивых ландшафтов здесь, в условиях горного рельефа, нет.

Категория устойчивости ландшафта понижается в окрестностях населенных пунктов и там, где проходят важные автомобильные дороги, так как тут активные геодинамические процессы могут нанести существенный экономический урон.

Относительно устойчивые ландшафты занимают сравнительно небольшую площадь в Онском районе – 140,71 кв.км, что составляет 19,6% от площади лесных ландшафтов и 9,9% от всей площади района. Более 80% этих ландшафтов находится в южной, более низкой части Онского района. Относительно устойчивые территории занимают более 40% территории нижнегорных горно-котловинных ландшафтов Онского района, находящихся на левом берегу реки Риони, ниже Они. Эти ландшафты, при прочих благоприятных экологических условиях могут стать одним из районов устойчивого лесопользования.

В Амбролаурском районе, в отличие от Онского преобладают относительно устойчивые территории, которые занимают 353 кв.км. Этот показатель почти в 2.5 раза больше чем в Онском районе. Таким образом, в це-

лом, Амбролаурский район имеет более стабильные ландшафты, чем Онский. Анализ общего распространения основных групп ландшафтов показал, что в градацию неустойчивые участков в основном попадают мало-продуктивные леса, или участки с очень труднодоступными условиями, в которых экономическая эффективность от лесопользования весьма мала.

Вторая компонента карты связана с показом ареалов геодинамических процессов – показаны основные оползни, селевые потоки, лавины, камнепады, а также скальные участки. Надо отметить то, что в Геоинформационной системе имеются сведения о каждом из этих процессов и в том числе об их интенсивности.

Всего в Онском районе выявлен 41 очаг селевых потоков. Общая площадь этих очагов составляет 90,94 кв.км (6,4% всей территории района). Из них наибольшую площадь занимают активные очаги (33 очага с площадью 71,37 кв.км), которые в основном распространены в верховьях Риони и в бассейне Чанчахи.

Наиболее активные оползни, напротив приурочены к низнегорно-котловинным ландшафтам. Из нанесенных на Карту Ландшафтно-экологического каркаса 59 оползней - 10 имеют наибольшую опасность и их площадь составляет 3,86 кв.км.

Общая площадь зарегистрированных 2 каменных обвалов (в окрестностях Баджихеви и на Тамар-Дедоплис Клдееби) составляет 1,06 кв.км. Недалеко от села Кведи, находится известный обвал, который запрудил р.Кведрулу. В результате этого обвала образовалось озеро Кведистба. На карте показаны 576 лотка лавин. Их общая длина составляет 287 км, при средней длине лотка 0,5 км. Наконец на карте показаны наиболее значимые скальные обрывы. Геодинамические процессы показаны методом штриховок и картографических значков. Они, как бы уточняют, градации стабильности ландшафта и позволяют практику понять, на основании каких критериев, ландшафт был отнесен к той или иной категории устойчивости.

Третья компонента - территории с относительно высоким биологическим и ландшафтным разнообразием показаны на карте методом штриховки. Эти территории нуждаются в специальных режимах лесопользования. Девственные леса довольно хорошо представлены в Онском районе. Это один из важных потенциалов нашей страны - эти леса показаны на карте

путем решетчатой штриховки красного цвета. Довольно часто они совпадают с неустойчивыми территориями, которые и так нуждаются в охране. Реже они приурочены к ландшафтам находящимся в нестабильном состоянии и совсем редко – к относительно стабильным ландшафтам. Такое распространение девственных лесов легко объясняется их расположением, в основном в труднодоступных районах. Общая площадь девственных ландшафтов составляет 106,82 кв.км. Из них 2 массива имеют площадь более 10 кв.км, 4 массива от 5 до 10 кв.км, 16 массивов от 1 до 5 кв.км и 17 участков площадь менее 1 кв.км. Большая часть девственных лесов приурочена к нестабильным территориям. Однако, в труднодоступных участках, например в окрестностях Лесоры и на южном склоне Рачинского хребта в верховьях Джручулы сохранились участки девственных лесов, приуроченные к относительно стабильным территориям (Н.Н. Беруашвили, 2012).

Путем вертикальной штриховки показаны леса, имеющие высокое рекреационное и эстетическое значение, расположенные в окрестностях Уцера-Шови. Эти леса требуют специального статуса курортных лесов с ограниченным лесопользованием. Общая площадь этих лесов довольно большая и составляет 97,27 кв.км. Горизонтальной штриховкой показаны леса вокруг города Они. Они требуют статуса «зеленой зоны», так как тут наблюдается особенно интенсивное природопользование, которое нуждается в ограничительных мерах. Площадь этой категории – 9,13 кв.км. Наконец, специальным знаком показаны места с высоким абсолютным и относительным биоразнообразием. Эти участки показаны там, где абсолютный индекс биологического разнообразия превышает 25, а относительное биоразнообразие выше 10-15 единиц.

Четвертая компонента карты - Нарушенные территории, которые требуют восстановления. В Онском районе имеются нарушенные территории, которые требуют восстановления. К ним относятся экоцидированные (лишенные почвенно-растительного покрова) участки и сильно эродированные склоны с плоскостным и линейным смытом почвенного покрова. Эти участки образовались в результате неправильного природопользования.

Экоцидированные территории занимают относительно небольшую площадь – 3,97 кв.км. На карте показано 10 подобных участков. Специальным знаком показаны эродированные склоны. Они почти повсеместно встречаются в Онском районе, однако, в этом отношении, в Онском районе нельзя назвать катастрофической. Они встречаются в окрестностях Геби-

Чиоры, Глолы, Земо-Бари, вдоль некоторых дорог на южных склонах в Нижнегорно-лесных горно котловинных ландшафтах.

Наконец, определенные территории заняты дериватными (деградированными) лесами, которые в прошлом и настоящем подвергаются чрезмерной рубке. Общая площадь этих лесов составляет 58,97 кв.км. К ним следует добавить еще и 1,81 кв.км., где в результате практически сплошных рубок полнота леса существенно снизилась. Эти леса также требуют восстановительных мероприятий.

Дальнейшие исследования ландшафтно-экологического каркаса позволили составить еще одну синтетическую карту. Основная цель этой карты показать основные особенности биологического и ландшафтного (экосистемного) разнообразия территории. Учет этого разнообразия важен как при лесной инвентаризации, так и при работах, связанных с выделением охраняемых территорий. Карта состоит из нескольких слоев, которые показывают ландшафтное и биологическое разнообразие, девственные лесные массивы и степень трансформации экосистем в результате антропогенной деятельности, памятники природы (т.н. «природное наследие»), элементы культурного наследия, рекреационную оценку территории и характер транспортной сети, с показом тех ее элементов, которые важны для лесохозяйственной деятельности. Основное содержание карты – характер ландшафтного разнообразия показан в зеленых тонах. Наиболее высокое разнообразие – темно зеленым цветом, среднее – салатовым, а малое – желтым цветом. В связи с тем, что карта, в общем, имеет зеленый фон, ей условно присвоено название «Зеленой карты».


Среди горно-лесных ландшафтов с точки зрения биологического и ландшафтного разнообразия наибольший интерес представляет ущелье Риони между Уцера и Саглоло, участок Чанчахи-Ноцарула. Третий участок отличающийся высоким биологическим и ландшафтным разнообразием вытянулся в меридиональном направлении от верховьев р.Риони в сторону р.Сакауры. Особый интерес представляют северные склоны Шкмерского хребта со скалами Тамардодоплис-клдееби и верховья притоков р. Квирилы. Пятый участок связан с Шкмерским известняковым плато и окрестностями Мравалдзали. Здесь, несмотря на среднее геосистемное разнообразие, территория, в связи с известняковым субстратом, отличается высоким флористическим разнообразием, связанным с кальцефильной флорой. Рассматриваемый участок имеет памятники не только

природного (пещеры, каньоны, экзотические скалы, карстовые воронки и др), но и культурного наследия. Кроме того, Шкмери-Мравлдзальский участок имеет богатые культурные традиции многостороннего использования территории. Наконец шестой участок связан с окрестностями с. Кведи и находящимся в непосредственной близости от него (но уже за пределами Онского района) Кведским озером.

Таким образом, на Карте ландшафтно-экологического каркаса для целей лесоустройства и лесопользования показаны те территории, которые требуют разных режимов природопользования. Так как карта составлена в масштабе 1:50 000, она показывает общую ситуацию для Онского и Амбролаурского района района. На современном этапе исследований точность карты составляет 85-90%. Эта ситуация должна быть уточнена во время конкретных лесостроительных работ. «Семафорный» метод (Рис.1) позволяет с одной стороны, сразу увидеть те территории, где нельзя проводить никаких лесохозяйственных мероприятий, с другой стороны, территории, где подобные мероприятия можно производить, не опасаясь серьезных экологических последствий и, наконец, с третьей - переходные территории, с ограниченным лесопользованием.

Общий анализ ландшафтного и биологического разнообразия (Зеленая карта) позволил выделить участки с высоким ландшафтным и биологическим разнообразием, участки, которые имеют многовековые традиционные типы землепользования. Несмотря на активные геодинамические процессы (оползни, селевые потоки, местами эродированные склоны), в исследуемой территории сохраняются рациональные системы природопользования в течение многих столетий, как например, окрестности Глола-Чиора в верховьях Риони и левобережье Риони на отрезке Они-Сори. Эти территории, несмотря на относительно низкое геосистемное разнообразие характеризуются высоким культурным наследием, они уникальны в ландшафтном отношении. Такие ландшафты, с такой системой взаимоотношений между природой и человеком в Грузии более нигде не встречаются.

Комплексный анализ всех слоев составленных карт позволил выявить основные географические закономерности биологического и ландшафтного разнообразия Онского и Амбролаурского районов. Позволил определить территории, которые могут быть рассмотрены как охраняемые территории, и могут быть выделены под лесоэксплуатационную зону, что в дальнейшем поможет лучше наметить лесохозяйственные мероприятия.



**Рисунок 1.** Семафорные карты для районов Они и Амбролаури

### Использованная литература

1. Arnould, M.Hotyat, L.Simon "Les Foret d'Europe" (Paris, NATHAN, 1997)
2. Beruchashvili N.L. The Caucasus: Landscapes, Models, Experiments - UNEP, GRID Arendal, WORLD BANK, Tbilisi, Ed. Tbil.St.Univ., 1995, 314 p. (in Russian, English)
3. Beruchashvili N.L., Zjuchkova V.K. Methods for complex physical-geographical investigation: The Manuel. –Moscow University Press, 1997. - 320p. (in Russian)
4. Beruchashvili N.L. Diversity of Georgia's landscapes and geographical analysis of landscape diversity of the World. Book «Biological and Land-

- scape Diversity», WWF-WB, 2000, Tbilisi, pp. 221-250; pp. 277-294 (in Russian- English)
5. Beroutchashvili N.L. L ‘éthologie du paysage. Univ. Thilissi, 1989, 250 p.
  6. Ландшафтное планирование: Принципы, методы, Европейский и Российский опыт (Бонн-Москва-Иркутск, 2002).
  7. Птичников А.В. Леса России: Независимая сертификация и устойчивое управление» -М., Издание WWF, 1999
  8. Beruchashvili N.N. Potential Virgin Landscapes of Georgia. Book «Biological and Landscape Diversity», WWF-WB, 2000, Tbilisi, pp.211-226 (in Russian- English)
  9. Jamaspashvili N., Maisuradze R., Seperteladze,Z., Beruchashvili N.N., Inashvili N., Khardziani T. Book: Georgia Landscape Map and Geographic Information System. Shota Rustaveli National Science Foundation, TSU, Tbilisi, 2012, 488 p.
  10. Jamaspashvili N. Landscapes diversiti Central part of the Little Caucasus. Book «Biological and Landscape Diversity», WWF-WB, 2000, Tbilisi, pp.179-194 (in Russian- English).

ნელი ჯამასპაშვილი\*, გეოგრაფიის დოქტორი  
რომან მაისურაძე\*, გეოგრაფიის დოქტორი  
ნიკოლოზ ბერუჩაშვილი\*, PhD სტუდენტი  
ლევან ბერუჩაშვილი\*, PhD სტუდენტი

თამარ ხარძიანი\*, PhD სტუდენტი

\*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი, საქართველო

ლანდშაფტურ-ეკოლოგიური კარკასი როგორც  
ინსტრუმენტი ტყის მენეჯმენტზე საქართველოში

### რეზიუმე

ცნობილია, რომ მთის ლანდშაფტები განსხვავდებიან განსაკუთრებული მოწყვლადობით (ფრაუილურობით). არასწორმა ტყეთსარგებლობამ მოწყვლად ლანდშაფტებში შეიძლება გამოიწვიოს მთის ფერდობებზე შეუქცევადი პროცესების განვითარება – ეროზია, სელი, მეწყერი, ზვავების ინტენსიური ჩამოსვლა. ამასთან, გეოდინამიური

პროცესების შედეგები შეიძლება აისახოს არა მარტო იმ ფერდობებზე, სადაც ეს მიმდინარეობს, არამედ მოშორებულ ტერიტორიებზეც. ლან-დშაფტური კვლევების ერთ-ერთი ძირითადი შედეგი საქართველოს ადმინისტრაციულ რაიონებში, იყო გამოკვლეული ტერიტორიების ლანდშაფტურ-ეკოლოგიური კარკასის გამოვლენა.

ლანდშაფტურ-ეკოლოგიური კარკასის კვლევები მოიცავს ტერიტორიების საერთო ლანდშაფტურ ანალიზს, აგრეთვე მთელი რიგი სპეციალური რუკების, ლანდშაფტური ბარიერების და ეკოტონების, ლანდშაფტის მდგრადობის და ლანდშაფტური მრავალფეროვნების შედგენას.

ლანდშაფტის მდგრადობა გამოსახულია „სემაფორული“ მეთოდით: არასტაბილური (ფრაუილური) უბნები ნაჩვენებია წითელი ფერით, შედარებით სტაბილური უბნები – მწვანეთი, ხოლო მათ შორის გარდამავალი უბნები შედარებით არასტაბილური ლანდშაფტებით – ყვითელი ფერით. ეს მეთოდი შესაძლებლობას აძლევს ტყის მეურნეობის პრაქტიკაში განასხვავონ ტერიტორიები, სადაც არ შეიძლება ჩატარდეს არანაირი ტყის სამეურნეო ღონისძიებები; ტერიტორიები, სადაც მსგავსი ღონისძიებები შეიძლება ჩავატაროთ ისე, რომ არ შეგვეშინდეს სერიოზული ეკოლოგიური შედეგების, და ბოლოს, ტერიტორიები შეზღუდული ტყის მოხმარებით.

**ედიშერ ჯაფარიძე**  
**დოქტორანტი**  
**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

**ევროინტეგრაციის სათავეებთან**

ევროინტეგრაციული პროცესები დღემდე არ კარგავს თავის აქტუალურობას. ის კვლავაც რჩება XXII საუკუნის მნიშვნელოვან პოლიტიკურ გამოწვევად თანამედროვე მსოფლიოს გეოპოლიტიკურ სივრცეში. ამ პროცესებში აქტიურად მონაწილეობს საქართველო. როგორც ცნობილია, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულებას 2014 წლის ზაფხულში მოეწერა ხელი, აღნიშნული ფაქტი ქართველი ერისთვის უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენა იყო. ეს ნიშნავს ქართველი ხალხის დაბრუნებას თავის პირვანდელ სამშობლოში – ევროპაში, რომელიც სულ მუდამ ისწრაფოდა და იბრძოდა ამისათვის. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჩვენ ევროპაში ცარიელი ხელებით კი არ შევდივართ, არამედ მნიშვნელოვანი წვლილი შევიტანეთ ევროპული ღირებულებების პროპაგანდასა და მის საქართველომდე მოტანაში. ფართო საზოგადოებისათვის ჯერ კიდევ არ არის ცნობილი, რომ ევროკავშირის და ევროპოლოგიის შექმნის სათავეებთან იდგნენ ცნობილი ქართველი ემიგრანტი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები, მათ შორის: მიხეილ მუსხელიშვილი და ალექსანდრე ნიკურაძე. მაშინ როცა, რობერტ შუმანი და უან მონე საუბრობდნენ ევროპის გაერთიანების იდეაზე, მ. მუსხელიშვილი და ა. ნიკურაძე ევროპის წამყვან უურნალ-გაზეთებში აქვეყნებდნენ უკვე ამავე თემაზე სტატიებს და აქტიურად მონაწილეობდნენ ევროკავშირის შექმნის პროცესებში.

ამაში უკეთ დასარწმუნებლად მკითხველს ვთავაზობთ მ. მუსხელიშვილის და ა. ნიკურაძის დღემდე უცნობ ბიოგრაფიულ ცნობებს მათი შემოქმედებიდან და მათ გეოპოლიტიკურ და მსოფლმხედველობრივ იდეებს, საქართველოსა და ევროპული ურთიერთობების შესახებ.

მსოფლიოში ცნობილი პროფესორი, იურისტი, ადამიანის უფლებათა დამცველი, საერთაშორისო სამართლის დარგის სპეციალისტი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ევროპის ხალხთა კონგრესის პრეზიდენტი, ევროპის ფედერალისტური მოძრაობის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ევროპული ფორმირების ინტერნაციონალური ცენტრის ბიუროს ვიცე-პრეზიდენტი, სპორტსმენი, მთამსვლელი, მეცნიერი და „აკადემიური პალმის“ ჯილდოს კავალერი მიხეილ მუსხელიშვილი დაბადა 1903 წლის 8(21) ივნისს ქალაქ თბილისში.

მამა ვახტანგი სოლომონის ძე, ცნობილი ოფთალმოლოგი და აკაკი წერეთლის პირადი ექიმი იყო. დედა ნატალია მირზაშვილი მეტად სათნო და ლამაზი ქალი იყო. ექიმის ოჯახში ოთხი ვაჟი იზრდებოდა და ოთხივეს საზღვარგარეთ ჰქონდათ უმაღლესი განათლება მიღებული: ლევან მუსხელიშვილი ცნობილი ისტორიკოსი და არქეოლოგი, გიორგი მუსხელიშვილი ცნობილი მეშახტე, რომელიც სამხრეთ აფრიკაში პროფესიული მუშაობისას დაიღუპა და ლევან მუსხელიშვილი ცნობილი ექიმი, რომელიც პარიზში მოღვაწეობდა.

ოთხივე ძმა თბილისის ლევანდოვსკის გიმნაზიაში სწავლობდა და ოთხივემ წარჩინებით დამთავრა. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მიხეილ მუსხელიშვილი 1921 წლის ოქტომბრიდან (18 წლის) მიდის ჯერ გიოტინგენისა და მიუნხენის უნივერსიტეტებში, ხოლო შემდეგ კი პარიზისა და ლიონის უნივერსიტეტებში, სადაც იღებს უმაღლეს იურიდიულ განათლებას.

1932-1933 წლებში იგი ლექციებს კითხულობდა პარიზის უნივერსიტეტის საერთაშორისო კვლევების უმაღლეს ინსტიტუტში.

1935-48 წლებში მუშაობდა კაიროს სამართლის ფრანგული სკოლისა და კაიროს უნივერსიტეტის პროფესორად. ამის შემდგომ მიხეილი ბრუნდება საფრანგეთში და 1948 წლიდან გარდაცვალებამდე იყო სტრასბურგის იურიდიულ და პოლიტიკურ მეცნიერაბათა ფაკულტეტის პროფესორი. 1948-51 წლებში მიხეილ მუსხელიშვილი უნივერსიტეტთაშორისი ფედერაციის პრეზიდენტ-დამაარსებელია, ხოლო 1954 წლიდან კი ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის დამაარსებელი და გენერალური მდივანი.

მიხეილ მუსხელიშვილი აქტიურად მონაწილეობდა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ საქმიანობაშიც, რაც გამოიხატება იმით, რომ სტრასბურგში მან შექმნა მეცნიერული კვლევა-ძიების ევროპული ცენტრი, „მუსხელის“ სახელწოდებით (რომელიც დღესაც ამ სახელწოდებით

ფუნქციონირებს). ცენტრი იკვლევდა ევრო ინტეგრაციის საკითხებს. მან ომის შემდგომ, ევროპის გაერთიანების და მისი ფედერაციის იდეა წამოაყენა და დაიცვა კიდეც, მისი აზრით ევროპული ფედერალიზმი – ეს არის არა მარტო სასიცოცხლო აუცილებლობა ევროპაში ერები-სათვის, არამედ მშვიდობის განმტკიცებისა და ევროპაში საერთო აყ-ვავების, ადამიანთა თავისუფლებისა და ღირსების დაცვის გარნტია... „წერდა იგი თავის ნაშრომში „ევროპის ფედერალიზმის სტრუქტურა“.

მ. მუსხელიშვილის სტატიები და ნაშრომები იძეჭდებოდა ფრან-გულ, გერმანულ, ინგლისურ ენებზე „Monde Nouveau“, „Travaux et Enque-tes“ კრებულებში, ასევე ნინო და კალისტარტე სალაის პარიზში გამო-მავალ ქართულ ჟურნალში „ბედი ქართლისა“ (საქართველო და ევრო-პა, ერთა თვითგამორკვევის უფლებისათვის და სხვა).

ცნობილ მეცნიერს ხშირად იწვევდნენ ლექციების წასაკითხად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში კერძოდ: ნორვეგია, იტალია, აშშ. და სხვა.

1954 წლის ჟურნალ „ბედი ქართლისას“ 17-ში ვკითხულობთ, ჩვენი თანამშრომელი მ. მუსხელიშვილი მიწვეული იყო The American Friends Service Committee-ს მიერ აშშ-ში ლექციების წასაკითხად. პროფესორმა წაიკითხა მოხსენებები ჩრდილოეთ ამერიკის ყველა დიდ ქალაქში და უნივერსიტეტებში, პოლიტიკურ და დიპლომატიურ წრეებში, რელიგი-ურ საზოგადოებებში. მის ლექციებს ყველგან უამრავი ხალხი ესწრე-ბოდა. ვაშინგტონში ერთ მის მოხსენებაზე მოვიდნენ მთელი დიპლომა-ტიური წარმომადგენლობის კულტურულ სექციათა ხელმძღვანელები. იქიდან დაბრუნების შემდეგ იგი გაემგზავრა სკანდინავიაში ოსლოსა და უპსალას უნივერსიტეტების მიწვევით, მოხსენების თემა იყო „ევ-როპის ცივილიზაციის კრიზისი და ევროპის კულტურის გაცოცხლების აუცილებლობა“.

მ. მუსხელიშვილი იყო მგზებარე, ფიცხი ტემპერამენტის კაცი, დაუღალავი მკვლევარი და მაძებარი, მჩხრეკავი, რაც გამოიხატება იმაში, რომ იგი ვერ კმაყოფილდებოდა იურისპრუდენციით და აქტიურ მონაწილეობას იღებდა პოლიტიკურ საქმიანობაში.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მუსხელიშვილი ემიგრაციაში 1921 წელს წავიდა, როცა მოხდა საქართველოს ანექსია საბჭოთა რუ-სეთის მიერ. იგი ვერ ეგუებოდა არსებულ მდგომარეობას და სრულიად დაუფარავად აკრიტიკებდა მათ, საინტერესოა მისი იურიდიული შეფა-

სება, სადაც მან 1783 წლის რუსეთ-საქართველოს ტრაქტატს საქართველოს დამოუკიდებლობის დასასრული უწოდა. რამაც გამოიწვია მ. მუსხელიშვილის პოლიტიკური დევნა და მისი ისტორიოგრაფიის გაქრობა-ამოძირვა. თუმცა მასზედ ფრაგმენტულად მაინც მოიპოვება გარკვეული სახის ინფორმაციები ემიგრანტულ უურნალებში, კერძოდ ნაცნობის ფსევდონიმით უურნალ „კავკასიონში“ 1965 წელს (ტომი X) გამოყენებულ ნეკროლოგში.

მიხეილ მუსხელიშვილის უამრავი წიგნიდან ყველაზე ცნობილ და პოპულარულ შედევრებად იქცა ფრანგულ ენაზე გამოცემული შემდეგი ნაშრომები: Michel Mouskheli „L'équité en Droit international modern“ Paris 1933, Michel Mouskheli „AUTONOMIE“ Paris 1934, Michel Mouskheli „LE PREBISCITE DE LA SARR“ Paris 1933, რომლებმაც მთელი მსოფლიო მოიარეს და თავის აქტუალობას დღესაც არ კარგავენ.

1950 წლის 6 აგვისტოს სტარსბურგში, ევროკონფერენციის გახსნის წინა დღეს, ევროპის 8 ქვეყნის 300-ზე მეტმა სტუდენტმა, ევროგაერთიანების მგზებარე ინიციატორის მიშელ მუსხელისა და სამი სხვა მომხრე პროფესორის წინამდლოლობით, მოშალა საფრანგეთგერმანიის სასაზღვრო ინფრასტრუქტურა და აღმართა ერთიანი ევროპის დროშა, „ჩვენ მხოლოდ პატარა კოცონი დავანთეთ, დიდი ცეცხლი ახლა სტრასბურგში უნდა გაჩაღდეს, რომ ევროპული გულებიც აინთოს...“, თქვა მაშინ მიშელ მუსხელმა.

მუსხელიშვილი აქტიურად მონაწილეობდა საფრანგეთში ერთიანი ევროპის წარმომადგენელთა არჩევნებში. იგი იყო უურნალ „ევროპის ფორმირების“ რედაქციის კომიტეტის წევრი და ასევე უურნალ „სოციალისტური აზრის“ დამაარსებელი და რედაქტორ-გამომცემელი. 1953 წლის 10 აგვისტოს ოფიციალურად დაარსდა „ევროპული ქართული მოძრაობა“ (საპატიო თავმჯდომარე პროფესორი მიხეილ წერეთელი), რომლის სულისჩამდგმელი და ინიციატორი, ასევე, მიხეილ მუსხელიშვილი იყო.

1955 წელს ორი ქართველი მეცნიერის აქტიური მონაწილეობით, რომლებმაც დიდი ბრომა გასწიეს ბრიუსელის კონგრესის მოსამზადებლად, ქ. ტრიესტაში ევროპის პროფესორთა ასოციაცია დაარსდა. სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ორივე იყვნენ წარმოდგენილი ბრიუსელის კონგრესის პრეზიდიუმში. ასოციაციის გენერალურ მდივნად ერთხმად არჩეულ იქნა ისევ მ. მუსხელიშვილი, ხოლო პროფესორთა საბჭოს წევრად ა. ნიკურაძე. საინტერესო ცნობებს ვპოულობთ აგ-

რეთვე, უურნალ „ბედი ქართლისას“ №28-29-ში, სადაც არსებობს ცნობა იმის შესახებ, რომ 1958 წლის 23-27 აპრილს ბრიუსელში შედგა ევროპელ პროფესორთა ასოციაციის კონგრესი, სადაც უამრავი სხვა და სხვა უნივერსიტეტების დელეგატები და სტუმრები ესწრებოდნენ. კონგრესი შედგა ბრიუსელის მსოფლიო გამოფენის C.E.C.A-ს პავილიონში, რომლის დღის წესრიგში იყო: საერთო ბაზარი და საერთო დანესებულებანი. მოხსენებები უმთავრესად ეხებოდა ევროპის ეკონომიკურ მთლიანობის იურიდიულ ბუნებას, მის საერთო ასპექტებს და მის ფსიქოლოგიურ მხარეებს.

მ. მუსხელიშვილი გატაცებული იყო ალპინიზმით, ის ხშირად დადიოდა და ერთობოდა ხოლმე, 1964 წლის 16 ივლისს, ერთ-ერთი ასვლის დროს იტალიის ალპებში აოტას ხეობაში მწვერვალ სევინის დაპყრობის შემდეგ დაშვებისას კლდიდან ჩამოვარდა და ტრაგიულად დაიღუპა. 61 წლის მეცნიერის დაკარგვამ დიდი სინანული გამოიწვია მთელ ევროპაში. ეს ჩანს ფრანგული წამყავნი უურნალის „ფიგაროს“ და „მონდის“ ფურცლებიდან, სადაც ვკითხულობთ: „პირადი ვაჟეაცობა და შემართება, გასაოცარი ენთუზიაზმი, ინტელექტუალური სიმდიდრე შეადგენდა ხასიათის სიძლიერესა და ნებისყოფის სიმტკიცესთან ერთად, ამ შესანიშნავი პიროვნების თვისებებს. ევროპის უნივერსიტეტთა და ევროპულ მოძრაობათათვის ეს აუნაზღაურებელი დანაკლისია, მიშელის დაკრძალვამ გვიჩვენა, თუ რაოდენ დიდი პატივისცემით და სიყვარულით სარგებლობდა იგი კოლეგებსა და სტუდენტებში. მისი სახით ჩვენ დავკარგეთ ნათელი გზის და მაღალი კვალიფიკაციის პროფესორი, სულიერებით, კეთილშობილებით და გონიერებით გამორჩეული“.

მ. მუსხელიშვილის და ა. ნიკურაძის შემოქმედების გზები ყოველ-თვის კვეთდნენ ერთმანეთს და ამიტომ მათ ერთ მთლიან კონტექსტში მოვიხსენიებთ, როგორც ევროინტეგრაციის სათავეებთან მდგომ ინტელექტუალებს, რადგან მათი შემოქმედება მთლიანად ქართულ და ევროპულ ურთიერთობებს ეძღვნება.

მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ფიზიკოსი, ისტორიკოსი, გეოპოლიტიკოსი, არქეოლოგი, არქიტექტორი, მსოფლიოში ცნობილი და აღიარებული მკვლევარი, პირველი ქართველი ემიგრანტი ევროპოლოგი, ქართულ-ევროპული ურთიერთობების ერთ-ერთი ყველაზე კომპეტენტური მკვლევარი, ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი, ელექტრონებისა და იონების კვლევა-ძიების ინსტიტუტის პირველი დამ-

ფუძნებელი ევროპაში, მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ევროპული და ევროინტეგრაციული იდეების სამჭედლოს „კონტინენტალური ევროპის კვლევა-ძიების ინსტიტუტის“ დამაარსებელი და ხელმძღვანელი ა. ნიკურაძე დაიბადა 1901 წლის 10 ნოემბერს, ქალაქ სამტრედაში.

მისი მამა (1937 წელს იქნა რეპრესირებული), პროფესიით ინჟინერი ილია პავლეს ძე ნიკურაძე სამტრედის რკინიგზის დეპოს უფრო-სად მუშაობდა. დედა – ელისაბედ გეგია, რომლის მოულოდნელად გარდაცვალების გამო ილიას დარჩა გასაზრდელი ექვსი მწირენლოვანი შვილი: სილოვანი, ივანე, პავლე, ალექსანდრე, ლიდა და ლუბა. მეუღლის გარდაცვალებიდან ცოტა ხნის შემდეგ ილია ნიკურაძემ მეორედ იქორნინა ნიფადორა ზურაბის ასულ გიორგაძეზე, რომელთანაც კიდევ სამი შვილი შეეძინა: შოთა, ელენე (ფლორენა) და ქეთევანი. დედინაცვალმა ცხრა და-ძმას ნამდვილი დედობა გაუწია და ღირსეული და სასახელო შვილები გაუზარდა სამშობლოს. ამათგან სამი მსოფლიოში ცნობილი პროფესორი გახდა: სილოვან ნიკურაძე საქვეყნოდ აღიარებული ქირურგი-პროფესორი იყო. ივანე ნიკურაძე მსოფლიოში სახელმოხვეჭილი მათემატიკოსი და ფიზიკოსი პიდრავლიკის დარგში, ალექსანდრე ნიკურაძე კი დღემდე ფიზიკა-მათემატიკის ერთ-ერთ სახელგანთქმულ პროფესორად ითვლება.

ძმებმა ივანე და ალექსანდრე ნიკურაძეებმა დაამთავრეს ქუთაისის გიმნაზია 1917 წელს. ალექსანდრე უფროს ძმასთან ერთად 1918 წელს ჩაირიცხა ახლადგახსნილ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, თუმცა მათ ეს უნივერსიტეტი არ დაუმთავრებიათ. 1919 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ პ. მელიქიშვილისა და პროფესორ ი. ჯავახიშვილის რეკომენდაციით, რამდენიმე ნიჭიერი ახალგაზრდა სტუდენტი სახელმწიფოს დაფინანსებით წარგზავნილ იქნა უცხოეთში, ევროპული ცოდნისა და უნარ-ჩვევების მისაღებად, მათ შორის მოხვდა ივანე ნიკურაძეც, თუმცა მათ შორის ალექსანდრე ნიკურაძე თავდაპირველად არ იყო. ამისათვის თბილისში საგანგებოდ ჩამოსულა ილია ნიკურაძე და რექტორისათვის უთხოვია, მეც დაგეხმარებით ფინანსურად და გთხოვთ ძმებს ნუ დამიშორებთ, ერთად გაუშვით უცხოეთში სასწავლებლადო. პ. მელიქიშვილს გამოუჩენია დიდსულოვნება და მამის თხოვნას დადებითად შეხვედრია. აი, ასე მოხვდნენ ძმები ნიკურაძეები გერმანიაში, კერძოდ კი გიოტინგენის გამოყენებითი მექანიკისა და მათემატიკის ინსტიტუტში. ივანე ნიკურაძე მალევე დაუახლოვდა პიდროაერომექანიკის დარ-

გის წამყვან სპეციალისტებს. იგი მსოფლიოში ცნობილი პროფესორის და ამავე ინსტიტუტის ხელმძღვანელს ლ. პრანდტლიმსის საუკეთესო სტუდენტი გახდა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ჰიდროდინამიკას, გაზის დინამიკასა და აეროდინამიკას მსოფლიოში. ალექსანდრე ნიკურაძეც აქტიურად იყო ჩართული სასწავლო პროცესში, იკვლევდა დიალექტრულ მასალებს, აქტიურად მუშაობდა გამოყენებადი ფიზიკის სფეროში, იონთა და ელექტრონთა თეორიებზე.

ა. ნიკურაძეს გამოქვეყნებული აქვს ფიზიკა-მათემატიკის დარგში 35-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, ხოლო 1928 წლიდან უკვე ამავე დარგში აქვეყნებს გერმანიის წამყვან ჟურნალებში (ფიზიკა, ფიზიკური ქიმია, ელექტროტექნიკა) თავის სტატიებს „სანდერსის“ ფსევდონიმით ან ზოგჯერ „რ. რუსიშვილის“ თანაავტორობით. ამათგან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი ორი ცნობილი წიგნი ფიზიკაში: (Al. Nikuradze. Das Zweistoffsysten Gas-Metall. München. 1950) და Al. Nikuradse. Naturwissenschaft und Technik im Leben der Völker. München. Oldenburg. 1952), სადაც მიმოიხილავს მის და სხვა მეცნიერთა გამოკვლევის შედეგებს. აღსანიშნავია ისიც, რომ გარკვეული მიზეზების გამო სრულად ვერ გამოიცა სამი ტომი, რომელიც ატომების თეორიას და მის გამოყენების საკითხებს ეხებოდა.

1921 წელს, საქართველოში წითელი არმიის შემოქრის შემდეგ, ძმებმა სამშობლოში დაბრუნება ვეღარ შეძლეს, რადგან ნიკურაძეები წინააღმდეგი იყვნენ საქართველოში საბჭოთა რეჟიმის დამყარების. ისინი ღიად ეწეოდნენ საქართველოს განთავისუფლების და დამოუკიდებლობის აღდგენისა და შენარჩუნების პროპაგანდას, რამაც შემდგომში მათ მიერ გერმანიის მოქალაქეობის მიღება განაპირობა. ემიგრაციაში მყოფი ალექსანდრე ნიკურაძე მალევე მოექცა კარლ პაუსკოფერის „ფართო სივრცეების“ თეორიის გავლენის ქვეშ. მან დაიწყო მუშაობა პროტექტორატის ამბიციურ პროექტზე, რომელიც მიზნად ისახავდა, ქართველებს წამყვანი როლი ეთამაშათ ერთიან კავკასიურ კონფედერაციაში. ამასთანავე, იგი აქტიურად იყო ჩართული ქართული სათვისტომოს ღონისძიებებში და ახლო კავშირები ჰქონდა გერმანიის ნაციონალ-სოციალისტურ პარტიისთან. გერმანულ პოლიტიკურ ელიტასთან კარგი კონტაქტების წყალობით მან უამრავი ქართველი იხსნა ნაცისტებისაგან. იგი მონაწილეობდა ქართველ ემიგრანტთა ანტისაჭოთა მოძრაობაში, ეხმარებოდა ანტისაბჭოთა შეხედულებით

განსჭვალულ ქართველ ემიგრანტებს და მფარველობდა მათ ტყვეობაში.

1930-იან წლებში ალექსანდრე ნიკურაძე მუშაობას იწყებს ჯერ მიუნხენის უნივერსიტეტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, მოგვიანებით ბერლინის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში ჯერ პრივატ-დოცენტად, შემდგომ კი ამავე უნივერსიტეტში პროფესორად. 1934 წელს მან ბერლინში გერმანულად გამოაქვეყნა მისი პირველი ცნობილი მონოგრაფია ფიზიკაში „თხევადი დიალექტრიკები“ (Al Nikurade. Das Flüssige Dialektrikum. Berlin. 1934), რომლის რუსული თარგმანი გამოცემულ იქნა მოსკოვ-ლენინგრადში. სადაც ნათქვამი იყო, რომ მსგავსი ნაშრომი რუსულ ენაზე არ არსებობობდა. ეს იყო იშვიათი პრეცენდენტი, როცა საბჭოთა კავშირში დაიბეჭდა ემიგრაციაში მყოფი ქართველი ფიზიკოსის ფუნდამენტალური ნაშრომი. მთელ საბჭოთა სამყაროში ეს ნაშრომი გამოიყენებოდა სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ყოველივე ამის მიუხედავად, იგი არ კმაყოფილდება ამ წარმატებით და ამავე წლებში მიუნხენში პირველად აარსებს ელექტრონებისა და იონების კვლევა-ძიების ინსტიტუტს (Institute für Lonen und Elektronen Forschung), სადაც იკვლევდა ნაწილაკებს, იონებს და ელექტრონებს. ამ ინსტიტუტის ადგილსა და როლზე ევროპაში მიუთითებს ჩვენამდე მოღწეული წლიური ანგარიშის შესახებ ცნობა, რაც მანიშნებელია იმისა, თუ რაოდენ მასშტაბური და უდიდესი სამეცნიერო დატვირთვით მუშაობდა ქართველი მეცნიერის მიერ დაარსებული ფიზიკის ინსტიტუტი გერმანიაში. რასაკვირველია, ეს ინსტიტუტი მხოლოდ შემონირულობებით ვერ იარსებებდა, სავარაუდოდ, მას გერმანიის მთავრობაც აფინანსებდა და მათი ბიუჯეტი საერთო ჯამში 1960 წლისთვის შეადგენდა 415.347 გერმანულ მარკას. სამწუხაროდ, ჩვენამდე მოღწეულია მხოლოდ ეს ერთი – 1960 წლის ბიუჯეტის დეტალური აღწერა, თუმცა თუ ვივარაუდებთ მისი პირველი ექსპერიმენტული ცენტრის მნიშვნელობას ევროპაში, შემდგომ წლებში ამ ინსტიტუტის წლიური ბრუნვა ერთი ორად უნდა გაზრდილიყო. ეს კი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ამ ინსტიტუტის დიდ მნიშვნელობას და მის სიძლიერეს ევროპაში.

„ელექტრონებისა და იონების კვლევა-ძიების ინსტიტუტი“ მდებარეობდა ობერფალცის მაზრაში, სოფელ შვარცენფელდში (Schwarzenfeld), რომელიც ნიკურაძეს ბერლინის დაბომბვის შემდგომ აქ გადმოეტანა. ინსტიტუტი აგებული იყო სოფლის განაპირას, ერთ მაღალ კო-

ნუსის მსგავს გორაზე, რომელზეც კაპუცინელ ბერებს საშუალო ზომის ორსართულიანი მონასტერი სწორედ, რომ აქ აეშენებინათ და ყველა ემიგრანტი მიუსაფარს აქ იფარებდნენ. მათ შორის მოხვდა ქართველი ემიგრანტი და შემდგომში კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორი ვახტანგ ჯობაძე, რომელიც თავის მოგონებებში იხსენებს, რომ (ჩემი თავგადასავალი, თბ., 2009. გვ.82-88) მეორე მსოფლიო ომის დროს ტყვედ ჩავარდა და მისდაუნებურად აღმოჩნდა გერმანიაში..., ვახტანგ ჯობაძე გიორგინგენისა და ფრაიბურგის უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში დაუახლოვდა და ახლოს გაიცნო გერმანიაში სახელმოხვეჭილი პროფესორი ა. ნიკურაძე, რომელიც შემდგომ მასთან გადავიდა და მუშაობდა ამავე ინსტიტუტში 1950 წლამდე, ვიდრე ვ. ჯობაძე ამერიკაში წავიდოდა.

ა. ნიკურაძის პოლიტიკურ და პიროვნულ პორტრეტს ყველაზე უკეთ ვხედავთ ქართველი მეცნიერის და მისი ერთგული მეგობრის მოგონებებში, სადაც აღნერილია 1943 წლის ზაფხულში ერთად ცხოვრების და საქმიანობის მნიშვნელოვანი დეტალები და საინტერესო ცნობები ნიკურაძის შესახებ. ობერფალცის მონასტერში დაბინავებისას მიმიჩინეს ერთი ოთახი, რომელიც განმეორება იყო სხვა ოთახებისა, რადგან ისინი თავდაპირველად ბერების საკენებად იყო განკუთვნილი. გამონაკლისი იყო მხოლოდ ბატონ ნიკურაძის, უფრო დიდი ზომის ბინა მეორე სართულზე, რომელიც ალბათ მონასტრის ზემდგომისათვის იყო განკუთვნილი. მეორე დიდი ოთახი სასადილო, რომელიც ინსტიტუტისთვის იმავე ფუნქციას ასრულებდა, რაც მონასტრისთვის..., ბერები ამერიკელები უნდა ყოფილიყვნენ და ვგონებ მონასტერიც ამერიკის კუთვნილება იყო. ბერებიც პატივს არ აკლებდნენ, რაც ომის შემდეგ, როდესაც ბატონი სანდრო (ასე ეძახდნენ ხშირად) ცოტა ხნით დააპატიმრეს, აშკარად გამომჟღავნდა. მიზეზი ჩემი ბატონ სანდროსთან გამწესებისა, თუ არ ვცდები ჩემი ჯარიდან განთავისუფლება იყო. ჩემი ჯარიდან განთავისუფლების ოფიციალური მიზეზი კი იყო სანდროს ბიბლიოთეკის მოწესრიგება და ბიბლიოთეკარობა. მართლაც, როდესაც ჩემი პიროვნება წარვუდგინე სანდროს, ძალზედ გულთბილად მიმილო, მაჩვენა თავისი ბიბლიოთეკა, რომელიც 140-მდე წიგნს შეიცავდა და მითხრა, რომ ამ წიგნებიდან, რომლებიც უფრო წეოლითის და ბრინჯაოს ხანას ეხებოდნენ, ამომეცრიბა საბუთები, რომელიც საქართველოს და ევროპის ურთიერთობებს ეხებოდა. ეს იყო პორნესის, მენგინის, შუხარტისა და ებერტის ექვსტომიანი (დეალლეხიკონ

der Alferfum) ნამრომები, სადაც საკმაო მასალა ვიპოვე ე.წ. კემ-კერა-მიკ და ბანდ-კერამიკის შესახებ. გულდასმით მალევე შევაგროვე ეს მა-სალები და წარვუდგინე, მან კი ღიმილით მითხვა, „მე გითხარი ცოტა წაგემუშავებინა და არ მითხვია თავი დააკალი ამ მასალას. გარდა ამისა, ბიბლიოთეკაში მას ედგა უზარმაზარი გლობუსი, რომელზედაც გრძელ ელასტიურ სახაზავს დაადებდა ხოლმე, რომ ერთი ადგილიდან მეორზე საჰაერო ხაზი გაეყვანა. თუმცა მას ხშირად ეხმარებოდნენ გრაფიკაში განვრთნილი ჩინებული მხაზველ-მხატვრები, მათ შორის ერთი მშვენიერი ქალი როზმარი ბალდერმანი, რომელიც სანდროს უამრავ დიაგრამას, რუკებს და სხვადასხვა მშვენიერ ნახაზებს უკე-თებდა როგორც ისტორიულ, ისე არქეოლოგიურ ნამუშევრებზე. იგი ხშირად მპატიუბდა თავისთან მეორე სართულზე. ჰქონდა ერთი გიტა-რა და შეეძლო რამდენიმე აკორდის ჩამოკვრა, ცოტაოდენი წალილინე-ბაც. მეუბნებოდა აბა ვახტანგ, ამიწყე! მეც ავყვებოდი, ჩიტო გვრი-ტოოო მარგალიტოო ან ტურფავ მოდი, ნუ ხარ მტრულად, შემოვძა-ხოდ მეგობრულად, ცრემლი ვლვაროდ...., ვახტანგ დანებე იმ კემ-კე-რამიკას თავი და სიმღერაში მომეხმარე. მოვუბოდიშე და ვუთხარი სიმღერები ძალზედ მომნონს, მაგრამ სიმღერის ნიჭი არა მაქვს, მერე ხუმრობით დაესძინე, ჩვენ რომ აქ ჩიტო გვრიტო ვიმღეროთ, თქვენმა უფროსმა, რომ გაიგოს, დაკეტავენ თქვენს ინსტიტუტს და ჩვენც უსაქმოდ დავრჩებით?“ „ნუ გეშინია, მე უფროსი არ მყავს“ მპასუხობ-და ხოლმე.

შორეულ სამშობლოს მოწყვეტილი ემიგრანტი მეცნიერები ხში-რად საუბრობდნენ საქართველოს აწმყოსა და მომავლაზე. ნიკურაძე ფიზიკის გარდა მუშაობდა ამიერკავკასიის ეკონომიკაზე, მისი განვი-თარების გზებზე და სამომავლო პერსპექტივებზე. იგი თვლიდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის და სუვერენიტეტის შენარჩუნების გზა მის ეკონომიკაზე გადის. ჯერ კიდევ მაშინ ა. ნიკურაძე და ცნობი-ლი გერმანელი ეკონომისტები, მათ შორის აღმოსავლეთის ეკონომი-კური ინსტიტუტის დირექტორი ახმეტელი, დარწმუნებულები იყვნენ, რომ საქართველო სამომავლოდ გახდებოდა ეკონომიკურად ყველაზე პოტენციური და მნიშვნელოვანი ხიდი ევროპისა და აზიის დამაკავში-რებელი ტრანზიტული გზებისა, რადგან საქართველო გეოგრაფიუ-ლად და გეოსტრატეგიულად ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე მდებარეობს.

ა. ნიკურაძის პიროვნულ დეტალებს, ცხოვრებისეულ სტილს და პიროვნებისათვის დამახასიათებელ მანერებს ჯობაძე შემდეგნაირად აგვიღნერს. ნიკურაძე იყო უდიდესი მეცნიერი, გეოპოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, გამოირჩეოდა საოცარი ნიჭირებით და მაღალი მსოფლიმზედველობრივი აზროვნების უნარით. მას უყვარდა ყველა და ყველაფერი ქართული და ეროვნული. იგი ყველა ქართველს დიდი პატივს სცემდა და ეხმარებოდა კიდეც, ამიტომაც ძმები ნიკურაძეები დიდი ავტორიტეტით და საუცხოო რეპუტაციით გამოირჩეოდნენ მთელს გერმანიაში. სანდრო ივანეზე უმცროსი და მომცრო ტანის იყო, რის გამოც საუბრის დროს ფეხის წვერებზე დგებოდა ხოლმე. ცოტა არ იყოს ლიპიანი, მოშავო კანი ჰქონდა და უკან გადავარცხნილი ოდნავ შეთეთრებული ხშირი თმა. ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა და მეტყველებას სმენას ამჯობინებდა. როცა საუბრობდა, უალრესად სერიოზულ გამომეტყველბას იღებდა და ყოველთვის ცდილობდა გასაგები სიტყვები გამოენახა და ნათქვამი მკვეთრ ფოკუსში მოექცია, რომ მოსაუბრე ნათქვამში დაეჯერებინა.

ა. ნიკურაძე, ფიზიკის გარდა, გატაცებული იყო პოლიტიკით, ჰუმანიტარული მეცნიერების დარგებით, საქართველოს ისტორიით, ლიტერატურით, არქიტექტურით, არქეოლოგიით, იურისპრუდენციით და მთარგმნელობითი საქმიანობით. ამიტომაც მას ხშირად იწვევდნენ მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში ლექციების კურსის წასაკითხად.

ა. ნიკურაძეს, როგორც ისტორიკოსს, არქეოლოგს, პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეს უდიდესი წვლილი მიუძღვის თითოეული დარგის განვითარებაში. გაცილებით შთამბეჭდავია მისი პოლიტიკური საქმიანობა და გეოპოლიტიკური მსოფლიმზედველობა. იგი იყო ასევე მეორე დაწესებულების, „კონტინენტალური ევროპის კვლევა-ძიების ინსტიტუტის“ დამაარსებელი და დირექტორი მიუნხენში. ეს ინსტიტუტი იყო მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ევროპული და ევროინტეგრაციული იდეების სამჭედლო, რომლის ხმა მთელი მსოფლიოს საგანმანათლებლო ტაძრებში ისმოდა. ამის გამო მიუნხენი ყოველთვის ყურადღების ცენტრში იყო მსოფლიოს პოლიტიკურ და მოწინავე სამეცნიერო ინტელიგენციისათვის. ა. ნიკურაძემ ამავე ინსტიტუტის საშუალებით „სანდერსის“ (Al.Sanders) ფსევდონიმით გერმანულ ენაზე გამოსცა რამდენიმე მეცნიერული გამოკვლევა კონტინენტალური ევროპის შესახებ, „ევროპიული კონტინენტალ-პოლიტიკის განვითარება-

ნი“-ის სერიიდან: იაზონის მემკვიდრეობის გარშემო, ხალხთა მიმდინარეობანი აღმოსავლეთ ევროპაში, ევროპულ სახელმწიფოთა აღნაგობის საფუძვლები და ღრმად ფუნდამენტური წიგნები, მათ შორისაა: (OSTEUROPA in Kontinentaleuropaeischer Schau. München. Hoheneichen-Verlag. 1942), (KAUKASIEN, Nordkaukasien, Aserbeidschan, Armenien, Georgien Geschichtlicher Umriss. München. Hoheneichen-Verlag. 1942), სადაც ფაქტები და მოვლენები განხილულია ისტორიულ-ფილოსოფიური და ისტორიოგრაფიული თვალსაზრისით. ასევე, UM DAS ERBE GROßBRITANIENS zur Wandlung der Politischen Struktur der Übersee. München. Hoheneichen-Verlag. 1942, DIE STUNDEN DER ENTSCHEIDUNG Kampf um Europa. München., UM DIE GEFTALTUNG EUROPAS München, და VOM TRAUM ZUR TAT München, სადაც მოცემულია ძალიან საინტერესო დებულებანი როგორც ევროინტეგრაციის იდეისათვის, ასევე საქართველოს ისტორიისათვის. წიგნები მაღევე მოექცა მსოფლიოს ყურადღების ცენტრში. პოპულარული ნაშრომები ნამყვანი მეცნიერების ხელიდან ხელში გადადიოდა.

ა. ნიკურაძის ნაშრომებიდან აქ მოკლედ განვიხილავთ მხოლოდ რამდენიმეს: „იაზონის მემკვიდრეობის გარშემო“, „აღმოსავლეთ ევროპას“ და „კავკასიას“.

ა. ნიკურაძე 1937 წელს აქვეყნებს თავის პირველ უმნიშვნელოვანეს გამოკვლევას, პარიზში გამომავალ ჟურნალ „ქართლოსის“ პირველ ნომერში „ევროპიული კონტინენტალ-პოლიტიკის განვითარებანი“-ის სერიიდან, „იაზონის მემკვიდრეობის გარშემო“, მსგავსი ფუნდამენტალური კვლევები ზემოაღნიშნული სათაურით მოთავსებულია ნაციონალ-სოციალისტური პარტიის მთავარ გაზეთ „ფოელკიშერ ბეობახტერ“-ში, პროფესორ სანდერსის ფსევდონიმით. მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომები ძალზედ საინტერესოა ქართული პოლიტიკის თვალსაზრისითაც და, ზოგადად, იგი ხშირად ყოფილა გაზეთ „პრავდას“ და „იზვესტიას“ მკაცრი კრიტიკის ქარცეცხლში, ა. ნიკურაძეს მიზნად დაუსახავს ამ წერილით აჩვენოს ფართო საზოგადოებას გერმანიის პოლიტიკის მთავარი კურსი კავკასია-საქართველოსთან მიმართებაში. კვლევას თან ერთვის ისტორიული რუკები, მაგრამ იგი სამწუხაროდ ჩვენამდე არაა მოღწეული.

ა. ნიკურაძე თავის პირველ ნაშრომს „იაზონის მემკვიდრეობის გარშემო“ ასე იწყებს: ერთა შორის დავა ყოველთვის კულტურულ-პოლიტიკური, ხალხური და ეკონომიკური ძალებით არის გამოწვეული.

ამის შედეგად ჩვენ ვხედავთ ისტორიაში დიდ სახელმწიფოთა ან სახელმწიფოთა სისტემის განმტკიცებას, ამაში მნიშვნელოვან როლს მდინარეთა გზები თამაშობდა. ზღვათა და მდინარეთა სისტემები ხალხთა დაახლოების საშუალება იყო. ევროპის სახელმწიფოთა და კულტურული ცხოვრების განვითარების თვალსაზრისით, მდინარეთა სამი სისტემაა ერთი მეორისგან გასარჩევი: 1) ჩრდილოეთის ზღვა, აღმოსავლეთის ზღვა, შავი ზღვა, კასპიის ზღვა, ხმელთაშუა ზღვა და მათი მდინარენი. მის გარშემო ვხედავთ ევროპელ ხალხს და მათი კულტურის განვითარებას, დაწყებული ჰელენიზმიდან დღემდე. ეს მხარე დაკავშირებული იყო ირანულ-ჰინდუ და შორეულ აღმოსავლეთის (იაპონურ და ჩინურ) სამეურნეო და კულტურულ წრესთან. 2) მე-15 საუკუნის დასასრულს აღმოჩენილი იქნა ამერიკის კონტინენტი, ამან გამოიწვია ევროპის ცხოვრების ცვლილება, ატლანტიკური ოკეანე გახდა შემაერთებელი ზღვა. 3) უახლესი განვითარება ხალხთა ცხოვრებისა, განსაკუთრებით ამერიკისა, აზია და ავსტრალიას შორის ქმნის წყნარ ოკეანეს მესამე დიდი ხიდით. ჩვენ აქ პირველ რიგში ყურადღებას ვაქცევთ იმ ამბებს, რომელიც ევროპულ სივრცეში მოხდა. სუმერელების, რომელთა უდიდესი კულტურის ნაშთები გვიჩვენებენ, რომ ისინი ალბათ მეტად შორეულ წარსულში ინდო-გერმანულ ნათესავთაგან ჩამოშორებული იყვნენ. თუ საერთოდ ისინი თვით არ იყვნენ ინდო-გერმანული შთამომავლობისა, შესანიშნავმა კულტურამ ზეგავლენა მოახდინა და გაანაყოფიერა შემდეგი კულტურის ფორმები ირანულ და მეზობელ (აგრეთვე ევროპიულ) სივრცეზე, მეტად მჭიდროდ უნდა ყოფილიყვნენ დაკავშირებული სუმერული და ხეთური კულტურანი. ორივე ეს მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო ჰელინური კულტურისათვის. ხეთების სამეფო წარმოიშვა სუმერთა იმპერიის ერთი პროვინციისაგან, კულტურულად მაღლად მდგომი ამ სახელმწიფოს გაფურჩქვნა ქრისტეშობამდე მეორე ათასი წლის პირველ საუკუნეს ეკუთვნის. კოლხებმაც, რომელნიც ხეთების ჩრდილოეთ სივრცეზე ბინადრობდნენ, შექმნეს თავისი სახელმწიფო სუმერების იმპერიაში. კაპადოკიაში ნაპოვნი საბუთებიდან ჩანს, რომ შავი ზღვის ნაპირზე, კოლხეთში, მრავალი ვერცხლისა და სპილენძის ბუდობები მუშავდებოდა, აქედან ეს ლითონი ყოველმხრივ იგზავნებოდა, ამ ლითონიდან აკეთებდნენ სუმერელები თავის ფულს (ქრ.შ. მეშვიდე საუკუნეში), ორივე სახელმწიფო (ხეთებისა და კოლხების) საბერძნეთთან მჭიდრო ურთიერთობაში უნდა ყოფილიყო. ჰელინიზმში ვხედავთ ახლანდელი ევროპის სარკეს და პირი-

ქით. ყველა იცნობს კლასიკურ საბერძნეთს ძ.წ.მ.ე-7,6,5,4 საუკუნისას, მაგრამ განსაკუთრებით საინტერესო არის წინა კლასიკური საბერძნეთი ილიადა-ოდისეისა, სადაც, თანამედროვე კვლევის მიხედვით, მითოლოგიური ფიგურები ისტორიულ პიროვნებებად გვევლინებიან.

ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი თვლის რომ, ევროპის კონტინენტალური სტრუქტურის სათავე ელინური ხანის პერიოდიდან მომდინარეობს, ამ საკითხს ისტორიულ ფონს უდებს საფუძვლად და მსოფლიოს ისტორიული განვითარებისა და ჩამოყალიბების ჭრილში განიხილავს მას, რაც საკმაოდ დამაჯერებელი და მეცნიერულად არგუმენტირებულია. იგი ამბობს, რომ ევროპის პირველი ფორმისა და შინაარსის ქნა უეჭველად ელინური მსოფლიოს მუშაობის შედეგია, რომელიც იძლევა პირველ ხაზებს ევროპიულ კონტინეტალ-პოლიტიკისას.

ნიკურაძის აზრით, ბერძენთა წადილი და მისწრაფება გამოხატულია არგონავტების მითოსში და მათ მეთაურ იაზონში. მათი მიზანი იყო კოლხეთიდან (კავკასია) ოქრო გამოეტანათ. იაზონმა შეირთო კოლხეთის მეფის ასული მედეა და წამოილო ოქრო. გაჯავრებული კოლხეთის მეფე აიეტი გამოეკიდა იაზონს და გადაუკეტა გზა ბოსფორისაკენ. იაზონი დაუძვრა კოლხებს ისტერზე (დონ-მაინ-რაინ-ის პრობლემა), იგი მოგზაურობს ატლანტიკური ოკეანის ირგვლივ და მოდის შინ, საბერძნეთში, ჰერკულესის კარების (გიბრალტარის) გავლით, არგონავტთა მითოსის მცოდნენი ამტკიცებენ, რომ მათი ექსპედიციის სარჩული იყო რეალური სავაჭრო-პოლიტიკური მოსაზრებები. თუმცა ელინისტური მსოფლიოს სავაჭრო გზა შორეული აღმოსავლეთისაკენ, ირან და ინდოეთისაკენ გადიოდა კავკასიაზე (კოლხეთი-იბერია) მდინარე ფაზისის, ანუ რიონის და კვიროსის (მტკვარი, კურა) გასწვრივ კასპიის ზღვისაკენ. კოლხეთში მოდიოდენ ბერძნები, რათა კავკასიის და აზიის საქონელი შეეძინათ და თავისი გაესაღებინათ, ბერძნებს საქონელი აქედან გაპქონდათ ირანში, ინდოეთში და შორეულ აღმოსავლეთში. ქრ.შ. პირველ ათასეულ წლებში ბერძნული ფაქტორიები და კოლონიები დაარსებულ იქნა შავი ზღვის სანაპიროზე. ასეთი ახალშენები შავი ზღვის ჩრდილო ნაპირზე დასაყრდნობი ცენტრალურ და ჩრდილო ევროპასა და სკანდინავიასთან ურთიერთობაში მდინარეთა შემდეგი სისტემით ხდებოდა: რაინ-მაინ-დონი და დვინა-დნეპრ ან ვოლხოვ-დნეპრი. ამგვარად ძველმა მსოფლიომ შექმნა ურთიერთობათა სისტემა, რომელიც დასავლეთ და ჩრდილო ევროპიდან დნეპრის

სივრცეზე შავი ზღვით, კავკასია ირანამდე, ინდოეთისაკენ და შორეულ აღმოსავლეთამდე აღწევდა. ეს სისტემა წარმოადგენდა ევროპიული კონტინენტალ-პოლიტიკის არსებით მხარეს. ევროპიული კონტინენტალ პოლიტიკის ცნებას უპირისპირდება „ზღვისგაღმა პოლიტიკის“ მცნება, იგი იწყება მე-15-16 საუკუნეების მიჯნაზე და ამერიკის აღმოჩენის შემდეგ პირველად მისი მნიშვნელობა იზრდება. ავტორი თვლის, რომ ქრისტეს შობის პირველ ათასწლეულში არგონავტების მითოსი ღებულობს რეალურ ფორმებს და შინაარსს და მას ბერძნული კლასიციზმის ხანას უწოდებს, რომლისთვისაც ამ პერიოდისათვის დამახასიათებელია ორი ინიციატივა. ეს არის კოლხი აიეტი და მეორე ბერძენი იაზონი, მაგრამ ვერც კოლხებმა და ვერც ბერძნებმა საკუთარ მიზანს ვერ მიაღწიეს. კოლხების პოლიტიკური თვალსაზრისი შემდეგში მიდიელებმა და სპარსელებმა შეითვისეს, ბერძნებისა კი – მაკედონელმა. ამიტომაცაა, რომ მიდიელთა, ანუ მედიელნის სახელმწიფოს დაარსება ხდება ბერძნული კლასიციზმის დროს. სადაც მედიელთა და სპარსთა პოლიტიკური მნიშვნელობა იწყება დაახლოებით 700 წლებში ქრისტეს შობამდე. ხოლო დარიუსის მისწარაფება უფრო შორსმჭვრეტელური იყო. იგი სახელმწიფოთა სისტემის შექმნისაკენ ისწრაფოდა და ცდილობდა ამ სისტემით ემართა დღევანდელი რიგი სახელმწიფოებისა ევროპიდან ჩინეთ-ინდოეთამდე. მალე, მეოთხე საუკუნეში, სპარსეთის იმპერია იცვლება ალექსანდრე დიდის იმპერიით, სადაც იმპერიის გული გადადის დასავლეთისაკენ. თუმცა, იგი ისე ახალგაზრდა გარდაიცვალა, რომ თავისი წადილი ვერ შეასრულა („იაზონის მემკვიდრეობა“ საბოლოოდ ვერ დაისაკუთრა). ალექსანდრეს სიკვდილის შემდგომ მისი იმპერია დანაწილდა, მაგრამ სამეურნეო და კულტურული ურთიერთობა იქ მაინც იგივე დარჩა. ამავე პოლიტიკის გაგრძელება სცადა რომმა ქრისტეს შობამდე პირველ საუკუნეში, მაგრამ უშედეგოდ. რომის იმპერიის დაცემამდე (180-395წწ. ქრ. შემ.) ევროპის სამხრეთმა ნაწილმა შექმნა ეს დიდი სახელმწიფო რომი, რომელიც შორ აღმოსავლეთთან და ინდოეთთან ხშირ სამეურნეო და კულტურულ დამოკიდებულებაში იყო. ჩრდილო და აღმოსავლეთ ევროპა, კავკასიასთან ერთად, ამ სამხრეთ სახელმწიფოსთან მჭიდრო ურთიერთობაშია და ამით ისინიც ინდოეთთან, ცენტრალურ აზიასა და შორეულ აღმოსავლეთთან კულტურულ და სამეურნეო საქონელთა გაცვლა-გამოცვლაში არიან. ამგვარად, ევროპა უძველესი დროიდან გადაბმული იყო ინდოეთთან, ცენტრალურ აზიასთან და შორეულ აღმოსავლეთთან და

სახელდობრ ხმელეთის „კონტინენტალურ“ გზაზე მდინარეთა გზებით, ნათქვამია ნაშრომში.

ჩვენამდე მოღწეულია უთარიღო, ხელით ნაწერი ა. ნიკურაძის ნაშრომის (51 ფურცელი) „აღმოსავლეთ ევროპა“-ს ნაწილი თემით, „საეკლესიო არქიტექტურა კიევის დიდ სამთავროში“, სადაც განხილულია კიევის მოსაზღვრე და მეზობელ ქვეყნებთან, მრავალმხრივი კულტურული დამოკიდებულება, მათ შორის, საეკლესიო არქიტექტურის და მხატვრობის მიმართულებით, კერძოდ შავი ზღვის დასავლეთ ნაწილი ბიზანტია და ბულგარეთი, აღმოსავლეთის მხრიდან საქართველო, ხოლო ბატისტისპირეთის-გერმანია და სკანდინავიის ქვეყნები, რამაც გამოიწვია საეკლესიო არქიტექტურის სამი ცენტრის გაჩენა: კიევი, ჩერნოვკი და ნოვგოროდი. იგი ხაზს უსამს უძველეს იატინაიას (Jatinnajakirche) ეკლესიის არქიტექტურას, რომელიც აშენებული იქნა 989/990 წლებში ვლადიმირის მიერ, ასევე ჩერნოვკის მაცხოვრის ტაძრის ხელოვნებას (1014.წ) და დასავლეთ საქართველოს, აფხაზეთის მოქვის ეკლესიის (975.წ) დამოკიდებულებას და მხატვრობას. ავტორი ამბობს, რომ აღნიშნული ეკლესიების ცხოვრება და საეკლესიო დამოკიდებულების საფუძვლები მეტ-ნაკლებად ერთმანეთისგან გამომდინარეობს და მათი პერიოდული პარალელები აშკარად ჩანს საერთო თვალსაზრისით. ამით იგი მიგვანიშნებს, რომ კიევი საეკლესიო და სამხატვრო არქიტექტურით ახლოს დგას დანარჩენ აღმოსავლეთ ქვეყნების კულტურასთან. ქართული ეკლესია, ამ შემთხვევაში „მოქვი“, მაინც ძირეულია, თუმცა ქართულ-აფხაზური ეკლესია ბიზანტიური პერიოდის პარალელებს და გავლენას მაინც ინარჩუნებს.

განსაკუთრებული აღნიშვნის ლირსია, ალექსანდრე ნიკურაძის პოლიტიკური ხასიათის ნაშრომი „კავკასია“, რომელიც სამჯერ გამოიცა მიუნხენში 1938, 1942, 1944 წლებში, სადაც ხაზგასმულია, რომ საქართველოს კავკასიისთვის განსაკუთრებული მნიშვნლობა აქვს. ნიკურაძის აზრით საქართველოს, როგორც ცენტრალურსა და პოლიტიკურ, ყველაზე უნარიან ქვეყანას, კავკასიაში იგივე როლი ენიჭებოდა, როგორც გერმანიას ევროპაში. ნიკურაძის მიზანი იყო საქართველოს ხსნა ჰიტლერის რასიული თეორიიდან, იგი ლინგვისტურად აანალიზებს, რომ ჩვენ არიელებს არ ვეკუთვნით, მაგრამ ისე, სხვა მხერივ, ჩვენ ევროპელები ვართ. ამის ნარმატებით განხორციელებას იგი ცდილობდა არქეოლოგიური მასალებით, სოციალური წყობით, სახელმწიფოებრივი სისტემით, ხუროთმოძღვრებისა და ლიტერატურის საშუა-

ლებით, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ეს მაინც პოლიტიკური და შეკონი-წებული, მოჩვენებითი დიპლომატიური ნაბიჯი იყო. რასაკვირველია, ასეთი ფაქტის, თეთრზე შავით დაწერა დიდ ძალისხმევას მოითხოვდა, ამას სჭირდებოდა საერთაშორისო აღიარება და ფოკუსირებული პრო-პაგანდა ზემოხსენებული საკითხებისა, ამიტომაც იყო, რომ მას ჰყავ-და ქართველების, გერმანელების, კავკასიელების მეცნიერთა და პო-ლიტიკოსთა ჯგუფები, რომლებიც ეხმარებოდნენ ამ იდეოლოგიის პროპაგანდაში. მათ შორის იყვნენ: მარკოზ ტულუში, მიხაკო წერეთე-ლი, ზურაბ ავალიშვილი, თბილისელი გერმანელი რ. მილ ჭალლკერ – გაქართველებული ქართველოლოგი. ჩრდილოეთ კავკასიელებიდან სანდროსთან თანამშრომლობდნენ უურნალისტები ჯაბაგი (ყაბარდო-ელი), ჩერქეზეთიდან აიტეკ ნამიტოკი, აზერბაიჯანიდან რასულ ზადე. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს საკმარისი ვერ იქნებოდა ჰიტლერის დასარ-წმუნებლად, მაგრამ, გარკვეულწილად, მნიშვნელოვანი როლი მაინც ითამაშა იმ პერიოდის ქართულ და გერმანულ პოლიტიკურ ურთიერ-თობებზე.

ა. ნიკურაძე ძალიან გავლენიანი და ავტორიტეტული პიროვნება იყო. ეს დასტურდება იმით, რომ ნიკურაძესთან ხშირად თავს იყრიდ-ნენ და საუბრობდნენ გერმანიის მთავრობის მაღალი ეშელონების წარმომადგენლები, მათ შორისაა სტუდენტობის დროინდელი მეგობა-რი და ოკუპირებული აღმოსავლეთის ტერიტორიების მინისტრი ალ-ფრედ როზენბერგი, რომელიც იყო ბალტიური წარმოშობის გერმანე-ლი და რასიული თეორიის მტკიცე მიმდევარი (რის გამოც გერმანე-ლებმა ომი წააგეს, ეს იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზთაგანი), ასევე, რ. შცპიმდტი, რომელიც ერთ-ერთი გავლენიანი უურნალის „Volkische Beobachter“-ის რედაქტორი იყო. აღსანიშნავია ისიც, რომ ნი-კურაძეც ხშირად იყო მინვეული რაიხსტაგში, უზენაეს სახელმწიფო მოხელეებთან მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ თათბირებზე, მრჩევ-ლის ან ექსპერტ-პროფესორის სტატუსით. ასევე, ნიკურაძე თანამ-შრომლობდა და კარგი ურთიერთობები ჰქონდა ცნობილი გერმანიის სელის მაგნატთან - ვიტან, რომელიც მისი ეკონომიკური და პოლი-ტიკური მრჩეველიც იყო.

ა. ნიკურაძის გეოპოლიტიკური იდეებით აღფრთოვანებული და თანამოაზრე ალფრედ როზენბერგი ეხმარება და უქმნის „კონტინენ-ტალური ევროპის კვლევა-ძიების ინსტიტუტს“, რომელშიც მუშავდე-

ბოდა „კონტინენტალური ევროპის“ სამომავლო იდეები ჰაუსპოფერის და შპენგლერის თეორიის ჭრილში.

ა. ნიკურაძე 1934 წლიდან ნაცისტური პარტიის წევრი ხდება. მის გავლენას განიცდის როზენბერგის პროქართული შეხედულებები, იგი ჯერ კიდევ 1927 წლიდან მიიჩნევდა, რომ კავკასია რუსეთისაგან უნდა იქნას გამოყოფილი, ხოლო 1941 წლის აპრილში წერდა, რომ კავკასიის ხალხებს შორის ქართველები ისტორიულად და პოლიტიკურად ნამყვანები იყვნენ და ამიტომ საქართველო მთავარი ცენტრი უნდა გახდეს კავკასიური სახელმწიფოების კონფედერაციისა და მისი სუვერენიტეტის დაცვა გერმანიის მხარდაჭერის პრეროგატივად უნდა იქცეს. რასაკვირველია გერმანია ამ პასუხისმგებლობას არ გაექცეოდა, რადგან თვლიდა, რომ ეს სწორი პოლიტიკა იყო.

ალფრედ როზენბერგის იმდენად სჯეროდა ნიკურაძის, რომ 1944 წელს დაავალა, მთელი შტაბით პარიზში გადასულიყო ფრანგ მოაზროვნე საზოგადოებაში როზენბერგის ევროპული იდეების საპროპაგანდოდ. თუმცა ეს ძირიულად ვერ განხორციელდა, რადგან როზენბერგის პროქართული იდეები აშფოთებდათ სხვა ქვეყნის ემიგრანტებსაც. როზენბერგის იდეა მდგომარეობდა შემდეგში: კავკასიური ფედერაცია თანასწორი პარტიიორი უნდა ყოფილიყო „შავიზლვისპირეთის სახელმწიფოთა გვირგვინში“, რა თქმა უნდა გერმანიის პროტექტორატით. კავკასია, უკრაინა, რუმინეთი და კაზაკთა ტერიტორია ევროპის „გაგრძელება“ გახდებოდა, როგორც თავის დროზე გოთების სახელმწიფო იყო. მაგრამ რაც არ უნდა მომხდარიყო მომავალში, მათზედ გერმანული კონტროლი უნდა ყოფილიყო და რაიხსკომისიარიატის სტატუსი კავკასიისთვის, ისე, როგორც უკრაინისთვის, მოსკოვისთვის და ბალტიის ქვეყნებისთვის დიდად სახარბიელო არ უნდა ყოფილიყო, რადგან აღმოსავლეთ სამინისტროს (ასე ერქვა შემოკლებით როზენბერგის სამინისტროს) იდეებით არავინ იყო მოხიბლული.

1951 წლის სექტემბერში ა. ნიკურაძემ პარიზის ქართულ სათვისტომოში წაიკითხა მოხსენება „ზოგადი სურათები ქართულ-ევროპული წარსულიდან“, რომელშიც გამოთქმულია ორიგინალური იდეები. ევროკავშირის კონსტიტუციია დღეს მის ფუნდამენტურ იდეაზე დგას. ასევე მან დიდი წვლილი შეიტანა ევროინტეგრაციისა და ევროპოლოგის, როგორც ინტერდისციპლინური დარგის ჩამოყალიბება-განვითარებაში.

1952 წლის 22-24 სექტემბერს საფრანგეთში, ქ. კომპიენთან ა. ნიკურაძის ინიციატივით „ლა ბრევიერის“ სასახლეში შედგა ევროპელ მეცნიერთა ყრილობა, რომელსაც დაესწრნენ მეცნიერები საფრანგეთიდან, გერმანიიდან, იტლიიდან, ინგლისიდან, შვეციიდან, ნორვეგიიდან, ოსმალეთიდან და კიდევ სხვადასხვა ქვეყნიდან. კონგრესის საგანი იყო ევროპული საჭირობოროტო საკითხების წინ წამონევა. კერძოდ, სხვა წინადადებათა შორის კონგრესმა მიიღო მისი აზრი მცნება-ტერმინის „ევროპოლოგის“ შემოღების შესახებ. „ევროპოლოგია“ იმთავითვე გულისხმობდა ევროპულ მეცნიერთა დარგების თავმოყრას და ერთ სწავლებად ჩამოყალიბებას.

გარდა ამისა ა. ნიკურაძე აქვეყნებდა საინტერესო წერილებს და გამოკვლევებს პარიზში გამომავალ ემიგრანტ ნინო და კალისტარტე სალიების ჟურნალში „ბედი ქართლისა“ აქედან აღსანიშნავია 1956 წლის აპრილში პარიზში ფრანგულ ენაზე გამოქვეყნებული „არგონავტების მითი“, რომელიც გამოირჩევა ლრმა ისტორიული და მეცნიერული თვალსაზრისით. იგი აქტიურად თანამშრომლობდა ფრანგულ ჟურნალ „Revue de Kartvelologie“-სთან, სადაც ასევე გერმანულ ენაზე აქვეყნებდა ქართველოლოგიური ტიპის ნაშრომებს კერძოდ: „ქართული არქიტექტურის საკითხისათვის შუა საუკუნეების ევროპულ აღმოსავლეთში“, „პატრი მიხეილ თარხნიშვილი (გარდაცვალების გამო)“, „სკანდინავიულები და ქართველები პონტო-ბალტიის სანაპიროზე“, „დოქტორი ოტორ გუნტერ ფონ ვეზენდოკი, როგორც ქართველოლოგი“, „ისტორიოგრაფიული შეხედულებანი ალბანეთის შესახებ“, „დასავლეთ ევროპის რომანული არქიტექტურისა და ქართული არქიტექტურის პარალელების ახსნის ცდა“, „დასავლეთ ევროპა და კავკასია პარალელების სახით“, „ა. ა ნამიტოკი (გარდაცვალების გამო)“, „სუმერთა პირვანდელი ადგილსამყოფელის საკითხისათვის“ (კავკასია შესაძლო პირველსამშობლოა სუმერთა ლითონის) და სხვა.

ძალზე საინტერესოა ა. ნიკურაძის მოღვაწეობა მიუნხენში პედაგოგიური და სამეცნიერო თვალსაზრისით. იგი აქტიურად მონაწილეობდა და თავად მართავდა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებს. მათ შორის აღსანიშნავია რამდენიმე სამეცნიერო ღონისძიება, რომელიც ჩვენამდე მოღწეულია ხელნაწერის სახით ე.წ. „Der Münchener Gespräche“ (მიუნხენური დისკუსიები), 1956/1957 წლის იანვარი, ზამთრის სემესტრის სესიის სახელწოდებით. „მიუნხენური დისკუსიები“ იმართებოდა კონტინენტალური ევროპის კვლევის ინსტი-

ტუტში, ფილოსოფოს დემპფის და ისტორიკოსს ნიკურაძის ხელმძღვანელობით, უამრავ მომხსენებელ მეცნიერთა შორის იყო ა. ნიკურაძე, შემდეგი თემით: ავტომატიზაცია – ევროპა, მათი ამოცანები, შესაძლებლობები და საზღვრები. სადაც საუბარია ავტომატიზაციის გავრცელების არეალზე, მისი დანიშნულებისა და გამოყენების შესაძლებლობებზე. ასევე ჩვენამდე მოლწეულია 1957 წლის მაისის სხდომის ოქმი, სადაც აღნიშნულია, რომ ზემოაღნიშნულ პერიოდში სამეცნიერო სხდომა „მიუნხენური დისკუსიები“ გაიმართა კონტინენტური ევროპის კვლევის ინსტიტუტის და ამავე ინსტიტუტთან არსებული გერმანული კომიტეტის ასოციაციის ევროპული უნივერსიტეტის ეგიდით, თემაზე, „ავტომატიზაცია – ევროპა“, სხდომას უძღვებოდნენ: პროფესორები: მიუნხენის უნივერსიტეტის ფილოსოფოსია ალიოს დემპფი (Prof.Dr. Alios Dempf) და ფიზიკოსი ა. ნიკურაძე. სამეცნიერო ღონისძიებაში უამრავი ადგილობრივი და საერთაშორისოდ ცნობილი მომხესენებლები მონაწილეობდნენ სხვადასხვა სექციებში, ნიკურაძე კი ყოველთვის ფიზიკა-ისტორიის მიმართულებით გამოდიოდა. ამჯერად მისი მოხსენების თემა იყო „პროდუქტიულობა-ავტომატიზაციის საერთო ბაზარი ევროპაში ტექნიკური განვითარების თვალსაზრისით“, სადაც იგი საუბრობს ევროპაში პროდუქტიულობის გაზრდის შესახებ, მის გამომწვევ და შემაფერხებელ მოვლენებზე, ავტომატიზაციის განვითარება-სა და მის რისკ-ფაქტორებზე, ტექნიკურ და სამეცნიერო პროდუქტიულობასა და მათ შორის დამოკიდებულებაზე. იგი მიიჩნევს, რომ სამეცნიერო და ტექნიკური კვლევები უნდა ემსახურებოდეს ადამიანის მატერიალურ და სოციალურ საჭიროებებს, რომ მოხდეს ავტომატიზაციის უკეთ ჩამოყალიბება, რათა ადამიანმა შეძლოს მისი დროსთან მიმართებაში მაქსიმალურად გამოყენება.

ალექსანდრე ნიკურაძე ოჯახის შექმნის საკითხს გვიან მოეკიდა, სავარაუდოდ 1958 წელს, მან გერმანიაში იქორნინა გერმანელ ჰილდე ჰერპიხზე, მეუღლემ მალევე მიიღო ქმრის გვარი - ჰილდე ჰერპეს ნიკურაძე, რაც ძალიან საინტერესო მოვლენა იყო იმ დროისათვის. ჰილდე ძალიან მშვიდი, განათლებული, სათნო და ლამაზი ქალი ყოფილა. მათ შეეძინათ ერთადერთი ქალიშვილი ელისო (ელიზაბეტ) ნიკურაძე. ელიზაბეტს ქართული ესმოდა, თუმცა იშვიათად საუბრობდა ქართულად.

აქვე გაგაცნობთ ალექსანდრეს წერილს თავის დისადმი მიწერილს, რომელიც ოჯახს ასე ახასიათებს: საყვარელო დებო: ლუბა და

ფლორენა, თქვენი წერილით მეტად გამახარეთ, დღესვე დაურეკავ ვა-ნოს გიოტინგენში, წავუკითხავ და მასაც გავახარებ. მე ვემზადები სამ-გზავროდ, პარიზში ერთ სხდომას უნდა დავესწრო, ამას მოყვება საქ-მეები აახენში და მერე ბერლინში. ერთი კვირის შემდეგ დავბრუნდები მიუნხენში. ივლისის პირველი კვირის განმავლობაში ინგლისში უნდა ვიყო, იქ ოქსფორდში მსოფლიო კონგრესია, რომელიც ჩემს დარგს ახ-ლოს ეხება და ჩემ იქ მონაწილეობას მოელიან..., ვანოს ერთი ვაჟი ყავს ალექსანდრე ჰერია, ამ ვაჟბატონსაც ვაჟიშვილი ყავს, იმასაც ალექსან-დრე დაარქვეს. ამგვარად სამი გენერაციაა აქ „ალექსანდრეებისა“. უთუოდ ეს იკმარებს ამ ჟამად. ცოლი ვანოსი დიდებული ქალია. მეც კმაყოფილი ვარ ჩემი მეუღლეთი. ჩემ ქალიშვილს ელიზაბეტი დავარ-ქვით. ცქრიალა ქალია, მერვე წელში. ნიჭი და სილამაზეც ხელს უწყ-ობს, ჯანმრთელია, მეც ჯანმრთელადა ვარ. თქვენი ა. ნიკურაძე (19.12.1966 მიუნხენი).

დაბოლოს, ჩვენს ხელთ არსებული „მიუნხენური დისკუსიების“ 1963 წლის 14 მაისის წრეში საუბარია ზოგადად ტექნიკის განვითარე-ბის სიტუაციაზე პირველი მსოფლიოს ომის დროს და მის შემდგომ პე-რიოდზე. იგი ხაზგასმით ამბობს, რომ სამეცნიერო ტექნიკის განვითა-რებას მოაქვს განსხვავებული წინაპირობები ეკონომიკისთვის, ტრან-სპორტისათვის და კიდევ სხვადასხვა დარგებისათვის. ამიტომ იგი გა-მოდის ინიციატივით, რომ შეიქმნას და ჩამოყალიბდეს ცალკე დარგი „Volkswirtschaft“ ეკონომიკა, სადაც შევა ეკონომიკური სწავლების სა-კითხები. რა თქმა უნდა ა. ნიკურაძის ყველა მოხსენებას, ყველა გამოს-ვლას, ნებისმიერ ინიციატივას ყოველთვის დიდი გამოხმაურება მოს-დევდა და მათ შორის არცერთ მიუნხენურ დისკუსიებს არ ჩაუვლია უხმაუროდ და უშედეგოდ.

1967 წლის ივლისში იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ოქსფორ-დში გამართულ მეცნიერთა მსოფლიო კონგრესზეც.

ხანგრძლივი ავადმყოფობის შედეგად ა. ნიკურაძე გარდაიცვალა 1980 წლის 13 ივნისს, იგი დაკრძალული იქნა ქ. მიუნხენში. მის დაკ-რძალვას მთელი უნივერსიტეტი დაესწრო. ალექსანდრე ნიკურაძეს სიკვდილამდე ორი მთავარი სურვილი ქონდა, პირველი ეს იყო ფიზი-კის საკუთარი იმსტიტუტის ხელსაწყო-იარალები და უნიკალური პირა-დი ბიბლიოთეკა გადაცემიდა მისი სიკვდილის შემდგომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას, რაც ასე არ მოხდა. მისი ინსტიტუტი მიუნ-ხენის უმაღლესმა ტექნიკურმა სასწავლებელმა იჩუქა, წიგნების დიდი

რაოდენობა კი გერმანიის სხვადასხვა სამეცნიერო დაწესბულებებმა და ბიბლიოთეკებმა დაინაწილეს. რაც შეეხება მეორე სურვილს, იგი ოცნებობდა თავისი სიცოცხლის მანძილზე სამშობლოში ჩამოსვლაზე და მისი ნეშტის მიბარებას საქართველოს მინაზე, მისი ოცნება სამწუ-საროდ დღემდე ვერ შესრულდა.

წარმოდგენილი ნაშრომის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართველი მეცნიერის ა. ნიკურაძის როლი როგორც ქართულ, ისე გერმანულ პოლიტიკურ ცხოვრებაში უაღრესად დიდია. რა თქმა უნდა, აქ წარმოდგენილი ნაშრომები სრულად ვერ ასახავს ა. ნიკურაძის მთე-ლი შემოქმედების ეპოპეას, თუმცა მნიშვნელოვნად წარმოაჩენს მის როლს ევროინტეგრაციის და ევროპოლოგიის შექმნისა და ჩამოყალი-ბების საქმეში. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ა. ნიკურაძე აქტიურად მონაწილეობდა მსოფლიოს გეოპოლიტიკურ პროცესებში (ე.წ. გეოპოლიტიკურ საჭადრაკო დაფაზე ახალი ევროპის კონტინენ-ტის შექმნა და შემდგომ მათი განლაგება), მათ შორის აღსანიშნავია კავკასიის კონფედერაციის პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა სა-ქართველოს ლიდერად გახდომას კავკასიის რეგიონში, გერმანიის პროტექტორატით. ვინაიდან საქართველო იყო გეოგრაფიულად ტრან-ზიტული და გეოსტრატეგიული ქვეყანა და ქართველები და გერმანე-ლები წმინდა რასის სისხლს მიეკუთვნებოდნენ, ამიტომ საქართველოს ცენტრალური როლი უნდა შეესრულებინა მთელ კავკასიაში, ისე რო-გორც გერმანია ასრულებს დიდ როლს მთელს ევროპაში. აღსანიშნა-ვია ისიც, რომ ა. ნიკურაძის მიერ დამუშავებული „კავკასიის კონფედე-რაციის იდეა“, რომელსაც სრულად იზიარებდა ალფრედ როზენბერ-გიც, წარმოადგენდა „პრომეთეს“ მოძრაობის ცნობილი კონცეფციის უშუალო გაგრძელებას, გერმანიის განსაკუთრებული როლის „პრო-ტექტორატის“ გამოკლებით. ა. ნიკურაძის დამსახურებაზე მეტყვე-ლებს ის ფაქტიც, რომ მიუხედავად იმისა, რომ იგი გერმანიის ყველა გავლენიან და უმაღლეს სახელმწიფო მოხელეებთან მეგობრობდა და ახლო კავშირები ქონდა იმდროინდელ პოლიტიკურ ელიტასთან, მას არასოდეს გამოუყენებია გერმანული კავშირები პირადი ინტერესები-სათვის, პირიქით იგი ყოველთვის ცდილობდა, რომ მოეპოვებინა მათი კეთილგანწყობა კავკასიელებთან (კერძოდ საქართველოსთან) ურთი-ერთობაში, რაც უნდა ასახულიყო პოლიტიკურ სიტუაციაზე. მართა-ლია ამან ვერ ჰპოვა სრული აღზევება, მაგრამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმდროინდელ ქართულ-გერმანულ ურთიერთობებში, ასევე

გერმანიაში მყოფი ქართველი ემიგრანტების ცხოვრებაშიც. ა. ნიკურაძეს სხვა დამსახურებებთან ერთად უდიდესი წვლილი აქვს შეტანილი ქართველოლოგის განვითარება-პოპულარიზაციაში გერმანიაში და ზოგადად, მთელ ევროპაში, იგი ბრწყინვალედ ფლობდა ქართულ, რუსულ, გერმანულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებს. ქართულ შედევრებს ხშირად თარგმნიდა და აქვეყნებდა გერმანულ ენაზე ევროპის წამყვან ჟურნალ-გაზეთებში, ამით იგი ცდილობდა შორს გაეტანა საქართველოს სახელი და დიდება.

ამრიგად, ზემოაღნიშნულიდან შეგვიძლია თამამად დავასკვნათ, რომ ქართველ მეცნიერთა ნააზრევზე დაყრდნობით განხილულია ევროპულ-ქართულ ურთიერთობების აქტუალური საკითხები, ქართულ-ევროპული ფასეულობების და ღირებულებების პარალელები წარსულში, ანმყოში და მომავალში. მასში პირველადაა მეცნიერულად და კომპლექსურად შესწავლილი ქართველი ემიგრანტი მეცნიერების მიხეილ მუსხელიშვილის და ალექსანდრე ნიკურაძის ბიოგრაფიები და მათი მეცნიერული ნაშრომები. საქართველოში ცოტამ თუ იცის, რომ ევროინტეგრაციის და ევროპოლოგიის, როგორც ინერდისციპლინარული დარგის შექმნის სათავეებთან იდგნენ ორი მსოფლიოში ცნობილი ქართველი ემიგრანტი მეცნიერები მიხეილ მუსხელიშვილი და ალექსანდრე ნიკურაძე, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ევროკავშირის ჩამოყალიბება-განვითარებაში.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს ურთიერთობა ევროპასა და ამერიკის ქვეყნებთან. ევროპისა და ამერიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. ტ.1, მეცნიერება. 1994.
2. საქართველოს ურთიერთობა ევროპასა და ამერიკის ქვეყნებთან. ევროპისა და ამერიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. ტ.2, მეცნიერება. 1995.
3. საქართველოს ურთიერთობა ევროპასა და ამერიკის ქვეყნებთან. ევროპისა და ამერიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. ტ.3, მეცნიერება. 1996.

4. საქართველოს ურთიერთობა ევროპასა და ამერიკის ქვეყნებთან. ევროპისა და ამერიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. ტ.4-5, მეცნიერება. 1999.
5. შარაძე გ. უცხოეთის ცის ქვეშ. წიგნი პირველი თბილისი: მერანი. 1991.
6. შარაძე გ. უცხოეთის ცის ქვეშ, წიგნი მესამე. თბილისი. მერანი. 1993.
7. შარაძე გ. ქართული ემიგრანტული უურნალისტიკის ისტორია, ტ.1.2. თბ., 2001.
8. შარაძე გ. ქართული ემიგრანტული უურნალისტიკის ისტორია, ტ. 8 თბ., 2005, გვ. 23-58.
9. სულაძე გ. ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამასახურები. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბ., 2012.
10. სულაძე გ. ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამასახურები. 1918-1953 წწ) თბილისი: ეროვნული მწერლობა. თბ., 2010.
11. სულაძე გ. ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბ., 2010.
12. ვახტან ჯობაძე. ჩემი თავგადასავალი თბ., 2009. გვ. 82-88.
13. საისტორიო მაცნე XVIII, შრომების კრებული. ბათუმის შ. რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2009. გვ. 200/05.
14. შრომების კრებული III, ნმ. გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი. უნივერსალი, 2010.
15. წელიწელი. პირველი საერთაშორისო სამეცნიერო კრებული. ი. ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკა. ქუთაისი, 2009.
16. სვანეთი III, ინტერდისციპლინარული სამეცნიერო კრებული. არტანუჯი, 2008.
17. თანამედროვე აქტუალური სამეცნიერო საკითხები. მეორე საერთაშორისო კონფერენცია. სუხიშვილის უნივერსიტეტი. უნივერსალი, 2010.

18. უურნალი „ამირანი“ კავკასიონლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი საზოგადოებრივი ინსტიტუტის მოამბე. XXI. მონაბეჭილისი, 2009.
  19. უურნალი „ისტორიანი“. ქართველი შინდლერი. № 3. 2011, მარტი.
  20. კვირის პალიტრა, № 11. 2011.
  21. კვირის პალიტრა, № 51. 2010.
  22. ტაბულა № 9. 2010.
  23. ქართული უნივერსიტეტი № 62. 2010.
  24. პრაიმტაიმი № 4. 2011.
  25. საქართველოს რესპუბლიკა № 131. 2012.
  26. საქართველოს რესპუბლიკა № 236. 2010.
  27. ახალი სხივი № 1. 1910.
  28. პარკაძე ვ. მოგონებები ქართველ მეცნიერებზე. მეცნიერება, 1994.
  29. ბაქრაძე ლაშა. საჯარო ლექციები. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2009.
  30. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები ტ. 1(9), უნივერსალი. 2011.
  31. დაუშვილი რ. ქართველები უცხოეთში წიგნი 1, 2012.
  32. შუბითიძე ვ. ევროპეიზაცია და ქართული პოლიტიკური აზროვნება სტუ. 2013.
  33. „ბედი ქართლისა“ № 12. 1952 წ. მაისი, პარიზი.
  34. „ბედი ქართლისა“ № 13. 1952 წ. ნოემბერი, პარიზი.
  35. „ბედი ქართლისა“ № 15. 1953 წ. სექტემბერი, პარიზი.
  36. „ბედი ქართლისა“ № 16. 1954 წ. იანვარი, პარიზი.
  37. კავკასიონი № 10. 1965. პარიზი.
  38. გაზეთი. დამოუკიდებელი საქართველო, № 27. 1928.
- ინტერნეტრესურსი უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 29.03.2014.
39. <http://www.kvirispalitra.ge/public/6053-mikheil-muskhelishvili-evrokavshiris-sheqmnasa-da-evropul-qveynebs-shoris-sazghvrebis-tsashlas-qadagebda.html>
  40. <http://www.nplg.gov.ge/emigrants/ka/00000041/>

41. [http://for.ge/view.php?for\\_id=10582&cat=12](http://for.ge/view.php?for_id=10582&cat=12)
42. [http://diaspora.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=166&info\\_id=24](http://diaspora.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=166&info_id=24)  
80
43. [http://en.wikipedia.org/wiki/Michel\\_Mouskhely](http://en.wikipedia.org/wiki/Michel_Mouskhely)
44. <http://manuscript.ge/index.php?m=361>

უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 27.03.2014

45. <http://matiane.wordpress.com/2009/08/31/bakradze-georgians-on-german-side-ww2/>
46. <http://www.nplg.gov.ge/emigrants/ka/00000072/>
47. [http://www.diaspora.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=166&info\\_id=2537](http://www.diaspora.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=166&info_id=2537)
48. [http://rveuli.ge/dir/view\\_break.php?page=biography&id=461&cat=9](http://rveuli.ge/dir/view_break.php?page=biography&id=461&cat=9)
49. <http://www.georoyal.ge/?MTID=5&TID=89&id=1751>
50. <http://www.kvirispalitra.ge/history/6976-qqarthveli-shindleriq.html>
51. <http://www.newposts.ge/?id=12089>
52. <http://burusi.wordpress.com/2012/06/21/urushadze-5/>
53. [http://for.ge/view.php?for\\_id=10582&cat=12](http://for.ge/view.php?for_id=10582&cat=12)

**Edisher Japharidze**

PhD Student

Georgian Technical University

### **At the beginnings of the European integration**

Since the second part of the twentieth century the European integration processes has not been losing its urgency to this day. It still remains as the important political challenge of the 21st century in the geopolitical area of the modern world. Georgia is actively participating in these processes to this day. As it is known an agreement of the association between Georgia and the European Union shall be signed in summer 2014, although, it may become a law and put in use before its ratification by the legislative organs. The given fact is a landmark of the greatest historical importance for Georgian people. It heralds

the return of the Georgian people to its initial homeland-Europe, for which it has always and strived for. It must be pointed out that we do not enter Europe empty handed and are widely credited for the propaganda of European qualities and introducing them in Georgia. The society in general is still unaware of the fact that famous Georgian scientists and public figures. M. Muskhelishvili and A. Nikuradze were at the sources of the European Union (European confederation). While Robert Schuman and Jean Monnet talked about the idea of uniting Europe, M. Muskhelishvili and A. Nikuradze were publishing articles on the same subject in the leading newspapers and magazines and actively participated in the processes of the creation of the European Union.

Muskhelishvili was the first Georgian European who preached the idea of the creation of the European Union in his own vision and erasing frontiers among European countries. He formed the European centre of scientific research and studies in Strasburg named "Muskheli" the centre (operating under his name) where European integration issues were studied. After the war he raised the idea of uniting Europe and its federation and promoted it. In his opinion, European federalism is not only surviving necessity for the European people but also a guarantee of peace and general prosperity in Europe, freedom and integrity of the human race...., he wrote in his work "The structure of Europe's federalism".

A. Nikuradze was one of the most competent researchers of Georgian-European relations and the director of the research Institute of continental Europe in Munich. In September 1951 he read a report in the Paris association of fellow countrymen of Georgia. "General pictures of Georgian European background", in which original ideas are stated, the ideas which nourish European constitution to this day. He is also widely credited for European Integration and Europology as forming and developing the field of the inter-discipline. In September 1952, upon the initiative of A. Nikuradze, a conference of European scientists, was held near the city companies in La Brevine, France. The conference was to address the problem issues of Europe. In particular, among other propositions, the congress accepted his opinion, a concept of adopting the term Europology. Basically, "Europology" implied the congregation of European scientific fields and forming them into a unit of study. Thus, it can be said that two world famous immigrant scientists M.Muskhelishvili and A.Nikuradze stood at the sources of European Integration, much credited for forming and the development of the European Union.

**მარინე ჯალიაშვილი (კაკიაშვილი)**  
ასისტენტი პროფესორი, თსუ

**ჯგუფთაშორისი ურთიერთობა და „შიდა ფავორიტიზმი“**

კვლევის მიზანს წარმოადგენდა ურთიერთობის სხვადასხვა ფორმასა და „შიდა ფავორიტიზმს“ შორის კავშირის გამოვლენა. სამუშაო ჰქონდება ასე ფორმულირდებოდა: ჯგუფთაშორისი ურთიერთობისას „შიდა ფავორიტიზმის“ ინტენსივობას განაპირობებს ურთიერთობისას ფორმა: კონკრეტული არის კონკურენცია, კონფლიქტი. გამოყენებული იყო „ქვაზი“ ექსპერიმენტის ერთი შერჩევის სქემა. დამოუკიდებელ ცვლადს შეადგენდა ურთიერთობის სხვადასხვა ფორმები, დამოკიდებულს – „შიდა ჯგუფის“ მიერ „გარე ჯგუფის“ შეფასებლად გამოყენებული დადებითი და უარყოფითი ზედსართავების რაოდენობა ურთიერთობის სხვადასხვა პირობებში. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 18-დან 25 წლამდე 50-მა სტუდენტმა. კვლევამ დაადასტურა ჩვენი ჰიპოთეზა: „შიდა ფავორიტიზმი“ ძლიერდება „გარე ჯგუფის“ კონკურენციისა და, განსაკუთრებით, კონფლიქტის პირობებში შეფასებისას. ხოლო თანამშრომლობის პირობებში „გარე ჯგუფი“ განიხილება „შიდა ჯგუფის“ მსგავსად და „შიდა ფავორიტიზმი“ ნაკლებად ვლინდება. ჯგუფთაშორისი ურთიერთობების შესახებ სხვადასხვა თეორია არსებობს. ერთ-ერთია ადორნოს თეორია, რომლის მიხედვით ინდივიდუალური სოციალური განწყობები პიროვნების სიღრმისეული ტენდენციების გამოვლენას წარმოადგენს. ფროიდის თვალსაზრისზე დაყრდნობით იგი თვლიდა, რომ პიროვნების განვითარების არსი არის სოციუმში ცხოვრების გამო სხვადასხვა ინსტიქტური მოთხოვნილებების დათრგუნვა. სოციალიზაციის პროცესის მთავარი მონაწილეებია მშობლები, რომლებიც ისწრაფვიან შეინარჩუნონ წონასწორობა ბავშვის მიერ დისციპლინის დაცვასა და ბავშვის თვითგამოხატვის უზრუნველყოფას შორის. როდესაც მშობლები მკაცრად მოითხოვენ დისციპლინის და საზოგადოებრივი მორალის დაცვას, წარმოშობა მშობლების მიმართ ბუნებრივი აგრესია, რომლებიც შეიძლება სხვა ობიექტებზე იქ-

ნას გადატანილი, რადგან მისი პირდაპირი გამოვლენა ბავშვში შიშს წარმოშობს. აგრესიის ობიექტად შეიძლება იქცეს ის, ვინც სუსტია ან საზოგადოებაში დაქვემდებარებული მდგომარეობა აქვს. მაგალითად, ეთნიკური უმცირესობები. ამ პროცესების საფუძველზე ყალიბდება ავტორიტეტისადმი მორჩილი პიროვნება (რადგან ავტორიტეტის მშობლების სიმბოლოს წარმოადგენენ), რომელიც უცხოთა ჯგუფების მიმართ მტრულადაა განწყობილი. ეს არის ავტორიტარული პიროვნება.

ამ თეორიის მიხედვით, უცხო ჯგუფების მიმართ ცრურწმენები, რომლებიც წარმოადგენს მათ მიმართ დამამცირებელ განწყობებს, არის პიროვნების ტიპით განპირობებული და პიროვნების განვითარებას უკავშირდება.

ეს თეორია სათანადოდ ვერ აფასებს აქტუალურ სოციალურ სიტუაციას და მისი ზეგავლენით განწყობის ფორმირებას; როდესაც ადამიანები სხვადასხვა ჯგუფებში ერთიანდებიან, ისინი განიცდიან ჯგუფის ნორმების გავლენას და ნაკლებად ავლენენ (ან პირიქით) ცრურწმენებს. ეს თეორია, აგრეთვე, არ ითვალისწინებს ცრურწმენების სოციოკულტურულ დეტერმინანტებს. ამ დეტერმინანტების შესახებ გვამცნობს 1958 წელს სამხრეთ აფრიკაში ჩატარებული კვლევა, რომელმაც აჩვენა, რომ თეთრკანიანი აფრიკელები ავლენდნენ რასისტულ ცრურწმენებს, მაგრამ ავტორიტარიზმის დაბალ მაჩვენებელს – პიროვნების ტიპოლოგიის მიხედვით ისინი ნორმის ფარგლებში იყვნენ. მათი რასისტული განწყობები განპირობებული იყო სამხრეთ აფრიკაში გაბატონებული სოციალური ნორმებით და არა პიროვნული დისფუნქციით. თუ ცრურწმენები ადამიანთა შორის ინდივიდუალური განსხვავების შედეგია, მაშინ აუხსენელი რჩება ის, თუ რატომ ავლენს ასეთ ცრურწმენებს მთელი პოპულაცია ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილი.

ამ თეორიის საწინააღმდეგოდ მეტყველებს 1983 წელს ინგლისელ ბავშვებზე ჩატარებული კვლევაც; ამ კვლევაში ბავშვებს ავალებდნენ კანფეტები დაერიგებინათ მათვების უცნობი, ფოტოზე ნანახი ბავშვებისათვის. აღმოჩნდა, რომ ბავშვების 60%-მა გამოავლინა დისკრიმინაციული ქცევა და კანფეტები თეთრკანიან ბავშვებს დაურიგა. ძნელი წარმოსადგენია, რომ ბავშვების ამ 60%-ს ერთნაირი ოჯახური აღზრდა მიეღოთ, რომელიც ცრურწმენებს განპირობებს.

ამ თეორიას ეწინააღმდეგება ის ფაქტებიც, რომ ცუდი წინასწარგანწყობები სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილზე მოულოდნელად იჩენს თავს, ისე, როგორც ეს

მოხდა 90-იან წლებში გერმანიასა და ბრიტანეთში აზიდან გადასახლებულთა მიმართ. რასიზმის გამოვლინებები ამ ქვეყნებში რამდენიმე წელს გაგრძელდა და ეს დრო ნამდვილად არ იქნებოდა საკმარისი, რომ გერმანულ და ბრიტანულ ოჯახებში აღზრდის რაღაც ახალი ხერხები გამოეყენებინათ და შვლებისათვის ამით ავტორიტარიზმი და რასიზმი ჩაენერგათ.

ეს მაგალითები გვიჩვენებს, რომ სხვადასხვა ჯგუფის წევრების განწყობები ერთმანეთის მიმართ განსაზღვრულია მათ შორის არსებული ობიექტური დამოკიდებულებებით: მათ შორის არსებული კონფლიქტით ან თანხმობით, ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულებით და არა ოჯახური სიტუაციების თავისებურებით.

მეორე თეორია აგრესიას განიხილავს, როგორც ფრუსტრაციის შედეგს და ადამიანში არსებული „განტევების ვაცის“ ძიების ტენდენციის გამოვლენას. 1882-1930 წლებში აშშ-ის სამხრეთ რაიონებში 5 ათასამდე ლინჩის წესით გასამართლების შემთხვევა აღირიცხა. ასეთი სასამართლოს მსხვერპლი, ძირითადად, იყვნენ შავკანიანები. ფსიქოლოგებმა პირველებმა მიაქციეს ყურადღება ამ ფაქტს; 1940 წელს ჰოვლანდმა გააანალიზა ეს საშინელი სტატისტიკა და აჩვენა, რომ არსებობს საოცარი თანხვედრა ამ მკვლელობათა რიცხვის ყოველწლიურ ცვალებადობასა და სამხრეთ შტატებში სოფლის მეურნეობაში არსებულ სიტუაციას შორის. როგორც კი ეკონომიკური მაჩვენებლები დაცემას იწყებდა და ცხოვრება ძნელდებოდა, შავკანიანთა მკვლელობის რიცხვი მაშინვე იზრდებოდა.

რამ შეიძლება დააკავშიროს ეკონომიკური დაქვეითება და შავკანიანებზე ძალადობა? როგორც ჩანს, ეს არის ფრუსტრაცია. დოლარდის და მისი კოლეგების ფრუსტრაციის თეორიაზე დაყრდნობით შეიძლება დავუშვათ, რომ ეკონომიკური სიძნელები ადამიანებში იწვევს ფრუსტრაციას, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს აგრესიას. დოლარდის თეორიის მიხედვით აგრესია ხშირად მიმართულია არა მის ნამდვილ წყაროზე, არამედ ადვილად მოწყვლად და ხელმისაწვდომ ობიექტებზე; ასეთებად კი შეიძლება განვიხილოთ ეროვნული უმცირესობები.

„განტევების ვაცის“ თეორია ცრურწმენებთან მიმართებაში არა-ერთხელ გამოიყენეს წარმატებით. 1948 წელს მილერი და ბუგელსკი თავიანთ ექსპერიმენტში ბანაკში მცხოვრებ ახალგაზრდებს მოულოდნელად უცხადებდნენ, რომ დაგეგმილი სანატრელი საღამოს გასეირ-

ნება ქალაქში გადაიდო; ამასთან ერთად, ექსპერიმენტატორებმა გამოიკვლიეს მათი განწყობები ორ ნაციონალურ ჯგუფთან მიმართებაში მანამ და მას შემდეგ, რაც მათ აღნიშნული მაფრუსტრირებელი ინფორმაცია მიაწოდეს. აღმოჩნდა, რომ ეს განწყობები მნიშვნელოვნად უფრო ნეგატიური იყო მას შემდეგ, რაც ეს ინფორმაცია მიენოდათ, თითქოსდა ის ჯგუფები ყოფილიყვნენ დამნაშავე სიტუაციის შეცვლაში.

ამ თეორიის თანახმად, ჯგუფთაშორისი ქცევები ალიძვრება ემოციებით (ფრუსტრაციით) და კონკრეტული მიზანი არ გააჩნიათ. არსებობს ისეთი ექსპერიმენტებიც, რომლებშიც არ დასტურდება ასეთი ერთმნიშვნელოვანი კავშირი ფრუსტრაციასა და განწყობის შეცვლას შორის.

ორივე თეორია თვლის, რომ ადამიანის ქცევები ჯგუფში პრინციპულად არ განსხვავდება სხვა სიტუაციებში მათი ქცევისგან: მარტონი ვართ, ერთი-ორ ახლო მეგობართან ვურთიერთობთ, რაღაც მოვლენების მონაწილე ვართ, სადაც ჩვენთვის მნიშვნელოვანი ჯგუფია ჩართული – ყველა ამ შემთხვევაში ჩვენს ქცევებს ერთი და იგივე ცვლადები განსაზღვრავს.

პირველად ტეზიზელმა გაუსვა ხაზი, რომ საჭიროა გავარჩიოთ პიროვნებათაშორისი და ჯგუფთაშორისი ურთიერთობები და შეუძლებელია ერთი დონის ურთიერთობების ამხსნელი თეორია ვარგისი იყოს მეორე დონის ურთიერთობების ასახსნელად.

ურთიერთობა პიროვნებათაშორის დონეზე დამოკიდებულია ადამიანის ინდივიდუალურ თავისებურებებსა და პიროვნულ თვისებებზე. ურთიერთობა ჯგუფებს შორის კი გულისხმობს ადამიანის, როგორც ჯგუფის წევრის მოქმედებას. პირველ დონეზე ინდივიდუალური თავისებურებები უფრო მნიშვნელოვანია, მეორე შემთხვევაში კი – პირიქით, არ არის მნიშვნელოვანი თავისთავად რას წარმოადგენს ჯგუფის წევრი, უფრო მნიშვნელოვანია – რას წარმოადგენს ეს ჯგუფი.

ენრი ტეჟიზელმა 70-იან წლებში ჯგუფთაშორისი ურთიერთობის შესწავლის დროს დაადგინა, რომ კატეგორიზაციის პროცესს გარკვეული წვლილი შეაქვს ადამიანთა შორის განწყობების ჩამოყალიბებაში. აღმოჩნდა, რომ ადამიანთა გარკვეული ჯგუფების განსხვავების დროს, კატეგორიზაციის შემთხვევაში, რომელიმე მათგანი უფრო თავისად განიცდება. ხდება მათი ფავორიტიზაცია, ენიჭება მათ გარკვეული უპირატესობა, ადამიანს უყალიბდება დადებითი განწყობა თავი-

სი ჯგუფის მიმართ. ექსპერიმენტში თავიდან ჯგუფები ყალიბდებოდა შემთხვევით და ალინიშნებოდა ინიციალებით, პიროვნების მითითების გარეშე, მაგრამ ჯგუფის საქმიანობის გარჩევის დროს ინდივიდი იწყებს რომელიმე მათგანის თავის ჯგუფად მიჩნევას. ამას მოსდევს ის, რომ მას მეტ ქულებს ანიჭებს სხვებთან შედარებით. ხდება კატეგორიზაცია და იქმნება „ჩემი“, „ჩვენი“ ჯგუფი. თავის ჯგუფში შემავალ წევრებს ეწერებათ უფრო მაღალი მახასიათებლები, ვიდრე სხვა ჯგუფის წევრებს. ცდის პირებს თავისი ჯგუფის წევრთა დადებითი თვისებები ამახსოვრდებათ, სხვა ჯგუფის წევრებისა კი – უარყოფითი თვისებები. ჯგუფები თუ დაიყო ასე: „ჩვენ“ და „ისინი“, მათ შორის დაპირისპირებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე ცალკეულ ჯგუფებს შორის დაპირისპირებას. თუ ადამიანები გაერთიანდნენ ჯგუფად, მათში შემავალი ადამიანები უფრო ახლობელნი ხდებიან და მეტ თანამშრომლობას ეწევიან, ვიდრე ცალკეული ადამიანები ერთად მოქმედების დროს. როცა ჯგუფი კატეგორიზდება როგორც „თავისი“, დაპირისპირებით სხვისგან, საქმიანობის პროცესში მის მიმართ ყალიბდება დადებითი განწყობა და დაპირისპირებული ჯგუფებისადმი უარყოფითი განწყობა (შ. ნადირაშვილი, 2010).

შემდეგში იდენტიფიკაციისა და კატეგორიზაციის ცნებების კომპლექსური გამოყენების საფუძველზე ტერნერმა და მისმა თანამშრომლებმა შეიმუშავეს თვითკატეგორიზაციის თეორია, რომლის საფუძველზე ნათელი გახდა, რომ ადამიანები ეწევიან ორი დონის იდენტიფიკაციას და კატეგორიზაციას: 1 – იმ შემთხვევებაში, როცა ადამიანი ახდენს თავის თავის იდენტიფიკაციას, ყველა სხვა დამიანისაგან განსხვავების გზით, იგი თავის იდენტობას ადგენს და საკუთარი თავისადმი უყალიბდება დადებითი განწყობა. 2 – სოციალური იდენტიფიკაციის დროს, როცა ადამიანი თავის თავს აკუთვნებს გარკვეულ ჯგუფს, ხდება დეპერსონალიზაცია, იგი იდენტიფიცირებულია თავის ჯგუფთან, მისდამი უჩნდება დადებითი განწყობა და მისდამი დაპირისპირებული სხვა ჯგუფისადმი უყალიბდება უარყოფითი განწყობა. ამ დონეზე ადამიანები ეწევიან ჯგუფურ სოციალურ აქტოვობას.

ირკვევა, რომ თვითიდენტიფიკაციის პროცესში პიროვნული და სოციალური იდენტიფიკაცია იწვევს პიროვნებისა და თავისი ჯგუფის ფორმირებას, რომელთა აქტივობის პროცესში ადამიანს უყალიბდება დისპოზიციური განწყობები თავისი პიროვნებისა და მისივე სოციალური ჯგუფის მიმართ.

ამრიგად, დისპოზიციური განწყობის ჩამოყალიბება ხდება სიტუა-ციური განწყობის გარკვეულ ვითარებაში მრავალგზის მოქმედების გამო. დაფიქსირებული და განმტკიცებული განწყობა, რომელიც პი-როვნების ნიშნად იქცევა, საჭირო შემთხვევაში ცალკეული ფაქტორე-ბის ზემოქმედებით აღმოცენდება და იწყებს მოქმედებას. უმეტეს შემ-თხევაში, იგი პიროვნებას ეხმარება ადვილად, დაძაბვის გარეშე მიზან-შეწონილად იმოქმედოს მსგავს სიტუაციებში. ასეთი განწყობები უკავ-შირდებიან ერთმანეთს და ერთ მთლიან სისტემას ქმნიან. ისინი პი-როვნების მახასიათებლად შეიძლება იქნან განხილული. (შ. ნადირაშ-ვილი, 2010).

მსგავსი მიდგომის მომხრეა შერიფი. მისი თეორიის მთავარი დე-ბულებაა ის, რომ ჯგუფის წევრების განწყობები და ქცევა, რომელიც მიმართულია გარეთ, ასახავს ჯგუფის ობიექტურ ინტერესებს. თუ ეს ინტერესები ეჯახება სხვა რომელიმე ჯგუფის ინტერესებს, აუცილებ-ლად წარმოიშობა შეჯიბრის ორიენტაცია კონკურენტულ ჯგუფთან მიმართებაში. ეს ხშირად წარმოიშობს ცრურწმენებს და აშკარად მტრულ ქცევებსაც კი. შიდა ჯგუფის წარმატება იწვევს მისი წევრების დადებით განწყობებს ერთმანეთთან მიმართებაში, ამაღლებს მის მო-რალს და ჯგუფის შეჭიდულობას. როცა ჯგუფებს აქვთ საერთო ინტე-რესები, მაშინ გარე-ჯგუფების მიმართ უფრო სასარგებლო ხდება მე-გობრული და კოოპერაციული განწყობები.

თავისი თეორიის დასამტკიცებლად მან, გასული საუკუნის 50-იან წლებში, ჩაატარა ასეთი ექსპერიმენტი: თერთმეტი წლის ბიჭები გააგ-ზავნეს ზაფხულის ბანაკში. ისინი გაყვეს ორ ჯგუფად. ეს ორი ჯგუფი ბანაკში ჩაიყვანეს სხვადასხვა ავტობუსით და შემდგომ მოათავსეს ერ-თმანეთისაგან საკმაოდ შორს მდებარე შენობებში.

პირველი კვირის განმავლობაში ბიჭები ცხოვრობდნენ თავიანთ ჯგუფებში და არაფერი იცოდნენ მეორე ჯგუფის არსებობის შესახებ. ჯგუფში ისინი თანამშრომლობდნენ ერთმანეთთან, ერთად დადიოდ-ნენ ლაშქრობებში, ამზადებდნენ საჭმელს, არემონტებდნენ საცხოვ-რებელს, აშენებდნენ ხიდს. ამ საწყის სტადიაზე ბიჭებს სწრაფად გა-ნუვითარდათ თავიანთი ჯგუფისადმი ძლიერი მიჯაჭვულობა და თი-თოეული ჯგუფი მაღე გახდა ძალიან შეკავშირებული. მათ მოიგონეს თავისთვის სახელები: „გველები“ და „არწივები“ და დააწერინეს ისინი თავიანთ მაისურებზე; აგრეთვე გააკეთეს დროშები თავიანთი გუნდის სიმბოლოებით. ამდენად, პირველი კვირის ბოლოსათვის ორივე ჯგუ-

ფის წევრებს ჩამოყალიბებული პქონდათ ჯგუფური იდენტიფიკაცია. ამის შემდეგ „გველებმა“ მოულოდნელად აღმოაჩინეს „არნივები“ „ჩვენს“ მოედანზე. მაშინ ბანაკის პერსონალმა შესთავაზა მათ, მოენყოთ ორ ჯგუფს შორის ტურნირი სხვადასხვა სახეობის შეჯიბრებებით: ფრენბურთი, ბაგირის თოკის გადაწევა, განძეულის ძებნა და სხვა. ორივე ჯგუფი ენთუზიაზმით დათანხმდა ამ წინადადებას. ეს იყო „მოიგე-წააგე“ ტიპის შეჯიბრი. ტურნირში გამარჯვებული იღებდა ყველა ჯილდოს. ჯილდოები იყო ჯიბის დანები, მედლები და სხვა ისეთი ნივთები, რომლებიც ბიჭებისთვის იყო ძალიან სასურველი. ამრიგად, მომზადდა ნიადაგი დაძაბული მეტოქეობისათვის. შეჯიბრებები დაიწყო და ჯგუფებს შორის დაძაბულობა თანდათან იზრდებოდა. თავიდან ორივე მხარე იფარგლებოდა სიტყვიერი შეურაცხოფებითა და დაცინვით, მაგრამ მალე ბიჭები გადავიდნენ პირდაპირ მოქმედებაზე: ცემა-ტყეპა, დროშების დაწვა, საცხოვრებელში შეჭრა და პირადი ნივთების წართმევა. ბოლოს და ბოლოს მკვლევარები ჩაერივნენ მოვლენათა მსვლელობაში, რათა თავიდან აეცილებინათ უფრო სერიოზული შედეგები. კონფლიქტის განვითარების პროცესში ჯგუფები ცალსახად ავლენდნენ უაღრესად ნეგატიურ დამოკიდებულებას ერთმანეთისადმი. როდესაც ბიჭებს სთხოვდნენ, მიეცათ ერთმანეთის აღწერა, ისინი მეორე ჯგუფის წევრებს ახასიათებდნენ ძალიან უხეში სიტყვებით (ლაჩრები, მყრალები, თავხედები), მაშინ როდესაც საკუთარ ჯგუფს აღწერდნენ ქება-დიდებით (მამაცები, ძლიერები, მეგობრულები).

მუზაფერ შერიფის გამოკვლევამ ვერ გასცა პასუხი კითხვაზე, საკმარისია თუ არა გარე-ჯგუფის „უცხოების“ მიმართ განწყობის ჩამოყალიბებისათვის უბრალოდ ჯგუფისადმი საკუთარი თავის მიკუთვნება. შეიძლება თუ არა ნაციონალობის, რელიგიის, სოციალური ფენისადმი კუთვნილებამ გამოიწვიოს ადამიანში გარკვეული ორიენტაციები სხვა ნაციის ან რელიგიური მრნამსის ადამიანების მიმართ.

ეს საკითხი იკვლიერ რებბიმ და ჰოვრიცმა 1969 წელს. ისინი ვარაუდობდნენ, რომ ჯგუფური გრძნობების აღმოცენებისათვის აუცილებელია ჯგუფის წევრები აღიქვამდნენ ურთერთდამოკიდებულებას და „ერთნაირ ბედს“. მათ შემთხვევით შეარჩიეს ერთმანეთისათვის სრულიად უცნობი 8 მოსწავლე და მათგან შეადგინეს ორი თანაბარი ჯგუფი. ბავშვებს დაურიგეს ამოსაცნობი სამქერდე ნიშნები (ცისფერი და მწვანე). თავდაპირველად ჯგუფები ისხდნენ დიდი ეკრანის სხვადასხვა მხარეს ისე, რომ ერთმანეთს ვერ ხედავდნენ და მხოლოდ საკუთარი

ჯგუფი წევრებს აღიქვამდნენ. მათ, როგორც ჯგუფის წევრებს, ასა-ჩუქრებდნენ (ან არ ასაჩუქრებდნენ) ტრანზისტორებით, რაც ქმნიდა „საერთო ბედის“ სიტუაციას. საკონტროლო პირობებში ჯგუფში ურთიერთობა ამით ამოიწურებოდა. ამის შემდეგ, ჯგუფების გამყოფ ეკრანს აშორებდნენ და თითოეულ ბავშვს სთხოვდნენ, ეამბნა საკუთარი თავის შესახებ; დანარჩენებს ეს ნაამბობი სხვადასხვა სკალებზე უნდა შეეფასებინათ. საკუთარი ჯგუფის წევრების ნაამბობს მოსწავლეები უფრო მაღალ შეფასებას აძლევდნენ, თუმცა ეს ტენდენცია სუსტად გამოვლინდა. მონაცემების მიხედვით ექსპერიმენტატორებმა დაასკვნეს, რომ ჯგუფისადმი მიკუთვნებულობა თავისთავად სუსტ გავლენას ახდენს ჯგუფის წევრების მსჯელობაზე (M. ხიკის, B. შტრებე 2004).

უფრო მოგვიანებით, 1971 წელს ტეჟიფელის მიერ ჩატარებულმა კვლევამ კი დაადასტურა, რომ ჯგუფთაშორისი დისკრიმინაციისათვის სავსებით საკმარისია უბრალოდ ინდივიდის ჯგუფისადმი მიკუთვნება. მან ჩაატარა ზემოთ აღნერილის მსგავსი გამოკვლევა; გამოიყენა რა მინიმალური „შიდა ჯგუფური კავშირის პარადიგმა“: მოსწავლეები ორ ჯგუფად გაანაბილა, თითოეულმა მოსწავლემ მხოლოდ ის იცოდა, თვითონ რომელ ჯგუფს მიეკუთვნებოდა. სხვა მოსწავლეების მიკუთვნება „საკუთარი“ და „უცხო“ ჯგუფისადმი კოდებით იყო შენიღბული; მოსწავლეებს უთხრეს, რომ ისინი მონაწილეობდნენ გადაწყვეტილების მიღების საკვლევ ექსპერიმენტში. შემდეგ მათ სთხოვეს, გაენანილებინათ ჟეტონები მოსწავლეებისათვის სპეციალური მატრიცის გამოყენებით; ამ მატრიცით მხოლოდ იმის გარკვევა შეიძლებოდა, თუ რომელ ჯგუფს ეკუთვნოდა მოსწავლე. პირადი მოტივების გამოსარიცხად საკუთარი თავისათვის ჟეტონის მინიჭება არ შეიძლებოდა; ჟეტონების განაწილება ფულად ჯილდოსთან იყო დაკავშირებული.

შედეგები საკმაოდ დამაჯერებელი აღმოჩნდა. მოსწავლეები ფულად ჯილდოებს საკუთარი ჯგუფის სასარგებლოდ გასცემდნენ. ჯგუფთაშორისი დისკრიმინაცია ამ ექსპერიმენტული მეთოდიკით საოცრად მყარია. შემდეგში ოცამდე სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა ცდის პირებზე ჩატარებულმა კვლევებმა იგივე შედეგები აჩვენა: ადამიანის უბრალო მიკუთვნება რაღაც არჩეული სოციალური კატეგორიისადმი სავსებით საკმარისია მათ მიერ ტენდენციური და დისკრიმინაციული ქცევების განსახორციელებლად.

„შიდა ფავორიტიზმს“ ყველაზე უკეთ ხსნის სოციალური იდენტობის თეორია.

სამყაროს დაყოფა სხვადასხვა კატეგორიებად არა მარტო ამარტივებს მას და ხდის უფრო აზრიანს, არამედ კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფუნქციასაც ასრულებს – გვეხმარება გავარკვიოთ, ვინ ვართ ჩვენ თვითონ. ჩვენ არა მარტო მივაკუთვნებთ სხვა ადამიანებს სხვადსხვა ჯგუფებს, არამედ ვახდენთ საკუთარი თავის ლოკალიზაციას ამავე ჯგუფებთან მიმართებაში. ჩვენი იდენტობის გრძნობა უშუალოდაა დამოკიდებული სხვადასხვა ჯგუფებში ჩვენს წევრობაზე. თუ შევეცდებით გავცეთ პასუხი კითხვაზე „ვინ ვარ მე?“ აღმოჩნდება, რომ ჩვენ აღვწერთ საკუთარ თავს სწორედ სხვადსხვა სოციალური ჯგუფებისადმი კუთვნილების კუთხით.

როგორ შეიძლება ავხსნათ სოციალური იდენტობის თეორიის მეშვეობით ადამიანებში გამოვლენილი ჯგუფთაშორისი დისკრიმინაციის ტენდენცია ისეთ კონტექსტში, როგორიცაა ჯგუფშიდა მინიმალური კავშირების პარადიგმა?

ზემოთ აღნიშვნილი მეთოდიკით ექსპერიმენტის ჩატარებისას ცდის პირებს მიაწერენ რაღაც ჯგუფს, რომლის წევრებსაც სინამდვილეში არაფერი აკავშირებთ და მათ მხოლოდ ის იციან, რომელი სიმბოლო ეკუთვნის მათ ჯგუფს და რომელი – სხვას. რადგან მონაწილეები ერთმანეთს არ იცნობენ და თითოეული მონაწილე კოდური ნომრის მატარებელია, სიტუაცია აღიქმება, როგორც ანონიმური. თუ ამას მივიღებთ მხედველობაში, შეიძლება დავუშვათ, რომ იდენტობის გრძნობის გაჩენის საფუძველი, ამ შემთხვევაში, შეიძლება იყოს ცოდნა „გარე ჯგუფის“ არსებობის შესახებ.

სოციალური იდენტობის თეორია თვლის, რომ ჯგუფურ დისკრიმინაციასა და თვითშეფასებას შორის არსებობს პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი. ეს კავშირი შეიძლება გამოვლინდეს ორგვარად: ადამიანები მიმართავენ ჯგუფთაშორის დისკრიმინაციას, რათა განამტკიცონ თავიანთი სოციალური იდენტურობა და, შესაბამისად, აიმაღლონ თვითშეფასება. ეს შეიძლება იყოს უბრლოდ ადამიანის მიდრეკილება განიხილოს საკუთარი თავი პოზიტიურად, ვიდრე ნეგატიურად ან ნეიტრალურად. თუ ადამიანს დაბალი თვითშეფასება აქვს, ეს უბიძგებს მას „უცხოები“ განიხილოს ნეგატიურად, რათა საკუთარი თვითშეფასება „ნორმალურს“ დაუახლოოს; თუმცა გამოკვლევათა ერთი ნაწილის მიხედვით, „შიდა ფავორიტიზმს“ ავლენენ და გარე ჯგუფის დისკრიმინაციას მიმართავენ მაღალი სტატუსის, დიდი შესაძლებლობებისა და მაღალი თვითშეფასების ჯგუფებიც.

თეორიების და კვლევების უმრავლესობა განიხილავს ჯგუფთაშორისი ურთიერთობის ნეგატიურ მხარეებს, რომელიც იწვევს შიდა ფავორიტიზმს, დისკრიმინაციას, უცხოების მიმართ ზიზღს. მაგრამ არსებობს თუ არა ფაქტორები, რომლებიც ასუსტებს ჯგუფთაშორის კონფლიქტს?

ერთ-ერთი კვლევა, რომელიც ამ ფაქტორების არსებობაზე მიუთითებს, არის შერიფის გამოკვლევა, რომელმაც გვიჩვენა, რომ ანტაგონისტური დამოკიდებულებები შეიძლება შეიცვალოს ტოლერანტობით, თუ მოხერხდება თანამშრომლობის ორგანიზება. მსგავსი შედეგები გამოვლინდა ტერნერის (1981), გერტნერის (1994) და ბროვნის ექსპერიმენტებშიც. ამ კვლევებმა აჩვენა, რომ სოციალურმა კატეგორიზაციამ შეიძლება გამოიწვიოს დისკრიმინაციული ქცევები და უარყოფითი მსჯელობები გარე ჯგუფის მიმართ, მაგრამ იგივე სოციალურმა კატეგორიზაციამ შეიძლება შეასუსტოს კიდეც ჯგუფთაშორისი კონფლიქტები, თუ ორი სხვადასხვა ჯგუფის წევრები შეძლებენ სხვანაირად განსაზღვრონ საკუთარი თავი – როგორც ერთიანი, ჯგუფის ზეკატეგორიის წარმომადგენელი; ასეთ ვითარებაში ისინი ერთმანეთის მიმართ პოზიტურად განეწყობიან. ახლებური კატეგორიზაცია, ანუ რეკატეგორიზაცია, ექსპერიმენტულ პირობებში, ასუსტებს უარყოფით ჯგუფთაშორის განწყობებს, რადგან იგი წაშლის საზღვრებს ჯგუფებს შორის.

არსებობს გამოკვლევები, რომლებიც აჩვენებს საწინააღმდეგოს. ეს გამოკვლევები ეკუთვნის ვორხელს, ფოლგერს და ანდრეოლის (1977). ამ გამოკვლევების მიხედვით, თუ კოოპერაციას ჯგუფი ვერ მიჰყავს საერთო მიზნამდე და თანამშრომლობას წინ უსწრებდა მეტოქეობა, ასეთ პირობებში ურთიერთსიმპატიები სუსტდება (M. ხიუსტონ, B. შტრენე, 2004).

აღნერილ გამოკვლევებში გარე ჯგუფისადმი ცრურწმენა, ანუ უარყოფითი განწყობა და მისი დისკრიმინაცია დემონსტრირდებოდა 1) შიდა და გარე ჯგუფის წევრებისადმი ჯილდოების განაწილებით ან 2) გარე ჯგუფის მიმართ აგრესიული ქცევების განხორციელებით (შერიფის ექსპერიმენტი). პირველ შემთხვევაში ჩვენ უფრო დისკრიმინაციასთან გვაქვს საქმე, ვიდრე უარყოფით განწყობასა და ცრურწმენებთან. მართალია დისკრიმინაციიდან უარყოფით განწყობამდე და ცრურწმენამდე პატარა მანძილია, მაგრამ ეს ცნებები იდენტური არა არის.

ვერბალური რეაქციებით, ვერბალური ფორმით ამ განწყობების გამოვლენის და გაზომვის მცდელობა აღნიშნულ გამოკვლევებში არ არის წარმოდგენილი. მხოლოდ შერიფის გამოკვლევაში არის აღნიშნული, რომ ახალგაზრდები ფიზიკურ აგრესიასთან ერთად ვერბალურ აგრესიასაც ავლენდნენ.

თუ გავითვალისწინებთ, რომ განწყობების საკვლევად ფსიქოლოგიაში ხშირად სკალები გამოიყენება და ეს სკალები ანტონიმური ზედ-სართავებით იქმნება, და, გარდა ამისა, რეალობაშიც ადამიანები ზედ-სართავ სახელებს იყენებენ საგნების, ადამიანების და ადამიანთა ჯგუფების დასახასიათებლად, მაშინ ჩნდება აზრი, რომ ექსპერიმენტულ პირობებში ჯგუფთაშორისი ურთიერთობის აღსანერად მათი გამოყენება მართებულია. ამასთან ერთად, კვლევის თანახმად, რადგან კონფლიქტი აძლიერებს „შიდა ფავორიტიზმს“, თანამშრომლობა კი ასუსტებს მას, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს აისახება გარე და შიდა ჯგუფების აღსანერად გამოყენებულ სიტყვიერ რეაქციებში და გამოყენებული ზედსართავების რაოდენობაში.

სამუშაო ჰიპოთეზა ასე ჩამოყალიბდა: ჯგუფთაშორისი ურთიერთობის სხვადასხვა ფორმების შემთხვევაში ადამიანები შიდა და გარე ჯგუფების დასახასიათებლად სხვადასხვა სიხშირით გამოყენებენ და-დებით და უარყოფით ზედსართავებს.

ჰიპოთეზის შესამონმებლად დავგეგმეთ და განვახორციელეთ ექსპერიმენტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 50-მა ცდის პირმა. მათ ვაძლევდით ასეთ ინსტრუქციას: „წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ხართ A ჯგუფის წევრი. არსებობს კიდევ რაღაც B ჯგუფი, რომელთანაც თქვენ შეიძლება გქონდეთ სხვადასხვა სახის ურთიერთობები სვხადასხვა პირობებში. ასეთი პირობა სულ ოთხია:

- 1 – უცნობი ჯგუფი;
- 2 – თანამშრომლობა;
- 3 – შეჯიბრი;
- 4 – კონფლიქტი.

გამოიყენეთ ზედსართავი სახელები და დაახასიათეთ A და B ჯგუფები დადებითად და უარყოფითად თითოეულ პირობაში.“

კვლევის შედეგები რაოდენობრივი მონაცემების სახით წარმოდგენილია 1 და 2 ცხრილში. გამოვლენილი კანონზომიერების თვალსაჩინო გამოხატულებაა სვეტოვანი და წრფივი დიაგრამები:



**ცხრილი 1**



პირობა	გამოყენებული სიტყვების სიხშირე			
	დადებითი შეფასება		უარყოფითი შეფასება	
	A ჯგუფი	B ჯგუფი	A ჯგუფი	B ჯგუფი
I	114	87	70	76
II	93	92	57	62
III	97	73	50	65
IV	77	47	50	92
სულ	385 (56%)	299 (44%)	217 (42%)	295 (58%)

**ცხრილი 2**

პირობა	გამოყენებული სიტყვების პროცენტული მაჩვენებელი			
	დადებითი შეფასება		უარყოფითი შეფასება	
	A ჯგუფი	B ჯგუფი	A ჯგუფი	B ჯგუფი
I	57%	43%	48%	52%
II	50%	50%	48%	52%
III	50%	42%	43%	57%
IV	62%	38%	35%	65%

მარინე ჯალიაშვილი (კაკიაშვილი)





შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ „შიდა“ ჯგუფის დადებითი შეფასებისათვის გამოყენებული სიტყვები შეადგენს საერთო გამოყენებული დადებითი ზედსართავების 56%-ს; ხოლო იგივე ჯგუფის უარყოფითი შეფასებისათვის გამოყენებული სიტყვები ნეგატიური სიტყვების მხოლოდ 42%-ს; მაშინ როდესაც „გარე“ ჯგუფის პოზიტიური დახასიათებისათვის, საერთო კამში, გამოყენებულია პოზიტიური ზედსართავების 44%, ხოლო ნეგატიური დახასიათებისთვის ნეგატიური ზედსართავების 58%.

ზედსართავების სიხშირეთ ასეთი განაწილება გამოხატავს „შიდა ფავოროტიზმის“ სტატისტიკურად სანდო ტენდენციას. მაგრამ ეს არ არის ყველა პირობებში ერთნაირად გამოვლენილი ტენდენცია, არა-მედ უფრო ზოგადი ტენდენციაა, რომელიც, როგორც ჩვენმა კვლევამ აჩვენა, სხვადასხვა პირობაში გარკვეული სახეცვლილებით გვევლინება. ამიტომ, თუ განვიხილავთ ცალ-ცალკე თითოეული პირობას, ვნახავთ, რომ სიხშირეთა განაწილების ცვლილება არის სტატისტიკურად სანდო I, III და IV პირობაში.

I პირობაში	$X^2=4$	P<0,05
II პირობაში	$X^2=0,3$	P>0,05
III პირობაში	$X^2=7,8$	P<0,05
IV პირობაში	$X^2=18$	P<0,05

რაც შეეხება მეორე პირობას, ის წარმოადგენს თანამშრომლობას და, ამ შემთხვევაში, „შიდა“ და „გარე“ ჯგუფი გამოყენებული სიტყვების რაოდენობით, დაახლოებით ერთნაირად ხასიათდება როგორც დადებითად, ისე უარყოფითად.

მესამე პირობა წარმოადგენს შეჯიბრს და აქ უკვე გამოვლენილია შეფასების განსხვავების ტენდენცია. ეს ტენდენცია კიდევ უფრო ძლიერდება IV პირობაში, ანუ კონფლიქტის დროს.

რაც შეეხება პირველ პირობას, რომელიც უცხო ჯგუფის შეფასებას გულისხმობდა, ეს შეფასება როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მიმართულებით ძალიან ემსგავსება კონკურენტული ჯგუფის შეფასებას.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვენი სამუშაო ჰიპოთეზა დადასტურდა; ურთიერთობის სხვადასხვა ფორმებისას შიდა და გარე ჯგუფების აღსანერად გამოყენებული სიტყვების (ზედსართავების და სხვ.) რაოდენობა არსებითად იცვლება. ამის მიზეზი შეიძლება იყოს შიდა ფავორიტიზმის ტენდენციის შესუსტება ან გაძლიერება ჯგუფთაშორისის ურთიერთობების სხვადასხვა ფორმების შემთხვევაში.

ჩვენ მიერ გამოყენებული მეთოდიკით მიღებული შედეგები თანხმობაშია სხვა მეთოდის გამოყენებით მიღებულ შედეგებთან, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს ჩვენი კვლევის მეთოდის სანდოობაზე. ჩვეულებრივ, ადამიანები იყენებენ სიტყვებს სხვა ადამიანების შესაქებად ან გასაკიცხად, მათ მიმართ განწყობების გამოსახატავდ და მათი გამოყენების რაოდენობასა და შინაარსში ასახულია როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური ურთიერთობის თავისებურებები.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ჭ. ნადირაშვილი, განცყობის ანთროპული ფსიქოლოგია, თბილისი 2010.
2. ბ. ბალიაშვილი, სოციალური ფსიქოლოგიის დაწყებითი კურსი, თბილისი 2013.
3. რ. ციცქიშვილი, სოციალური ფსიქოლოგიის საფუძვლები, თბილისი 2012.
4. Р. Герриг, Ф. Зимбардо – Психология и жизнь, Питер 2004.
5. М. Хьюстон, В. Штрёбе – Введение в социальную психологию, Москва 2004.

**Marine Jagiashvili (Kakiashvili)**

Assistant Profesor

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

### **Inter-group relations and the "Internal Favoritism"**

#### **Resume**

Studies of inter-group relations began in the last century and several interesting theories were set up. One of them is Adorno's theory, according to which, prejudices and derogatory attitudes towards members of other groups are determined by personality type, and are linked to the development of a person.

The second theory, known as "scapegoat", regards aggression between groups as a result of frustration. According to Dolard's frustration theory, aggression is often directed not at its true source, but at easily accessible facilities, which may be considered national or other minorities. "Scapegoat" theory has been successfully used in relation with the prejudice.

Both theories agree upon that human behavior in a group is not fundamentally different from their behavior in other situations.

Tajfel first emphasized the need to distinguish between inter-personal relations and inter-group relations. The relationship between personalities depends on the person's individual characteristics and personal qualities. The relationship between groups implies that the human acts as a group member. In the first case, the individual characteristics of a person are more important; in the second case

- on the contrary, it is not important in itself, what the group member is like; more important happens to be - what is this group.

While studying the Inter-group relations, Tezhpell found, that the categorization process is a contribution to the shaping of attitudes between people. In case of social categorization of environmental groups, some of them are recognized as "ours". These groups are assigned to some kind of advantage and the positive attitude toward „our“ group is formed. This phenomenon is called "Internal Favoritism". The theory of social identity turns out to explain internal favoritism in a better way. According to this theory, dividing the universe into categories not only simplifies it and makes it more meaningful, but also performs another important function - to help us find out who we are. We reckon the different people to different groups, and, at the same time, localize ourselves to the same groups and thus form our own identity.

Sherif supports the similar approach. The main provision of his theory is that a group member's attitudes and behavior, directed towards the outside, objectively reflects the interests of the group. If it collides with the interests of any other group, the apparent competition orientation arises towards a particular group. This often leads to prejudice and openly hostile behavior as well. When the groups have common interests, then friendly and cooperative attitudes toward the outside of the group emerge.

Our research was aimed at the detection of the features of inter-group relations and 'internal favoritism' in Georgian culture, in various forms of communication - cooperation, competition and conflict. We used the methods of adjectives, while expressing attitudes towards internal and external groups. In the experiment the independent variable was the various Inter-relations between groups, and the dependent variable - the number of adjectives used to describe the groups.

Analysis of the results showed that:

1. "Internal favoritism" is revealed in imaginary situations.
2. In imaginary situations negative mood easily emerges.
3. Imaginary unknown group regarded as a competitive group
4. In case of imaginary cooperation "domestic favoritism" reduces and external group regarded as an internal group.
5. Imaginary conflict situation reinforces the "internal favoritism".

**რევაზ ჯორბენაძე**  
პროფესორი, თსუ  
**ნატა მეფარიშვილი**  
ასოცირებული პროფესორი  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ტრანსის მდგომარეობის მიღწევის  
სიმბოლური მარკერები ქართულ შელოცვებში**

ქართული ხალხური მაგიური პოეზიის შესწავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს ფსიქოლოგიური შესწავლაც წარმოადგენს. ასეთი ხედვით შესაძლებელია შევისწავლოთ შელოცვის ზემოქმედების ძალა, რომელიც დასწეულებულ ადამიანზე ხორციელდება. ასეთი ზემოქმედება მკურნალობის პროცესში ეფექტურ შედეგს იძლევა. ჩვენი კვლევის საკითხიც სწორედ ესაა, რათა გავარკვიოთ რა სიმბოლური მარკერები უწყობს ხელს შელოცვებით ტრანსის მდგომარეობის გამოწვევას. ასეთ დროს შემლოცველი სპეციფიკურ კომუნიკაციურ ველს ქმნის ავადმყოფთან მიმართებაში. ასეთი სახის კომუნიკაცია აუცილებლად გულისხმობს ტრანსის მდგომარეობის გამოწვევას. როგორ და რა საშუალებებით ხდება ტრანსული მდგომარეობის გამოწვევა? აქ ტექსტური შეტყობინება თამაშობს დიდ როლს, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია თანმხლები რიტუალის ჩატარებაც. ერთობლიობაში იქმნება მაგიური ველი, რომელშიც მხოლოდ შემლოცველის კომპეტენციით შეიძლება მოხვედრა. წარსულში ტრანსის მდგომარეობის მიღწევა არ სახელდებოდა, მას ასეთი ტერმინებით არ აღნიშნავდნენ. თუ დავუკვირდებით მაგიური პოეზიის ტექსტებს და რიტუალს აშკარად დავინახავთ, რომ შემლოცველი სწორედ ტრანსული მდგომარეობის გამოწვევით ცდილობს იმოგზაუროს სამყაროს მიღმა არსებულ უხილავ ძალებთან შესახვედრად. საბოლოოდ კი მათი ჩამოშორებით, განდევნით, ღმერთის დახმარებით განკურნოს ადამიანი. ძირითადი პროცესი საწყისთან დაბრუნებაა, ანუ კვლავ დაბადება. ასეთ პრო-

ცესში მნიშვნელოვანია გავარკვიოთ რა სახის სიმბოლური მარკერებია გამოყენებული და განსხვავებულ მდგომარეობაში გადაყვანის რა მექანიზმები არსებობს.

ტრანს ლათინურად ნიშნავს გადასვლას, გარდაცვალებას. თავიდან ამ ტერმინით აღინიშნებოდა სიცოცხლიდან სიკვდილში გადასვლა. ტრანსის სხვადასხვა სახეებს გამოყოფენ. არსებობს არასწორი ინტერპრეტაციაც, მაგალითად, რელიგიური ტრანსი. ასეთ მდგომარეობას უნდა ეწოდოს არა ტრანსი, არამედ ექსტაზირების მდგომარეობა. ტრანსის დროს სხეულებრივი ფუნქციები შესუსტებულია, ხოლო რელიგიური ექსტაზის დროს დიდ ენერგიას ავლენენ, რაც აქტივობაში გამოიხატება. ტრანსი განიხილება, როგორც ცნობიერების დაბინდვა, მისი შემცირება, ცნობიერების განსაკუთრებულ (განსხვავებულ) მდგომარეობაში გადასვლა. ასეთ შემთხვევაში უნებლიერ მოქმედებებს აქვს ადგილი, სხეულებრივი ფუნქციები შესუსტებულია და გარეგნულადაც ჩანს, რომ ინდივიდი ღრმა ძილშია. ღრმა ძილს რაც შეეხება დღეისათვის ითვლება, რომ ტრანსის მდგომარეობაში ადამიანი საკუთარ თავს გარკვეულნილად აკონტროლებს, თუმც იდენტობის დონე დაბალია, ზოგ შენთხვევაში ადგილი აქვს დისოციაციას (განსაკუთრებით აღმოსავლეთის კულტურაში ექცევა ყურადღება). ტრანსულ მდგომარეობაში გადასვლა სამკურნალოდ და პროფილაქტიკური მიზნით ფსიქოთერაპიაში გამოიყენება. თვითჰიპნოზის, მედიტაციის, ვიზუალიზაციის დროს ადამიანი ტრანსულ მდგომარეობაშია. ასეთი მდგომარეობის გამოწვევა ფსიქოფარმაკოლოგიური საშუალებებითაცაა შესაძლებელი. ითვლება, რომ ასეთ შემთხვევაში არაცნობიერი ინფორმაცია ხელმისწვდომი ხდება. ტრანსული მდგომარეობის დროს ჩვენი „მე“ უმოქმედოდა, მოძრაობები შენელებულია. ასეთ მდგომარეობაში შესაძლოა ადამიანი უნებლიერდაც გადავიდეს, მაგალითად, ხანგრძლივი მოგზაურობისას, ესთეტიკური ტკბობისას და ა.შ. ადამიანები განსხვავდებიან ტრანსული მდგომარეობის მიღწევის სხვადასხვა ინტენსივობით. ასეთ შემთხვევაში გარემოს აღქმა უმნიშვნელო ხდება. ტრანსის მსგავსი მდგობარეობებია ისტერიული გულყრის დროს, ეპილეფსიის გამოვლენისას და სხვა.

მიღწონ ერიქსონი (5; 7) ტრანსის და ჰიპნოტური მდგომარეობის შესახებ განსხვავებულ შეხედულებას აყალიბებს. ტრანსის საშუალებით არაცნობიერის წვდომაა შესაძლებელი. ასეთ დროს ყურადღება

შინაგან სამყაროზეა მიმართული. რაც უფრო ღრმაა ტრანსული მდგომარეობა, შესაბამისად, უფრო ადვილად ხდება შინაგანი სამყაროს წვდომაც. ავტორის აზრით პიპოტურ მდგომარეობაში მყოფი ტრანსს განიცდის, რომელიც, ასევე, შემოქმედებით პროცესს უწყობს ხელს. ტრანსის ნიშნებია:

1. კუნთური მოდუნება;
2. დაბალი ხმა;
3. სახის კუნთების მოდუნება;
4. პულსისა და სუნთქვის შემცირება;
5. თვალის გამოხატულების შეცვლა;
6. ძირითადი რეფლექსების გაქრობა;
7. კომფორტის და სიმშვიდის სუბიექტური აღქმის მატება.

ტრანსული მდგომარეობის გამოვლენა შემდეგი კონდიციების სახით ხდება:

1. ამნეზია (ტრანსის დროს განცდილის დავიწყება ხდება);
2. ანესტეზია (ტკივილის შემცირება, უარყოფითი შეგრძნებების, დისკომფორტის შემცირება);
3. ჰალუცინაციები (პოზიტიური – იმის ნახვა, ხილვა, რაც არ სებობს და ნეგატიური – არსებულის ვერდანახვა);
4. კატალეფსია (კუნთური დაძაბულობის განონასწორება, სხეულის უძრაობა დისკომფორტის თავიდან ასაცილებლად);
5. რეგრესია (წარსულში გადასვლა, ბავშვის ქცევის გამეორება);
6. დროის დამახინჯება (დროითი ორიენტაციის აღქმის შეცვლა).

მ. ერიქსონის შეხედულების სიახლე იმაში მდგომარეობს, რომ ტრანსს მიიჩნევს ბუნებრივ მდგომარეობად და ფსიქოთერაპიისათვის მოქნილ მეთოდად. ტრანსულ მდგომარეობაში გადაყვანა თანმიმდევრულად ხდება, რომლითაც შესაძლებელი ხდება ადამიანის რესურსების ძიება და გამოვლენა, რომელიც დაფარული იყო. ასეთი სახით აიგება პიროვნების ახალი სამყაროსეული მოდელი. ავტორი პიპოზის სამ ფაზას გამოჰყოფს:

1. ყურადღების მოდუნება და ტრანსში გადაყვანა;
  2. ცნობიერების უკუგდება;
  3. არაცნობიერ რესურსებზე წვდომა.
- მ. ერიქსონი ყურადღებას ამახვილებს მეტყველებაზე და ენაზე. მისი აზრით ორაზროვანი სიტყვების გამოყენება მნიშვნელოვანია

ტრანსული მდგომარეობის მისაღწევად. ავტორი შემდეგ პრინციპებს აყალიბებს:

1. ფონეტიკური განუსაზღვრელობა (ორაზროვნება), იყენებს გა-მონათქვამებს მიმსგავსებულს, რომლებსაც განსხვავებული მნიშვნელობა ენიჭება;
2. სინტაქსური განუსაზღვრელობა (ორაზროვნება), სიტყვები ორაზროვანია;
3. ორაზროვნების მოცულობა;
4. პუნქტუაციის განუსაზღვრელობა;
5. ორმხრივი კავშირები.

მ. ერიქსონის აზრით ტრანსი კომუნიკაციის პროცესში მიიღწევა. ჰავაზის ჩატარებისას ბრძანებები ადაპტირებული უნდა იყოს. ეს პროცესი უნიკალურია, რაც გულისხმობს ინდივიდუალურ მიდგომას. ტრანსული მდგომარეობის მისაღწევად გამოიყენება განსხვავებული ლოგიკა, სადაც მითითებაა „ორივე/და“ კავშირებზე. ასეთ შემთხვევაში გამორიცხულია „ან/ან“ კავშირები. მ. ერიქსონთან ჰავაზურ მდგომარეობაში გადასვლა ოთხ ფაზას შეიცავს:

1. მოსამზადებელი – (კონტექსტის შექმნა);
2. მიმართვა – (ტრანსის გამოწვევა);
3. ტრანსის უტილიზაცია – (სასურველი ცვლილებების განხორციელება);
4. ტრანსში შეძენილის კონდენსირება – (ტრანსის დასრულება და გამოსვლა).

შელოცვა გულისხმობს ტრანსში გადაყვანას, რომლისთვისაც სხვადასხვა მარკერებია გამოყენებული. ეს შეიძლება იყოს ფსიქოლოგიური ან მატერიალური, რომელიც საერთო პროცესის კონტექსტში ენერება. აქედან შემლოცველი ავადმყოფს ჯერ ამზადება, ატარებს რიტუალურ ქმედებებს, საუბრით ქმნის ტრანსს, ინვევს ცვლილებებს (რა თქმა უნდა მედიატორობის საშუალებით სულებთან) და ასრულებს პროცესს. ასეთ შემთხვევაში შელოცვა, კომუნიკაციის პროცესში შეტყობინების როლში გამოდის, შეტყობინებაა მიმართვა უხილავი ძალების მიმართ, ღმერთს შევედრება ან თხოვნა. ძირითადად, კომუნიკაციაში ერთვება ავადმყოფი და შემლოცველი, მაგრამ ასეთ შემთხვევაში კოდირების და დეკოდირების საკითხი ბუნდოვნადაა წარმოდგენილი. ბუტბუტით წარმოთქმული ტექსტები ხშირად არ ესმის ავადმყოფს და ვერ ახდენს დეკოდირებას. აქ იგულისხმება, რომ სხვა პრო-

ცესი მიმდინარეობს. შემლოცველი ესაუბრება ტრანსში მყოფ ავად-მყოფს, მის არაცნობიერს. ტექსტის ბუნდოვანება, აპრაკადაბრა, შეტყობინებას მაგიურ ძალას მატებს. ტექსტის ზოგიერთი ფრაზა ან სიტყვა გასაგებია ტრანსში მყოფისთვის, მაგრამ ამ სიტყვებს მაგიური ძალა ენიჭება. გზა არაცნობიერისკენ ასეთ დროს ადვილად გასავლელია, მაგრამ შემლოცველი ასეთ დროს განსხვავებულ ლოგიკას იყენებს.

შემლოცველის მოქმედების განხილვისას ე.ლიჩი (6) მიიჩნევს, რომ ის უშვებს დიდ შეცდომას, შეიძლება ითქვას სამმაგს, როდესაც მკურნალობის პროცესშია ჩართული. შემლოცველი (მაგი) მანიპულირებს ხატოვანი სიმბოლოებით (რაც მეტაფორულად გამოიხატება) და ნიშნებით (რაც მეტონიმურად გამოიხატება). მისი მოქმედება მიმართულია იქითკენ, რომ შეცვალოს სამყაროს სურათი და ასეთი მოდელით მანძილზეც მოქმედებს. მანძილზე მოქმედება, პირველ რიგში, გულისხმობს სიმბოლოებით მანიპულირებას. ეს სიტყვებში გამოიხატება, როდესაც მიმართავს დასწეულებულ ადამიანს. შედეგი კი ისაა, რომ შემლოცველი მანძილზე ახდენს ზემოქმედებას. ზემოქმედება ვერბალური ბრძანებებით ხორციელდება და, უმეტეს შემთხვევაში, ის სანდოა. სანდოობას განსაზღვრავს **სიმბოლური** მნიშვნელობების **ნიშნებად** აღქმა. ამგვარად სიმბოლოს მიმართავენ როგორც ნიშანს და მასზე ბრძანება ხორციელდება. ე.ლიჩს მოჰყავს მაგალითი, შემლოცველს, მაგს აქვს X მსხვერპლის თმები. ის ანადგურებს ამ თმებს, რომელიც შელოცვით და შესაფერისი რიტუალური ქმედებით ხორციელდება. შედეგად ხდება წინასწარმეტყველება, რომ ამ X მსხვერპლს ზიანი მიაყენა. სწორედ ამაშია შემლოცველის არასწორი ლოგიკა, რადგან თმების აღქმა ხდება მეტონიმურად და ჩაანაცვლებს მსხვერპლს. ის თვლის, რომ თუ ნიშანი განადგურდა, მაშინ მსხვერპლიც დაიღუპება. შედეგი განკურნებაა.

ქართულ შელოცვებშიც მსგავს პროცედურას აქვს ადგილი, მაგრამ აქ ასევე დამატებულია ღმერთის ძალის გამოყენებაც. სიმბოლოები ჩანს რიტუალური ქმედებისას, რომელიც ნიშნებად წარმოდგენილია ინსტრუმენტად მკურნალობისთვის. ამიტომაც შელოცვის რიტუალების ჩასატარებლად საჭირო შემდეგი ატრიბუტები და მოქმედებები. ქვემოთ მოგვყავს მაგალითები.

## სტიქიები

### 1. რკინა

- შავტარიანი დანა (იყენებენ წყლის გასაჭრელად, ჯვრის და-სასმელად, ნახშირის ჩასაფხევად, მტკიცნეულ ადგილზე დასადებად, ავადმყოფის ბალიშის ქვევით დასადებად შელოცვის შემდეგ);
- რკინის ნაჭერი (იყენებენ საგანზე ან ავადმყოფის სხეულზე გადასასმელად და შემდეგ შეულოცავენ, გაცხელებული სახით ავად-მყოფის სახესთან ახლოს მიაქვთ ან კანის რომელიმე დაავადების დროს იყენებენ ზემოდან გადასატარებლად);
- ნემსი – (ნაჭერში გაყრა ხორციელდება, ზოგ შემთხვევაში აკ-ვირდებიან ავტომატურად როგორ მოძრაობს ნაჭერში);
- ჯამი (უმეტესად სპილენძისაა, რომელსაც წყლით ავსებენ ავ-დმყოფის წინ დგამენ და მასში ყრიან ნაკვერჩხალს, სხვა შემთხვევაში ყრიან შაქარს, ბრინჯას, პურის ნაწილებს, ხორბალს. შელოცვის დას-რულების შემდეგ შავტარიანი დანით ჭრიან წყალს. ჯამი უკავშირდება წყლის სტიქიას);
- მაკრატელი – (მაკრატელს თოკით შეკრავენ, მსგავსი ქმედება სავარცხელზეც ხორციელდება);
- რკინის კოვზი (გამოიყენება გველის ნაკბენზე გადასასმელად ან ასეთი კოვზით თაფლის სანთელს მოადუღებენ და წყლის სავსე ჭი-ქაში ასხამენ ცხელ მასას. იღებს გველის ფორმას და ნაკბენ ადგილზე ადებენ თაფლის სანთელს);
- ცული, ნაჯახი (მელოცვისას ხელში უჭირავთ ან სომატური დაავადებისას კანის ზემოდან გადასმა ხდება).

### 2. ცეცხლი

- ნაკვერჩხალი, ნახშირი (ნაკვერჩხალს წყალში ყრიან, კარების ზღურბლის მიღმა გადაყრიან, ნახშირს ფქვავენ, ჯავრს გადაწერენ, წყალში ყრიან ან ჩაფხვნიან, ნახშირიან წყალს ასმევენ, ზოგჯერ ნაკ-ვერჩხალის ნაცვლად ნაცარი გამოიყენება)
- ცეცხლი (ხდება რაიმე სუბსტანციის გაცხელება, ან შემოატა-რებენ ავადმყოფს);

### 3. წყალი

- წყალი (გამდინარე წყალში განბანენ პირს ან სხეულის სხვა ნაწილებს, შელოცვის დროს წყალს მიაპკურებენ ან ასხამენ. წყლით სავსე ჭიქის ავადმყოფის თავზე გადატარება, ძირითადად შიშის შემთხვევაში, სახლის კარების ზღურბლიდან წყლის გადასხმა, ჩვილი ბავშვის პირველად დაბანილი წყლის შელოცვა, წყალში ყრიან შაქარს, ბრინჯას ნახშირს და სხვა. შემდეგ წყალში ჩადებენ დანას და დასერავენ ან ჯვარს გამოსახავენ დანით წყლის ზედაპირზე. შემდეგ ხორციელდება შელოცვა. მეჭეჭის სამკურნალოდ ქაღალდში გახვეულ მარილს გადაუსვამენ მეჭეჭს და შემდეგ ამ მარილს წყალში ყრიან).

### 4. ჰაერი

- სულის შებერვა, ანუ ჰაერის პირით გამოშვება (შელოცვის ბოლოს ძირითადად შემლოცავი შეუბერავს ავადმყოფს ან ავადმყოფობის რომელიმე ლოკალურ ადგილს და ამბობს „ფუს“. შელოცვა ხორციელდება შვიდი სახის აბრეშუმის ძაფით, ამიაცლიან რამდენიმეს, ნასკვს აკეთებენ, ცალ-ცალკე იღებენ სხვადასხვა აბრეშუმის პატარა ნაჭრებს, უბერავენ მას და თან იძახიან „ფუს“.

### ავგაროზები

- ტყავის პატარა ჯვარი (გულზე ჩამოსაკიდად);
- ლურჯ ქაღალდზე დაწერა (შელოცვას წერენ ქაღალდზე შეულოცავენ და ადებენ სხეულზე, ძირითადად თავზე ან სხვა მტკიცნეულ ადგილას);
- თეთრ ქაღალდზე დაწერა, (დაწერის შემდეგ თავზე, შუბლზე ადებენ, შეუკრავენ და ტკიცილის გასვლამდე უტოვებენ).

### ტემპორალობა და პერიოდულობა

- შელოცვას სამჯერ იმეორებენ;
- შესაძლოა 3, 5, 7, 9-ჯერ გამეორდეს;

- შელოცვა სრულდება დღის სხვადასხვა მონაკვეთში - დილით, შუადღეს და საღამოს;
- სამკურნალო კვირის დღეებია – სამშაბათი, ხუთშაბათი, შაბათი და კვირას ხდება განბანვა;
- რიტუალური ქმედების ან მოძრაობის სამჯერ გამეორება;
- ვარსკვლავებზე მიმართვა (მეჭეჭის შემთხვევაში);
- ახალ მთვარეზე შელოცვა (მეჭეჭის შემთხვევაში), როდესაც ხელში ვერცხლის მონეტა უჭირავთ ან დაანახებენ მთვარეს.

### **სამკურნალოდ განსხვავებული პროდუქტების და მცენარეების გამოყენება**

1. მარილი (წყალში აგდებენ); 2. პური (აჭმევენ ავადმყოფს ან წყლით სავსე ჯამში ნატეხებს ყრიან); 3. ნიორი (ნემსით აკინძავენ ძაფზე); 4. ქერის ან პურის მარცვლები (ავადმყოფს აჭმევენ ან მარცვლებს წყალში ყრიან); 5. შაქარ-ყინული (წითელი შაქარი) დაავადებულ ადგილზე წასმა ხდება; 6. ძმრით ტანის დაზელვა; 7. ტყემლის ტყლაპის თავზე ან შუბლზე დადება; 8. კარაქით და ერბოთი შეზელვა; 9. ზეითუნის ზეთით შეზელვა; 10. ღორის ქონით შეზელვა; 11. გამონაყარზე, მუნუკზე შაქრის ფხვნილის დაყრა; 12. თაფლს და ერბოს ნაზავის წასმა (მუნის შემთხვევაში); 13. თაფლის სანთლის გამოყენება (გამდნარი და მყიფე მდგომარეობაში); 14. მოხარშული კვერცხის თავზე დადება; 15. ბრინჯის 7 მარცვალი (წყალში ჩაყრა ან მტკივნეულ ადგილას დაყრა მარცვალ-მარცვალ); 16. ნიორის წასმა შუბლზე და ხელებზე; 17. კანაფის გადასმა ან სხეულზე დადება; 18. მეძუძური ქალის რძის წასმა; 19. არყით და ერბოთი სხეულის დაზელვა; 20. შავი ღვინო (ასმევენ); 21. ადამიანის ძვლის დანახშირება და მტკივნეულ ადგილზე დადება (ეპილეფსიის შემთხვევისას ან ძვლის გადატეხვის შემთხვევაში); 22. ღვინოში მარილის ჩაყრა; 23. სამყურას ფოთლები (მტკივნეულ ადგილას დადება); 24. ატმის შტო (გადაუსვამენ); 25. გოგირდის წასმა; 26. პურის და მარილის შეჭმა; 27. გოგრის ფურცლის გამოყენება; 28. ეკლების ჩაყრა წყალში; 29. პურში ნემსის ჩარჭობა ან პურის ნაჭერში); 30. მრა-

ვალძარღვას ფოთლის დადება; 31. თხილის ხის მაგარი ტოტის გამოყე-  
ნება; 32. შაქარში ამოვლებული შემწვარი ვაშლის შეჭმა; 33. კვერცხის  
ცილის გამოყენება; 34. ვარდის წყალი; 35. ბლის ხის ქერქის დაწვა და  
კმევა; 36. ნითელი ვაშლი; 37. ღვინის ან ნიგოზის ნასმა; 38. წყლულზე  
ნესვის რბილობის ნასმა; 39. შავი კატის მომყოლის გახმობა, დაფქვა  
და ფხვნილის ჩვილი ბავშვის ჭიპზე ნასმა; 40. ინის ან ლილის წყალში  
გახსნა.

### შელოცვისას შესასრულებელი ძირითადი მოქმედებები

- შელოცვა სრულდება სიმღერით (იშვიათად);
- ხმადაბლა ბუტბუტით ან, ზოგ შემთხვევაში, აქცენტების გაკე-  
თება და ხმამაღლა წარმოთქმა ტექსტის;
- შელოცვის ტექსტში ავადმყოფის სახელის ჩასმა;
- შემლოცველმა დედ-მამის სახელი უნდა იცოდეს და საჭიროე-  
ბის შემთხვევაში წარმოთქვას;
- შემლოცველის უნებლიერ დამთქნარება (ნიშნავს რომ ავადმყო-  
ფი მორჩება და შელოცვა შეერგო);
- წახშირით ან ნემსით ავადმყოფობის ლოკალურ ადგილს შემო-  
ფარგლავენ;
  - წითელი ძაფი და ნემსი უხმარი უნდა იყოს;
  - ავადმყოფი მიყავთ იმ ტერიტორიაზე სადაც დაშავდა;
  - თავსაბურს ერთ ადგილზე ნასკვს უკეთებენ (ამ ნაჭერს ქვედა  
ნაწილში ნემსს გაუყრიან და თუ წინ წავიდა დიაგნოზს დასვამენ, რომ  
ავადმყოფი შეშინებულია);
    - ავადმყოფთან თანდასწრებით წამლის დამზადება (ოჯახის  
წევრებს განუმარტავენ, როდის უნდა იქნეს გამოყენებული);
    - ხესთან მიყვანა ავადმყოფის და შელოცვის იქ განხორციელება  
(ავადმყოფი გამოჯანმრთელების შემდეგ სიცოცხლის განმავლობაში  
ამ ხის ნაყოფს ვერ შეჭამს – ტაბუს დადება);
    - ცხენის ნალში უხმარი ნემსით წითელი ძაფის გაყრა (ავადმყო-  
ფი ნალის ერთ ნახვრეტს უნდა უყურებდეს და ამ დროს შეულოცავენ);

- ბავშვის გათვალვის შემთხვევაში შეულოცავენ დედის თმას და შელოცვილ თმას ბავშვს მაჯაზე შეაბავენ;
- ეზოს გადაღმა ნივთის დადება (მაგ:ცხოველის ფორმის კვერებს დააცხობენ და ეზოს გარეთ დაალაგებენ);
- ავადმყოფის სხეულზე შეხება:
  - ჭიპზე ხელით მსუბუქი მასაჟი, შემდეგ შეულოცავენ;
  - კუჭის არეში მასაჟი;
  - კისრის მასაჟი;
  - მუცელზე ხელის გადასმა;
  - გულის შრესთან ხელის დადება;
  - მკერდზე ხელის დადება;
  - შუბლზე ხელის გულების დადება ან შემოხვევა;
  - ცხვირზე სამჯერ კბენა;
  - ბუს ბუმბულის საშუალებით ჩხვლეტა, სისხლის გამოშვების მიზნით;
  - შავი შეფერილობის მამლის სისხლის ავადმყოფზე წასმა;
  - ძალლისა და კატის ბეწვის გადასმა დაავადებულ ადგილას;
  - ზღარბის ტყავის (ეკლებით) ავადმყოფის კანზე გადასმა;
  - სისხლის დენის შემთხვევაში მისი შეგროვება და ქალალდზე შელოცვის ტექსტის დაწერა (ამ ნაწერს თავზე ადებენ, შეუკრავენ და შეულოცავენ). (1; 2; 3; 4).

ასეთი სახის სიმბოლოების ნიშნად აღქმა და შემლოცველის მოქმედებები ხელს უწყობს ავადმყოფის ტრანსულ მდგომარეობაში გადაყვანას. ჩურჩულით, ბუტბუტით საუბარი, მაგიურ რიტუალში სიმბოლოების გამოყენება, ავადმყოფის სხეულზე შეხება და მის არაცნობიერზე ზემოქმედება შედეგს იძლევა. ეს შედეგი, უმეტესად, შთაგონების ხარჯზე ხორციელდება. ამას ემატება წამლებით მკურნალობაც. ზოგიერთი შელოცვის ტექსტი წამლის დამზადების პროცესს აღნერს. შემლოცველს უნდა გააჩნდეს გამოცდილებაც, რომ ავადმყოფმა და მასთან ასოცირებულმა ადამიანებმა ირწმუნონ შემლოცველის მაგიური ძალა.

შემლოცველი იყენებს ტექსტებს, რაც ბუნდოვანი, გაურკვეველი და ორაზროვანია. ავადმყოფი ასეთ შემთხვევაში დამყოლია, სხეული მოდუნებული აქვს და ცნობიერება დაპინდული. ბრძანებებს ასრულებს (შესაძლოა გაიმეოროს მაგიური სიტყვები) და იქმნება მდგომა-

რეობა, რომლის დროსაც შემლოცველი ცდილობს ავადმყოფი ახლი-დან დაბადოს, როგორც განკურნებული და ჩამოაშოროს ბოროტი და დამთრგუნველი „სულები“. შემლოცველი ასთი სახით აყალიბებს ავადმყოფში სამყაროს ახალ მოდელს. აქედან გამომდინარე, შელოცვის პროცესი, პირველ რიგში, ტრანსული მდგომარეობის გამოწვევას გულისხმობს, რაც ფსიქოთერაპიული მკურნალობის პროცესის ანალოგიურია.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. გაგულაშვილი ი. ქართული მაგიური პოეზია. თსუ გამომცემლობა, თბ., 1986.
2. ქართული ხალხური შელოცვები. ბათუმი, 1994.
3. გველი მოვკალ უფლისათვის, ქართული შელოცვები. თბ., 1992.
4. ნებიერიძე ლ. „ბავშვთა დაავადებების მეურნალობა იმერეთში (საყმანვილო)“, გვ. 55-60. უურნალი „ამირანი“ I, თბ., 1999.
5. Гиллиган С. Терапевтические трансы. М., Класс. 1997.
6. Лич Эд. Культура и коммуникация. М., 2001.
7. Хейли Дж. О Милтоне Эриксоне. М., Класс. 1998.

**Revaz Jorbenadze**

Professor

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**Nata Meparishvili**

Associate Professor

Ilia State University

### The Symbolic Markers of Trance State in Georgian Spells

#### Resume

The survey presents an attempt to study Georgian folk spells from a psychological perspective. Containing the symbolic markers, the spells facilitate the entrancement of patients. When applied, they develop a specific commu-

nicative field. The text and its simultaneous ritual gain the importance for the inspiration.

The survey examines the process of the entrancement and its development in the light of M. Ericson's theory. The focus is made on a verbal impact. Symbolic markers, accompanying the ritual ceremony are marked off: natural symbols (iron, fire, water, and air), charms, temporal and periodic signs, different products and plants having the healing effect, also the actions used during the spell ritual. Application of these actions in the spell ritual facilitates the entrancement process. The texts of the studied spell are vague and ambiguous. Abracadabras always contain the main message, affecting the unconscious of the patient. These are the magic words, involving the patient into the process of "re-generation" and formation of the new model of the universe.

გამომცემლობის რედაქტორები:	მაია ეჯიბია
	მარინე ჭყონია
გარეკანის დიზაინი	ნინო ებრალიძე
დაკაბადონება	ხათუთა ბადრიძე

<b>TSU Press Editors:</b>	Maia Ejibia
	Marina Chkonia
<b>Cover Designer</b>	Nino Ebralidze
<b>Compositor</b>	Khatuta Badridze

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14

14, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0179

Tel 995(32) 225 14 32

[www.press.tsu.edu.ge](http://www.press.tsu.edu.ge)